114/3
970

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

5

1970

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 46-ე　　№ 5　　მაისი, 1970 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ირაკლი აბაშიძე — ლექსი . . . . . . . . . . . . . . . . 3
რევაზ ჯაფარიძე — ვნების კვირა. რომანი, წიგნი პირველი. გაგრძელება . . 4
ნიკოლოზ ჩაჩავა — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . . 37
დავით კვიცარიძე — მშვიდობით, უსიერო ტყეებო! რომანი. გაგრძელება . . 39
ვახტანგ გორგანელი — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . . 59
ანდრო ლომიძე — ლაზი. მოთხრობა . . . . . . . . . . . . . . . . 61
ოთარ ჩხეიძე — გრაგნილი . . . . . . . . . . . . . . . . 68
გიორგი ხორგუაშვილი — დეზდემონას სიკვდილი. მოთხრობა . . . . . 74
ანდრო თევზაძე — ლექსები . . . . . . . . . . . . . . . . 85
კლიმენტი გოგიავა — ილიაობა. ბიოგრაფიული რომანი. გაგრძელება . . . . 89

### გამარჯვების 25 წელი

არჩილ კოკილაშვილი — როდესაც კალამი ხიშტს გაუტოლდა . . . . 100

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

შალვა ფორჩხიძე — გიორგი ლეონიძის ლირიკა . . . . . . . . 119
გიორგი კალანდაძე — ისტორიული ეპოპეა „სამგორი" . . . . . . 132
ალექსანდრე კოჭლავაშვილი — უცნობი მასალები ილიაზე . . . . . 145
გრიგოლ თოდუა — ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ერთი საკითხისათვის . . . . . . . . . . . . . . . . 153
გურამ გვერდწითელი — მშობლიური მზით გამთბარი გული . . . . . 157
ფილიპე ბერიძე — პოეტური სილაღის ძალა . . . . . . . . 160

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

## ფაქტები, მოგონებანი

სერგი დურმიშიძე — შეუსმელი სადღეგრძელო . . . . . . . . 167
კლიმენტი გოგიავა — კოლხური წვიმით მონათლული . . . . 169
ვასო გორგაძე — მოგონების ფურცლები . . . . . . . . 172
ვასო გოგოლაძე — გიორგი ლეონიძე ქართველი გლეხის ოჯახში . . . 179

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელოვნება

მზია იაშვილი — ქართული მრავალხმიანობის არქაული საფეხური . . 184

მთავარი რედაქტორი: **ელგუჯა მაღრაძე**

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, მ. ლებანიძე, გ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მდივანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11-პ/მგ. მდივნის — 93-55-13, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 31/III-70 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/V-70 წ., ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8.

უე 02088. ტირაჟი 12.700. შეკვ. № 1055.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ირაკლი აბაშიძე

*
* *

პოეტის გული — ხან შმაგი ლომი,
ხან ბეწვის ხიდზე ეტლის ტარება;
პოეტის გული — ქალაქი რომი,
ყველა გზას მისკენ რომ ეჩქარება.

რა უწვავ ჩადნით, რა ბროლ-ალმასით,
რით ქსოვეს მისი კედლის ძარღვები,
რომ არ დანაცრდა, როგორც არმაზი,
როგორც პომპეის თეთრი თაღები.

რომ სულ ამაღლდა,
რომ სულ გადარჩა,
სვეტები მისი, უცხოდ ნაგები,
რომ არ დაინგრა, როგორც ვარახშა,
როგორც მესხეთის ვანის ქვაბები.

არ იყო ღმერთი — ის რომ დაეცვა,
საყდარი — მისთვის ერთხელ ელოცოს,
არ იყო ცეცხლი — ის არ დაეწვას,
მიწისძვრა — რასაც ის არ ელეწოს.

რით კვებეს იგი,
რა დიდ სისხლითა,
მჩქეფარით, როგორც ფშავის არაგვი,
რომ არ გამოშრა, არ დაიშრიტა,
როგორც აქბარის მკვდარი ქალაქი.

პოეტის გული — ქალაქი რომი,
ყველა გზას მისკენ რომ ეჩქარება;
პოეტის გული — მსოფლიო ომი,
სისხლის ღვრა, ცეცხლი და მქუხარება.

1970 წ. აპრილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

# ვნების კვირა

## რომანი

### წიგნი პირველი

### კარი პირველი

### თავი XVII

ევგენის უკვე სრული ფორმა ეცვა, ისევ ბუხართან იჯდა და მანდოლინაზე „სულიკოს" აწყობდა, როცა სარდაფიდან ამოსულმა კოორმა მძიმედ გაიარა ტალანში, წამით კართან შეყოვნდა და უკმაყოფილო სახით სააბაზანოში შევიდა ხელების დასაბანად. Muti და მისი ორივე ქალიშვილი ისე გატაცებული უსმენდნენ სტუმრის გამოუცდელ დაკვრას, რომ კოორის ფეხისხმა არც კი გაუგონიათ. ლინკა და პატარა ლოტა, რომელსაც თავისი საყვარელი მოწაფე მაგიდის ფეხებთან უყურადღებოდ მიეტოვებინა, ხმას აყოლებდნენ მუსიკის ტაქტს და უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ, როცა სტუმარი თანხმობის ნიშნად თავს დააქნევდა და დებს მიხვედრილობასა და მუსიკალურ ალღოს მოუწონებდა.

ევგენი ვერაფერი შვილი დამკვრელი იყო, მაგრამ იმდენს ახერხებდა, რომ გაუხეშებულ თითებს მელოდია მაინც მკაფიოდ გამოჰყავდათ. Muti-ს ჯერაც არ მოსვლოდა ფერი. გადატანილ ელდას ახალგაზრდების ძალდაუტანებელი ლაღობა ავიწყებდა.

— რას უკრავთ? — იკითხა მან, როგორც კი სტუმარმა დაკვრა შეწყვიტა, ყური სიმებთან მიიტანა და თვალებმოჭუტული საკრავის ხელახლა აწყობას შეუდგა. — იტალიურია?

— არა, — ევგენი გულღიად იკრიჭებოდა, თეთრ, ქათქათა კბილებს აჩენდა და საკრავის ტემბრის ცვალებადობას გატრუნული ყურს უგდებდა.

— ფრანგული?

— არა, — ევგენიმ ისევ ღიმილით უპასუხა.

— ბერძნული?

— ვერც ახლა გამოიცანით.

— მაშ, გერმანული, — მცირე შეყოყმანების შემდეგ თქვა ქალმა და როცა სტუმარმა თავი ისევ გააქნია, სახე გაებადრა და გამოაცხადა: — ქართული იქნება! ო, მადონა!.. ხომ მართალს ვამბობ?

— რაღა დაგიმალოთ!

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 4.

— მაშ, თქვენ ყველა ქართველები ხართ?

— ვინ ყველა?

— აი... რომ დადიან... მღერიან...

— ჩვენ ვართ.

— ღმერთო! — ქალმა რატომღაც პირჯვარი გადაისახა და თვალები ცრემლებით აევსო. მას კიდევ უნდოდა რაღაც ძალზე მნიშვნელოვანის თქმა, მაგრამ ამ დროს ტალანში კოორის ხმა გაისმა. კოორი ლინკას ეძახდა. ქალიშვილი მსწრაფლ წამოიჭრა და დაბალქუსლებიანი ქოშების კაკაკუკით კარისაკენ გაიქცა. ევგენი და აცრემლებული დიასახლისი უსიტყვოდ მისჩერებოდნენ ერთმანეთს. ლოტა მხრით ევგენის სკამის ზურგს მიჰყრდნობოდა, სათვალის ქვეშ ვარდისფერი თითები შეეყო და თვალებს ისრესდა. ქალი ლინკას შემოსვლას უცდიდა, რომ თავისი სათქმელი შვილის თანდასწრებით ეთქვა. მაგრამ ლინკა აღარ შემოდიოდა. ნეტავ რა საიდუმლო გაუჩნდათ იქ მამა-შვილს? ლინკა შემდეგ მაინც დაბრუნდა და ევგენის წინ დამნაშავე ბავშვივით თავჩაღუნული გაჩერდა.

— მამა გთხოვთ, მასთან გახვიდეთ, სალაპარაკო აქვს.

— მე? — წამოიძახა სიხარულისაგან თვალებგაბრწყინებულმა ევგენიმ, ზეზე წამოხტა, მანდოლინა ქალიშვილს მიაჩეჩა და ოთახიდან გასვლის წინ ისე ფაცაფუცით გაისწორა ტანსაცმელი, თითქოს დიდ სამხედრო უფროსთან წარსადგომად ემზადებაო.

კოორი ბავშვების ოთახში დაუხვდა. ტორშერის მკრთალი სინათლით განათებულ, დარაბებჩაგმანულ ფანჯარასთან იდგა და სტუმარს უცდიდა.

— აი, რა უნდა გითხრათ, ყმაწვილო, — ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო მან, როგორც კი ევგენი შევიდა, სტუმრის ზურგსუკან კარი მჭიდროდ მიხურა და თვითონაც იქვე დარჩა. — მე არ შემიძლია თვალები დავხუჭო იმის წინაშე, რაც ჩემ ოჯახში ხდება. მე, მოგეხსენებათ, ოჯახის მამა ვარ და გარკვეული პასუხისმგებლობა მაკისრია ჩემი ცოლისა და შვილების წინაშე. მიპასუხეთ, რა არის თქვენი მიზანი, რისთვის დაიარებით ამ სახლში, რისთვის მოიტანეთ იმ დღეს სუფთა საცვლები გასარეცხად და ან დღეს რა საქმის გამო მოხვედით? იცოდეთ, თქვენ პატიოსანი მშრომელი კაცის ჭერქვეშ იმყოფებით და თუ თქვენც პატიოსანი კაცი ხართ, ანგარიში უნდა გაუწიოთ ოჯახის უფროსის ნებასა და სურვილს. აი, მე უკვე გითხარით ყველაფერი, რისთვისაც გაგსარჯეთ და აქ მოგიყვანეთ.

— შეიძლება პასუხი გაგცეთ, ბატონო კოორ? — მტკიცე ხმით მიმართა ევგენიმ და ამ ნაღვლიან, მაღალ, ხმელ კაცს თვალი თვალში გაუყარა.

— ჩემი გვარი ვან-ლემერენია, — — ოდნავ უფრო რბილად ჩაილაპარაკა კოორმა, — ბრძანეთ!

— ბატონო ვან-ლემერენ, შემიძლია გულახდილი ვიყო?

— რასაკვირველია!

— არავინ გვისმენს?

— აქ მხოლოდ ორნი ვართ!

— მე წინააღმდეგობის ადგილობრივ ორგანიზაციას ვეძებ.

— როგორ, როგორ? — კოორ ვან-ლემერენმა ნიჩაბივით ფართო ხელი ყვრიმალთან მიიტანა, ხომ არ მომეყურაო და ოდნავ წინ წამოიხარა.

— არის თუ არა აქ წინააღმდეგობის ადგილობრივი ორგანიზაცია?

— მე რატომ მეკითხებით მაგას?!

— აბა, ვის ვკითხო!

— როგორ თუ ვის? პოლიტიკურ ბრალდებას მიყენებთ?

„ეტყობა, ლინკას არ უთქვამს, რომ სტალინის სურათი მაჩვენა!“ — გაიფიქრა ევგენიმ.

— მე არ ვიცი, რისთვის ხმარობთ ამ ხმამაღალ სიტყვებს, — თითქმის მეგობრულად მიმართა მან კოორს და უნებლიეთ ღიმილი მოერია, — მე კარგად ვიცი, სადაც ვიმყოფები და ვის ოჯახშიაც ვარ.

— თუ სათქმელი მეტი არაფერი გაქვთ, ამით დავამთავროთ! — მკაცრად თქვა კოორმა და ხელი კარის გასაღებად წაიღო, — გთხოვთ, მოგვეშვათ და ჩვენთვის დაგვაყენოთ.

— მოიცათ! — ევგენიმ ხელი წაატანა და მასპინძელსა და კარს შორის ჩადგა. — მაშ, მართლა უარით მისტუმრებთ? გგონიათ, რომ პროვოკატორი ვარ და ვილაცამ მომაგზავნა? არა! — მან მტკიცედ თქვა ეს და თავისი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად თვალები დააბრიალა, — მე შემიძლია ახლავე დაგიმტკიცოთ. რითაც და როგორც გინდათ, გამომცადეთ, მე ყველაფერზე თანახმა ვარ!

— დიდება შენდა, ღმერთო, — უსასოოდ წაილაპარაკა სტუმრის გულფიცხი აღსარებით სანთელივით მორბილებულმა კოორმა და სასოწარკვეთილებით აღბეჭდილი სახე ევგენის მოარიდა. — რა უნდა ამ კაცს ჩემგან!..

— თქვენი სიკეთე, მეტი არაფერი! — მთელი გრძნობით შესძახა ევგენიმ და გულში ამ ადამიანისადმი უდიდესი სიახლოვე და სითბო იგრძნო, — გამომცადეთ, მეტი რა გინდათ, მე ყველაფერზე თანახმა ვარ. ამას ნუ უყურებთ, ტანზე რომ ეს მაცვია, — არტემიძემ მუნდირზე წაივლო ხელი და ზედ აუწერელი ზიზღით დაიხედა, — ჩემ დღეში რომ ჩავარდნილიყავით, იქნებ თქვენ ამაზე უფრო მეტი გეკისრათ.

— მაგრამ რაღა მე მომადექით, ადამიანო, რის იმედი გაქვთ?

— ეგ იმედი თქვენ თვითონ მომეცით, როცა ცუდად მიმიღეთ!

— როგორ თუ ცუდად?

— ხომ არ ფიქრობთ, როცა ეს განზრახვა გულში ჩავიდე, პირდაპირ თქვენი სახლის კარს მივადექი. სანამ აქ მოვიდოდი ხუთ-ექვს ადგილას მაინც დავრეკე. მე აქ არავინ მიცნობს. ტანსაცმელს უყურებენ. თუ, მარტო ტანსაცმელს უყურე, მე გერმანელი ფაშისტი ვარ, ჩვეულებრივი ფაშისტი. თქვენც ხომ ასე გგონიათ! ვინც გახარებული შემხვდა და შინ შემიპატიჟა, ხან რა მოვიმიზეზე და ხან რა, მაშინვე გავეცალე. ვიცოდი, ამნაირი ყაიდის ხალხი მე არ გამომადგებოდა, რადგანაც გულშიაც და აშკარადაც გერმანელებს თანაუგრძნობენ. ამისთანა აქ ცოტა კი არ არის. მოიცათ, დრო მოვა და ყველას დედა ეტირება! აი, ხომ ხედავთ, მეც ყველაფერი გითხარით. ახლა თავად თქვენ შეგიძლიათ დამაბეზღოთ და ოჯახი გაჭირვებიდან ამოიყვანოთ. გერმანელები დიდ გასამრჯელოს გადაგიხდიან.

— ჩუმად, ჩუმად, ყმაწვილო, ხმადაბლა მაინც ილაპარაკეთ! — შეაწყვეტინა უკანასკნელი სიტყვებით აშკარად უკმაყოფილო კოორმა. გულისჯიბიდან რკინისბწკალებიანი სათვალე ამოიღო და დიდრონი ხელების შესამჩნევი კანკალით თვალებზე მოირგო.

— აკი მარტო ვართო? — ევგენიმ შეატყო, რომ მისი სიტყვა სასურველ შთაბეჭდილებას ახდენდა და ოდნავ დაცხრა.

— ჩვენს დროში კედლებსაც ყურები აბია!

— მე უკვე გითხარით ყველაფერი, ახლა თქვენი ჯერია. პისტოლეტი მაქვს, იცოდეთ. აი! — ხმის კანკალით განაგრძო ევგენიმ და მაშინვე ჯიბეზე გაიკრა ხელი იმ ბავშვივით, რომლისთვისაც ნანატრი სათამაშო მიუციათ და მასაც ამ სათამაშოთი ტოლებს შორის თავი მოსწონს. — სინდისს გეფიცებით, ამ წუთში შუბლს შევინგრევ. წადით მერე და აგეთ პასუხი. ჩემთვის სულ ერთია! — ეს რომ თქვა, ხმა კიდევ უფრო აუთრთოლდა და დაბერილ ქუთუთოებზე ცრემლის გუბე მოაწვა. — გჯერათ ახლა, თუ ისევ არ მიჯერებთ?

— ლინკამ რა გითხრათ?

— არაფერი, სტალინის სურათი მაჩვენა.

— ყურებს ავახევ მაგისთვის! — ვანლემერენი განრისხდა და სათვალე მოიგლიჯა. — ყელსა მჭრით? მეც მღუპავთ და თავსაც იღუპავთ? რა მაგის საქმეა!

ამ დროს კარს ვიღაც მოაწვა მეზობელი ოთახიდან და ევგენი იძულებული გახდა უკან დაეხია. წამიც და განმარტოებით მოთათბირე მამაკაცები გაფართოებული თვალებით მიაჩერდნენ ლინკას, რომელიც ღია კარში იდგა და ორივე მამაკაცს თავისი ქალური სამრეკლოს სიმაღლიდან დაჰყურებდა.

— ლინკა! — ძლივს შესძლო კოორ-

მა ამ სახელის ხმამაღლა წარმოთქმა და მას ყველაზე უფრო საშინელი რამ დაუმატა, რის თქმაც კი ახლა შეიძლებოდა:
— შენ თავს გახვედი!

— მე ყველაფერი გავიგონე, მამა, — მშვიდად მიუგო ქალიშვილმა და ევგენის გვერდში ამოუდგა. — ნუ გამიწყრებით, მე მეტი აღარ შემიძლია...

— ამ წუთში გადი და კარი მოხურე! — გაბზარული ხმით უბრძანა შვილს კოორმა. — ვერ უყურებ, რა დღეშია?

— მე და დედა გთხოვთ, — ლინკა მოულოდნელად ფლამანდიურზე გადავიდა, — ევგენის ერწმუნო.

— ვინ ევგენია, ქალო, რას მიედ-მოედები!

— აი, ეს, ჩვენი მეგობარი, — ქალმა არტემიძეს მოჰხედა და თითქოს უშინდა, არ დაამსხვრიოსო, ხელი ფრთხილად შეახო.

— გმადლობთ, ლინკა, — ვაჟი დაიხარა და ქალიშვილს შუბლზე აკოცა. ეს ისე მოულოდნელად, გულწრფელად და ბუნებრივად მოხდა, არავის გაჰკვირვებია. ლინკა ოთახიდან გავიდა და კარი ფრთხილად გაიხურა. კოორი ერთხანს ენაჩავარდნილი იდგა და თავს ებრძოდა, ბოლოს სათვალე მოკეცა, ისევ გულისჯიბეში ჩაიდო და ევგენის შეცვლილი ხმით უთხრა:

— სამ დღეს მაცალე, მოვიფიქრებ.

## თავი XVIII

სამი დღე მთელ საუკუნესავით გაიჭიმა. ამ სამ დღეში ბევრი რამ საგულისხმო მოხდა. ოტო კრიგერი და ნოე გონგლაძე ბერლინიდან დაბრუნდნენ და ჰიმლერის პირადი კანცელარიის შტამპდასმული პაკეტი მოიტანეს. იმავე დღეს საშოფრო კურსების დაშლის და კურსანტების სხვადასხვა ასეულში დაქსაქსვის ბრძანება გამოვიდა. მოხუცი ჰაუპტმანი ვებერი, ვასო ინჯიას პირადი მტერი და საშოფრო კურსების უფროსი, ამსტერდამს იყო წასული სამსახურის საქმეზე. ბრძანებამ მას, ალბათ, იქვე მიუსწრო, და ამსტერდამიდან უკან აღარ დაბრუნებულა. ვიღაც ვიღაცეები ამბობდნენ, რომ ბრძანება ვებერის დაპატიმრების და პირდაპირ ბერლინს გაგზავნის შესახებ კრიგერის მიერ ჩამოტანილ პაკეტში იყო. სხვები ამ მოხუცი გერმანელი ინტელიგენტის ნიჩაბზე დასმას და აქედან გადაგდებას ინჯიას და ბრაიტნერს აბრალებდნენ. მათი მონაწილეობის გარეშე, რასაკვირველია, არაფერიც არ გაკეთდებოდა. ასე იყო თუ ისე, ვებერის თავიდან მოშორებით ბატალიონში ყრუ წინააღმდეგობის ერთ-ერთი საშიში კერა მოიშალა. ინჯია გამარჯვებას ზეიმობდა, თუმცა გარეგნულად ამას არ იმჩნევდა და თავი, როგორც ყოველთვის, ღირსეულად და დაჯერებულად ეჭირა.

ბატალიონის ქვეგანაყოფების სხვ ადგილზე გადაყვანისაგან, რასაც ბრაიტნერი დაჟინებით მოითხოვდა, ბერლინმა, ეტყობა, თავი შეიკავა. წყალდიდობის მეოთხე დღეს სანაპიროზე მუშაობა განახლდა. ბევრი რამ ხელახლა გასაკეთებელი იყო, რადგან იმ საშინელ ღელვას ნაპირის მისადგომები მოესილა და დანაღმული ველები შლამის სქელი ფენით დაეფარა.

ერთ დღეს ზანდფორტში სამწუხარო ამბავი გავრცელდა: კაკო ცუცქირიძე, შამშე მღვდელაძის ძველი ძმაკაცი და განუყრელი მეგობარი, გესტაპომ დააპატიმრა და ხვალ განთიადისას, ალბათ, კედელთან მიაყენებენო.

რა ჰქნა ნეტავ ცუცქირიძემ? ასეთი რა ჩაიდინა?

ბოლო ხანს გერმანელები თავადვე ფრთხილობდნენ, ქართველების მიერ წესრიგის წვრილმან დარღვევას თვალს არიდებდნენ და იმის შიშით, მდგომარეობა არ გართულდესო, თვითონვე აფუჩეჩებდნენ. რაკი ცუცქირიძის საქმე ასე გახმაურდა, ეჭვი არ იყო, მან რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი დანაშაუ-

ლი ჩაიდინა და სასჯელიც არ ასცდებოდა. მაგრამ რა ჩაიდინა?

დილას ყველაფერს ნათელი მოეფინა.

დისციპლინარული სასჯელის მოხდის შემდეგ შამშე მღვდელაძე სწორედ წინადღეს დაბრუნებულიყო თავის ასეულში. ასეულში დაბრუნებამდე ის ვასო ინჯიას დაებარებინა შტაბში და პატიოსანი სიტყვა ჩამოერთმია, რომ დღეის ამას იქით ჭკუას მოუხმობდა და ბატალიონის ხელმძღვანელობას არ აიძულებდა, უფრო მკაცრი ზომებისთვის მიემართა. მაგრამ ან ინჯიამ რა იცოდა, ან თვით შამშე როგორ წარმოიდგენდა, თუ ეს ორმხრივი შეთანხმება რამდენიმე საათის შემდეგ დაირღვეოდა!

ყველაფრის მიზეზი კი კაკო ცუცქირიძე გახდა.

კაკო იმ დღეს, თვრამეტი კაცისაგან შემდგარ ჯგუფთან ერთად, მახლობელ სოფელ კრომენიაში მუშაობდა. დილიდან საღამომდე ოცი თუ ოცდახუთი საბარგო მანქანა დატვირთეს ტანკსაწინაალმდეგო ზარბაზნის ჭურვებით და სადღაც გაისტუმრეს. იარაღისა და საჭურვლის უზარმაზარ საწყობს ათას ლაბირინთად დახლართული მიწისქვეშა მღვიმეები ეკავა. მტვირთავებს თავს შეიარაღებული ბადრაგი ადგა. კაკოს სწორედ მისი ყურადღების მოდუნებით ესარგებლა, ნოლახტის სისტემის პისტოლეტი დაეთრია და გარეთ, ლერწმოვანში დაემალა, ვითომ, შინ როცა წავალ, თან წავიღებო. გერმანელებს, მადლობა ღმერთს, ის არ შეუმჩნევიათ, პისტოლეტი როდის გამოიტანეს, მაგრამ დამალულს წააწყდნენ და თვალთვალი დაუწყეს, აბა, ვინ მოვა, ვინ აიღებსო.

კაკო შინ, ოცეულის სადგომში დააპატიმრეს, სწორედ მაშინ, თივით გატენილ ლეიბს როცა ხსნიდა და შიგ შავი დღისათვის საგულვებელ პისტოლეტს მალავდა. მთელი სახლი ალყაშემორტყმული იყო. გარეთ აღარავის უშვებდნენ.

სწორედ ამ დროს, სრულიად შემთხვევით, ბატალიონის შტაბიდან მომავალ მღვდელაძეს საკომენდანტოს ფანჯარაში კაკო ცუცქირიძე დაენახა და უმალ მიმხვდარიყო, მეგობარს რა გასაჭირიც ადგა. კაკოს უსიტყვოდ ენიშნებინა, რაც ელოდა და შველა ეთხოვა.

შამშეს წინდახედულება და ეშმაკობა ეხმარა, ასეულს სათოფეზეც არ გაჰკარებოდა, სადღაც ორი ველოსიპედი ეშოვნა, მიყრუებული ქუჩის კუთხეში კედელზე მიეყუდებინა და მაშინვე უკან დაბრუნებულიყო.

როგორ და რანაირად შესძლო ცუცქირიძემ საკომენდანტოს უკანა ფანჯრიდან ბაღჩაში გადახტომა და იქიდან ქუჩაში გასვლა, ამის მნახველი არავინ აღმოჩნდა. საკომენდანტოში მყოფი გერმანელები აკორდეონს უკრავდნენ და ხმამაღლა მღეროდნენ რომელიღაც მოდურ სამწყობრო სიმღერას. ერთი საათის შემდეგ, ყარაულის შეცვლის დრომ რომ მოაღწია, დერეფანში ნახეს გულშემოყრილი გერმანელი გუშაგი, რომელიც ამდენი ხალხის თვალწინ საიდანღაც შემოპარულ მღვდელაძეს ერთი დარტყმით წაექცია და განსაცდელში მყოფ ამხანაგთან ერთად მიმალულიყო.

ბლუმენდალში, სადაც შამშე დისციპლინარულ სასჯელს იხდიდა, სს-ის ნაწილი იდგა. ყველაზე უშიშარ ადგილად მან სწორედ ბლუმენდალი მიიჩნია და იქით მოჰკურცხლა. სამოქალაქო მოსახლეობაში მას იქ ნაცნობები ჰყავდა და იმედოვნებდა, რომ თავშესაფარს იშოვნიდა.

გერმანელები გვიან მოეგნენ გონს. მდევარი რომ მოტოციკლების ჭახჭახით ქუჩაში გამოვიდა, უკვე ღამე იყო და გაქცეულების ძებნასაც არავითარი აზრი აღარ ჰქონდა.

ქართველები, ვის ყურამდეც კი ამ ამბავმა მიაღწია, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ. კაკო ცუცქირიძისა და შამშე მღვდელაძის საქციელი სულმოკლეობად მიაჩნდათ და მას ეგოისტურ გამოხდომად თვლიდნენ. აბა, რა ჭკუა ჰქონდა ორი კინკილა კაცის გაქცევას და სადღაც დამალვას! რა უნდა მოჰყოლოდა ამას? ბატალიონის ორ-ორ, სამსამ კაცად დაქსაქსვა და ცალკ-ცალკე განადგურება, მეტი არაფერი!

ნიკოლოზ მელიქია და აკაკი მაჩაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგანგებოდ ჩამოვიდნენ ზანდფორტში, რათა სიმართლე შეეტყოთ და უკან დაბრუნებულებმა ყველაფერი იღონეს, რომ მსგავსი რამ მათ ასეულებშიაც არ მომხდარიყო. მათ აზრს იზიარებდნენ მეორე და მეოთხე ასეულის მეთაურები გონგლაძე და მინდიაშვილიც. ლოლაძეს დანა პირს არ უხსნიდა. მისი ასეული მეტად ცუდ მაგალითს აძლევდა სხვებს...

გერმანელები საკუთარი თვალებით ხედავდნენ, რომ ქართველები ათვალწუნებით შეხვდნენ ორი თავზეხელაღებული ქართველის დეზერტირობას და ეს კარგ ნიშნად მიიჩნიეს. ბრაიტნერს რისხვა სანახევროდ გაუნელდა და ეს ნახევარი რისხვა თვით გაქცეულებს დაატყდა. მან ახალი ბრძანება გამოსცა. ბრძანებაში ნახსენები იყო ჰაუპტმანი ვებერი, ვისმა პოლიტიკურმა არასაიმედოობამ უცხო ტომის ჯარისკაცებზე გამხრწნელი ზემოქმედება მოახდინა. ამის უპირველეს მაგალითად ბატალიონის მეთაური ორი ყოფილი კურსანტის დეზერტირობას სთვლიდა. ბრძანება ადგილობრივ სტამბაში ააწყეს და გაზეთის ქაღალდზე დაბეჭდილი ქუჩებში გამოაკრეს, რათა ყველას წაეკითხა, გაეგო და აღშფოთებულიყო. ბრძანებას ორივე დეზერტირის გარეგნობის დაწვრილებითი აღწერილობაც ახლდა. დეზერტირების გამცემ მოქალაქეს ოცი ათას გულდენს სთავაზობდნენ, მათ დამფარავსა და ხელისშემწყობს კი დახვრეტა და ქონების კონფისკაცია ემუქრებოდა.

ევგენი არტემიძეც ორმხრივად შეაშფოთა მომხდარმა ამბავმა. ერთი მხრივ მას თავისი გულითადი ამხანაგები ენანებოდა, რომელთა სიცოცხლე ამიერიდან ბეწვზე ეკიდა და, მეორე მხრივ, გულს ბრაზი უმღვრევდა, რომ შამშეს სახით უაღრესად გაბედული თანამზრახველი და საკუთარი თავივით სანდო ადამიანი დაჰკარგა. თუ კოორ ვანლემერენის შემწეობით ის ადგილობრივ იატაკქვეშეთს იპოვნიდა, ამ ხიფათისა და ყოველდღიური თავგანწირვის გზაზე შამშე მღვდელაძის გამოყენების იმედი აღარ უნდა ჰქონოდა, რადგან შამშე უკვე დამნაშავედ იყო ცნობილი და ქუჩაში თავისუფლად გამოჩენა აღარ შეეძლო.

თუ საქმეს უფრო ღრმად ჩაუკვირდებოდი და გონების სასწორზე ასწონდასწონიდი, მომხდარ ამბავში შამშეს გამტყუნება და მისთვის ბრალის დადება მაინც გაგიძნელდებოდა. მაშ, რა ექნა, თუ ამხანაგი განსაცდელში ჩავარდნილი ნახა, მხარში არ ამოსდგომოდა და მტრის საძიძგნად მიეტოვებინა? ამას ვერავინ ვერ იზამდა, ვერ იზამდნენ თვით ისინიც კი, ვინც ახლა შამშეს აუგად იხსენიებდა, და თუ იზამდნენ, მაშინ ამნაირ სიცოცხლეს ისევ უმიზნო და უსახელო სიკვდილი სჯობდა.

ევგენის სული კბილით ეჭირა. არამცთუ დღეებს, საათებსა და წუთებსაც კი ითვლიდა და აღარ იცოდა, ვან-ლემერენთან დათქმული შეხვედრის დღე როგორ და რა გზით მოეახლოვებინა. ბოლოსდაბოლოს ეს დღეც დადგა. ევგენი წასასვლელად გაემზადა, წინასწარ მომარაგებული პური იღლიაში ამოიჩარა და ის იყო კიბეზე დაშვებას აპირებდა, რომ ბატალიონის შტაბიდან გერმანელი შიკრიკი მოვიდა და სადარბაზო შემოსასვლელშივე, საიდანაც ჯერ კიდევ არ გაეხვეტათ იმ ავად მოსაგონარ ღამით შემოტანილი შლამი, არტემიძის გვარი დაიძახა. ევგენის, თითქოს დანაშაულზე წაასწრესო, გააჟრჟოლა. რა ექნა, უკან დაბრუნებულიყო და გაზეთში შეხვეული პური სასთუმლის ქვეშ ამოედო, თუ ახლავე გამოეცხადებინა, ვინ იყო?

შტაბში ინჯია იბარებდა.

ევგენიმ ბედს მადლობა შესწირა. შიკრიკს რომ ფეხად არ გაასწრო, თორემ მის ძებნაში მთელ ზანდფორტს გადააქოთებდნენ და ვაითუ კვალს ვან-ლემერენების ოჯახშიც შეჰყოლოდნენ.

ვასო ინჯია ისევ თავის პაწია სენაკში დაუხვდა ბაზრის მოედანზე, ბატალიონის შტაბის გვერდით. ოთახი კვლავ ჩახუთული იყო და საშინაო ტანსაცმელში გადაცმული ვასო მუშამბაგადაფარებულ მაგიდას უჯდა.

— ჰაილ ჰიტლერ! — მთელი ხმით შესძახა ღია კარში ჩამდგარმა ევგენიმ, გაჭიმული მარჯვენა ხელი თვალების სიმაღლეზე წინ გადაისროლა და ოთახში შესვლის ნებართვა ითხოვა.

ინჯია შეფიქრიანებული, დაღლილი და მოტეხილი ჩანდა. ნეტავი რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? არასახარბიელო მდგომარეობა ფრონტებზე თუ რაიმე სხვა? იმის გამო, რომ შამშე მღვდლაძე გერმანელ პატრულებთან ერთად თავის დროზე მკაცრად არ დასაჯეს, მაიორი ბრაიტნერი მასაც უთუოდ საყვედურს ეტყოდა. იქნებ საყვედურიც არ აკმარა და თავისებურად დაემუქრა? მართალია, ვასო ინჯია, როგორც ბოლშევიზმის ძველი და დაუძინებელი მტერი, გერმანული სარდლობის სრული ნდობით იყო აღჭურვილი, ნდობასაც თავისი საზღვარი ჰქონდა. მაიორ ბრაიტნერს, ვინც აქ უმაღლეს ხელისუფალთა ნებას ახორციელებდა, შეეძლო ყველაფრისათვის ხაზი გადაესვა და თავის უშუალო და პირდაპირ ხელქვეითებს ისე მოჰქცეოდა, როგორც საჭიროდ მიიჩნევდა.

საუბარმა კითხვა-პასუხის ფორმა მიიღო. ინჯია ეკითხებოდა და ევგენი, რომელსაც ამჯერად სკამი აღარ შესთავაზეს, ცდილობდა პასუხი მოფიქრებულად და მკაფიოდ გაეცა.

ვასო ინჯია ჯერ იმით დაინტერესდა, ხვდებოდა თუ არა ევგენი ძველ ამხანაგებს, აი, იმათ, ვინც მასთან ერთად პარიზიდან ჩამოვიდა. „ახლა კი შოთა მამალაძეს ახსენებს! — გაუელვა არტემიძეს. — არ შეიძლება ჩვენმა იმდღევანდელმა წაკინკლავებამ, ისიც მგზავრებით სავსე ვაგონში, უკვალოდ ჩაიაროს!“ მაგრამ თითქოს განზრახ, ვასო ინჯიას ექიმის სახელის ხსენება ერთხელაც არ მოჰგონებია. ნუთუ მამალაძე პატიოსანი კაცი იყო, გერმანელების ყურმოჭრილი მონის როლს მხოლოდ გარეგნულად თამაშობდა, მტერს თვალს უბამდა, გული კი ნამდვილი მამულიშვილისა ჰქონდა? ექიმის დუმილი სწორედ ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებდა. მაგრამ მამალაძის დუმილი შეიძლებოდა სხვა მიზეზითაც აგეხსნა. ეს მიზეზი შიში, მურისძიების შიში იყო. ისეთსავე ორჭოფულ მდგომარეობაში ჩავარდნილი ადამიანები, როგორშიაც მამალაძე იმყოფებოდა, ამ ორი მიზეზის გამო იგუბებენ ხოლმე პირში წყალს, დუმილი კი დუმილს მიაგავს...

როცა დამაკმაყოფილებელი პასუხი მიიღო — ანთიძეს, ჩილაჩავას და გიგაშვილს, მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ქვეგანაყოფებში დაგვანაწილეს, აღარსად შევხვედრივარო, ვასო წამოდგა, ევგენისთან სულ ახლოს მივიდა და თვალებში ჩააჩერდა. ევგენი შეცბუნდა. მოხუცის მხრიდან რაღაც უცნაური სუნამოს სუნი სცემდა. ახლა ის გრძნობდა, რომ მთელი ოთახი ამ შემხუთველ სუნს აევსო და იგი თითქოს აქედან მიცვალებულის გატანის შემდეგ დარჩენილიყო. ევგენიმ სუნთქვა შეიგუბა. უნდოდა, როგორმე არ ესუნთქა ამ ჰაერით, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

**„თავის** გავლენაში მაქცევს, — გაიფიქრა ევგენიმ, — უნდა საკუთარ უსუსურობაში დამარწმუნოს. რაც არ უნდა მოხდეს, უნდა გავუძლო. არ გაუძლებ და სხვა რა გზაა!“

— ამ შენი სამი ამხანაგის გარდა კიდევ ვის იცნობ ბატალიონში? — სული არ მოათქმევინა, ისე ჰკითხა ინჯიამ.

— ბევრ ვინმეს ვიცნობ! — დაუფიქრებლად უპასუხა ევგენიმ.

— მაინც?

— ვიზე გინდათ მკითხოთ, მითხარით და გიპასუხებთ.

— მე, ხომ იცი, ყველაფერში გენდობი. კი არ დამვიწყებია, ვისი წერილი მომიტანე.

ევგენიმ ძლივს შესამჩნევად გაიღიმა და ტუჩები უმალ მოკუმა.

— თავის დროზე არაფერი არ იქნება დავიწყებული, — განაგრძო ინჯიამ, დაღვლარჭნილი ბებრული ხელები უკან შემოიწყო და კარისკენ გაიარა. — ყველას დამსახურებისდა მიხედვით მიუზღავენ! — შემდეგ შეჩერდა და უეცრად მოტრიალდა. — ამ ბიჭებს, ასმეთაურებად რომ გვყავს, თუ იცნობ?

— ზოგს მეტად, ზოგს ნაკლებად, ბა-

ტონო ვასო. კრუშინაში ხომ ერთად ვიყავით. საფრანგეთშიაც ერთად მოგვიწია ყოფნა. ახლა აქ...

— კრუშინაში რომ უწესობა ხდებოდა, ხალხს რომ აპარეიდსენ პარტიზანებში, იარაღი და ტყვიაწამალიც რომ გაზიდეს... ამათგან თუ იყო ვინმე შემჩნეული?

— აჰ, არა! — წუთით დაფიქრდა და შემდეგ გადაჭრით იუარა არტემიძემ, — იქ ვისაც რაიმე შეამჩნიეს, ბატონო ვასო, აქეთ აღარ გამოუშვიათ. იქავე დახვრიტეს. ნეტა გენახათ, რა ამბავი იყო. დილას მთელ ბანაკს სს-ის დივიზიამ შემოარტყა ალყა. ბიჭებმა, ვისაც მოღალატეების თვალთვალი ჰქონდა მინდობილი, მარჯვედ იმუშავეს. ნაშუაღამევს გერმანელებმა ყველაფერი იცოდნენ. თვითონ ქარცხიას ხელით დაწერილი სიებით დაიწყეს ხალხის ამოკითხვა. ვისაც ხელი მოწერილი აღმოაჩნდა და პარტიზანებში წასვლაზე თანახმა იყო, ოფიცერთა კანტინის საცეკვაო დარბაზში უკრეს თავი. დანარჩენები ვაგონებში ჩაგვსხეს, კარები გარედან ჩალურსმეს და ისე მოგვაშორეს იქაურობას...

— ძაღლის გაგდებულები! — ინჯიას სახე ცხოველური ზიზღისაგან დაელმიჭა, — არ შეგრცხვათ მერე?

— რა გვექნა, ბატონო ვასო, ყველას თავისი თავი აბარია.

— მაშ. შენ ამბობ, რომ ეგ ძაღლის გაგდებულები ყველა საიმედო ხალხია?

— ვერ დავიჯინებ, ბატონო ვასო, მე მაგას. შეიძლება არც არიან სანდო. რა ვიცი მე. მაგ საქმეს შესწავლა უნდა. ისე ლაპარაკი...

— ანთიძეზე რას იტყვი?

ევგენიმ თვალები დაახამხამა და ნერწყვი გადაყლაპა, რათა დრო მოეგო.

— გივი ანთიძეზე?

— ჰო.

— რა გითხრათ, ბატონო ვასო. მე ცუდი, ცოდვას ვერ ვიტყვი, არაფერი შემიმჩნევია. ფიცხია, ეგ არის... ენა იცის. არტილერიაშია ნამსახური... — მას სურვილი სწვავდა შეეტყო, რისთვის ეკითხებოდნენ გივი ანთიძის ასავალ-დასავალს. რამდენჯერმე დააპირა პასუხში ფრთხილი შეკითხვა ჩაერთო, მაგრამ ვერ გაბედა, საქმე არ გავაფუჭოო და თითქოს აქ არაფერი, ანთიძის დახასიათება ამით დაამთავრა.

ინჯიას ეს ესიამოვნა. გულში თავშეკავებულობასა და ტაქტს უწონებდა. თვითონვე უთხრა, ანთიძე პირადად ბრაიტნერს უნახავს მეხუთე ასეულის შემოწმების დროს, მოსწონებია, გერმანულადაც გამოლაპარაკებია და ფელდფებელობა უბოძებიაო.

„ყოჩაღ, გივი! — გაიფიქრა ევგენიმ, — იქნებ ახლა მაინც დამიჯერო, რომ ყველაფერი ეს საჭიროა და მერე როგორი საჭირო!“

ინჯიას კითხვით მეტი არაფერი უკითხავს. მოკლედ გამოუცხადა, აქ რისთვისაც ჰყავდა დაბარებული. ევგენის სხვადასხვა საბაბით საშუალება მიეცემოდა დროდადრო ბატალიონის ყველა ქვეგანაყოფი მოენახულებინა. მას ფხიზლად უნდა ედევნებინა თვალი მებრძოლების საერთო განწყობილებისათვის, განსაკუთრებით კი მეთაურებს დაჰკვირვებოდა — ქართველებსაც და გერმანელებსაც. თუ ვინიცობაა, რაიმეს შეამჩნევდა — საიდუმლო შეხვედრებს, ადგილობრივ მოსახლეობასთან საეჭვო კავშირს, საბოტაჟს ან სხვას რასმე, დღელამის რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ინჯიასათვის უნდა მიემართა და ყველაფერი დაწვრილებით გადმოეცა. ამას გარდა, ყოველი კვირის ბოლოს. როგორც წესი, ის ინჯიას უნდა ხლებოდა და პირადად მოეხსენებინა თავისი მუშაობის შედეგები კვირიდან კვირამდე. მუშაობის დროს არტემიძეს ეკრძალებოდა რაიმე ჩანაწერების გაკეთება, რათა ეჭვი არ აღეძრა და მთლიანად მეხსიერებას უნდა დაჰყრდნობოდა.

— გიმეორებ: მე შენ ყველაფერში გენდობი, — უთხრა ბოლოს ინჯიამ და ევგენის ჩასმული კბილების ღრჭიალი შემოესმა, — თუ იმედი გამიმტყუნე, — ვასომ საჩვენებელა თითი ასწია და წამით ჰერს აჰხედა, — იცოდე,

ძაღლივით მიგაკლავ. ჩემი ხელით ჩამოგკიდებ, გესმის?

— მესმის, რასაკვირველია, ბატონო ვასო...

— ახლა წადი და ენას კბილი დააჭირე.

— მესმის.

— სანდო ამხანაგი გყავს ვინმე?

— არიან, როგორ არა.

— აი, ეს საშვი, — ინჯიამ მაგიდის უჯრა გამოსწია და პატარა მოგრძო ფურცელი გაუწოდა, ზუსტად ისეთი, როგორიც ამას წინათ მისცა, — თვითონ შეავსე. ერთ კაცს წაიყვან და ხვალ დილას, ადრე, ბლუმენდალში წახვალ. მინდიაშვილმა თუ რამე გკითხოს, უთხარი, ობერლეიტენანტის საგანგებო დავალებას ვასრულებთქო. ის ძაღლის გაგდებულები — მღვდელაძე და ცუცქირიძე — ან მკვდრები უნდა ჩავიგდოთ ხელში და ან ცოცხლები! მიიარმოიარეთ, იქნებ ანკესზე წამოეგონ. ხომ იცნობ ორივეს?

— ძალიან კარგად!

— აბა, შენ იცი. ფრთხილად და მოხერხებულად უნდა იმოქმედო. ნუ გეშინია, გამოჩენით არ გამოგაჩენ, საქმეს თვითონ გერმანელები გააკეთებენ.

— მესმის, ჰერ ობერლოიტნანტ! — ევგენის სუნთქვას უგუბებდა მოტკბო სუნი, აქ რომ შემოსვლისას დახვდა და ეშინოდა ძირს უგონოდ არ დაცემულიყო. საშვი შეინახა, გულისპირზე შეიბნია და თითქოს ზღვის სიღრმიდან ამოყვინთა, — ნება მომეცით შევასრულო!

— ჰო, — ინჯიას კიდევ რაღაც გაახსენდა, — ყოველ კვირია, თუ ისეთი არაფერი იქნა, მოსვლა საჭირო არ არის. როცა დამჭირდები, მე თავად დაგიძახებ.

— გასაგებია, ბატონო ვასო.

— ახლა წადი. ღმერთი იყოს შენი შემწე!

ევგენიმ კარი გამოაღო და გარეთ გამოვარდა. ზღურბლზე კინაღამ ზედ წაემტვრა ქერათმიან, ხორცსავსე ქალიშვილს, რომელიც ფეხისწვერებზე შემდგარიყო და ზარის დარეკვას აპირებდა. ქალიშვილმა შეჰკივლა, გვერდზე გადახტა და შეშინებული ზურგით კედელს აეკრა. ევგენიმ ნაბიჯი გადასდგა წინ. წამსვე გოგი გარსევანიშვილის ნათქვამი გაახსენდა. „ბიჭებს რას გამოაპარებ, მიწაში რა არის, ის იციან!“ ახლა საჭირო იყო ინჯიასათვის თავისი სიფხიზლე ეჩვენებინა — ქალიშვილი კუთხეში მიემწყვდია და ობერლეიტენანტის გასაგონად ეკითხა, აქ ვის უცდიდა და რა საქმის გამო მოვიდა, მაგრამ ვიდრე ის ამას იზამდა, ვასო ქართულად შეეხმიანა, მოეშვი, საჭირო არ არის, მაგას მე მოვუვლიო. არტემიძე გზიდან ჩამოიცილა და გულგახეთქილი ქალიშვილისაკენ თვითონ წავიდა.

## თავი XIX

ბლუმენდალში წასაყვანად და საიდუმლოების გასანდობად ბევრი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ ევგენიმ ნიკო მიქიაშვილი აირჩია. სანამ არჩევანს ნიკოზე შეაჩერებდა, შალიკო ნოზაძის მონახულება უნდოდა ამავე მიზნით, მაგრამ ბოლოს მაინც მიქიაშვილი ამჯობინა, რადგან ნიკო მისი კბილა ბიჭი იყო და საიდუმლოს განდობის წუთებში ასაკობრივ თანატოლობასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა. ნიკო იმ დღეს ავად იყო. სიცხე ჰქონდა და ახველებდა. ევგენის მაცთუნებელ წინადადებას მაინც სიხარულით შეხვდა. მითუმეტეს, მას შემდეგ, როცა ევგენიმ ჯიბიდან საშვი ამოიღო და მეგობრის თვალწინ შეავსო. ნიკოს ისიც არ უკითხავს, თუ ეს საშვი, რომლის ხელში მოგდება თვით ოცმეთაურებსა და ასმეთაურებსაც კი უჭირდათ, სად და როგორ იშოვნა. ევგენის მორჩილად გაჰყვა და, ნათხოვარ ველოსიპედზე გადამჯდარი, მასთან ერთად ჰარლემის გზატკეცილზე გავიდა.

მიქიაშვილმა გზაში შეიტყო, სად და რისთვისაც მიდიოდნენ. უეცრად ისე შეწუხდა და აფორიაქდა, მისმა ველო-

სიპედმა რამდენიმე მრუდე მოხაზა კერამიკული აგურით მოგებულ გზატკეცილზე. ევგენიმ საჭე მოღრიჯა. ნიკომ ძლივს დაიბრუნა წონასწორობა და ველოსიპედი გაასწორა. ევგენის ნაამბობი მას დაუჯერებლად და ბავშვურ გულუბრყვილობად ეჩვენებოდა. ნუთუ არტემიძეს მართლა სჯეროდა, რომ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში დაბერებულ, ეშვიან და უნდო ინჯიას მოტყუებას და თვალდათვალ გაცურებას შესძლებდა!

არტემიძე ამან კიდევ უფრო გააალმასა. ცხელ გულზე ნიკოს მხდალი და ვლახაკიც კი უწოდა. მიქიაშვილი გაჩუმდა და თვით სოფელში შესვლამდე ხმა აღარ ამოუღია. ევგენის შეძლო დაუბრკოლებლივ ელაპარაკა და მეგობრისათვის თავისი ჯერ კიდევ მოუმწიფებელი გეგმები გაეზიარებინა. ის დარწმუნებული იყო, რომ აქ, ბლუმენდალში, მარტო არ იქნებოდნენ. ინჯია უთუოდ მსტოვარს გამოგზავნიდა თავისი ახალი მსტოვრების ყველელი ნაბიჯის შესასწავლად. ბლუმენდალში გამოგზავნაც მხოლოდ ამისთვის მოიგონა, თორემ შამშესა და კაკოს აქ ძებნა, აბა, რა ჭკუა იყო! ვასო ინჯიას სიტყვებს, ყველაფერში გენდობიო, გულუბრყვილო ან თავისთავზე შეყვარებული კაცი თუ დაიჯერებდა. რისთვის და რატომ უნდა გენდოს, რითა ხარ სხვაზე უკეთესი? თავისი ზნეობრივი პრინციპების ერთგულ ინჯიას, ეტყობა, შინაურ გამცემთა ქსელი ჰქონდა გაბმული და ამ ქსელში ევგენი არტემიძისათვის ჩვეულებრივ პაწაწა ობობას ადგილს ვარაუდობდა.

„მოხუცის იმედის ერთბაშად გაცრუება მხოლოდ სისულელე და თავის დაღუპვა იქნება, — მსჯელობდა ევგენი, — ჯერ მსტოვრები უნდა გამოვააშკარავო, და თუ ბიჭები ჩემს სიმართლეში დავარწმუნე, მოხუცი თავისივე ხელით დაგებულ მახეში გაებმება!“

ბლუმენდალი ერთი საშუალო სიდიდის სოფელი იყო, ჰარლემიდან ხუთიოდე კილომეტრის მოშორებით. მისი პატარ-პატარა აგურის სახლები და ზოგან ისლით, ზოგან წითელი კრამიტით და ზოგან კიდევ თუნუქით გადახურული, ლამაზ-ლამაზი საგვარეულო კოტეჯები ერთი მხრივ ჰარლემისაკენ, ხოლო მეორე მხრივ ჰააგა-ლეიდენ-უტრეხტისაკენ მიმავალ გზებს მისდევდნენ. სოფლის შუაგულში, გზების შესაყართან, სიძველისაგან კედლებგამწვანებული საყდარი იდგა, რომლის წამახულ კოშკზე, პროტესტანტული ჩვეულების თანახმად, ოქროს მამალი ბრწყინავდა. საყდრის კარი ყურთამდე ღია იყო. შიგნით იქაურობა სანთლებით გაეჩაღებინათ და თუ ცოტა უფრო ახლოს მიხვიდოდი, შენს სმენას ორღანის გუგუნიც მოსწვდებოდა.

თვით ეკლესიის გალავანში და გალავნის შორიახლო საკვირაოდ გამოწყობილი ადგილობრივი მცხოვრებლები — სხვადასხვა ასაკის ქალები, კაცები და ბავშვები დასეირნობდნენ და, დარბაისლურ საუბარში გართულნი, ნათესავებსა და მეგობრებს უცდიდნენ, რათა მათთან ერთად საყდარში შესულიყვნენ და ლოცვა მოესმინათ.

ევგენი არტემიძემ და ნიკო მიქიაშვილმა სოფლის ხალხმრავალი მოედანი უფრო საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად მიიარ-მოიარეს, ყველგან შეიხედეს, ყველაფერს დააკვირდნენ, მერე მლოცველების ტალღას ტაძარში შეჰყვნენ და სულგანაბულები კართანვე გაჩერდნენ.

ოქროსფერი მოზაიკით მოჭედილი, მაღალი და ფართო თაღებიდან ღვთიური გალობა ისმოდა. სადღაც ორღანო გუგუნებდა და მისი იდუმალი, გულში ჩამწვდომი ხმა მგალობელთა სიზმარეულ ხმებს სადღაც უსასრულობაში უერთდებოდა. ოქროშივე აცურებულ საკურთხეველს, რომლის შუაგული ეკლის გვირგვინით შუბლშემკობილ მაცხოვარს ეკავა, საკმევლის მქრქალ კვამლში გაუცხოებული და არაამქვეყნიური სახე მიეღო. ოქრომკედით მოქარგული ანაფორებით შემოსილი ორი თავშიშველი მღვდელი ამბიონზე იდგა, ვერცხლის საცეცხლურებით ხატებს საკმეველს უკმევდა და მრევლისაკენ

ზურგშექცეული ლოცულობდა. მუხლებზე დამხობილი მრევლი დროდადრო ხმამაღლა და გაგრძელებულად იმეორებდა ლოცვის ცალკეულ სიტყვებს. ეს მძლავრი და დიდებული ხმა, ერთ ხმად გადაქცეული და ორღანოსა და მგალობელთა ხმებთან შერწყმული, ტაძრის თაღებში მაღლდებოდა და უსასრულობისაკენ მიისწრაფვოდა.

უთუოდ დიდი საეკლესიო დღესასწაული იყო. ხალხს თითქოს დავიწყებოდა, რომ ქვეყანა მტერს ეკავა, თვით სოფელში კი სს-ის პოლკი იდგა და თავისი ღმერთის წინაშე მუხლის მოსაყრელად უკლებლივ გამოსულიყო.

ტაძრის თაღებქვეშ სამხედროს ვერავის იპოვიდი. კათოლიკე გერმანელებს პროტესტანტ ჰოლანდიელთა მწვალებლური სარწმუნოება არა სწამდათ. მაგრამ წირვა-ლოცვას ხელს არ უშლიდნენ. აქ მხოლოდ ჰოლანდიელები იყვნენ. თავიანთ მამა-პაპურ ტანსაცმელში ისინი როგორღაც ხატობაზე თავშეყრილ ხევსურებს ჰგავდნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მათ ჩაცმულობაზე ყველა სხვა ფერს ღია წითელი და მუქი-მწვანე — აქაური ველ-მინდვრების ფერი სჭარბობდა. მოჯადოებულ ბიჭებს პირი დაეღოთ და ამ უცხო სანახაობას, გულს რომ მოწიწებითა და თანაგრძნობით ავსებდა, ხარბად მისჩერებოდნენ. მლოცველები მედიდურად უვლიდნენ გვერდს საიდანღაც მოთრეულ, მწვანე საველე ფორმაში გამოწყობილ ჯარისკაცებს და მათ აქ ყოფნას თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ.

— რა გინდა, შენი მკვდარი და ცოცხალი! ფუ, ფუ, ეს რა წამომცდა!.. — მხოლოდ ნიკოს გასაგონად ჩაილაპარაკა ევგენიმ და ამხანაგს მხარში ხელი ჩასჭიდა. — რას ერჩი ამ ხალხს? შენ აუშენე ქვეყანა, შენ აცოცხლებ? იყოს, როგორც უნდა, აქეთ როდის მოგიხტა და თავისი ღმერთის თაყვანისცემა როდის დაგავალა!

— ეგენიც კარგი მამაძაღლები არიან, ნუ გეშინია! — წაიჩურჩულა თავის მხრივ მიქიაშვილმა.

— როგორ?

— ინდონეზია დაგავიწყდა? ამათი კოლონია არ არის? ათი ამოდენა ქვეყანაა!

— იჰ, ეგ როდის იყო!

— „იყო“ რას ქვია! თქვენ, აწი თავის ნებაზე იცხოვრონო თუ?

უკანა რიგებში მდგომმა რამდენიმე მლოცველმა უკმაყოფილო სახე მოაბრუნა და გულისამრევი უცხოელები, თვით წირვა-ლოცვის დროსაც რომ მოურიდებლად საუბრობდნენ, თვალებით გაზომა. ბიჭებმა უმალ ხმა გაკმინდეს და სმენად გადაიქცნენ.

ეკლესია თანდათან ივსებოდა ხალხით, კანკელი ჩირაღდნებივით აბრიალებული სანთლებით ბრწყინავდა და გალობა ცასა სწვდებოდა. სულ მალე გარეთ თითქმის აღარავინ დარჩა. სანთლისა და საკმევლის სუნით თავბრუდახვეული ნიკო და ევგენი რომ ქუჩაში გამოვიდნენ, სოფლის მოედანზე სს-ის პატრული — ერთი ოფიცერი და სამი უნტეროფიცერი დააბიჯებდა და, როგორც ქვეყნის ბატონ-პატრონი, აქეთ-იქით იყურებოდა. ეკლესიიდან ლასლასით გამოსული სამხედრო პირები შორიდანვე შენიშნეს და საბუთების გასასინჯად მიიხმეს. ბიჭებს დასცხათ. სხვა გზა აღარ იყო, პატრულის უფროს ოფიცერს ყველა მხედრული წესის და რიგის დაცვით წარუდგნენ. ოფიცერი კარგა ხანს დამცინავი ღიმილით სინჯავდა მათ საბუთებს, დროდადრო მალღფარდოვნად გაჰხედავდა ხან ერთს, ხან მეორეს და ქაღალდებს ისე ზიზღით უკირკიტებდა, თითქოს ხელში უწმინდურობაში ამოვლებული ნივთი სჭეროდეს.

ევგენის ბოლმა ახრჩობდა. განუყრელ ბელგიურ პისტოლეტს, რომელიც შარვლის უკანა ჯიბეში ედო, მთელი სხეულით გრძნობდა და მარჯვენა ექავებოდა. ბოლმამ და ქვედა ყბის აკვიატებულმა კანკალმა მაშინაც კი არ გაუარა, როცა ველოსიპედების ხორაში თავიანთი ველოსიპედები მოძებნეს და ცარიელ-ტარიელნი უკან გამობრუნდნენ. გზაზე თითო-ოროლა მანქანა და ველოსიპედისტი ხვდებოდათ. არც ბაღ-

ბოსტნებში და არხებზე ჩანდა ვინმე. დიდ დღესასწაულს თავისი გაეტანა და ყველა მაშვრალი მშობლიურ ჰერქვეშ მოეგროვებინა.

სად იყვნენ შამშე და კაკო? ევგენის არც უცდია მათი ძებნა. შამშესთან შეხვედრა, თუ სული ჯერ კიდევ ედგა და უკვე გესტაპოს ხელში არ ჩავარდა, საშიში იყო შამშესთვისაც და თვით მისთვისაც. ჯობდა, დრომდე თავი შორს დაეჭირა და ინჯიასათვის კი ისე ეჩვენებინა, თითქოს დეზერტირების კვალს გაფაციცებული ეძებდა. ობერლეიტენანტის ახალი დავალება, რომელიც ბრაიტნერთანაც უთუოდ შეთანხმებული იყო, რადგან უმისოდ ინჯია ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა, არტემიძეს მოქმედების გარკვეულ თავისუფლებას აძლევდა, თუმცა ზომიერების დაცვა და გაასკეცებული სიფხიზლის გამოჩენა ახლა უფრო მართებდა.

მთელი გზა ბლუმენდალიდან ზანდფორტამდე დაუბრებულებმა გამოიარეს. ქალაქში შესვლის წინ ნიკომ სვლა შეანელა, დაღლილობისა და ხშირი ხველებისაგან გაოფლილი შუბლი მოიწმინდა და თავის ფიქრებში ღრმად წასულ მეგობარს გაჰხედა.

— ევგენი, რატომ აღარაფერს ამბობ, ბიჭო?

— რა გითხრა? — თავის აუღებლად უპასუხა არტემიძემ.

— დილას ხომ არაფერი გაწყენინე? თუ რამე გაწყენინე, ხომ იცი...

— რა მაწყენინე, შენც ერთი, რას მიედ-მოედები?

— აბა, რატომ გაჩუმდი, რატომ აღარაფერს ამბობ, ესესელების ხომ არ შეგეშინდა?

— ყველაფერს თავისი დრო აქვს! — ნიკოს უკანასკნელ სიტყვებს ესესელებზე ევგენიმ ყურადღება არ მიაქცია და თავისი ველოსიპედი ოდნავ წინ გაიყვანა.

— ის მაინც მითხარი, მარტო შენ ხარ, თუ...

— ხომ გეუბნები, ყველაფერს თავისი დრო აქვს-მეთქი.

— როდის მოვა მერე ეგ დრო?

— როცა მოვა!

— ესე იგი ნაწყენი ხარ. შენ თუ ჩემგან რამე გეწყინა... — ნიკოს ხმა ჩაეხ-ზარა. თანამგზავრს თვალი აარიდა, გაიბუტა და გზას დააცქერდა. — არ მენდობი? ნუ მენდობი, ბატონო...

— კარგი ერთი, თუ ღმერთი გწამს, ნუ აურიე! — მეგობრის გულაჩუყებამ ევგენი უმალ გაახალისა და აქამდე დაღვრემილი, გუნებაზე მოიყვანა. — ვინ გითხრა, არ გენდობიო! რაც მე შენ უკვე გითხარი, ბიჭო, ჩვენს დღეში ჩავარდნილი კაცი ძმას არ გაუმხელს. ძმა ძმას არ გაუმხელს, გაიგე შენ? დღეს კედლებსაც ყურები აბია! — მან კოორვან-ლემერენის ნათქვამი გაიმეორა. — ეს კიდევ მესაყვედურება! შენ გგონია, თავად მე ვიცი, საქმე როგორ წავა? ვნახოთ, აი, ვნახოთ. შენ მზად იყავი. კვინიკაძეს გაესინჯე კიდევ, რა არის აგრე საძაგლად რომ ეფლუხუსე?

— გლახად მახველებს, ევგენი. სხვებიც მეუბნებიან. ვიცი, დიდი დღე აღარ მიწერია. თუ რამეს აპირებთ, ქენით ბარემ, სანამ ცოცხალი ვარ და საკუთარ ორ ფეხზე სიარული შემიძლია. ამბავს მაინც წაიღებთ...

— შენ, იცი, რა გითხრა? — ევგენი გაჯავრდა, სვლა უნებლიედ შეანელა და წინ წასულ მეგობარს, რომელსაც ცრემლები ახრჩობდა, უკანიდან ბრაზიანად მიაძახა: — მაგ წუწუნს და დედლობას თავი დაანებე! ფერშალთან მიდი და წამალი გამოართვი, სიკვდილით ვერავის გააკვირვებ. შენზე უკეთესებიც მომკვდარან. არ აგვიკლო? ახლა შენ პირდაპირ იარე, მე მარჯვნივ გადავუხვევ. კრინტი არავისთან დასძრა, სად და რისთვის ვიყავით, ან რა გელაპარაკე!

— გაფრთხილება მჭირდება მე, ევგენი? — იწყინა მეგობრის ხალისიანი შემოძახებით ერთბაშად გამხნევებულმა და გაყოჩაღებულმა ნიკომ

— არ გჭირდება, მაგრამ მაინც გეუბნები. თუ საქმე გაიჩარხა, მერე ერთად მოვითათბიროთ, ვის და როგორ გავენდოთ. მე ვეცდები, თუ ძალიან გვიან არ იქნება, ამაღამვე გამოგიარო. კაცი მყავს სანახავი.

— ჩვენი თუ აქაური?

— ხომ გითხარი, ყველაფერს თავისი დრო აქვს-მეთქი. ძმურად გთხოვ, ახლავე ირაკლი კვინიკაძესთან მიდი და წამალი გამოართვი. სანამ სიცხე არ გაგივლის, წყალში ნუ ჩახვალ. იჰ, ამხელა კაცმა ეს არ უნდა იცოდე?

— სიცხე სულ მაქვს მე, მაგას თუ ვუყურე!..

— აბა, ჰე... როგორც მოვილაპარაკეთ!

ევგენი პედალს დააწვა, ველოსიპედი წინ გააქანა და სულ მალე ვიწრო შესახვევში გავიდა, საიდანაც რკინისაიგნებიანი, ორ-სამსართულიანი აგურის სახლებით ჩარიგებული გამწვდომი ქუჩა მწვანე კორდზე შეფენილი უბნისაკენ მიემართებოდა.

სუფთად დაგვილ-გარეცხილ ფილაქანს ამ რამდენიმე დღის წინათ მომხდარი წყალდიდობის კვალიც აღარ აჩნდა. ქუჩისპირები ხასხასა, მწვანე ბალახს დაეფარა. ასე წმინდა და ფესვებგანტოტვილი ბალახი ღიუნებში იზრდებოდა. სახლებს შორის და ტროტუარების გასწვრივ, დაბალი მესერით შემოვლებულ პატარ-პატარა ბაღჩებში, მაისის ვარდი, ტიტა და თეთრი ზამბახი ყვაოდა. საღამო უკვე მოახლოვებულიყო. ოქროსფერ ვარაყად დამდნარი მზე სივრცეში დაღვრილიყო, გაფანტულიყო და ქალაქის ყოველი სახლი, ხე და თვით ფილაქანიც კი თავისივე მსუყე სიყვითლით დაეფერადებინა.

ევგენიმ ველოსიპედი ქუჩის კუთხეში გააჩერა, იქვე, სხვა ველოსიპედების გვერდით მიაყუდა და გზა ფეხით განაგრძო. საკუთარი სხეული ემძიმა. ველოსიპედით მგზავრობის შემდეგ ნაშუადღევის ხვატი უფრო მეტი სიმწვავით იგრძნო და ერთი ორჯერ კიდევაც წაიბორძიკა.

ვან-ლემერენების სადარბაზო კარი ზარის დარეკვისთანავე გაიღო. ევგენი შეკრთა და უკან დაიხია, რადგან მოეჩვენა, რომ აქ ვიღაც იყო ჩასაფრებული და მის მოსვლას ელოდა, მაგრამ როცა საკვირაო თეთრ კაბაში გამოწყობილი და უცნაური სიხარულით თვალებაციაგებული ლინკა დაინახა, უმალვე დამშვიდდა და პატარა დიასახლისს, რომელმაც ხელში გრილი ხელი ჩასჭიდა, მეორე ხელით კი მძიმე კარი მიხურა, ტალანში შეჰყვა.

ბუხრის წინ სადღესასწაულო სუფრა იყო გაშლილი. ევგენიმ თვალი მოჰკრა ვერცხლის სინით შემოდგმულ წითელ კვერცხებს და უმალ ყველაფერს მიხვდა. მაშ, დღეს აღდგომა იყო და ის და ნიკო მიქიაშვილი სააღდგომო წირვას დაესწრნენ ბლუმენდალში. ვან-ლემერენებსაც ფეხად მოესწროთ ეკლესიიდან. ახლა მთელი ოჯახი სუფრას შემოსხდომოდა, მაგრამ სხვადასხვა ფერის კრემით მოქარგული ტკბილი ნამცხვრები და ხელსახოცშემოხვეული, მაღალი ბოთლი ჯერაც ხელუხლებელი იყო.

ევგენი სუფრის წინ შეჩერდა, ოჯახის ყველა წევრს, თვით პატარა ლოტასაც კი, თავი სათითაოდ დაუკრა და გერმანულად წარმოთქვა, თან ყოველ სიტყვას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა:

— ბატონებო და ქალბატონებო, თუ არ ვცდები, ქრისტე აღსდგა!

კოორმა და Muti-მ ჰეშმარიტადო უპასუხეს და სასურველი სტუმარი სუფრასთან მიიწვიეს, ლინკამ კი წკრიალა ხმით იკითხა:

— რატომ უნდა ცდებოდეთ, ბატონო ევგენი, განა გეეჭვებათ, რომ ქრისტე ნამდვილად აღდგა?

— ლინკა! — შუბლშეკრულმა დედამ და მამამ ერთსა და იმავე დროს შეხედეს თავიანთ უფროს ქალიშვილს, რომელმაც ისევ სისულელე წამოროშა.

— მე უნდა გამოვტყდე, მთლად დარწმუნებული არა ვარ, მართლა აღდგომაა დღეს თუ არა, — თქვა ევგენიმ, რათა ლინკა მდგომარეობიდან გამოეყვანა და ყურადღება თვითონ მიეპყრო. — წითელი კვერცხები დავინახე და...

— აღდგომა გახლავთ, — მიუგო მუტიმ და სტუმრის წინ ახალი თეფში, ვერცხლის ძველებური დანა-ჩანგალი და თოვლივით თეთრი ტილოს ხელსახოცი

დასდო. — ეს ჩვენი ყველაზე დიდი დღესასწაულია.

— შობის შემდეგ, — დააზუსტა კორმა, რომელიც სტუმრის წინაშე თავს ისევ უხერხულად გრძნობდა. — დასხედით, ლინკა, მუტი, რაღას უდგეხარ?

ქალები დასხდნენ. კორმა რაღაც წაიბუტბუტა, სქელფურცლებიანი, ძველისძველი წიგნი გადაშალა, რომლის წინაყდაზე ჯვარცმა იყო ამოტვიფრული და კითხვა დაიწყო. ევგენი მიხვდა, ოჯახის უფროსი სახარების რომელიღაც თავს კითხულობდა, კითხულობდა ოდნავი წამღერებით და დროდადრო პირჯვარს იწერდა. სხვებიც თავიანთებურად ბუტბუტებდნენ და ცაში თვალებაპყრობილნი პირჯვარს იწერდნენ. ხანდახან ლინკა გამოაპარებდა ხოლმე თვალს სტუმრისაკენ, შეთქმულივით ძლივს შესამჩნევად გაუღიმებდა და ისევ ღვთისმოშიშ სახეს მიიღებდა. ბოლოს კორმა კითხვა დაამთავრა, პირჯვარი ერთხელ კიდევ გადაიწერა, შემდეგ წიგნი ფრთხილად მოკეცა, ყდები თითბრის საგანგებო რაზით გადაკეტა, ჯვარცმას ემთხვია და იქვე, თეფშის მარჯვნივ, მაგიდაზე დასდო.

— ბატონი სტუმრის წინაშე, კორ, ბოდიში უნდა მოგვეხადა, — მორიდებულად წარმოთქვა მუტიმ და ჯერ ევგენის შეხედა, შემდეგ ქმარს, — იქნებ მას თავისი რჯული უკრძალავს ჩვენი ლოცვის მოსმენას.

— მე ქრისტიანი ვარ! — უცებ გამოაცხადა ევგენიმ და აქ შეჩერდა. კინაღამ წამოსცდა, ოღონდ ღმერთი არა მწამსო. ამის გამჟღავნება სააღდგომო სუფრასთან მთელ ოჯახს სიამოვნებას გაუფუჭებდა.

— მაშ ჩვენთან ერთად რატომ არ ილოცეთ? — იმავე მოკრძალებული კილოთი ჰკითხა მუტიმ.

— მე მართლმადიდებელი ვარ! — იპოვნა გამოსავალი ევგენიმ და გულზე მოეშვა, რომ თავი ასე მარჯვედ დაიხსნა.

კორი ლამაზად მოწნულ, ოქროსფერ კალათაში ჩაწვენილ, წითელსაცობიან შავ ბოთლს გადასწვდა და ოჯახის ყველა წევრის წინ დადგმულ მაღალფეხიან, ბროლის ჭიქებში თითო ცვარი ღვინო უკვდავების წვეთებივით ჩამორიგა. ამის გარდა სუფრაზე კიდევ ორი ბოთლი იდგა, ერთი მაღალი და წვრილი, მეორე კი დაბალი და მხრებაწეული, თეთრი საცობითურთ. მაღალი ბოთლის ეტიკეტზე შორიდანვე მოჩანდა წარწერა „1911 Lahr“, რაც იმას მოასწავებდა, რომ დაბეჭდილი ღვინო 1911 წლის მოსავლისა უნდა ყოფილიყო. ეს უკანასკნელი არდენის ღვინოების კოლექციის ნაშთი აღმოჩნდა. კორს ის ამ ათიოდე წლის წინათ შეეძინა ლიეჟში, სადაც ერთი უცხოელი მაგნატის აგარაკზე წყლისა და კანალიზაციის გაყვანილობას აწყობდა. თეთრსაცობიან, გამჭვირვალე ბოთლში მაცთუნებლად ბრწყინავდა ჟანევერი, ჰოლანდიური ეროვნული სასმელი. ბოთლს ეტიკეტი არ ჰქონდა და შეიძლებოდა დაგესკვნათ, რომ ამ მზისფერ, ზეთივით მოსქო, მაგარ სასმელს შინ ამზადებდნენ.

ევგენის თვალი მოსტაცა არცთუ ისე მდიდრული სუფრის მოხდენილობამ და ფერების არაჩვეულებრივმა შეხამებამ. ყველაფერი, რაც სუფრაზე მოეტანათ, მხოლოდ ხილის, რძის ნაწარმისა და ბოსტნეულისაგან იყო დამზადებული. დიასახლისს ნამდვილი მხატვრის გემოვნება გამოეჩინა. მასიურ მრგვალ მაგიდას ფაქიზად ამოქარგული, აბლაბუდასავით თხელი და ნაზი სუფრა ეფარა. იმ მხარეს, სადაც კორი იჯდა, სამნაირი ფერისა და მოყვანილობის ყველი იყო მრგვალ ლანგარზე, რომელსაც შუაგულში მონიკელებული სახელური ჰქონდა: ყვითელი, ნარინჯისფერი და ბროწეულის ყვავილისფერი. ფარფლებდანაოჭებულ ფაიფურის თეფშზე იდო თითქოსდა ამ წუთს ბოსტნიდან ამოტანილი მწვანე კომბოსტო, ზემოდან კი, ამოღრმავებულ პირზე, სხვადასხვანაირად დაჭრილი შაქრის ჭარხალი, სტაფილო და კიდევ რომელიღაც ბოსტნეულის თხელ-თხელი ნაჭრები მოეყარათ. სუფრის შუაგულს სალათის ფურცლებითა და ლიმონისა და ინდონეზიური ქოქოსის ხურმის პატარ-პატარა ნაჭრებით შემოლაგებული



17.616

მშრალად მოხარშული ბრინჯი ამშვენებდა. ბრინჯის ამაღლებულ ბორცვზე რვა თანაბარ ნაწილად გაჭრილი და ყოველი მხრივ გადაშლილი, სისხლივით წითელი პომიდორი შემოედოთ. ქობაშემოვლებული ხილის ტორტი დიასახლისს, ვერცხლის სამკუთხა დანით შუაზე გაეჭრა, დანაც იქვე შემოედო და იმავე ლანგარზე დაბრაწული, მრგვალ-მრგვალი კოკრები დაეწყო.

უნდა მჯდარიყავ და გეცქირა. ევგენი ხელ-ფეხშებორკილივით იჯდა, მასპინძლის სასიამოვნოდ ღვინოს პატარ-პატარა ყლუპებით წრუპავდა და ზედ წვრილად დაჭრილ ყველს აყოლებდა. ორჯერ თუ სამჯერ დაიფიცა, ნასადილევი ვართო. პირდაპირ სუფრიდან წამოვედითო. დილას აქეთ უსმელ-უჭმელი გვარიანად მოშივებული იყო და იცოდა, ამეებისათვის რომ ხელი გაესვა, თვით მასპინძლებს აღარაფერი დარჩებოდათ შესაჭმელ-დასალევი. ამიტომ თავს იკავებდა და სავსე სუფრას მაძღარი კაცის გულგრილობით გადახედავდა ხოლმე.

საუბარი ისევ სარწმუნოებაზე ჩამოვარდა. მწიგნობრობის მოყვარული Muti, რომელიც ქრისტიანობის ისტორიაშიც ჩახედული ყოფილიყო, ძალზე დააინტერესა ევგენის ნათქვამმა. მან იცოდა, რომ რუსეთი, ძველიც და ახალიც, აღმოსავლეთის დიდი საქრისტიანო ქვეყანა იყო, მაგრამ თუ მისი განაპირა პატარა ერებიც ქრისტეს რჯულს აღიარებდნენ, ამაზე კი წარმოდგენაც არ ჰქონდა.

ევგენი ისევ გაჰკენწლა წყენამ. დიასახლისს თავჩაღუნულმა უპასუხა, ეგ, რაც ახლა თქვენ ბრძანეთ, ისე დახლართული და გრძელი ამბავია, მოყოლა რომ დავიწყო, სამ დღესაც ვერ მოვათავებო.

ქალები აღფრთოვანდნენ. ალბათ, ეგონათ, რომ სტუმარი ამ „გრძელი და დახლართული ამბის“ მოყოლას შეუდგებოდა. მხოლოდ კოორი იჯდა მშვიდად, ქანევერს წრუპავდა და სტუმარს დროდადრო ღვინოს უმატებდა.

— ჩვენ ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში მივიღეთ სახელმწიფო რელიგიად, — თქვა ევგენიმ, — პირველი ქართული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრები მეხუთე საუკუნეში და უფრო ადრეა აგებული.

ლინკამ კიდევ გააწითლა მშობლები. ევგენის სავსებით გულუბრყვილოდ შეეკითხა, ეგ თქვენ თვითონ ამოიკითხეთ, თუ სხვებისაგან გაგიგონიათო.

Muti-ს კვნესა აღმოხდა, აწრიალდა და საყვედურით სავსე თვალები ქმარს მიაპყრო.

ევგენის ეს არ შეუნიშნავს, ლინკას მეგობრული ღიმილით უპასუხა:

— განა თქვენთვის სულ ერთი არ არის?

— რა დასამალია ,— გამოტყდა ოჯახის დიასახლისი, რაკი ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა, — ჩვენ არ გვეგონა, თუ თქვენ ქრისტიანი იყავით. როგორ შეიძლება ქრისტიანი, ცივილიზებული ადამიანი, ველური და კაციჭამია იყოს. ასე გვარწმუნებდნენ... თქვენ თურმე ჩვენზე ძველი ქრისტიანი ყოფილხართ. ეს ძალიან სასიამოვნოა. — და რა უცებ ფლამანდიურზე გადავიდა: — ლინკა, კოორ, ხომ მართალს ვამბობ?

კოორმა რაღაც წაიზმუვლა თანხმობის ნიშნად. მისი ფიქრები სულ სხვაგან ტრიალებდა. ცოლი ამჩნევდა, რომ ეს ასე იყო და უნდოდა ქმრისათვის ეგრძნობინებინა, სტუმარს შენც რაიმე უთხარი, ყურადღება მიაქციეო, მაგრამ ვერ შეჰბედა. კოორი ადგა, მძიმე ნაბიჯით ბავშვების ოთახისაკენ წავიდა და ევგენის უსიტყვო შემოხედვით ანიშნა, უკან გამომყევიო. ევგენი კარგა ხანი იყო, რაც ამას ელოდა. კოორი, რაღა თქმა უნდა, ცოლ-შვილის თანდასწრებით არ დაუწყებდა საქმეზე ლაპარაკს. ლინკამ სერიოზული სახე მიიღო და თვალი გააყოლა კაცებს. ისინი ბავშვების ოთახში შევიდნენ და კარი მჭიდროდ მოხურეს.

## თავი XX

— რწმუნება გაქვთ რამე? — კარის მიხურვისთანავე ჰკითხა თავის ახალგაზრდა, უცხოელ სტუმარს კოორ ვან-ლემერენმა. ლინკას სამეცადინო მაგიდასთან, რომელსაც ახლა, ალბათ, აღარავინ იყენებდა, დაბალ ტაბურეტზე დაჯდა და მასაც ასეთივე დაბალი ტაბურეტი შესთავაზა.

ევგენი სახეში შეაჩერდა. მან ერთბაშად ვერც კი გაიგო, თუ რას მოითხოვდნენ, რა „რწმუნება“ უნდა ჰქონოდა.

— ჩემთან ვისი სახელით მოხვედით? — ცოტა უფრო მკაცრად ჰკითხა კოორმა.

— არავის! — ფიცხლად უპასუხა ევგენიმ, — ჩემი სახელით!

— ხუმრობთ თუ მართლა ამბობთ?

— არა მგონია, სახუმარო თემაზე ვლაპარაკობდეთ, სახუმაროდ დამიბარეთ?

— ბატონო ევგენი... მე ვფიქრობ თქვენს სახელს სწორად გამოვთქვამ.

— მაგას არა აქვს ახლა მნიშვნელობა.

— ყური მიგდეთ. თქვენ ახალგაზრდა კაცი ხართ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ ხანდახან, საუბრის დროს, ჩემი უფროსობა ვერ დავმალო. ეს ბებრების მოურჩენელი ავადმყოფობაა. ამიტომ წინასწარ ბოდიშს გიხდით. ჩემი ცოლი რომ მისმენდეს, ახლა, ალბათ, კმაყოფილი იქნება. მე და თქვენ, უფრო სწორად — თქვენ და ჩემი ოჯახი, ერთმანეთს დიდი ხანი არ არის, რაც ვიცნობთ. ეს დრო ხან კმარა ადამიანის გასაცნობად, ხან არა. მაგრამ მე მესმის, ერთმანეთის გასაცნობად ჩვენ მეტი დრო არ გვაქვს და როდესაც ერთმანეთს ნდობას ვუცხადებთ, გარკვეულ რისკზე მივდივართ. მე მგონია, ამაზე დამეთანხმებით...

— სრული სიმართლეა! — შეაშველა ევგენიმ. მას წამდაუწუმ ნერწყვი უშრებოდა პირში და გული ისე გამალებით და ხმაურით უცემდა, ხმა ყურებში ატანდა. — მე თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, ბატონო კოორ, რომ არჩევანში არ შევმცდარვარ. სწორედ იქ მოვედი, სადაც მელოდნენ!..

— თუ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმაც ეგ ალღო გამოიჩინეს, — ნაღვლიან თვალებში კოორ ვან-ლემერენს სინათლე ჩაუდგა და ამ სინათლემ ეს კაცი მთლად შესცვალა, — მაშინ უნდა ნახოთ, რა გუნებაზე დავდგებით. ამ დღეების განმავლობაში, რაც მე და თქვენ ერთმანეთი არ გვინახავს, მე უკვე ვიყავი იქ, სადაც საჭიროა და თქვენზე ვილაპარაკე. ნუ შემეკითხებით სად და ვისთან. დავალება მივიღე, თქვენი გულწრფელობა საქმით შევამოწმო.

— მე თუ არ მოვითხოვ თქვენი გულწრფელობის შემოწმებას?

— თქვენ და მე, ბატონო ევგენი, სხვადასხვა მდგომარეობაში ვიმყოფებით. თქვენ, როგორც თავად ამბობთ, კერძო პირი ხართ, მე კი ადამიანების მთელი ჯგუფის სახელით გამოვდივარ. ამის გარდა, ოჯახიც მყავს... აქ დიდი განსხვავებაა! მე უფლება არა მაქვს თქვენს ლიტონ სიტყვას ვენდო, თუნდ ამის დიდი სურვილიც მქონდეს...

— თანახმა ვარ. მიბრძანეთ!

ვან-ლემერენმა კარს გაჰხედა, მერე წამოდგა, ოთახში მოუსვენრად გაიარ-გამოიარა, ბოლოს კვლავ თავის ადგილზე დაჯდა და თითქოს ძალიძალად ალაპარაკებენო, ისე დაიწყო:

— იარაღი და საჭურველი გვჭირდება. ავტომატები, ხელის ტყვიამფრქვევები, ვაზნები, ხელყუმბარები, ნაღმები, ტოლი, კაპსულები, პატრუქი... შეგიძლიათ რაიმე გაახერხოთ? სანამ თანხმობას მეტყოდეთ, დაფიქრდით, ერთხელ კიდევ ასწონ-დასწონეთ, რა გზას ადგებით. ამ გზიდან, იცოდეთ, უკან აღარავინ დაბრუნებულა...

— როდის არის ეს ყველაფერი საჭირო?

— თუნდაც დღეს, ამ წუთში!

— შემიძლია საქმეს შევუდგე?

— მოიცათ. ჯერ ხომ საბოლოოდ არ მოგვილაპარაკია! საიდან აპირებთ იარაღის და საჭურვლის გამოტანას?

ევგენიმ თავი აარიდა პირდაპირ პასუხს. ეს მისი მხრივ უფრო სამაგიეროს გადახდა იყო, ვიდრე სიფრთხილისა და წინდახედულების გამომჟღავნება. ვან-ლემერენი სავსებით სანდო ადამიანი ჩანდა.

— თუ იარაღის რომელიმე საწყობი გაქვთ ნიშანში ამოღებული, — მშვიდად განაგრძო მან, — იცოდეთ, პირდაპირი დაცემა საქმეს გააფუჭებს და ჩვენ ამაზე წინასწარ უარს გეუბნებით. ეს მარტო ჩემი აზრი არ არის... თუ სიფრთხილის ყველა პირობას დაიცავთ და იარაღს ვისიმე დახმარებით ჩუმათ გამოიტანთ, სადმე მოფარებულ ადგილას უნდა დამალოთ და მაშინვე მე შემატყობინოთ. ახლა თქვენ იცით. ერთი სათხოვარიც მაქვს. ევგენი... საქმეში ლინკას ნუ გარევთ...

— როგორ გეკადრებათ, — არტემიძე აიფოფრა, — ლინკა რა შუაშია!

— მაშ, ასე, შევთანხმდით! მე ყოველ საღამოს შინა ვარ. დღისით კანალიზაციას ვუტრიალებ. თუ შეგიძლიათ, სჯობს, ყოველთვის ღამით მოხვიდეთ. არ მინდა მეზობლებმა იცოდნენ, თუ აქ ვინმე დაიარება. ამის გარდა ქალიშვილის პატრონი ვარ...

— ნახვამდის, ბატონო კორ, — ევგენიმ მასპინძელს ხელი გაუწოდა და მაგრად ჩამოართვა. — მერწმუნეთ, სიკვდილამდე თქვენი ერთგული და მადლიერი ვიქნები. ნდობას ნდობითვე ვუპასუხებ. შეიძლება, ღმერთი გაწყრეს, საქმე ვერ გავაკეთო, ხომ იცით — შემთხვევის ამბავია, მაგრამ თავს არ შევირცხვენ...

სააღდგომო სუფრა თითქმის ხელუხლებელი დარჩა, ევგენი, რაკი საწადელს მიაღწია, ერთ წუთს აღარ გაჩერებულა. ქალებსა და პატარა ლოტას სასწრაფოდ გამოემშვიდობა და უმალ ქუჩაში გავარდა. ლინკას არაფერი გამოჰპარვია. ის მიხვდა, რომ მამამ და ამ შავტუხა უცხოელმა ბიჭმა „იქ" რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი საქმის გამო მოილაპარაკეს და შეთანხმებასაც მიაღწიეს. ყოველთვის თავდაჭერილი და გარეგნულად ცივი კორი კმაყოფილი ჩანდა. დიასახლისმა თავისი შეშფოთება და გულისტკივილი ვერ დამალა: ის დარწმუნებული იყო, რომ ევგენი ნაწყენი წავიდა და ამის შემდეგ აქ აღარ მოვიდოდა. კორი არ გამოკამათებია, თუმცა მიხვდა: ცოლი საბედნიეროდ სულ სხვა რამეს ეჭვობდა და ბევრი ახსნა-განმარტება ახლა საჭირო არ იყო.

ევგენი არტემიძემ ამასობაში თავისი ველოსიპედი მოძებნა, ზედ გადაჯდა და ახალი მთვარის შუქით ოდნავ განათებულ უკაცრიელ ქუჩაში ბაზრის მოედნის მხარეს გააქროლა.

## კარი მეორე

### თავი I

ახალ ნანათლევს ობერლეიტენანტი ვასილ ინჯია ზარის დაჟინებულმა წკრიალმა გამოაღვიძა. მოხუცს მთელი ღამე კუჭის ტკივილმა თეთრად გაათენებინა და სწორედ ახალი ჩაძინებული იყო. ბრაიტნერი თუ მეძახისო, გაიფიქრა, უხმოდ შეიგინა და სკამზე გადაღებულ გალიფეს მისწვდა. კარი რომ გააღო სახტად დარჩა: ხელში ევგენი არტემიძე შერჩა.

— ბოდიშს ვიხდი, ჰერ ობერლეიტნანტ, — სანამ თვით ინჯია რაიმეს ეტყოდა, სხაპასხუპით დაიწყო მოსულმა და ნიშნად მისალმებისა მარჯვენა ხელი წინ გადმოაგდო, — სასწრაფო საქმეზე გაახელით.

— შემოდი! — უგულოდ მიუგდო ინ-

ჯიამ, — ასე ადრე რა ეშმაკი მოგარბენინებდა. იყავი გუშინ ბლუმენდალში?

— დიახ, ჰერ ობერლოიტნანტ, — ევგენი მოხუცს ფეხდაფეხ შეჰყვა ოთახში, კარს ზურგით აეკრა და სიმივით გაიჭიმა, — გახლდით!

— მერე? — ინჯიას აშკარად ემჩნეოდა უძილობა, ტკივილიც სტანჯავდა და თავს ძალას ატანდა, რომ ამ დაუპატიჟებელ სტუმართან და არამკითხე მეამბესთან ლაპარაკი გაეგრძელებინა.

— როგორც მიბრძანეთ, მთელი სოფელი კარდაკარ შემოვიარე. კვალიც არსად არის. იქ ესესელები მდგარან, ჰერ ობერლოიტნანტ...

— მარტო იყავი?

— მიქიაშვილი მახლდა, ლოლაძის ასეულიდან.

— მე შენ ხომ გითხარი, თუ განსაკუთრებული საქმე არ იქნეს, ისე აქ ნუ მოხვალ-მეთქი! — ბერიკაცი გაღიზიანებას ვერ მალავდა და ევგენიმ შეატყო, მთელი ხმით აყვირებას ცოტაღა აკლდა.

— თუ შეიძლება, მომისმინეთ, ბატონო ვასო, — მოახლოებული რისხვის შესაკავებლად წამოიწყო მან, — საჭიროა ამ დილასავე კრომენიაში გადამიყვანოთ.

— რაო? — ისედაც გულმოსულმა ინჯიამ წარბი შეიკრა და გამომცდელად დააცქერდა. — იქ რა დაგრჩენია?!

— საჭიროა, ბატონო ვასო. დღესვე, ამ დილასავე საჭიროა ჩემი იქ გადაყვანა.

— იარაღის საწყობში?

— დიახ, სწორედ იარაღის საწყობში.

— შენ ფიქრობ... — ინჯიამ აღარ დაასრულა, საწოლზე ჩამოჯდა, უნებლიე კვნესა შეიკავა და სკამის ფეხზე მიყუდებულ მაღალყელიან ჩექმებს მისწვდა, თან სიმივით გაჭიმულ არტემიძეს თვალს არ აშორებდა. ბერიკაცის პირქუში გამომეტყველება თანდათან რბილი და თვინიერი ხდებოდა. თვალებში სწრაფად ისადგურებდა აზრი და გამჭრიახობა.

— არ შეიძლება, ერთხელ მაინც არ ძოაკითხონ, — არტემიძემ ფრთხილად განაგრძო ის, რასაც მისი ფიქრით გასო ინჯია ვარაუდობდა, — იარაღი არცერთს არა აქვს.

ბიბლიოთეკა

— შენ აგრე გგონია?

— უთუოდ მოვლენ, — უფრო გაბედულად და დარწმუნებით განაგრძო ევგენიმ. ის მიხვდა, რომ გამოცდილი და უნდო ინჯია ანკესს წამოეგო, მიხვდა და ზონარს უმალვე მოსწია: — ორივე თუ არა, ერთი მაინც... დადარაჯება უნდა.

ინჯიას აღარაფერი უპასუხნია, ჩექმის ყელი ორივე ხელით ღონივრად ამოქაჩა და ფერწასული სახე დაძაბულობისაგან ქინძლილივით გაუხდა. ევგენი უმალ მიეახლა:

— მოგეხმარებით, ბატონო ვასო...

— გაიწი იქით, რა შენი მოხმარება მინდა! — ინჯიამ ახლა მეორე ჩექმაში წაჰყო ფეხის წვერი და დინჯად შეუდგა ჩაცმას. — კარგი, წადი, ოღონდ იცოდე, შარში არაფერში გაეხვიო. იქ ვინმე ყურისმგდებელი მაინც გვჭირდება. ეგ ძაღლის გაგდებულები იარაღზე სულს ლევენ. თუ თვალი მოაშორე, მოპარვაზე უარს არცერთი არ იტყვის. სად გაიზარდნენ მაინც... — მან ისევ შეიგინა. — ქართველი კაცი და ქურდობა ვის გაეგონა. უკეთესს რას უნდა მოელოდე — ღმერთი თქვენ არ გწამთ და ხატი!

„ახლა კამათის და თავის გამოდების დრო არ არის“ — გაიფიქრა არტემიძემ და გუნებაწამხდარ მასპინძელს ფრთხილად შეაპარა:

— დამხმარე დამჭირდება, ბატონო ვასო... თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ისევ მიქიაშვილს წავიყვანდი. თავშეკავებული და სანდო ბიჭია.

— სხვა რა გინდა! — სამშობლოს წამიერმა მოგონებამ ინჯიას აუხსნელი ბოღმა მოჰგვარა. — დამხმარე კი არა, ის მოიგონე კიდევ.

— თქვენი ნებაა, ჰერ ობერლოიტნანტ... მე მხოლოდ...

— კარგი ქლესა მამაძაღლი ხარ. ეგ თვალები ისე გითამაშებს, არც შენ იქნები წმინდა წყლის დამქცევი!

ევგენიმ იწყინა:

— თუ არ მენდობით, ეგ სხვა ამბავია

— გულში კი ფიქრობდა: „ნუ ფაფხურობ და ყირაზე ნუ დგები. ისედაც ვიცი, რომ შენგან დანდობას არ უნდა ველოდო!“

— წადი, ოღონდ ნუ დაგავიწყდება: საკუთარი სიცოცხლით აგებ პასუხს, ტყვია არ აგცდება!

— მესმის!..

— ტყუილ-უბრალოდ აქ მოსული, ისიც დილა-უთენია, აღარ დაგინახო. თავზე არ წამომაჯდა?

— ბატონო ვასო...

ინჯიამ მძულვარებით სავსე სახე მოაპყრო.

— ვის მივმართო თუ რამე...

— შენ, ბიჭო, ჭკუა ხომ არ გაკლია?

— რაზე მატყობთ, ბატონო?

— დაცვის უფროსი არა ჰყავს საწყობს? ანიშნე და თვითონ გაეცალე. გასაგებია?

— მისვლისას გამოვეცხადო, თუ...

— არ არის საჭირო. მე თვითონ დავურეკავ. შეაყოლე ახლა!

— ნახვამდის, ჰერ ობერლოიტნანტ!..

— კარგ ფეხზე იარე!

დილის შვიდი საათი არც კი იქნებოდა, უბრალო სამგზავრო ველოსიპედებზე ამხედრებულებმა, გერმანულ საველე ფორმაში გამოწყობილმა ორმა ახალგაზრდა ჯარისკაცმა რომ ზანდფორტის განაპირა სახლები უკან მოიტოვა და ზღვის სანაპიროს გასწვრივ გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო. ერთ ველოსიპედზე მთელი ღამის მოუსვენრობით და ინჯიასთან უსიამოვნო საუბრით ამრეზილი ევგენი არტემიძე იჯდა, მეორეს კი ჯერაც ისევ სიცხიანი და ხველებისაგან გაგუდული ნიკო მიქიაშვილი მიაქროლებდა

ასე ადრიანად ზანდფორტიდან კრომენიისაკენ მიმავალი მათ მეტი არავინ ჩანდა, სამაგიეროდ გზაში რამდენჯერმე შემოხვდათ ქვიშისფერი ბრეზენტით თავგადაკრული ფორნები, რომელთაც ორ-ორი, სამ-სამი ჯარისკაცისაგან შემდგარი შეიარაღებული ბადრაგი ახლდა.

ევგენიმ და ნიკომ კარგად იცოდნენ, რომ ამ დალაქავებული და ალაგ-ალაგ გახეული ბრეზენტის ქვეშ მათთვის აგრერიგად საჭირო იარაღი და საჭურველი ეწყო, მაგრამ თითქოს — ერთმანეთისა ეშინიათო, კრინტს მაინც არცერთი არ სძრავდა. ორივე საკუთარ ფიქრს მისცემოდა.

მიქიაშვილი, როცა ევგენიმ მოკლედ, სულ რამდენიმე სიტყვით აუხსნა საქმის ვითარება, ისე სწრაფად დათანხმდა ყველაფერზე, ხეირიანად არც კი დაფიქრებულა, თუ რა ნაბიჯს დგამდა. ის ამ დატვირთული ფორნების და შეიარაღებული ბადრაგის დანახვამ მოიყვანა გონზე და მიახვედრა, რომ ყველა უკანდასახევი გზა უკვე მოჭრილი ჰქონდა.

სად მიჰქონდათ ნეტავ ეს იარაღი? სად აგზავნიდნენ? რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? ნუთუ მოკავშირეებმა კონტინენტზე გადმოსხდომის სხვა გზა აირჩიეს და ზღვის სანაპიროზე ჩასანგრებულმა გერმანელებმაც წინასწარ შეიტყვეს მათი განზრახვა?

ევგენი თვალნათლივ ხედავდა, რა ძნელი და თითქმის შეუძლებელი იქნებოდა კოორ ვან-ლემერენისათვის მიცემული ერთობ სახიფათო პირობის შესრულება. მას შემდეგ, რაც საწყობიდან პისტოლეტი გაიტაცეს, გერმანელები, ეტყობა, ათკეც და ასკეც სიფრთხილეს იჩენდნენ. ეს მაშინ უფრო ცხადი გახდა, როცა საკონტროლო ჯიხურში გავლისას ერთიცა და მეორეც საგულდაგულოდ გაჩხრიკეს საგარნიზონო სამსახურის პატრულებმა და გზის განგრძობის ნება მხოლოდ ამის შემდეგ მისცეს.

გზა თანდათან ეშვებოდა მიწის სიღრმეში, გორგოლაჭებზე დადგმულ რკინისგისოსებიან ჭიშკარს გაივლიდა და მაშინვე ბეტონის სქელი ფენით დახურულ, სვეტებიან სარდაფში შედიოდა. სარდაფი ისე დიდი იყო და მრავალ ლაბირინთად განტოტვილი, თუ ყველა გვირაბისა და მისახვევ-მოსახვევის დაწვრილებითი გეგმა წინ არ გედო, დაიბნეოდი და უკან გამოსასვლელ გზასაც კი ვეღარ იპოვნიდი.

კედლების გასწვრივ, იატაკიდან ჭერამდე, ერთიმეორეზე ეწყო იარაღისა

და საჭურვლის ქარხნებიდან ატანილი შავდამღიანი ყუთები.

ფორნები იმ ერთადერთი ჭიშკრით შემოდიოდნენ საწყობის სარდაფებში და აქვე, მღვიმეებსა და გვირაბებში იტვირთებოდნენ. ისე ეტყობოდა, ქარხნებიდან დიდრონ-დიდრონი ხისა და ლითონის ყუთებით მოტანილ იარაღ-საჭურველს პირველად აქ ხსნიდნენ, ახარისხებდნენ და დანიშნულებისდა მიხედვით სხვადასხვა ადგილზე აგზავნიდნენ.

საწყობში იარაღის სქელი ზეთისა და დამწვარი ტოლის გულისამრევი სუნი იდგა. მიუხედავად იმისა, რომ სადღაც, სულ ახლოს მიწისქვეშა წყლებისაგან შემდგარი ნაკადულები ჩუხჩუხებდნენ, სასუნთქი ჰაერი საკმარისი არ იყო და ეს კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა ამ ჯოჯოხეთში გაძლებას.

ნიკო და ევგენი მორჩილად შეუერთდნენ ტანკსაწინააღმდეგო ჭურვებით სავსე ყუთთან მოფუსფუსე ჯგუფს, რომელიც სარდაფში სწორედ რამდენიმე წუთის წინ შემოსულ ფორანს ტვირთავდა. იარაღის ზეთით ხელებმოთხვრილი სამი კაცი ზედ ფორანზე იდგა და ქვემოდან მიწოდებულ ჭურვებს ფრთხილად აწყობდა საგანგებოდ გამართულ ზედადგარზე. გადატანის დროს, გზაში, ჭურვი ჭურვს არ უნდა შეხებოდა. ცხენების გამრეკი ქართველი ბიჭი და სამი შეიარაღებული გერმანელი უხალისოდ ადევნებდნენ თვალს მუშების საქმიანობას და ლოდინით გულგაწყალებულნი ერთ ადგილზე იტკეპნებოდნენ. ამათაც, ეტყობოდა, სული კბილით ეჭირათ, როდის მოელებოდა ბოლო ფორნის დატვირთვას და როსლა ეღირსებოდათ კვლავ მიწის ზედაპირზე ასვლა და მზის სხივებით განათებული ლურჯი ცის დანახვა.

— ეი, ნიკო, შენა ხარ? — მოესმა უცებ მიქიაშვილს და ზევით აიხედა, რადგან ის, ვინც ეს სიტყვები უთხრა, საზიდარზე იდგა. — ვაჰ, ამას ვის ვხედავ, ხალხო! შენც აქ ყოფილხარ, ევგენი? როდის მოგვეპარეთ, კაცო?

— შურას ვახლავარ ოცდახუთი ცხენოსნით! — შესძახა ნაცნობი ხმის გაგონებით გახარებულმა არტემიძემ და „ლ" ისევე რბილად გამოთქვა, როგორც მხოლოდ მეგრელები გამოთქვამენ ხოლმე, თან მიქიაშვილს ჯლიკვი გაჰკრა. — ვეღარ იცანი, ჩულიანო? მარგალი კოჩი, პარტენი, შურა ჩილაჩავა.

— ა-უ! — წამოიძახა ნიკომაც და ხველებისაგან წამოსული ცრემლების ღვარი ხელის ზურგით მოიწმინდა. — საიდან სადაო?

— თქვენ რამ გაგაჩინათ აქ, თქვე ღმერთძაღლებო, მე რახანია აქა ვარ!

— მერე ვერ თქვი? — შეუღრინა ქვევიდან არტემიძემ.

— რა უნდა მეთქვა, ახლა დაგინახეთ პირველად.

— მარტო ხარ?

— მარტო რად ვიქნები, ამდენ ხალხს ვერ უყურებ? სხვადასხვა ასეულების ხალხს მოგვიყარეს თავი, ვითომ ერთმანეთს ვერ იცნობენო. ვინ მოიპარავს ახლა იარაღს, თავი ვის მოსძულებია!

— ჩამოხტი ძირს! — ევგენის მოუთმენლობა დაეუფლა და ხმას დაუწია. თავში ახალი გეგმა მწიფდებოდა. „ბედი გვქონია და ეგ არის, — ფიქრობდა ის — შურა ჩილაჩავასთანა სანდო ბიჭს აქ ვის ვიპოვნი!"

ფორანზე ჭურვებს შორის მდგომი ჩილაჩავა უმალ მიხვდა, რომ არტემიძეს რაღაც ძალზე მნიშვნელოვანი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ ძირს ჩამოსვლის მაგიერ მეგობარს ჭურვი გამოართვა, ზედადგარზე ფრთხილად დაუშვა და მხოლოდ მობრუნებისას უპასუხა:

— მოვათავოთ ეს... გინებას დაგვიწყებენ.

— ეგეც მართალია, — დაეთანხმა ევგენი და ახალი ჭურვის ასაღებად დაიხარა, — თუ ახლავე არ მოგვაყენეს ცარიელი ფურგონი.

— ხან ზედიზედ მოდის, ხან ნახევარ საათზე მეტ ხანს გვიხდება ლოდინი, — შეეხმიანა ვიღაც ფორნის მეორე მხრიდან. — აბა, ბიჭებო, ერთად! მოვათავოთ და შემდეგ დასვენება.

ხმა აღარავის ამოუღია. მხოლოდ მიწისქვეშა ნაკადულების ჩხრიალი და

ცხენების კანტიკუნტი ფრუტუნი ისმოდა. მიწაზე დადგმული დამლიანი ყუთი სწრაფად ცარიელდებოდა და ქარხნის მოყავისფრო ზეთით დაფარული საზარელი ტვირთი ფურგონის ძარაში იკავებდა ადგილს. ზევით აბოხრიკებულმა ბიჭებმა მალე თვლებზე გადმოინაცვლეს. ძარაში დასადგომი ადგილი უკვე აღარ იყო. ნიკომ სველ ასფალტზე გადმოცურებულ ბრეზენტს წამოავლო ხელი და ფორანთან მოაჩოჩა. გერმანელები წინ წამოვიდნენ და შორიახლო დადგნენ. ფორნის თავის გადაკვრა მათი თანდასწრებით უნდა მომხდარიყო.

შურა ჩილაჩავასთან ხეირიანი გამოსაუბრება არც ფორნის გასტუმრების შემდეგ მოხერხდა. ის ჯერ კიდევ არ იქნებოდა ჰიშკარს გაცილებული, როცა ნახევრად ბნელ სარდაფში მყოფთ ფლოქვების აჩქარებულმა თქარათქურმა და თვლების ყრუ გრუხუნმა ახალი ცარიელი ფორნის მოახლოება აუწყა.

ბიბლიოთეკა

## თავი II

დღის ორ საათზე აბოლებული საველე სამზარეულო მოვიდა ზანდფორტიდან და ცხელი კერძი მოიტანა. მზარეულს, რომელიც ამავე დროს ცხენებსაც მართავდა, შალიკო ნოზაძე მოჰყვა და იარაღის საწყობში მომუშავეებს პური და ხმელი თევზი მოუტანა. მას ცოტა არ იყოს გაუკვირდა, ნიკო და ევგენი რომ საწყობში მომუშავეთა შორის დაინახა, რადგან გუშინ აქ არცერთი არ იყო, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს, მხოლოდ უხმოდ მიესალმა ახლებს და მაშინვე პურის ჩამორიგებას შეუდგა.

ნიკომ და ევგენიმ, რაკი სადილის წინ რამდენიმე წუთი თავისუფალი დრო ეძლეოდათ ხელ-პირის დასაბანად, შურა ჩილაჩავა გაიყოლეს და დიუნებს იქით გადავიდნენ, ზღვის პირზე, სადაც მათ ლაპარაკს ყურს ვერავინ დაუგდებდა.

— ჯერ ეს მითხარი, — დიუნების ზოლთან მიახლოებისთანავე მიმართა შურას ევგენიმ და თვალი საველე სამზარეულოსაკენ გამოაპარა, ხომ არავინ გვეძახის, უკან დაბრუნდითო. — გივისა და მიტოსი რა იცი?

— გივის ფელდფებელობა გაურტყამს, ბიჭო, არ გაგიგიათ თქვენ?

— ეგ ვიცი, ინჯიამ მითხრა. სხვა?

— ამბობენ, როგორც კი ნაპირის გამაგრებას მოვრჩებით, ტანკსაწინაღმდეგო ზარბაზნების ოცეულს ჩააბარებენო.

— რას ამბობ. ეგ ცუდი როდია. მიტო?

— მიტო ხომ ზანდფორტში დგას. შალვა ლოლაძის ასეულშია. არსად შეხვედრიხარ? მე ორჯერ ვნახე. მართლა, ბიჭებო, იცით ახალი ამბავი?

ევგენი და ნიკო, შეჩერდნენ და თვალებგაბრწყინებულ შურას მიაჩერდნენ.

— მართლა არაფერი იცით? — ბალღური მიამიტობით და მოუთმენლობით ჰკითხა ორივეს შურამ. — მიტო ცოლის თხოვას აპირებს.

— შენ ხომ არ აფრინე?! — იყვირა ევგენიმ.

— ავაფრინე, ხომ? — შურას კვლავ ეშმაკები უთამაშებდნენ თვალებში, — აგერ ნახავთ — აღდგომა და ხვალეო. ეგ კიდევ არაფერი. იცით ვის თხოულობს?

— გეყოფა, თავს ნუ იგდებ, — ევგენიმ აღარ დაამთავრებინა. — სისულელეებისთვის არ გვცალია. სადაცაა მოგვაძახებენ. შენი თავი გვჭირდება. ოღონდ, ხომ იცი, სანამ მე არ გეტყვი, ხმა, კრინტი არავისთან დასძრა.

ჩილაჩავას უცებ მოექუფრა სახე. მას ჯერ ევგენის გაჰხედა, მერე ნიკოს. სამივე დიუნების წმინდა ქვიშაში იყო კოჭებამდე ჩაფლული და მშვიდობიანად

მოტლაშუნე ზღვის ნაპირისაკენ გზას გაჭირვებით მიიკვლევდა.

— რას გაჩუმდი? — წამით ჩამოვარდნილი სიჩუმე ისევ ევგენიმ დაარღვია და ამხანაგებს ოდნავ უკან ჩამორჩა.

— რა გინდა, ჯერ თქვი, — უცნაური შეცვლილი ხმით უპასუხა ჩილაჩავამ.

— საქმეში მინდა შეგიყვანო, თანახმა ხარ?

— რა საქმეში? — შურა შეყოყმანდა და ამხანაგები ერთხელ კიდევ შეათვალიერა. — არა, კი ნუ გეწყინება, ევგენი... მე ხომ უნდა ვიცოდე, რა საქმეზე მელაპარაკებით.

— გითხრა პირდაპირ?

— მითხარი!

— არ შეგეშინდება?

— შენ თქმის არ გეშინია და მე გაგონების რატომ უნდა შემეშინდეს!

— აბა, მოდი აქ, ყური დამიგდე...

— თან ვიაროთ...

— დამიგდე ყური, რას გეუბნები, — ახლა უკვე ბრძანების კილოზე გაიმეორა ევგენიმ და დიუნების ზოლისაკენ მოიხედა, სადაც კვლავინდებურად არავინ ჩანდა და გულში ღრმად ჩამარხული საიდუმლოს გამხელასაც ხელს არაფერი უშლიდა. — ბევრი ლაპარაკის დრო მაინც არა გვაქვს. ვიღაცა წამოგვესწრება.

— თქვი, რაღას აჭიანურებ! — მოუთმენლობა და ცუდად შენიღბული მღელვარება შურასაც გადაედო. მან პილოტურა მოიხადა, ხელში მოჭმუჭნა და შუბლზე წურწურით წამოსული ოფლი მოიწურა.

— იარაღი უნდა ვიშოვნოთ! — უეცრად მოსჭრა ევგენიმ.

შურა გაფითრდა. მსხვილი ტუჩები აუკანკალდა. ერთხანს ხმა ველარ ამოიღო. თვალებიც კი გაუჩერდა. იფიქრებდი, თავბრუ ესხმისო. ბოლოს ძალღონე მოიკრიბა და, რაკი შეატყო, პირში შემოჩერებული არტემიძე მეტს აღარაფერს ამბობდა, აკანკალებული ხმით ჰკითხა:

— რა იარაღი, ხომ არ გაგიჟდი შენ?

— იარაღი არ იცი რა არის?

— ვისთვის, რისთვის, რას ლაპარაკობ! — შურა მთლად დაიბნა, [illegible] იცოდა, სერიოზულად მიეღო [illegible] გაიგონა თუ სიტყვა ბანზე აეგდო და გზა გაეგრძელებინა. — შენ იცი, რა მოჰყვა კაკოს სისულელეს? — მცირე ყოყმანის შემდეგ თქვა მან, — თავიც დაიღუპა და მამაც დაღუპა. ახლა შენც ეტენები?

— მე არაფერსაც არ ვეტენები, — მკაცრად შეაწყვეტინა ევგენი არტემიძემ, — ეს საქმეა. მიხვდი? თუ გინდა საქმეში მონაწილეობა მიიღო და რაიმე გააკეთო, ყური დამიგდე, თუ არა და, აქამდე უშენოდ გაგვიძლია, აწიც გავძლებთ. მე კავშირი მაქვს აქაურ იატაკქვეშეთთან. გასაგებია?

ეს იყო ყველაზე დიდი და მოულოდნელი რამ, რის თქმაც ახლა ევგენის შეეძლო და უფრო დიდი შთაბეჭდილების მოსახდენად, რასაც სასურველი შედეგიც უნდა მოჰყოლოდა, მან იგი ბოლოსათვის შემოინახა.

— კავშირი გაქვს? — ჩილაჩავას ჯერ უეცარი ძრწოლვა ჩაუდგა თვალებში, მერე კი ერთბაშად იფეთქა ცნობისმოყვარეობამ და აუხსნელმა აღტაცებამ, — ვისთან, ვისთან?

— იატაკქვეშეთთან, — მშვიდად და დამარწმუნებლად გაიმეორა არტემიძემ.

— წესიერად გამაგებინე, კაცო!

— ყველაფრის თქმა და გაგებინება საჭირო არ არის, შურა. თვად მეც ძალიან ცოტა რამ ვიცი.

— მართლა ამბობ თუ მეხუმრები?

— სახუმარო საქმეა?

— არა. მაგრამ... — შურა შეყოყმანდა.

— თქვი, რის თქმა გინდა! — შეეშველა ევგენი.

— ოღონდ არ გეწყინოს...

— არტემიძემ წარბები აძგიბა და აქამდე უხმოდ მიმავალ მიქიაშვილს შეთქმულივით გადახედა.

— შენზე ამბობენ, ინჯიას კაციაო. — ძლივს ამოღერღა ჩილაჩავამ.

ევგენი შეკრთა. მაღალ, ბრტყელ

შუბლზე ბორცვები გაუჩნდა. ყბების ძვლებმა წიკწიკი დაიწყეს:

— ვინ ამბობს?

— ყველა.

— ყველამ რა იცის?!

— ამბობენ და...

— შენ თვითონ რას ამბობ?

— რა უნდა ვთქვა!

— გჯერა?

ჩილაჩავამ ძხრივი აიჩეჩა, ამხანაგებს მზერა მოარიდა და თავი ჩაღუნა.

— არ გინდა პირში მითხრა, გჯერა თუ არა, ხომ? მე, ევგენი არტემიძე რომ ვარ, შენს ადგილზე აგრე არ მოვიქცეოდი.

— რას იზამდი?!

— ჯერ ერთი, ენას დავუმოკლებდი ყველას!

— მე რა ნება მაქვს... — შურა სველ ქვიშაზე დადგა, დაიკუზა და აქაფებულ ზვირთს, რომელიც ჩუმი შრიალით მოგორავდა, ორივე ხელი დაახვედრა.

— ნუ ვიკამათებთ, — გადაწყვიტა აშკარად გულნატკენმა არტემიძემ, წყალში კოჭებამდე შევიდა და სველი ქვიშა ორივე ხელით ამოხაპა. — შენ და ნიკოს წინაშე თავის მართლება მე არ მჭირდება. მოხარშულს მიცნობთ. ახლა საქმეზე გადავიდეთ. თუ შენც გჯერა, შურა, ვინც რას ამბობს და ენას იფხანს, შეიძლება ისე ჩათვალო, თითქოს დღეს არაფერი გვილაპარაკია, უფრო მეტი — სულაც არ გვინახავს ერთმანეთი. კმაყოფილი ხარ?

— თავსავე ხომ გითხარი, საწყენად არ ვამბობ-მეთქი.

— ორგანიზაციის დავალება მაქვს: იარაღი უნდა ვიშოვნო.

— არ შეიძლება უფრო გასაგებად თქვა? — იარაღის ხსენებაზე ჩილაჩავა ისევ აფორიაქდა.

— მეტი რაღა გითხრა! თუ დღეს და ხვალ დავალების შესრულება ვერ მოვახერხე, ყველა ცდა ფუჭად ჩამივლის. გესმით ეს რა არის? ამისთანა შემთხვევა გგონიათ მეორედ მოგადგებათ კარზე? ან ახლა, ან არასოდეს!

— შენ მაინც გამაგებინე, ნიკო, რა უნდა, — რაკი თავისი საფიქრალით შეპყრობილ არტემიძეს მეტი ვერაფერი ათქმევინა, შურა ნიკო მიქიაშვილს მიუბრუნდა. ის სამიოდე ნაბიჯის მოშორებით ჩაცუცქულიყო და სველი ქვიშით იარაღის ზეთში ამოთხვრილ ხელებს იხეხავდა.

— ხომ გითხრა! — ნიკოს თავი არ აუღია, ისე უპასუხა შურას.

— მაინც რა იარაღია საჭირო? — უფრო ღრმად ჩაეძია ჩილაჩავა.

— ყოველნაირი, — ნიკო კვლავ თავჩაღუნული პასუხობდა და თან გულდაგულ იხეხავდა ზეთში ამოსვრილ ხელებს, — პისტოლეტები, ავტომატები, ხელყუმბარები, ტოლი, პატრუქი...

— ყველაფერ ამის შოვნას თქვენ ახლა აპირებთ, ამ მეორეთმოსვლის დროს? ნიკო, ევგენის მე ვიცნობ და მისგან იმდენად არ მიკვირს, შენ კი, ნუ გეწყინება და, უფრო ჭკუადამჯდარი კაცი მეგონე. რას ამბობთ, ბიჭო, გესმით? ეგ რომ ნიკოლოზ მელიქიამ გაგვიგოს, ან შალვა ლოლაძემ, ან აკაკი მაჩაიძემ, გელაპარაკები, აქავე გაგვათავებენ სამივეს! ერთი ნოლახტის გულისათვის გუშინ მთელი ბატალიონი ფეხზე დააყენეს, ორ კაცს სასიკვდილოდ დასდევენ, ყოველ ნაბიჯზე მტერი გვითვალთვალებს, აღარ იცის, რა საბაბი გამოიყენოს ჩვენს ამოსაჟლეტად და თქვენ დღეს აპირებთ მაგას?

— სწორედ დღეს! — ბრაზიანად ისროლა ევგენიმ და სახე ზიზღისაგან დაელმიჭა. — სიკვდილის ძალიან გშინებია, შურა. შენგან არ მიკვირს? აგრე რომ მგონებოდა, სიტყვასაც არ გეტყოდი. სხვებზე ჭკუიანად, ზოგიერთისა არ იყოს, თავს ნურც შენ წარმოიდგენ. აქ უჭკუო და სიცოცხლემოძულებული არავინ ვართ. გასაგებია?

— თქვენ, მგონი, მართლა არ ხუმრობთ, — ჩილაჩავას სირცხვილისაგან ლაწვები აეტკიცა და ოდნავ განზე გაზიდულ პაწია ყურებზეც ცეცხლი მოეკიდა. — გივიმ და მიტომ იციან რამე?

— ჩვენ ორმა ვიცით, — გუნებაწამხდარმა ევგენიმ თავი მიქიაშვილისაკენ

გაიქნია. — შენ მესამე იქნები. როცა საჭიროდ დავინახავთ, თვითონ გეტყვით, ვის გაუტყდე და როდის.

— ევგენი, ძალზე ხომ არა ხარ! — ისევ ჩაერია ლაპარაკში ნიკო მიქიაშვილი, — ჯერ ჰკითხე ამ კაცს, იქნება...

— რა უნდა მკითხოს? — ჩილაჩავას სახე აელეწა და ხმაშიც თავშეკავებული წყენა გაისმა. — სადაც თქვენ, იქ — მე! როდის იყო რამეში ჩამოგრჩით!..

— ჰოდა, შენ გენაცვალე ბიჭობაში! — მოუწონა ევგენიმ და მთელი ამ საუბრის მანძილზე პირველად გაიღიმა. — ეგ სულ სხვა ლაპარაკია. მე და ნიკო აქ, საწყობში, ახალი ხალხი ვართ, საქმე კი სასწრაფოა. რას გვეტყვი?

— აბა, რა გითხრათ, ბიჭებო. თქვენ თვითონ ბრმები არა ხართ, ხედავთ, რაც ამბავია. საწყობს ირგვლივ, საიდანაც კი შეღწევა შეიძლება, დანაღმული ველები არტყია. მავთულხლართებიც ხომ დაინახეთ? ჭიშკარში გაძლიერებული დაცვა დგას. დღეში ათჯერ სინჯავენ საბუთებს. სინათლეზედაც კი გახედავენ ხოლმე, ყალბი არავინ შემოგვატყუოსო. ასე თუ გაგრძელდა, გუშაგების გაუგებრად საწყობში ჩიტიც ვერ შეფრინდება. დატვირთულ ფურგონებს შეიარაღებული ბადრაგი დასდევს. ნაბრძანები აქვთ, თუ რამე ისეთი შენიშნეს, გაუფრთხილებლად ასტეხონ სროლა. მე, ნუ გეწყინებათ და, შეუძლებლად, შეუძლებლად კი არა, პირდაპირ წარმოუდგენლად მიმაჩნია თქვენი განზრახვის შესრულება. ამას, რასაც ვამბობ, მხდალობად და სულმოკლეობად ნუ ჩამომართმევთ. აქაური ამბები სხვებზე უკეთ ვიცი და ჩემ აზრს გეუბნებით. იმ ღმერთგამწყრალ კაკო ცუცქირიძეს რომ სისულელე არ ჩაედინა და შამშე მღვდელაძესაც დამწვარზე მდუღარე არ გადაესხა, სხვა იყო. ეჰ, რავა ჩვენს ნებაზე ვიყავით მიშვებული!..

— შენ მაშინაც აქ მუშაობდი? — დაინტერესდა მიქიაშვილი.

— კი, მე დიდი ხანია აქა ვარ, თითქმის მას შემდეგ, რაც ერთმანეთს დავშორდით. მელიქიამ მაშინვე აქეთ გამომაგზავნა.

— მაშ, შენი აზრით, პარტიზანი საშველი არ არის? — მძიმედ იკითხა ევგენიმ და დაძაბული მზერა შურას მიაპყრო. — არ მჯერა მე ეგ! თავი უნდა გავანძრიოთ. გამოსავალი გამოჩნდება. ამას კი არა, ხალხი რას არ აკეთებს. როგორ ატყობთ, ბიჭებო, ერთი კაცი კიდევ დაგვჭირდება, ვინც შიგნიდან შეგვიწყობს ხელს, — და ის მაშინვე შურას მიუბრუნდა: — საწყობის მომსახურე პერსონალი, დავიჯერო, სულ გერმანელებია?

— მე მგონი, — ჩილაჩავა დაფიქრდა, ერთხანს ხმაგაკმენდილი იდგა, მერე კი სახე გაუნათა ერთბაშად მოზღვავებულმა სიხარულმა: — არის, ბიჭებო!..

— რა? — ერთხმად წამოიძახეს ნიკომ და ევგენიმ.

— საწყობის უფროსის თანაშემწედ ხომ ჩვენი კაცია, ოსი, კოსტა გოიაევი. იცნობთ რომელიმე?

— მე ვიცნობ, — დინჯად, გამარჯვებული სარდლის თავდაჯერებით თქვა ევგენიმ, რომელსაც წარბის უბრალო შერხევითაც არ გაუზიარებია მეგობრის სიხარული, თუმცა გულში კი იმედის შუქი ჩაუდგა. — ეგ კრუშინაშიც იარაღის საწყობში მუშაობდა. შენ არ იცნობ, ნიკო?

— რაღაც არ მახსენდება.

— სანდოა? — იკითხა შურამ.

— ვინ იცის... ევგენი ისევ ფიქრმა შეიპყრო, თავი გადააქნია, — რისკის საქმეა.

— მე ვეტყვი! — წინ წამოდგა შურა.

— მოიცა... — ევგენიმ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ვერც კი ჩასწვდა ჩილაჩავას წინადადების მთელ სერიოზულობას. — მიდგომა უნდა. იქნებ გესტაპოს ფარული მუშაკი ხარ და სცდი, რა იცის იმან! განგაშს ატეხს...

— ისე უნდა მოვიქცეთ, რომ არ ატეხოს.

— მაშინ მე მაცალეთ!

## თავი III

კოსტა გორიაევის მონახვა და განაპირება გვიანობამდე არ მოხერხდა. ბუნკერი, რომელშიაც ის საწყობის მომსახურე სამ გერმანელ ჯარისკაცთან ერთად ღამეს ათევდა, მავთულხლართის შიგნით, თვით საწყობის ტერიტორიაზე იყო. თუ ვინიცობაა, კოსტას ნახვას დღის ბოლომდე ვერ შესძლებდნენ. სამუშაო საათების შემდეგ საკონტროლო ჯიხურს, სადაც შემომსვლელ-გამსვლელთა პირადობის საბუთებს სინჯავდნენ, სათოფეზეც ვეღარ მიეკარებოდი.

კოსტა გორიაევი, ეს საშუალოზე ოდნავ მაღალი ტანის, მკვიდრად ჩადგმული, ორმოცი-ორმოცდაორი წლის სიტყვაძვირი ვაჟკაცი, რომელიც ტყვედ ომის პირველსავე დღეებში ჩავარდნილიყო და შემდეგ ევროპის მრავალი ბანაკი შემოევლო, ბოლოს, როგორც ქართული ენის მცოდნე და საქართველოს მცხოვრები, ცხინვალის მკვიდრი, ქართულ ეროვნულ ბატალიონში მოხვდა. ჯერ კიდევ კრუშინაში ყოფნის დროს კოსტამ ბევრს დაამახსოვრა თავი მოკრძალებული ხასიათით და გულითადობით. ასაკით ბევრზე უფროსი იყო, ზოგს კი მამადაც შეეფერებოდა. ყოველგვარ გაჭირვებას, თუნდაც ხეზე ფეხებით დაგეკიდა, კოსტა მოთმინებით იტანდა და ამას თითქოს მხოლოდ იმისთვის სჩადიოდა, რომ უდრტვინველი ამტანობით სხვებისათვის გასაჭირის სიძნელე გაეადვილებინა.

ხმა დადიოდა, კოსტა გორიაევს ფარული კავშირი აქვს გაბმული მაიორ ქარცხიასთან, კოსტას ხელით ქარცხია პოლონელ პარტიზანებს ამარაგებს იარაღ-საჭურვლითო, მაგრამ ასე იყო ეს თუ არა, დანამდვილებით მტკიცება ევგენის და მის თანამზრახველებს არ შეეძლოთ, რადგან ხელში ერთი დამამტკიცებელი საბუთიც არ ჰქონდათ.

შურა ჩილაჩავამ ევგენის შორიდან დაანახა გორიაევის ბუნკერი. ნასადილევს, ვიდრე სარდაფებში მუშაობა კვლავ განახლდებოდა, ევგენიმ და შურამ მიწისქვეშა სადგომს ახლოსაც გაუარეს და კარგად დაიმახსოვრეს, საჭიროების შემთხვევაში საიდან და როგორ უნდა ჩასულიყვნენ ბუნკერის კარის გასაღებად. შურას შემჩნეული ჰქონოდა, რომ ბუნკერის ბინადრები — კოსტა და მისი სამივე ხიზანი — მთელი დღის მანძილზე სამჯერ-ოთხჯერ მაინც ჩადიოდნენ ხოლმე ბუნკერში პაპიროსის გასაბოლებლად, რადგან სხვა ადგილებში მოწევა ყველგან აკრძალული იყო. და შემდეგ დაუყოვნებლივ უბრუნდებოდნენ შეწყვეტილ სამუშაოს.

ბიჭებმა იმდენი ჰქნეს, რომ დასატვირთავი ფორანი გვირაბის ყელში ჩააყენეს, საიდანაც იმის თვალყურის დევნებაც შეიძლებოდა, თუ გარეთ, ეზოში, რა ხდებოდა და მუშაობას შეუდგნენ, თანაც თვალი ბუნკერზე ეჭირათ.

მშვენიერი ამინდი იყო. საცალფეხო ბილიკებს შორის მობიბინე მწვანე ბალახს და უთვალავ კვადრატებად დაყოფილ ახლომახლო მინდვრებს გადახრილი მზე თვალისმომჭრელად ანათებდა. კვადრატების ოთხივე კუთხივ სარკისებრ ბრწყინავდა კამკამა წყლით პირამდე სავსე არხები და ეს ბრწყინვა და ციმციმი ჰაერსაც თითქოს უფრო მსუბუქსა და გამჭვირვალეს ხდიდა.

— ახლა ერთი გარეთ გამიყვანა და ამ ბალახებში მაკოტრიალა! — ინატრა იარაღის ზეთში ხელახლა ამოთხვრილმა ნიკო მიქიაშვილმა და ხველებ-ხველებით მომდევნო ჭურვს დასწვდა.

— შენი ფერდების პატრონს ძალიან მოგიხდება! — დასცინა არტემიძემ. ის ფორნის ძარაში იდგა და ქვემოდან მოწოდებულ ჭურვებს ზედადგარზე აწყობდა. — ჰო, მართლა, რას ამბობდი შენ, შურა? მიტო გიგაშვილი ქალს თხოულობსო?

— არ მათქმევინეთ და...

— როტერდამიდან ხომ არ გამოიწერა ნეტა თავისი მზეთუნახავი! მართლა,

რა ძლაბი იყო, ბიჭო... გახსოვს, მიტოს რომ გული წყდებოდა?

— იმას არც შენ დამიწუნებდი.

— ვისა, კაცო? — ნიკო მიქიაშვილმა მეგობარს ჭურვიააწოდა და მსუნაგად იკითხა.

— არის ერთი, არ იცი შენ, როტერდამში... — ევგენიმ ჩაიცინა და ჩილაჩავას თვალი ჩაუკრა. — ასე არ ამბობდა, საროსკიპო სახლიდან გამოყვანილი ქალი უფრო კარგი მეოჯახე დადგებაო?

— გგონია, ვხუმრობ? აქ მართლა სერიოზულად არის საქმე! — შენიშნა შურამ და ეზოს ის ნაწილი, სადაც კოსტა გორიაევის ბუნკერი ეგულებოდა, ერთხელ კიდევ ფრთხილად მოათვალიერა. — მონაზონს ირთავს.

— ვის? — შეჰყვირა ევგენიმ და ამის გამგონე ნიკომაც თვალები გამოქაჩა. — მონაზონს? ღმერთო, ნუ გადამრევ! მერე შეიძლება?

— რახან ირთავს, ალბათ, შეიძლება.

— არ იქნება, ბიჭო, მონაზონი.

— აგრე მგონია მეც.

— მანდ რაღაცა სხვა ამბავია. თუ გინდა დავნაძლევდეთ!

— რა ამბავი უნდა იყოს! მოწონს გოგო. გოგოსაც მოწონს. ახლა მშობლებზეა საქმე.

— სად არიან მერე მშობლები?

— შორს. კუნძულ ტექსელზე.

— ტექსელზე? ტექსელი სადღა ჯანდაბაშია?

— ზღვაში იქნება, სხვაგან-სად!

— ბიჭებო! — ხმამაღალი ჩურჩულით მიმართა ორივეს ნიკომ. — გაიხედეთ, ბუნკერთან ვიღაცა დგას!

შურა და ევგენი უმალ მოტრიალდნენ და მალულად გაიხედეს იქით, საითაც ნიკო მიქიაშვილი იყურებოდა. ბუნკერის ჩასასვლელთან, მუხლებამდე ბალახში, მართლაც იდგა ვიღაც გულმოღეღილი, თავშიშველი ჯარისკაცი, რომელსაც მკლავზე „გეორგიანული ნიშანი“ ეკეთა და ხარბად აბოლებდა პაპიროსს.

— სახით ხომ სცნობ, ევგენი? — ამხანაგს ყოყმანი შენიშნა და ფრთხილად ჩაეძია ჩილაჩავა. — კარგად დააკვირდი!

— არა, არა, ის არ არის! — მიუგო არტემიძემ. — ეს მზე თვალებში მაინც არ გვიყურებდეს!

— ხომ არ გინდა, შევაბრუნო?

— ნუღარ უყურებ, შეგვამჩნევს ვინმე!

— ეყოფა, ჩამოდი ძირს, წავახუროთ ბრეზენტი.

— რა პისტოლეტებია, ბიჭებო, ეგერ!... — ნიკო ახლოს მოვიდა და ზეთიანი ხელები ბრეზენტის ყურზე შეიმშრალა.

— სად? — ერთხმად აღმოხდათ ჩილაჩავას და არტემიძეს.

— მოსახვევში. მესამე ყუთი ნაპირიდან. ორასი ცალი მაინც იქნება...

— ევგენი, არ გადირიო! — წაიჩურჩულა შურამ, — შენ კიდევ, ნიკო, პისტოლეტი პირველად ნახე? ხომ არ დაგითრევია? — შეშფოთებული მზერა მან გვირაბს მოავლო, ვაითუ ვინმე გვითვალთვალებსო, და ისევ ამხანაგებს მიუბრუნდა: — ეგ არ ჰქნათ, ბიჭებო, ძმურად გეხვეწებით!..

— რას გვეხვეწები, — ევგენი ორივე ხელით ძარას კიდეს დაეყრდნო და ძირს ჩამოხტა. — ჩვენ თვითონ არ ვიცით?

— ნიკო, ხომ არ აგილია? ,

— ერთი შენც ჰკუა გკითხოს კაცმა!

— გადმოიბრუნე ჯიბეები!

— არ გაჩუმდები ახლა? გინდა, მაინცდამაინც გააგონო?

— სს, ბიჭებო! — წამოიძახა არტემიძემ.

მეზობელი გვირაბის ყელიდან ორი წელს ზემოთ შიშველი ჯარისკაცი გამოვიდა. მათ პირდაპირ ბუნკერისაკენ აიღეს გეზი. დროდადრო ჩერდებოდნენ და რაღაცის გამო ხმამაღლა დავობდნენ. ერთ-ერთ მათგანში ევგენი არტემიძემ კოსტა გორიაევი შეიცნო. მაგრამ მართლა კოსტა იყო? ვაითუ თვალი ატყუებდა! ევგენიმ მეხსიერება დაძაბა. სცადა, ხსოვნაში გორიაევის სახის ნაკვ-

ბიბლიოთეკა

თები და გამომეტყველება აღედგინა. ის, ვინც მან კოსტად მიიღო, ჯერ ისევ ახალგაზრდა და დაუზარჯავი ენერგიით სავსე ჩანდა. გაფიცხებულ თანამოსაუბრეს ერთი ან ორი უგერგილო სიტყვით პასუხობდა და შემდეგ ყურს უგდებდა. სიარულსა და მიმოხვრაშიც ოდნავ სიზანტეს შეამჩნევდი...

„ის არის!.. — გაიფიქრა ევგენიმ და გული ისევე აუძგერდა, როგორც მაშინ, როცა ვან-ლემერენების კარის წინ ატუზულს კოორმა გამოჰხედა და დაუფარავი ათვალისწუნებით ჰკითხა, ვინ გნებავთო. — მაგრამ ის მეორე ვინ უნდა იყოს?“

## თავი IV

თითქოსდა მოუთმენელი მოლოდინით ხახაგამშრალ ბიჭებს გულისპასუხს მიუხვდაო, „ის მეორე“ მალევე დაშორდა კოსტას, ჭიშკრისაკენ გზა განაგრძო და იქ რომელიღაც ბუნკერში ჩავიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ პირსახოცი ამოიტანა და არხეინი სტვენა-სტვენით თვალს მიეფარა. ევგენი, შურა და ნიკო მალულად ადევნებდნენ თვალს ყველაფერს, რაც ეზოში ხდებოდა. რკინის ჭიშკარი მძიმედ გაიღო. მებადრაგენი ზედ შეახტნენ დატვირთულ ფორანს და საბუთების გასინჯვის შემდეგ ჭიშკარი ისე გაიარეს. ეზოში, სამაგიეროდ, ორი ცარიელი ფორანი შემოვიდა და საიდუმლო ელექტრომოწყობილობაც უმალვე აზუზუნდა ჭიშკრის დასაკეტად.

ბევრი ფიქრისა და ყოყმანის დრო აღარ იყო. ევგენიმ ერთი კი მიიხედმოიხედა, ლაგამამოდებულ გაქაფულ ცხენებს, რომლებმაც სწორედ ამ დროს მოაგდეს ფორანი, გვერდი მოხერხებულად აუქცია და გულდაგულ, თითქოს გუშინაც და გუშინწინაც იქ ყოფილიყოს, ბუნკერისაკენ წავიდა. ზედმეტი მღელვარებისაგან ხმაგაკმენდილმა ნიკომ და შურამ თვალი გააყოლეს მწვანედ მობიბინე ეზოში გაბედულად მიმავალ ამხანაგს, მერე ერთმანეთს შეხედეს და ორივეს გაეცინა. ეს, ალბათ, სიმწრის სიცილი იყო.

— დიდი უტუხი ვინმეა! — მხოლოდ შურა ჩილაშავას გასაგონად წაიჩურჩულა ნიკო მიქიაშვილმა. — ეს ან მართლა რაღაცას იზამს და ქვეყანას გადარევს, ანდა თავბედს გვაწყევლინებს ყველას. აგერ ნახე თუ არა!..

სანამ შურაც თავის მხრივ რაიმეს იტყოდა, ევგენიმ ბუნკერის ჩასასვლელს მიაღწია და მაშინვე კიბეზე დაეშვა. ახლა მთავარი იყო, კარი არ შეშლოდა და კოსტა გოიაევას ბუნკერში მოხვედრის მაგიერ თავი სხვაგან არ ამოეყო. ამგვარი შეცდომა მოსალოდნელი იყო. რადგან მან ძირს ჩასვლისთანავე დაინახა, რომ ვიწრო ტალანს ცალ მხარეზე ორი კარი ჰქონდა დატანებული. „თუ შევცდი, ბოდიშს მოვიხდი და მაშინვე გამოვიხურავ!“ — გაიფიქრა მან, პირველსავე კარს ალაობიდზე მიაწვა და ქართულად დაიძახა:

— ეი, არის აქ ვინმე?

ადამიანების სადგომად გამართულმა სარდაფმა ხმა ყრუდ და დახშულად გაიმეორა.

— რომელი ხარ, კაცო, შემოდი! — მოისმა შიგნიდან.

ევგენიმ კარი ახლა გაბედულად მიხურა და თვალის დახამხამებაში მომდევნო ოთახში გაჩნდა. აქ რკინის ორსართულიანი საწოლები იდგა. ბუნკერი ოთხი კაცის სადგომად იყო განკუთვნილი. საწოლების ზედა სართულებზე ლოგინები არ ეგო. მაშასადამე, კოსტასთან ერთად აქ კიდევ ერთი კაცი ათევდა ღამეს. კედლის გასწვრივ მდგომ ერთ-ერთ საწოლზე წელსზემოთ შიშველი, მხრებში თავჩარგული კაცი იჯდა, ცემენტის იატაკზე ფეხსახვევი გაეშალა, ზედ ფეხი ქუსლით დაედგა. შთელი ტანით წინ გადმოწოლილიყო

და ჭუჭყიანი დოლბანდით წვივს იხვევდა.

— კოსტა, გამარჯობა! — კართანვე შესძახა ევგენიმ და გაიკრიჭა.

— გაგიმარჯოს, კაცო! — გორიაევმა უნებლიეთ ფეხებზე დაიხედა და წამოიწია, თან მოსულს, რომელსაც კარიდან შემომავალი დღის სინათლე ზურგში სცემდა, თვალს არ აშორებდა. — რომელი ხარ?

— ეე, კოსტა, არა გრცხვენია, ვერ მიცანი? — ახალგაზრდა სტუმარი ისევ გულლიად იკრიჭებოდა. — ევგენი ვარ, კაცო, არტემიძე. მანგლისელი. აგრე მალე დაგავიწყდი?

— ვაჰ! — შესძახა კოსტამ და აწრიალდა. აღარ იცოდა, ფეხთ ჩაეცვა თუ თავისი მიწაწყლის კაცს, ვის აქ ნახვასაც ყველაზე ნაკლებ მოელოდა, ასევე მიგებებოდა. — სიკვდილსაც დავიწყებიხარ! შენ აგაშენა ღმერთმა. ევგენი... ევგენი... — რამდენჯერმე გაიმეორა მან. — აკი ეშალონს ჩამორჩაო? მე შენ ცოცხალი აღარც კი მეგონე. ჰმ... — კოსტა უცებ მიხვდა, ზედმეტი გულქართლობის წყალობით ისა ვთქვი, რის გაგონებაც სტუმარს არცთუ ისე ესიამოვნებაო და ეს ამოდენა კაცი დამნაშავე ბავშვივით ყურებამდე გაწითლდა. — ანთიძე რა უყავი? სხვებიც ხომ იყვნენ შენთან?

— კი, ოთხი კაცი ვიყავით: ჩილაჩავა, ანთიძე, გიგაშვილი და მე. — ევგენი უსაზღვროდ კმაყოფილი იყო, რომ საუბარი თავიდანვე ბუნებრივ კალაპოტში მოექცა. აქედან ის როგორმე მოახერხებდა სასურველ საგანზე გადასვლას.

— ყველა გადარჩით?

— როგორც ხედავ!

— ისინი სად არიან?

— ინჯიამ დაგვფანტა სხვადასხვა ასეულში.

— ოო... ინჯია ავი კაცია.

— შენ რა იცი?

— მე? — კოსტა წამით გაირინდა და თვალები დაახამხამა. — ვიცი, ეგ ვინ არ იცის!..

— მოსაწევი გაქვს?

— ჩემი თავი შენ გენაცვალოს! — გორიაევი ადგილზევე მიტრიალდა, სასთუმლის ქვეშ თივით გატენილ ლეიბს ყური აუწია და თამბაქოს გაუხსნელი შეკვრა გამოაჩოჩა. — აიღე, ჩაიდე ჯიბეში, მე კიდევ ვიშოვნი.

— ეუჰ, რა სუნი აქვს, ბიჭო! — შესძახა აღტაცებულმა ევგენიმ, როცა შეკვრა გახსნა და წმინდად დაჭრილი თამბაქოს ბულული გაზეთის ნახევზე დაახვავა. — აფსუსია სწორედ ამ ქაღალდში გახვევა!

— ინდონეზიურია, — კოსტამ ხმას დაუწია, თითქოს რაღაც დიდ სახელმწიფო საიდუმლოებას ამხელსო, და ჩურჩულით დაამთავრა: — გერმანელებმა კონფისკაცია მოახდინეს. გემი ახლა დენ-ჰელდერში დგას თურმე. მოიცა, ქაღალდსაც მოგცემ. — კოსტა ისევ მიუბრუნდა სასთუმალს.

— შენ რა თავშენახული კაცი ყოფილხარ!

— აბა, რა გეგონა! — კოსტა გახალისდა. — ჩაიდე ჯიბეში, ბიჭებს მოაწევინე, მე კიდევ ვიშოვნი!

— არა, გეუბნები, არა! — არტემიძემ მასპინძლის წინ გამოწვდილი ხელები ძალისძალად მოიგერია და თუთუნის შეკვრა სასთუმლის ქვეშ ამოსდო. — პაპიროსის მწეველი კაცი უთუთუნოდ დაგტოვო? წავწყდები საიქიოს.

— კარგი, მაშინ ნახევარი მაინც წაიღე, — დაიღრიჯა გორიაევი, — ხომ იცი, მე ბევრს არ ვეწევი. ღამ-ღამობით მახველებს. სულ მინდა მივატოვო, მე მაგისი რჯული და მადლი!..

ევგენის მეტი თავპატიჟი აღარ გაუდვია. რაკი მასპინძელი არასგზით არ მოეშვა, მთელი ბლუჯა თუთუნი შარვლის ჯიბეში ჩაიტენა და სიფრიფანა ქაღალდში გახვეულ პაპიროსს რაღაც უცნაური სულწასულობით მოუკიდა. ნესტიანი და ცივი ბუნკერი სურნელოვანი ბოლით აივსო. ევგენიმ ბოლი ღრმად შეისუნთქა და ცხვირიდან ორ ნაკადად გამოუშვა. კოსტა თვალებში შესციცინებდა. კმაყოფილი იყო, რომ

ხელმოკლეობის მიუხედავად, გამასპინძლება მოახერხა და თავის უმცროს ამხანაგს მცირედით მაინც ასიამოვნა.

„მგონი დროა! — გაიფიქრა ევგენიმ და სახეზე ისეთი აუტანელი სიმხურვალე იგრძნო, თითქოს გავარვარებულ თორნეში ჩაეხედოს. — არა, ერთ წუთს კიდევ მოვიცდი. იქნებ უკეთესი რამ მოვიფიქრო!“ მზერა უნებლიეთ კოსტას შიშველ ფეხზე შეაჩერა. თვით ბალღთანაც კი ხათრიან და მოკრძალებულ კოსტას დრო ეხელთა და სანამ მისი სტუმარი ინდონეზიური თამბაქოს სურნელებით მოგვრილ ნეტარებას ეძლეოდა, მკერდით მარჯვენა მუხლს დაჰყრდნობოდა და წვივს სასწრაფოდ იხვევდა.

— ეგ რა მოგსვლია, კოსტა ბატონო, სად იტკინე? — ჰკითხა არტემიძემ.

— იჰ! — კოსტამ ამოიქშინა, დოლბანდი სწორედ მუხლის ქვეშ გადაკვანძა, ფეხსახვევიც დინჯად დაიხვია ტერფზე და ფეხი ქუსლებმოცვეთილ და ზღვის წყალში რეცხვისაგან გათეთრებულ ჩექმაში წადგა. — სატიალე ბოთლი გამიტყდა. კეესი. კინაღამ შენი ჭირი წავიღე. იღბლად მარტო არ ვიყავი. ბიჭები მომეშველნენ...

— ცეცხლი მოგეკიდა?

— აგრე? ერთი წუთი რომ დაგვიანებოდათ, მე ხომ დავიწვებოდი და დავიშვებოდი — საწყობიც აფეთქდებოდა. სულ დაანგრევდა აქაურობას. ყველას დახვრეტდნენ. ქვიშა მომაყარეს. იმდენი ქვიშა მომაყარეს, ევგენი, ძლივას ამომათრიეს მერე იმ ქვიშიდან. ფუ ამის... წუთია კაცის სიცოცხლე!

— კოსტა! — ევგენიმ პაპიროსი ბეტონის ნესტიან კედელს მიასრისა, პირში ჩაგუბებული ბოლი ბოლქვებად გამოუშვა და თავადაც საწოლზე ჩამოჯდა. — შენთან მოსალაპარაკებელი საქმე მაქვს. როგორ გგონია, რისთვის მოვედი. შენთან აქ ჩამოსვლა რისკია, ხომ იცი. შენთვისაც და ჩემთვისაც. დრო დამინიშნე, სად და როდის შევხვდეთ ერთმანეთს. საქმე, იცოდე, სერიოზულია და სასწრაფო...

— რა გინდა, ბიჭო?

მასპინძელს გულმა უაზრა: საქმე მართლაც სერიოზული და სახიფათო იყო. მისი ხმა უმწეოდ და უჩვეულოდ გაისმა. ევგენიმ იგრძნო, რომ კოსტას ჰაერი აღარ ჰყოფნიდა...

— კოსტა... — სტუმარი წამით შეყოყმანდა და მასპინძელს თვალებში ჩააჩერდა. ახლა მის სახეზე წელანდელი უდარდელი ღიმილის ნასახიც აღარ იყო. — ბიჭები დიდ საქმეში ვართ გარეული. თუ მართლა ვაჟკაცი ხარ და თავიც გიყვარს და ქვეყანაც, უნდა მოგვეხმარო. შენთან გაჭირვებამ მომიყვანა. რომ არ მიჭირდეს და სხვა გამოსავალი იყოს რამე...

— რა გინდა, თქვი, — კოსტას ძლივს შესამჩნევად უთახთახებდა მსხვილი, ხორცსავსე ტუჩები და მოტვლეპილ შუბლზე წამდაუწუმ ცივი ოფლიასხამდა. — არა, არა! — ერთბაშად წამოიძახა მან, ხელები გაასავსავა და მოთმინებიდან გამოსული ყრუ-მუნჯის მძვინვარე გამომეტყველება მიიღო. — აქ იმისთანა არაფერი თქვა. შარში არ გამხვიო! კრუშინა დაგავიწყდა?

— მაცალე, ჯერ გაიგონე, რას გეუბნები!

— არაფერსაც არ გავიგონებ. არა, არა, არა! — კოსტამ ორივე ყური თითებით დაიცო და თავი ჯიუტად გააქნია. — არ ვიცი! მე არაფერი არ ვიცი!

— მაცალე, კაცო, შენ ხომ არ გადაირიე!

— გადავირიე, ჰო, სწორედ გადავირიე! რა გინდა შენ მერე, შენ რა გინდა! წადი და ვინც გამოგგზავნა, უთხარი, კოსტამ არაფერი არ იცისთქო. მართლა არაფერი არ ვიცი, ცოლშვილს გეფიცები. დედ-მამის ძვლები დამეხრას კბილით... შენ მე ვინ მგონივარ! აღე, წადი, თუარა, იცოდე, კოტე ჩინჩაბაძეს დავუძახებ!..

— დაუძახე, რატომ არ უძახი?! — მტკიცედ მიუგო ევგენიმ. „მაგრამ ეს კოტე ჩინჩაბაძე ვიღა ეშმაკია?“ — გაიფიქრა მან. თვალი კვლავ თვალში გაუყარა, აღგილიდან კი არ განძრეულა.

გოიაევი ერთბაშად წაჩვა და მოეშვა.

ახალგაზრდა სტუმრის წარბშეუხრელმა მოძალებამ და შეუპოვრობამ მის სიფიცხეს ცივი წყალი გადაასხა.

— შვილად შემფერი. შენი ტოლი მონახე ვინმე. მე რა შენი ამხანაგი ვარ...

— სწორედ შენა ხარ ჩემი ამხანაგი, კოსტა, — დინჯად და თავდაჯერებულად მიუგო არტემიძემ, — შენს მეტი ამ საქმეს ვერავინ გააკეთებს. ციხე თუ შიგნიდან არ გატყდა, გარედან ვერაფერს დავაკლებთ. თავს ნუ იკატუნებ, თუ ღმერთი გწამს. ჩინჩაბაძით კიდევ ნუ მაშინებ. ვიცი, შენ არავის დამძახებელი არა ხარ, მაგრამ თუ დაუძახებ, მოგიკვდეს ჩემდათავად უკან დამხევი! — ამ სიტყვებზე არტემიძემ ხელი შარვლის უკანა ჯიბეზე მოისვა და განუყრელი ბელგიური პისტოლეტი ამოიღო.

— აბა, რა ვქნა, თუ არ მომეშვები,— მდუღარე გულიდან ამოსთქვა გოიაევმა და დიდრონი, თვინიერი თვალები ცრემლებით აევსო. — ჩემ წვრილ ცოლშვილს რა პასუხს აძლევ, ბიჭო, გინდა დამღუპო?

— იარაღი გვჭირდება, კოსტა! — ევგენიმ მეტი წუწუნი და თავის შებრალება აღარ აცალა და ეს ორი ყველაზე უფრო საშინელი და თავზარის დამცემი სიტყვა პირდაპირ მიახალა.

— გადარეულა! გადაირიე, კაცო? მეორედ არ თქვა ეგ! — გოიაევი თანდათან მოეგო გონს და თავისდა უნებლიეთ ხმას აუწია. — ლივერი დამალე. ვინ ოხერმა მოგაშავა! გინდა ცოლშვილი დამალუპინო?

— მეტი დრო არ არის, კოსტა.

— გადი, თუ ღმერი გწამს, მე მომეშვი, მე თავი დამანებე... ორივე დავიღუპებით. ეგ ერთხელ გითქვამს და მეორედ არსად წამოგცდეს. ყველა კოსტა კი არ იქნება. ფეხებით დაგკიდებენ. ჩუ, მოდის ვიღაცა!..

კოსტა გაჩუმდა და ორივე ხმაგაკმენდილი მიაჩერდა ერთმანეთს. ჩქარი ფეხისხმა ჩამოსავალი კიბის მხრიდან ისმოდა. ევგენიმ უმალ რაღაც მოისაზრა, ფეხზე შემართული პისტოლეტი უბეში ჩაიდო, მერე სასთუმლის ქვეშ ამოდებულ თამბაქოს შეკვრას მისწვდა და ისე მოიმარჯვა, თითქოს სურნელოვანი ინდონეზიური თუთუნით ჯიბეს სწორედ ახლა იტენიდა. მას მოეჩვენა, რომ ფეხისხმა წამით შეწყდა ბუნკერის კარის წინ. „ეს კი ჩინჩაბაძეა და ახლა აქ ჩამოვა!“ მაგრამ მალე კარის გასაღების ჩხაკუნი მოისმა და სულგანაბულმა კოსტა გოიაევმაც ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა. კიბეზე ჩამოსული დაუპატიჟებელი სტუმარი მეზობელ ბუნკერში მცხოვრები იარაღის ოსტატი იყო. სიფრთხილეს თავი მაინც არ სტკიოდა. თუ გაუფრთხილებლად მოიქცეოდნენ. გერმანელს შეეძლო ხმა გაეგონა და აქაც შემოსულიყო.

— ევგენი, — ჩურჩულით მიმართა კოსტამ თავის უმცროს ამხანაგს და მთელ სახეზე ულრმესი მუდარა გამოეხატა, — ახლა მაინც წადი, კაცო. დამღუპეს კაკომ და შამშემ. შენ უარესს მიშვრები? ვერ ხედავ? ბეწვზე ვკიდივარ...

— ყველა აგრე ვართ, — ჩურჩულითვე, ოღონდ სავსებით გულგრილად მიუგო არტემიძემ და თუთუნის შეკვრა ისევ სასთუმლის ქვეშ ამოსდო. — დრო დამინიშნე, კოსტა, სხვა დროს მოვალ. გინდა აქ, გინდა სხვაგან. ოღონდ იცოდე, საქმე ძალიან საჩქაროა.

— მე შეგატყობინებ.

— როდის? — არტემიძეს მოუთმენლობა დაეტყო.

— ხომ ხედავ, კაცო, რა ამბავია!

— ეს ამბავი სულ ასე იქნება, კოსტა. დღეს... რომელი საათია ახლა? სანამ მუშაობა დამთავრდებოდეს, მოლაპარაკება და რაღაცის გახერხება უნდა მოვასწროთ. გასაგებია? ჩვენ პირველ გვირაბში ვართ, შესასვლელთან. ბიჭებმა, ვინც აქ მუშაობს, ჯერ არაფერი იციან, — ევგენიმ რატომღაც იცრუა, ადგა, უბიდან პისტოლეტი ამოიღო და შარვლის უკანა ჯიბეში თავისი ადგილი მოუნახა. — წავედი! ხომ ხედავ, მე არც კი გეკითხები, შეგიძლია რამე თუ არა...

— უილბლო კაცი ვარ. — საგონებელში ჩავარდნილმა გოიაევმა ჭალარა

თავი მძიმედ გადააქნია და დიდრონი, თვინიერი ხარის უწყინარი თვალები სივრცეში უაზროდ გაუშტერდა. — ფუ, რა ვუთხარი მე, ჩემი გაჩენის სახთს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი V

კოსტა მხოლოდ მომდევნო დილას გამოჩნდა. ევგენის, შურას და ნიკოს გული გადაელიათ ლოდინით. ევგენი გალიაში გამომწყვდეული აფთარივით იყო. ამხანაგებს ულრენდა და მოუთმენლობისაგან გაწამებული ადგილზე ვეღარ კავდებოდა. ის ამბავი, რომ კოსტა გოიაევს გაცემა შეეძლო, მას არ აშინებდა, რადგან ამ ხანშიშესული, უპატრონოდ დაგდებული წვრილი ცოლშვილის დარდით ქედდამძიმებული კაცის პატიოსნებაში დარწმუხებული იყო. მაგრამ გამცემლობაზე ნაკლები სიავე იქნებ არც უადგილო სიმხდალესა და გაუბედაობას მოეტანა. კოსტა, ალბათ, ღმერთს მადლობას სწირავდა, კრუშინაში რომ სასწაულებრივად გადარჩა და სიცოცხლის ხელახლა ხიფათში ჩაგდებას, რაღა თქმა უნდა, თავისი ნება-სურვილით მეორედ აღარ მოინდომებდა. კოკა ხომ ყოველთვის წყალს არ მოიტანს. ევგენი გულში ნანობდა — ნეტავი რა მომარბენინებდა, მარტო ვიყავით, ბარემ ყველაფერი მეთქვაო, მაგრამ ის ფეხებმოსამტვრევი იარაღის ოსტატი რომ გაახსენდებოდა, ბუნკერში რომ უდროო დროს ჩამოჩერჩეტდა, მეათასედ არწმუნებდა თავს, სხვაგვარად მოქცევა შეუძლებელი იყოო. მართლაც, გერმანელს ვაითუ ყოველგვარი მიზეზის გარეშე შემოეღო კარი და კოსტას ოთახში შემოსულიყო. უცხო პირის იქ ნახვა, რაღა თქმა უნდა, დააეჭვებდა და ამის შემდეგ კოსტას ალმაცერად დაუწყებდა ყურებას, იქნებ ის ვიღაც ჩინჩაბაძეც გაეფრთხილებინა.

გოიაევი მოულოდნელად გამოჩნდა გვირაბის ყელში, სადაც არტემიძე, ჩილაჩავა და მიქიაშვილი ბრეზენტგადახსნილ ფორანს ტვირთავდნენ. ოთხთვლიან ურიკაზე კოსტას ქვიშით სავსე კასრი დაედგა და ურიკას აუჩქარებლივ მოაგორებდა. გზაში გახიდულ ფორანს რომ გაჭირვებით გვერდი აუარა, მოიხედა, ბიჭებს უნდილად გადმოუგდო, რომელი მომეხმარებითო და პასუხისათვის აღარც კი დაუცდია, გვირაბის ბინდბუნდში გზა განაგრძო.

— ე, ბიჭო! — შესძახეს ნიკომ და შურამ.

ევგენიმ მიიხედ-მოიხედა, თვალყურს ხომ არავინ გვადევნებსო და ბუზღუნბუზღუნით, ვითომდა ახალი დავალების მიღების გამო ძალიან უკმაყოფილო იყო, ჩანჩალით მიმავალ გოიაევს გამოუდგა.

— სადა ხარ ამდენ ხანს, რატომ გუშინ არ მოხვედი? — მიახლოვებისთანავე მიახალა მან კოსტას და ურიკასთან ადგილი დაიკავა.

— ნუ ყვირი. აქ ჩვენები მუშაობენ, — მშვიდად უპასუხა გოიაევმა. — იქით ვილაპარაკოთ.

ორმოციოდე ნაბიჯი ხმაამოუღებლივ გაიარეს. მთავარ გვირაბს ორთავე მხრივ განშტოებები ჰქონდა და ამ განშტოებებში იარაღ-საჭურვლით სავსე იმდენი ყუთი ელაგა, რომ გვერდის ავლა არცთუ ისე ადვილი საქმე იყო. ალაგ-ალაგ მუშაობით ქანცგაწყვეტილი ადამიანები ფუსფუსობდნენ და რაღაც მძიმე საგნები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰქონდათ. შორიდან სახეების გარჩევა ჭირდა. ევგენი მთელი ძალით აწვებოდა ურიკას და თან ფეხს არიდებდა კარგა მოზრდილ ღელეს, მთავარ ტალანში გვირაბის სიღრმიდან ჩუმი შრიალით რომ მოედინებოდა. „სადამდე ვივლით?“ — გაიფიქრა მან და სცადა გონებაში აღედგინა ზღვის ნაპირის მოხაზულობა. თუ ვარაუდი არ ღალატობდა, ისინი სწორედ ზღვის მხარეს მიდიოდნენ, დიუნების ქვეშ და

ნაპირამდე დიდი მანძილი აღარ უნდა ყოფილიყო დარჩენილი.

— აქ გადმოვიღოთ, — თქვა გოიაევმა და ურიკა გააჩერა, თან დიდი სიფრთხილით აქეთ-იქით იყურებოდა.

— ამას შენ მოერევი, ადამიანო? — წამოიძახა ევგენიმ.

— დავაყირავოთ და თავად გადმოცურდება.

— გუშინ რატომ არ მოხვედი?

— არ მცალოდა. გაიწი, ფეხზე არ დაგეცეს. საქმე დამავალეს. კიდე არ იშლი შენსას?

— ბავშვი ხომ არ გგონივარ!

— გერმანელებმა, ევგენი, ხუმრობა არ იციან. — კოსტამ კასრი ძირს დაუშვა და მაშინვე ღელის მხრიდან მოუარა, რათა კედელთან მიეჩოჩებინა. — გაიგე?

— არც მე ვიცი ხუმრობა! — მოსჭრა არტემიძემ. — დიდი ხუმარა ვინმე მნახე.

— შენ და ესენი მერე ერთი ხართ?

— სწორედ რომ არა ვართ ერთი, კოსტა. თუ ბიჭი ვყოფილვარ, ამას შენი თვალით დაინახავ!

— რას აპირებ, კაცო, გამაგებინე. ისე მაინც ნუ მომკლავ...

— კოსტა, დროს ცუდუბრალოდ ნუ ვკარგავთ, გუშინდელისა არ იყოს... შენ ეს მითხარი: იარაღის გატანის რაიმე საშუალება არის თუ არა აქ? ჩვენი ყოფნა-არყოფნა, ნუ დაგავიწყდება, ამ ამბავზე ჰკიდია.

— რად გინდა, ბიჭო, იარაღი, ვის უნდა ეომო?

— მაგას ნუ მეკითხები. დავალება მივიღეთ. ჩვენ ვალდებული ვართ შევასრულოთ.

— ვაჟკაცურად მითხარი: მაგას მართლა მეუბნები თუ მცდი?

— შენ, კაცო... ახლა თავიდან დავიწყო ყველაფერი?

— დაიწყო... რატომაც არ უნდა დაიწყო. შენ თუ კარგი კაცი ხარ და სინდისი სუფთა გაქვს, აგრე როყიოდ როგორ გამიბედე... ვთქვათ, მართლა გავგიჟდი და მეც აგყევი. მერე შენ ჩავარდე, ყელში წაგიჭირეს და ყველაფერი გათქმევინეს. რა ვქნა მაშინ მე? ცოლ-შვილი რაღათი ვანუგეშო? იქნება [illegible] მოგზავნილიცა ხარ და ჩემი დაღუპვა გინდა?

— ძმად შევეფიცოთ ერთმანეთს, კოსტა! — მთელი გრძნობით შესძახა არტემიძემ და გოიაევის კოტიტა მარჯვენას წაეტანა. — თუ ჩვენ ორს შორის ერთმა მეორეს უღალატოს, იმ მოღალატეს შხამად და სამსალად შეერგოს დედის რძე, არ ეღირსოს სამშობლოში დაბრუნება, ჩალპეს უცხო მიწაში, დღე ღამედ გადაექცეს, გულით საყვარელი — მოსისხლე მტრად, საწოლი — გველების ბუდედ...

— შენ, კაცო, არ მეხუმრები? — გოიაევს ხმა აუთრთოლდა, უკან დაიხია და ფართო ზურგით ნიადაგის წყლებით ჩამოღვენთილ ბეტონის კედელს აეკრა.

— სახუმარო დროა ახლა, კოსტა? გავეფიცოთ ძმად! თანახმა ხარ?

— რა ვქნა... — საგონებელში ჩავარდნილი კოსტა უკვე თავის თავს ელაპარაკებოდა. — ამისთანა დროს თუ კაცი კაცს გაიმეტებს და... გავეფიცოთ, რატომაც არა! — უკანასკნელი სიტყვები მან ოდნავ ხმადაბლა ჩაილაპარაკა, შარვლის ქამარზე თასმით გაბმული ტყავის ქარქაშიდან ალმასივით ალესილი სანადირო დანა ამოიღო, გახსნა და მარცხენა ხელისგულზე, ზედ ცერის ძირში გადაისვა. იმავ წამს, იმავე დანით ევგენიმაც გაისერა ხელი ძმადნაფიცის სისხლისათვის თავისი სისხლის შესაერთებლად. ძმად გაფიცვის ამ მამა-პაპური ჩვეულებისა ერთსაც და მეორესაც ცოტა რამ გაეგებოდათ, მაგრამ როგორც კი ის აღასრულეს, რაც იცოდნენ, ორივეს გულს რაღაც უჩვეულო შვება და სინაზე დაეუფლა. კოსტა უმცროს ძმადნაფიცს გაღაეხვია და დიდრონი, უბოროტო თვალები სიხარულის ცრემლებით აევსო.

— აბა, ახლა რას იტყვი! — ისევ საქმე შეახსენა არტემიძემ.

— კაკოსთან და შამშესთან ხარ დაკავშირებული?

— მაგას ნუ მკითხავ, სულ ერთია, ვერ გიპასუხებ. ყველამ ის უნდა გავაკეთოთ, რაც გვევალება. რა როგორ იყო, მერე გავიგებთ, როცა ყველაფერი დაბოლოვდება.

— მე ხომ გენდობი, ევგენი, აგერ ძმად გაგეფიცე. ძმებს შუა დაფარული რა უნდა იყოს... კარგი, თუ ნება არა გაქვს, როგორც შენ გინდა.

— მოიფიქრე რამე?

— ძალიან გამეცადინებული არიან ეს ღდინძაღლები. ეს ჩინჩაბაძეც... გზაში რომ რამე მოხერხებულიყო...

— მაგას უშენოდაც გავაკეთებდი. ფურგონებზე თვითონ სხედან, გამყოლებადაც თვითონ დასდევენ. გაანძრიე თავი! იარაღი აქედან უნდა გავიტანოთ. შენ გამოიტან!..

— რანაირად, ევგენი...

— ზღვის მხრიდან ამ გვირაბებს დაცვა არა ჰყავს. მე გუშინ ვიყავი და იქაურობა კარგად დავათვალიერე. დიუნებს გადაღმა ორი რკინის კარია. თუ გინდა, დაგენაძლევები — ეს იარაღი ზღვით არის მოტანილი და იმ ორი კარიდან შემოზიდული. მარჯვე კაცი ღამით რომელიმე კარს გააღებს და რაც ჩვენ გვჭირდება, გარეთ გაიტანს. მიხვდი?

— სათქმელად ადვილია ეგ, ევგენი. მთელი ღამე, როგორც კი ჩამობინდდება, ნაპირს პროჟექტორებით ანათებენ. ნაპირის გაყოლებაზე მეტყვიამფრქვევეები პატრულობენ და ეგ ღდინძაღლები ისე ფხიზლად არიან, ჭიანჭველაც ვერ გაეპარებათ.

— აბა, რა ვქნათ, დავიკრიფოთ გულხელი და ვიყოთ ასე?

— იქნება სხვა რამე მოგვეგონებინა.

— პირველ ჯერზე ბევრი არ იქნება საჭირო, კოსტა. ოციოდე კილო ტოლი, ამის პატრუქი, კაპსულები, ხუთი-ექვსი ავტომატი და ვაზნები, მარჯვე კაცი ამას ორ გზად გაიტანს. მერე მე ვიცოდე! ნუღარ ყოყმანობ ახლა. ადვილი არ არის, ვიცი. ადვილი არც იქიდან წაღება და საჭირო ადგილზე გადაცემა იქნება. შენ ასე ქენი: გამოიტანე და სამალავამდე მიათრიე. იმავე წუთში გავაქრობთ იქიდან, რა გინდა მეტი! კვალიც არ დარჩება!

— რა ვქნა, ძმაო, ევგენი, მარჯვენა თვალი ცუდად მითამაშებს. ვატყობ, ეს საქმე უხეიროდ დამთავრდება. დავიღუპებით ყველა ტყუილ-უბრალოდ. თავი არ მენანება, ღმერთმა იცოდეს, — კოსტამ ყურებამდე ჩამოფხატული პილოტურა მოიხადა, ჭერს აჰხედა და მერე ისევ მოირგო თავზე — ცოლშვილის ჯავრი მკლავს. შენ ბავშვი-კაცი ხარ და ამას იქნება კი ვერ მიხვდე. ყოველღამე მესიზმრებიან. ხან ცალკცალკე, ხან ყველა ერთად. გადარევას ცოტა მაკლია. სადმე ახლოს რომ ვიყო, ჯანი გავარდეს, გავიპარებოდი. გავიპარებოდი, მაგრამ აქედან სად გინდა წახვიდე — ქვეყნის კიდეზე გადმოგვყარეს! ან შენ ხარ ჩემზე უკეთეს დღეში თუ? ჯერ პირზე რძე არ შეგშრობია. სიმწარის მეტი ცხოვრებაში რა გინახავს! რისთვის უნდა ჩაკვდე, ბიჭო, აქ, პირშავი მტერი რისთვის უნდა გაახარო! თავს იღუპავ და ძმად იმიტომ გამეფიცე, რომ ამ უკეთურ საქმეში მეც ხელი შეგიწყო? შენ ცოდვას მაინც რაღას მკიდებ, კაცი არა ხარ?

— მოვრჩეთ, კოსტა, — რბილად, თითქმის დაყვავებით შეაწყვეტინა არტემიძემ. — დანარჩენი მერე ვიწუწუნოთ. აქ დიდი ხანია ვდგავართ და ვილაცა შობელძაღლი ყურადღებას მოგვაქცევს. ახლა შენ მარტო წადი და შენი საქმე მოაგვარე, მე ისევ ბიჭებთან დავბრუნდები.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ჩაჩავა

## სადაც უკრავდნენ შოპენს

მე ვხდავ შოპენს.
მე ვუსმენ შოპენს,
და ვგრძნობ მის ტკივილს,
უდიდეს სევდას —
მისი ბგერები სულს მოუხმობენ,
თავს აფარებენ ტკივილის დედას.
გაოგნებული რაღაც სიმთვრალით,
თუ აღტაცებით ჯერ არ ნახულით,
მათი შუქფენაც, მათი სიმკრთალეც,
მარადისობის არის მსახური.
კი არ სტირიან, ეს სევდა იბრძვის,
ადამიანის უსაზღვრო სევდა, —
სევდასაც თურმე სუნთქვა აქვს სიბრძნის,
ბორგვას სულისას მარად რომ სდევდა.
მეც ავყოლილვარ, ფეხდაფეხ მივსდევ
სულის ბორგვას და სულის ხეტიალს.
და საოცარი ის ღამეც, ის დღეც
ჩემ სულში ვერსად ვერ ჩაეტია.
რა ქარტეხილი, რა ძალა მოაქვს
ამ უსასრულო ბგერების ჭიდილს,
იმ ბგერების დრო ხომ სულ სხვა დროა,
ახლაც ატყვიათ სიმძლავრე დაღი.

## სხვა აზრისა ვარ

ამბობენ ხშირად,
რატომ გვიან არ დავიბადეთ,
ან ასე სწრაფად
რატომ ვიზრდებით.
მე კი სავსებით
კმაყოფილი ვარ
საოცრებათა მოწმე რომ გავხდი,
და მონაწილე —
უდიდესი კატაკლიზმების.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალალი კაცი

მე ღმერთი არ ვარ
ნამდვილად ვიცი
და არც ღმერთკაცის
სახელი მქვია,
ალალი, კაცის
სახელი მერქვას,
ჩემთვის სრულიად
საკმარისია --
ოღონდ ვატარო
გული ვეება,
ვთესო სიკეთე
და სათნოება.

## ჩემს სიკვდილს

მომიახლოვდი, გვერდით დამიჯექ,
სმენა დამიხშე, ხედვას მიმძიმებ.
აგირჩევივარ ახლა სამიზნედ,
სულგანაბული თრთი და ციმციმებ.

არ მოგიცია ჩემთვის სიცოცხლე
და რატომ გინდა იგი წამართვა,
შეფარებიხარ ჩრდილებს და ჩონჩხებს,
ჩემ დათვლილ დღეებს ჩუმად წარმართავ.

მე რომ წამიღო უხმოდ, უჩინრად,
მაინც ვერ მომკლავ სიცოცხლით სავსეს,
ჩემი სულისთქმა, დღესაც, გუშინაც
ირგვლივ სივრცეებს ავსებდა, ავსებს.

მე თან ვახლავარ მზესაც, წვიმასაც.
მოვყვები ბალახს, ხეების შრიალს,
დილის სილურჯეს, ღამის კვიმატსაც,
მე რომ არ ვახლდე არ შემიძლია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით კვიცარიძე

# მშვიდობით, უსიერო ტყეებო!

## რომანი

ახლა ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აგერ, ხუთიოდე ნაბიჯში ზის ქალი, გერმანელი ქალი. არიული სისხლის ქალი, კატის თვალებით მომჩერებია, ცბიერად იღიმება და ყოველ ჩემს მოძრაობას უთვალთვალებს, ამოწმებს და პასუხს ელოდება. დარწმუნებულია, რომ პასუხისათვის მთელი დღე და ღამე არ ვიფიქრებ. ამდენი ფიქრის უფლება ახლა არა მაქვს მე, მისი აზრით ყველასგან მიტოვებულსა და მივიწყებულს. უმეგობროდ, უამხანაგოდ დარჩენილს, გამოუვალ ჩიხში მომწყვდეულს, სიცოცხლეზე, საკუთარი ტყავის გადარჩენაზე მეოცნებეს.

არიული სისხლით, ჰმ!

„ბოგუშევსკის კომენდანტმა ამიხილა თვალიო, მან გააცოცხლა ჩემში გერმანული სიამაყე და მომცა მიზანიო“.

ნუთუ მართლა იმ გაუპტმანმა შესძლო ამდენი!

„ადრე თუ გვიან სამყარო გერმანიის წინაშე უნდა განრთხმულიყო და განერთხო კიდეცო“.

როგრ უბრწყინავდა თვალები, როცა ამ სიტყვებს ამბობდა.

ერთი შეეხედა რა საცოდავად, რა სასაცილოდ ისხდნენ მანქანაზე მისი „საამაყო“ სახლიკაცები, როგორ იყვნენ ერთმანეთზე მიკრულნი ქვეყნის „დამპყრობნი“, როგორ ჩამოეფხატათ ყურებზე პილოტურები, რა შიშით აცეცებდნენ თვალებს და მაშინ ვნახავდი რა ხასიათზეც დადგებოდა. საიდან აქვს ამდენი თვითდაჯერება, გამბედაობა. ახლა ზის, კატის თვალებს ასირსიმალებს და ჰგონია მის „მომხიბვლელ“ წინადადებაზე ვფიქრობ. ალბათ ეჭვიც კი არ ეპარება, რომ დადებით პასუხს მიიღებს. რა ვქნა? ერთბაშად მივახალო პასუხი თუ შორიდან დავიწყო?

მოვიხედე წამით, მხოლოდ წამით შევაშტერდით ერთმანეთს, არ ვიცი რა ფერი მედო, ან ისე უცებ რა ამოიკითხა ჩემს თვალებში. ფეხზე წამოიჭრა, ხელები ჯერ გულზე იტაცა, მერე განწირულივით გაასავსავა და კარს გახედა. მგონი ინანა, კარი რომ შემოსვლისთანავე ჩაკეტა.

რამდენჯერ უნდა გავათაო სიცოცხლე? რამდენჯერ უნდა დამაწყდეს ნერვები? ხომ არ სჯობია ერთხელ და სამუდამოდ მოვრჩე და მოვისვენო.

ახლა ნელა, სულ ნელა წავალ მის-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 4.

კენ. ხელებსაც გავშლი, გავუღიმებ კიდეც. აკი თვითონ მითხრა, მაკოცეო. თავს ისე მოვაჩვენებ, თითქოს საკოცნელად მივიწევდე. თითქოს უკვე მოვღუნე თითი და ყველაფერზე თანახმა ვარ.

მაგიდაზე გრძელი დანა დევს.

ვნახოთ რა ფერისაა არიული სისხლი.

ნუთუ ვერ გამიგებენ ამხანაგები, ნუთუ ამ გარეწარის დაკვლისათვის დამსჯიან. მერე რა სიმპატიური ადამიანია ადამ სტელმახი. შეუძლებელია ასეთმა კაცმა გამიმეტოს.

კარებს გარედან ჩავკეტავ, პირდაპირ შოროპს მივადგები და ვეტყვი. ჩემი დიასახლისი შემომაკვდა, ქმარი გაიქცა, რაც გინდათ ის მიყავით-მეთქი.

იანოვო? ამაღამდელი დავალება? ამ ქალის სიკვდილი უმალ გახმიანდება. ზუდა და მის გარშემო სოფლები გერმანელებითა და პოლიციელებით გაივსება. ერთი პოლიციელის ჩამოხრჩობისათვის უამრავი მართალი ადამიანის სისხლი დაღვარეს, ოჯახები გაანადგურეს, სახლები დაწვეს. და არიული სისხლის დაქცევისათვის რაღას იზამენ?

რას იზამენ და ქვას-ქვაზე არ დატოვებენ. შეიძლება ეს სოფელი დედაბუდიანად გადაწვან და პავლე შოროპიც ზედ მიაყოლონ. და ყოველივე ამისათვის მადლობას მეტყვიან? თავზე ხელს გადამისვამენ?

— ეს სახლი რითაა დახურული?

—რაო? — ასეთი უადგილო, მოულოდნელი კითხვის გამო პირი დააღო. ალბათ გაიფიქრა, რომ ჭკუაზე გადავდექი.

— ეს სახლი ისლითაა დახურული თუ ყავრით?

— ყავრით. რატომ მკითხე? — დაიძაბა.

— ისე. აგერ თქვენს სოფელს გავცქეროდი. ზოგი სახლი ისლითაა დახურული, ზოგი ყავრით. ერთშიაც ადამიანები ცხოვრობენ და მეორეშიც... მეც ისლით, დახურული სახლი ვარ. შენი მეულლის გამონაცვალი ხამი სხეულს მწიწკნის, მსუსხავს, მეხამუშება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ის ხამია, შინ, კუსტარულად ნაქსოვი ხამი. სისხლი კი, სისხლი სანამ არ დაიქცევა არავინ იცის რა ფერისაა, რა ჯიშისაა. საქართველო თუ გაგიგონია, ჩემო კეთილო დიასახლისო?

— საქართველო? არა.

— სამწუხაროა, და მაინც არის ასეთი ქვეყანა. მარადიული თოვლიანი მთების, ზღვის, ტბების, მდინარეების, ნაკადულების და სულისმომბრუნებელი წყაროების პატრონი.

არა მგონია ასეთ ქვეყანაში გაზრდილი კაცის ძარღვებში სხვაზე ნაკლები სისხლი ჩქეფდეს და არც ის მგონია, ასეთი ქვეყნის შვილმა ვისმეს სამადლოდ გაუწოდოს ხელი.

— ძალა რომ აღმართს ხნავს, ხომ გაგიგონია? — თქვა უკვე დამშვიდებით, ფეხიც მოინაცვლა, დაწყნარდა. — გაიძულებენ. იმ მდინარეებსაც გადასცურავენ, მარად თოვლიანი მთებიც ვერ დაუდგებათ წინ, გადივლიან და ხვალ თუ არა ზეგ იმ შენს სანაქებო, სულისმომბრუნებელ წყაროებსაც დაეწაფებიან.

— მთებსაც გადივლიან?

— გადივლიან!

— ძნელია!

— გერმანული იარაღისათვის სიძნელე და დაბრკოლება არ არსებობს. — ხელები დაუშვა, საბოლოოდ დაწყნარდა და ჩამოჯდა.

— იცით, იმ მთებზე ჯერ გადამთიელის ფეხი არ დადგმულა. რაღაც ჯადოსნური მთებია, შორიდან გეკეკლუცება, გიზიდავს, გეძახის, გიტყუებს და შენც მისკენ მიდიხარ. მიდიხარ, მაგრამ რაც უფრო უახლოვდები, მით უფრო გშორდება, გრძნეულ საფარში იმალება. თუ არ მოეშვები და მაინც მიეძალები, ნისლში გაგხვევს და გშთანთქავს. ასე ამბობს ჩვენი ლეგენდა.

— მერე? ახლა ლეგენდებისა და ზღაპრების დროა?

— ხალხის სიბრძნე ასე ამბობს. ხალხი ყველაფერია, ანა. აი, მე წუხელ გიცქერდით, როგორ ცახცახებდით იმ ტანმორჩილი პარტიზანის წინაშე. მუხლზე

დაცემაც კი იკადრეთ... ის პარტიზანი მგონი სხვებისგან, ჩვეულებრივი ადამიანებისაგან არაფრით გამოირჩეოდა, ერთი უბრალო რუსის ბიჭი იყო. თქვენ კი იატაკზე იხოხეთ, სიცოცხლის შენარჩუნება ითხოვეთ. რა იყო ეს? ინსტინქტი თუ ადამიანური სისუსტე? ახლაც ისე ჰიცქერით, თითქოს გეშინიათ, რომ მე წონასწორობა არ დავკარგო და...

— მე შენი არ მეშინია!

— და მაინც თრთით, კანკალებთ. რატომ? თქვენ იცით, რომ მე შემიძლია დავწვდე ამ დანას, აგერ მაგიდაზე რომ დევს და უცებ გავიგო რა ფერისაა არიული სისხლი... მაგრამ ნუ ღელავთ, მე ამას არ ჩავიდენ. თქვენ მე არარაობად მთვლით, მამცირებთ. მე კი მაინც მახსოვს, რომ სწორედ თქვენ მიხსენით სიკვდილისაგან. ამიტომ მე უნამუსოდ ვერ მოგექცევით. დღეს თქვენ გულახდილად, დაუფარავად მითხარით ყველაფერი. დარწმუნებულიც იყავით, რომ მე, ვიღაც უთვისტომო ახალგაზრდა ცდუნებას ვერ გავუძლებდი, ხბოს სიხარული ამიტანდა და ყელზე ჩამოგეკიდებოდით. და აი, ხომ ხედავთ, ჯერჯერობით მსგავსი არაფერი მომხდარა. ეს დილა მაინც დაიხსომეთ, ანა. აქამდე ჩვენ ბარი-ბარს ვიყავით. ერთხელ თქვენ გადამარჩინეთ, ერთხელაც მე დაგიხსენით სიკვდილისაგან. აწი კი თქვენ ისევ ვალში ხართ. ოდესმე ამ ვალის გადახდა დაგჭირდებათ. ნუ გეღიმებათ, მე არ ვხუმრობ. რაც შეეხება თქვენს წინადადებას, ნება მომეცით თქვენ მიერვე ბოძებული დრო გამოვიყენო, მთელი ეს დღე და ღამე ვიფიქრო და პასუხი დილით მოგახსენოთ!

ანა მაინც იღიმებოდა, თუ იცინოდა. თითქოს ჩემი სიტყვები აინუნშიაც არ ჩაეგდო. ეშმაკიც ვერ გაუგებდა თუ რას ფიქრობდა იმ წუთში, რა აზრები უტრიალებდა თავში.

ეს უცნაური, მხოლოდ ასეთი გაორებული, მზაკვრული სულის ადამიანებისათვის დამახასიათებელი ღიმილი შეგძრავდათ.

თავს თუ ძალას დაატანდით, თუ გაუძლებდით და რამდენიმე წამით მაინც გაუშტერებდით თვალს, შესაძლოა ღრმად, ძალიან ღრმად დაფარული მტრობა ამოგეკითხათ... მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და მეტი არაფერი.

და მეც გავუძელი. პირდაპირ თვალებში შევყურებდი. შევყურებდი თვალის დაუხამხამებლად, ჟინიანად, უტიფრად. ისიც ასე, რაღაცნაირი დაძაბულობით. მიცქეროდა, კატის თვალებით მხვრეტდა, მჭამდა, მაგრამ მე უკვე შეჩვეული ვიყავი ამ თვალების მომნუსხველ მზერას და ვცდილობდი, რადაც არ უნდა დამჯდომოდა, როგორადაც არ უნდა გამჭირვებოდა, მას ახლა ჩემი თვალების პარპალი არ უნდა დაენახა.

ასე მივჩერებოდით ერთმანეთს და მაშინ ერთი, არცთუ ისე შორეული ამბავი გამახსენდა.

... დასავლეთ ბელორუსიის ერთ პატარა, მაგრამ საოცრად ლამაზ ქალქში ვიდექით. ორად-ორი, არცთუ ისე ფართო ქუჩა და მოედანი, ძველის-ძველი ბაღი, უზარმაზარი ეკლესია და, რაც მთავარია, ბაზარი იყო ამ ქალაქის მშვენება. ქუჩებში და მოედანზე იშვიათად დაინახავდით შეჯგუფულ ხალხს. არც ბაღში იყრიდნენ თავს. მწვანედ შეღებილ სკამებზე აქა-იქ ჩამომჯდარ და გაზეთის კითხვაში გართულ მოხუცებს თუ მოკრავდით თვალს. ქუჩებში მოქალაქენი რატომღაც მუდამ ჩქარი ნაბიჯით მიმოდიოდნენ. სამაგიეროდ ბაზარში შეეძლოთ საათობით დგომა და ყაყანი.

იმ დღეს ზემდეგმა მე და ვასოს ქალაქში გასვლის ნება დაგვრთო. ამ ნებართვის დამსახურებისათვის თუ მეტი არა, კვირის განმავლობაში მაინც უნდა გვემსახურა სანიმუშოდ. არც ერთხელ არ უნდა მიგვეღო ზემდეგის, ან უმცროსი მეთაურის შენიშვნა და შესაძლოა, მხოლოდ ამის შემდეგ გამოეღოთ წყალობა, ისიც მაშინ, თუ ნებართვის მოცემისას ზემდეგი კარგ გუნებაზე იქნებოდა. ასე იყო თუ ისე, მე და ვასომ შევძელით მისი გულის მოგება, ნებართვა ჯიბეში ვიტუცეთ და ქალაქში გავედით. ჯერ

ერთ ქუჩას დავყევით, მერე მეორეს. ბაღშიც შევიხედეთ.

ქალაქის ცენტრალურ კლუბს ერთი საათით ადრე მივაშურეთ, ბილეთები შევიძინეთ და კლუბის წინ სპეციალურ დაფაზე გაკრული აფიშა წავიკითხეთ. აფიშაზე ილუზიონისტის სურათიც იყო.

კლუბში შევედით. მშვენიერი დარბაზი იყო, სუფთა და ნათელი, ასე, ოთხასამდე კაცი დაეტეოდა. ჩვენ-ჩვენი ადგილები მოვიძიეთ და დავსხედით.

ილუზიონისტმა მართლაც ბევრი საინტერესო ნომრით გაგვაკვირვა. ტაშისცემით ხელის გულები დაგვიწითლდა. აქ ერთი მეტად სასაცილო ამბავიც მოხდა და სწორედ ის ამბავი გამახსენდა ახლა.

ილუზიონისტმა მორიგი ნომრისათვის პირველ რიგში მჯდომი ქალი სცენაზე მიიწვია. სავარძელში ჩასვა, ერთხანს ეჩურჩულა და დააძინა. ხალხი გაინაბა. ფრაკიანმა მძინარე ქალს რამდენიმე შეკითხვა მისცა. თვალებდახუჭული ქალი მის კითხვებზე ისეთ სასაცილო პასუხებს აძლევდა, რომ მთელი დარბაზი მაყურებლების ხარხარისგან ზანზარებდა. პირველ რიგში ვიღაც პოლკოვნიკი იქაჩებოდა, ეტყობოდა იმ ქალის ქმარი იყო.

ფრაკიანმა ქალი ისევ იმ ტკბილი ჩურჩულით გამოაღვიძა, ხელი გამოსდო, სცენიდან ჩამოაცილა, პოლკოვნიკის გვერდით დასვა, თავი დაუკრა და ისევ სცენას მიაშურა.

— ახლა მე შევეცდები, — მოგვმართა მან. — ყველა თქვენგანი დავაძინო.

ხალხი ჯერ შეიშმუშნა, მერე შეინძრა, აწრიალდა, ახმაურდა. ზოგი ადგა კიდეც და გასასვლელისკენ წავიდა. ბოლოს დარბაზი დაწყნარდა და კვლავ გაინაბა. ილუზიონისტი პარტერში ჩამოვიდა, წინა სამ რიგს ჩაუარა, შავ ჯოხს დირიჟორივით იქნევდა და დაახლოებით ასე ჩურჩულებდა:

— ათის დათვლაში თქვენ დაიძინებთ, მშვიდად, უშფოთველად დახუჭავთ თვალებს და გექნებათ სიამის ძილი...

ისევ აიქნია ჯოხი, ახლა უფრო ნელა, უფრო მოხდენილად შეარხია მხრები და გაიმეორა: — ათის დათვლაში თქვენ დაიძინებთ. მშვიდად, უშფოთველად დახუჭავთ თვალებს და გექნებათ სიამის ძილი. ეს სიტყვები მესამედაც გაიმეორა და მერე მართლაც რაღაც გრძნეულად დაიწყო თვლა: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი შვიდი... — რვა აღარ უხსენებია, უკვე ყველას ეძინა.

მე და ვასო მეექვსე რიგში ვისხედით, ახლა ჩვენი ჯერი იყო და სიმართლე გითხრათ ცოტა შემეშინდა კიდეც, ვაითუ დამაძინოს და მერე ჩემი გამოღვიძება ვეღარ შესძლოს-მეთქი.

ფრაკიანმა ისევ გადმოგვხედა თავისი დიდრონი შავი თვალებით და დაიწყო ათის დათვლაში თქვენ დაიძინებთ...

მერე ნელა ასწია ჯოხი და გაიმეორა. მერე დაიწყო თვლა. ერთი, ორი, სამი, ოთხი...

ვასოს შევხედე. ზის და აბრიალებს კეცისოდენა შავ თვალებს. მანაც შემომხედა, ჩაიცინა და თვალი ჩამიკრა.

— შვიდი, რვა, ცხრა, ათი... გარკვევით მესმის ფრაკიანის რბილი, ხავერდოვანი და რაღაც შემპარავი ხმა. თვალები დავაფახულე. არ მძინავს. შევინძერი და ვასოს ფრთხილად გავკარი მხარი, მერე მაყურებლისკენაც გავბედე გახედვა. ყველას ეძინა, ყველას ჩვენს გარდა. ილუზიონისტმა, რა თქმა უნდა, შეგვნიშნა, მოგვიახლოვდა და შიგ თვალებში ჩაგვხედა. ჯერ ერთს, მერე მეორეს, მერე ორივეს ერთად. შავი ჯოხი ზედ თვალებთან მოგვიტანა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ჩემზე არავითარმა ჯადომ არ გასჭრა .იგი არ გაბრაზებულა, არც არაფრით გამოუხატავს გაკვირვება, მოგვშორდა და თავისი საქმე განაგრძო.

მალე მთელ დარბაზს მართლაც მშვიდად და უშფოთველად ეძინა.

ფრაკიანი ისევ პირველ სამ რიგს დაუბრუნდა, სწორედ პოლკოვნიკისა და მისი მეუღლის გვერდით დადგა და კვლავ გაისმა მისი ხავერდოვანი ხმა:— სამის დათვლაში თქვენ გაიღვიძებთ.

თავს იგრძნობთ მსუბუქად, მხიარულად, უზრუნველად. აბა, ვიწყებ: ჯოხი ასწია. — ერთი, ორი და სამი!

ყველას ერთბაშად არ წამოუყვია თავი, ნელ-ნელა, ზმორებით გაიღვიძეს. და სულ რაღაც ნახევარ წუთში სამივე რიგი გაცოცხლდა.

ფრაკიანი ახლა ვასოს გვერდით დადგა. მარცხენა ხელით მის მხარს დაეყრდნო და სანამ რაიმეს იტყოდა, ვასომ ჰკითხა:

— კი მაგრამ, პატივცემულო, ჩვენ?

— თქვენ? — გაიღიმა. — თქვენ ეს არ გეხებათ. ასეთი თვალებით თვითონვე შეგიძლიათ დააძინოთ სხვები. — და იმავ წამს განაგრძო:

— სამის დათვლაში თქვენ გაიღვიძებთ. თავს იგრძნობთ მსუბუქად, მხიარულად, უზრუნველად. აბა! ეერთი, ოორი და საამი!

აქაც იგივე სურათი განმეორდა, მაგრამ ჩემს წინ მჯდომი მოქალაქე, რომელსაც თავი წინა რიგის სკამის საზურგეზე ჩამოედო, არც კი შერხეულა.

ფრაკიანმა მას ჯოხი ზურგზე მსუბუქად დაჰკრა, მერე ხელიც მიაშველა, შეანჯღრია კიდეც, მაგრამ კედელს ეყურება რამე?

ახლა კი შევატყვე, რომ ფრაკიანი ოდნავ შეშფოთდა. ხალხმა თავი მიიღრიცა, ზოგი ფეხზეც დადგა. ყველას უნდოდა დაენახა თუ რა ხდებოდა დარბაზის მეხუთე რიგში. ფრაკიანი იმ მოქალაქეს ორივე ხელებით დასწვდა და დაქაჩა. მოქალაქე ერთბაშად წამოიჭრა ფეხზე, ფრაკიანს ნამთვრალევი, ამღვრეული თვალები დაუბრიალა და შეაგინა:

— მომეშვი ერთი შენიც...

ხალხმა გადიხარხარა, ფრაკიანმაც გაიცინა.

... „ასეთი თვალებით თვითონვე შეგიძლიათ სხვები დააძინოთო“, — გვითხრა მაშინ ფრაკიანმა, მაგრამ ჩემი დიასახლისის კატის თვალებს მე ვერ მოვერევი. ეს თვალები ან ალერსით უნდა დაიხუჭოს, ან ტყვიით. ტყვია კი ჯერ ადრეა, ის წუთი ჯერ არ დამდგარა.

დავუთმე, თვალები დავხარე და ისე, სხვათაშორის ვთქვი:

— კარტოფილი ალბათ უკვე გადაიხარშა, სულ ჩაიქნა-მეთქი.

— ღმერთო მომკალი, როგორ გადამვარდა გულზე! — ყასიდად შეიცხადა და ღუმელში შეიხედა.

მოდი და ებრძოლე ასეთ ქალს!

მაგიდა თვალის დახამხამებაში გააწყო. ასეთი გულუხვობა არასოდეს გამოუჩენია. მოხარშული ხორცი, კარტოფილი, რძე, ხაჭო, ორნაირი მწნილი და ნახევარლიტრიანიც კი მოიტანა.

ერთმანეთის პირდაპირ დავჯექით. კარტოფილი ავიღე, გავფცქვენი და მივაწოდე. მან ხორცი დაჭრა და მოზრდილი ნაჭერი გადმომიღო, მერე ნახევარლიტრიანს საცობი მოაძრო და არაყი ორ ჭიქაში ჩაასხა. ჭიქები ავწიე და გავხედე, ორივეს გაგვეცინა.

— მინდა დავთვრე, ისე უგრძნობლად, რომ ფიქრის თავიც აღარ მქონდეს. შენ?

— მე არაყი არ მიყვარს, ერთი ჭიქაც კი მათრობს.

— შენ არავინ და არაფერი არ გიყვარს. ამიტომ შენ გაგიმარჯოს! — გადაჰკრა, ტუჩი მოიწმინდა და არაყს კომბოსტოს მწნილი მიატანა.

— შენც გაგიმარჯოს, ჩემო კეთილო დიასახლისო! — ჭიქა ავწიე და არაყი წრუპ-წრუპით შევსვი.

— ასე მართლა მალე დათვრები, ერთბაშად უნდა გადაჰკრა, გემოც კი არ უნდა გაუსინჯო. ეს ერთადერთი სიკეთეა, რაც ჩემი მეუღლისგან ვისწავლე.

— ჩვენში...

— საქართველოში? — შემახსენა.

— საქართველოში არაყს არ ეტანებიან. ღვინოს კი უზომოდ ბევრს სვამენ. მაგალითად, მამაჩემი რვა ბოთლ ღვინოს სვამს.

— შენ?

— მე მალე ვთვრები.—ეს აზრი არაყის დანახვისას დამებადა. გადავწყვიტე თავი მოვიმთვრალო, ავმჩატდე, აჲყვეიქნებ დავაცდენინო რამე.

ანა ადგა და მეორე ნახევარლიტრია-

ნიც მოიტანა. მე ცივი უარი ვთქვი. წვეთის დალევა აღარ შემიძლია-მეთქი. ყურიც არ გაუპარტყუნებია. არაყი დაასხა, ოღონდ ამჯერად ჭიქები არ შეუვსია. ჭიქა ავიღე, თვალები ოდნავ მოვლულე, თავი გავაქნიე.

— შენ გაგიმარჯოს, ანა! შენს ბედნიერებას ვადღეგრძელებ. არ გაბრაზდე. მე შენმა ნაამბობმა ცოტა დამაბნია და იქნებ უხეშადაც მოვიქეცი, მაგრამ შენ მაინც არ გაბრაზდე. მე ცუდი ბიჭი არა ვარ, ნამდვილად არ ვარ ცუდი ბიჭი. ცუდი კი არა, კარგი ბიჭიც შეიძლება მიწოდოს კაცმა. აი, ასეთი. — ცერი შევმართე. — ჭიქა-ჭიქაზე მივუჭახუნე, არც ვაციე, არც ვაცხელე და არაყი გადავკარი.

— ასე არ სჯობია? ჰოპ და მორჩა! ახლა მე მიყურე, ჭიქა ასწია პირთან მიიტანა და ყელში გადაუძახა. მერე ცარიელი ჭიქა მაგიდაზე რაღაც დარდიმანდულად გააგორა. ისე, როგორც ნამდვილმა მოქეიფეებმა იციან ხოლმე. ადგა, დაბარბაცდა, გადაიკისკისა და ისევ დაჯდა.

ნუთუ მართლა მოეკიდა არაყი? დათვრა თუ ესეც იგონებს? მე ჯერჯერობით თავს კარგად ვგრძნობ. ერთი ჭიქა არყის დალევა ალბათ კიდევ შემიძლია. უკვე ავყევე? დროა?

ისევ ადგა, დარჩენილი არაყი ორივე ჭიქაში ისე ზუსტად გაანაწილა, გავვოცდი. მერე გადაიკისკისა და საკოცნელად მოიწია, მაგრამ არ უკოცნია. ხელი ჩაიქნია და დაჯდა. ჭიქა დავდგი. უკვე მთვრალი ვარ-მეთქი. ხორცის ნაჭერი შევჭამე. მანაც ჩაიდო პირში ლუკმა.

— საცოლე გყავს? — მომაჩერდა.

— არა!

— საყვარელი?

— კი!

— ლამაზია?

— რა ვიცი.

— ახალგაზრდაა?

— არც ისე, მაგრამ არ ვწუნობ.

— ალბათ ძალიან უყვარხარ...

— ა, ეგ კი არ ვიცი.

სკამის საზურგეს გადააწვა და მთელი წუთი იხარხარა. დიდებულიათ, ნამდვილად ჭკუის კოლოფი ხართ. უყვარხარ თუ არ უყვარხარ, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო. მაინც შენს საყვარელს გაუმარჯოსო. — უნდოდა შეესვა, მაგრამ არ დავანებე, წესით სამადლობელი უნდა თქვა-მეთქი. ამაზე მთლად გადაპიჭინდა. ჭიქა იმ წამსვე ღადგა, წამოიწია, გაიმართა, კაბის კალთა აქაჩა და საკმაოდ მოხდენილად გააკეთა რევერანსი. არაყი მოსვა და მითხრა:

— ცრუობ, მაგრამ მაინც მასიამოვნე. კაცებს სულ უბრალოდ შეგიძლიათ მოიგოთ ქალების გული, მაგრამ ამდენის ცოდნა ჯერ შენ ახალგაზრდა ხარ და გაწყენს. ახლა უნდა ვიმღერო, შენც ამყევი. ხომ იცი სიმღერა? — მე მხრები ავიჩეჩე. მან რომელიღაც გერმანული სიმღერა წამოიწყო. გული ამერია.

მღეროდა. ხან უკან გადაიხრებოდა, ხან წინ. თავსაც აქიცინებდა, მხრებსაც აყოლებდა. მღეროდა მონდომებით, თავდავიწყებით. მისი ხმა გატეხილი ტაშტივით ზრიალებდა. მღეროდა ისე, როგორც ძველის-ძველ ფილმებში მღერიან ხოლმე სევდიან რომანსებს რესტორნის გახრწნილი გოგოები.

იგი მთვრალი იყო, უზომოდ მთვრალი. ამაში მე უკვე ეჭვი აღარ მეპარებოდა.

დადგა წუთი, უნდა დამეწყო, მაგრამ როგორ? საიდან? არაყით მეც კარგა გვარიანად ვიყავი გაბრუებული, მაგრამ საღად აზროვნება შემეძლო და ასეთი მომენტის ხელიდან გაშვება დანაშაული იქნებოდა.

ანამ სიმღერა დაამთავრა. მე ტაში დავცხე. თან თვალები მოვჭუტე. თუ სიფხიზლის რაიმე ნიშანწყალი კიდევ გააჩნდა, ადვილად მიხვდებოდა, რომ მთვრალი ვიყავი. არ ვიცი რა იგრძნო, ან რა ამოიკითხა ჩემს მოჭუტულ თვალებში, მაგრამ ტაშით ძალზე ნასიამოვნები დარჩა. ადგა, ისევ დაიჭირა ჭიქა ხელში და გერმანიის სადღეგრძელო წარმოთქვა.

რაღაც ჩავილუღლუღე, გერმანია

ერთი-ორჯერ მეც ვახსენე და მასაც ამ სიტყვის მეტი მგონი არაფერი გაუგონია. არაყი აღარ შეუსვამს. ჰიქა დადგა, დაჯდა და შემომხედა.

ვაითუ ისეა მთვრალი, რომ აღარაფრის გაგება არა აქვს-მეთქი-გავიფიქრე.

— ანა, ახლა ჩვენ ორივე უგრძნობლად მთვრალები ვართ, ა, ხომ ვართ მთვრალები, ვართ ხომ?

— არა, მე მთვრალი არა ვარ. ყოველ შემთხვევაში უგრძნობლად მთვრალი არა ვარ. უგრძნობლად მთვრალი ამის შემდეგ ვიქნები. — ჰიქას წაეტანა, მაგრამ არ დავანებე, არც გამძალიანებია.

— გეყოფა, ანა! მოდი, სიმთვრალეშიც მოვუსმინოთ ერთმანეთს, ახლა მაინც ნუ მეტყვი ტყუილს. შენ წეღან მითხარი, გერმანიას ჩემი ერთგულება უნდა დავუმტკიცო და ამაში შენ უნდა დამეხმაროო. რაში უნდა დაგეხმარო, რაში უნდა გამოგადგე მე, ანა, არ მისმენ?

— შენ მთვრალი არა ხარ, საშა, საშენკა! შენ ფხიზელი ხარ, მაჯობე და ვაშა შენ! მე ერთი სულელი დედაკაცი ვარ, გამოჩერჩეტებული დედაკაცი... მე უბედური ქალი ვარ, საშენკა და შენ ნუ დამცინებ. მე შენთვის ტყუილი არ მითქვამს. მე და შენ გერმანიაში წავალთ. ხვალვე მივალ ბოგუშევსკის კომენდანტთან და პირდაპირ ვეტყვი, მეყოფა ბატონო ფონ ულბრიხ, ოცდახუთი წელიწადია ვზელ რუსულ ტალახს და მეყოფა. გამიშვით სამშობლოში. გამატანეთ ეს ბიჭი და გამიშვით.

— და გაგიშვებს?

— გამიშვებს. მე ცოტა რამე კი არ გამიკეთებია მისთვის...ა! შენ მართლა მთვრალი ხარ? სიმართლე მითხარი, გულზე ხელი დაიდე და მითხარი, მართლა მთვრალი ხარ თუ იგონებ?

— მთვრალი ვარ და, შენი მოსმენაც არ შემიძლია. სხვა დროს რაც გინდა ის მითხარი. ახლა სულ ერთია ვერაფერს დავიხსომებ. შენ ხომ იმღერე, ახლა მეც მომინდა სიმღერა, ჩვენებური, ქართული სიმღერა და მაცალე! — სიმღერა დავიწყე. იგი სმენად იქცა, გაინაბა. მე ვმღეროდი ჯერ ჩუმად, მერე თანდათან ავუწიე ხმას და ვჰექე. მე თვითონ მომწონდა ჩემი სიმღერა და ისე გავერთე, ანა კინაღამ დამავიწყდა.

— კარგი სიმღერაა, მელოდიური, მაგრამ ერთი მითხარი რა გემღერება?

— ეშმაკმა არ იცის ჩემი თავი!

— იცი, მე გაუპტმან ფონ ულბრიხი, ბოგუშევსკის, ესე იგი ჩვენი რაიონის, უფალი კომენდანტი ხვალ არ გამიშვებს. არც ხვალ და არც არასდროს არ გამიშვებს.

— თუ სჭირდები, რა თქმა უნდა, არ გაგიშვებს.

— ვჭირდები!

— აბა რას ერჩი?

— რომ გამიშვას, შენ წამომყვები?

— არა!

— ვიცი. რომ გეთქვა წამოგყვებიო, ამ ჰიქას შიგ სახეში გთხლეშავდი. ცრუპენტლებს ვერ ვიტან. ცრუპენტელა ერთი კი მიგდია სახლში. ღუმელს ახედ..., ალბათ დაავიწყდა რომ ერმაკი დილით სადღაც გაგზავნა. — შენ ცრუპენტელა არა ხარ. შენ ნამდვილი მამაკაცი ხარ. მე შენ გემორჩილები. ა, მიყურე, ხელებს ვწევ და გნებდები. რაც გინდა ის მიყავი. თუ გული გთხოვს, აიღე ეს ბოთლი, თავზე გადამამსხვრიე. თუ გინდა დანა დამკარი. დანის დაკვრა სჯობია. აი, ეს გრძელი დანა აიღე და აგერ, ა! — გული გადაიღეღა. — აქ დამკარი, რაც შეიძლება ღრმად ჩაუშვი მკერდში დანა და გაიგე ჩემი სისხლის ფერი...

რას დაგიღია პირი? მაინც შენი ხელით უნდა მოვკვდე და რაღას უცდი? მე არ მაინტერესებს შენი სისხლის ფერი. ისედაც კარგად ვიცი, მღვრიეა, ჭაობის წყლის ფერია. ჩემი სისხლი სხვაა. წითელია, კრიალა, ჯიშიერი, არ გჯერა? არ გჯერა ხომ? დამკარი დანა და დარწმუნდები. შეგეშინდა? საშენკა ბიჭო, შეკრთი? წახდი? მე კი არავის და არაფრის არ მეშინია, მე არც სიკვდილის მეშინია. არ მეშინია, არ მეშინია... ამას ახლავე დაგიმტკიცებ. დაგიმტკიცო? თქვი, დაგიმტკიცო? — უცებ დანას სწვდა და რომ არ მემარჯვნა, რომ დანა-

ზე ხელი არ მეტაცნა, ალბათ გულში გაიყრიდა. დამეპაწკურა, ისე გაგიჟდა, ხელზეც კი მიკბინა, მაგრამ დანა ვერ წამართვა. ამ პაწკურში ორივემ გავიბასრეთ თითები. სისხლი თქრიალით წამოვიდა და არც მიცდია შეჩერება. დანა მოვისროლე. თეთრ, გაქათქათებულ სუფრაზე აქეთ ჩემი სისხლი ილვრებოდა, იქეთ ანასი.

იგი გაფითრდა, სახეზე მკვდრის ფერი დაედო. თვალები გიჟივით ატრიალა, ხან ჩემს სისხლს დასცქეროდა შეშლილივით, ხან თავისას. ფეხზე წამოიჭრა, გადიხარხარა და საშინელი ხმით იწივლა:

წითელია! წითელია! წითელია! — მერე მაგიდაზე დაემხო და აქვითინდა.

ერთხანს იტირა, იმოთქმა და ჩაწყნარდა. კაბის სახელო საკუთარ სისხლში ამოეთხუპნა. გაჭრილ თითზე არაყი გადავივლე, არც გაუგია. მე თითი ცხვირსახოცით შევიხვიე.

— დაგეძინა? — ჩავკითხე.

— არა! — ამოიკნავლა.

— მე შენ ვერსადაც ვერ წამოგყვები, ანა! შენ წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

—არ გამიშვებენ! მე მათ ცურანი უნდა ჩავუგდო ხელში. ხომ იცნობ ცურანს? — თავი ასწია.

— არა!

— ცრუობ!

— გეყოფა, ანა... აბა საიდან უნდა ვიცნობდე აქაურ კაცს?

— კარგი, მჯერა, მაგრამ თუ მატყუებ, თუ ასე მოხერხებული ხარ, ღმერთმა შეგარგოს და ეშმაკმა წაგიღოს. ლეონ ცურანი აქაურია. მაშინ იგი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყო, ახლაც უფროსია.

— ახლა ვილას უფროსობს? პოლიციაში?

— წყალი მომაწოდე!

— ინებე!

ჭიქა ჩამომართვა და წყალი არაყივით გადაჰკრა.

— ცურანი პოლიციაში არ არის. იგი პოლიციას ებრძვის, დასდევს. რაღაც ორგანიზაციის ხელმძღვანელია. ხალხს გერმანელების წინააღმდეგ ამხედრებს. წარმოგიდგენია? აქეთ გერმანია, მისი უძლეველი არმია და იქეთ ვიღაც მაწანწალა, გაღლეტილი ცურანი. მართლა არ იცნობ? აბა ღამღამობით ვისთან დადიოდი? ან ისინი, ტყის კაცები თავს რომ დაგვესხენ, საიდან გიცნობენ?

გაგიჟებას აღარაფერი აკლია. ნუთუ ასე უცებ გამოფხიზლდა? ან იქნებ სიმთვრალე გაითამაშა. ჯერ ამას შეშლით არაფერი შეშლია.

— შენ როგორც გაწყობს, როგორც გინდა ისე იფიქრე, ანა. მე ერთხელ გითხარი და თუ გინდა მეათედ გაგიმეორებ. არ ვიცი და არც არასდროს მინახავს ის კაცი. მე ამ სოფელში მხოლოდ შენ, შენს ქმარს და ბურგომისტრს ვიცნობ. ისიც იმ დღეს დავინახე, სოფლის საბჭოს ეზოში დასახვრეტად რომ გამიყვანეს. არც იმ პარტიზანებს შევხვედრივარ არასოდეს. მაშინ მე ისინი გავაცურე, საკუთარი თავისა და შენი გადარჩენისათვის ესლა მოვიფიქრე, მაგრამ გარეთ, თქვენს საბძელთან მთელი საათი მჯიჯგნეს ვინა ხარ და საიდანო. ნემსის ყუნწში გავძვერი. მიმნდობი ბიჭები იყვნენ და დავუძვერი. არც ასე უნდობლობავარგა.

— გინდა დამეხმარო?

—მე თავს არ გავწირავ!

— არც გთხოვ, არც მინდა, შენ რომ მოკვდე, მეც უნდა მოგყვე უკან. ამაში არ დაეჭვდე. იანოვოში ჩადი, ჩემს მეგობარ ქალთან ერთი-ორი დღე დაჰყავი, ოღონდ არ იეშმაკო. ნადია ჩემზე ბევრად ახალგაზრდაა, წუწკიცაა. იგი გასწავლის როგორ მოიქცე. ცურანი თურმე იანოვოში ხშირად ჩადის, იქ სხვებიც იყრიან თავს.

— ვინ სხვები?

— ცურანის ამხანაგები! მისი უფროსებიც.

— უფროსებიც ჰყავს?

— ჰყავს. ორგანიზაციას თვითონ სტელმახი, რაიკომის ყოფილი მდივანი ხელმძღვანელობს. ცურანი მისი უახლოესი თანაშემწეა. მიხვდი? მათ უკვე

შეუქმნიათ პარტიზანული რაზმები, მოქმედებენ, სისხლს უშრობენ გერმანელებს.

... რად დავუშალე, რად არ დავანებე ის დარჩენილი არაყის შესმა? რატომ არ მომტყდა ხელები? იქნებ ახლა ვცადო და შევთავაზო, მაგრამ მეც რა დამალევინებს ამ საწამლავს.

— იანოვო რომელ მხარეზეა? — ვკითხე.

— მეზობელი სოფელია, აქედან ექვსი-შვიდი კილომეტრი იქნება იანოვომდე. წახვალ?

— რა ვიცი, ვფიქრობ. გულით მინდა რაღაც გავაკეთო შენთვის, თან მეშინია. ის ვიღაც ნადია საიმედოა?

— ქმარი პატიმარი ჰყავდა. თავად მომნახა, დამიკავშირდა.

— მე? მე მენდობა?

— მივწერ!

— რა გვარია?

— მართლა წახვალ? კითხვაზე-კითხვით მიპასუხა.

— წავალ, მაგრამ ეს იქნება პირველი და უკანასკნელი. თუ დავიღუპე, ჩემი ცოდვა შენს კისერზე იყოს და ზიდე!

— მე შენ დასაღუპავად არ გაგიმეტებ. ის ქალი მაზნევაა.

— წავალ, ანა, რაკი ვთქვი წავალ. შეღამდება და წავალ. ახლა ცოტას გავივლი, სული მეხუთება.

— არ გამეპარო! ნურც დიდხანს დაყოვნდები, არაფერს გადაეყარო.

— სოფელში არ გავალ, აქვე, საბძელთან გავჩერდები.

გარეთ გავედი. ცივი ჰაერი ჩავისუნთქე და ცოტა მოვფხიზლდი. საბძელთან შევჩერდი. ზურგით საბძლის კარს მივაწექი და იმავ წამს სახლის კარის ჭრიალი მომესმა. არ გამიხედავს თუთუნი გავახვიე და გავაბოლე.

ვიცი, ანა დგას, მითვალთვალებს. რაც შეიძლება უდარდელად ვქაჩავ თუთუნს და, რა თქმა უნდა, ამ უცნაურ ქალზე ვფიქრობ, ვფიქრობ და მიკვირს, ნუთუ მართლა არ მოეკიდა არაყი, ნუთუ მართლა იგონებდა სიმთვრალეს?

მაშ ასე, ამაღამ იანოვოში ორი დავალებით მივდივარ. ძია გრიგორის სიტყვები კარგად მახსოვს, მაგრამ რას მისწერს ანა იმ ქალს? ვაითუ გადაიფიქროს. ვაითუ გამოძინების შემდეგ ისევ დაეჭვდეს. კი, ეს მოსალოდნელია, მაგრამ არასოდეს რომ არ ყოფილა ასე შემტევი და გულახდილი? ნუთუ იმ მაზნევას შესახებ არაფერი იციან ამხანაგებმა? ცხვირწინ თუ გვერდით გამცემი ჰყავთ და იქვე იკრიბებიან?

იქნებ არც ის მაზნევაა მარტო. იქნებ ანას გარდა მას სხვაც ეხმარება. ანას უნდა ვკითხო, ხომ შეიძლება მაზნევა სოფელში არ აღმოჩნდეს და ტყუილად გავიარო შვიდი კილომეტრი-მეთქი.

ფრთხილად გავხედე სახლს, კარი დახურულია. სიამოვნებით ავძვრებოდი ახლა თბილ ღუმელზე და ერთი გემოზე გამოვიძინებდი. დაღამებამდე ჯერ დიდი დროა, თან მცივა. ასე უცებ მიბრუნება მაინც არ ივარგებს, ცოტა კიდევ უნდა დავიცადო.

საბძელს შემოვუარე, კარტოფილის ორმოსთან მივედი. რა დიდებული მოხუცია ძია გრიგორი, როგორ მითხრა? ამათ მოყვანილ კარტოფილს პირში როგორ ჩავიდებო!

მთელი საათი ვიბორიალე სახლის გარშემო, ეზოში, სახლის კართანაც ბევრჯერ მივედი, მივაყურე, მაგრამ შიგნიდან არავითარი ხაიხური არ ისმოდა. ფანჯრიდან შეჭვრეტა ვერ გავბედე. ანას რომ თვალი მოეკრა, დაეჭვდებოდა და ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა.

ისე დავიღალე, თითქოს ქცევანახევარი ყანა გამეთოხნოს, თან სიცივემაც ამიტანა და კარს ნელა მივაწექი, გაიღო. შევედი. ანა ლოგინზე იწვა გულაღმა და ხვრინავდა. ფეხსაცმელი გავიძვრე და ღუმელზე ავძვერი.

კარგა შეღამებული იყო რომ გამომეღვიძა. ჩემს დიასახლისს ლამპა აენთო, მაგიდასთან იჯდა და ალბათ ჩემს გაღვიძებას ელოდა. სწრაფად ჩავიცვი, პირზე ცივი წყალი შევისხი და ჯერ კიდევ აულაგებელ მაგიდას მივუჯექი.

— მწნილი შეჭამე, ხასიათს გამოგიკეთებს. — მითხრა მან. მწნილი ავიღე და ანას ერთხელ კიდევ მოვუწონე ნახელავი.

— ხომ არ გადაიფიქრე?-თქვა და თვალი-თვალში გამიყარა, თუმცა ახლა ისე უტიფრად და გამომცდელად არ მიყურებდა. ყოველ შემთხვევაში მე ასე მომეჩვენა.

— წერილი გაამზადე?

ახლა კი დაკვესა კატის თვალებმა, წამის თუ წამის რაღაც მეათედში გაიელვა და ჩაქრა.

არ გინდა დაწერო? ოღონდ გადაიფიქრე და უფრო მადლიერი დავრჩები. ამ სიცივეში ვერაფერი სახალისოა შვიდი კილომეტრის გავლა და ისედაც გული მიგრძნობს, რაღაც უბედურებას გადავეყრები.

უბეში ხელი ჩაიყო, ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოაძვრინა და გამომიწოდა.

— გინდა წაიკითხე, გინდა შინაარსს გეტყვი.

— წაკითხვა მირჩევნია.

— წაიკითხე!

ქაღალდი გავშალე;

„ნადია, ეს ყმაწვილი სანდოა, გამოიყენე. ცხელი ბიჭია და ტუჩები არ დააწვა. ანა“.

— ეს რაღა საჭირო იყო?

— ნადია ქალია, ნამდვილი ქალი, თვითონვე ნახავ!

— რაში მჭირდება მისი ქალობა?

— დღეს მე შენით კმაყოფილი ვარ, საშა. დღეს შენ კარგი ბიჭი ხარ, ძალიან კარგი და იმედია უკეთესი იქნები ხვალ. მჯერა, რომ არ იცი ვინ არის ცურანი, არ იცნობ, მაგრამ შენი საზრიანობისა და მოხერხებისაც მჯერა. შენ ქართველი ხარ, შენი მთები და ნაკადულები აქედან შორსაა, ძალიან შორს. რა გესაქმება, რა გაკავშირებს ამათთან? ხომ ხედავ, აქაურების საქმე რომ წასულია. ცურანი უნდა მოისპოს, ან უნდა მოკვდეს, ან გერმანელებს ჩაუვარდეს ხელში. ამ საქმიდან მე შენ წმინდად გამოგიყვან და თუ მერე უფრო გამოიჩენ თავს, დაგიფასებენ. შენ დიდი მომავალი გაქვს და ეს მომავალი ამ სახლიდან იწყება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ გულშიც არ გაივლო, — ვთქვი მკაცრად. — მე გითხარი და ახლაც გიმეორებ, ეს დავალება პირველი და უკანასკნელი უნდა იყოს, ახლა წავალ!

— გაგაცილებ, იანოვოს გზაზე დაგაყენებ! — ადგა, ქურქი ჩაიცვა და გამყვა.

სოფელი ისე გავიარეთ არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. ორშა-ვიტებსკის გზატკეცილზე რომ გავედით, ვკითხე:

— კი მაგრამ ის ქალი შინ რომ არ დამხვდეს?

ცოტა ხანს იფიქრა.

— დაელოდე!

— სად? ქუჩაში? ხელი რომ მტაცონ?

— შინ იქნება, ამ დღეებში იგი სოფელს ვერ დატოვებს, ასე აქვს დავალებული.

— ჰოო!

— ახლა წადი, ცოტაზე რომ გაივლი, მარჯვნივ შეუხვიე და მერე პირდაპირ იარე. ის გზა იანოვოში ჩაგიყვანს. ნადია სპირტის ქარხნის ახლოს ცხოვრობს. მისი სახლი ეზოში დგას, ადვილი მისაგნებია. აბა, ნახვამდის, წადი და მალე დამიბრუნდი!

... გზატკეცილს დავადექი, ვიტებსკის მიმართულებით მივდივარ. ხანდახან უკან ვიხედები, მეშინია მანქანა არ წამომეპაროს.

იანოვოს გადასახვევი ადვილად შევნიშნე, გზატკეცილიდან სოფლის გზაზე გადავედი და ფეხს ავუჩქარე. აი, გავივლი ექვს-შვიდ კილომეტრს და იანოვოც გამოჩნდება. რა თქმა უნდა, პირველად ძია გრიგორის მინიშნებულ სახლთან მივალ. იქ ალბათ მელიან. ვინ იცის, იქნებ ცურანიც იმ სახლში დამხვდეს. ფედია ტკაჩენკოს და ქენია დორონინს რომ შევხვდები, ამაში ეჭვიც კი არ მეპარება. თუ ღმერთმა ჰქნა და ამხანაგი სტელმახიც ვნახე, კატეგორიულად მოვთხოვ რაზმში წასვლას. არავითარ შემთხვევაში უკან არ დავიხევ. პარტიზანული რაზმები შეუქმნიათო, თქვა ანამ.

მაინც საიდან იცის ამდენი? იქნებ თვით ბუდაში ჰყავს ამხანაგი. აბა ბოგუშევსკის კომენდანტმა ასე გადმოუყაჰა ყველაფერი? ჩანს ამხანაგები გულხელდაკრეფილები არ სხედან, მუშაობენ, მოქმედებენ, მე კი ჭურში ვზივარ. მეყოფა. იმ ვიღაც მაზნევას ხომ მივაკვლიე, თვითონ ჩემი დიასახლისი მტერია და მერე როგორი მტერი! დანარჩენებზე სხვებმა იფიქრონ. მე მებრძოლი ვარ. ხელში ავტომატი მომეცი და გაჩვენებ რა შემიძლია. ჩემი ჭრილობა უკვე მოშუშდა. სრულებით აღარ მახსენებს თავს. მაშინ კი, ტყეში, მეგონა გათავებული იყო ჩემი საქმე. სისხლი რომ ამოვაფურთხე, სულ გადამეწურა იმედი, კინაღამ ხელი ჩავიქნიე. ალბათ სისხლიანი ხელი მოვისვი ტუჩზე.

რა დიდებული კაცია ექიმი ტიხონოვი! რა მზრუნველობით გვეპყრობოდა დაჭრილებს. რაღაც აბებს ნახევარ ლიტრიანით ფშვნიდა, აზავებდა და ჭრილობაზე გვადებდა. ბუდაში მისვლისას ჭრილობა მთლად მოშუშებული არ იყო. ერთი-ორჯერ მერეც ამტკივდა, მაგრამ არ შევიმჩნიე. არც ანასა და მის ქმარს არ მიუქცევიათ ყურადღება. ტყეში შეშას რომ ვჭრიდით მე და ერმაკი, მაშინ კი მეტკინა, გავუძელი და კბილსკბილი დავაჭირე.

ახლა რა მიჭირს? ბოლოს და ბოლოს ხომ ყველაფერს აქვს საზღვარი. როდემდე უნდა ვიკოტრიალო თბილ ღუმელზე? რა ჩემი საქმეა დიპლომატია? ამხანაგ სტელმახს, ბოგუშევსკის იატაკქვეშა რაიკომის პირველ მდივანს ჯერ ვთხოვ, მერე მოვთხოვ. ნუთუ ვერ გამიგებს?

ბნელა, წინ არაფერი ჩანს. გზა ტალახიანია. ნეტავი რამდენი გავიარე?

ახლა რომ ვასო მყავდეს გვერდით, ან ის რომ მოხვედრილიყო ჩემს ადგილას, როგორ მოიქცეოდა?

ალბათ ჩემზე უფრო ბევრად აზრიანად და წინდახედულად გაუძღვებოდა საკუთარ თავს. არა, ასეთ ჭიდილში იგი არ ჩაებმებოდა, ასე არ გაართულებდა თავის მდგომარეობას. ვასო ისეთი ბიჭია, ასჯერ რომ გაზომავს და საქმე გაჭრაზე რომ მიდგება, მაშინაც დაფიქრდება. ეჰ, რამდენი რამ მაქვს ვასოსთვის მოსაყოლი! როგორ მომენატრენ ბიჭები!

... იანოვო ბუდაზე უფრო დიდი სოფელია, თუმცა ამ სოფელსაც ერთადერთი ქუჩა ჩაუდის და ისე როგორც ბუდაში, აქაც ამ ქუჩის ორივე მხარესაა ჩარიგებული სახლები. რაც შეიძლება ფრთხილად, უხმაუროდ მივაბიჯებ, თან სახლებს ვითვლი. მარჯვნიდან მეოთხე სახლს უნდა მივადგე. გამომხედავს ქალი, რომელსაც ვეტყვი — ძია გრიგორმა გამომაგზავნა, ავადაა და მიეშველეთმეთქი.

მეოთხე სახლთან შევჩერდი. აქ ორი სახლი თითქმის ერთმანეთზეა მიდგმული და ცოტა დავიბენი. უკანვე გამოვბრუნდი და ხელახლა გამოვყევი ქუჩას. ისევ იმ სახლთან მივედი, ჭიშკარი შევაღე და პატარა ეზო გადავიარე. კართან ფანჯარაა. კარზე დავაკაკუნო თუ ფანჯარაზე? ფანჯარაზე სჯობია. ხელი ავწიე თუ არა, იქვე საბძლიდან ვიღაც გამოვიდა და ჯიქურ გამოემართა ჩემსკენ. რევოლვერი მოვსინჯე, მაგრამ არ ამომიღია. ის ვიღაც სულ ახლო მოვიდა და ჩურჩულით მითხრა:

— თქვენ ვინ გნებავთ?

ენა ჩამივარდა. ასე არ იყო დაგეგმილი. მე კარზე ან ფანჯარაზე უნდა დამეკაკუნებინა, გამოიხედავდა ქალი, რომელსაც პაროლს გადავცემდი. ამ ბიჭს კი რა ვუთხრა? ეს ხომ ბიჭია, თოთხმეტთხუთმეტი წლის ბიჭი. ან ასე მუნჯივით სადამდე ვიდგე?

— ვინ გინდათ? — ხმას აუწია ბიჭმა.

— შენ ვინა ხარ?

— მე? მე სტეფანე ვარ!

— კარგი და კეთილი, ჩემო სტეფანე, მაგრამ ეგ შენი სახელი რომ არაფერს მეუბნება?

— საიდან მოხვედით?

— ბუდიდან.

— გასაგებია, დააკაკუნეთ! — თქვა და საბძელში შევიდა. ცხადია მისამართი არ შემშლია. ეს ბიჭი ალბათ მეთ-

ვალყურედ ჰყავთ დაყენებული. ფანჯარაზე ფრთხილად დავაკაკუნე. კარი გაიღო. ქალმა გამომხედა.

— მე ძია გრიგორმა გამომაგზავნაა, ავადაა, და მომეშველეთო!

— შემოდი!

საბძლისკენ გავიხედე და სახლში შევედი. ქალმა კარები ჩაკეტა და მეორე ოთახში შემიშვა. იმ ოთახში ლამპა ენთო, მაგრამ უცებ იქ მყოფნი ვერ გავარჩიე.

— გამარჯობათ! — ვთქვი. სალამზე მიპასუხეს. ვიღაცამ ლამპას ოდნავ აუწია. ოთახი საგრძნობლად განათდა. ახლა გავარჩიე და ვიცანი კიდეც დამხვდურნი. ფედია ტკაჩენკოს გვერდით ლორონინი ზის. შუახნის ტანსქელი კაცი, რომელიც მე არასოდეს მინახავს, თუთუნს აბოლებს. ერთი შემომხედა, თავი დამიქნია და პაპიროსი პირდაპირ იატაკზე დაფერფლა. ვერც მეოთხე ამხანაგი ვიცანი. მეხუთე კი თვით ლეონ ცურანი იყო. ლეონმა ხელი ჩამომართვა და სკამი მომაწოდა. დავჯექი.

— ხომ არავინ შეგხვედრია? — მკითხა ცურანმა.

— არა, არავინ. აქ ეზოში კი ყმაწვილმა დამკითხა.

— სტიოპა ჩვენი ბიჭია! — თქვა ფედიამ.

— მეც ასე ვიფიქრე.

— ბუდაში სიწყნარეა? შოროპი რასა იქს? — მკითხა ცურანმა.

— შოროპი კარგა ხანია არ მინახავს. სოფელში სიწყნარე კია, მაგრამ გააჩნია ვისთვის...

— გავიწროებენ?

— პირიქით, თავს მევლებიან და... — ამხანაგებს გადავხედე. მინდოდა მეთქვა, ახლაც ჩემი დიასახლისის დავალებით ვარ წამოსული-მეთქი, მაგრამ შევყოყმანდი და აღარც ლეონი ჩამეძია. ცურანი იმ ტანსქელ კაცს მიუბრუნდა, თუმცა ყველას გასაგონად თქვა:

— ეს ამხანაგი განსაკუთრებულ დავალებას ასრულებს, ივან ივანიჩ!

— კეთილი! — თავი არ აუწევია, ისე თქვა მან. ნამწვავი იატაკზე დააგლისა, ჯიბიდან ქისა ამოიღო და თუთუნი ისევ შეახვია.

მე მინდა ცურანი მეორე ოთახში გავიხმო, თან სხვების მერიდება. ჩანს აქ ვიღაცეებს კიდევ მოელიან. ჯერჯერობით საქმეზე არ საუბრობენ. ცურანის გვერდით ვზივარ, მინდა ვანიშნო გამომყვეს, მაგრამ ვერ გამიბედია. იქნებ თავად მიმიხვდეს, იგრძნოს, რომ მე რაღაც განსაკუთრებული მაქვს სათქმელი.

— გეჩქარება? — მკითხა.

— არა, მაგრამ...

— არ მოგერიდოს, ეს ამხანაგები სრულიად სანდონი არიან, ამათთან დაფარული არაფერი გვაქვს.

— ამხანაგო ლეონ, ეზო ისე გადმოვიარე, არავის შევუმჩნევივარ.

— სტიოპა?

— კარს რომ მოვადექი, მაშინ გამოძვრა საბძლიდან.

— გგონია მანამდე ვერ შეგნიშნა?

— რა ვიცი.

— შეგნიშნავდა, გაფრთხილებულიც გვყავდა, გელოდა.

— გასაგებია, მაგრამ იმ ბიჭის იმედით გინდათ აქ ითათბიროთ?

— ის ბიჭი ორ ვაჟკაცს სჯობია.

— მე სხვა რამ მინდოდა მეთქვა.

— ნუ გეშინია, დიდხანს არ გალოდინებთ. სადაა ამხანაგი სტელმახიც გაჩნდება და დავიწყებთ.

— მით უმეტეს, თუ აქ თვითონ ამხანაგი სტელმახი უნდა მოვიდეს, მეტი სიფრთხილე გმართებთ. ჩემის აზრით უკეთ უნდა იცავდეთ ამ სახლს, სოფელსაც.

— სოფელში სამი პოლიციელია. ახლა ერთ ოჯახში სხედან, არაყს მიირთმევენ. მათთან ჩვენი კაცია. სანამ არ დაათრობს არ მოეშვება. თუ სოფელში რაიმე საეჭვო შენიშნა, გვაცნობებს.

— აქაურებსაც უნდა ერიდოთ!

— აქაურებს? — ივან ივანიჩს გადახედა.

— ჩემს წასვლამდე აქ ისეთი არაფერი შემიმჩნევია, — თქვა ივან ივანიჩმა, — მერე რა ვიცი რა მოხდა.

— ამ სოფელში არის გამცემი, მას-

თან ჩემმა დიასახლისმა წერილი გამომატანა.

— როგორ, იცოდა აქეთ რომ მოდიოდი?

— არა, თვითონ გამომგზავნა!

ლეონი ადგა, ოთახში გაიარ-გამოიარა, საათსაც დახედა და მეორე ოთახში გავიდა. მეც იმავ წამს ავდექი და გავყევი. ცურანი იმ ქალს ელაპარაკებოდა, ვინაც კარი გამიღო. ქალმა თავშალი მოიხურა და სწრაფად გავიდა სახლიდან.

— ლეონ ფედოროვიჩ, მე ის ქალი უნდა ვნახო. ახლა კი არა, თათბირის შემდეგ მივალ. მისი გვარი მაზნევაა, ნადია მაზნევა. ეს ყმაწვილი სანდოაო, წერს ჩემი დიასახლისი მას. გამოიყენეო და მერე იცით რა საქმეში უნდა გამომიყენოს? დიასახლისმა დამავალა ცურანი გაიცანიო. იგი ან უნდა მოკვდეს, ან გერმანელებს უნდა ჩაუვარდეს ხელშიო. იქნებ სხვებსაც მიაკვლიოვო. ნადიას დაეხმარეო. თქვენზე თვით ბოგუშევსკის კომენდანტი ფიქრობს თურმე. ჩანს ჩემს დიასახლისს სპეციალური დავალება აქვს მისგან. ამხანაგი სტელმახის ნახვა თუ აუცილებელია, ჩვენ თვითონ მივსულიყავით მასთან. თქვენც ფრთხილად უნდა იყოთ. სტელმახი-სტელმახია, მაგრამ თქვენ უფრო მეტი მოთვალთვალე გყავთ როგორც ჩანს.

— თათბირის შემდეგ ცოტა ხანს დავრჩეთ, მეც მაქვს შენთან სალაპარაკო. აქ კი ამაღამ საშიში არაფერია. სტელმახი მარტო არ მოვა. ამ სახლსაც საგანგებოდ დაიცავენ.

კაკუნი გაისმა. მე კარისკენ გავიწიე. ლეონმა შემაჩერა, თვითონ გამოაღო კარი და სტელმახს პარმაღზე შეეგება.

ოთახში სტელმახთან ერთად სამი კაცი შემოვიდა. მათ შორის ერთი ანტონ სუხოდოლსკი იყო.

სახელდახელო თათბირი ლეონ ცურანმა გახსნა და სიტყვა ადამ კონსტანტინეს ძე სტელმახს მისცა. სტელმახი არც დამჯდარა პირდაპირ დაიწყო.

— შემეძლო, ამ თათბირის ჩატარება ამხანაგი ლეონისათვის მიმენდო, მაგრამ იგი უკანასკნელ ამბებს არ იცნობს. ამიტომ მე თვითონ გადავწყვიტე მოსვლა. თავს ვალდებულად ვთვლი გაცნობოთ თუ რა ხდება ახლა რაიონში, როგორ იბრძვიან ჩვენი რაზმები. ბოლო დროს სურათი სულ ერთიანად შეიცვალა. რაზმები მოქმედებენ გაბედულად, ყოველ დღე, ყოველ ღამე ეწყობა ჩასაფრება. საბრძოლო ოპერაციები ტარდება მოფიქრებულად, ყოველი წვრილმანის გათვალისწინებით. სამი დღის უკან ამხანაგ რემოს რაზმმა, რომელიც სოფიევსკის ტყეშია დაბანაკებული, რთული და მეტად გაბედული ოპერაცია განახორციელა. რაზმი თვით ბოგუშევსკის გარნიზონს დაესხა. ეს ყველაზე საგულისხმო ბრძოლა იყო, რასაც განსაცვიფრებელი შედეგი მოჰყვა. ასამდე ფაშისტი დახოცეს. დიდძალი საბრძოლო იარაღი, ტყვია-წამალი და ნადავლი წამოიღეს. აი, რას წერს ამ ბრძოლაზე ვიტებსკის გაზეთი „კოლოკოლი". — სტელმახმა ჯიბიდან გაზეთი ამოიღო, ცურანმა ლამპა ხელში დაიჭირა, გაუნათა.

„ბანდიტები, ათასი კაცის შემადგენლობით, ავტომატებით, ტყვიამფრქვევებით და არტილერიით შეიარაღებულნი თავს დაესხნენ ბოგუშევსკს, მაგრამ ბოგუშევსკის კომენდანტის გაუპტმან ფონ ულბრიხის სიმამაცისა და საზრიანობის წყალობით განადგურებულნი იქმნენ. მათ დიდი დანაკლისი განიცადეს, ბევრია მოკლული და დაჭრილი". — ეს ბოდვა იმიტომ წაგიკითხეთ, რომ ერთხელ კიდევ დარწმუნდეთ თუ როგორ არიან დაშინებულნი ფაშისტები. ამხანაგი რემო დამიდასტურებს, რომ ბოგუშევსკის ოპერაციაში ათასი კი არა, სამოცი პარტიზანი მონაწილეობდა. ოთხი მათგანი დაეცა ამ ბრძოლაში. ბანდიტები ავტომატებით ტყვიამფრქვევებითა და არტილერიით იყვნენო შეიარაღებულნი, წერს ფრიცების გაზეთი, სამწუხაროდ, ჯერ არტილერია არ გვაგვაჩნია. რაზმს მხოლოდ სამი ტყვიამფრქვევი და ხუთიოდე ავტომატი ჰქონდა.

ორშა ვიტებსკის გზატკეცილს გამუდმებით უწევენ კონტროლს ჩვენი

რაზმები. იმ გზით მიდიან ფაშისტები ვიტებსკისაკენ, აღმოსავლეთისაკენ. ფრონტისთვის მოაქვთ საბრძოლო ტექნიკა, გადაჰყავთ ცოცხალი ძალა. ამას წინათ ავაფეთქეთ ხიდი, მოვშალეთ სატელეფონო კავშირი. ყოველდღიურმა ჩასაფრებებმა აიძულა მტერი სხვა გზა მოეძებნა. მოძებნეს კიდეც. ორშიდან ბაბინოვიჩისაკენ აიღეს კურსი და იქიდან ვიტებსკის გზაცაა, მაგრამ ჩვენმა ბიჭებმა აქაც არ მოასვენეს მტერი. მდინარე ლუჩესაზე ააფეთქეს ხიდი. შეფერხდა მტრის მოძრაობა. ეს კი დიდი, ძალზე დიდი საქმეა, ამხანაგებო. გუშინ ორდიშევის ტბასთან გააფთრებული ბრძოლა გვქონდა. მტრის ბატალიონმა შემოგვიტია, მაგრამ წინასწარ ველოდით მათ და დავხვდით.

ბევრი რამ შემიძლია გიამბოთ, მაგრამ კმარა. აქ იმიტომ მოგიწვიეთ, რომ მოვლენების მსვლელობის კურსში ჩაგაყენოთ. ჩვენი მოქმედების შესახებ, ჩვენი იატაკქვეშა რაიონული კომიტეტის მუშაობის შესახებ იცის ვიტებსკის ოლქკომმა. ახლა მთელს ოლქში გაშლილია პარტიზანული ბრძოლა და ბოგუშევსკელი პარტიზანები სხვებზე ნაკლებ არ ურტყამენ მტერს.

ამხანაგო კრეზიჟინსკი! — ივან ივანოვიჩი წამოდგა. — იჯექით, და მისმინეთ: ამაღამვე მიდიხართ რაზმში, მიგყავთ ყველა, ვისაც ენდობით, ვინც თქვენთანაა. მოქმედებას იწყებთ დაუყოვნებლივ. დანიშნეთ მეკავშირე და ხვალვე მაცნობეთ ყველაფერი. მტერი გაცოფებულია. მოსკოვთან ცხვირიდან ძმარი აღინეს და აღარავის აღარ დაინდობენ. ხვალიდან სოფლებში არც ერთი ჩვენი კაცი არ უნდა დარჩეს. ყოველ სოფელში გერმანელთა ნაწილებს ჩააყენებენ და ეს უნდა გავითვალისწინოთ. შეუმოწმებელნი, ოდნავ საეჭვონი რაზმში არ შეუშვათ. ახლა ყველაფერს იკისრებენ ფაშისტები და გაფრთხილდით. აი, ეს მინდოდა მეთქვა. თქვენ თუ რაიმე გაქვთ სათქმელი მითხარით და დავიშალოთ.

სიტყვა ივანე კრეზიჟინსკიმ აიღო.

— მე მზადა ვარ, ადამ კონსტანტინოვიჩ, აქედან პირდაპირ ტყეში წავალ, ჩემს ბიჭებთანაც მჭიდრო კავშირი მაქვს, მელიან. არც ისინი სხედან უქმად, მოქმედებენ. მათი ბრძოლები ჯერ მხოლოდდამხოლოდ მცირე ჩასაფრებებით განისაზღვრება, მაგრამ არაუშავს, მივალთ და ვნახოთ. ეს ამხანაგები ჩემთან წამოვლენ. — ფედია და ჟენია ფეხზე დადგნენ.

სტელმახმა თავი დაუქნია, თანხმობა მისცა. ლეონ ცურანმა სულ რამოდენიმე სიტყვა თქვა. იგი ღელავდა, მივხვდი მისი ღელვის მიზეზს, ეგონა მასაც დაატოვებინებდნენ სოფელს, ტყეში გასვლას უბრძანებდნენ, მაგრამ სტელმახმა სიტყვაც კი არ დაამთავრებინა.

— თქვენ აქ უნდა დარჩეთ, ლეონ! ცოტა ხნით მაინც უნდა დარჩეთ. გაგიჭირდებათ, მაგრამ გვჯერა შენი სიფხიზლისა და სიმამაცისა. მაპატიე, მაგრამ სხვაგვარად ჯერ არ შემიძლია მოვიქცე. შენ ყველა ჩვენთაგანზე უკეთ იცნობ სოფლებს, ხალხს. ესეც იცოდე, რომ ბოგუშევსკის კომენდანტს ერთი ფრიად საიდუმლო და განსაკუთრებული სია აქვს. იმ სიაში შენ სულ თავში წერიხარ, რაიკომის მდივანი, თქვენი მონა მორჩილი სტელმახი კი მეორე კაცადაა იმ სიაში. ეს ხუმრობა არ გეგონოს, არც პატივი. ასი თვალი და ასი ყური უნდა გამოიბა. თუმცა შენ თვითონ ჩემზე უკეთ იცი როგორც მოიქცე. სანამ სოფლიდან ჩვენს ხალხს მთლიანად არ გავიყვანთ ტყეში, შენ აქ უფრო საჭირო ხარ. მერეც უნდა ვიცოდეთ ვინ გვრჩება უკან. ახლა დავიშალოთ! — მან სათითაოდ ჩამოგვართვა ხელი, კრეზიჟინსკის ყურში რაღაც უთხრა და კარებამდე მიაცილა.

მე ვუსმენდი რაიკომის მდივანს და საკუთარ გულს ვასკდებოდი. მაშ რაზმები მოქმედებენ, მტერს თავს ესხმიან, ხოცავენ. მაშინაც, როცა ბუდაში, ვერა კონსტანტინეს ასულის ბინაზე პირველად შევხვდი სტელმახს, თურმე მას ტყეში უკვე რაზმები ჰყავდა, მან კი თქვა, ჯერ ორგანიზაციას ვუნდებითო.

არც ველიკონოვმა გამიმხილა რაზმების არსებობა. არავინ არაფერი მითხრა. ვიღაც გერმანელი ქალის კაბის კალთას შემაფარეს და ალბათ არც ახლა დამრთავენ ნებას, რომ მეც ტყეში გავიდე და ჩემი მეგობრების გვერდში დავდგე.

ანტონ სუხოდოლსკი ეტყობა ბრძოლის შუაგულშია, თვითონ სტელმახის გვერდით იბრძვის. რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი და რომ შემოვიდა ისე მომესალმა, როგორც უბრალო ნაცნობს, ან ხელქვეითს მიესალმებიან ხოლმე.

ნუთუ ვერ მიხვდა, ნუთუ ვერ იგრძნო როგორ მაინტერესებს ბიჭების ამბავი. ვასოზე მაინც ეთქვა ორიოდ სიტყვა!

ეჰ, ჩემო კომისარო, დაგავიწყდა ერთად გატარებული ტკბილ-მწარე დღეები? დაგავიწყდა ჩვენი პირველი რაზმი? უკვე დაგავიწყდა?

ალბათ მეც სოფელში დარჩენას მიბრძანებს ადამ სტელმახი. რაც შეიძლება დამაჯერებლად უნდა მოვითხოვო ტყეში წასვლა.

რაიკომის მდივანი რომ შემობრუნდა, ოთახში მხოლოდ მე და ლეონ ცურანი ვიყავით. პირდაპირ ჩემთან მოვიდა, თავისი დიდებული ღიმილი გაიმეტა და მხარზე ხელი დამადო.

— შენ როგორღა ცხოვრობ, ქართველო?

— ცუდად, ამხანაგო სტელმახ, ძალიან ცუდად!

— ჰა, შენი დიასახლისი ჯერ კიდევ ვერ მოარჯულე? არ გენდობა?

— ყველაფერში გამომიტყდა და დავალებაც მომცა.

— ბიჭოს!

— იანოვოში მაინც მოვდიოდი. ძია გრიგორმა მომაკითხა და ამხანაგ ცურანის სიტყვა გადმომცა. მერე ჩემმა დიასახლისმაც იანოვოში წამოსვლა მთხოვა. აქ ვიღაც ნადია მაზნევა ცხოვრობს. მასთან წერილი გამომატანა. თან მირჩია, თუ მიბრძანა, მაზნევასთან დარჩი და როგორმე ცურანი გაიცანიო, იქნებ სხვებსაც დაუკავშირდეო. ჩანს, იციან, რომ იანოვოში ცურანი მოქმედებს, იქნებ თქვენზეც იცის.

— იყავი იმ ქალთან?

— არა, მე პირდაპირ აქ გამოვცხადდი.

— ლეონ, შენ იცნობ მაზნევას?

— ვიცნობ!

— უკეთ უნდა იცნობდე, არა მარტო მას, არამედ ყველას, ვინც მასთან დადის, ვისაც რაიმე ურთიერთობა აქვს. ყველაფერი დააზუსტე. შენ კი აქედან პირდაპირ იმ ქალთან წადი. ჩემი დარიგება აღარ გჭირდება, მისვლის მიზანი შენთვის უფრო გასაგებია. იმ ფრაუს ნდობა მოპოვებული გაქვს, ასევე საჭიროა ამ მაზნევას ნდობის დამსახურებაც.

—ამხანაგო სტელმახ...

— მე ჯერ არ დამიმთავრებია. ამ ქალთან დაახლოება დიდი საქმეა. იგი არ შეიძლება მარტო იყოს. ჩვენთან მოსვლას მოესწრები, თანამდებობასაც შეგინახავთ. შენ აქ საფრთხე არ გელის, კარგი და საიმედო დამცველი გყავს და სანამ დროა, მაქსიმალურად გამოიყენე შენი მდგომარეობა. კრეზიჟინსკის რაზმში დაზვერვის უფროსობა გელის, რაზმის დაზვერვის უფროსმა კი ყველა წვრილმანი უნდა იცოდეს. სოფლებში შენი ხალხიც გაიჩინე და მტერსაც თვალყური ადევნე. გრიგორი შენი პირადი მეკავშირე იქნება.

— გრიგორი და სტეფანე სენკევიჩი, — ჩაურთო ცურანმა.

— გახსოვდეს, — განაგრძო სტელმახმა. — შენ ბევრად უფრო რთულ დავალებას ასრულებ, ვიდრე ჩვენ. ვიცი, გინდა ამალამვე მოიშორო ის მაზნევა, მერე ბუდაში ჩახვიდე და შენი დიასახლისიც იმ ქალის გზას გაუყენო და ჰაიდა! ეს იოლია, ძალზე იოლი. ამას ყველა შესძლებს. ლეონ ფეოდოროვიჩ, შენ იანოვოში ნუღარ დაყოვნდები. ბოგუშევსკის ოპერაცია ასე არ ჩაივლის. უტყუარი ცნობები გვაქვს. რომ რაიონში ხვალიდან დიდი ამბები დატრიალდება. ალბათ ყოველ სოფელში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩააყენებენ გერმანელებს. სჯობია განერიდო. ლედნევიჩში, ან კურეიშინოში ჩადი და რაც დაგავალე ის გააკეთე. აბა, წავედით. წარმატებებს გისურვებთ, მეგობრებო!

რა უნდა მექნა? შევკამათებოდი? ისევ დამეწყო წუწუნი? მერე ჩემი შეკამათება რაიმე შედეგს მოიტანდა?

ლეონმა სტეფანეს დაუძახა. ბიჭი შემოვიდა და ცურანის წინ ჯარისკაცივით გაიჭიმა.

— სტიოპა, შენ ნადია მაზნევას იცნობ? ბიჭის თვალებმა დაკვესა, კბილებიც დაალრჭიალა და ხელები მომუჭა.

— მოვკლა?

—რას ამბობ, სტიოპა?

— მოვკლავ, ახლავე შევიპარები მის ოთახში და ყელს გამოვღადრავ. ეს მან გასცა და დაახვრეტინა დედაჩემი.

— ბიჭს თვალები ცრემლებით აევსო.

— ეს რომელი მაზნევაა, ჩემო სტიოპა, სპირტის ქარხნის ახლო რომ ცხოვრობს?

— დიახ, გთხოვთ. გემუდარებით, გამიშვათ. — ბიჭი მუხლებზე დაეცა. — ამხანაგო ცურან, ბიძია ლეონ, თქვენი ჭირიმე, გამიშვით. მე უთქვენოდ არ გადავწყვიტე... თქვენი ნებართვის გარეშე არ მოვკალი, და ახლა... მეც მომეცით ნება.

— ადექი, სტიოპა! — ლეონმა ხელი ჩაავლო ბიჭს და წამოაყენა. ბიჭი მას მკერდზე მიეყრდნო და აქვითინდა. ტიროდა და თან საცოდავად ლუღლუღებდა.

— იგი მტერია. მან დედაჩემი გასცა, სხვებიც გასცა. ფაშისტებს დაახვრეტინა, პოლიციელებთან დაძვრება, მოვკლავ, ყველას ერთად მოვკლავ...

— დაწყნარდი, ჩემო ბიჭო და უჩვენოდ არაფერი გაბედო. ის ქალი უნდა გამოვიყენოთ, სტიოპა. ჯერ უნდა გამოვიყენოთ, მაგრამ მალე დადგება მასთან ანგარიშსწორების ჟამი და გპირდები, მას შენ დახვრეტ, მხოლოდ შენ. ჯერჯერობით კი თავი შეიკავე. ახლა წადი, ამ ამხანაგს დაელოდე, მერე გაჰყევი და მაზნევას სახლი აჩვენე. ესეც დაიხსომე, რომ დღეიდან მე და ამ ამხანაგს შორის შენ მეკავშირე ხარ. ბუდაშიც მოგიწევს ჩასვლა, იქ ბაბუა გრიგორს ნახავ და მისი მეშვეობით ამ ამხანაგს შეხვდები. გასაგებია?

— გასაგებია!

— წადი!

ბიჭმა შემომხედა, თავიდან ფეხებამდე შემათვალიერა და ოთახიდან გავიდა.

— იცი, საშა, საჭიროა შენ მაზნევასაც დაუმტკიცო ერთგულება. ამის საშუალებას კი მე მოგცემ.

— როგორ?

— უბრალოდ, აიღებ და გამცემ!

— მეხუმრები?

— არა. ჩემს ადგილ-სამყოფელს მათ გაანდობ, მერე მე ვიცოდე და იმათ. ამაზე ამ დღეებში გაცნობებ და შევთანხმდებით. ახლა ნახვამდის, ნუ მოიწყენ. ვისაც რა დაგვევალა, ვეცადოთ არ შევრცხვეთ. საქმე გულით ვაკეთოთ. შოროპს ნუ მიაკითხავ. უყურადღებოდ არ დაგტოვებთ. წავედი, დილამდე ორი სოფელი უნდა მოვიარო, თუ შევძელი.

სახლიდან გამოვედით, ერთმანეთს ჭიშკართან გამოვეთხოვეთ. ლეონი ერთი მიმართულებით წავიდა, მე და სტიოპა კი მეორე მიმართულებით გავყევით სოფლის გზას.

— თქვენ რა გქვიათ? — მკითხა ბიჭმა.

— საშა.

— იმ გამყიდველთან უნდა დარჩეთ?

— ასე მაქვს ნაბრძანები და აბა რა ვქნა, ჩემო სტიოპა?

— ფრთხილად იყავით. გაიძვერაა. დედაჩემი გასცა. ამხანაგები კი იყვნენ, ერთ სკოლაში მუშაობდნენ.

— მასწავლებელია?

— გეოგრაფიას გვასწავლიდა. ფაშისტები რომ მოვიდნენ, დედა იატაკქვეშა ორგანიზაციის წევრი გახდა. თვითონ ამხანაგ სტელმახსა და პროხორენკოს დავალებებს ასრულებდა.

— პროხორენკო ვინღაა, სტიოპა?

— არ იცნობთ?

— არა, მე მხოლოდ სტელმახს ვიცნობ!

— პროხორენკო ბოგუჩევსკის რაიკომის მესამე მდივანია. ერთ დღეს საგანგებო დავალებით გაგზავნა მან დედაჩემი, როგორც ჩანს ამის შესახებ ნადიამაც იცოდა, რა ვიცი, იქნებ თვითონ დედამ გაანდო საიდუმლო. გზაში პოლიცია დაახვედრა. დედას თან ბარათი მიჰქონდა, დახია და გადაყლაპა. სოფელში ჩამოიყვანეს და როგორც კომუნისტი, მთელი სოფლის წინ დახვრიტეს. — ბიჭმა ამოიოხრა.

— მამა სადღაა სტიოპა?

— ფრონტზეა.

— და-ძმა?

— არა მყავს.

— აბა სულ მარტო ხარ? სახლში არავინ გყავს?

— სადა მაქვს სახლი, დედაჩემი რომ დახვრიტეს იმ დღეს სახლსაც წაუკიდეს ცეცხლი. მთელი თვე მეზობლის საბძელში ვიძინებდი. მერე სონია ბიცოლამ შემიფარა. ხომ იცნობ სონია ბიცოლას? ისაა, ახლა რომ ვიყავით. შვილივით მივლის, მაგრამ ტყეში, პარტიზანებთან მინდა წასვლა. ძია ლეონს ვეხვეწები, უარზეა. ერთხელ თვითონ ამხანაგ სტელმახსაც ვთხოვე. მანაც უარი მითხრა. აქ უფრო საჭირო ხარო, შენისთანა მეკავშირეს სად ვიშოვითო. მეკავშირეობას რა უნდა, ამას ყველა შესძლებს.

— ერთ ბედ ქვეშ ვყოფილვართ, ჩემო სტიოპა. მეც შენსავით ვიბრძვი, ხან ერთს ვევედრები, ხან მეორეს, ხან ორივეს ერთად, გამგზავნონ რაზმში, მაგრამ ვინ გიგდებს ყურს! ასე უნდა ვიწოწიალო სოფელ-სოფელ, გამყიდველ ქალთან ღამე უნდა ვათიო, გავუცინო, გავულრიჯო, ვითვალთმაქცო და ალბათ ბოლო-ბოლო ჩამკლავენ სადმე ძაღლივით, მაგრამ რა უნდა ვქნა, ბრძანება — ბრძანებაა. ძია გრიგორის იცნობ?

— ბაბუა გრიგორის ვინ არ იცნობს! ხვალ უნდა წავიდე მასთან.

— ფრთხილად იყავი, სტიოპა. — ხვალიდან შეიძლება სოფლებში გერმანელები ჩააყენონ, გზებსაც შეკრავენ, არ გაება.

— იმ გზაზე მე არ გავივლი, სხვა ბილიკი ვიცი.

— რომ დაგიჭირონ, გაწამებენ.

— მერე რა, რაც დედაჩემისაგან წაიღეს, ჩემგანაც იმას წაიღებენ, მოვკვდები და ის იქნება.

— ღმერთმა გაშოროს, რა დროს შენი სიკვდილია. მტრის ჯიბრით უნდა იცოცხლო. შურისძიებაზე იფიქრე და იცოცხლებ.

— მოვედით! ეს სახლია. — ხელი გაიშვირა მან ეზოში ჩადგმულ პატარა სახლისაკენ. — ხელმარჯვნივ სპირტის ქარხანაა. იქ პოლიციელები არიან. ღამ-ღამობით არაყს ყლურწავენ, დღისით სოფელში დაძრწიან.

— აბა, ნახვამდის. ჩემო სტეფანე. ჩვენ უკვე ვიცნობთ ერთმანეთს, კიდევ უფრო ახლო უნდა გავიცნოთ და დავმეგობრდებით. ტყეშიც ერთად წავალთ, ერთად ვიბრძოლებთ. ოღონდ შენ ყოჩაღად იყავი, თავი არ წააგო.

ბიჭმა ხელი გამომიწოდა. მე ერთხანს არ გამიშვია მისი პატარა მარჯვენა, მერე თავზე ხელი გადავუსვი და ჩაჩვენებ ეზოსკენ წავედი.

და აი, უკვე მაზნევას სახლთან ვარ. საკმარისია დავაკაკუნო და ალბათ გამომხედავს, შინ შემიპატიჟებს, მაგრამ რა მოხდება შემდეგ!

არაფერი, ისეთი არაფერი, ოღონდ გავიხლართები ამ ქსელში და თუ ახლა მიჭირს თავის დაღწევა, ამის შემდეგ კიდევ უფრო გამიჭირდება. ეს თოკი გრძელია...

ივანე კრეზიჟინსკის რაზმში დაზვერვის უფროსობა გელოდებაო, — მითხრა ადამ სტელმახმა, არაა ურიგო საქმე. მისი ყურადღებაც საგულისხმოა, მაგრამ მივაღწევ რაზმამდე? ჯერ ასე ადვილად ორგანიზაციის ხელმძღვანელები არ შემეშვებიან. ახალ-ახალ დავალებებს მომცემენ და ვინ იცის რო-

დის მოვახერხებ თავის დაძვრენას. მიშა ლიზუნოვი და მისი ამხანაგები რომ „დაგვესხნენ“ ღამით, მაშინ შემეძლო რაიმე მომეფიქრებინა, თან გავყოლოდი, დაე, მოსახდენი მომხდარიყო. ეჰ, ამდენი ფიქრიც არ შეიძლება.

ფანჯარაზე ფრთხილად დავაკაკუნე და მივაყურე. არავითარი ხმა, არავითარი ჩამი-ჩუმი. ერთხანს დაველოდე, იქნებ ვინმე გამეპასუხოს-მეთქი, მაგრამ დიდხანს მომიწია ლოდინი და მეორედ უფრო ძლიერ დავაკაკუნე.

— ვინ არის? — იქვე ფანჯარასთან დაიძახა ქალმა. ეტყობოდა, პირველი დაკაკუნებაც გაიგონა, ფანჯარასთან მოსულიყო და იცდიდა.

— გთხოვთ გამიღოთ, ბარათი მოგიტანეთ!

— საიდან? ვისგან?

— ბუდიდან, ანამ გამომგზავნა!

— მოითმინე!

ბიჭი ხარ და ნუ მოითმენ. ეზო მოვათვალიერე. სახლზე საბძელია მიდგმული. საბძელს იქით აღარაფერი ჩანს, ალბათ იქ მთავრდება ეზო. აქეთ ღობეა, მერე სახლი.

კარი გაიღო. მე სწრაფად შევედი სახლში და ქალს მივესალმე. ქალმა კარი ჩაკეტა, გასაღები ხალათის ჯიბეში ჩაიდო და ლამფას აუწია. ოთახში თბილოდა.

— გაიხადე და დაჯექი! — მბრძანებლური ტონი აქვს ამ ქალს. მე არ დავმჯდარვარ. ქალს ვუცქერდი. აშკარა იყო, ჩემი მისვლისას ეძინა, ფეხები ფოსტლებში წაეყო, ხალათი პირდაპირ პერანგზე მოეცვა. პერანგი ხალათზე ოდნავ გრძელი იყო და ჩანდა. ჩემს ახალ მასპინძელს საშუალოზე ცოტა მაღალი ეთქმის. ზომიერად ტანსქელი ქალია. ანაზე ბევრად უფრო ახალგაზრდა და ლამაზიც. ტყაპუჭი გავიხადე და ქუდთან ერთად სკამზე დავდე. ქალი თვალს არ მაშორებდა. მე ჯიბიდან წერილი ამოვიღე და სანამ გადავცემდი ვკითხე:

— ნადია მაზნევა ბრძანდებით ხომ?

თავი დამიქნია, გამიღიმა [illegible] და თეთრი, ჩაკიწკიწებული კბილები გამოაჩინა. წერილი გადავეცი — ის მაგიდასთან მივიდა. ლამპაზე დაიხარა, წაიკითხა და შემომხედა. მგონი მამოწმებდა, წერილი წაკითხული მქონდა თუ არა. ორიოდე წუთი მიცქირა, ეტყობა ჩემს სახეზე ვერაფერი ამოიკითხა და გაიცინა. სიცილი მოუხდა, სახე დაულაგდა, დაუმშვენდა. როგორ შეიძლება ასეთი პირმშვენიერი ახალგაზრდა ქალი გამცემი და მოღალატე იყოს-მეთქი — გავიფიქრე, მაგრამ ეს იყო წამით. მეორე წამში თვალწინ სტიოპა სენკევიჩი დამიდგა. აშკარად დავინახე მისი დამუჭული ხელები, ზიზღითა და სიძულვილით სავსე თვალები და წარმოვიდგინე თუ როგორ გამოღადრავდა ამ ქალს ყელს სტიოპა-ბიჭი.

— შენ ეს წერილი არ წაგიკითხავს? — მკითხა.

— არა, მაგრამ შინაარსი ვიცი. ანამ გადმომცა.

— მთლიანად?

— ვერ გეტყვით, იქნებ დამიმალა რამე.

— წაიკითხე! — წერილი დამიბრუნა და დაჯდა. წერილი წავიკითხე.

— რა არის აქ სასაცილო? — გავხედე ქალს.

— არაფერი! — ახლა თვალები ისე მზაკვრულად მოწკურა. შევკრთი, მაშინვე დავიჯერე, რომ საქმე ანაზე ნაკლებ გაიძვერასთან არ მქონდა.

— მეც ასე მგონია. — ჩავილაპარაკე.

— თუ აქ დარჩენას აპირებ. ორივე ლუმელზე უნდა ავძვრეთ. როგორც ხედავ, არც საწოლი მაქვს და არც ტახტი. ასეთ საპატიო სტუმარს იატაკზე ხომ ვერ გაკადრებ დაწოლას. — თვალი-თვალში გამიყარა და ისევ ჩაიღიმა, თუ ჩაიცინა.

ასე უცებ? ასე ერთბაშად? ეს ვინ ყოფილა! ლუმელზე აძვრომა და გვერდების გათბობა იცოცხლე კარგი იყოს, მაგრამ აქედანვე ჩავეფჩხვნა ხელებში და მერე მის დუდუკზე ვიცეკვო? არა

და იატაკზე დაწოლაც არ მინდა. საათს დავხედე. ღამის სამი საათია. გათენებამდე ჯერ დიდი დროა. თვალი უნებურად ღუმელისაკენ გამექცა. მაზნევას ეს არ გამოპარვია, რაღაც დასკვნა გამოიტანა. ადგა, ღუმელთან მივიდა. სკამზე შედგა და ღუმელზე ლეიბი გაასწორა. მერე ისევ თავის სკამს დაუბრუნდა, ხალათი გადაიწია და სავსე მკერდი უტიფრად გამოიჩინა. თვალი ავარიდე.

— იტაკქვეშელთაგან ვის იცნობ? — მკითხა.

—არავის. იატაკქვეშეთის არსებობაც ანასგან გავიგე.

— ვინ ხარ, ან ანასთან საიდან მოხვდი?

— ვალდებული არა ვარ ალსარება გითხრა.

—- მე ვიღაც უცხო არა ვარ.

—- ნადია მაზნევა ბრძანდებით, მაგრამ ჯერ ეს ძალზე ცოტას ნიშნავს — უკმეხად მეკითხებოდა და მეც იმავე ტონით ვაძლევდი პასუხს.

— თუ ასეა, კარგად მეყოლეთ შენცა და ის შენი ანაც.

— რა გინდათ ჩემგან? მე ბარათი მოგიტანეთ, ვიცი რაღაც უნდა გავაკეთო, თუ ხელს არ გაძლევთ, თუ ანას არ ენდობით, მშვიდობით ბრძანდებოდეთ. სულაც არ მეხალისება სოფელ-სოფელ ხეტიალი. — ტყაპუჭს ხელი დავავლე.

— რას ფიცხობ, გეკითხები და უნდა მიპასუხო. ვინა ხარ, არ უნდა ვიცოდე? დადე ეს ტილიანი ტყაპუჭი.

—- ტყაპუჭით დასკვნებს ნუ გამოიტანთ. ტილიანი კი არ არის, გარწმუნებთ. ხოლო მე... რაკი არ მეშვებით, რაკი აუცილებელია ალსარება გითხრათ, გეტყვით. ალყიდან ორი თვის უკან გამოვედი. ხან ტყე-ტყე ვიარე, ხან მინდორ-მინდორ და ბოლოს ბედმა ანასთან მიმიყვანა. არ ვემდური ჩემს ბედს.

— მართლა? — გადიკისკისა. — მერე ერმაკი? ის ბეხრეკი შეეგუა ამ მდგომარეობას? ფრთხილად იყავი, ერთხელაც იქნება ორივეს ჩუმად გამოგჭრით ყელს.

—- მე სალაპარაკოდ არ მოვსულვართ თქვენთან. მკითხეთ და გიპასუხეთ. ახლა კეთილი ინებეთ და ისიც მითხრათ, რა გავაკეთო. ოღონდ არ იფიქროთ სადმე გამოვჩნდე, ან თავი გავწირო. ვერც მყარე დავალებას ვიდებ კისერზე. მე ანამ სიკვდილისაგან დამიხსნა, მისგან დავალებული ვარ და ვცდილობ სამაგიერო გადავუხადო. ამიტომ დავეთანხმე და ბარათი მოგიტანეთ. თქვენ კი... რა შუაშია ერმაკი... ასეთი რამ როგორ გაივლეთ გულში.

—- დამაჯერებლად ლაპარაკობ. მსჯელობა სალია და ვილაცისათვის სარწმუნო, მაგრამ თვალს რატომ ვერ მისწორებ, ყმაწვილო? შემომხედე, კაი ეშმაკი იქნები, ვილაცა ხარ. ეგ არაფერია, ასეთი რამ ცოდვად არ ჩაგეთვლება. მით უმეტეს ახლა, როცა ომია. გაივლის დრო და ყოველგვარ ცოდვებს ომი ჩამოგვაწერს.

— არა მგონია!

— მერწმუნე, ჩემო კარგო, მერწმუნე და არაფერზე უკან არ დაიხიო, შიდი. რაც მოგცენ, მიიღე. არაფერი დაიკლო!

—- გთხოვთ მითხრათ მე რა მევალება, რა უნდა გავაკეთო?

— ახლა? ამაღამ? ამაღამ არაფერი ღუმელზე აბრძანდი, მოეწყვე და სულ ცოტა ხანი დამელოდე. მეც ამოვალ, გვერდში მოგიწვები და ვნახავ როგორ დასწვი ტუჩები იმ ბებრუხანა ფრაუს. გაიხადე!

გამეცინა.

— სხვა დროს. სხვა შემთხვევაში უსიტყვოდ შევასრულებდი თქვენს ბრძანებას, წამითაც კი არ შევყოყმანდებოდი. ბრმა უნდა ვიყო, რომ თქვენი სილამაზით არ მოვიხიბლო...

— ქათინაურებიც გცოდნია. ასეთი ლამაზი სიტყვებით კი გადარევდი ანას.

— არც მიცდია! სალაპარაკო მე და თქვენც ბევრი გვაქვს, ოღონდ საქმე,

საქმე, რომელიც დავივალე, ისაა ახლა ჩემთვის უპირველესი საზრუნავი.

— რაზე უნდა ვილაპარაკოთ, მე და შენ ანას ტყვეები ვართ, ან რაღაც ამის მსგავსნი. იგი ჩვენი ფარია, საიმედო დამცველია. მეც ასე მომატყუა. მხოლოდ ერთი დავალება შემისრულე და მე ვიცოდეო. დავეთანხმე, მერე შემიყოლია, კლანჭები ჩამავლო და ისე მომიჭირა, სულ სისხლი მადინა. ახლა მე მისი მარჯვენა ხელი ვარ. თვით ბოგუშევსკის კომენდანტი მიცნობს. ხედავ. სადამდე მივედი, რას მივაღწიე? ამ სოფლის იქით არავინ იცოდა ჩემი არსებობა. რაიონის პედაგოგთა შეკრებაზეც კი არ მივუწვევივარ არავის. ამ სოფელში ვმასწავლებლობდი და ალბათ აქვე ჩავკვდებოდი უსახელოდ. ახლა სხვაა, ცნობილი ქალი ვარ. ასე წალმა წავა შენი საქმეც. ანას ეს შეუძლია. უკვე ჩაუთრევიხარ და აწი თავის ნება-სურვილზე გატარებს. ალბათ იატაკქვეშა რაიკომის რომელიმე წევრის გაცნობა დაგავალა. მეც მუდამ მიჩიჩინებს, ცხვირწინ ორგანიზაცია მუშაობს და შენ არ ცდილობ რაიმე გააკეთოო. გითხრა სიმართლე, თავს არ ვიკლავ, შენ კი გაიძულებ გაინძრე, რადგან შენ ჯერ ერთგულება უნდა დაგვიმტკიცო. მე ეს სტადია განვლილი მაქვს. აბსოლუტურად სანდო ქალი ვარ.

— ვინ მიმიშვებს მათთან? როგორ უნდა გავიცნო იატაკქვეშელები?

— მოინახება გზა და საშუალება. კარგი ახლა, ნუ დამღალე, აღარ გეძინება?— ადგა და გაიზმორა.

ამ საუბრიდან შემეძლო მეფიქრა, რომ საქმე ბევრად უფრო ქარაფშუტა ქალთან მქონდა, ვიდრე ანაა. თუმცა ჯერ რა იცი!

— შენს შესახებ ერთხელ გადაკვრით მითხრა ანამ. კავკასიელიაო, კარგი ბიჭიაო, სომეხი ხარ თუ ქართველი?

— ქართველი!

— საქართველო ოქროსა და მარგალიტების ქვეყანაა. შენც უკეთესი უნდა იყო.

— ყოფილხართ საქართველოში?

— საქართველოში კი არა, მინსკში ვერ მოვახერხე ჩასვლა. ქმარი რომ დამიჭირეს. მაშინ დავაპირე ვსტუმრებოდი დედაქალაქს. ვერ შევძელი. მე გეოგრაფიის მასწავლებელი ვარ. ჰირმა წაიღოს გეოგრაფიაც და ფიზიკაც, მოსწავლეც და მასწავლებელიც.

— მერე?

— მერე მოვიდნენ გერმანელები, მოგვაწესრიგეს. ხან აქეთ მივაწყდი, ხან იქით. ვიწვალე, ვიტანჯე და ერთ გზას დავადექი. ეს ქვეყანა გერმანელების ყოფილა და რატომ უნდა შევაკლა ვინმეს თავი. გაიგე? ასეა, ფრიცებმა დაიპყრეს მსოფლიო. სად არიან ჩვენები? კისერი უტეხიათ იმათაც და ამათაც. მთავარია სიცოცხლე. მთავარია ამ უკუღმართ წუთისოფელს რაც შეიძლება მეტი წუთი წაგლიჯო, მეტი სიკეთე გამოსტყუო.

— რას ეძახით სიკეთეს?

— ახლა მომეშვი, თორემ კინწის კვრით გაგაგდებ აქიდან!

— ჩემით წავალ!

მომიახლოვდა, თვალები გამიშტერა. როგორ შეცვლილა, როგორ აშლია სახე. თვალებიც რანაირად უბრწყინავს, თითქოს კვესავენ თვალები და ნაპერწკლებს მესვრიან.

— შენ საჩვენო არ უნდა იყო. თუ უკვე მოგზავნილი არა ხარ, პირველსავე შემთხვევისას, გაგვყიდი. ამ ბებრუხანა ფრაუს თავში ცოტაოდენი ტვინი რომ ჰქონოდა, სიკვდილისაგან არ უნდა დაეხსენი, თუმცა იქნებ მომატყუე, იქნებ სულაც არ გადაურჩენიხარ ანას.

— ტყუილი არასოდეს მიკადრებია!

— არც აპირებ?

— არა!

— ერმაკი? ერმაკს ხომ ორივე ატყუებთ, შენცა და ანაც. — ცივად გამშორდა, ხალათი გაიხადა, სადღაც მიაგდო. პერანგის ამარა მოვიდა მაგიდასთან, ლამპა ჩააქრო, წინ მოჩვენებასავით გამიარა და ლოგინზე ავიდა. მე ტყაპუჭი მოვიხურე და სკამზე მოვიკუნტე.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

## არწივები მოჰყივიან

ნეტავ ცეცხლში აქ ვინ ახვევს გზებს,
ამ ქვა-ლოდებს შანთებივით ვინ დაღავს,
ანთებული ჩავარდნილა მზე
და კლდეებში დუღს არაგვის ტალღა.

თუ რიჟრაჟზე არ ჩაჰყივლე კლდეს,
სანადიროდ ვერ გაიკვლევ ბილიკს,
ჭიუხებში ვერ მოასწრებ შველს,
ვერც ჯიხვების ნატერფალზე ივლი.

არწივები მოჰყივიან მთებს,
ძირს ჩამოაქვთ ზეცა უსასრულო,
ხეობაში ვერ გაიდგამ ფესვს
თუ ზვირთივით არ იდუღე, გულო.

დამბუგე და ამადუღე, მზევ,
ქარაფებში დამკარგე და მძებნონ.
ჰა, არაგვო, ჩემი გული შენ,
ჰა, სიცოცხლე, ცას შედგმულო მთებო!

## სამასი არაგველი

ვდგავარ არაგვის წმინდა ტალღებთან
და მოგონების ალი მედება.
სამასი სანთლის მინდა ანთება
სამასი გმირის სადიდებელად.

მინდა სამასი გვირგვინი დავწნა,
და სამას არწივს შევუმკო მკერდი.

ძირს გავშლი სამას კაშკაშა ვარსკვლავს
საარაგვოდან კრწანისის ბჭემდის.

ხეობის კართან თავს კრძალვით ვიხრი,
ვიტირო?
— გმირთ არ შვენით ცრემლები.
მეც გული ვაწრთე არაგვის ზვირთში,
როგორც აწრთობდნენ არაგველები.

## ჩვენი ქვეყნის სიყვარულში

განთიადზე ჩანჩქერები
ზვირთს ზვირთზე რომ დამახლიან.
მე გავუმხელ გულში ნადებს
არაგვს ვეტყვი არაგვიანს:
თუ დაბნელდა, მიწავ ჩემო,
ცისკრის ერთად დავძრავ რაშებს,

გულს გავიყოფ სამას მთვარედ
და შენს ცაზე ვაკაშკაშებ.
აგისრულებ ყველა ნატვრას,
აგისრულებ ყველა მიზანს,
მეც მტრის მკერდში გავატარებ
სამას ხმალს და სამას ისარს.

გულს სამას მზედ დავაწურავ
ოქროს ხნულს და ოქროს ვარდებს,
მოვკვდები და შევასრულებ
სამასი ხმლით ნაწერ ანდერძს.
სიყვარულში ტოლს დავეძებ,
მინდა გული რვალზე რვალი.
მკერდში ერთად მიკიდია
სამასი ხმლის ნაპერწკალი.
თავაწყვეტილ განა გრიგალს,
მოსისინე განა ნიავს,
მკერდზე ვაწერ ამ სიმღერას
მხოლოდ არაგვს არაგვიანს.

სხვა დიდება მე არ მინდა,
არც მიწაზე, არც ცის მაღლა,
სამას ერთიც რომ გავტყორცნე
ჩამითვალეთ სამას ტალღად.
სამასი ზღვის ღონით ვღელავ
ერთი ტრფობის გასამხელად:
სანამ პირში სული მიდგას
ვცოცხლობ სამას არაგველად.
სანამ პირში სული მიდგა
ამ ცას ვერვინ გადათელავს.
ჩემი ქვეყნის სიყვარულში
ვკვდები სამას არაგველად.

## გზა ჩარგალისკენ

გზაზე მგზავრების მესმის ბუხუნი
თუ გარდასული ხმები ჟამთასვლის.
ვინც კი შემომხვდა ვცანი ლუხუმად,
ვცანი მინდიად ყველა ვაჟკაცი.

ყველა ლამაზი მგონია ლელა,
ყველა ჭაბუკი ვცანი კვირიად.
არაგვიც ისევ ძველებურ ღელავს
და მთებს ტალღები მხნედ მოჰკივიან.

გზა-გზა ღიმილის ჭიაკოკონა,
გზა-გზა ბედნიერ გულთა ხმაური.
შორით გადმოსულ საძმოდ ჯოყოლას
წინ მოუძღვება ზვიადაური.

ოქროს ფანდურებს თლიან იფნებთან,
ლარებს ათრთოლებს ჰანგი მარადი
და ჩარგალისკენ დაძრულ სიმღერას
მთებს უნაწილებს ექო არაგვის.

## ხევსურები და ქისტები

საღამოვდება, ნისლები
წამოუშლიათ ხეობებს.
ხევსურები და ქისტები
არაგვის პირას ღრეობენ.
არ დგას ფრანგულის კაშკაში,
არც ელვა ფარ-მუზარადის,
პირდაპირ საარაგვოდან
კალმახებს ისვრის არაგვი.
ცაზე რამდენი ვარსკვლავიც
საბედნიეროდ ინთება,
სუყველა დაბლა ჩამოდის
ხევსურებთან და ქისტებთან.
მეც დამიწვიეს ვაჟებმა,
მიველ და გული გალაღდა,

ან უარს როგორ ვეტყოდი
საძმოდ შეყრილებს არაგვთან.
თქვენ გენაცვალეთ, ქისტებო!
თქვენ გენაცვალეთ, ხევსურნო!
თქვენს ხმაზე კარგი ამ ქედებს,
ამ მინდვრებს სხვა რა ესხუროს.
ნუ მოაკლდება კლდეს ჯიხვი,
მთის ფერდს ცხვარი და სარქალი,
არაგვის წმინდა ნაპირებს
სიმღერა საძმოდ ნათქვამი.
ღამეულ მთვარის ნათელში
აღარ ჩანს გზა და გზაწვრილი.
მთებს შორის თეთრი ნისლი წევს,
ვით ჩაგდებული მანდილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო ლომიძე

# ლ ა ზ ი

## მ ო თ ხ რ ო ბ ა

მაშველის საგუშაგო ჯიხურის ჩრდილში ვისხედით მე და ჩემი მეგობარი არჩილი. გაოცებული ბავშვის წმინდა, ფართოდ გახელილი თვალებით შემომცქეროდა ჩამკვრივებული, მალარიისაგან გაყვითლებული, განიერ მხრებს იჩეჩდა და მეკითხებოდა:

— ყოველი ერის მამულიშვილის გულში ღვივის ღვთაებრივი ცეცხლი სიკეთისა, სიყვარულისა, და მე ვერ გამიგია, ანზორ, რატომ არის ომი, ერი ერს რატომ ებრძვის, ეს ხომ სიგიჟეა?

ქალის ყვირილმა საუბარი შეგვაწყვეტინა. მივიხედეთ. ტანმაღალი, ქერათმიანი ჭაბუკი ქალების პლიაჟზე მოაბოტებდა, გახურებულ სილაზე პირქვე და გულაღმა გაშხვართულ, თაკარა მზეს მიფიცხებულსა და ტკბილად ჩათვლემილ ბანოვანებს თვალს არ აშორებდა. ჭრელკაბიანი ხანდაზმული მანდილოსანი მოსდევდა ყვირილით, აფურთხებდა, მაგრამ ჭაბუკი ყურადღებას არ აქცევდა. ყვირილზე რამდენიმე გოგონამ და დედაკაცმა თავსაბურავი მოიძრო, წამოიწია. მამაკაცი რომ დაინახეს, შეჰკივლეს, ზოგი კაბას ეცა, ზოგიც პერანგსა თუ ზეწარს, მკერდსა და ლაჯებზე მიიფარეს, მერე პირი ჩემკენ იბრუნეს, შველას ითხოვდნენ.

დიაცთა პლიაჟის თავსა და ბოლოში ჩასობილ პალოებზე მიჭედილ, ცისფრად შეღებილ თუნუქის ფურცლებზე შავი დიდი ასოებით ეწერა: „აქ ქალების პლიაჟია, მამაკაცთა ყოფნა, ბანაობა სასტიკად აკრძალულია“.

— ნეტავი ვინ არის ეს მამაძაღლი? — ვთქვი და წამოვიმართე, ხელითვანიშნე — ქალების პლიაჟი დაეტოვებინა. ბუზად არ ჩამაგდო, ფეხი აითრია.

— შენ ახლა, შენი ხასიათი რომ ვიცი, უეჭველად გალახავ ამ კაცს, — შეშფოთდა არჩილი,—გეხვეწები, ხელს ნუ ახლებ, ვიღაც სულელია, ქალის უნახავია.

ქერათმიანმა ჭაბუკმა მამაკაცების პლიაჟზე რომ შემოაბიჯა, წინ დავუხვდი და ვკითხე:

— მოქალაქევ! კითხვა იცით?

სახე წამით ჩემკენ მოაქცია, ზიზღით სავსე მზერა მტყორცნა და გზა განაგრძო. გაგულისებულმა მკლავში ღონივრად ხელი რომ წავატანე, მკვირცხლად შემოტრიალდა, ლურჯი თვალები დამიბრიალა და ზორბა თეთრი მუშტი მომიღირა. ორთავე ზღვის პირას ვიდექით, მე მაღლა, ის კი დაბლა. რომ გამერტყა, ზღვაში ტყაპანს მოადენდა. თვალის

დახამხამებაში ქვევით გავჩნდი. და ვიდრე მისი მუშტი მომხვდებოდა, მარცხენა მუშტი ტუჩებში ვთხლიშე, მარჯვენა კი ყურის ძირში. მოცელილივით დაეცა სილაზე, ტუჩგამსკდარს გული შეუღონდა. ნიშადურის სპირტი ვასუნებინე. რამდენსამე წამში გონს მოვიდა, გადაფითრებული ლოყები ისევ შეუვარდისფერდა და კბილები დაახრჭიალა:

— მხეცო! რატომ გამლახე?

— მხეცი შენა ხარ. წესრიგი დაარღვიე, ცემა მომინდომე, მაგრამ ნურას უკაცრავად, მე ტოლსტოის მიმდევარი არა ვარ.

— ერთი შეხედეთ ამ ველურს! ფილოსოფოსობს კიდეც... ციხეში ამოგალპობ, გადაგასახლებ, მოგსპობ... — ყბები უცახცახებდა, შურისძიების სურვილით ანთებულ მის ლურჯ თვალებში დროდადრო ფოლადისფერი ბურჯღალი ფეთქავდა, გასისხლიანებულ ტუჩებს ცხვირსახოცით იწმენდდა.

— ადექი! — მივმართე.

— არ ავდგები... — შემომღრინა.

— ტუჩები მაინც მოიბანე.

— ჩემს ტუჩებთან შენ არაფერი გესაქმება, მე შენ გიჩვენებ სეირს...

გამეცინა და გავეცალე. მაშველის საგუშაგო ჯიხურთან არჩილი აღარ დამხვდა, გამალებით, უკანმოუხედავად გარბოდა. როგორი საყვარელი იყო მაშინ ჩემი მეგობარი, მუდამ უცნაური აზრებით, ოცნებებით გატაცებული ყოვლისშემბრალებელი არჩილი! რამდენსამე დღეს არჩილი რომ არ გამოჩნდა მაშველთა სადგურში, შინ მივაკითხე. ლოგინად ჩავარდნილმა, სიცხიანმა მისმა მეუღლემ თინამ მითხრა: — ავეჯის შესაძენად ბათუმს გაემგზავრა არჩილი. გემზე რომ ადიოდა, დამიბარა: ანზორს სთხოვე, ჩემს მაგივრად იმორიგეოსო. ავად შევიქენი და ხმა ვერ მოგაწვდინეთ.

ეს იყო გუშინწინ. ამ დილით კი მებადურეები წააწყდნენ ყულევთან გამორიყულ არჩილის გვამს. ალბათ მოკლეს, გაძარცვეს და გვამი გემიდან ზღვაში გადაუძვეს.

შებინდებულზე პლიაჟი დაცარიელდა. ნავი — „მაშველის მარჯვენა“ ნაპირზე ავათრიე, კორპის ქამრები და წამლები შევინახე. „შინ წავიხემსებ და მერე მიცვალებულისაკენ გავუყვები“, — თვალცრემლიანი ვფიქრობდი გზაზე.

დედამ უწყება გამომიწოდა და გაუბედავად მკითხა — მილიციაში რატომ გიბარებენო. „გალახულმა ჭაბუკმა ალბათ მიჩივლა. მე ხომ შარშან მილიციის სამმართველოში ხელწერილი ჩამომართვეს — თუ კიდევ იჩხუბებ, ქალაქიდან გაგასახლებთო. მართალია, ვიღაც ჩამოთრეულმა წესრიგი დაარღვია და ქალები ააფორიაქა, ხელი მაინც არ უნდა გამერტყა, წაეთრეოდა და ქალები დაწყნარდებოდნენ. მდგომარეობა გავიუარესე და ჩემი მტრები გავახარე“.

ვივახშმე, უწყება უბის ჯიბეში ჩავიდე და მილიციის სამმართველოსკენ გავეშურე.

* * *

ოციოდე წლის ფერმკრთალი, სანდომიანი უმცროსი გამომძიებელი ლავრენტი მიქელაძე გრძელ მაგიდას უჯდა და ქაღალდებს ჩაჰკირკიტებდა. პაწაწკინტელა ასოებით გადაშავებული ქაღალდის ფურცლები განზე გადასდო, წინ სუფთა დაილაგა, იქვე კედელთან მიდგმულ წიგნის კარადის მინაში თავისი სახე დაინახა და მიაჩერდა მას, მერე მომიბრუნდა და მკითხა:

— თუ არ ვცდები, ფოთში არჩილს ვერავინ ჯობნიდა ცურვაში. ასეა, ხომ?

— არჩილმა შარშან მონაწილეობა მიიღო მცურავთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში და შორს გაცურვაში ყველას აჯობა. — ვუპასუხე და გავიფიქრე: თურმე არჩილის გამო დამიბარეს, მე კი მეგონა, გალახულმა ლურჯთვალებიანმა მიჩივლა-მეთქი.

— დამიხასიათე არჩილი. მე მინდა ვიცოდე, ის ცქრიალა ქალიშვილი, ახალგაზრდა მეცნიერი თინათინ ვაჩნაძე რატომ მისთხოვდა არჩილს. არჩილს

არ ვიცნობდი, მაგრამ გავიგე, რომ იგი იყო გულჩახვეული, მარტოობის მოყვარული, ნაკიანი, მხოლოდ შენთან მეგობრობდა, მუშაობდა მაშველად, სხვა თანამდებობაზე არ უმუშავნია.

— არჩილი იმიტომ კი არ მუშაობდა მაშველად, რომ სხვა სამუშაოს ვერ შოულობდა. რამდენჯერმე შესთავაზეს ნავსადგურის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქციის მდივნობა, მაგრამ უარი განაცხადა, ზოგიერთივით მაღალი თანამდებობის მაძიებელი როდი იყო. ერთთავად წიგნებში თავჩარგულს ტვინი უცნაური აზრებით ჰქონდა გამოჭედილი.

— უცნაური აზრებით? — მიქელაძე კვლავ დააცქერდა კარადის მინაზე თავისი სახის ანარეკლს და თმაზე ხელი გადაისვა.

— დიახ, უცნაური აზრებით. არჩილს ხშირად უთქვამს: ადამიანს ადამიანის გარდა ბევრი მტერი ყავს, ადამიანს სურს იყოს წუთისოფლის მასპინძელი, სამწუხაროდ კი სტუმარი არისო. თუ ნინო, დარეჯანი, ყაფლანი იმისათვის იბადებიან, რომ იხილონ და შეიყვარონ ეს უტურფესი ქვეყანა, მერე დაბერდნენ, დაჩაჩანაკდნენ და დაიხოცნონ, — სჯობს სულ არ მოვიდნენ ამ ქვეყნადო. ეს ხომ უცნაური და მცდარი აზრია? ბალახს არ მოცელავდა, ეცოდებოდა. ჩემს ეზოში სარზე ლაფნით მიბმული ვაშლის ნერგი ნახა და ძალზე გაჯავრდა: — ეს რა გიქნია, შენ რომ ყელში ხელი წაგიჭირონ, ნეტავი როგორ გუნებაზე დადგებიო. ლაფანი გაგლიჯა და გაიღიმა. გამხმარ ხეხილს არ მოჭრიდა: ცოდვაა, სადღაც, სული უდგას, ცული როგორ შემოვკრაო. აი, როგორი ადამიანი იყო არჩილი! მე შენახული მაქვს მისი ბარათი, რომელშიც დაახლოებით ასეთი რამ წერია: უზომოდ მახარებს და სიამაყის გრძნობით მავსებს ადამიანის გაქროლება მთვარისკენ, ჩქარა იგი მარსსა და ვენერაზე დაფრინდება. მაგრამ როცა ვფიქრობ იმაზე, რომ დაუსრულებელ სივრცეში გაფანტულია არა ერთი თუ ორი გალაქტიკა, არამედ მილიარდები, რომ მე არასოდეს მექნება ამ გალაქტიკების ახლოს ნახვისა და შესწავლის შესაძლებლობა, რომ მე სამუდამოდ უნდა გავქრე, მაშინ ტირილის გუნებაზე ვდგებიო. არჩილი ცამეტი წლისა იქნებოდა, როცა თინა შეუყვარდა. თინა გრძნობდა, რაც ხდებოდა ბიჭის გულში და თანაუგრძნობდა, რამდენიმე წლის განმავლობაში ისინი ერთად მიდიოდნენ სასწავლებელში, ერთად ბრუნდებოდნენ, ერთად თამაშობდნენ, მაგრამ მერე გოგონას გული რატომღაც გაუცივდა და არჩილს ჩამოშორდა. გაფრინდნენ წლები, არჩილმა საშუალო სასწავლებელი წარმატებით დაამთავრა და მაშველთა სადგურში დაიწყო მუშაობა. თინამ სწავლა განაგრძო. არჩილს სიყვარული გაუღრმავდა, თინა კი ხშირად ისე ჩაუვლიდა, სალამს არ აღირსებდა. ამ ოთხიოდე წლის წინათ მწერალ გიორგი შევარდნაძესა და თინას შორის სიყვარულმა თითქოს თავისი ქსელი გააბა, ქალაქში ამბობდნენ, ჩქარა დაქორწინდებიანო. მე ვფიქრობ, ეს იყო მხოლოდ გატაცება და ამიტომაც ხანმოკლე აღმოჩნდა, მწერალმა სხვა შეირთო ცოლად. არჩილი ნატრობდა: ნეტავი თინიკო ვნახო წყალწაღებული და სიკვდილისაგან ვიხსნაო. ნატვრა მალე აუცხადდა. თქვენ ალბათ იცით, შტორმის დროს ნაპირთან სილაში ორმოები ჩნდება. დაწყნარებულ ზღვაში შესული დები თინა და ცისანა ორმოში ჩაცვივდნენ და იხრჩობოდნენ. არჩილმა ორთავე გადაარჩინა. ამ შემთხვევის მერვე თვეს თინათინ ვაჩნაძე ცოლად გაჰყვა არჩილს.

— შენ ხშირი სტუმარი იყავი მათი ოჯახისა. როგორი ურთიერთობა არსებობდა ცოლსა და ქმარს შორის?

—კარგი.

— შენი მეგობარი ეჭვიანი ხომ არ იყო?

— დიახ, იყო. მან ერთხელ მიამბო: შინ ნაშუაღამევს ნაღვინევი დავბრუნდი, თინას ეძინა. შუშის ჭურჭელში ჩავასხი ადუღებული წყალი, დილით თინა გავაფრთხილე: ამ ჭურჭელში ძლიე-

რი შხამია, სხვენი ვირთაგვებმა აიკლეს, უნდა მოვსპო-მეთქი. ამის შემდეგ ორი კვირა რომ გავიდა, მოვიწყინე. როცა თინამ მკითხა ავად ხომ არა ხარო, ამოვიოხრე, ვეცი ჭურჭელს, რომელშიც ვითომ შხამი ესხა, მოვიყუდე, ბლომად დავლიე, ძირს გავიშხლართე და თავი მოვიმკვდარუნე. თინა ჯერ დაიბნა, მერე ისიც დაეწაფა ჭურჭელს და სვა და სვა. უნდა გამოგიტყდე, არ მეგონა, თუ კუყვარდი თინიკოსო, დაასრულა არჩილმა და რატომღაც შერცხვა, გაწითლდა.

— თუ თინას ცხოვრება არ იძლეოდა ეჭვის საბაბს, არჩილი რატომ მოიქცა ასე ?— მიქელაძემ კარადის კარში ჩასმულ მინაზე გამოხატულ თავის სახეს ახლაც რომ მიაპყრო თვალი და ხელი იმისაკენ წაიღო, ღიმილი ველარ შევიკავე. არ ვიცი, რა ამოიკითხა ჩემს ღიმილში, მოიღუშა და მერე კარადისკენ აღარ გაუხედავს.

— არჩილი ცოტა უცნაური იყო და მე ეს სრულიადაც არ გამკვირვებია.

— ვთქვათ, შენისთანა მცურავმა გადაწყვიტა თავის დახრჩობა ზღვაში. როგორ უნდა შეძლოს ეს?

— არჩილს ცოლად ყავდა მზრუნველი, ერთგული ქალი, იგი საკუთარ თავზე მეტად უყვარდა, ბედნიერი კაცი კი თვითმკვლელობაზე არ ფიქრობს. არ არსებობს ისეთი ადამიანი, არჩილივით ცურვა იცოდეს, ჩაიყურყუმელაოს, წყალი სვას, ხელფეხი არ გაანძრიოს და დაიხრჩოს. ასეთმა მცურავმა თვითმკვლელობა თუ განიზრახა, სხვა ხერხს მიმართავს.

— ამ დილით ვიყავი ქალბატონ თინათინთან. არჩილი ღამით ბათუმს გაემგზავრა ავეჯის შესაძენად, უთუოდ გემზე მოკლეს და გაძარცვესო, ამოიქვითინა.

— განა ადვილია საყვარელი ადამიანის სიკვდილთან შერიგება? ბოროტმოქმედება ჩადენილია ნავსადგურთან. ამიტომ ადვილად იპოვეს გვამი.

— ექსპერტი ამბობს, არც ცივი, არც ცეცხლსასროლი იარაღით არ არის მოკლული ,არც ვისმეს დაუხრჩვია, დამხრჩვალი კი არისო. ასეთი თავსატეხი საქმე ჯერ არ მქონია, თუმცა გამომძიებლად დიდი ხანია ვმუშაობ, — მიქელაძემ სქელი წარბები შეჰყარა.

ავდექი.

— მე ახლა წავალ, მიცვალებულს მივხედავ, თინათინს მივეხმარები.

— რას ქვია მიცვალებულს მიხედავ? — დამიცაცხანა, — რესტორანში ხომ არ გგონია თავი? პატიმარო ლომსაძე, დაჯექი როგორც წესია, უშნოდ ნუ იმანჭები, უფროსის ბრძანების თანახმად დაპატიმრებული ხარ მორიგი ხულიგნობისათვის.

ერთ ხანს განცვიფრებით შევყურებდი მიქელაძის უეცრად შეცვლილ სახეს და ვფიქრობდი: „ადამიანურად ვსაუბრობდით, ერთბაშად რამ გააცოფა ნეტავი“ მის მრისხანე გამოხედვას დამცინავი, აბუჩად ამგდები მზერა შევაგებე, ხელის გულები ამექავა, მაგრამ მე პატიმარი ვიყავ, ის კი გამომძიებელი.

— ვაუბატონო, ალბათ ჩემი ხნისა იქნები, რას ტრაბახობ — გამომძიებლად დიდი ხანია ვმუშაობო, ვინ მოგაშავა უფლება, რომ შენობით მომმართავ? რას ყოჩობ, როგორ ბედავ ყვირილს, ხომ იცი, ლომსაძე ვარ, ვერ შემაშინებ, აქ თუ მკაცრად მომეპყრობი, გარეთ გაგისწორდები, — ჩუმად ვუთხარი, რომ გვერდით ოთახებში მყოფ მილიციის მუშაკებს არ გაეგონათ, არ მინდოდა მოწმე ყოლოდა.

მიქელაძემ ელექტროზარის ღილაკს თითი დააჭირა. ბეჭბრტყელი, სახეწითური მორიგე სერჟანტი შემოვიდა.

— განაპირა კამერაში შეაბრძანე, იქ ვერავის გალახავს, კედლებს ურტყას თავი.

სერჟანტს გავყევი.

— თუ იცი, რატომ დამაპატიმრეს? იმ ხვადაგმა მიჩივლა, ხომ?

— ხელი ნამეტანი გრძელი გაქვს, ვინმემ რამე თუ დაგიშავა, მუშტებს იქნევ. ამბობ, უდანაშაულო და ფიზიკურად სუსტი ადამიანისათვის თითი არ

დამიკარებიაო, მაგრამ ეს მაინც არ გამართლებს. თუ ვინმემ გაწყენინა, შეურაცხყოფა მოგაყენა, მოდი ჩვენთან, ჩვენ მივიღებთ ზომებს. უფროსის მოადგილემ რა ხანია დაგადგა კბილი, მარა უფროსს გასაფუჭებლად არ ემეტები, დაღვინდება და დაწყნარდებაო. კაცს სახე დაუმახინჯე, არ გიჩივლებდა?

ვფიქრობდი: მეტი რა ჩარა მაქვს, როგორმე უნდა გავძლო აქ, მაგრამ არჩილის დაკრძალვაში მონაწილეობას რომ ვერ მივიღებ! ის ხომ ობოლია, რიზედან გადმოხვეწილი ლაზი მებადურის შვილია! ხუთი წლის წინათ დედა კიბომ მოუკლა, მამა კი ერთი წლის შემდეგ დაასაფლავა.

სულ თვალწინ მედგა ზღვის პირას ერთად გატარებული ჩვენი ბავშვობა, ქიდაობა, რიკტაფელას თამაში, თევზაობა, ზღვაში შორს გაცურვის პირველი სიხარული! ვერ წარმომედგინა, გარეთ გავიდოდი და არჩილს ველარ ვნახავდი. მოკლეს ადამიანი, რომელიც შეჰყურებდა და შეჰხაროდა მზეს, ვარსკვლავებს, ფიქრობდა, ოცნებობდა... მანქანები კი ისე დანავარდობენ კონტინენტების თვალუწვდენ მაგისტრალებზე, ისე კოცნიან ქალ-ვაჟნი ერთმანეთს, ისე გუგუნებენ თვითმფრინავები და შორეული პლანეტებისკენ გატყორცნილი რაკეტები, თითქოს სიკვდილი არ არსებობდეს, თითქოს ცოცხალი იყოს ის, ვისი სულიც უსაზღვრო სამყაროს იტევდა.

მთელი ღამე ხმაურობდა შხაპუნა წვიმა და მე ვბორგავდი, ვაგინებდი ღრუბელსა და წვიმას. დილით ცა გალილისფერდა, მზემ შემომაყარა სხივები და მე რაღაც შვების მსგავსი ვიგრძენი. აბა რა მნიშვნელობა აქვს იმას, საფლავს აწვიმს, ათოვს, თუ მზე დაჰყურებს? და როცა ავდარია, რატომღაც უფრო გებრალება მიცვალებული და გული უფრო გტკივა.

ადამიანი იმითაც განსხვავდება პირუტყვისაგან, რომ ფიქრობს სიკვდილზე, იბრძვის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, უკვდავებისათვის. ზოგიერთ ბრიყვს კი სურს, რომ ადამიანი ისევ აქციოს ცხოველად და სიკვდილზე ფიქრი აუკრძალოს.

— მორიგე... შენი...

ჩემი კამერის სარკმელთან მაშინვე აილანდა მორიგე.

— რას იგინები, შე გადარეულო?

— ჩემი მეგობარი ალბათ მიაბარეს მიწას, მე კი აქ ვგდივარ, ეს არის თქვენი სამართალი?

— ადამიანი გალახე, დაასახიჩრე და კიდევ აქეთ გვედავები?

— მილიცია რომ არ იყოს, ქვეყანა საგიჟეთს დაემსგავსება, ამას დამტკიცება არ სჭირდება, მაგრამ ის კაცი, მე რომ გავლახე, ხვადაგია, ნამდვილი ხვადაგი. ხალხი ბანაობდა იმ დღეს, აბა ჰკითხეთ, თუ ვარ დამნაშავე.

— გალახვის უფლება არა გაქვს, დროა ეს შეიგნო.

გამხდარმა ჭაღარა მილიციელმა ჩემი კამერის კარი შემოაღო:

— წავიდეთ მიქელაძესთან.

— მიქელაძე თავად მობრძანდეს ჩემთან.

— ახლავე მოიყვანეო... — შეწუხდა მილიციელი, — რა მოვახსენო?

— მოახსენე, რომ მე არ მსურს მისი ნახვა.

— მოვახსენებ.

მცირე ხნის შემდეგ დაბრუნდა:

— უხერხულ მდგომარეობაში ნუ მაყენებ, პატივი ეცი ჩემს ჭაღარას, გთხოვს, მობრძანდიო, შენი მეგობრის ცოლის წერილი აქვს.

მიქელაძის ნახვა მართლაც არ მინდოდა, ცნობისმოყვარეობამ მძლია და წავყევი.

ღიმილით შემეგება:

— ოთხი დღის წინათ უფროსმა ლენინგრადიდან მიიღო თინას წერილი, — კონვერტიდან ქაღალდის რამდენიმე ფურცელი ამოაფრიალა და მომცა: — წაიკითხე!

წერილს რომ დავხედე, გული ამიბაგუნდა და თავში სისხლი მომაწვა, თითქოს არჩილი იქვე იყო და თავისი წმინდა, ნაღვლიანი თვალებით მომჩერებოდა, მე მაშინ მისი ხმაც გავიგონე... თვალებზე რაღაც თეთრი გადამეფარა და ხელი ამიკანკალდა.

— არ შემიძლია... — წერილი მაგიდაზე ფრთხილად დავდე.

— მე წაგიკითხავ, — თქვა მიქელაძემ.

„პატივცემულო ფრიდონ! არჩილის მკვლელს ნუ ეძებთ, — ასე იწყებოდა თინას წერილი. — მე და მწერალ გიორგი შევარდნაძეს, თქვენ კარგად იცნობთ მას, გვიყვარდა ერთმანეთი. შევარდნაძე სულ უბრალო რამეზე შემომწყრა და ცოლად შეირთო ჩემი მტერი, ლამაზი, მაგრამ სულმოკლე, ქარაფშუტა ქალიშვილი. სამაგიერო გადავუხადე, ცოლად გავყევი კაცს, რომელიც შევარდნაძეს საშინლად ძულდა. შევარდნაძემ იცოდა, რომ არჩილს თავდავიწყებით ვუყვარდი, ამიტომ შეიჯავრა იგი. მე და შევარდნაძე დროგამოშვებით, ნამალევად ვხვდებოდით ერთმანეთს. რამდენიმე თვის წინათ არჩილმა შუშის ჭურჭელი მიჩვენა და მითხრა: — შიგ ძლიერი შხამია, სხვენზე ვირთაგვები შევნიშნე, უნდა მოვსპოო. ამას რომ ამბობდა, მარცხენა თვალი უხამხამებდა. ასე ემართებოდა ყოველთვის, როცა გულწრფელი არ იყო. ტყუილის თქმა არ უყვარდა და არც ეხერხებოდა. „შხამი“ მეორე დღესვე გავასინჯინე ლაბორატორიაში და გამოირკვა, რომ შუშის ჭურჭელში შხამი კი არა, ადუღებული წყალი ესხა. საგონებელში ჩავვარდი — ჩემი მოტყუება რატომ დასჭირდა-მეთქი. ერთხელ არჩილი რატომღაც გამებუტა, ეცა იმ ჭურჭელს, „შხამი“ დალია და იატაკზე გაიჭიმა. გულმა მითხრა, არჩილმა შენი საიდუმლო იცის და გცდისო. „შხამს“ მეც დავეწაფე და არჩილთან გავიშოტე. არჩილს უცებ სიცილი წასკდა, იცინოდა და ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, ვერ გაიგებდი, იცინოდა, თუ ტიროდა. „ორთავემ შხამი კი არა, წყალი დავლიეთო“, — ჩურჩულებდა და ხელზე მკოცნიდა. ამის შემდეგ უფრო ყურადღებიანი და ალერსიანი გახდა, მაგრამ ვგრძნობდი, ჩემს ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებდა. ცხოვრება წამებად გადამექცა, გამოსავალს კი ვერ ვხედავდი. შევარდნაძე მემუდარებოდა — მივატოვოთ აქაურობა და სადმე გადავიკარგოთო. არჩილი მეცოდებოდა. ვიცოდი, უჩემობას ვერ აიტანდა, დარდს გადაყვებოდა, ან თავს აუტეხდა რასმეს. ორი კვირის წინათ არჩილმა მთხოვა — ზღვაზე ნავით გავისეირნოთო. ნაპირს კარგა მანძილით რომ დავცილდით, არჩილი ჩაციებით მომაშტერდა. გულმა ბაგაბუგი დამიწყო მაშინ და ყელში რაღაცამ წამიჭირა.

— თინიკო! — თქვა მან გულის სიღრმიდან წამოსული გასაოცრად თბილი ხმით და რატომღაც უფრო დავიძაბე.

— რაო, ჩემო არჩილ?

— მე არც ყრუ ვარ და არც ბრმა, ყველაფერი მესმის და ყველაფერს ვხედავ. მე ვიცი, რომ შენ და შევარდნაძე ხვდებით ერთმანეთს. ძალით სიყვარული არ შეიძლება და არც გთხოვ, მაგრამ რა საჭიროა რქების დასხმა? თუ სხვა გიყვარს, შენ შენთვის და მე ჩემთვის. განა აგრე არა სჯობს? — ლაპარაკი უჭირდა, ბოლო სიტყვები ვერ გავარჩიე.

ახლაც შემებრალა არჩილი, ახლაც არ მეყო გამბედაობა გულწრფელი ვყოფილიყავ, თავის მართლება დავიწყე. არჩილი ჯერ მისმენდა, მერე ჩუმად ჩაიცინა, ზღვაში ჩახტა და გაუჩინარდა. გავიფიქრე: „ჩემი შეშინება სწადია, შორს ამოყვინთავს და ნაპირისაკენ უჩუმრად გასცურავს“. ნავს ნელა მივასრიალებდი, სავსე მთვარით განათებულ ზღვის ზედაპირს ვაკვირდებოდი, არჩილს ვეძებდი. ცოტა მოშორებით წყალს მსუბუქად რაღაც რომ დაეცა, მყის იქით გავიხედე, დარწმუნებული ვიყავ, არჩილს დავინახავდი. არჩილი არ ჩანდა, ფოსფორული სინათლე კი ლივლივებდა ზღვაში. „არჩილმა

ამოყვინთა, ჰაერი ჩაისუნთქა და ისევ მიიმალა, ამხელა კაცი ბავშვივით იქცევა“. აბა რა ვიცოდი მაშინ, რომ არჩილი კი არ მემალებოდა, სიცოცხლეს ებრძოდა; რომ წყალზე ზღვიდან ამომხტარმა თევზმა, ალბათ კეფალმა გაითქაფუნა და ფოსფორული სინათლე აციმციმა. ნაპირზე გადავედი, გატრუნულმა ვერც წყლის ხმაური გავიგონე და ვერც არჩილს მოვკარი თვალი. გათენებამდის იქ ვიჯექი, არჩილის გამოჩენის მოლოდინში სული მელეოდა. მეორე დღეს სიცხე მომცა და ტანსა და სახეზე წითელი ლაქები გამომაყარა. თუმცა არჩილის იმღამინდელი ჩაციებული მზერა და ყრუანტელის მომგვრელი სიცილი ერთი წუთითაც კი არ მშორდებოდა და მაგიჟებდა. გულის რომელიღაც კუნჭულში მაინც ენთო იმის იმედი, რომ არჩილი ცოცხალი იყო, რომ ადრე თუ გვიან ჩემთან მოვიდოდა. გულს გადავუშლიდი, ვეტყოდი, რომ მე და გიორგი შევარდნაძეს გვიყვარს ერთმანეთი, რომ ჩვენს შორის არაფერი მომხდარა, ერთხელ ლოყაზე მაკოცა, ეს იყო და ეს. ვეტყოდი და სამუდამოდ გავეყრებოდი არჩილს. ხოლო როცა მებადურეებმა იპოვეს არჩილის გვამი, მე გამაოცა და თავზარი დამცა მისმა სიკვდილმა. როგორ წარმოვიდგენდი, რომ ეს სიცოცხლის ტრფიალი ჭაბუკი, ცურვის ეს ბრწყინვალე ოსტატი სიყვარულის გამო ზღვაში თავს დაიხრჩობდა; რომ ამ კეთილშობილ, გულნაზ ადამიანში არაადამიანური ნებისყოფა დასძლევდა სიცოცხლის სიყვარულს და ზღვის სიღრმეში ისე გამოესალმებოდა საწუთროს, არც ფეხს გაანძრევდა და არც ხელს...“

— კმარა... — დავიღრიალე და წამოვიჭერ ათრთოლებული, — მოვნახავ და ავკუწავ თინას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— თინას რას ერჩით? — განცვიფრდა გამომძიებელი, — თქვენი მეგობარი მოკლა სიყვარულმა. თორმეტი დღეა ჩვენი ტყვე ხართ, უფროსმა ბრძანა, გაათავისუფლეთო, თქვენ კი ჩემთან მოსვლა არ გინდოდათ თურმე. უფროსს მოსწონხართ — გონებაგახსნილი ბიჭიაო. — მხარზე ხელი მომხვია და კარებამდის მიმაცილა.

წვერმოშვებული, თმააბურძგნული სასაფლაოსკენ გავემართე. თუმცა ნაპირის გასამაგრებლად სასაფლაოსთან ქვა ბლომად იყო დაყრილი, ულმობელი ზღვა ნელნელა მაინც ნთქავდა ბმელეთს. ბავშვის პატარა თეთრ ქალას ზვირთი ხან ნაპირზე ააგორებდა, ხანაც ქვევით ეზიდებოდა და ფარავდა.

ცას თეთრი ღრუბლები გადაჰკვროდა, ცრიდა. ღრუბლისფერი იყო ზღვაც.

ხისა და რკინის ჯვრებით, რუხი და შავი მარმარილოს ძეგლებითა და ლოდებით, ფერად-ფერადი ყვავილებითა და ვარდებით დაფარულ მიცვალებულთა სევდიან სამეფოში მხოლოდ ერთი ადამიანი — რკინის ჟანგმოდებულ ჯვართან ჩამომჯდარი თალხკაბიანი დედაბერი შევნიშნე.

არჩილის საფლავს ძლივს მივაგენი. ქალისა და კაცის ფეხით გათელილი, წვიმით შელახული რამდენიმე დამჭკნარი მიხაკი და მუყაოს სამი ნაჭერი ზედ გზის პირას დამარხულ არჩილის საფლავზე ეყარა. მუყაოზე ჩემი მეგობრის სახელის ოთხი ასოღა შემორჩენილიყო; დანარჩენი — მამის სახელი და გვარი ადამიანის ფეხსა და წვიმას წაეშალა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

# გ რ ა გ ნ ი ლ ი

## ჩემი სოფლის ეტიუდებიდან

უკეთესი არც იქნებოდა, ნწ, არა, არ იქნებოდა, კარგად აეწყო გამოსათხოვარი საღამოი, კარგადაც აეწყო, კარგადაც მიმდინარეობდა, კარგადა, დიდებულადა, მშვენივრადა, ვეღარავის ინატრებდა უკეთესსა, ვერა. ვეღარავინა; ან სხვას რაღას გამოვედევნოთ, — ეს დირექტორი ვეღარ ინატრებდა უკეთესსა, აღარც რაი ჰქონდა სანატრელი, აჰხდომოდა ასახდელი, მოვლენოდა, გამოცხადებოდა, ამით იწყებოდა, ეს იყო, რაც იყო, აღარაფერი დაუდგებოდა წინა, არა, აღარაფერი. მოსადევნებელი მოედევნებოდა თავისთავადა, უდავიდარაბოდა, უთავშისაცემოდა. ცოტა ეს გახდა სადავიდარაბო თუ თავშისაცემი, მაგრამ საღამო კარგად აეწყო. კარგადა და სანატრელადა. კარგადაც აეწყო და კარგადაც მიდიოდა. სხვა რაღა უნდოდა, რაც უნდოდა, უნდოდა, მოჰყვებოდა თავისთავადა... ცოტა ამ გრაგნილმაც გაიწყალა გული, კალთაში ედო იუბილარსა, ეახლებოდნენ მესიტყვენი თუ მიმლოცველნი ეახლებოდნენ მოსახვევნადა, წამოიწევდა ისიცა, დაგორდებოდა გრაგნილი, დაეშვებოდა კალთიდანა, იგორებდა. იგორებდა ხან იქვე, იუბილარის ფეხებთანა, ხან ცოტა მოცილებითა, გამოსათხოვარი საღამოს თავმჯდომარეს ანუ ამისი სკოლის დირექტორის მაგიდასთანა. ხანაც იშვერდა ფეხსა, სცენიდან იშვერდა ფეხსა და დარბაზის პირველ რიგთან დატრიალდებოდა ცერებზედა. აუტანდნენ, მიართმევდნენ, ისევ დაიდებდა კალთაზედა, ისევ დაგორდებოდა, იგორებდა, იგორებდა; თავდაპირველად არაფერი, მერე ასდევდა სიცილიც, აი, ცოტა ამან გააჭირა საქმე, თორემ სხვა დანარჩენი მიედინებოდა დიდებულადა, მშვენივრადა, სანატრელადა.

ვერც ვერავინ ინატრებდა უკეთესსა. ისტუმრებდნენ რუსულის მასწავლებელსა, პენსია ეთხოვა და ისტუმრებდნენ სკოლიდანა, ისტუმრებდნენ ზარზეიმითა, ხოტბა-დიდებითა. აღტაცება-აღმაფრენითა, ზეაწეული, ყოვლად შემამკობელი სიტყვებითა. აღელვებულიყვნენ სიტყვისმთქმელნიცა, რა თქმა უნდა, აღელვებულიყვნენ, შეჯიბრებულიყვნენ პედაგოგები თუ მოსწავლეები, მშობლები თუ განათლების განყოფილებიდან მოვლენილნი, შეჯიბრებულიყვნენ უკეთესისა თუ უაღმატებულესის სათქმელად. სად იყო ამდენი სიტყვა, ეს ულევი სალარო დიდებისა, სად იყო ან როგორ აღმოეჩინათ, ასე ერთბაშად არ მოესმინა აქამდისინა, ასე

ერთბაშადა, ასე ერთისადა!.. გაკვირვებულიყო, დირექტორისას მოგახსენებთ. დირექტორი გაკვირვებულიყო, ჰო, დირექტორი, თვით შემოქმედი ამ საღამოისა, თავისსავე ქმნილებით გაკვირვებულიყო, აფოფინებულიყო, ატანილიყო. ხელოვნებას სცოდნია ამდაგვარი გაოცებანი და ეს საღამოც ხელოვნებისად ითქმოდა. ცოტა ამ გრაგნილმა გააწყალა გული, აი კიდევ დაგორდა, განათლების განყოფილებიდან მოვლენილი უახლოვდებოდა იუბილარსა, ჯერ ხოტბა უთხრა, ახლა უახლოვდებოდა, მისაგებებლად წამოიწია ღვაწლმოსილმა პედაგოგმაცა და გრაგნილიც დაგორდა ჩვეულებისამებრა, დაგორდა და გაექანა, თითქოს ჯერ ის უნდა შეეგებოსო. ფეხი მაინც არ დაადგას...

— ფეხი!..

შესძახა დირექტორმა და ასცდა ფეხიცა, ფეხიც ასცდა და ისტორიის მასწავლებელმაც აიტაცა გრაგნილი; წელანაც იმან აიტაცა, ის მისჩენია გრაგნილსა, მისჩენია და კარგადაც ვერ მისჩენია, დაჯდება თუ არა იუბილარი. ისევ კალთაზე დაუგორებს იმა გრაგნილსა და ისევ დაელოდება, აცა, როდის დაგორდებაო. ჯერ ტაშს უკრავდა, ყველა ტაშს უკრავდა, ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშსა. დირექტორის შეძახილიც გაღნა იმ ტაშშია, ის სიცილიც გაღნა, გრაგნილის დაგორებამ რომ გამოიწვია, ჰო, გაღნა, ჩაილია, მაშ რაო, რა გაუძლებდა ავარდნილ ტაშსა; თუმცა ამ გრაგნილმა მაინც გააჭირა საქმეი, ამ გრაგნილმაცა და ისტორიის მასწავლებელმაცა, ეს ამან გამოიგონა, გრაგნილზე დავუწეროთ საბოლოო სიტყვაიო. გახსნის ეტრატივითაო. ჩაიკითხავს ეტრატივითაო, მშვენიერი დასასრული იქნება, ისედაც მშვენიერი საღამოსიო. ალბათ იქნება, მაგრამ ჯერ ცოტა საქმე გააჭირა. ეგეც არაფერი, ცოტა არაფერი, დიდიც იყოს, მერედა რაო, ყველაფერს მოიდნობს ზეიმი, ალტაცება მოიდნობს ყველაფერსა.

ალტაცება არც ეხსნებოდა საზეიმო-გამოსათხოვარ-საიუბილეო საღამოსა, არც ეხსნებოდა, ვერც დაეხსნებოდა, ასე აწყობილიყო, ასე დადგენილიყო მისდევდა სადინარსა; მტკიცე ხელს ეპყრა სადინარი საღამოისა, ამის ხელს ეპყრა, ხელსა დირექტორისა, ამ ხელს დაედგინა ყველაფერი. ესევე ხელი წარმართავდა, ხელი ღონიერი, ძლიერი და მეტყველი, მეტყველიცა, მაშა, აიქნევდა და ადგებოდნენ, ტაშს შემოჰკრავდა და ტაშს შემოსცხებდნენ, დაიქნევდა, დასხდებოდნენ. ყვავილებიც რომ გაналაგეს სცენაზე, ამ ხელისაგან იყო, იუბილარის სავარძელის ადგილიც ამ ხელისაგანა, რაღა თქმა უნდა, სხვა ყველაფერიც ამ ხელისგანა, ამა ხელის ქვეშ გაიარა მოხსენებამაცა, მისალმებებმაცა, მოგონებებმაცა, შესავალმა სიტყვამაცა. ცხადია და ცხადზე ცხადიაოღონდ, თუ ჩვენში დარჩება, გამოგიტყდები, ყველაფერი ქართულის მასწავლებელმა დასწერა, ყველაფერი, მოხსენებაცა, მისალმებანიცა, მოგონებანიცა, თვით ამისი შესავალი სიტყვაცა, მაგრამ მერე რაო, დაწერა რა არის?! არც არაფერი, მთავარი ისაა თუ ვინ წაიკითხავს, ვინ წარსდგება ხალხის წინაშე, ხოლო წამკითხველნი თუ წარსადგენნი ამან შეარჩია, ამ ხელმა, ამ ღონიერმა, ამ ძლიერმა, მეტყველმა ხელმა; მთავარი ეს არის და არის კიდევ მთავარზე მთავარიცა, — ერთი სტილი უნდა მთელს საღამოსა, ერთი სტილი, ერთი კალაპოტი, ერთი სადინარი და ეს სადინარიც ამ ხელმა დაადგინა, ამ ხელმა გაასწორა შესავალი სიტყვაცა, მოხსენებაცა, მისალმებანიცა, მოგონებანიცა, აიღო კალამი და თვითონვე ჩაუმატა თავისსავე შესავალ სიტყვასა: „...დღეიდან სტოვებს ჩვენს სკოლას და პენსიაზე გადადის. ეს დიდი ზრუნვა, რითაც გარემოსილია მთელი ჩვენი ხალხი...“ ჰო, ჩაუმატა ჯერ თავისსავე შესავალ სიტყვასა, მერე მოხსენებასა, მერე მისალმებებსა და მოგონებებსაც, ჩაუმატა თავშიცა და ბოლოშიცა, ხაზიც გაუსვა ამაღლებულად გამოთქმისთვი-

სა. ასე ერთბაშად მოაქცია ერთ ყაიდაზედა, ასე ერთბაშად და მარჯვედა, ისე მარჯვედა და მოხდენილადა, რომ თვით ქართულის მასწავლებელმაც ვერ დაჰფარა აღტაცებაი, ისტორიის მასწავლებელმა, ჰო, იქვე შემოჰკრა ტაში და ისიც იკითხა მაშინათვე, საბოლოო სიტყისას რაღას აპირებთო. იკითხა და დროზეც იკითხა, ავიწყდებოდათ, თუ რა უნდა ეთქვა იუბილარსა, ღვაწლმოსილ პედაგოგსა, ამიერიდან პენსიონერსა, რა უნდა ეთქვა, როგორ უნდა გამოსთხოვებოდა კოლეგებსა, მოწაფეებსა, სკოლასა, აღტაცებულ ხალხსა. ავიწყდებოდათ და გაახსენა ისტორიის მასწავლებელმა, ესეც გაახსენა და ისიც იქვე დასძინა, გრაგნილადაო, ეტრატივითაო, ასეო და ისეო... და, აი, ცოტა არ იყოს, გააწვრილა გული ამ გრაგნილმა, აი, აჰაა, ისევ დაგორდა გრაგნილი, დაგორდა, გაეშურა...

— ფეხი!.. — შეჰყვირა დირექტორმაცა ანუ თავმჯდომარემა საზეიმო-გამოსათხოვარი საღამოსი, ამან შეჰყვირა და შეჰხტა ისა, ვისკენაც გაეშურა გრაგნილი, შეხტა და ისკუპა. იქით ისკუპა და აქ დაეშვა, დაეშვა სწორედ იუბილარის სავარძელთანა, რა გაუჭირდებოდა, ის ჰო მოსწავლე გახლდათ მეათე კლასისა, სკოლის ჩემპიონი სიგრძეზე ხტომაში. ჰო, ის აქეთ დაეშვა, იქით გრაგნილი აიტაცა ისტორიის მასწავლებელმა, აიტაცა და ილლიაში გაიყარა, ტაშს აჰყვა, ყველა უკრავდა ტაშსა და ისიც აჰყვა ტაშსა, გადაჰკოცნიდა მოწაფე მასწავლებელსა, დაცხრებოდა ტაში, დასხდებოდნენ, დაბრძანდებოდა საპენსიო გზაზე შემდგარიცა და ისტორიის მასწავლებელი ისევ კალთაზე დაუგორებდა იმა გრაგნილსა. ამანაც წაიღო ტვინი თავისი გრაგნილითა, ჯერ გამოიგონა და ახლა წაიღო ტვინი... თვალები გადაუბრიალა დირექტორმა, კიდევ და კიდევ გადაუბრიალა, ვინ იცის. მერამდენჯერ გადაუბრიალა, ვერ იქნა და ვერაფერი გააგებინა. არც დაიძრახებოდა, რას დაიძრახებოდა, მიხვედრასაც შემოიდნობს აღტაცებაი, ყველაფერს, ყველაფერს შემოიდნობსო.

შემოიდნობს და შემოიდნოს, ოღონდ თვით იყოს შეულახველი, აღტაცება იყოს შეულახველი, ტაში დაუმცხრალი, უვერტიურა საპენსიო ცხოვრებისა, იმისთვის საპენსიო ცხოვრებისა, იმისთვისა, თორემ ამისთვის?! ჰმ! განაღა კიდევ საკითხავია?! ამისთვის ჭეშმარიტისა, იგივ უვერტიურა ჭეშმარიტი ცხოვრებისა...

ჰო, ჭეშმარიტი ცხოვრებისა-მეთქი... და აქ, იცი, რა მახსენდება?! ეგება შენც გახსოვს, თუ არადა. აბა გაიხსენე, ვგონებ, ასეთი სტრიქონიც უნდა იყოს „კაცია-ადამიანში“, ერთი დაჰხეთ, თურმე რა ჰქონია გუნებაში ამ სასცილო ლუარსაბსაო, ვგონებ უნდა იყოს, გახსოვს თუ არა? რაც უნდა იყოს, ასე მომაფიქრდა და იმიტომ მომაფიქრდა, ამასაც სხვა რამე ედო გუნებაში, თორემ ისე არც ლუარსაბი ერქვა და არც სასაცილო გახლდათ, სიცილი არცა სჩვეოდა. არც სხვისა მოსწონდა გაუთავებელი სიცილი, ამიტომაც გადაჰკიდებოდა ამ ახირებულ გრაგნილსა, იუბილარის კალთაში რომ ვერ მოესვენა; გადაჰკიდებოდა, მაგრამ აიტანდა, რაღა თქმა უნდა, ყველაფერს აიტანდა. იმედი თუ გაღვივებულიყო, „თუ“ რაღა მოსატანია, როცა გაღვივებულიყო, გაფუებულიყო, გაწიაღებულიყო, ამხდარიყო ნადები გუნებაში, ამხდარიყო, აცხადებულიყო, მიდიოდა წამსვლელი, მოვიდოდა მომსვლელი, ეს ედო გუნებაში, დამდგარიყო დღე მოსვლისა, მომსვლელისა, დამდგარიყო, ამოსულიყო ცისკარი, გათენებულიყო. ამ დღეს შეალია ბოლო ხუთი თუ ექვსი წელიწადი, მღელვარი წელიწადი, მღელვარი, მოუსვენარი, ძარღვებაშლილი, შეალია და თან გაატანს, წამსვლელს გაატანს თანა, გაატანს და თავიდან მოიწყვეტს, აღარც მოიგონებს, აღარც მოაგონდება: ბოლოსდაბოლოს, ამ გრაგნილს ჩაიკითხავს წამსვლელი, ჩაიკითხავს გამო-

სათხოვარ სიტყვასა, ქართულის მასწავლებელმა რომ დაუწერა და ამან ჩაუსწორა: „...დღეიდან ვტოვებ სკოლას და პენსიაზე გადავდივარ. ეს დიდი ზრუნვა, რითაც გარემოსილია მთელი ჩვენი ხალხი...“ ჰო, ჩაიკითხავს და მოთავდება ყველაფერი, ანუ ჩაიკითხავს და წავა. წამსვლელი წავა, მოვა მომსვლელი, ანუ იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსაო, ხოლო მანამდის, რაც უნდა იყოს, ჯანდაბას, იგორის ე გრაგნილია თუ ეტრატია, იგორის, იკოტრიალოს, გადაიდეს მალაყსა, ჯანდაბასა და დოზანასა, იგორის...

ვითომ წაქეზებაცა ხდომოდეს, დაგორდა მაშინვე, დაგორდა და დაეძგერა მოხუც მასწავლებელსა, ამაზე ბევრად მოხუცსა, დიდიხნის პენსიონერსა. ძლივძლივობისას მოიყვანეს მუხლებდასუსტებული კაცი, მხრებში ამოუდგნენ და ისე მოიყვანეს, ტრიბუნაზე ნიდაყვებით იმაგრებდა მოფამფალებულ მუხლებსა, ეგრე ნიდაყვებზე დაკიდული კითხულობდა თავის მოგონებასა. ქართულის მასწავლებელმა რომ დაუწერა და ჩაუსწორა დირექტორმა, ეგრე კითხულობდა და ეგრეცა ნატრობდა, ნეტავი ტრიბუნა აგორდებოდესო, აგორდებოდესო და შიმაგორებდეს იუბილართანა. მაგრამ ტრიბუნა არ აგორდა და თვითონ წაჩლატუნდა ვაივაგლახითა, წაჩლატუნდა მოსახვევნადა, წაჩლატუნდა და ეძგერა გრაგნილიცა, ეძგერა და, რომ ვერ წააქცა, გადაუდგა გადაულახავ დაბრკოლებადა. ბევრს ეცადა და ვერ გადაალწია, ხან ერთი ფეხი ასწია და ხან მეორეი, ასწია ვაივაგლახითა. აწევით ასწია, ოღონდ ვერ გადაალწია, ვერ გადალახა, ვერც შემოუარა, ვერ მოიფიქრა თუ ვერ შემოუარა. სულერთია. აიწურა, აისუსა, ჩამოუვარდა ნიკაპიცა, მიშველეთ, რა წყალს მივეცეო. მიშველეთო და უშველეს, აქედან თვით იუბილარი მიცუხცუხდა, იქიდან ისტორიის მასწავლებელმა გამოაძრო გრაგნილი და მოხერხდა გამოსათხოვარი ამბორიცა. მაინც გააწრიოკა გული ამ გრაგნილმა, თუმცა ჯანდაბას, ალჩუს დაჯდა ამისი კოჭი, იგორის გრაგნილმა.

იგორის, ამისი კოჭი ჰო ალჩუს დაჯდა, დაჯდა და დაჯდა, თუმცა აქამდის ბევრი ღელვა გადაიტანა-მეთქი. იმედებით მოვიდა და ღელვაში გაეხვია. მაშ რაო, ეგონა, კაცმა დირექტორობა იშოვა, ახალ სკოლაში მოდიოდა დირექტორი კაცი, საოჯახე კაცი. მარტოხელა კაცი, ცოტა შეგვიანებული, ჰო, ცოტა შეგვიანებული, ოღონდ რომ აღარ ეგვიანებოდა, იმ ასაკის კაცი და აღარც აპირებდა შეგვიანებასა; იმედიც ამისა გახლდათ, მივალ და შემხედავენ, შემხედავენ და ვისაც ხელს დავადებ, უარს არა მკადრებსო, არაო, არაო, აბა როგორაო, ვერ ვიტყვი თუ ვინმეს ეკადრებინა უარი აქნობამდისა, ერთს ეკადრებინა თუ ბევრს ეკადრებინა, ვერ ვიტყვი და არცთუ დიდი რამ ბედენაა ამჯერადა, არა. რადგან სხვა რამეა სათქმელი და რასაც ახლა მოგახსენებ, სათქმელიც ისაა, ყურადსაღებიცა, თავი და ბოლოცა ამისი მღელვარებისა; სათქმელიც ისაა და იმასაც მოგახსენებ, თვითონვე ვერ გაებედა, ვინმესთვის შეეთავაზებინა თავისი ბედი, ეშინოდა ოჯახისა, ეშინოდა, არ მეკმარება ჩემი ხელფასიო, და უნდოდა, გადაჰყროდა ისეთ ვინმესა, ერთ სკოლაში რომ მოექცეოდნენ და ხელფასსაც რომ მიუწებებდნენ ერთიმეორესა; უნდოდა და არ გამოსდიოდა, არ გამოსდიოდა და ათრია ბედმა, აწოწიალა და ბოლოს აქ მოაგდო, აქ უკვე დირექტორად მოაგდო და გაუღიმა ბედსა, თვითონ გაუღიმა. თვითონ შესცინა, გადმოჰყარა კბილები და ისე შესცინა, ბედისა რა გითხრა, იმანაც შესცინა თუ გაუღიმა, ვერ გეტყვი, არ ვიცი და ვერც ვეღას მოგახსენებ, რაღა თქმა უნდა, იმას მაინც არ დაგიმალავ. დამხდურებში არავინ იყო ამოსარჩევი, ყველა ხანში შესულიყო, ყველა დაოჯახებულიყო, დამკვიდრებულიყო საგულდაგულოდა, მუყაითადა, უძრავადა, არა ჩანდა არცა წამსვლელი, არცა მომსვლელი. ელდა ეცა. პირკატა ეცა, მაგ-

რამ აღარ დანებდა გაუცინარ ბედსა, საპენსიო წეს-კახონები დაიდო წინა და ყოველი კრებისა, თათბირისა, გასაუბრებისა თუ სხვა ამგვარი მიზეზების დროს უსათუოდ, აუცილებლად, გარდაუვალად, უკითხავდა თავის თანამშრომლებსა. უკითხავდა, განუმარტავდა, ქაფს მოიდენდა პირზედა, მაინც არავის არაფერი გაეგებოდა, არ შესდიოდათ ყურში არცა გალობანი ზრუნვისა, არცა კვნესა გულისა, ამისი გულისა. სიბერეს მაინც საღ წაუვიდოდნენ, სიბერემ მაინც გასტეხა გასატეხელი, და ჯერ ეს გატყდა, აგერ ეეე საიუბილეო სავარძელში რომ ჩასვენებულიყო, გატყდა რუსულის მასწავლებელი, პენსია მოითხოვა, მოსცალა ადგილი; მოსცალა ადგილი, მიდიოდა ანუ წასულიყო, მომსვლელიც უკვე მოდიოდა, ალბათ მოდიოდა, გამოამწესებდნენ, მაშ რაო, ვინ გააცივებდა ადგილსა... არა, ამ გრაგნილმა მაინცააკორკოტა გული, აი, აჰაა, ისევ დაგორდა...

— ფეხი!.. ფეხი!.. ფეხი!..—ზედიზედ შეჰყვირა დირექტორმა, მაგრამ ველარა უშველა რაი, წვრილი ქუსლი გაერჭო გრაგნილსა, გაერჭო შიგ გულშია, გაერჭო და აიტაცა. აიტაცა და გაიტაცა. თან გაიყოლა. გაუგონარი რამ ჩაიდინა იმ წვრილმა ქუსლმა, წვრილმა და გრძელმა, მაღალმა, იმ წვრილმა ქუსლმა თუ იმისმა პატრონმა, სულერთია, გაუგონარი რამ ჩაიდინა, გაუგონარი, გაუთვალისწინებელი. ვერც ვერავინ გაითვალისწინებდა, ტყუილად ნურავინ გამოიდებს თავსა. ისე, სიმართლე უნდა ითქვას, გამოსვლის ნებას არ აძლევდა დირექტორი, ეგება განჭვრეტაც ეს იყო? ვინ უწყის, იყო!.. ნათესაობა ნათესაობააო, ნათესავი ნათესავსა სწყევია, ტრიბუნაზე რა უნდა ნათესავსაო. არაო, კომპოზიტორი ვარო, აიხირა იმ წვრილმა ქუსლმა. იმ ქუსლმა თუ იმ ქუსლის პატრონმა, სულერთია, კომპოზიტორი ვარო, კომპოზიტორთა კავშირის მისალმება უნდა გადავცეო, აიხირა და გაიტანა, ჯანდაბასაო, ამანაც დაუთმო, თორემ ვერა, ვერ გაიტანდა, ჯანდაბასაო, ოღონდ მოთავდეს ეს საღამოო; ჰო, ჯანდაბასაო და ქუსლიც გაეყარა გრაგნილსა, გაეყარა და აიტაცა, აიტაცა და გაიტაცა. ნავარჯიშევსაც დაუცდებოდა ფეხი, ამას არა, ოდნავადაც არ დასცდენია, შიგ გულში გაუყარა. აიტაცა და გაიტაცა, კისერზე ჩამოეკიდა თავის ნათესავსა, კომპოზიტორთა კავშირმაო ასეო და ისეო, ჯერე ესა ბრძანა და მერე ჩამოეკიდა კისერზედა. ე კომპოზიტორთა კავშირი საიდანღა გამოტყვრაო, თავში ხელი შემოიკრა დირექტორმა, ხოლო მეტი რომ ველარაფერი გააწყო, ისევ თვალები დაუბრიალა ისტორიის მასწავლებელსა. არც აცივა და არც აცხელა იმანაცა, ქუსლი აუწია, ეგრე გადასხვეულს აუწია ქუსლი და გამოაძრო გრაგნილი, გამოაძრო და გაშალა, გაშალა და იმდენი არაფერიო, ანუგეშა დირექტორი, წასაკითხი წაიკითხებაო, ანუგეშა და დაგრაგნა, წინ დაუდო დირექტორსა. მაინც ააკორკოტა გული ამ გრაგნილმა. რა გამოსაგონი იყო, ხოლო თუ უსათუოდ უნდა გამოგონილიყო, თავიდანვე დაედოთ დირექტორის წინა. რაღა იმასა სჩრიდნენ კალთაშია?!

რაც იყო, იყო, ჰო, სხვა რიღათიღა ენუგეშებინა თავი, ყველა ასე ნუგეშინდება, ის რაღა იყო?! მით უმეტესადა, თავდებოდა მოსათავებელი. მიდიოდა წამსვლელი, მიდიოდა, ველარაფერი გადაუდგებოდა წინა, მოვიდოდა მომსვლელი. მოვიდოდა, ველარაფერი გადაეღობებოდა წინა, ოღონდ ვინ მოვიდოდა? ესღა დარჩენოდა საფიქრალადა. ვინც როგორც უნდა შეკრთეს, როგორც უნდა შეეჰვდეს, დიდი არაფერი საფიქრალი გახლდათ ამისთვისა. ჰო. დიდი არაფერი. მხოლოდ კიდევ არავინ გამოჰრილიყო ახლა მხატვართა კავშირის სახელითა, ან კიბერნეტიკის ინსტიტუტის სახელითა, ან წითელი ჯვრისა და ნახევარ მთვარის ან თეატრალური საზოგადოების ან სულაც მეცნიერებათა აკადემიის სახელითა, ან სხვა რაიმე სა-

ხელითა, ეს იყო მთავარი და მთავარზედაც უმთავრესი, თორემ თუ ვინ მოვიდოდა, დიდი გამოცანა არ უნდოდა, მოვიდოდა ახლად კურსდამთავრებული ქალიშვილი, ვაჟი არ მოვიდოდა, არა, პედაგოგიური ინსტიტუტიც რომ დაემთავრებინა, მილიციაში შევიდოდა, ან უნივერმაღში, ან ყოფაცხოვრებითი მომსახურეობისა თუ დამზადების განყოფილებაში, ან სადმე მინამგვანში, სკოლაში არა. ქუდიც შეეგდოთ, ფეხს არ შეადგამდა: არც ხანდაზმული ქალი მოვიდოდა, არც ხანდაზმული ქალი და არც ხანდაზმული ქალიშვილი, აღარ ივლიდა სკოლიდან სკოლაში, აღარ იწოწიალებდა, შეურიგდებოდა ბედსა, დანებდებოდა, დაყაბულდებოდა, ჰოდა. რა იყო შესაკრთომი თუ დასაეჭვებელი, მოვიდოდა ქალიშვილი, ახლად კურსდამთავრებული ქალიშვილი. ეგება ისა თქვა, ვაითუ არ მოსწონებოდაო, ნუ, ნუ იტყვი, ნუ გეგონება, ეს წუნიაობაში აღარ შედიოდა და უარსაც რომ ვერავინ შეჰკადრებდა, დარწმუნებული იყო. დაჯერებული იყო, კარგახანია, დიდიხანია, ოღონდ აღმოეთქვა სამისო სიტყვანი, ოღონდ აღმოეთქვა, ხოლო პირველი შესაკრები, მეორე შესაკრები და საიმედო ჯამი უნდა გამოსვლოდა აღმოთქმამდისა.

გამოვიდოდა, გამოიყვანდა გამოსაყვანსა, აგერ ე სკოლა და აგერ თვითონა, მომსვლელი მოვიდოდა, წამსვლელი მიდიოდა, ჰო, მიდიოდა, დამდგარიყო ბოლო წუთები გამოთხოვებისა, არა გულამაჩუყებელი, არა, საზეიმო გამოთხოვებისა, ასე აქეს, ასე ადიდეს. თითქოს ღმერთი ყოფილიყო და ქვეყანა იმას აეშენებინოს, თითქოს უიმისობა არც შეიძლებოდა, რაღას ინებებდა მეტსა? აღარც აღარაფერსა, მხოლოდ ესაა, ახლა ბავშვები შემოეხვევოდნენ თაიგულებითა, გრაგნილს გადააწოდებდნენ თაიგულებში და წაიკითხავდა გამოსამშვიდობებელ სიტყვასა, ქართულის მასწავლებელმა რომ დაუწერა, დირექტორმა რომ ჩაასწორა... თუმცა ეს უკვე მოგახსენე, ბარე ორჯერაც მოგახსენე.

რაღა დამრჩენია? ბევრი [illegible] ბავშვები შემოეხვევოდნენ თაიგულ[illegible]თაო და შემოეხვივნენ, გრაგნილს გადააწოდებდნენო და გადააწოდეს, წაიკითხავდაო და... არ წაიკითხა, თითიც არ დააკარა, შეხედვაც არ აღირსა ისტორიის მასწავლებელსა, არც დირექტორსა. ყურიც არ ათხოვა, წინწინ წარსდგა თაიგულებიანადა და ამოიძახა:

— ხმის ამოღება მიჭირს... მიჭირს. ისე ამაღელვა, ჩემდამი თქვენმა სიყვარულმა, ისე ამაღელვა, ისე შემბოჭა... მიჭირს... მიჭირს... ერთს მაინც მოვახერხებ... თქვენს სიყვარულს, ამ დაფასებას მხოლოდ იმითი გადავიხდი... მხოლოდ იმითი... იმითი, რომ ვიდრე პირში სული მიდგას, სკოლას არ დავტოვებ... არა... არა...ვიდრე პირში სული მიდგას...

— ჰა?! — აღმოხდა დირექტორსა, აღმოხდა შემზარავადა, მაგრამ ვინ მიუხვდებოდა შემზარაობასა ამ საზეიმო წუთებში, ეგონათ, აღმოხდა სიხარულითაო და აჰყვნენ ტაშითა, ვაშას ძახილითა...

გათავდა ყველაფერი, წყალში ჩაიყარა ყველაფერი, ველარაფერი გამოასწორებდა, ველარაფერი უშველიდა. ველარცა ხვეწნა, ველარცა მუქარა, ველარცა ძალა, აღტაცება წალეკავდა ყველაფერსა; წალეკავდაო და წაელეკა, ამისი იმედი წაელეკა; წაელეკა და ნაკუწებად აქცია გრაგნილი, სხვა რა ეღონა? არც რა გაეგებოდა, გაუგებრად აქცია ნაკუწებადა, ნაკუწების ბორცვი აღმართა მაგიდაზედა, მერე წამოხვეტა ის ნაკუწები, წამოხვეტა გაოგნებულმა და შეაყარა ისტორიის მასწავლებელსა. ის შეხტა და შეჰკიჟინა, შეჰკიჟინა მეტისმეტი აღტაცებითა. სხვებს ეგონათ, ფეიერვერკის ნიშანი მოგვცა ჩვენმა დირექტორმაო, ეგონათ და დაკუწეს იმათაცა, რაც ხელში მოხვდათ. დაკუწეს და აჰყარეს, აჰყარეს და აბჭყვიალეს. აბჭყვიალეს და შეუშვირეს თავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ხორგუაშვილი

# დეზდემონას სიკვდილი

## მოთხრობა

— საქმეში ცალი არა ჰყავდა., გაუკეთებელი არა დარჩებოდა რა. მაგრამ გული პატარა ჰქონდა, გული! უფროსს გაგიხარია, ფეხის მტვრად ექცეოდა, სხვებს კი ისეთი მუნათით გადმოსცქეროდა, თითქოს ეს მზიანი ქვეყანა მისი თვალის შუქით იყო გახარებული და კაცს სიცოცხლეს ამადლისო. არც იმისი მოლხენა-დროსტარება უნახავს ვისმე. არც ხალხში შინაური საუბარი. სპორტი და ხელოვნება ხომ მისთვის უცხო ხილი იყო. არ ვიცი, ჩვენ არ გვიყადრებდა თავსა, თუ გული არ ჰქონდა ამოვლებული ადამიანურ ემბაზში. ერთავად საქმეზე იყო გადაგებული. სხვაზე რა გავამტყუნო. ცოლ-შვილისთვისაც ვერ იცლიდა. ხომ უფრო დიდბალიან სკამზე დასვეს, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს, მაგრამ კაცი უნდა კაცი იყვეს! — უამბობდა უკვე მიჩვეული ქაჩალ-ვანო ახალ თავკაცს, იმ „გულპატარა“ მესვეურის შემცვლელს და ეს უკანასკნელი სიამოვნებით ისმენდა „ჭკუაში დასაჯდომ“ სიტყვებს.

— იმედი მაქვს, სხვანაირად არ ჩამომართმევ და, იმ ხელმძღვანელისათვის მიმიფურთხებია, ვინც უნდა იყოს, უბრალო კაცის გულში თუ არ ჩაიხედავს და მისი თვალების მოძრაობას არ გამოიცნობს. ვისთვისაც ჩინურივით უცხოა ადამიანური თვისებები, საქმესთან ერთად მოლხენა და ქეიფი არ უყვარს თავის დროზე, ან ქადრაკის ჟინი არ აუჭინჭრავს ტანსა, ან ნადირობა არ ააცმუკებს! — საპასუხოს ეტყოდა ბატონი ლევანი და თან თავის შევარდენას ფუმფულა ქეჩოზე ხელს უსვამდა.

— დაწე, შევარდენა, დაწე! — მიმართავდა ალერსით.

ზრდილობა-ქცევაში გაწაფული ძაღლი ხალისით ასრულებდა პატრონის ბრძანება-თხოვნას. ფეხებშუა უწვებოდა და სიყვარულით შესწკმუტუნებდა.

რაიონში ბევრმა დაიკერა პირზე „შევარდენა“. საკმაოდ პატივცემულ პიროვნებებსაც კი დაზეპირებული აქვთ მისი ბიოგრაფია და ხასიათი. უყვართ კიდეც. სახარბიელო ჯილაგის ნაშიერია. პოინტერის ჩამომავალია, ლეკვობაშივე შესტყობია გონიერება. სიმარდე და გეშის აღების საოცარი უნარი. ქაჩალვანოს — „სალხინოს“ გამგეს — საგულდაგულოდ წამოუყვანია ჯებირელი ჯიმშერასაგან, მთელს საატენოში რომ არის ცნობილი თვამლამრჯვე მონადირეობით, და დღევანდელი პატრონისთვის უფეშქაშებია. სათაყვანებელ

კაცს. ჟინიან მონადირეს თვითონვე დაუგეშია ხასიათრბილი ლეკვი და თავმოსაწონადაც დაუოსტატებია. ჯერ ექვსი თვეც არ მოლეოდა, რომ იღბლიანი მეძებარი სანადიროდ დაიდევნეს.

გახარებული პატრონი შევარდენას სიკაიძალლეს ვერა მალავდა:

„ამ დალოცვილს რა ზეყნოსვა აქვს! ერთ კილომეტრზე ეცემა ხოლმე ფრინველის სუნი. თუ ყური მოიძაბრა, ჭიანჭველის გაცოცებაც არ გამოეპარება. მერე, რა ნაბულს აკეთებს! თავს რომ აიღერებს და გაილურსება, უნდა ადგე და უყურო. წამოფრენილ ფრთოსანს თავგაკვლით დაედევნება და, ვიდრე სამიზნედ არ მოაქცევს. არ მოეშვება. იმ დღეს ნაწვერალში წამოაფრინა მწყერი. მიმინოსავით გამოეკიდა და საქცევამდე ალარც კი მიაღწევინა. ახლა, რა ამტანია სიცხისა! მზისაგან რომ მიწა კვერცხივით იწვოდეს, ჩემი შევარდენა ეგრე გაიქცევა, თითქოს საბაბანებელი სიგრილე სცემდეს. მე შენ გეტყვი, ზოგიერთა ძაღლივით მკლავის სიგრძე ენას წამოაგდებს. ხომ მეძებარია და მომცრო ცხოველებისაკენაც ერჩის გული. რუსული მდევარიც შემირცხვენია მაგასთან. ამ გაზაფხულზე კურდღელს გავაჯიბრე აღმართზე. იმდენი იმარდა, მაინც უყელა და ჩემკენ გამოაფრთხო. თებერვალში არ იყო. სამშვიდობოზე გაღწეულ მელას დაეწია და თავისივე სოროს გვერდით ბუბნა?! მერე. რა აზრიანია. ადამიანივით იქცევა ეს დღეგრძელი!“

შევარდენას გონიერებაში მაშინვე დაარწმუნებდა დაინტერესებულთ.

— უცქირეთ, უცქირეთ. რა გააკეთოს!

ჯგროდ მოკრებილი გულშემატკივრები თვალს დაახარბებდნენ.

— შევარდენა, შევარდენა!

განებივრებული ძაღლი ზეზე წამოიმართა.

— ფაცი დამიკა. შევარდენა. ფაცი! — და ხელიც გაუწოდა.

შევარდენამ მოკლედეზებიანი თათი ხალისით გამოშალა და ძმაკაცივით ჩამოურტყა.

პატრონს სიხარულმა გადაუთამაშა სახეზე.

იქ მყოფნი უფრო მეტად გახალისდნენ და შევარდენას საქები სიტყვები გადაულაპარაკეს ერთმანეთს, უფრო პატრონის გასაგონად.

— მომეხვიე, შევარდენა, მომეხვიე! — ხელითაც ანიშნა პატრონმა.

ძაღლი უმალ შეიკალხა, წელზე მოეხვია, სარტყელივით შემოაწნა თათები, ოდნავ შეაბანჯლალავა, წითელი ენა წამოაგდო და ხელისგულზე აუსლაპუნა.

პატრონმა სიხარული ვერ დამალა და გულიანად გადაიხარხარა,

გარსშემოხვეულნიც ახარხარდნენ. რამდენიმემ ეგ არ იკმარა და:

— ლევან არჩილიჩ, ისე გაგიწვრთნიათ, რომ ცირკის ფინიასაც შეარცხვენს.

— ადამიანის გონება აქვს. ადამიანის!

— ცხვირპარხალა სანდრიას რომ მაგნაირი მოქცევა ჰქონოდა, ეხლაც იჯდებოდა მეურნეობის დირექტორის სკამზე. — ჩასჩურჩულა ქაჩალ-ვანომ. რომელიც ბატონ ლევანთან ისე იყო გაშინაურებული და გათამამებული, ყველას გასაგონადაც რომ ეთქვა, მაინც არ გაუწყრებოდა.

— რა ლამაზია ეს დღეგამრავლებული!

— შეხედე. რა ტანი აქვს, გავაზივით მოქნეული!

— ფეხებს უცქირეთ, პატარძლის მკლავებს რომ უგავს!

— ის გაპრეხილი კუდი როგორ მათრახივით მოუღერებია!

— თითქოს უნდა გააქანოს და ბაზარნიკ ზაურას სთხლიშოს ჩაყვითლებულ კბილებში, წამდაუწუმ რომ დაკრეჭს ხოლმე თავის უფროსთან.

— ყბებიც როგორ გაწყობილი აქვს!

— მაშ არადა, კრეჭია კოლას ჯეკას ექნება, ქვედა ყბა რომ ბეჰემოტივით

გაფარჩხვია და ბებერი ტახივით გადმოუყრია ღრჯოლები!

— ფერიც საკადრისი მოუმაღლებია გამჩენს, სურნელოვანი ჩალისა დაჰკრავს!

— კალმახივით რომ წითელი წინწკლებით დაჩითულა?!

— შუბლს დააკვირდით! გეგონებათ ბრძენი ადამიანი დაფიქრებულაო. — ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შევარდენას შემკობაში.

ძაღლიც მიმხვდარიყო, რომ მასზე ისველებდნენ ენას. ჯეირანივით შემართულიყო და მადლიერებით მისჩერებოდა მეხოტბეთ.

პატრონს, რა თქმა უნდა, ეამებოდა თავისი საფიცარი შევარდენას ქება და გავაზე ხელის გადასმით ეფერებოდა.

შემოჯარული თაყვანისმცემელნი ხან ძაღლს მიხედავდნენ გალიმებულნი და ხან პატრონს.

ძაღლმა ნებივრად გაიწკმუტუნა.

— სიმღერას იწყებს!—იანგლა ვილაცამ.

— რაა, უსიამო ხმა აქვს, თუ? — დაუმატა მეორემ.

— გიგლა გერასიმოვიჩს მაინცა ჰქონდეს ამნაირი ხმა! — იხუმრა ბატონმა ლევანმა და ვიდრე ნათქვამს ღიმილს მიაყოლებდა, გარსშემომყოფებმა დაასწრეს სიცილი. მანამდე არ შეუწყვეტიათ ხარხარი, სანამ ნაკვესის ავტორმა ღიმილი არ გაიქრო.

გულიანად კისკისებდა თვით გაკეწლილი გიგლაც. რომელმაც წელან ბაზარნიკ ზაურას გადააწნა შევარდენას კუდი. ბანკის მმართველს სულაც არა სწყენია ბატონ ლევანის წკეპლა. თავადაც მიმხვდარიყო, სიმღერაზე რომ ცოტა უკაცრავად გახლდათ და ისიც გამოიცნო, სად დაურტყა: იმდღეს რომ წყაროსთვალზე ფრიად საპატიო სტუმრებთან ჭირშეყრილი მამალივით ახრიწინდა და თავგამოდებულ მასპინძლებს თავი მოსჭრა.

ბატონ ლევანს შევარდენას ალერსით გული ვერ ეჯერებინა.

—შევარდენა, სკუპი ქენი. სკუპი! — ხელი განზე გაუშვირა.

ძაღლმა გაიგანა. სხარტად მოსწყდა ადგილიდან. განაბულად [illegible] ჰაერში. ორივე მხარეს კიდურები გაჭიმა და ხტუნვა-ხტუნვით გაირბინა. უკანა ფეხებზე შეიკალხა, ღონივრად დაარტყა მიწას. ზამბარასავით ავარდა და ისეთი ნახტომი გააკეთა, დოლის ცხენს გაუჭირდებოდა.

ისეთი ტაში მიუძღვნეს, სათაყვანებელ ჩემპიონს რომ ეკადრება.

გამარჯვებული ძაღლი მობრუნდა და პატრონს ამოუდგა გვერდში.

ერთხელ კიდევ იგრიალა ტაშმა.

შევარდენამ შველივით მოიღერა თავი და ის დაფოჩილი ყურები დააპარტყუნა.

—ყოჩაღ, შევარდენა, ყოჩაღ! — დინგზე ჩამოუსვა ხელისგული ბატონმა ლევანმა,

ძაღლმა კუდი გააქიცინა, გაიზმორა და ცაკვია თათი მიწას ამოუფხაჭუნა.

ლევანს ალერსი ვერ ეკმარა. ჩაცუცქდა. ძაღლი ამ დროს მიჩვეული იყო მოხვევას. შეიკალხა, თათები მხარზე გადააწყო, კისერი მოიგრიხა და ალერსით შეხედა პატრონს, რომელსაც კოცნა მოუნდა. მაგრამ უადგილოდ ჩათვალა და ნიკაპზე ამოუთათუნა ხელი.

ყბის ძირას როკივით მოედო რაღაც. შუბლი შეიკრა.

იქ მყოფნიც უმალ მოიღრუბლნენ.

— კენჭივით გამაგრებია რაღაც! — შეცბუნებით თქვა პატრონმა და თითის წვერით მოუსინჯა საეჭვო ადგილი.

— კენჭივით?!

— რა უნდა იყვეს?! — შეწუხდნენ.

— კი არაფრის ნაკბენი იყვეს! — შეფიქრიანდა ლევანი.

— ნაკბენი?!

— რასა ბრძანებ?! — კვლავ ჩამოსტიროდათ თავ-პირი.

პატრონმა ფრთხილად მოუსრისა დაკენჭებული ხორცი. რაკი ძაღლმა ტკივილი არ იგრძნო, სახე მოიმხიარულა და:

— ეგ არაფერია. ნემსიყლაპიას ნაკბენი იქნება!

თაყვანისმცემლებმაც ერთბაშად გამოიდარეს.

პატრონმა გუშინდელი ამბავიც გაიხსენა, შევარდენა რომ სახელგანთქმულ მწევარს გააჯიბრა და აშკარად დაჯაბნა. გულშემატკივრებს ისე დაეხარბებინათ ყური. თითქოს ადამიანის გმირობის ამბავს ისმენდნენ.

ასეთი სასიამოვნო და სახსოვარი წუთები ძაღლსაც, პატრონსაც და თაყვანისმცემლებსაც ხშირად უმეორდებათ ხოლმე მოცლილობის ჟამს.

შევარდენა განებრივრებული ძაღლია. დედისერთა ბატონიშვილივით ამაყად მიაქნევს თეძოებს. წითელი კოჭივით გამოირჩევა სხვა ძაღლებში. თავმოყვარეობითაც და ზრდილობითაც წარმოსადეგია. სხვასავით თვალი არ წაუგორდება ნარჩენებზე. საძვლედ არ გაიმეტებს მოვლილ კბილებსა. ფაშარ პურს აზიზად დაყნოსავს და ათვალისწუნებით მოიშორებს თათით. თუ საგულდაგულოდ არ დაუმზადეს, პირს არ დააკარებს კბილგასაკრავს. შიმშილით რომ სული სძვრებოდეს, ქურდბაცაცობას არ იკადრებს. ზოგი ძაღლი ისეა გაწუწკებული, გამგელებული დაწანწალებს სოფელში. მაწვნის ქილაში ჩაყოფს დინგს და ხარბ სლაპუნს აუყენებს. კვერცხისა თუ წიწილის სინსილას გაუწყვეტს პატრონსა თუ მეზობელსა. შევარდენა ეგრე არ დაეცემა სულითა. ერთი კვირის უჭმელიც რომ იყოს და გვერდით თამთამა ხაშლამა ეყაროს, უნებართვოდ არც დასუნავს. არც უჯერმაჯეროდ აუღურღუტდება კუში და არც ილორმუცელებს სხვა ძაღლივითა. ლეკვის სამყოფ ულუფას იმყოფინებს. მხოლოდ ეგ არის, პატარა ბავშვივით მალ-მალე თხოულობს ჭერსა. ისეთ აკურატულ ჭამასა და სმას მისჩვევია, ნამცეცს არ დააგდებს მიწაზე და წინწკალს არ დაიცემს ბალანზე.

შევარდენას ეს გულმისავალი ზნე-ხასიათი ბატონი ლევანის დამსახურებაა. მან ამ ძაღლს დიდი ამაგი დასდო. იქნებ იმანაც გაუძლიერა სიყვარული შევარდენასადმი. საკუთარ[illegible] ეჯიგრება. შვილებში არ გამოარჩევს. უფრო მეტად ეფერება. უტყვ სულიერს მეტი სითბო უნდაო. მით უმეტეს, ასეთ ლამაზს, გონიერს, მოხერხებულსა და კაიზნიანს, როგორიც შევარდენა არის, რომელიც დღეს და ღამეს პატრონის ერთგულებაში ათენ-აღამებს და თავის სიცოცხლეში ამდენი სიამოვნება მიუნიჭებია.

რომელი დღე დაბერდება, ბატონმა ლევანმა თვალი არ დაჰკრას შევარდენას. შუაღამისასაც რომ დაბრუნდეს შინ, თუ არ მოინახულა. თვალი ვერ მოეხუჭება. მივა ძაღლის სამყოფელოში. ადამიანივით მიესალმება, მოიკითხავს, მიესიყვარულება, გულს იჯერებს და დაელამემშვიდობება.

უქმე დღეს ხომ ერთად ალამებენ: ან ნადირობენ, ან სეირნობენ.

როცა ბატონი ლევანი აგარაკისკენ მიჰქრის ბდღვრიალა „ვოლგითა“, გახალისებული შევარდენა გვერდით უსკუპია და ხელის თათუნითა თუ ლიტინ-ხუმრობით ამხიარულებს. შევარდენაც ძაღლური თავდაჭერილობით იფერებს ადამიანის პატივისცემას. თუ გაყოლება ვერ მოუხერხდა, ლევანის სული შევარდენასთან რჩება. სანდოს კი ჩააბარებს, მაგრამ სამ დღეში ერთხელ მაინც თუ არ დარეკა და ძაღლის მადა-ხალისიანობა არ შეიტყო, გული არ უსვენებს. დაბრუნდება და ხვევნა-ალერსით შეხვდებიან.

პატრონის გარდა შევარდენას უამრავი მოშფერებელი ჰყავს. ბევრი ამაყობს მასთან „დამეგობრებით“. მაგრამ ქაჩალ-ვანო ვერავის დაანებებს პირველობას. ამდენ თაყვანისმცემლებში მხოლოდ მან მიაღწია იმის უფლებას, რომ პატრონის დაუკითხავად შეაღოს შევარდენას კომფორტაბელური ოთახის კარი და თუნდა საათობით გაიყვანოს. ძაღლის ზნე-ჩვევაში ისეა ჩაწვდომილი.

რომ წკმუტუნის კილოზეც კი გებუ-ლობს: რა ესიამოვნება და რა სწყინს. დახელოვნებულია გუნება-ხასიათის გა სწორებაში. გაუტოლდება, გაუარტისტ-დება, დაღონებულს მოამხიარულებს, გაკაპასებულს დაამშვიდებს, უმადოს მადას მოჰგვრის. ზეპირად იცის მისი მენიუ და საჭმელებსაც ისეთს ურჩევს, რაც ძაღლს ეპრიანება. ყველაზე მეტად ხბოს ლეშის ჯიჯგვნა უყვარს და ქაჩალ-ვანოს წყალობით გამოულეველი აქვს. კვირაში ერთხელ მაინც გადაასანსლებს ხოლმე შემწვარ ვარიას. ბოლო დროს ქინძის საცხებელში ამოვლებულ ზუთხს შეაჩვიეს და არც იმის ნატრულსა ხდის თაყვანისმცემელი.

შევარდენას აბაზანა არ აკლია. მაგ-რამ მდინარეში ერთი გაცურება-განა-ვარდება ყველას ურჩევნია. უფრო სიც-ხეში მოუვლის ხოლმე კაწკაწი. ქაჩალ-ვანო იმ გულვასაც უმცხრალებს. ყო-ველდღე დაყავს დამწკნარ ცხავატურა-ზე და ქინს აკვლევინებს. მაგას არ დას-ჯირდება. დაიჭერს და ტიტლიკანა ბავ-შვივით აბანავებს. იმიტომაცაა, შევარ-დენას მოკლე და ხავერდოვანი ბალანი ერთავად ბზინავს.

ქაჩალ-ვანოს ასი თვალი გამოუბამს და ასი ყური. რომ თავხედებმა არა ავ-წონ-რა შევარდენას. კარგ კაცს თვალ-შური არ დაელევა. კარგ ძაღლსაც ავი თვალი არ მოაკლდებაო. შევარდენასაც ცოტა მაწყევარი და მაგინებელი როდი ჰყავს. ზოგიერთი ჭკუათხელი კარიერის-ტი თავის წარუმატებლობას შევარდე-ნას აბრალებს. ვითომდა, მაგ პატივ-მოყვარე ძაღლისთვის რომ არ გაუყად-რებია თავი, მისი პატრონი იმიტომ უყურებს ღარიბი თვალითაო. ჰოდა. იქ-ნებ ასეთმა მოკლე ჭკუის კაცმა ერთ მშვენიერ დღეს თავზე ხელი აიღოს და ძაღლზე იძიოს შური. მაგის გარდა, რამდენი ანცი ბიჭი უცქერის ალმაცე-რად. ამიტომ თავი არ დანებდება. იმ დღეს შევარდენას სამყოფელოს კარი ღია დარჩენოდათ, მეზობელ ტიტიკოს —ცოტა ჭკუამხიარულ ბიჭუნას — დრო ეხელთა, ლუკმაში ნემსი გაეჩხირა და გადაყლაპინებას უპირებდა, კიდევ კარ-გი, ქაჩალ-ვანო იქ გაუჩნდა, [illegible] დროზე გამოგლიჯა ნემსიანი ლუკმა. თორემ ქებული შევარდენა მიწის ლუკ-მა გახდებოდა და ბევრს აატირებდა. ონავარმა ტიტიკომ უშველებელი სილა მიიღო. მისმა მშობლებმა გულის დამ-დაღავი ლანძღვა, მთელმა პედკოლექ-ტივმა — დიდი საყვედური და ქაჩალ-ვანომ — დიდი მადლობა.

ქაჩალ-ვანო ხშირი მასპინძელია შე-ვარდენასი.

აქა-იქა ჩურჩულებენ: ქაჩალ-ვანო შევარდენას აჭმევს პურსა, შევარდენა — ქაჩალ-ვანოსო. მანამდე შევარდენა ცოცხალია. ქაჩალ-ვანოს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო.

ვინ რას იტყვის, რა ჩვენი საქმეა. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ბატონმა ლევანმა ამ ბოლო დროს ძალიან დაია-ხლოვა ქაჩალ-ვანო. ლევანის კაბინეტის კარი მისთვისაც მძიმეა. მაგრამ სახლის კარი მუდამ ღიაა. აკი ბილიკიც დაქნა! თითქმის ყოველ საღამოს მიაკითხავს დაძმაკაცებულ თავკაცს. ბატონი ლევა-ნიც გულს გაუღებს. ქეიფზე არ დაიკ-ლებს და გართობაზე. სახლი გაუსტუმ-რიანდება თუ არა—სტუმარი კი ღმერ-თმა უმრავლოს, არ ელევა ბატონ ლე-ვანს. — ქაჩალ-ვანო იქ ამჭვიტია. ან რა მოსარიდალია, როცა ისეთი მომლხენია. ჭამა-სმას დაავიწყებს სუფრაზე მყოფს რა ანცლობა. რა სიმღერა, რა თამადო-ბა! ქეიფს ეშხსა და ლაზათს აძლევს.

ბატონი ლევანი ბილიარდის თამაშის ტროფიალიც არის და მაღალი კლასის მობილიარდედაც ითვლება. ერთ ბურ-თულას ისე ზუსტად დაახახებს მეორეს. რომ უსათუოდ პარკუჭუნასკენ გაამწე-სებს. იშვიათად თუ გაუცდება ხელი. უყვარს თავისავით ძლიერ მოწინაალმ-დეგესთან თამაში. როცა დიდი ოფლის-დენის მერე დასჯაბნის, ბავშვივით გაი-ხარებს ხოლმე.

ქაჩალ-ვანო ბილიარდშიაც დახელოვ-ნებულია. მაგიდის ნაპირას რომ ბეჭებს

მოიხრის, მარცხენა ხელს რომ დაბლა დაუშვებს და საოჯახედ მოიცილავებს, ვიწრო თვალს რომ ამოჰკიჟავს და ბურთულას გაენაბება, მოწინააღმდეგეს ფერფური მისდი-მოსდის. იცის, რომ ბადეს არ ააცდენს და ავ გუმანს გაუმართლებს კიდეც.

ბატონ ლევანს ყოველთვის ებალისება ბილიარდის თამაში ქაჩალ-ვანოსთან. ცოტა შიშიც გაჰკრავს ხოლმე, რადგან ხანდახან მასთან ვერას გახდება ხოლმე და უჟმურ ხასიათზე დაუმთავრებს შეჯიბრს. მაგრამ ასეთი საუჟმურე თამაში ათასში ერთხელ თუ მოხდება. ქაჩალ-ვანომ იცის, ვისთან უნდა მოიგოს და ვისთან უნდა წააგოს. სხვასთან მუდამ გამარჯვებული, თავს იმარცხებს. ჯერ დაჯაბნის, თამაშის ჟინს გაუძლიერებს. შურისგების სიფიცხეს გაუცხოველებს. მერე წაეგებინება და სახეს მოიმრუშხებს. ხოლო ბატონი ლევანი აღტაცებით წამოიძახებს:

„ეგეც შენ, ეგეც შენ!“

გაამაყებული მომგები იმითია გახარებული, რომ მჯობნის მჯობნი შეერქმევა, ქაჩალ-ვანო კი იმითია კმაყოფილი, რომ თავკაცი ნასიამოვნები რჩება.

ქაჩალ-ვანოსთან ნადირობაც უყვარს ბატონ ლევანს, სანადირო თოფს ისე არ გადაიკიდებს, თუ ეს გულთან მიჩვეული კაციც არ გაიყოლა. ჯერ აქაც დაპირველდება ქაჩალ-ვანო, სროლის იმტაზე მოიყვანს, მერე ოსტატურად მიუმარჯვებს სახოცს, ისე, რომ ლევანს ჰგონია, ჩემი მოხერხებულობის წყალობაო და სათვალავში დაიმჯობინებს. ქაჩალ-ვანო კი თავს მოიგულნაკლულებს და დამარცხების ნიშნად მოკლე წამწამებს დააპარპალებს.

— მოკაკვე თითი! — უბრძანებს გამარჯვებული კილოთი.

ქაჩალ-ვანო თითსაც ჰკაკვავს და სიტყვასაც მიატანს:

— შენი ძაღლი ვარ!

— ხომ გჯობნი! — პირს სიცილი მოსდის ბატონ ლევანს.

— ჰმ, მჯობნი, ლევან არჩილიჩ, და რა ვქნა! თქვენ ოცდახუთი მწყერი გიკონწიალიათ ქამარზე, მე კი ათიც არ მიკივკივებს!

— ჰმ! ჩემთან რას მოხვალ, ბიჭო, ჩემთან! — ხუმრობის ხასიათზეა ლევანი.

ქაჩალ-ვანოს გუნებაში ეცინება.

ასეთ გულმოსაგებ შემთხვევას არ ულევს.

იმ დღეს კურდღელი წამოუხტა. ჯერ ბატონ ლევანს აროლინა, რაკი აუცდა, ახლა თვითონ მიაყოლა, გააგორა კიდეც და სიტყვაც დროზე მოუსაფალნა:

— რა თვალი და მარჯვენა გაქვთ, ლევან არჩილიჩ, ერთი სროლით როგორ შეაკუნტრუშავეთ! მე ტყუილადღა წამიცდა ხელი. კიდევ კარგი, ხელი ამიკანკალდა და ჰაერშიღა გამივარდა, თორემ ჩემი ნასროლიც რომ მოხვედროდა, ხომ სულ გააოხრებდა. ხორცი ხორცად აღარ ივარგებდა და ტყავი-ტყავად.

არწმუნებს, რომ ნამდვილად ლევანმა მოკლა.

— ჰმ! შენ რის მომრტყმელი ხარ, ბიჭო, წადი, ჯერ თოფის დაჭერა ისწავლე და ისე წამომყევი. შესარცხვენადაც ნულარ დამდევ მაინცა! — კვლავ მოეძალება იუმორი ბატონ ლევანს და ფეხებშეშვერილ მსხვერპლისკენ მიიჩქარის.

ქაჩალ-ვანო ძაღლებთან ერთად ტუსტუსით მისდევს სნაიპერს.

ძაღლზე კი არა სჭირდება ნაძალადევი დამჯობინება. მისი შუბლა ერთი მგლისმუხლა და შორსმყნოსავი მეძებარია. მაგრამ შევარდენასთან რას მოვა! ქაჩალ-ვანო ორივეს გააჯიბრებს ხოლმე. რაკი ხირბილშიც და ნაბულშიც შევარდენა ჩაგრავს, ბატონ ლევანს უხარია და კმაყოფილებით უცქერის სეირს

ლევანის გულის გასახარად ქაჩალ-ვანო ხშირად მართავს ძაღლების შეჯიბრს.

ქაჩალ-ვანოს თავისი თავივით უყვარს შევარდენა, ძაღლიც ვალში არა რჩება. თაყვანისმცემლის დანახვაზე სიხარულით აწკმუტუნდება და კუდს აქიცი-

ნებს. გულისძილშიც რომ იყვეს, უმალვე იცნობს ქაჩალ-ვანოს და ნებას დაუყვება.

დილაადრიან ჩამობრძანდა ბატონი ლევანი დაბლა. სხვა დღის დარად. ეხლანდელი დღეც შევარდენას მონაზულებით, გუნება-ხალისიანობს შეტყობითა და გასაუბრებით უნდა დაეწყო. მშვენიერი დილა მოდიოდა და ხალისი მოსძალებოდა. ღიღინით გამოაღო საძაღლის კარი. გამოაღო და პირს კატა ეცა: შევარდენა არ შემოეგება. თვალებს არ დაუჯერა. საძაღლეში შეყელყელავდა და ენა ვერ დაძრა სახტად დარჩენილმა.

— შევარდენა, შევარდენა! — გაფართოებული თვალებით მიმოიხედა.

ძაღლი არსაიდან გამოეპასუხა.

ეზოში მიმოირბინა.

— შევარდენა, მპუ. მპუ! — გაცხარებით დაეძებდა.

პასუხი არ ისმოდა.

— სადა ხარ, შევარდენა! მპუ, მპუ! მპუ! — მოუხმობდა გულგახეთქილი.

მეზობლები გამოიკრიბნენ.

— შევარდენა არ დაგინახავთ, ბიჭებო! — პატარებისგან უფრო მოელოდა პასუხს.

პირუბანელა ყმაწვილები საუაროდ იქნევდნენ თავსა.

— არც თქვენ მოგიკრავთ თვალი?! — ახლა მოზრდილებს მიაჩერდა.

— არა, ლევან არჩილიჩ.

— არა. — ისეთი ჩამქრალი ხმით პასუხობდნენ, თითქოს ისინი იყვნენ დამნაშავენი.

— ვააჰ! საკვირველია! — ხელი ხელს შემოარტყა ლევანმა.

— ნადირმა ხომ არ მოიგდო ზურგზე! — თქვა ერთმა.

— ნადირს აქ რა უნდოდა! — პირში ეცნენ მაშინვე.

— ოსი რეზოს ძაღლი ბზუნავს და იმან ხომ არ აწყვეტინა! — ეს გუმანიც გამოითქვა.

— არა, შევარდენა ეგეთი გარყვნილძაღლი არ არის! — იმასაც უმალ ჩასჩარეს პირში ბურთი.

— ხომ არავინ იხუმრა! — წამოიძახა ვილაცამ.

— შეიძლება! — კვერი დაუკრა მეორემ.

ბატონ ლევანს გული მოეწამა.

შუაღამე მომდგარიყო და ნადირობაზე დაღლილი შევარდენა ფეხგაუქნევლად ხრუტუნებდა. კარის გაჩხაკუნებამ დაუფრთხო ძილი. უცებ შეძაგძაგდა. წინა ფეხებზე აიყაყვა და გაჯავრებით შეღრინა. ხელებში უნდა სცემოდა უდროო სტუმარს, მაგრამ მალე მოეგონსა. იცნო და საყვედურიანი წკმუტუნილა გააბა.

„შევარდენა!“ — სურდა ჩვეულებრივი სიმშვიდით დაეყვავებინა კაცს, მაგრამ აღელვებას ვერ ფარავდა. ეს ვერც შეამჩნია ძაღლმა და ერთი კვირის უნახავ თაყვანისმცემელს სიხარულით შეჰკაწკაწებდა. მზად იყო თავისებურად მოჰფერებოდა, თუ ამას „სტუმარი“ მოისურვებდა, მაგრამ კაცი მოფერების გუნებაზე არ იყო. ძაღლი გარეთ გამოიხმო. შევარდენა ხალისით გამოჰყვა.

„წავიდეთ, შევარდენა!“ — კანკალით ჩასჩურჩულა. კეფაზე ცახცახით გადაუსვა ხელი. ქეჩოზე წამოყრილი თასმა გაუსწორა. ოდნავ მოუჭირა. ცალი ხელი დრუნჩზე მოავლო, ვითომ მოფერებით. სინამდვილეში კი იმ მიზნით, რომ დაყეფის შემთხვევაში უმალ აეკრა კრიჭა.

შევარდენას წკმუტუნითაც არ გამოუთქვამს დაზარება. რაღაც კარგის მოლოდინში იყო და ხალისით გაჰყვა.

კაცმა სამშვიდობოზე გამოიყვანა ძაღლი და თავისუფლად ამოისუნთქა. წელში აიმართა და ნაბიჯს მოუმატა.

შევარდენა ტუსტუსით მისდევდა.

მდინარის პირას ისე გადავიდნენ, ადამიანისშვილი არ შემოჰყრიათ. თორემ მთვარე ისე კაშკაშებდა, კაცსაც და ძაღლსაც ადვილად შეამჩნევდა ძეხორციელი.

რიყეზე მიიყვანა. სწორედ იმ ადგილას, სადაც მარჯვე საბანაო იყო, ბევრჯერ გაულვრეჭია და გული უჯერებია მისი მოფერებითა.

ახლაც მოუარა მიალერსების ჟინმა. დრუნჩზე მოუთათუნა, წარბები გადაუწკიპა, ქეჩოზე ხელი გადაუსვა, ბალანი გადაულეკა. ხელს ვერ იმორჩილებდა მაინც. „შევარდენა, ჩემო შევარდენა!“ — გაბზარული ხმით მიმართავდა. ძაღლი აიკალხა, თათები შემოაწნა წელზე, ყანყრატო აჭიმა მოფერების მოლოდინში, კისერი გადაიღრიცა, პირდაღებული შესცქეროდა და გასხეპილ კუდს აქიცინებდა.

კაცმა ორივე ხელი წაავლო ყბებზე. დაკვირვებით მიაშტერდა. თვალებზე ცრემლი მოეწურა. დაიხარა. ძაღლის დრუნჩი ლოყაზე მიიდო, მიისვ-მოისვა და ისევ გაიშორა. ხელები დაიციდავა და ყელში წაავლო. ცერა თითები ყანყრატოს დაუმიზნა და კანკალით მოსინჯა. გული ეუარებოდა ლამის განზრახვაზე ხელის აღება გადაწყვიტა. კარგა ხანს იყოყმანა. მერე კი: „ეჰ, შენი პატრონის დედაცაო!“ — გაბრაზებით გადაუკურთხა და ცერა თითები გამეტებით დააჭირა ყანყრატოს.

ძაღლი აზრზე ვერ მოსულიყო, რას სჩადიოდა თაყვანისმცემელი. იმის ცდაშიღა იყო, თავი დაეღწია უცნაური ალერსისაგან. ძლივს მოიკრიბა ძალა. კიდევ უფრო დაჭიმა უკანა ფეხები. წინა თათებით მუცელზე მიაწვა კაცს და, რაკი ვერ მოიშორა, ენაწამოგდებული მინებდა. ისევ სცადა ძალის მოკურვა. სულის მოთქმას ეძალებოდა და გაჭირვებით ისრუტნებოდა ცხვირიდან.

კაცი და ძაღლი დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს. ორივე იოფლებოდა. კაცს უფრო მიელია ქანცი. ძაღლმა ამოსუნთქვა მოახერხა. ღონე მოიკრიბა. გაафთრდა. ძლიერად მიაწვა ადამიანს და რიყეზე გადაჩეხა. კაცმა საყელოს არ გაუშვა მარჯვენა. ქვეშმოქცეულმა მეორე ხელიც ჩაავლო. ძალა მოიკრიბა. თასმა გადაუგრიხა და ყელში წაუჭირა. ღონივრად მოქაჩა და დასძლია კიდეც. ძაღლს სუნთქვა შეეკრა. სავათობა ადგარა ჰქონდა. ენა გადმოაგდო და მავედრებელის თვალებითღა შესცქეროდა. კაცში სიბრალულმა იმძლავრა, აკანკალებული ხელები მოუდუნდა. თვალებში ცრემლი მოაწვა. „აჰა, უნდა უშვას ხელი და მონანიებით მოეხვიოს. მაგრამ „ის“ დაუდგა თვალწინ. ისევ იფეთქა შურისგების გრძნობამ. სიბრალული დაითრგუნა და მთლად გაიქრო. ღონივრად გადაგრიხა საყელო და ენაგადმოგდებულ, თვალებგადმოკარკლულ პირუტყვს განწირულის ხრიალი დააწყებინა. ვიდრე ხრიწინი არ შეუწყდა, ხელი არ ანება, გვერდზე მიაგდო. ძაღლი შეინძრა. კაცი შეკრთა. „ძაღლი მაინც ძაღლიაო.“ დაეჭვდა. იქნებ ჯერ არ ამოსძრობია სულიო, და კვლავ წასწვდა ყელში. ისევ ღონივრად მოუგრიხა ტყავის საყელო და მანამ არ დარწმუნდა, რომ უფალმა მიიბარა, არ მოეშვა. მეტისმეტად მოქანცულიყო. თავი ვეღარ შეიმაგრა და დამხრჩვალ ძაღლზე მიესვენა. შეიარაქათა. ოფლი მოიწმინდა. წამოდგა. მსხვერპლს დახედა. უქმურმა განცდამ შეაკრთოლა. იმ წამს თავის თავი შესძაგდა. ბოროტად, კაცის მკვლელად მიიჩნია თავი. ცახცახი აუვარდა. ეგონა ძაღლის დახრჩობით გულის ბუხარს ამოიყრიდა. მაგრამ პირიქით მოხდა. ბოლმა მოაწვა. ისეთი უსიამო გრძნობით იყო შეპყრობილი, თითქოს საყვარელი ადამიანი გამოასალმაო წუთისოფელს. ცრემლები გადმოყარა და ჩაიბუტბუტა:

„ეჰ, რა საყვარელი ძაღლი იყავი, შევარდენა! უშენოდ ერთ დღესაც ვერა ვძლებდი. მაგრამ ჩემი ხელით დაგახრჩე. შენ რა დამიშავე. შე უბედურო! შენი პატრონი მყავდა დასახრჩობი და შენზეღა ვიყარე ჯავრი. შენს პატრონს თავდავიწყებით უყვარდი და მაგ სიკვდილით გულს მოვუკლავ. მე მას სხვა გზით ვერ გადავუხდიდი სამაგიეროს!“ — ღრმად ამოიოხრა და გამოეჩქარა.

გაფაციცებული ძებნა გრძელდებოდა.

ვიღაცამ მოიტანა ამბავი: შევარდენა მდინარის პირას გდიაო.

„გდიაო?!“ — გულს ხანჯლის წვერივით ეცა ლევანს.

„გდიაო?!“—გაიოცეს და შუბლი შეიკრეს ძაღლის თაყვანისმცემლებმა.

ლევანი მდინარისკენ გაექანა. კრებულიც დაიძრა. ზოგს თუ გული სტკიოდა, ზოგი ცნობისმოყვარეობას წაეცდინა და ფეხმოჩქარებით მისდევდა.

პატრონს გული შემოეყარა, როცა ნახა კბილებდაკრეჭილი, ენაგადმოგდებული, თვალებგადმოგუდული შევარდენა. მუხლს მოეკვეთა, თავი ველარ გაიმაგრა და ცრემლები წამოსკდა. თავჩაქინდრული იდგა. დანა პირს არ უხსნიდა.

— შევარდენა, ჩემო შევარდენა! — გული თან ამოაყოლა ამოოხვრას.

კისერგადაგდებული შევარდენა დუმდა.

დამგლოვიარებულ კრებულს ემატებოდა და ემატებოდა მწუხარენი თუ ცნობისმოყვარენი. მოისწრაფოდნენ ფეხით, მოჰქროდნენ მანქანებითაც.

— რაშია საქმე?

— რა მოხდა?

— ვინ გაისვარა ხელი? — კითხულობდნენ ახალმოსულნი.

— სსსუუუ! — აჩუმებდნენ ცნობისმოყვარეებს, რათა ცეცხლი არ გასძლიერებოდა დაზარალებულს.

ამ გაფრთხილებას ყურს არ ათხოვებდნენ ბატონი ლევანის მახლობელნი, რომელთაც მოგვიანებით შეეტყოთ სამწუხარო ამბავი. თქარა-თქურით მოცვივნულიყვნენ შემთხვევის ადგილას და გულდაგულ მიარღვევდნენ კრებულს, გაჭირვებით მიიკვლევდნენ გზას, მწუხარემდე მიაღწევდნენ, ქუდმოხდით მიუსამძიმრებდნენ, დამხრჩვალი ძაღლის გარშემო ჩამოდგებოდნენ და თავდახრით დასცქეროდნენ.

— ვინ გაიმეტა იმ უნამუსომ!

— უნდა დაიჭირო და ასო-ასო აკაფო!

— ეს საცოდავი შევარდენა კი არა, ამის დამხრჩობი ყოფილა [illegible]

— აძაღლდეს იმისი [illegible] ქეს პატიოსანი ოთხფეხა გაიმეტა!

— უნდა ვიპოვოთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს!

— დავიჭიროთ ბოროტმოქმედი და სახალხოდ გავასამართლოთ!

— სახრჩობელას ღირსია! — ამბობდნენ გულდათუთქულნი, თავპირჩამომტირალნი, ხმაგაბზარულნი.

დამწუხრებული ლევანი უხერხულობდა, რომ ამდენი თაყვანისმცემელი შემოსჯაროდა და ბრძანა დაშლილიყვნენ.

შევარდენას ტრაგიკული დაღუპვის ცნობა იმდღისითვე მოედო მთელს რაიონს. ერთურთს სინანულით ახარებდნენ სამწუხაროს. დიდიც და პატარაც შევარდენაზე ლაპარაკობდნენ. ტელეფონების ყურმილში ძაღლის დახრჩობის ამბავი ისმოდა. ჯგუფად შეკრებილნი თუ წყვილად მოსაუბრენი შევარდენაზე დაღვრემილიყვნენ. გლოვამ გადაჰკრა ზოგ სუფრას. ისმევოდა შევარდენას შესანდობარი.

— ნწუ, ნწუ, ნწუ! რა ძაღლი იყო ეგ დალოცვილი!

— ბევრ ადამიანს სჯობდა!

— სადა აქვს ღმერთს სამართალი! ცოდო არ არის, თავქარიანი ერვანდა მზეს შეჰკრიჭინებდეს და ის უბედური შევარდენა მიწის ლუკმა გახდეს! — ლაპარაკობდნენ ერთგან.

— ბევრი კაცი მინახავს ძაღლზე ხელგადაგებული, მაგრამ ლევან არჩილიჩისნაირი გულგაცხელებული არავინ.

— დიდი გული აქვს ლევან არჩილიჩს, დიდი!

— დიდი გული დიდ სიყვარულს დაიტევს.

— ისე ძლიერ უყვარდა, როგორც ოტელოს დეზდემონა.

— აკი დეზდემონას ბედი არგუნა ბედის მწერელმა!

— დეზდემონასავით უცოდველი იყო

შევარდენა! — ფილოსოფოსობდნენ მეორეგან.

მთელი დღეა კბილქვეშ არაფერი შეუგდია ბატონ ლევანს. იმ დღისით საქმეს ვერ დაუდო გული. იჯდა თუ იდგა, შევარდენაზე ფიქრობდა. კიდევ კარგი, დარდის გამქარვებელნი არ ელეოდნენ. ვისაც დილითვე ვერ მოესწრო მისამძიმრება, გული კი ევალებოდა, მოდიოდნენ და მწუხარებაში ეზიარებოდნენ. არადა, არ გამოელია მიმსამძიმრებლები.

ბევრს უკვირდა, რომ დამწუხრებულთა შორის არ იყო ქაჩალ-ვანო. თუ ამ ორიოდე კვირის მდგომარეობის მიხედვით ვიტყვით, ბატონი ლევანის მერე მას უნდა სტკენოდა გული შევარდენას ტრაგედიაზე. პირველს უნდა შეეტყო ეს ამბავი, გვერდში ამოსდგომოდა ვაჟკაცურად. მაგრამ ახლა, საერთოდ, არ ჩანდა რაიონში. ხმა დაარხიეს: ეს სამი დღეა აქ არა ჭაჭანებს, სვანეთში გაფრინდა ლოგინად ჩავარდნილი სიდედრის მისაპატრონებლადაო.

მაგრამ საქმეში ღრმად ჩახედულებმა ის ხმის დაყრა ქაჩალ-ვანოს სიმულანტობად ჩათვალეს. თავადაც დარწმუნებულნი იყვნენ და სხვებსაც აჯერებდნენ, რომ უცოდველი შევარდენა მისი დამხრჩვალი იყო.

— მაინც რა გააკეთა!

— სულელი ყოფილა!

— კაცს ისეთი ადგილი დააკარგვინა, რატო მართლა არ შეიშალა ჭკუიდან.

— მერე, ძაღლი რა შუაშია?

— გული მოუკლა საყვარელი პირუტყვის დახრჩობით და გულის ბუხარი ამოიყარა. აბა, თვითონ პატრონს ხომ ვერ წაუჭერდა ყელში.

— ძმებივით იყვნენ ერთმანეთთან და რა შავმა კატამ ჩაუარათ შუაში!

— დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევსო.

— ღრიტინა სარდიონსა და „მომაშორე" ზაურას ჩაუწვეთებიათ ეგ სიძულვილი.

ღრიტინა სარდიონი წვენების ქარხნის დირექტორია, „მომაშორე" ზაურა — ხილბოსტნეულის დამზადების კანტორის უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რადა, ვითომა?

— რაკი ეგრე დაიახლოვა ქაჩალ-ვანო და რაიკოოპკავშირის თავმჯდომარეობასაც უპირებდა, მაგათ შეშურდათ კიდეც და შეეშინდათ კიდეც: ჩვენც ძირი არ გამოგვითხაროსო.

— ხედავ, როგორ აჯობეს მაგ შებერტყილ ქაჩალ-ვანოს!

— ისინი ათი თაბახით მეტი არიან მაგაზე.

— გამწარებული ქაჩალ-ვანო შევარდენას დახრჩობას არა სჯერდება და გრძელ-გრძელ არზასა წერს ზევით-ზევით გასაგზავნადაო.

— მე შენ გეტყვი, ცოტა მუღამი იცის!

— რას გაიგებს კაცი! — ფრთხილად ჩურჩულებდნენ აქა-იქა.

ბატონმა ლევანმა მშვენივრად იცოდა, ვინც დაუხრჩო შევარდენა. მაგრამ კრინტი არავისთან დაუძრავს. პირიქით, მეორე დილიდან დარდს აღარ გაუტყდა. მომსამძიმრებლებს შემოუტია კიდეც: მაგაზე სიტყვა აღარ გამაგონოთო და არ გაახიახოთო.

უთხრობდნენ ამ ამბავს ბატონი ლევანის შემცვლელს, რომელიც სიამოვნებით ისმენდა მონაყოლს. იშვიათად თუ ჩაერეოდა საუბარში, ჟამდაჟამ თავს დაიქნევდა დინჯად, განზეც გაარხევდა. ხან შუბლს შეიკრავდა და ხან მქრალ ღიმილს გადაივლებდა სახეზე.

— სხვანაირად არ მიიღოთ და, ხელმძღვანელი ამხანაგი რომ თავის სიმაღლეზე არ იდგება, ხალხში რომ ისე გაითქვიფება, კოლმეურნეობის ბრიგადირისაგან ვერ გამოირჩევა, რესტორნის დირექტორს რომ ჭკუას დაესესხება და კადრებს შეარჩევინებს, საძაღლედ რომ მოიცლის და ჩიტირეკიაობას დაიწყებს, ერთი მიბრძანეთ, ის კაცი რა გასაჩერებელია ამ საპატიო სკამზე... და აკი არც გააჩერეს... ზევიდან რომ გენ-

დობიან, უნდა თავი მოიკლა და გაამართლო... კაცმა თუ თავისი თავის ფასი არ იცის, სხვას ვერ შეაფასებს... ისე კი; დიდი პატივმოყვარე და მაამებელი სიტყვის ტრფიალი ყოფილა ის თქვენი ლევან არჩილიჩი. — ბოლო სიტყვები გაწელვით თქვა და დასტურის მოლოდინში ჯერ ერთს მიანათა ბრიალა თვალები და მერე მეორეს.

— ზუსტი შეფასებაა!

— მართალს ბრძანებთ, გივი ბიძინოვიჩ! — უმალ დაემოწმნენ წინ ჩამომსხდარნი და ახალი „ჭეშმარიტების" თქმის მოლოდინში კვლავ დაიძაბნენ.

— პატივმოყვარეობა და მლიქვნელობა ყველაზე საშიში სენია საზოგადოებისა! — გაკიცხვის კილოთი, თქვა ბატონმა გივიმ და რბილ საზურგეზე გადანებივრდა.

— ჭეშმარიტად!

— ნამდვილად! — ორივემ ერთდროულად წამოიძახა და ისევ შესციცინეს თვალებში.

— ასეთი კაცი იმ თქვენი ლევან არჩილიჩის შევარდენას ბედის ღირსია! ხუმრობის კილოთი თქვა ბატონმა გივიმ და მოწონების ღიმილი დაიმჩნია.

უფროსმა იხუმრა და გაიღიმა! ხელქვეითებს ხმამაღალი ხარხარი აუტყდათ. ნაძალადევად იჭაჭებოდნენ. მთქმელის შუბლს თვალს არ აშორებდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანდრო თევზაძე

## მაისური

გაზაფხული შემობრძანდა,
დღეებია მაისების.
სიჭაბუკე ამოძრავდა,
სიხარულით აივსები.

ყვავილები იცინიან,
მიჩხრიალებს კლდეში წყარო;
შენი გული მე მიცვნია,
შენთან ბედმა ნუ გამყაროს.

მისკენ მიწვევს ირმის ხევი,
მოვირბინო მინდა ზვრები,
ყვავილებში გავერევი,
ოქროს მტვერში გავისვრები.

მზის ემბაზში თრთის სამყარო,
ცა ლივლივებს, იაგუნდი;
მოდი, ბარემ გულს ამყარე
იმ უთქმელი სიტყვის ხუნდი.

მტკვრის ნაპირთან დამელოდე,
კაბა გეცვას მაისური,
შენგან მაინც დამწვარი ვარ,
ბარემ დავრჩე დაისრული!

## სატრფიალო ლირიკა

* * *

სიყვარულზე ვის არ უმღერია,
სიყვარულით ვინ არ დასეტყვილა?
სიყვარული მარტის ღრუბელია,
ხან გაცრემლებს, ხან გახარებს ტკბილად.

სიყვარულმა ბევრი დაამწუხრა,
სიყვარულთან მეფეც დაჩოქილა,
სიყვარულსა, როგორც ველზე მუხა,
თვით სიცოცხლე ეფარება ჩრდილად.

სიყვარულმა მეც დამიგო მახე,
სიყვარულმა ამამღერა მხოლოდ,
სიყვარულში ამაღლება ვნახე,
მაგრამ მანვე გამაწბილა ბოლოს.

სიყვარულო, დაიქეცი ბარემ,
შენგანა მჭირს გულის მწარე კვნესა,
ჩემს ახლოს ხარ დალეული მთვარე,
მშორდები და ემსგავსები მზესა!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ერთხელ რომ შენი კოცნა მღირსებოდა,
ერთხელ რომ შენს ლოყას შევხებოდი,
ვერაფერი შეაკრთობდა ჩემს ღირსებას,
თუგინდ ქარიშხალსაც მკერდით შევხვდებოდი.

ერთხელ რომ შემერხია შენი საყურე,
მე განა ოდესმე დავიკვნესებდი?
შენ ჩემი ცხოვრების კარები დახურე,
შიგ დარჩა შენზე მტირალი ლექსები.

მთელ ჩემს სიცოცხლეს აღარ დავშურავდი,
და პოეზიის ძალას, რაცა მაქვს,
ოღონდ დამეხატა შენი სურათი
ჩემი ოცნებების დასანაცრავად.

მაგრამ ყოველივე გახდა ამაო,
ახლა ქვეყანაზე ვარ და არცა ვარ,
შენ ჩემი ცრემლის ტბაში ბანაობ
და ძალა არ მყოფნის თავდასაცავად!

* * *

რამდენი ხანი შენს სახელზე არ მიმღერია,
თითქოს დავბერდი, თმაში თოვლი გამომერია;
შენი ლანდის წინ გულს ძალუმად კვლავ უძგერია,
სიყვარულს ჩემსას, ვგრძნობ, დაღუპვა არ უწერია.

შენი გულის ხმას ჩემს ყურამდე ფრთა უწევია,
ბაგემღიმარი შენი სახე სიზმრად მწვევია;
სულში რამდენი ქარიშხალი დამიმწყვდევია,
დავეცი, მაგრამ ჯერ სიკვდილი ვერ დამწევია!...

წინ ნათლით სავსე გზა სავალი კიდევ ბევრია,
ფიანდაზივით გადაშლილი მთა თუ ტევრია;
ვისწრაფვი შენკენ, გული მკერდში ვერ დამტევია,
შენზე ლოცვაში ღამეებიც გამითევია...

რამდენი ხანი შენს სახელზე არ მიმღერია,
დავეცი, მაგრამ ჯერ სიკვდილი ვერ დამწევია!..

* * *

როდესაც გულზე სევდის ნისლი შემომაწვება,
გავისეირნებ ვაკის პარკში მაღალ ნაძვებთან;
მიდამოს ხილვით თვალთა სფერო როცა ნათლდება,
წინ შენი ტანი ქანდაკივით აილანდება.

გადაიარა მღელვარებამ გულზე რამდენმა,
მაგრამ სიმღერამ სხივებისამ სევდა განდევნა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე ჩაეშვება, სულში მაინც არ დაღამდება,
ვგრძნობ, შენზე ლოცვით ტკივილები დამიამდება...

თუმც ზოგჯერ ეჭვი ულმობელი გულში ავდება,
გზა გატყორცნილი მომავლისკენ თითქოს თავდება,
ირგვლივ ყოველი ღამეული ფერით შავდება,
მაგრამ იმედი ჭმუნვას ჩემსას გაუმკლავდება!

როდესაც გულზე სევდის ნისლი შემომაწვება,
ვგრძნობ. შენზე ლოცვით ტკივილები დამიამდება...

* * *

იმ ღელვას გაუმარჯოს,
გულს რომ გამიჩინე;
როგორც გსურდეს დამტანჯე,
ოღონდ გამიცინე.

ხანდახან გადამყარე
ღრუბლის ნაფლეთები,
თორემ გაჭაღარავდა
დარდით საფეთქლები.

შენი გულის ცემისთვის
დამაყურებინე;
ჯეჯილი ხარ, ნიავზე
ლაღად მობიბინე.

შენმა თვალთა ბრიალმა
გული ამიტოკა,
წამწამების ისრები
დამეხვია თოკად.

და რად გიკვირს გრძნობათა
ესოდენი ღელვა?
მოგიზგიზე ალისგან
ფოლადიც კი დნება!

აღარ გესმის დაჭრილი
გულის კარის მტვრევა?
მარტო შენი უთქმელი
სიყვარულის ტყვე ვარ!..

* * *

მე კი არ ვხუმრობ! შენმა თვალებმა
მართლა წამართვეს ვაჟკაცს ძალღონე!..
და მაგიერად, სასიყვარულო
შენ ერთი სიტყვაც არ გამაგონე.

ო. როგორ ვწუხვარ, რომ გვიან შეგხვდი
და ჩავლილია ჩემი მდინარე...
იმედის შუქად მაინც გამიჩნდი,
ჩემს ავადმყოფ გულს ესხივმფინარე.

როგორ მახარებს, რომ ქვეყანაზე
მეც იმ დროს ვცხოვრობ, როცა შენა ხარ,
ცის ელვარებას მაინც ვიგრძნობდი,
თუნდ მზე არასდროს არ დამენახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა შემხედავ და გულს დამიარს
შენი თვალების შუქთა მეწყერი,
თითქო შევდივარ სვეტიცხოველში
და იქ ღვთიშობლის ხატებს შევცქერი.

მინდა იმ ხატთან სანთელდ ვანთო
ჩემი პოეტურ შემოქმედების,
და სულ ვინატრო, რომ საქართველო
აივსოს შენებრ ლამაზ დედებით!

* * *

ღვთაებავ ჩემო, სიყვარულო დაუშრობელო,
ჩემს ჩამქრალ გულში ლექსის ცეცხლის წარმომშობელო;

ოცნების ციდან ჯავრის ღრუბლის გადამწმენდელო;
თვით ჩემო სულო ჯოჯოხეთშიც წაუწყმენდელო.

სიმღერავ ტკბილო, სიკვდილამდე შეუწყვეტელო,
დაუნგრეველო მომავალის რკინის კედელო.

მე ყავარჯენად შენი ლანდის შუქიც მეყოფა,
რომ ავმა სენმა ვერ გაბედოს ჩემი ხელყოფა.

რადგან შენს სახეს მზედ ანთებულს გულით მოველტვი,
შენს დარიგებას აღვასრულებ, ვფიცავ, ყოველთვის!..

* * *

შენი თვალები, ცეცხლის თვალები,
ჩემი ცხოვრების დამამთავრები,
რა თავისუფლად დავნავარდობდი,
რა გამოუვალ ქსელში გავები.

სადაც გავხედე, სადაც წაველი.
გადავიარე ცხრა მთა, ცხრა ველი,
და ყველგან, მუდამ თან დამყვებოდნენ,
ნაპერწკლიანი შენი თვალები.

ახალგაზრდობა განვვლე წვალებით,
უხვად დამედო ლექსის ვალები;
სიბერის ჟამსაც მაგ ცეცხლის თვალებს
ალბათ. ვეღარსად დავემალები!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიავა

# ილიაობა

## ბიოგრაფიული რომანი

### V

1859 წელი. ზაფხული. ილია ჭავჭავაძე პეტერბურგიდან თბილისს ჩამოვიდა. სტუდენტის ფორმა ეცვა, წვერი მოშვებული ჰქონდა. შავი წვერი ვერ ფარავდა ჩრდილოეთის მკაცრი ჰავისაგან ჩამქრალ სახეს.

ცოტა ადრე ილია პეტერბურგიდან თავის დას ნინოს კარდანახში სწერდა: ეს რა ქვეყანაში მოვხვდი. სამი თვეა მზე არ მინახავსო. უმზეობამ, ბურუსმა და ნესტმა ილიას ჯანმრთელობაზე იმოქმედა, სისხლის ღებინება დააწყებინა და გახურებული გამოცდების დროს ლოგინად ჩააგდო.

ივნისის დამდეგს უკეთესობა დაეტყო, აწ არაფერი მიშავსო და ამხანაგები დაითხოვა, ღამე მარტო დარჩა ოთახში. ერთხანს გოეთე იკითხა, მერე ძილს მისცა თავი, მაგრამ ვერ დაიძინა, ფიქრი აეშალა. წინა ღით მეგობრებმა უთხრეს, საქართველოში წადი და სულ მთლად მორჩებიო. ექიმმაც ეს ურჩია. ახლა ფიქრით და ოცნებით თბილისში იყო. მტერი, მოყვარე, ბრძოლა, თავისუფლება. ყველაფერი, ყველაფერი წარმოიდგინა, მერე კალამი აიღო და მოლურჯო ქაღალდს „ელეგია“ დააწერა. ერთ საათში დაიბადა ეს შესანიშნავი ლექსი, მაგრამ, ვინ იცის, რამდენი საათის ნაფიქრი და ნატანჯი იყო.

დილით უნივერსიტეტის სტუდენტთა ინსპექტორს ფიცლერ ფონ ექსედეტს თხოვნა მიართვა:

„მთელი მაისის თვეში და განსაკუთრებით კი მის უკანასკნელ რიცხვებში ვიმყოფებოდი რა ავად, მე არ მქონდა შესაძლებლობა გამოვცხადებულიყავი 28 მაისს სასოფლო მეურნეობის გამოცდაზე. გაუწყებთ რა აღნიშნულს და გირდგენთ რა საექიმო მოწმობას, უმორჩილესად გთხოვთ მიიღოთ ეს გარემოება მხედველობაში როგორც საპატიო მიზეზი“.

ამ თხოვნას დაურთო ცარსკოე სელოს ექიმის მოწმობაც. ექიმი ნიკოლაი არენდი 10 ივნისს წერდა: „ეძლევა ესე პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს თავადს ილია ჭავჭავაძეს მასში, რომ 1859 წლის მთელი მაისის თვის განმავლობაში ვწამლობდი ავადმყოფს, რომელიც სისხლს იღებდა გულიდან და, თუმცა სენმა უკლო ახლა, წამლობამ არგო, მაინც საბოლოო გაჯანსაღებისათვის საჭიროა სამხრეთის ჰავა“.

ილიამ შვებულება აიღო და სამშობლოში გამოეშურა.

თბილისმა გული უჩვენა, ნათესავებსა და მეგობრებში მალე მოიკეთა. შემდეგ უქმად ვერ გაჩერდა, ამხანაგები გვერდში ამოიყენა და „მეფე ლირი“ ცოცხალი სურათებით წარმოუდგინა საზოგადოებას.

ილიამ ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზია გამოალევიძა.

„გიმნაზიის დარბაზში, — წერს პეტრე უმიკაშვილი, — სცენა მოაწყო. თბილისის წარჩინებული ოჯახების და თავადის ქალებმა მიიღეს მონაწილეობა ამ სურათებში, რომელიც კარგის ესთეტიკური გემოვნების, ხელოვნებით და აზრიანად იყო შედგენილი.

თბილისის საზოგადოება ინტერესით მიაწყდა და დიდის კმაყოფილებით დარჩა. ვინ იფიქრებდა, რომ ქართულის თეატრის განახლების მიზეზი უნდა გამხდარიყო ისევ ის დარბაზი, რომელშიაც პირველი ქართული წარმოდგენა ნახა საზოგადოებამ. ცოცხალი სურათებისათვის გაკეთებული სცენა კარგა ხანს ხელ-უხლებელი დარჩა გიმნაზიაში“.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 3.

ილიამ თვითონ შეასრულა ცოცხალ სურათში ლირის როლი. ხალხმა ძალიან მოუწონა და ტაშით დააჯილდოვა.

მამიდამ ილია თბილისში დიდხანს არ გააჩერა. თუ დასასვენებლად ხარ ჩამოსული, აქ, შენს კარმიდამოში რიგიანად დაისვენეო.

ილიამ დაუჯერა თავის გამზრდელ მამიდას, ყვარელში ჩავიდა, მაგრამ იქ გულმა ვერ მოუთმინა და მესამე დღეს კარდანახში ნინოს სანახავად წავიდა. მამიდამ გზაზე მოსამსახურე ბიჭი გამოაყოლა. ბიჭი ართობდა ილიას, სოფლურ ლექსებსა და შაირებს ეუბნებოდა, ამ საუბარში გზა ადვილად ილეოდა.

კარდანახის ტყეში ისინი ძახილმა შეაჩერა.

— ხელები მაღლა!

ბუჩქებიდან გადმოხტა თოფმომარჯვებული კაცი და ილიას ვინაობა გამოჰკითხა:

ილიამ უთხრა ვინც იყო, გაუკვირდა თოფიანს.

— ბრწყინვალე თავადი ყოფილხარ, ბოდიში.

— ბრწყინვალებისა რა მოგახსენო, — მიუგო ილიამ, — კარდანახში მივდივარ, გამიშვი.

— კარდანახში რა გინდა?

— სტუდენტია. თავის ნათესავ ნიკოლოზ აფხაზთან მიდის! — უთხრა ბიჭმა.

უცნობმა თოფი ძირს დაუშვა და ილიას თანმხლებს ჰკითხა:

— კარგი კაცია შენი ბატონი?

— ძალიან კარგი კაცია.

— ჰავჭავაძევ, ჩემთან პური ჭამას იკადრებ?!

— კადრება რა მოსატანია, მაგრამ მაძღარი ვარ.

— მშიერი ბატონი ჯერ არ მინახავს, წამოდი, გზას დაგილოცავ.

უცნობმა თოფი მხარზე გადაიდო და წინ წაუძღვა სტუმრებს. ბილიკი გაუკვალავი იყო, ნელა მიდიოდნენ. უზარმაზარ მუხებს გარს უვლიდნენ.

ქოხი მუხის ქვეშ იყო გამართული. შუა ცეცხლს შიგ ყველაფერი გამოემურა. უკანა კედელი ნაბდისა ჰქონდა. უცნობმა სტუმრები ჯირკზე დასვა, თვითონ ნაბადი გადაწია და მეორე ოთახში გავიდა. მეორე ოთახი მუხის ფუღუროს წარმოადგენდა, საჭმელ-სასმელი იქ ელაგა, ფუღუროშიც კიბე ედგა. როცა ქოხში დასცხებოდა, ამ კიბით მუხაზე ადიოდა, იქ გაშლილ ტოტებზე მორები იყო გარდიგარდმო გადებული, ზედ ჩალა და თივა ეფინა და დასასვენებლადაც მყუდრო ადგილს წარმოადგენდა.

ილიამ ყველაფერი მიათვალიერ-მოათვალიერა, მიხვდა ვისთანაც ჰქონდა საქმე, გულში გაეხარდა, რომ ყაჩაღს გადაეყარა. არსენა ოძელაშვილზე ბევრს ფიქრობდა, ხალხური ლექსებიც მოაგროვა.

არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,
ჩვენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული,
ის იყო ჩემი ჯავრი და ლხენა,
ის იყო ჩემი გული და სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას დიდხანს არ ასვენებს ბატონყმური ცხოვრების ამსახველი ნაწარმოების შექმნის სურვილი. შავად, უკვე პროზაული სახით, კიდევაც მოხაზა — კაკო, ზაქრო და გაბრო, არსენაც თვალწინ უდგას, მაგრამ ყაჩაღს სული და გული ვერ უპოვნა... ახლა კი მასპინძელს თვალს არ აშორებდა. ნუთუ ასეთი იყო არსენა?! არსენა, რომელსაც „გლეხკაცის ბედი, ჭირი და ლხინი ძმასავით კალთით უტარებია“.

ილია ჩაფიქრდა.

მოსამსახურე ბიჭი კი თოფს მიშტერებოდა, რომელიც იქვე კედელზე ეკიდა.

მასპინძელი სუფრას შლიდა. მოხარშული ხორცი, გუდის ყველი, თონის პური ტაბაკზე დაალაგა.

— აბა, მიირთვით, სტუმარო, — მიმართა ილიას ყაჩაღმა, — მოიცათ, თქვენ ხელის დაბანასა ხართ ჩვეული! — სურით წყალი მოიტანა, მაგრამ ილიამ ხელი არ დაიბანა.

— მიირთვით, რა ვქნა, ღარიბი ვარ, ოჯახში უკეთესად გაგიმასპინძლდებოდით.

— ოჯახი არა გაქვთ?

— მქონდა, დამინგრიეს.

— ვინ?

— ბატონმა, ბატონო... მაგრამ ამაზე ნუ მალაპარაკებთ, პურიჭამა ჩაგვმწარდება.

— რა გვარი ხართ, ეს მაინც მითხარით! — სთხოვა ილიამ.

— გვარად გაუხარაშვილი, სახელად ყაჩაღი შემარქვეს.

— გამიგონია, ვიცი! — ვერ მოითმინა ბიჭმა.

ყაჩაღმა პატარა ყანწი შეავსო და დაილოცა:

— ქვეყანაში კაიკაცურსა და სიმართლეს გაუმარჯოს!

ყანწს ყანწი მოჰყვა. დალიეს, მოილხინეს. ილიამ გაუხარაშვილს გამოჰკითხა ვინაობა, გაიგო ყაჩაღად გაჭრის მიზეზი, მისი სიტყვები გულის ფიცარზე დაიწერა. იქ, იმ ალალ სუფრაზე ეს სტრიქონები დაიბადა.

მხეცი რამ იყო ბატონი ჩვენი,
ერთი აჯამი, გულქვა, რეგვენი,
იმას კაცებრი გული არ ჰქონდა,
რომ მამაჩემი შებრალებოდა.
რა გავაგრძელო, თავადიშვილი
კარგი რა არის, ავი რა იყოს.

ილია გვიან წამოდგა და წასვლა დააპირა.

— ბატონო, აქ მოგასვენებთ, თუ მიკადრებთ.

— ეგ რა თქვი, კაცო, რას მიქვია კადრება? რატომ არ უნდა გიკადრო. **რა უკადრისი და** უკარება მე მნახე?

— ილია ბატონო, კარდანახში გელოდებიან,

ჟნდა წავიდეთ! — უთხრა მოსამსახურე ბიჭმა.

— ჰო, მართლა, ჩემი დაიკო მელოდება, დიდი ხანია **არ** მინახავს, წავიდეთ.

ილია გაუხარაშვილს გადაეხვია.

— მადლობელი ვარ, აგაშენა ღმერთმა.

— რა სამადლობელო პურმარილი მე მქონდა.

— გული რომ მიჩვენე, ცხოვრება რომ მიჩვენე, ამისათვის მადლობა, დიდი მადლობა.

ყაჩაღმა სტუმრები შარაგზამდე ჩამოაცილა და ისევ ტყეს მისცა თავი.

ილიას ღვინო ჯერ არ მორჩეოდა, ბიჭს ხელი გადაჰხვია და ფეხს აუჩქარა.

— ბიჭო, როგორი კმაყოფილი ხარ ყაჩაღის მასპინძლობით? — ჰკითხა ილიამ.

— შიშით აღარა ვარ, ნეტავ რა ეშმაკმა შეგვახვედრა.

— რატომ? — ილიამ უბის წიგნაკი ამოიღო, რაღაც ჩაიწერა და განაგრძო, — კარგი, ენაწყლიანი კაცი ყოფილა, საბრალომ კიდევაც წაუმღერა, არა?

— წაუმღერა, მაგრამ ტყეში მხეცივით დაძრწის, რა ამღერებს?

— თავისუფლება, თავისუფლება ამღერებს!

ილიამ ჯიბეში ჩაიწყო ხელები და გზის ბალახიან ნაპირს გაჰყვა. რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თვითონაც წაუმღერა.

საღამოს ილია თავისი სიძის — ნიკოლოზ აფხაზის ჭიშკარს მიადგა.

ნინო ქმარ-შვილით ჭიშკრისაკენ გამოექანა, მაგრამ ილიას მიკითხვა-მოკითხვის თავი აღარ ჰქონდა.

— დამაძინე, ნინუცი, დამაძინე! — სთხოვა მან ნინოს.

გაუშალეს ლოგინი და მაშინვე ჩაეძინა.

დილას კარგ გუნებაზე გამოეღვიძა. ლოგინზე წამოჯდა, შინაურები გვერდით მოისვა და გაუხარაშვილის ამბავი დაიწყო.

— რომ ვუთხარი შენთან მოვდიოდი, მაშინვე დაუშვა თოფი. იცნობ? — ჰკითხა მან ბოლოს სიძეს.

— როგორ არა, გაჭირვების ტალკვესს მეძახის.

— მომეწონა შენი გაუხარაშვილი, რკინის კაცია! — დაასკვნა ილიამ.

მოსამსახურე ბიჭი კარებში იდგა, ენამ გაუსწრო.

— რა რკინის კაცია, ცრემლებსა ღვრიდა.

— გაჩუმდი, ბიჭო, — შეუწყრა ილია, — „რკინის კაცის თვალში ცრემლი დიდსულოვნების შვილია“.

— მართალსა ბრძანებთ! — გაწითლდა ბიჭი.

მალე კოხტა აფხაზიც შემოვიდა, სტუდენტურად ჩაცმულ-დახურული. ლოგინში ილიას დანახვა გაუკვირდა.

— სად შენა და სად შუადღემდე ძილი! ისეთი რა გაჭამა გაუხარაშვილმა, რომ არა გშია.

— ჰო, ავდგები.

ნაადრევი შემოდგომა შვენოდა კახეთს. მზეზე გაფიცხებული მტევნებით გოდრები ივსებოდა, ქვევრებს ხახა დაეღოთ, სოფელს მაჭრის სუნი ტკბილად მოსდებოდა. ნიკოლოზ აფხაზის სახლის აივანი და კედლები აკიდოებს დაეფარა. ილია გამოვიდა პირის დასაბანად, ყურძენმა თვალი მოსტაცა და ინატრა:

— კოხტაჯან, ეს მტევნები პეტერბურგში მისცა ჩვენს ბიჭებს!

— ჩვენს ბიჭებს, თუ შენს სოფოს, — მიუგო კოხტამ და მერე ნინოს გადაუჩურჩულა, — შენი გამოგზავნილი ქამარ-ხანჯალი ძალიან დაშვენდა ჩაიკოვსკაიას ქალს, მადლობა მაინც შემოგითვალა?!

— მე ილიკოს მადლობაც მეყოფა.

— რა ქალია, რომ იცოდე!

— კარგი, კოხტა, გეყოფა! — გაეცინა ილიას.

შემოუსხდნენ სუფრას, ნინომ ინატრა თავისი ყველაზე პატარა ძმა და ილიას უთხრა:

— კარგი იყო, თემური წამოგეყვანა, გაიხარებდა ბიჭი.

— ძალიან მინდოდა, მაგრამ **უარი** უთხრეს, ვერაფერი გააწყო.

— ექსტრა, ექსტრა!

დაიძახა კოხტამ და ოქროსფერი ღვინით სავსე ჭიქა ასწია.

შესვეს თემურის სადღეგრძელო.

ნასაუზმევს ილია და კოხტა შესხდნენ ცხენებზე და თვალისათვის წყლის დასალევინებლად ალაზნისაკენ წავიდნენ. კამკამა ალაზანში ბიჭები ყვინთავდნენ. იქვე რიყეზე ხბოები იწვნენ.

მუხის ქვეშ ჩამოქვეითდნენ, ცხენები ჩამოხრილ ტოტებზე მიაბეს.

წყალში მოდგაფუნე ბიჭებმა ილია ბანაობის ეშხზე მოიყვანეს.

— კოხტა, მოდი, ვიბანაოთ.

— ტანისამოსის გახდა-ჩაცმა მეზარება... სჯობს ჩრდილში წამოვგორდეთ, პეტერბურგის მერე ალაზნის ჰაერი გვარგებს.

მწვანეზე წამოწვნენ. კოხტას მალე ჩაეძინა: ილიას ფიქრი წაეტანა და მშობლიური მდინარისადმი მიძღვნილი ლექსის პირველი სტრიქონებიც იქვე დაიბადა.

მდინარე, ჩემის მშობლიურ მთის ცრემლით შედგარო!
აწ შენს კიდეზე ვდგევარ, დაგცქერ მე, მეგობარო!
დაგცქერ ჰმუნვითა და შენს წყალში ვეძებ ჩემს წარსულს,
დროთა ბრუნვისგან შენ ზვირთთ შორის დამარხულს, დანთქმულს.

ორიოდე თვით საქართველოში ჩამოსვლა ნაყოფიერი გამოდგა; ნაავადმყოფარმა ჯანიც მოიკრიფა და ლექსებიც დაწერა.

როგორც თვითონ ილია ამბობდა, ყვარლის ჰაერმა ძალიან არგო. ამასობაში კალოობა მოილია და რთველი დაიწყო. ყურძნის კრეფამ დიდხანს გასტანა, სოფელში მაჭრის სუნი დატრიალდა.

ილია საპეტერბურგო სამზადისს შეუდგა, მაკრინეს თათარა ადრე მოადუღებინა, ასიოდე ჩურჩხელა სახელდახელოდ ამოავლებინა და აივანზე გასახმობად დაკიდა.

მთელი დღე ვენახში იყო, თავის თანატოლ ბიჭებს აღარ შორდებოდა, ხან კრეფაში შველოდა, ხან ზურგზე კალათის წამოკიდებისას ხელს აუკრავდა, ხანაც პეტერბურგის ამბებს უყვებოდა. გამრთობიც იყო და დამხმარეც.

თვითონ ჯანს იკაეებდა, ალაზნის ჰაერი და ჩათაფლული ყურძენი მალამოსავით რგებდა.

იმ დილას კოხტამ ვენახში ცხენი მოაგდო და კაკლის ჩრდილში წამოწოლილ მეგობარს ზედ თავზე წამოადგა.

— ვაჰ, როგორ დაუწვიხარ მზეს, პეტერბურგში ველარ გიცნობენ!

ილია წამოდგა, კოხტაც ჩამოქვეითდა, ცხენი მიუშვა და ბალახზე წამოჯდა.

— პეტერბუ..ვიდან ჩამოსულს კაცის ფერი არ გედო, ახლა ნამდვილ გლეხს დამსგავსებიხარ, შავი, ჰმუხა, მეშინია, ჩაიკოვსკაიამ მთლად არ დაგიწუნოს.

— დამიწუნა და ეგ არის.

— არაფერიც. აი, წერილი.

— წერილი? მიჩვენე!

გაუკვირდა ილიას და სანამ კოხტა წერილს მიაწვდიდა, ვერ მოითმინა, ხელი გაუწოდა.

— რად უნდა გიჩვენო, წერილს მე მიგზავნის.

— რა მინდაო.

— ილიას ჯანმრთელობა, გაუფრთხილდი და მოუარეო, — კოხტამ წერილი ამოიღო, — აჰა, წაიკითხე.

— რაღა წავიკითხო, თუ რაცა თქვი იმის მეტი არაფერი წერია. — მიუგო ილიამ, მაგრამ წერილი მაინც გამოართვა, საჩქაროდ გაშალა, ჩაიკითხა და სახეზე ტკბილმა ღიმილმა გადაურბინა.

— კარგი გულის ადამიანია! — ჩაურთო კოხტამ.

— ცივი გულის ადამიანია! — გაუსწორა ილიამ, — თორემ მე უარს მეტყოდა?

— ნუ სცოდავ, უარი როდის გითხრა.

— როცა საქმე საქმეზე მიდგა. სიკვდილს მოველოდი და ასეთი ანგარიში გულში რომ ედო, ამას როგორ ვიფიქრებდი.

— უნდა გეფიქრა. სიყვარული სიყვარულია, მაგრამ თავის სამშობლოს, ნათესავ-მეგობრებს ვერ დასტოვებდა და შენ ვერ გამოგყვებოდა. ეგ თავიდანვე უნდა გცოდნოდა. როგორ გითხრა, თქვი.

— რად გინდა, ხომ იცი.

— ვიცი, მაგრამ კიდევ მინდა მოგისმინო, შენ ლამაზად გამოთქვამ მის სიტყვებს.

— საქართველოში ვერ გამოგყვები, თუ ჩემი თავი გიყვარს აქ დარჩი, პეტერბურგში, მამა დიდ ქორწილს გადაიხდის, კარგ სამსახურსაც გიშოვის და ბედნიერად ვიცხოვრებთო.

ილიამ წერილი დაკეცა და კოხტას გადასცა.

— პასუხი მისწერე?

— მივწერე!

— თუ აზრი არ შეიცვალა, ჩვენი სიყვარულისაგან არაფერი გამოვა.

— ამაზე მეც ველაპარაკე, პეტერბურგში ცხოვრება არ შეუძლია, კაცი ცუდად არისმეთქი.

— რა გიპასუხა?

— ჰაერს მიეჩვევა და კარგად იქნებაო. რა არ ვუთხარი, მაგრამ...

კარგი, კარგი, — შეაწყვეტინა ილიამ, — გვეყოფა იმაზე ლაპარაკი... რად გაისარჯე ამ სიცხეში?

— კარგი საქმისათვის მოვედი სანადიროდ უნდა წამოხვიდე, ჩვენ სამნი ვართ, მეოთხე შენ იქნები.

— მე რომელი მონადირე მნახე. ნიშანი არც ვიცი.

— პავლოვსკში რომ დამბაჩას კარგად ისროდი?

— არ მაქვს მაგისი თავი და გული, თქვენ წადით!

— არა, უნდა წამოხვიდე!

ჩააცივდა კოხტა და იმ საღამოსვე ალაზანზე წაიყვანა. ილიას მამისეული თოფი შნოიანად გადაეკიდა, ცხენზე წახრილი იჯდა და კოხტას მხარს უსწორებდა. მუხნარს რომ მიუახლოვდნენ, ილია ცხენზე წამოიმართა და შეჰყვირა:

— ძრწოდეთ, ნადირნო, მოვედი!

— კარგი, კაცო! — გაეცინა კოხტას.

ჩამოქვეითდნენ. ცხენები ბიჭს დაუტოვეს, თვითონ კარგა მანძილი გაიარეს და შეჩერდნენ. ტანაყრილ ტყეს მთვარე ზედ აღნებოდა. ერთმა მონადირემ თქვა, ამის იქით ნულა წავალთ, ირემი აქ გამოივლისო.

თოკივით წვრილი ბილიკი პირდაპირ წყაროსაკენ მიემართებოდა. მონადირენი ამ ბილიკის ახლო-მახლო ჩასაფრდნენ, ძაღლებიც მიყუჩდნენ.

დაძაბულ მოლოდინს ბოლო არ უჩანდა. ტყის მძიმე სიჩუმე უფრო და უფრო აუტანელი ხდებოდა. შუაღამემ რომ მოატანა, ალაზნიდან წამოუქროლა, ნიავმა ტყეს ფაჩუნი და შრიალი აუყენა.

ილიას მოსწყინდა, თოფი ხეზე მიაყუდა და თვითონ იქვე ბალახზე წამოწვა. ყველაფერს და ყოველივეს სული გაენაბა, ილიას კოხტას სიტყვებმა და იმ პატარა წერილმა, ჩაიკოვსკაიამ რომ გამოგზავნა, ძველი ფიქრები აუშალა. გულით ის ახლა იქ, ალაზნის ტყეში კ

არა, პეტერბურგში იყო და ჩაიკოვსკაიას ესაყვედურებოდა; კოხტას რომ ეუბნები ილიას გაუფრთხილდიო, რატომ თქვენ თვითონ არ მიფრთხილდებით. შეყვარებული გულის ასე უწყალოდ დაკოდვა შეიძლება?

ძაღლების ყეფა ატყდა, მონადირე ძაღლებმა მერე რა გამწარებული ყეფა იციან!

ილია წამოხტა და თოფს წაატანა ხელი.

დაფეთებული ირემი ხეს მიეყრდნო. კოხტა ვერაფრით ვერ მიუდგა ნადირს, დიდი მუხა ეფარებოდა, ილიასთან კი მარჯვედ იდგა ირემი, რქები უკან გადაეყარა, თავი აეწია და განაბულიყო.

ილიამ ვერც თოფი დაუმიზნა, ვერც თვალი მოსწყვიტა. უყურებდა დამფრთხალ ირემს და გულში ამბობდა: „ისეთი ლამაზია, ისეთი ნაზი და იმ სინაზესთან ერთად ისეთი მიმზიდველი ამაყიცაა, რომა, გგონია, რაც ბუნებისაგან მინიჭებული აქვს, სულ ეხლა შემოიკრიბაო, რომ სიკეთითა და სილამაზით მაინც შეაბრალოს თავი დამალულს მტერსაო".

ძაღლების გნიასი რომ მოახლოვდა, ერთი დაიფრუტუნა და გაქრა ტყეში.

გამწარებული მონადირეები ილიასაკენ გაექანენ.

— კაცო, რა ჰქენი, რატომ არ ესროლე? — მიახალა მაშინვე კოხტამ, ილიამ პასუხი შეაგვიანა.

— უხ! ისეთი ლამაზი, ისეთი მოხდენილი რამ იყო, მაგას როგორ ვესროდი, როგორ გავიმეტებდი...

— მაშინ რაღას მოდიოდით სანადიროდ. — ჩაეკითხა ერთი.

— კოხტამ ძალით წამომიყვანა, ააშენა ღმერთმა, რა ირემი ვნახე!

კოხტამ ვერაფერი უთხრა მეგობარს, მწარედ ჩაეცინა. მალე მზე ამოვიდა, მონადირეებს ხელი მოეცარათ, ღაბუა ჩიტიც ვერ მოჰკლეს, დამძიმებულნი შესხდნენ მაძღარ ცხენებზე და შინისაკენ გამოსწიეს.

სოფელში ასე ხელცარიელი შემოსვლა თავის მოჭრას უდრიდა. გამოსავალი ისევ კოხტამ იპოვა, ყველა თოფი ერთად შეჰკრა, ნაბადი შემოახვია და ბიჭის ცხენს აჰკიდა, ძაღლებიც მას ჩააბარა და სულ სხვა გზით გაისტუმრა შინ, თვითონ თავის ამხანაგებიანად რთველში წავიდა დროს გასატარებლად.

ზემოთმოყვანილი, წინწკლებში ჩასმული სიტყვები ილიას მადლიან კალამს ეკუთვნის. ილიამ იმავე წელს დაწერა „გლახის ნაამბობი". ამ მოთხრობის პირველ თავში სწორედ ალაზნის ტყეში ის ნადირობა აღწერა, მან რომ ირემს ვერ ესროლა. სამაგიეროდ სხვა დროს კოხტამ მეგობარი სანადიროდ არ წაიყვანა, ხელის შემშლელი არავინ ჰყავდა და მშვენიერი ირემი გამოასალმა წუთისოფელს. ნანადირევი შინ დიდი ზარ-ზეიმით მოიტანა. აი, მაშინ აღმოხდა ილიას ის სიტყვები „გლახის ნაამბობის" პირველ თავის ბოლოს რომ აქვს მიწერილი: „ისიც კარგია, ჩემო პირუტყვო, რომ იქა ჰკვდები, სადაც დაიბადე. ჩვენ, კაცები, ხანდახან მაგ ბედნიერებასაც მოკლებულნი ვართ".

შემოდგომა მიიწურა. რთველი მიილია. კახეთის ღამე საარყე ქვაბების ცეცხლმა გაანათა. ყვარლიდან ხორაგით დატვირთული ილია თბილისს ჩამოვიდა, ხოლო აქედან რუსეთის შორ გზას გაუდგა.

სამშობლოში დასვენებამ, ნათესავებში ყოფნამ, თბილისში წარმოდგენებმა, წერამ, ფიქრმა, ნადიმებმა ილია გამოაკეთეს. გადადებული საგამოცდო საგანი, „სასოფლო მეურნეობა" მოამზადა, ჩასვლისთანავე ჩააბარებს, მერე კვლავ ლექციები და უძილო ღამეები...

დილიჟანსი არაგვისპირს მიჰყვებოდა. ტყეც გამოჩნდა. ილიას თვალწინ ისევ გაუხარაშვილი წამოიმართა. გაუხარაშვილი ილიას სიზმარშიც ეწვევა ხოლმე. აი, ახლაც მისი ცხენი თქარათქურით მისდევს დილიჟანსს, სადაც არის დაიძახებს: „ხელები მაღლა"!

დილიჟანსი კავკასიონის უღელტეხილს მიადგა. დაიწყო მლეთის აღმართი. თოვლით დაფარული მწვერვალები დაკლაკნილ გზას ცივად დაჰყურებდნენ, მაგრამ სიცხე მაინც არ იგრძნობოდა, თბილოდა, მომქანცველი გზა არ ილეოდა. მგზავრებს ყველაფერი მოსწყინდათ. საუბარიც, კამათიც.

დილიჟანსი მიჰქროდა, უკან მორუხო მტვერს აყენებდა. ეს მაინცდამაინც არ აწუხებდა მგზავრებს, მაგრამ შემხვედრი დილიჟანსის გამოჩენა არავის არ სიამოვნებდა. როგორც კი გამოჩნდებოდა დილიჟანსი, მგზავრებს ფაციფუცი შეუდგებოდა, ზოგი ცხვირსახოცს იფარებდა სახეზე, ზოგიც საყელოს აიწევდა და კისერს მხრებში ჩარგავდა. ერიდებოდნენ მტვერს, რომელსაც შემხვედრი დილიჟახსი კარგა მანძილზე სტოვებდა.

ახლაც გამოჩნდა მდიდრულად მორთული ეკიპაჟი. ცხენები ჩორთით მოდიოდნენ, წინ დაბალი, ჩამსხვილებული კაცი ნელა მიაბიჯებდა, ხელები ზურგს უკან შემოეწყო, დაფიქრებულს თავი დაეხარა.

— გრიგოლ ორბელიანი! — გაისმა მგზავრებში.

ილიას ფიქრი გაუწყდა. მაშინვე თავი გამოყო სარკმლიდან, გრიგოლი ილიას თვალით არ ენახა, მისი დიდებული ლექსები კი ზეპირად იცოდა და თავის ყმაწვილურ გონებაში მაღალ გოლიათად ჰყავდა წარმოდგენილი.

თოვლიანი მთები, უფრო ქვემოთ ხერხივით დაკბილული კლდეები, თითქოს ფეხდაფეხ მისდევდნენ პოეტს.

— სწორედ ახლა, ამ დამშვიდებულ გულზე ლექსს უწერს ამ მშვენიერ ბუნებას! — აღტაცებით თქვა ერთმა მგზავრმა.

ილიამ მეეტლეს ასძახა.

— შეაჩერე!

გაქაფულმა ცხენებმა აღმართზე ძლივს შეიმაგრეს თავი, ილია მაშინვე ჩამოხტა დილიჟანსიდან, მას კოხტაც ჩამოჰყვა, მერე სხვებიც გადმოვიდნენ.

ახალგაზრდები შემოეხვივნენ უკვე ჭაღარა პოეტს.

გრიგოლმა სითითაოდ ყველას ხელი ჩამოართვა. შეატყო რომ სტუდენტები იყვნენ და გზაც დაულოცა.

— აბა, თქვენ იცით, ისწავლეთ, ისწავლეთ, ასახელეთ ჩვენი ქვეყანა!

მერე ყველას გვარი და სახელი გამოჰკითხა. ჯერი ილიაზე რომ მიდგა, გაიღიმა.

— შენ პაჭუას „ნასლედნიკი“ ხარ?

— დიახ.

— ეხ, საბრალო მამაშენი, ჩემი სეხნია, კაცური კაცი იყო. ლეკებმა ვერაფერი დააკლეს, ბრმა შემთხვევამ... — გრიგოლმა სიტყვა გაწყვიტა და ილიას ქოჩორზე ხელი გადაუსვა, — ახლა შენ ივარგე, გაჭირვება ღმერთმა გაშოროს, მაგრამ, რომ გაგიჭირდეს, ნუ მომერიდები. კადეტთა კორპუსში მივიკითხ-მოვიკითხე ქართველები. შენს ძმას წავაწყდი, გავიცანი. ლოგინში იწვა, მაინც კარგად ვარო, მითხრა. სიცხე კი ჰქონდა. ახლა მართლაც კარგად დავტოვე.

ილია გაშრა, ვერაფერი თქვა, თვითონ ძლივს დააღწია თავი სატკივარს, ახლა თემურის ავადმყოფობამ თავზარი დასცა. „კარგად არისო“ გული გაუკეთა ალბათ გრიგოლმა, თორემ იმისი ბედი ვინ მისცა მის ოჯახს, ავადმყოფი რომ განიკურნოს, ვინც ავად გახდა, ყველამ სამუდამოდ თვალი დახუჭა. საფიცარი ძმაღა დარჩა და ისიც თურმე ავად გამხდარა.

ილიამ ნაღვლიანი თვალი მიაპყრო გრიგოლს. გრიგოლი წელში გამართული იდგა, ყოჩაღი ჯარისკაცის პეწიანობას არ ელეოდა, მაგრამ შეწუხებული სახე და მოქანცული თვალები მაინც თავისას ამბობდნენ. ამ დაუსრულებელ, მომქანცველ გზას ხანშიშესული, ნაომარი და ნაჯაფი გენერალი საკმაოდ მოექანცა. ულვაშებსა და ქილვაშებში ჭაღარა მორეოდა.

„ლექსებში კი გრიგოლი ვაჟკაცურია და ომახიანი“, გაივლო გულში ილიამ. მზის სხივები გრიგოლს წინ წამოწეულ, ფართო მკერდზე ჩამწკრივებულ ორდენებს უბრჭყვიალებდა.

გრიგოლი ჩაფიქრებულ ილიას გამოემშვიდობა, სტუდენტებს გზა დაულოცა, ისევ შემოიწყო ხელები ზურგზე და გზა განაგრძო.

ეს იყო პირველი, მეგობრული, უფრო კი მამაშვილური შეხვედრა. გრიგოლ ორბელიანს უკვე თავდაღმართზე გადაედგა ფეხი, ილია კი აღმა მიემართებოდა მეცნიერების დასაპყრობად. ილია გრიგოლის ჩინსა და ორდენებს არად აგდებდა, მისი პოეზიით იყო მოხიბლული.

დილიჟანსი ერთხანს ადგილიდან არ დაიძრა. მგზავრები საყვარელ პოეტს გაუფრთხილდნენ, ქვენა ქარი ქროდა და მტვერს ზედ მიახვეტავდა. გრიგოლი თვალს რომ მიეფარა, მეეტლემ მერე შეუყიჟინა ცხენებს.

ახლა უფრო მარდად გასწიეს ცხენებმა, დილიჟანსი ნავივით ქანაობდა, რიყის ქვებზე თვლები მიხრიგინებდა.

ილია კუთხეში იჯდა, ქუდი მუხლისთავზე დაედო, შავ თმას ქარი უწეწავდა. კოხტამ შეატყო მეგობარს უგუნებობა, რა არ თქვა, როგორ არ იხუმრა, მაგრამ ილიას მოღუშული სახე მაინც ვერ გაუხსნა.

ამ ფიქრსა და ურვაში თემურს ეუბნებოდა: „ჩემო, ძამიკო, ავადმყოფობა რატომ არ შემატყობინე. ვაითუ, ისევ სიცხე გწვავს“. ფიქრმა ფიქრი შეცვალა და ისევ გაუხარაშვილი წარმოუდგა თვალწინ.

ილია ფიქრით ისევ თბილისში გაჩნდა. გუშინწინ ივანე კერესელიძეს „აჩრდილის“ პირველი ნაწილი გადასცა და მოკრძალებით უთხრა:

— თუ მოგეწონებათ, დამისტამბეთ!

— დასაწუნს შენ აქ არ მოიტანდი! — შეაგეგბა ივანემ და ახალგაზრდა მეგობარს ხელნაწერი გამოართვა. გულში კი თქვა, „ლამის წამლეკოს ამდენმა ლექსმა“. ილიას კი არაფერი აგრძნობინა, გადაფურცლ-გადმოფურცლა ხელნაწერი, როგორც იტყვიან, „თვალი გადაჰკრა“ და გაიღიმა.

— დავბეჭდავ, მაგრამ რომელი მიმართულებით გამოგიგზავნოთ „ცისკარი“, ზღვით თუ ხმელეთით?

— ჩემთვის სულ ერთია!

— ხედავ, შენთვის სულ ერთი ყოფილა, აკაკის კი ზღვით ურჩევნია.

ილიამ თავი შეიკავა, თითქოს ვერც კი გაიგო, თუ რატომ გადაუკრა სიტყვა ივანემ.

პეტერბურგის ქართველი სტუდენტი ახალგაზრდობისათვის „ცისკრის“ პოლიტიკური მიმართულება მიუღებელი იყო, თავიანთი აზრი კერესელიძეს წერილობით აცნობეს და მიუთითეს ჟურნალის „მიმართულების“ შეცვლის აუცილებლობა. სტუდენტთა ეს მოთხოვნილება ივანე კერესელიძეს სხვაგვარად გაუგია, რის გამოც აკაკის ლამაზად უხუმრია:

„ივანე კერესელიძე“ „ცისკარს“ გვიგზავნიდა პეტერბურგში, ჩვენც მადლობა მოვწერეთ და ვთხოვეთ, რომ ნაპრავლენიე გამოეცვალა. კერესელიძემაც „დაგვიჯერა“ და ზღვით გამოგვიგზავნა ჟურნალი“.

## ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი

იმ ზაფხულს ილია სამშობლოში ველარ ჩამოვიდა, გზას დიდი დრო და ხარჯი უნდოდა, ამიტომ პავლოვსკს მიაშურა. ხეებით დაბურული ეს გრილი სოფელი, თუმცა ყვარელს არაფრით არ ჰგავდა, მაგრამ ილია მაინც კარგად მოეწყო. პეტერბურგის შეხუთული ჰაერის შემდეგ აქ სული მოითქვა. ბევრს წერდა და კითხულობდა. მაგიდაზე დახვავებულ წიგნებსა და ქაღალდებს იშვიათად შორდებოდა.

— კაცო, იმ „აჩრდილმა“ შენც აჩრდილი არ გაგხადოს, ამდენი მუშაობა შეიძლება? — უსაყვედურა იმ დღეს კოხტა აფხაზმა.

— მიფრთხილდები?

— რატომაც არა, შენი ჯანის კაცი თავს უნდა გაუფრთხილდეს, მაშინ იყო და ძლივს გადარჩი.

— ბედი მაქვს, ახლაც გადავრჩები. — მაგიდიდან ქაღალდები აკრიფა, — „აჩრდილი“ თავს არ მანებებს, გადათეთრებას შევუდექი უკვე.

კოხტამ ჯერ კიდევ მელანშეუშრობელი ფურცლები გამოართვა, ჩაიკითხა, მერე ერთი ადგილი მოეწონა და ხმას აუწია.

მომავალია ნუგეშ-მომცემი,
რაც ვერ ჰპოვე დღეს, იპოვი ხვალე.

— ეს კარგად გითქვამს. ხალხს ნუგეში და მომავლის რწმენა უნდა. მაინც როდის დაამთავრებ პოემას?

— ჯერ რაც უკვე დაწერილი მაქვს, იმას უნდა გავკრა-გამოვკრა, ადვილად ვერ ვწერ. პირველ ნაწილს რომ გადავათეთრებ, მერე წაიკითხე, ახლა წავიდეთ, დროა, თორემ ჭავჭავაძის ქალი გაჯავრდება.

— ნეტავ რისთვის გიბარებს? — ჰკითხა კოხტამ.

— არ ვიცი.

— იქნებ რაიმე საიდუმლო უნდა გაგანდოს, მე რა შუაში ვარ.

— რას ამბობ, ჩემთან რა ესაიდუმლოება იმ მანდილოსანს?

— ორივე ჭავჭავაძე ხართ, იქნებ ქონებას გთავაზობს?

— ქონებას? — გაიღიმა ილიამ, — მაშ წამოდი, შენც გიწილადებ!

კოხტა ილიას ნებას დაჰყვა. მეგობრები პავლოვსკის ახლოს, ცარსკოე სელოში, ეკატერინე ჭავჭავაძეს ესტუმრნენ.

პეტერბურგის ქართველ სტუდენტებსა და საზოგადოებაში ილია უკვე ცნობილი პოეტი იყო, მისი ლექსები ხელიდან ხელში გადადიოდა, მას ბევრი მკითხველი და პატივისმცემელი ჰყავდა

ეკატერინე თვითონაც წერდა ლექსებს და რა გასაკვირია, ილიას პოეზია კარგად რომ სცოდნოდა.

ეკატერინე საიდუმლო განძივით ინახავდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებს, თითქოს არ ემეტებოდა გამოსაქვეყნებლად, მოწყენის წუთებში (მოსაწყენი და სადარდებელი კი ბევრი რამ ჰქონდა), წიგნაკებს გადაშლ-გადმოშლიდა, თვალს გადაავლებდა საყვარელი ადამიანის ნაწერ-ნააზრევსა და შვებასაც იგრძნობდა; „ტატოს ლექსები რომ დაიბეჭდოს, — ფიქრობდა ხანდახან დედოფალი, — საქვეყნო გახდება და მე არაფერი არ დამრჩება“. მაგრამ ეს გულუბრყვილო აზრი მალე უარყო და, ის იყო, დასახმარებლად ილია მოიხმო.

ილიასაც ეს უნდოდა, დედოფალს რომ არ მიეწვია, თვითონ ეახლებოდა, რადგან ბარათაშვილის კვალს თბილისიდან მოჰყვებოდა. ილიას თბილისში „ცისკრის“ ძველი ნომერი ჩაუვარდა ხელში, იქ წაიკითხა — „სულო ბოროტო“, „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „რად ყვედრი კაცსა“.

მართალია, ილიას წინათაც ჰქონდა წაკითხული ეს ლექსები, მაგრამ მაშინ თხუთმეტი წლისა იყო, სიბრძნეს ვერ ჩასწვდა, ახლა კი ბარათაშვილი ისე მაღალი მოეჩვენა, თვალი ვერ შეაწვდინა და იმავე საღამოს გიორგი ერისთავს ეახლა, ამ უცნობი პოეტის ამბავი გამოჰკითხა. „ცისკრის“ იმავე ნომერში დაბეჭდილი იყო გიორგი ერისთავის ლექსი „თ. ნიკოლოზ მელიტონისძის ბარათოვის გარდაცვალებაზედ“. გიორგიმ და სხვებმაც, ვისაც ილიამ ბარათაშვილის ლექსებით გამოწვეული თავისი აღფრთოვანება გაუზიარა, უთხრეს, ეკატერინე ჭავჭავაძეს თუ არა, მისი თხზულებები აბა სხვას ვის ექნებაო. და, ილია პეტერბურგში ჩამოსვლისთანავე, ეკატერინესთან შეხვედრის თადარიგს შეუდგა. თანაც ეჭვი ეპარებოდა, ეკატერინეს ის ხშირად შეხვედრია, მაგრამ ბარათაშვილზე არაფერი უთქვამს. თუმცა, რომ ჩაუფიქრდა, აქ საეჭვო და საყოყმანო ვერაფერი დაინახა.

ეკატერინესთან ილია შარშანწინაც იყო, მაგრამ მაშინ გულდასმით ვერ შეძლო ორივე წიგნაკის გადაკითხვა, სტუმრებმა ხელი შეუშალეს. სამაგიეროდ, იმ ერთხელ წაკითხულიდან ბევრი ადგილი დაამახსოვრდა, ზოგიერთი სტრიქონი „კაკოშიც ჩაურთო, რა ექნა, დაიპყრო ბარათაშვილმა, თავისი ახალგაზრდა მემკვიდრე „მტკვრის პირას“ წაიყვანა „ფიქრთ გასართველად“.

ილია მეგობრობდა ეკატერინეს ქალიშვილთან, სალომესთან. ახლაც სალომე გამოეგება. სალომე ათი წლისა იყო, დედის მიერ განებივრებული, მოწიფული ქალიშვილივით მო-

ვიდა ილიასთან და მობრძანდით, ფრანგულად უთხრა: მაგრამ ილიამ ყაბები შეიკრა. სალომე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაშინვე გამოასწორა უნებლიე შეცდომა და ქართულად დაელაპარაკა.

— ბოდიში, სულ დამავიწყდა, რომ თქვენ ამიკრძალეთ ფრანგულად ლაპარაკი.

ილიას გაეცინა და ხელი ჩამოართვა, მერმე სტუმრები დარბაზში შეიწვიეს. ფანჯრებიდან ქარი უბერავდა, აბრეშუმის ფარდები ხან აფრასავით იშლებოდა, ხან იკეცებოდა, მისი ფრიალ-ფრიალი აგრილებდა ოთახს.

სამეგრელოს დედოფალმა გამოსვლა შეაგვიანა.

სალომე ილიას წინ თამამად იდგა, მერე რაღაც გაახსენდა, გაიქცა, დიდი, მოვერცხლილყდიანი ალბომი შემოიტანა და ილიას წინ, მაგიდაზე, გაშალა.

— ეს ალბომი გუშინ მომიტანა დედამ, ჯერ არავის არაფერი ჩაუწერია, — დაიწყო სალომემ, — ტატოს უბის წიგნაკიდან მე გადმოვიღე ერთი ლექსი, წაიკითხე, ვიცი მოგეწონება.

ილიამ ალბომი მოუთმენლად გადაშალა და ბავშვის გაუწაფავი ხელით დაწერილ ფურცელს დააცქერდა. ეს იყო „საყურე“. ილია ამ ლექსს რომ კითხულობდა, სალომე სარკეში იცქირებოდა, პატარა ყურზე ჩამოკიდებული საყურე ერხეოდა და ჩუმ-ჩუმად ილიმებოდა. გოგონას მოეწონა ეს ლექსი, ზეპირადაც ისწავლა, ახალ ალბომშიც ჩაწერა.

ილიამ „საყურე“ რომ წაიკითხა, მერე თავისთვის თქვა: „აგე ზღვა გული, სიყვარულის სხივქვეშ გაშლილი“. შემდეგ ამ სტრიქონმა ნიკოლოზ ბარათაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი დაამშვენა.

— სალომე, ეს ლექსი რომ გადმოწერე, ის უბის წიგნაკი არ შეიძლება მაჩვენო?

— დედა მოგართმევთ, დედამ თქვა, ილიას უნდა წავაკითხო, გაზეთში დაბეჭდავსო.

შემობრძანდა ეკატერინე, მუქი ვარდისფერი აბრეშუმის მარმაშა კაბა ეცვა, მკერდზე ღრმად ამოჭრილი. ეკატერინემ ხელი ჩამოართვა სტუმრებს, დივანზე ჩამოჯდა. დაღლილი, გაფითრებული სახე ჰქონდა. ილიამ ვერ მოითმინა, ალბომი ისევ გადაფურცლა და თქვა:

— რა ჩინებული ლექსია, ნეტავი ვის საყურეს დაუწვავს ასე ეს დიდებული პოეტი.

ეკატერინე ოდნავ გაწითლდა, თავი ჩაღუნა და ხმა გვიან ამოიღო.

— ჩვენი მამები უფრო მეგობრულად იყვნენ ერთმანეთთან, ვიდრე ჩვენ, შვილები ვართ... აგერ, მეორე წელიწადია პეტერბურგში ხართ, რა შორს მე ვარ, მაგრამ ერთხელაც არ აღგძვრიათ სურვილი ჩემი ნახვისა... თუმცა, ახლა ვისლა ვუნდივარ, უღონო და უბედური.

ილიას უნდოდა რაღაც ეთქვა ნინო გრიბოედოვაზე, ახსოვდა მისი ამაგი, ციებიანი რომ ექიმთან მიიყვანა, მაგრამ მოერიდა, იცოდა მოგონება მწუხარებას გამოიწვევდა და ბარათაშვილთან შეხვედრის ეს ბედნიერი ხალამოს ჩაუშხამდებოდა.

— თქვენ ბევრი გაქვთ ბარათაშვილის თხზულება?

— ბევრი მას არ დაუწერია. რაც თვითონ მომცა, ის შევინახე, ახლავე მოგართმევთ!

ეკატერინემ მაგიდის უჯრა გამოწია და ორი პატარა წიგნაკი ამოიღო. ერთში „ბედი ქართლისა“, იყო მოთავსებული, ხოლო მეორეში — „მერანი“, „ფიქრნი მტკვრის პირას,“ „სული ობოლი“, „ვპოვე ტაძარი“...

— აი, ლექსები, ნახეთ, წაიკითხეთ, დაბეჭდეთ, გაიგოს ხალხმა, რა შვილი ჰყავდა! — თქვა ეკატერინემ და ორივე წიგნაკი ილიას მიაწოდა.

ილიამ გადაშალა „ბედი ქართლისა“. მოუთმენლად გადადიოდა გვერდიდან გვერდზე.

ეკატერინე სტუმარს თვალს არ აშორებდა. ილიას შავი წვერი უფარავდა სახეს, უფარავდა ამ სახეზე გამოხატულ სიხარულსაც, მაგრამ ეკატერინეს მახვილი თვალი მაინც ხედავდა, მაინც გრძნობდა იმ აღტაცებას, ეს ახალგაზრდა პოეტი რომ განიცდიდა „ქართლის ბედის“ კითხვისას.

კოხტამ ველარ მოითმინა, ხელი წაატანა მეორე წიგნაკს, მაგრამ ილიამ არ დაანება.

ილია წამოდგა, ისევ გადაფურცლ-გადმოფურცლა წიგნაკი და ახლა ხმამაღლა, თავიდან დაიწყო „ბედი ქართლისა“.

ილია გატაცებით კითხულობდა, მარჯვენა ხელს მალ-მალ მაღლა სწევდა, მისი ბოხი ხმა ზარივით რეკდა.

ეკატერინე ხელებით მაგიდას დაეყრდნო და ერთ წერტილს მიაჩერდა. მის დაფიქრებულ თვალებს ახლა წინ ედგა ნიკოლოზ ბარათაშვილი, მკრთალი და ნაღვლიანი, სიტყვებიც ნაცნობი და ახლობელი ისმოდა, ცრემლმორეული თვალები ოდნავ მოჭუტა და, წარსულში გადაეშვა. ეკატერინემ თვითონ ტატოსაც მოუსმინა, მამამისის, ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლის ბანზე ახლობლებს რომ წაუკითხა ეს პოემა, მაშინ ტატო ღელავდა, ჩქარობდა, ალექსანდრემ წიგნაკი გამოართვა და თვითონ დინჯად, აუღელვებლად განაგრძო.

ახლა ილიაც თითოეულ სიტყვას სწორედ ისე გრძნობით გამოთქვამდა, როგორც მაშინ ალექსანდრე, ეკატერინეს საყვარელი მამა. „ეხ, ტატო, ტატო!“. ეკატერინეს გული აუტირდა, მაგრამ თავი შეიკავა.

სალომემ შეატყო დედას წუხილი, ნელა წამოდგა და გვერდში მორიდებით ამოუდგა, ეკატერინემ ხელი მოხვია გოგონას და მუხლზე დაისვა.

ილიამ რვეული მაგიდაზე დადო, ზედ ხელი დაჰკრა და თქვა:

— აი პოეზია, აი ნიჭი!

„საყურეს“ ილიამ ჯერ თვალი გადაავლო, მოეწონა, მისი სატყვები გულს ჩასწვდა. ასეთ ცისფერთვლიან საყურეს ატარებდა ჩაიკოვსკაიაც. ამ მოგონებას, რომელიც გულში ტკივილად იყო ჩალექილი, ილია ყოველთვის გაურბოდა, მაგრამ ახლა ვერ გაექცა. „საყურეს“ კითხულობდა და წინ ჩაიკოვსკაია ედგა. ამიტომ ჰქონდა მის ხმას ამდენი სითბო. ეს ყველაზე მეტად ეკატერინემ იგრძნო, თავს ვერ მოერია. მისი ცრემლი და სიძაბუნე სტუმრებს რომ არ დაენახათ, მეორე ოთახში გავიდა.

ილია მიხვდა, თუ რა ცეცხლი სწვავდა ეკატერინეს. თუმცა წინათაც ბევრი რამ სმენია ბარათაშვილის უიმედო სიყვარულზე, მაგრამ ჭორი ეგონა, ან წუთიერი გატაცება, ახლა კი დარწმუნდა და გაიფიქრა — პოეტის გულს ყველას ღალატი რომ აეტანა, სიყვარულის ღალატს ვერ აიტანდა.

პატარა გოგონას უკვირდა, დედამ ასე მოულოდნელად რატომ დატოვა სტუმრებიო, ტატოს ლექსები მას ბევრჯერ მოუსმენია, ზოგი მათგანი ზეპირადაც იცოდა, მას არც ის გამოჰპარვია, დედა ამ ლექსების წაკითხვისას ყოველთვის რომ ღელავდა, მაგრამ ახლა რა მოხდა?!

ეს ხომ გუშინ იყო, სწორედ გუშინ, სალომემ ქვერცხისგულივით ყვითელი ჩონგური აიღო ხელში, ტახტზე ჩამოჯდა და ლარები აახმიანა. იქვე ეკატერინეც იჯდა, სარკესთან, და თავის ორეულს მიშტერებოდა. გულს დარდი უვსებდა. ნაოჭების, ჭაღარის მომრავლება, ეშხი და სილამაზე თვალსა და ხელს შუა გაუქრა. განა იყო ოდესმე ლამაზი? ულამაზესიც იყო, ამას თვითონაც გრძნობდა; ერთ სილამაზედ მისი დაკვრა ღირდა. ვისაც მისი ჩონგურზე სიმღერა არ მოუსმენია და ცეკვა არ უნახავს, მას ნამდვილი ეკატერინე არ უნახავს.

ეს ფიქრი და მოგონება ჩონგურის ხმებმა უფრო გაუღვიძა. ცეკვისა და სიმღერის მიუწვდომელზე და მიძინებულმა ჟინმა კვლავ დაიპყრო, კვლავ მოუნდა დაკვრა, პიფერფლილმა ახალგაზრდობამ ისევ გაიღვიძა, გოგონას ჩონგური გამოსტაცა.

ერთ დროს ლამაზი თითები გზნებით ჩამოჰკრა ლარებს. მუსიკა მაცდუნებელია, უცებ დაავიწყდა, რომ ის იყო დედოფალი, დიდებული, რომ ის იყო ხანდაზმული და სოფლის გოგოსავით დაკვრა და სიმღერა არ შეეფერებოდა, მაგრამ სწორედ სოფლელ გოგოსავით ჟინიანად, გატაცებით უკრავდა, მღეროდა.

პატარა სალომემ ისიც კი გაიფიქრა, დედა გაგიჟდაო და შიშმა აიტანა, მაგრამ ბედზე თედორე ხოშტარია შემოვიდა, მოძღვარი და ისტორიკოსი. გოგონას იმედი მიეცა და გაჩერდა. თედორემ ნაბიჯი ვერ გადადგა, არც ხმა ამოუღია, კართან იდგა, ჩონგურის ხმამ თავის მშობლიურ კუთხეში გადაიყვანა, სამეგრელოს დარდიანი ხმებით ევსებოდა გული.

თედორე ეკატერინეს მემატიანე იყო, ამ დიდებული მანდილოსნის თითოეულ ნაბიჯს ქაღალდზე გადაჰქონდა. თედორეს ნაწერები ამჟამად ზუგდიდის მუზეუმში დევს, მაგრამ, სამწუხაროდ, მღვდელს გამორჩა ეკატერინესა და ილიას შეხვედრა, მათი საუბრის აღწერა. გამორჩა, თუ გამოტოვა?!

პასუხს თვითონვე ვეძებ.

ბარათაშვილის წიგნაკებს სალომე ყოველთვის შიშით უყურებდა, მართალია, ლექსები მოსწონდა, მაგრამ ის არ მოსწონდა, რომ ამ წიგნაკებს რაღაც თილისმა დედას თვალებს ცრემლებით უვსებდა. ნეტავი სულაც წაიღოს ილიამ და მოგვასვენოს.

— სტუმრები მარტონი არიან, წამოდი. — შეახსენა დედას.

გვიან წამოდგა ეკატერინე, ჯავრი სახიდან გადაიყარა, მაგრამ გულს ვერაფერი მოუხერხა და მორიდებით შევიდა სასტუმროში.

— მაპატიეთ, — გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა.

— დიდი ხანია ილიას თქვენთან მოსვლა უნდა, ემზადებოდა, გუშინწინ მამათქვეხზე ლექსი დაწერა. — სცადა უხერხულობის გაფანტვა კოხტამ.

ეკატერინეს გაუკვირდა და თავი დაუკრა ილიას.

— გმადლობთ! — კოხტას შეხედა, — ვთხოვოთ, წაგვიკითხოს.

ილიამ გულისჯიბიდან მოკეცილი ქაღალდი ამოიღო, გაშალა და ეკატერინეს გაუწოდა.

— ინებეთ!

— გთხოვთ თქვენ წაგვიკითხოთ! — პოეტებმა კარგი კითხვა იციან! ტატო ლექსს რომ კითხულობდა, ცეცხლსა და სევდას ორივეს ერთად აფრქვევდა.

— ტატოს ლექსების შემდეგ ჩემს ლექსს ვერ წავიკითხავ... მითხრეს, თქვენ შესანიშნავად კითხულობთ თურმე.

— შეიძლება წინათ, როცა ახალგაზრდა ვიყავი! — ეკატერინემ ილიას ლექსი აიღო, დახედა, სევდა აღებექდა სახეზე.

ვიდრე ილია ბარათაშვილის მეორე წიგნაკის კითხვას შეუდგებოდა, ეკატერინე წამოდგა და მთრთოლვარე ხმით თქვა:

— თქვენ იკითხეთ, მე ამ წუთას გეახლებით!

ეკატერინე რომ გავიდა, ილიამ კითხვა დაიწყო..

მცირე ხნის შემდეგ სალომე პეპელასავით, უხმაუროდ წამოდგა, ცერებზე შემდგარი დარბაზიდან გავიდა. საწოლ ოთახში, ბალიშზე დამხობილი ეკატერინე გულამოსკვნილი ტიროდა. ხელში ილიას ლექსი ეჭირა.

სალომეს ელდა ეცა.

— დედა, ვინ გაწყენინა, რატომ სტირი?

— გაჩუმდი, შვილო, აბა, როდის ვტირი?

— ცრემლი, ცრემლი!

ეკატერინემ თვალები ამოიწმინდა, ბავშვს სახე მოარიდა.

— ექიმს დავუძახებ.

— ვერ მიშველის, მოდი აქ, ჩემო გოგონა, — მოიხმო დედამ და ცნობისმოყვარე ქალიშვილი გულში ჩაიკრა, — აი, ახლა არ ვიტირებ. შენა ხარ ჩემი წამალი, გესმის?.. — და ღიმილის შემდეგ გაიმეორა: — „ხან ლონდება ნაზ ქალსავით უიმედო სიყვარულით“.

— დედა, რატომ ამბობ ამას?

— აი, აქ წერია, შვილო! — და ლექსი მიაწოდა, თვითონ კი ისევ გულში უელავდა ილიას სიტყვები, — „უიმედო სიყვარული“. — კარგად უთქვამს ილიას... — ეკატერინეს თვალწინ წარმოუდგა მამა. წარსული ცხოვრების ჭირი და ლხინი. ირეოდა ცნობიერებაში.

სალომემ ლოყა დედის ცხელ ლოყას მიადო და გაინაბა.

ეკატერინეს ხშირად უცრემლებდა თვალებს სამშობლოდან გასახლება. 1857 წელს მთავრობამ ეკატერინე აიძულა განშორებოდა თავის სამთავროს და პეტერბურგში ეცხოვრა ოჯახითა და ამალით. სალომეს ეგონა, დედა ახლაც ამას დასტიროდა და გული გაუკეთა.

— რა უშავს, დედა, აქ ვიცხოვროთ, ამაზე ნულა სტირი!

ეკატერინემ ცრემლი მოიწმინდა, თმები გაისწორა და სტუმრებთან გავიდა. უკან სალომე გაჰყვა. ცუდ დროს შევიდა ოთახში, ილია „თავადის ჭ...ის ასულ ეკ....ნას“ კითხულობდა. სახეზე ცეცხლი მოეკიდა...

ილია ადვილად მიუხვდა წუხილს, თვითონაც გაწითლდა და ოდნავ გაიღიმა.

— ქალბატონო, გამიგონია, თქვენ ჩონგურს ჩინებულად უკრავთ, ეს ლექსი არ დაგიმღერებიათ?

— როცა დარდი არ მქონდა, ვმღეროდი, მაგრამ ახლა არ მემღერება.

— რას იზამთ, ჩვენ არავის გვემღერება, მაგრამ მაინც ვმღერით, სიმღერა დარდსაც აშუშებს! — მიუგო ილიამ, ისე, რომ ბარათაშვილის წიგნაკებისათვის თვალი არ მოუშორებია. თავისი შავყდიანი უბის წიგნაკი ამოიღო „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „საყურე“ გადაიწერა.

კოხტამ თვალი მიადევნა კალამს.

ამ ხელნაწერების გაცნობის შემდეგ დაიწერა ილიას „მტკვრის პირას“.

და, კოხტა აფხაზის მოგონებაც, რომელიც მან მოხუცებულობის ჟამს დაწერა, ამ პირველ შეხვედრას ეკუთვნის, ალბათ.

„ვერ წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზე. თითქმის მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ბოდავდა ბარათაშვილით“.

ეკატერინეს ეგონა, ბარათაშვილი მარტო მას უყვარდა, მისი ლექსები მარტო მას მოსწონდა.

მაგრამ აი, ილია პირველი შეხვედრისთანავე მოიხიბლა, ვერც კოხტა აფხაზი მალავდა აღფრთოვანებას.

— დედოფალო, ცოდვაა ეს საუნჯე ცხრაკლიტულში რომ გიდევს! — შეჰბედა კოხტამ.

— ნაცალე კოხტავ, მაცალე! — უთხრა ილიამ, უკანასკნელი სტრიქონიც ჩაათავა და განაგრძო, — დედოფალს დიდი მადლობა, რომ ეს საუნჯე შემოგვინახა. ამ სამსახურს, ეკატერინე ალექსანდრეს ასულო, საქართველო არასოდეს დაივიწყებს!

დედოფალს ტუჩებზე წუთიერმა ღიმილმა გადაურბინა.

— ამასწინათ გრიგოლ ორბელიანი მესტუმრა. მთხოვა, ტატოს ლექსები წამიკითხეო. ვიცი მისი გულის ამბავი, როცა ტატო გარდაიცვალა, გრიგოლი ელდისაგან ავად გახდა, მაგრამ ძალიან შემომეხვეწა და წავიკითხე. იტირა გრიგოლმა. ამ ლექსების გამოცემას თავი ვერ დავადგითო, ფულიც კი შევაგროვეთ, მაგრამ საქმეს მაინც საშველი არ დაადგაო. ეხ, დაუდევრობა, დაუდევრობა, ნანობდა გრიგოლი.

— სანანებელიც აქვს, დისწულისათვის უნდა მოევლო! — ვერ მოითმინა კოხტამ.

ილიას არაფერი უთქვამს, ხელები მაგიდაზე ჩამოეწყო და იმ ჯადო წიგნაკებს უყურებდა, რომლებიც მის წინ იდო. გულმა გული იცნო: ილია მთელი არსებით ახლა ნიკოლოზ ბარათაშვილთან იყო, თავის დიდ წინაპარს „ქართლის ბედზე“ თუ ესაუბრებოდა.

იმ საღამოს, ილია რომ შინ დაბრუნდა, ამხანავებს უთხრა: „როს წავიკითხე მისი ლექსები, ვერარა ვთქვი რა განცვიფრებულმა“.

პავლოვსკში ყველას ეძინა, არ ეძინა მხოლოდ ილიას. იგი მაგიდასთან იჯდა და წუხდა. ეკატერინე ჭავჭავაძესთან, მართალია, „ვერარა თქვა განცვიფრებულმა“, მაგრამ თავის ოთახში, იქ უთქმელი სიხარული ლექსში გაამჟღავნა.

„როს წარვიკითხე მისი ლექსები,
ვერა რა ვთქვი რა განცვიფრებულმა!..
ვით ქარიშხალით ატეხილ ბუქმა
ცას განუბნივოს შავი ღრუბლები,
ისე იდარა ჩემ მწუხარ შუბლმა!
ხალხო ობოლო, შენ მებრალები,
რომ დაგაობლა მის ციურ შუქმა
და განგაშორა თვისი სხივები!..
როს წარვიკითხე მისი ლექსები,
აღმოვიკვნესე დაობლებულმა!..“

როცა პეტერბურგის ქართველ სტუდენტებში ილია გატაცებით ლაპარაკობდა ბარათაშვილის საოცარ ნიჭსა და პოეზიაზე, პოეტის უბედური მამა სიცოცხლეს ესალმებოდა... ვინ გაიხსენებდა მას, ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული შვილი რომ არ ჰყოლოდა!?

ბარათაშვილმა ილიას თვალი აუხილა და გული გაუხსნა. ილიამ პირველმა, სწორად განსაზღვრა

ბარათაშვილის შემოქმედების მნიშვნელობა ქართველი ერის ცხოვრებაში. მანვე მიუთითა პოეტის საკაცობრიო ხასიათზეც.

„ნიკოლოზ ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, — წერს ილია, — ჩვენს გულისთქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი გაზი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხდა და კაცობრიული წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა“.

ილიამ ცოტა როდი იბრძოლა და იშრომა ბარათაშვილის ნაწარმოებთა გამოსაქვეყნებლად. მან ამ დიდი პოეტის არა თუ ლექსებს, არამედ, ბარათებსაც მოუყარა თავი. ილიამ თავისი დისა და სიძის ოჯახში აღმოაჩინა ბარათაშვილის ოთხი წერილი, მიწერილი მაიკოსადმი. ეს მონაპოვარი მაშინვე გადაუგზავნა „კრებულის“ რედაქციაში კირილე ლორთქიფანიძეს და მისწერა:

„ძმაო კირილე! გიგზავნი ბარათაშვილის წიგნებს. შენ იცი და შენმა რიგიანობამ, როგორც კარგად, შეუშლელად და შეუმცდარად დაჰბეჭდავ. მართლწერა და ნიშნების ხმარება სრულად და შეუმცდარად დედანისა [illegible]თვე უნდა დაიბეჭდოს. საკვირველია, რომ ჩვენგან გაკიცხულს ასოებს არც ნიკ. ბარათაშვილი ხმარობს მაგრე რიგად. ჰსჩანს მაგ ასოებს არც ის ეწყობოდა. შესანიშნავია“.

ეკატერინე ჭავჭავაძისეული ბარათაშვილის ავტოგრაფ-კრებულები ილიას შემდეგ, ვინ იცის, კიდევ ვინ წაიკითხა. მოხუც დედოფალს ისინი, ბოლო წლებში, ალბომებთან ერთად ეწყო მაგიდაზე, ქართველი სტუმრები ამ საუნჯეს ეწაფებოდნენ, მაგრამ შემდეგ უკულმა დატრიალდა ავტოგრაფების ბედი... წიგნმა შავ ბაზარში ამოყო თავი. იქ ქართულ სიძველეთა მფარველმა მიუსწრო... ეს საუნჯე ამჟამად დაცულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში. ორივე კრებულს მიწერილი აქვს: „ვიყიდე 1887 წელს პეტერბურგში; ბუკინისტ პ. ი. ვორონინისაგან, ნევის პროსპექტზე, № 54. ე. თაყაიშვილი“.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ კოკილაშვილი

# როდესაც კალამი ხიშტს გაუტოლდა

მრისხანე ათასცხრაასორმოცდაორი წლის ზაფხული იდგა. კავკასიონის მთაგრეხილის მისადგომებთან კალიასავით შემოსეული გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ურდოები უღელტეხილებს მისძალებოდნენ და საქართველოსაკენ გასაჭრელად მოკლე გადასასვლელებს ეძებდნენ.

„მტერი მოადგა შენს კურთხეულ მხარეს, კავკასიავ, აღსდექით კავკასიის შვილნო მშობლიური მიწა-წყლის დასაცავად!"

— ასეთი მოწოდებით მიმართავდა იმ დღეებში კავკასიის ხალხებს გამოჩენილი რუსი მწერალი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი ნიკოლოზ ტიხონოვი.

„სამშობლოს ბედი ახლა სამხრეთში, კავკასიის მთის მისადგომებთან წყდება" — წერდა გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი ემელიან იაროსლავსკი.

ჰიტლერელები კი ჩქარობდნენ, ეშურებოდნენ გროზნოს და ბაქოს ნავთის საბადოების ხელში ჩაგდებას, ორჯონიკიძიდან საქართველოს სამხედრო გზით თბილისში შეჭრას, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხთა დამონებას.

მართლაც, ამიერკავკასიის მთელი ხალხები აღსდგნენ თავისი წმიდათა-წმიდა მიწა-წყლის დასაცავად. ამა თუ იმ მიზეზით შინ დარჩენილი ყველა პროფესიის ადამიანები გაერთიანდნენ ადგილობრივ შექმნილ სახალხო ლაშქარში. ჩვენი დედების, შვილების, მთელი ზურგის მშრომელთა ხმა სწვდებოდა კავკასიის მთის ძირებთან და მდინარე თერგის ნაპირებთან თავდაცვის ზღუდეებზე ჩასაფრებულ მებრძოლებამდე:

— თქვენს უკან მამა-პაპის სისხლით მორწყული მშობლიური მიწა-წყალი და თქვენი კერაა. ნუ აოხრებინებთ, ნუ წაბილწინებთ მას გამხეცებულ ფაშისტებს. შეაჩერეთ ვერაგი მტერი!

— ისმინე ფრონტო: არც ერთი ნაბიჯი უკან! სწორედ იმ დღეებში საცეცხლე პოზიციებზე გასასვლელად გამზადებულ ჩვენს დივიზიას ესტუმრა ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ ქართველი მწერლები ილო მოსაშვილი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე, მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილე ლავრენტი გეგეშიძე და სხვები. ლავრენტი გეგეშიძე ნაწილებში გამოდიოდა მოხსენებით საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობის შესახებ, ჩვენი მწერლები კი მგზნებარე ამაღელვებელი სიტყვებით მიმართავდნენ ჯარისკაცებს პატრიოტულ ლექსებსა და მოთხრობებს უკითხავდნენ.

ილო მოსაშვილი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე ჩვენი დივიზიის წითელარმიული გაზეთის „სამშობლოს დამცველის" რედაქციას სწორედ მაშინ ესტუმრნენ, როცა 22 ივნისის ნომერს ვამზადებდით.

ნაშუადღევი იყო. ნომრის მაკეტს ვადგენდი. ილომ მაკეტს დახედა და მკითხა:

— ხომ არაფერი გიჭირთ?

— ისეთი არაფერი, — მორიდებით ვუპასუხე, — მაგრამ დიდად დაგვავალებთ თუ ამ ნომრისათვის სამამულო ომის წლისთავზე ერთ კარგ ლექსს დაგვიწერთ.

— ფრონტელებს როგორ გაწყენინებთ — ღიმილით თქვა ილომ, — ვცდი, ოღონდ უნდა მადროვოთ, საღამოსათვის მოვიფიქრებ რამეს.

მართლაც, ილომ შეასრულა თავისი პირობა, საღამოს მოგვიტანა ქაღალდის ერთ ფურცელზე ფანქრით დაწერილი ლექსი სათაურით: „ერთი წელია" (ამ ლექსის დედანი ახლაც ჩემთან ინახება).

გადმომაწოდა ლექსი და ილომ თან თავმდაბლურად დასძინა.

— ამხანაგო არჩილ, მთლად კარგი ვერ გამომივიდა, მაგრამ თუ გამოგადგეთ, დაბეჭდეთ.

სიხარულისაგან ცას ვეწიეთ. მისთვის ადგილი გაზეთის პირველ გვერდზე გვქონდა დატოვებული. ლექსი ასოთამწყობ გედეონ ბოლქვაძეს გადავეცი, ხოლო ილოს დიდი მადლობა მოვახსენე. ორივემ დივიზიის შტაბისაკენ გავწიეთ, სადაც იგი, კონსტანტინესთან ერთად, ქართველ მეგობრებს უნდა შეხვედროდა.

22 ივნისის სისხამ დილით მებრძოლებმა „სამშობლოს დამცველის“ სალებავშეუშრობელი ნომერი მიიღეს, რომლის პირველ გვერდზე დაბეჭდილი იყო ილო მოსაშვილის ლექსი:

„ერთი წელია“

ერთი წელია — ცეცხლი მძვინვარებს,
სამშობლო ქვეყნის ზღვიდან მიწამდე,
ერთი წელია, დედა სამშობლოვ,
თავისუფლებას მკერდით იცავდი,
სდგეხარ კლდესავით და ამ ბრძოლაში,
აჰა, გათავდა ეს წელიწადი!
ერთი წელია, რაც ქარქაშიდან
ამომართულა ჩვენი მახვილი,
ედება ქვეყნებს, სოფლებს, ქალაქებს,
დიდი სტალინის მტკიცე ძახილი:
წითელი დროშა არვის უნახავს —
და ვერც იხილოს დაბლა დახრილი!
აჰა, დაიძრა სახალხო რისხვა,
მტერს შიშით ზარავს ჩვენი დაკრული,
სისხლით იცლება დაჭრილი მხეცი
და ფეხზე დგება ყველა ჩაგრული,
ისმის სიმღერა გამარჯვებისა,
როგორც ლამაზი ჩვენი მაყრული.
ერთი წელია — ცეცხლი მძვინვარებს
სამშობლო ქვეყნის ზღვიდან მიწამდი.
ბელადმა ბრძანა — და ჩვენც შევფიცოთ,
წარსულ ბრძოლებში როგორც ვიცავდით,
რომ ჩვენის ხელით ფაშისტ ყაჩაღებს
სამარედ ექცეს ეს წელიწადი!

1942 წ. 21 ივნისი.

ეს ლექსი ილომ მეორე დღეს ზეპირად წაიკითხა 1367 პოლკის პირველი ბატალიონის მებრძოლთა წინაშე, რასაც ქართველი მეომრები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

„სამშობლოს დამცველის“ ამავე ნომრის მეორე გვერდზე დავბეჭდეთ ილო მოსაშვილის და კონსტანტინე ლორთქიფანიძის „საველე ლაზარეთში“ (ნაწყვეტი მოთხრობიდან „ის კიდევ დაბრუნდება“).

ამით არ დაკმაყოფილებულან ჩვენი სასიქადულო მწერლები. მათ მალე მოგვაწოდეს მშვენიერი ნარკვევი ჩვენი დივიზიის ცხოვრებიდან „მამა და შვილი“. ამ ნარკვევში აღწერილია, თუ როგორ შეხვდნენ მოულოდნელად ერთმანეთს ზუგდიდის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნე აქსენტი ჩაგუს ძე კაკალიშვილი და მისი ვაჟი ლეიტენანტი [illegible] ბიბლიოთეკა

ეს სურათი ასეა აღწერილი:

. . .

ერთ თვე გავიდა, — იოსებმა ოჯახის არა იცოდა რა. მისი წასვლა ისე მოულოდნელი იყო, რომ თვითონაც ვერაფერი შეატყობინა მშობლებს. ერთხელ ღამით როდესაც ყაზარმაში ყველას ეძინა, იოსები ქვეგანაყოფში ახლად მოსული მებრძოლების სიებს ათვალიერებდა. მშობლიური სოფლის კოლმეურნეთა გვარები რომ შენიშნა, გახარებულმა ლეიტენანტმა სიაგულდასმით ჩაიკითხა და ერთბაშად თვალში მოხვდა ერთი მეტისმეტად ნაცნობი სახელი და გვარი. გული უჩვეულოდ აუძგერდა... და ისე წამოვარდა, თითქოს ვინმემ დაუძახაო ამ შუაღამისას. ყაზარმაში შემოსულმა მორიგემ შეამჩნია, რომ იოსებს თვალები უცნაურად უელავდა და ხელში ათრთოლებულ ქაღალდს მოჯადოებულივით დასჩერებოდა.

— რა დაგემართა, ბიჭო! — ჰკითხა გაკვირვებულმა ამხანაგმა.

იოსებმა სია გაუწოდა და რომელიღაც გვარზე ანიშნა:

— იცი, ეს ვინ არის? მამაჩემია შე ურჯულო, შენა! კაცი აღარა ვარ სიხარულით!

აღელვებულმა იოსებმა სიტყვის დასრულება ვერ მოასწრო, რომ მორიგე მეთაური უმალვე სადღაც გაჰქრა. იოსებმა კიდევ დახედა სიას, ისევ წაიკითხა, თითქოს ეშინოდა, რომ ეს უსაყვარლესი სახელი ქაღალდზე არ გამქრალიყო. „აქსენტი ჩაგუს ძე კაკალიშვილი“ — გარკვევით ეწერა ქაღალდზე და ეს წარწერა თითქოს ხელს უწვდიდა იოსებს და მხნედ ეუბნებოდა, შვილო, მეც შენთან ერთად ვარო!..

კარი გაიღო და იოსების ამხანაგებმა ჰარმაგი, მხარბეჭიანი წითელარმიელი შემოიყვანეს.

— შენი ლეიტენანტი შვილი სად არის? — ეშმაკურად შეეკითხა მორიგე მეთაური და წითელარმიელი ისე მიაბრუნა, რომ კუთხეში მდგომი იოსები არ დაენახა.

— ერთი თვეა, მისი არაფერი გამიგია! — მიუგო მან და ამოიოხრა.

იგი თითქოს შეშინებული იყო, რადგან ვერ გაეგო, ამ შუაღამისას რატომ დასჭირდათ მისი გაღვიძება და შვილის გამოკითხვა. იოსებმა ველარ მოითმინა.

— მამა! — შესძახა და მხარბეჭზე მკლავები შემოხვია...

ასე შეხვდნენ ერთმანეთს წითელარმიელი მამა და ლეიტენანტი შვილი.

შეხვდნენ, როგორც დიდი ხნის უნახავი კარგი მამა და შვილი ერთმანეთს ხვდებიან...

შემდეგში ეს ცოცხალი ამბავი ფრაგმენტად ჩაურთეს თავის დოკუმენტურ მოკლემეტრაჟიან კინოფილმში „ფრონტის ხაზისაკენ“ კინორეჟისორებმა შალვა ჩაგუნავამ და ირაკლი კან-

დელაკმა (ოპერატორები არზუმანოვი და მ. ნარიმანიშვილი).

28 ივნისის ნომერში კი გაზეთში დავბეჭდეთ ილო მოსაშვილის და კონსტანტინე ლორთქიფანიძის ვრცელი წერილი: „საბჭოთა საქართველო სამამულო ომის დღეებში“. ამ მწერლების ყველა ნაწარმოები, რაც კი ჩვენს გაზეთში იმ დღეებში იბეჭდებოდა, უსაზღვროდ აღაფრთოვანებდა ქართველ მეომრებს და აღაგზნებდა მათ ვერაგი მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებისათვის.

ილო მოსაშვილი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე ალბათ თბილისს მიახლოვებული იქნებოდნენ, როცა ჩვენს შენაერთს ესტუმრა ქართველ მწერალთა ახალი ჯგუფი, ჩვენი საყვარელი შალვა დადიანის ხელმძღვანელობით. მასში შედიოდნენ: როდიონ ქორქია, სიმონ მთვარაძე და იმ დროისათვის ახალგაზრდა პოეტი ანდრო თევზაძე.

„სამშობლოს დამცველი“ ფართოდ აშუქებდა მათ ყოფნას შენაერთის ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში. ტკბილმოუბარი შალვა დადიანის და მისი თანამოკალმეების შეხვედრა ქართველ მეომრებთან უზომო სიხარულს და აღფრთოვანებას იწვევდა. შალვას საუბარი რომ მოთავდებოდა, ბევრი მებრძოლის თვალებში სიხარულის ცრემლები გამოკრთოდა.

— ჩვენ, ქართველი მწერლებიც თქვენთან ვართ, ვაჟკაცებო, სამშობლოსათვის ამ მრისხანე ჟამს, — ამბობდა ტრიბუნიდან შალვა ნიკოლოზის ძე, — თქვენში გაცოცხლებულია ჩვენი დიდი წინაპრების რაინდული სახეები. მაშ იყავით მათი სახელის ღირსნი, ასახელეთ დედასამშობლო!

ჩვენი თხოვნით შალვა დადიანმა წითელარმიულ გაზეთში დასაბეჭდად გადმოგვცა თავისი ნოველები „გამარჯვება“, „ის“ და ისტორიული მოთხრობა „ლელა“.

„სამშობლოს დამცველის“ ფურცლებზე დაიბეჭდა როდიონ ქორქიას „ქართველები გახლავართ“. მერე მას ვთხოვეთ დაეწერა პატარა ნოველა, რომელიც თავის შინაარსით ჩვენი შენაერთის მებრძოლთა სულიერ განწყობილებას დიდად აამაღლებდა. მან თხოვნა შეგვისრულა და 7 ივლისის ნომერში უკვე გამოვაქვეყნეთ როდიონის მიერ სპეციალურად ჩვენი გაზეთისათვის დაწერილი ნოველა „სიზმარშიაც კი...“ სიმონ მთვარაძე ჩვენი გაზეთის მკითხველთა წინაშე წარსდგა როგორც პოეტი, თავისი ლექსებით: „გმირ წითელარმიელებს“ და „მფრინავ ივანოვს“.

ანდრო თევზაძემ გადმოგვცა თავისი ლექსი „სიმღერა გმირობაზე“, რომელსაც მებრძოლთა წინაშე კითხულობდა ხოლმე, ხოლო წასვლის წინ კი ჩვენს დივიზიაში დაწერილი ლექსი: „ჩემი ძმა“. საინტერესოა ამ ლექსის დაბადების ისტორია.

ანდრო თევზაძე 1371 პოლკში ყოფნის დროს შემთხვევით შეხვდა უმცროს ლეიტენანტს, პოეტ სანდრო ეულენტს, რომელიც ნაღმტყორცნელთა ქვეგანაყოფის უფროსი ადიუტანტი იყო. ანდრო და სანდრო ხომ განუყრელი მეგობრები იყვნენ ომამდე. მათი შეხვედრა ამაღელვებელი იყო.

— ჰა, როგორ ხარ, ბიჭო, ლექსის წერას ხომ არ მოეშვი? — ჩასჩურჩულებდა წელზე ხელშემოხვეული ანდრო პოეტ-მეომარს.

— რა მიჭირს, ჩემო ანდრო. ლექსს როგორ მოვეშვები. ლექსი ჩემი გამამხნევებელია. ლექსი თვითონ ამოდის გულის სიღრმიდან, როგორ შევაკავებ მას. კიდევ კარგი, რომ გაზეთი გვაქვს. ჩემი ლექსებისათვის „მწვანე ქუჩაა“ მის ფურცლებზე.

ანდრო თევზაძე სიხარულით უსმენდა თავის სიყრმის მეგობარს და თან გაკვირვებული უცქერდა ყაზარმის ეზოში შეჯგუფულ მებრძოლებს, რომლებიც ნაღმსატყორცნს წმენდნენ. სანდრომ შეამჩნია ანდროს განცვიფრება, გაიყვანა ეზოში და თავს დააყენა მუშაობაში გართულ მებრძოლს, რომელიც ნაღმსატყორცნს სწმენდდა.

— რა არის ეს? — ჰკითხა ანდრომ.

— ჩემი ძმა! — ღიმილით უპასუხა მებრძოლმა.

მეორე დილას თევზაძემ რედაქციაში მოგვიტანა ლექსი „ჩემი ძმა“. ჩვენც სიამოვნებით მივიღეთ და დავბეჭდეთ.

ჩემი ძმა

ყაზარმის ეზოში გაშლილან ვაჟები,
იარაღს წმენდნენ და ხალისით მღერიან,
მზეზე იცინიან ელვარე დაშნები,
მტერზე გამარჯვების იმედი ბევრია.
მოვედით სტუმრები მშობლიურ მხარიდან,
თან მოგვაქვს გულები აღსავსე რწმენითა;
შეხვედრით ყოველი მათგანი ხარობდა,
უბრალო ქვებიც კი არ იყო წყენითა.
აგერ ქვემეხები, აგერ ტყვიამფრქვევი
პირს ფართოდ აღებენ, მტრის სისხლი სწყურიათ,
მრისხანე ძალა და ქუხილი უჩვევი
სამშობლოს დაცვისათვის არ დაუშურიათ.
აგერ ნაღმსატყორცნი ერთ ჭაბუკს თვალტანადს
მუხლებზე დაუსვამს. ვით ბავშვი პატარა,
მათ გულში ხომ არის მიზანთა მსგავსება,
მიტომ წმენდს და უვლის ვით ცოცხალ არსებას.
თითქოს შეუმჩნევლად თავზე დავადექი,
შემხედა, იამა და ოდნავ შეინძრა.
მე ვკითხე: ძმობილო, რა არის ეს მეთქი
და მან მიპასუხა: „ეს არის ჩემი ძმა!“
ჩვენ უკვე ვემზადებოდით ფრონტის ხაზზე

გასასვლელად. სტუმრები, უკან თბილისში ბრუნდებოდნენ. გამოსამშვიდობებლად მივედი მათთან, დრო მოკლე მქონდა. მაშინ ვთხოვე შალვა დადიანს, თუ ძალიან არ შეწუხდებოდა, გზა დაელოცა ჩვენთვის, ფრონტის წინა ხაზზე მიმავალი ქართველი მეომრებისათვის. მან რომ დი დაიზარა. „ახლავე, ჩემო არჩილ, გენაცვალეო“ — მითხრა ეს, მიბრუნდა მაგიდასთან, ჩამოჯდა სკამზე და ქაღალდის ფურცელზე დაწერა მიმართვა ჩვენი მეომრებისადმი, რომელიც „სამშობლოს დამცველის“ 7 ივლისის ნომერში გამოვაქვეყნეთ. აი მხცოვანი მწერლის შთამბეჭდავი სიტყვები:

ბ ე დ ნ ი ე რ ი  ი ყ ო ს  თ ქ ვ ე ნ ი
ბ რ ძ ო ლ ე ბ ი ს  გ ზ ა

სალამი ჩვენი სასახელო წითელი არმიის საყვარელ ქართულ ნაწილს.

ზურგი გითვლით თქვენ დალოცვას თქვენს საგმირო გზაზე და გარწმუნებთ, რომ ზურგში ყოველივე კეთდება ფრონტისათვის, სამშობლოსათვის, დიდი სტალინისათვის.

გწამდეთ, რომ ზურგში სულიერი სიმტკიცე დიდია, რწმენა ურყევი და თქვენი იმედი უსაზღვრო და წრე-შემოუვლებელი.

ხალხს სწამს, რომ თქვენც, როგორც თქვენი მოწინავე ძმები ყველა ჩვენი რესპუბლიკიდან, მაშასადამე საქართველოდანაც, იქნებით ისეთივე მამაცნი, შეუპოვარნი, გამჭრიახნი და თავის მოვალეობის ზუსტად შემსრულებელნი, როგორც ეს თქვენ შეგფერით.

რომ თქვენც გაამართლებთ ქართულ ერთგულებისა და მამაცობის სახელს, გაამართლებთ ნდობას დიდი ბელადისას და სამშობლოს დაუბრუნდებით დიდების შარავანდედით მოსილნი, გმირობის დიდი სახელით დაჯილდოებულნი.

ამას უმღერის მთლიანად ქართული მწერლობაც, ამასვე გისურვებთ თქვენთან ამ დღეებში მყოფი ჯგუფი ქართველი მწერლებისა.

მათი სახელით კიდევ ერთხელ გილოცავთ თქვენი ცხოვრების დღეებს და ბედნიერი იყოს თქვენი ბრძოლების გზა!

შ ა ლ ვ ა  დ ა დ ი ა ნ ი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორდენოსანი.

1942 წლის 6 ივლისი.

იმავე დღეებში ჩვენს დივიზიას ესტუმრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი თევდორეს ძე სტურუა. მასთან ერთად ბუინაქსკში ჩამოვიდნენ პროფესორი ილია ტალახაძე და ცნობილი ქართველი მწერალი და კრიტიკოსი ბესარიონ ჟღენტი.

დივიზიის კლუბში მოეწყო გიორგი თევდორეს ძესთან ქართველი მეომრების შეხვედრა. დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა ივანე ფილიპეს ძე იოსკევიჩმა მოახსენა პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, რომ ქართველი ხალხის შვილებმა —414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომრებმა მოკლე დროში შეისწავლეს მტერთან ბრძოლის ხერხები, დაეუფლნენ საბრძოლო ტექნიკას და მზად არიან გზა გადაუღობონ გერმანელ ფაშისტთა ურდოებს კავკასიის მისადგომებთანო. გიორგი თევდორეს ძემ წარმოსთქვა ამაღელვებელი სიტყვა, რაც გულში ჩასწვდა თვითეულ მებრძოლს.

— სამშობლო ახლა განსაცდელშია, — თქვა მან, — ქართველ ხალხს თქვენი იმედი აქვს. სჯერა ხალხს, რომ არ უღალატებთ თქვენს გმირ წინაპართა საბრძოლო ტრადიციას, შემუსრავთ ფაშისტ ბარბაროსებს და არ მისცემთ მათ საშუალებას ცეცხლს მისცენ ჩვენი მზიური საქართველოს აყვავებული სოფლები და ქალაქები, აბუჩად აიგდონ თავისუფლებისმოყვარე, ამაყი ქართველი ხალხი... მეც მყავს მოსწრებული შვილი. ჩემი ბორისი, ახლა რომ გიყურებთ თქვენი ტოლია. ის ტანკისტია და ულმობლად ანადგურებს შემოსეულ გერმანელ ფაშისტ კაციჭამიებს ვორონეჟის რაიონში სტალინგრადის მახლობლად... ისევე, როგორც ჩემს შვილს ვუსურვებ მტერზე გამარჯვებას და შინ მშვიდობით დაბრუნებას, ამასვე გისურვებთ თქვენ ყველას, მამაშვილურად გეხვევით და გკოცნით... თქვენს სახელოვან ბრძოლის გზას გაუმარჯოს!..

როგორც ჩანდა, მაშინ გიორგი თევდორეს ძემ ჯერ კიდევ არ იცოდა, თავისი შვილის ბორის გიორგის ძის გმირულად დაღუპვის ამბავი. ის ჩვენ მხოლოდ „პრავდის“ 1942 წლის 25 სექტემბრის ნომრიდან შევიტყეთ, რომელშიც დაბეჭდილი იყო გ. სტურუას სტატია სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის შესახებ.

1942 წლის 1 აგვისტოდან 414-ე ქართული მსროლელი დივიზია ჩაირიცხა მოქმედ არმიაში. მალე მიღებული იქნა საბრძოლო ბრძანებაც ფრონტის წინა ხაზზე გასვლის შესახებ.

მრისხანე საფრთხე დასტრიალებდა თავს იმ დღეებში კავკასიას, ამიერკავკასიას, მთელ ჩვენს სამშობლოს. ამ საფრთხის შესახებ ყოველ ნომერში მოაგონებდა „სამშობლოს დამცველი“ ქართველ მეომრებს და მოუწოდებდა მათ: „არც ერთი ნაბიჯი უკან, გადავუღობოთ გზა მტერს!“.

ამ საერთო სათაურით გაზეთმა მისცა მთელი გვერდი და მას ეპიგრამად წაუმძღვარა ნაწყვეტი გამოჩენილი ქართველი პოეტის ილო მოსაშვილის ლექსიდან „შვილს“:

შვილო სამშობლო გეძახის,
მტერი დაგვსხმია ვერაგი,
იჩქარე ჩემო ვაჟკაცო,
ჩაიცვი რკინის პერანგი.
იჩქარე, შვილო, გელიან,

სული ჩაიდგი გმირული,
შავი ზღვის — იქით თეთრ ზღვამდე
ბრძოლაა თავგანწირული.

* * *

დივიზიის ნაწილებს უკვე თავდაცვა დაკავებული ჰქონდათ, მდინარე თერგის მარჯვენა სანაპიროზე თითქმის 28—30 კილომეტრის სიგრძეზე. მაშინ მეორე ეშელონი სოფელ აქსაიში იყო განლაგებული. „სამშობლოს დამცველის" რედაქცია — სტამბაც აქ განლაგდა, შენაერთის მეთაურის საკომანდო პუნქტიდან 10—12 კილომეტრზე. იმ დღეებში ჩვენთან, ფრონტზე, ჩამოვიდა მწერალი ვანიონ დარასელი. იგი მაშინ მუშაობდა ამიერკავკასიის ფრონტის პოლიტსამმართველოს უფროს ინსტრუქტორად პრესის დარგში. მას უფროსი პოლიტხელის წოდება ჰქონდა. ვანიონი ხუთ დღეს დარჩა ჩვენთან. ამ მადლმოსილ ადამიანთან შეხვედრამ, მასთან ერთად ორიოდე დღით ფრონტულ პირობებში მუშაობამ ახალი ძალა შეგვმატა. გაზეთის გამოსული ნომრები განიხილა და ბევრი საგულისხმო რჩევა-დარიგება მოგვცა. მაგრამ ჩემთვის, როგორც ახლო მეგობრისათვის, ვანიონი მაინც მწერალი იყო და აღარ მოვეშვი:

— როგორ, — ვუთხარი მას, — კაცს საქართველოდან ცხრა მთა გადმოგივლია და ისე გაგიშვებთ, რომ გაზეთისათვის აღარაფერი დაგვიწერო?

— სასწრაფოდ უნდა დავბრუნდე არმიაში, იქ სხვა გაზეთებიც უნდა შევამოწმო — მითხრა ვანიონმა. —

— არა და არა, — აღარ ვეშვებოდი.

— ბიჭოს! — განცვიფრდა ვანიონი, — მაშ აღარ ხუმრობ, შე ღმერთგამწყრალო შენა, ძალით როგორ შეიძლება რაიმეს დაწერა?!

მაგრამ საბოლოოდ მაინც „გავტეხეთ" მისი წინააღმდეგობა.

მე დივიზიის მეთაურთან ვიყავი გამოძახებული და პირველ ეშელონში გავეშურე. ჩემი მოადგილე ანდრო სულაბერიძე და ლიტმუშაკი ზაქარია თოდრიაც ნაწილებში გავგზავნე. დავტოვეთ ვანიონ დარასელი მარტოდმარტო რედაქციაში. სტამბის უფროსს გრიგოლ ბობოხიძეს კი მივეცი დავალება სტუმრისთვის სადილი მოეტანა.

საღამოს რომ მოვბრუნდი, ვანიონმა დამახვედრა პუბლიცისტური ნარკვევი: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება!" მაშინვე გადავეცი ასოთამწყობებს და მეორე დღეს ჩვენი მებრძოლები უკვე კითხულობდნენ ვანიონ დარასელის ნარკვევს „სამშობლოს დამცველში".

ვანიონ დარასელი მალე დაგვემშვიდობა და გამარჯვება გვისურვა.

— აბა თქვენ იცით, ბიჭებო, — გვითხრა მან. — მალე მოგიხდებათ ჰიტლერელებთან პირისპირ შებმა. ეცადეთ გაზეთი ოპერატიულად აშუქებდეს ბრძოლების მსვლელობას, სახელოვან მეომართა საბრძოლო გამოცდილებას, სამშობლოსათვის მათ თავგანწირვას, არც მე მოგაკლებთ ყურადღებას.

ჩვენ მართლაც გვჭირდებოდა დახმარება. საქმე ის იყო, რომ ჩვენი გაზეთის საბეჭდი მანქანა „ამერიკანკა" ტონანახევარს იწონიდა. ძალზე ძნელი იყო მისი ამუშავება ფეხით, ხელით კი ხუთი-ექვსი მებრძოლი იყო საჭირო გაზეთის ერთი ტირაჟის ჩამოსაბეჭდად. მეორეც, ძნელდებოდა ტონანახევრიანი ავტომანქანით მისი გადატანა. ამიტომ დავაყენეთ საკითხი მის შეცვლაზე და ამ საქმეში დახმარება ვანიონს ვთხოვეთ. ის მართლაც დაგვეხმარა. ნოემბრის პირველ რიცხვებში მივიღეთ ნახმარი „ამერიკანკა" თბილისიდან, რომლის წონა 800 კილოგრამს არ აღემატებოდა. ამის შემდეგ სტამბა-რედაქცია თავის მეურნეობით და პირადი შემადგენლობით შეიძლებოდა გამარ-[illegible] მოთავსებულიყო „ზის-5"-ის მარკის სატვირთო მანქანაზეც.

### კალაბატკა

ამ პატარა დასახლებული პუნქტის სახელი ლეგენდად დარჩა ჩვენი შენაერთის მეომართა ხსოვნაში.

1943 წლის 18 თებერვლიდან 5 მარტამდე ამ პატარა ხუტორისათვის ბრძოლამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია და, როგორც მოსალოდნელი იყო, დამთავრდა მტრის საბოლოო განადგურებით.

მაგრამ ჩვენმა დივიზიამაც მძიმე ზარალი განიცადა.

არმიის სარდლობის საბრძოლო განკარგულება მოითხოვდა დივიზია კვალდაკვალ მიჰყოლოდა უკან დახეულ მტერს, გადაეჭრა ველიკოვთან გზა, ზურგში მოქცეოდა მას და იერიშით აეღო გერმანელ ფაშისტთა მიერ დაკავებული მეთევზეთა ხუტორი კალაბატკა.

მთელი გზა გაუვალი აღმოჩნდა. მუხლამდე ტალახსა და ჭაობში უხდებოდათ სიარული ქართველ მეომრებს. უგზოობის გამო ნაწილებს ჩამორჩნენ საარტილერიო ბატარიები. მხოლოდ ნაღმტყორცნელები ვაჟკაცურად მიიწევდნენ წინ, თან მხრებით გადაჰქონდათ 120 მილიმეტრიანი ნაღმსატყორცნების ცალკე ნაწილები და ნაღმებით სავსე ყუთები.

როცა დივიზიის ქვეგანაყოფები პრორვენსკოეს მხრიდან ათი კილომეტრით უახლოვდებოდნენ კალაბატკას, მტრის ავიაციამ აღმოაჩინა მეწინავე რაზმები და მაშინვე იერიში მიიტანა მათზე. მაგრამ ქართველი მეომრები არ შემდრკალან. სწრაფი მანევრირებით თავი გაარიდეს დაბომბვის ზონას, გადალახეს სამდინარო დაბრკოლებანი, შეუმჩნევლად მიუახლოვდნენ ხუტორს და ჩასაფრდნენ.

ჰიტლერელები სულ არ მოელოდნენ თავიანთ

ზურგში საბჭოთა მეომრების გამოჩენას, მათ უკან აზოვის ზღვა იყო, მარცხნივ და მარჯვნივ კი გაუვალი ლელიანები.

პირველ რიგში საიერიშოდ გამოსასვლელი ზღუდეები დაიკავეს მაიორ ალექსანდრე შავლიაშვილის და მაიორ ნიკოლოზ გვენცაძის პოლკების მეომრებმა. მაგრამ 21 თებერვალს ღამით ჰიტლერელები თვითონ გადმოვიდნენ იერიშზე. მტერს უპირატესობა ჰქონდა იმით, რომ ეხმარებოდა არტილერია, ავიაცია, თვითმავალი ქვემეხები, ტანკები. მოწინააღმდეგის ამ უპირატესობას უპირდაპირდებოდა ქართველი მეომრების გულადობა, ვაჟკაცობა, სამხედრო მოხერხებულობა. კალაბატკა დაიბრუნეს ჩვენებმა, მტერი საბოლოოდ ძლეულ იქნა. ეს გამარჯვება მათ მიუძღვნეს წითელი არმიის დაბადების დღეს —23 თებერვალს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 22 წლისთავს.

ნაღმმტყორცნელები თავდაცვის სიღრმეში იყვნენ და იქიდან აყრიდნენ ნაღმებს გერმანელ ფაშისტთა ჯარების განლაგებას.

— ნაღმები დაზოგეთ! — იძლეოდნენ გაფრთხილებას უფროსი მეთაურები, — ბრძანების გარეშე არც ერთი გასროლა!

1371 პოლკის სანაღმტყორცნო ბატარეის უფროსი ადიუტანტი, ჩვენი დივიზიის ნიჭიერი პოეტი სანდრო ელენტი ერთი ნაღმსატყორცნის მახლობლად ჩამომჯდარიყო ყუთზე, მუხლებზე დაედო საველე ჩანთა, გადაეშალა რვეული და ჩაფიქრებულიყო.

მებრძოლები კი თავიანთვის ბაასობდნენ.

— როგორ გგონია, დღეს მაინც მოგვიტანენ ორცხობილას? — კითხულობდა ერთი.

— წუხელაც ჩამოგვიყარეს თვითმფრინავიდან, მაგრამ რა, გერმანელთა განლაგებაში ჩაცვივდა.

— ჩავტეხოთ ყინული და იმ ჭაობში თევზი მაინც დავიჭიროთ.

— მერე სად გინდა მოხარშო ან შეწვა?

— უმიც გემრიელად შეიჭმება.

— მარილი?

— ალზევანშია ბევრი. პაპაშენ თორნიკეს მიწერე ალმატში და გამოგიგზავნის.

— აი, გავრეკოთ გერმანელები ჩვენი ქვეყნიდან და ყველას გეპატიჟებით ჩემს მშვენიერ სოფელ წინანდალში.

— მანამდე ყინული ვლოკოთ! შიმშილისაგან ისე დავსუსტდი, რომ ნაღმის აწევაც კი მიჭირს.

— ჩვენზე ძეტ გაჭირვებაში სტალინგრადელები იყვნენ, მაგრამ გაუძლეს. ცოტაც და მალე ყველაფერი რიგზე იქნება.

— თუთუნი რომ მაინც იყოს! — დასუსტებული ხმით ამოიოხრა მეორემ.

— ბიჭო, შენს ბავშვობაში ძონძის პაპიროსი არ მოგიწევია, ჰოდა, მაგ „ტელოგრეიკას“ ცოტაოდენი ბამბა წააძრე, გაახვიე ქაღალდში და...

— ქაღალდი სადღაა, ან ცეცხლი რით მოვუკიდოთ?

— ქაღალდს უმცროსი ლეიტენანტი მოგვცემს, ტალ-კვესი და კაჟი კი ჩვენს ზემდეგსა აქვს, სადაც არის, ისიც გამოჩნდება...

ამ საუბრის დროს მათთან მივიდა უფროსი ადიუტანტი ს. ელენტი. რაღაც დანაღვლიანებული სახე ჰქონდა, მაინც გაღიმება სცადა და ბიჭებს გამამხნევებლად უთხრა:

— დღეს წითელი არმიის დღეობაა, 23 თებერვალი. ზურგიდან საჩუქრები გამოუგზავნიათ, მაგრამ აქამდე ვერ მოაღწია. წელამდე ტალახში რით მოიტანენ! ცოტაც მოვითმინოთ, მეგობრებო!

— შიმშილს როგორმე გავუძლებთ, ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო, ოღონდ მეტი ნაღმი და ავტომატების ტყვიები მოგვაწოდონ, — უთხრა ერთმა მებრძოლმა, — ცარიელა კუჭით შეიძლება ბრძოლა, მაგრამ ცარიელა თოფით — რა მოგახსენოთ.

— ყველაფერი იქნება, ამხანაგებო! — თქვა სანდრო ელენტმა, — ჩვენზე ზრუნავენ დივიზიაში, არმიაში, ფრონტზე, საქართველოში. არაფერს მოგვაკლებენ...

უცბად აყეფდნენ მოწინააღმდეგის ქვემეხები. დაიწყო საარტილერიო მომზადება. ეს იმას ნიშნავდა, რომ გერმანელები შეტევაზე გადმოდიოდნენ. ჩვენი მეომრები მოემზადნენ მტრის შემოტევის მოგერიებისათვის.

იმ უბანზე, სადაც თავდაცვა ეკავათ მაიორ ანდრო ქორქოლიანის პოლკის მეომრებს, გერმანელებმა გაათრებული იერიში მიიტანეს ცხენოსანი ესკადრონისა და ორი მძიმე ტანკის მხარდაჭერით. ჯავშანმტვრეველებს სამ-სამი ვაზნაღა ჰქონდათ. მეტყვიამფრქვევეებსაც ტყვიით სავსე ორ-ორი ლენტა. დაიწყო სისხლისმღვრელი შერკინება. მალე ქორქოლიანის პოლკის მეომრები ხელჩართულ ბრძოლაში გადაეშვნენ. ამოქმედდა ხიშტი და კონდახიც. პოლკის პარტორგმა ვიქტორ ჯაფარიძემ სამი ჰიტლერელი მოსპო პისტოლეტით და თვითონაც მტრის ტყვიით განგმირული დაეცა. უცებ ვიღაცამ იყვირა: „პოლკის მეთაური მაიორი ქორქოლიანი სასიკვდილოდ დასჭრესო“. ამაზე მეომრები კიდევ უფრო გაშმაგდნენ. სიცოცხლის დაუზოგავად ეკვეთნენ თავზე ხელაღებულ ფაშისტ მტარვალებს. პოლკის კომორგი ალექსანდრე ფერაძე ქორქოლიანის მისაშველებლად გაქანდა. როცა დაინახა, რომ პოლკის მეთაური ქორქოლიანი და უფროსი ლეიტენანტი არტამქოვლოევი სისხლში ცურავდნენ, თავგანწირვით ეკვეთა თავის ავტომატით ოთხ ჰიტლერელს, რომლებიც მეტყვიამფრქვევე ქიტიაშვილისა და ცხოვრებაძის გათვლას ზურგიდან უვლიდნენ. ორი მათგანი ავტომატის ჯერით იქვე გაართხო მიწას, მესამეს კონდახი დასცხო თავში, მეოთხემ კი მოასწრო ავტომატის

მიბრჯნითი ცეცხლით დაეცხრილა უმცროსი ლეიტენანტი ფერაძე. მტრის ჭარბი ძალებით შევიწროებულთ მაიორი გვენცაძე თავისი მეომრებით წამოეშველა, დააზიანა მტრის ტანკები, შემუსრა ცხენოსანი რაზმები და გადარეკა ისინი მოშორებით. გვენცაძე მაშინვე გაქანდა მაიორ ქორქოლიანის ადგილსამყოფელისაკენ. მაგრამ დაჭრილი პოლკის მეთაური იქ აღარ აღმოჩნდა. მარტო მასთან მყოფ მებრძოლთა და უფროს ლეიტენანტ ქოვლოევის ტყვიით დაცხრილული გვამები დახვდა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მძიმედ დაჭრილი პოლკის მეთაური ქორქოლიანი გერმანელებს ტყვედ წაეყვანათ.

კალაბატკისათვის ბრძოლაში თავის საბრძოლო პოსტზე ვაჟკაცურად დაეცა პოეტი სანდრო ქლენტი — ნაღმმტყორცნელთა ქვეგანაყოფის შტაბის უფროსი, მებრძოლთა გულისხმიერი მეგობარი და გაზეთ „სამშობლოს დამცველის“ აქტიური თანამშრომელი.

ხუთჯერ გადავიდა კალაბატკა ხელიდან ხელში, მაგრამ საბოლოოდ მაინც ქართველმა მეომრებმა გაიმარჯვეს. სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ეს პუნქტი, რომელიც გერმანელთა ყბადაღებული „ცისფერი ხაზის“ დასაყრდენ წერტილს წარმოადგენდა, სამუდამოდ განთავისუფლდა ჰიტლერელებისაგან. მტერი განადგურებულ იქნა.

როცა დივიზია შესვენებაზე გამოვიდა სტანიცა პრიმორსკი-ახტარსკის რაიონში, მე გადმომცეს სანდრო ქლენტის პატარა ბარათი და ლექსი „ფიცი სამშობლოს“.

„პატივცემულო რედაქტორო, — ნათქვამი იყო წერილში, — ცეცხლის ხაზზე დავწერე ეს ლექსი. თუ გამოდგეს, გთხოვთ დაბეჭდოთ „სამშობლოს დამცველში“. მძიმე დღეებში ვართ, მაგრამ ყველაფერს ვუძლებთ. ბიჭები მხნედ გამოიყურებიან. აი, ჰიტლერელებმა დაიწყეს საარტილერიო თავდასხმა. ვჩქარობ... მაპატიეთ, თუ ცოცხალი დავრჩი, მოგაწვდით წერილს ჩვენი ნაღმმტყორცნელების გმირულ მოქმედებაზე. მალე შეხვედრამდე.

უმცროსი ლეიტენანტი ს. ქლენტი. 23. II 43 წ.“

სანდროს ველარ შევხვდით. მისი ლექსი კი დავბეჭდეთ ჩვენს გაზეთში:

ჩემო სამშობლოვ, ჩემს სიჭაბუკეს
შენ შემოგწირავ, გწამდეს მარადის.
მრავალჟამიერ ისმოდეს უკეთ,
ვაჟას მთებიდან გაშლილ ბარამდის.

ამ სტრიქონებით თავდებოდა ის ლექსი, რომელსაც შემდეგ, წითელარმიელთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივის გამოსვლის დროს, ნიჭიერად კითხულობდა რუსთაველის სახელმწიფო თეატრის ყოფილი მსახიობი, სერჟანტი ვალოდია ჩიტიშვილი.

ასობით ქართველი მეომარი დაეცა კალაბატკისათვის გმირულ ბრძოლებში. როცა 1943 წლის აპრილში ჩვენს დივიზიას ესტუმრა ცნობილი ქართველი პოეტი სიმონ ჩიქოვანი, მან მოიარა კალაბატკა და მისი მიდამოები, რომლებიც ქართველი მეომრების სისხლით იყო მორწყული. მასზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა სამასოცდაათი ქართველი მეომრის საძმო საფლავმა კალაბატკასთან და ლექსიც უძღვნა გმირთა ხსოვნას:

ყუბანის ველზე ვივაკე,
განვვლე ხრამი და ჩაპრალი,
ვძებნე და სამარხს მივაგენ,
ვპოვე სამასი საფლავი.
ყუბანის ტრამალს, ნაომარს,
ქართული სითბოც ჰქონია,
ვისმენ მხედრების საუბარს,
მწუხრიც ბაასობს, მგონია.
გამვლელს შეუსვამს არაყი,
პურიც გამტყდარა ყუბანის,
როგორ ჩურჩულებს ბალახი,
ყუბანში ქართლის უბანი...

ეს ლექსი ჩვენმა მეომრებმა აიტაცეს, როგორც გმირთა უკვდავების საგალობელი, სამასოცდაათი ქართველი მეომრის სამარადისო ხსოვნის ჰიმნი.

* * *

იმავე დღეებში ჩვენს დივიზიას სპეციალური დავალებით ესტუმრნენ პოეტი სიმონ ჩიქოვანი და პოლკოვნიკი ომარ მუსერიძე, ეს ძალზე სასიხარულო მოვლენა იყო, განსაკუთრებით ჩვენთვის, რადგან მათი ჩამოსვლა ჩვენს ერთ წამოწყებასთან იყო დაკავშირებული. ამის შესახებ ღირს ორიოდე სიტყვის თქმა.

ჯერ კიდევ მოზდოკისათვის ბრძოლის დღეებში, 1942 წლის დეკემბრის ბოლო რიცხვებში „სამშობლოს დამცველის“ რედაქციაში დაიბადა იდეა — ჩვენი დივიზიის ქართველი მეომრების სახელით გაგვეგზავნა წერილი საქართველოს მშრომელებისათვის და მათ წინაშე მეომრული ფიცი დაგვედო. იდეა მოიწონა დივიზიის სარდლობამ, პოლიტგანყოფილებამ და ტექსტის შედგენაც ჩვენ დაგვევალა. საქართველოს მშრომელებისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტი მოიწონეს პოლიტგანყოფილებაში, ის განხილულ იქნა რამდენიმე ქვეგანაყოფის მებრძოლთა მიტინგებზე. წერილის საბოლოო რედაქტირების შემდეგ, გადავათეთრეთ და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის ამხ. ვალერიან ხატიაშვილის სახელზე გავგზავნეთ. გავიდა დრო, დიდი ხანი, წერილი არ გამოქვეყნდა. გვიკვირდა, რომ „კომუნისტის“ ფურცლებზე ვერ ვიხილეთ 414-ე მსროლელი დივიზიის მეომართა ფიცი ქართველი ხალხის წინაშე.

როგორც შემდეგ ჩვენთვის ცნობილი გახდა, ვ. ჩატიაშვილს ამ წერილის თაობაზე საუბარი ჰქონია საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში. იქ გამოუთქვამთ აზრი: რატომ მარტო ერთი დივიზიის მეომრების სახელით იყოს ასეთი მნიშვნელოვანი პატრიოტული წერილი, ბარემ გაკეთდეს ისეთი ტექსტი, რომელშიც გამოხატული იქნება კავკასიისა და სტალინგრადის ფრონტებზე მებრძოლი ქართველი მეომრების აზრი და გრძნობებიო. ასეც მოხდა. საქართველოს მწერალთა კავშირში დამუშავდა ასეთი წერილის ტექსტი და სწორედ ამით ჩამოვიდნენ ჩვენთან პოეტი სიმონ ჩიქოვანი და პოლკოვნიკი ომარ მუსერიძე. ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში გაიმართა სახელდახელო მიტინგები, რომლებზეც საქართველოს მშრომელებისათვის გასაგზავნი წერილის ტექსტს აცნობდნენ ქართველ მეომრებს და იქვე ტარდებოდა მასზე ხელმოწერა. ჩვენი დივიზიის მეომრები განსაკუთრებული პატრიოტული აღფრთოვანებით შეუერთდნენ წერილს, ამასთან, მათ იკისრეს უფრო დაუნდობლად ურტყან გამხეცებულ ჰიტლერელებს და მოაახლოვონ მტერზე სანუკვარი გამარჯვების დღე. „სამშობლოს დამცველი“ ფართოდ აშუქებდა მიტინგების მსვლელობას, ბეჭდავდა ჯარისკაცთა და მეთაურთა გამოხმაურებას, მათს აღფრთოვანებულ წერილებს. რამდენიმე ხნის შემდეგ აღნიშნული წერილი გამოქვეყნდა არა მარტო საქართველოს გაზეთებში, არამედ ცენტრალური პრესის ფურცლებზეც. გაზეთებმა „პრავდამ“ და „იზვესტიამ“ ქართველ მეომართა წერილს საქართველოს მშრომელებისადმი მოწინავე წერილებიც მიუძღვნეს, რომელშიც უდიდესი შეფასება მისცეს აღნიშნულ წერილს, რომელიც აღიარებულ იქნა „ქართველ მეომართა ფიცის“ სახელით.

### კვლავ ფრონტის მოწინავე ხაზისაკენ

შესვენების პერიოდი დამთავრდა. დივიზიამ მიიღო შევსება, დაკომპლექტდა ოფიცერთა კადრებით, შეივსო საბრძოლო საჭურველისა და სურსათის მარაგი. დივიზია ყოველმხრივ მზად იყო ფრონტის წინა ხაზზე გასვლისათვის, რათა კვლავ შებმოდა ვერაგ მტერს.

საბრძოლო ბრძანების მიღებამდე რამდენიმე დღით ადრე, დივიზიას ესტუმრა ქართველ მწერალთა ჯგუფი ილო მოსაშვილის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის, სიმონ ჩიქოვანის და დემნა შენგელაიას შემადგენლობით. ამ საპატიო სტუმრებს შენაერთის პირადი შემადგენლობა გულთბილად შეხვდა. მებრძოლთა შორის უსაზღვრო აღფრთოვანებას იწვევდა მწერალთა გამოსვლები მათ წინაშე.

რა გულთბილი იყო ეს შეხვედრები!

ქართველი მეომრები მღელვარებით უსმენდნენ მშობლიური საქართველოდან ჩამოსულთა მიერ წაკითხულ ლექსსა თუ ნოველას, მოთხრობიდან ნაწყვეტს თუ ჩვეულებრივ მისალმებას. ბევრს სიხარულის ცრემლი [illegible] თვალზე.

ბიბლიოთეკა

მალე ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის სარდლობის ბრძანებაც იქნა მიღებული: დივიზიის მთელი პირადი შემადგენლობა თავისი საბრძოლო ალკაზმულობით და ტექნიკით გაემართოს ქალაქ ეისკის მიმართულებით სტანიცა იასენსკაიაზე გავლით.

დივიზიის მეთაურმა პოლკოვნიკმა გიორგი ყურაშვილმა უფროს ოფიცერთა ოპერატიულ თათბირზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა. მან ერთხელ კიდევ მოაგონა ქვეგანაყოფების მეთაურებს, რომ ბრძოლებს შუა შესვენების პერიოდი დამთავრდა, ახლა ჩვენ სერიოზული საბრძოლო გამოცდის წინაშე ვდგავართ. მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ ეს გამოცდა ბრწყინვალედ ჩავაბაროთ, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ მომავალ ბრძოლებში კვლავ ვასახელოთ დედა-სამშობლო, მთელი ქართველი ხალხი.

შებინდებისას სალაშქრო რაზმეულებად დაწყობილი შენაერთის ნაწილები და განაყოფები დათქმული მიმართულებით გაემართნენ.

სტუმრად მყოფი ქართველი მწერლები საქართველოში ბრუნდებოდნენ. გამოსამშვიდობებლად რომ მივიდნენ დივიზიის მეთაურთან და მის თანამებრძოლებთან, მაშინ გახდა ყურაშვილისათვის ცნობილი, რომ მწერალი კონსტანტინე ლორთქიფანიძე სერიოზულად არის ავად, და რომ მისი დაძვრა ადგილიდან ჯერჯერობით არ შეიძლებოდა.

— რადგან ასეა, — თქვა პოლკოვნიკმა, — ჩვენი ექიმების მეთვალყურეობით დავტოვებთ აქ, სანამ გამოჯანსაღდებოდეს. პატივცემულ სტუმრებს შეუძლიათ დარწმუნებული იყვნენ, რომ სანამ ისინი საქართველოში ჩავიდოდნენ, კონსტანტინე უკვე ფეხზე იქნება...

— ამაში სრულებითაც არ გვეპარება ეჭვი, ამხანაგო პოლკოვნიკო, — უპასუხა ილო მოსაშვილმა, — მაგრამ მისი გამოჯანმრთელების შემდეგ როგორ იქნება საქმე? აი რა გვაწუხებს. როგორც მოგეხსენებათ, ნაავადმყოფარ კაცს მარტოს გაუჭირდება უკან დაბრუნება.

— რა აქვს უკან დასაბრუნებელი? — ჩაიცინა პოლკოვნიკმა, — ჩვენ წინ მივდიოდეთ და გამოჩენილი ქართველი მწერალი უკან ბრუნდებოდეს?! არა მგონია კონსტანტინე ამაში დაგვეთანხმოთ, ამხანაგო ილო...

პოლკოვნიკმა თავისთან მოიხმო სანიტარული სამსახურის უფროსი აკაკი დანელია და მე, სტუმრების თანდასწრებით მან დაგვავალა კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან ადგილზე დავრჩენილიყავით მანამდე, სანამ იგი შეძლებდა მათთან ერთად მგზავრობას შენაერთის მოძრაობის მიმართულებით.

ასეც მოხდა.

სამი-ოთხი დღის შემდეგ კონსტანტინეს ტემ-

პერატურამ დაუწია. როდესაც დივიზიის საშტაბო ქვეგანაყოფ[ი]ცა ქალაქ ეისკში შევიდნენ, გამოჯანსაღებული კონსტანტინე ჩემთან ერთად პოლკოვნიკს ეახლა.

— მომილოცნია გამოკეთება. — ამ სიტყვებით შეეგება ყურაშვილი კოწიას — როგორ მოხდა, რომ ავადმყოფობამ დაგძლია?

— ალბათ გავცივდი, ამხანაგო პოლკოვნიკო.

— ახლა როგორ გრძნობ თავს?

— ჩინებულად.

— ძალიან კარგი.

პოლკოვნიკი ოდნავ ჩაფიქრდა. მაგიდაზე გადაშლილ რუკას თვალი გადაავლო. ხელში ფანქარი შეათამაშა, შემდეგ კოწიას შეხედა და გულთბილად უთხრა:

— თავს მაინც უნდა გაუფრთხილდე, ჩემო კონსტანტინე. სანამ ჩვენთან ხარ. ჩვენ ვართ პასუხისმგებელი შენი სიცოცხლისათვის. ვეცდებით აქედანვე გაგისტუმროთ საქართველოში. ილო, სიმონი და დემნა ალბათ უკვე თბილისში არიან.

ლორთქიფანიძე მოკრძალებით იდგა დივიზიის მეთაურის წინაშე. იგი გრძნობდა, თუ როგორ მშობლიურ მზრუნველობას იჩენდა პოლკოვნიკი მისდამი. თანაც ფიქრობდა: როგორ, მტერთან შესაბმელად. ცეცხლის ხაზისაკენ მიდიხართ, მე კი შინ, ზურგში გინდათ გამგზავნოთ? არა, მე თქვენთან უნდა ვიყო, ჩვენი ქვეყნისათვის ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლების დღეებში.

ასე ფიქრობდა იგი. დიდ სულიერ მღელვარებას განიცდიდა. სიტყვები ვერ მოენახა, როგორ გამოეთქვა ეს გრძნობები პოლკოვნიკის წინაშე.

— მაშ ასე, — მიმართა ყურაშვილმა კოწიას, — დღესვე დავავალებ ჩემს მოადგილეს მაიორ ანისონიანს, საქართველოში გაგამგზავროს.

ლორთქიფანიძე შეიშმუშნა პოლკოვნიკის სიტყვებზე, ჩუმად გადმოხედა, თითქოს მთხოვდა, შენ მაინც თქვი რამე მე ურჯულოვ, ხომ ხედავ, მე მიძნელდება დივიზიის მეთაურისათვის თქმა, რომ საქართველოში დაბრუნება არ მინდაო.

— ნება მომეცით, მოგახსენოთ, ამხანაგო პოლკოვნიკო! დავარღვიე მყუდროება.

— დიახ, ბრძანეთ.

— თუ შესაძლებელია, გთხოვთ, მწერალი ლორთქიფანიძე დატოვოთ დივიზიაში და მოავლინოთ ჩვენი გაზეთის რედაქციაში სამუშაოდ.

პოლკოვნიკმა გაიცინა და თქვა:

— მაგის უფლება რომ არა მაქვს, თორემ დიდი სიამოვნებით. კოწია ხომ ჩვენი შენაერთის პირად შემადგენლობაში არ ირიცხება?

— თუ მისი სურვილი იქნება?

— ეგ სხვა საქმეა. მაგრამ თვითონ რომ არაფერს ამბობს?

კონსტანტინემ ახლა კი გაბედა და პოლკოვნიკს უთხრა:

— ბატონო გიორგი მე [illegible] გადაწყვიტე რომ თქვენთან დავრჩე, გთხოვთ დამტოვოთ თქვენს წითელარმიულ გაზეთში სამუშაოდ.

პოლკოვნიკს გაეხარდა. მაშინვე გამოიძახა შტაბის უფროსის თანაშემწე კაპიტანი ლატიშევი და უბრძანა, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე ჩაერიცხათ საკავშირო ასეულის რიგით წითელარმიელად და მიევლინებინათ დივიზიის გაზეთის რედაქციის განკარგულებაში.

**შეხვედრა არმიის სარდალთან**

გაზეთ „სამშობლოს დამცველის“ მორიგი ნომრის ბეჭდვა უკვე თავდებოდა, მაგრამ სამხედრო ფოსტალიონები არსად ჩანდნენ ნაწილებში გაზეთის წასაღებად. რედაქციის მახლობლად, გელენჯიკ-ნოვოროსიისკის გზატკეცილის მეორე მხარეს განლაგებული იყო დივიზიის საველე ფოსტა 69751. რადგან მასთან სატელეფონო კავშირი არ იყო, ხოლო რედაქციაშიც ჩემს მეტი არავინ იყო. თვითონ წავედი ფოსტაში, რათა გამეფრთხილებინა ფოსტის უფროსი, ლეიტენანტი ნიკოლოზ წიგნაძე, რომ გაზეთები თავის დროზე წაეღო. თავქვე დავეშვი, ჩავირბინე პატარა ღელე, გავედი ტაფობზე და გზად მიმავალ ერთ ნაცნობ წითელარმიელს გავუბი საუბარი. ამ დროს მოსახვევში გამოჩნდა ნოვოროსიისკენ მიმავალი ღია „ვილისი“.- მოახლოვებისთანავე მანქანა გაჩერდა. შოფრის გვერდით იჯდა ნაბადში გახვეული პატარა სახის გამხდარი ადამიანი. მის უკან ორი ოფიცერი იყო. ერთი მათგანი საფრონტო გაზეთ „ვპერიოდ ზა როდინუს“ რედაქტორის მოადგილე, ჩემი კარგი ნაცნობი მაიორი ვარლამ ესაიაშვილი. ნაბადწამოსხმულმა მიმიხმო და რუსულად მომმართა:

— რომელი ნაწილიდან ხართ?

მე რადგან ნაბდიანი ვერ ვიცანი, ჯერ ესაიაშვილს ჩამოვართვი ხელი, მერე კითხვაზე ვუპასუხე:

— ქართული დივიზიიდან.

— სად შეიძლება თქვენი დივიზიის მეთაურის ნახვა?

— ბოდიში, მაგრამ თქვენ ვინ ბრძანდებით? — თუმცა გაუბედავად, მაგრამ მაინც შევეკითხე ნაბდიანს. ესაიაშვილს გაეცინა და ჩურჩულით მითხრა: არმიის სარდალია, ვერა ცნობ!

მაშინვე შევცბი, წამოვჭარხალდი და პატიება ვთხოვე გენერალს (ნაბადში გახვეულს არცერთი გამოსაცნობი ნიშანი არ უჩანდა, ხოლო თავზე ფაფახი ეხურა, რომლისთვისაც მე ყურადღება არ მიმიქცევია), შემდეგ სამხედრო წესით გამოვეჭიმე და მოვახსენე:

— ამხანაგო გენერალ-ლეიტენანტო 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური პო-

ლკოვნიკი ყურაშვილი ამჟამად იმყოფება თავის საკომანდო პუნქტზე, რომელიც განლაგებულია ცემენტის ქარხნის მიდამოებში, სახელდობრ პირველი ხიდის მოპირდაპირე ღელეში. მოგახსენებთ დივიზიის წითელარმიულ გაზეთ „სამშობლოს დამცველის“ რედაქტორი მაიორი კოკილაშვილი.

გენერალმა გაიცინა. შემდეგ ნაბადი შეიხსნა და ხელი გადმოყო:

— გამარჯობათ, ამხანაგო მაიორო! გთხოვთ დაბრძანდეთ მანქანაში და თქვენი დივიზიის მეთაურთან მიგვიყვანოთ.

ლესელიძე და ყურაშვილი ერთმანეთს გულთბილად შეხვდნენ. ლესელიძემ იქვე მყოფ კონსტანტინე ლორთქიფანიძესაც მაგრად ჩამოართვა ხელი, გადაეხვია და შინაურულად მოიკითხა. შემდეგ მიუბრუნდა ყურაშვილს:

— გიორგი გაბრიელოვიჩ, ძალზე ცოტა დრო მაქვს. მინდა ქართველ ბიჭებს გამოვესაუბრო. გთხოვთ გაგვიძღვეთ!

— ახლავე, ამხანაგო არმიის სარდალო, მხოლოდ გავაფრთხილებ ნაწილების მეთაურებს..

— არა უშავს რა, გაუფრთხილებლადაც შეიძლება მათთან მისვლა.

პოლკოვნიკმა მაინც თავისი ადიუტანტი აფრინა ნაწილებში. გენერალი და მისი თანმხლებნი პირები ფეხით გაჰყვნენ გზას. გენერალს ყველაფერი აინტერესებდა გაეგო ჩვენი დივიზიის მდგომარეობის, მისი პირადი შემადგენლობის საბრძოლო მზადყოფნის შესახებ. ყურაშვილმა მადლობა გადაუხადა გენერალს, რომ დათანხმდა მე-18 არმიის შემადგენლობაში ქართული დივიზიის შეყვანაზე.

— ხელი რას უნდა შეეშალა, რომ უარი მეთქვა? — იკითხა ლესელიძემ და განაგრძო, — დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი მეომრები სირცხვილს არ მაჭმევენ. ჩვენს არმიაში ცოტანი როდი არიან ქართველი ჯარისკაცები და ოფიცრები. მათ დიდი რუსი ხალხის, უკრაინელი, ბელორუსი და სხვა ხალხების შვილებთან ერთად მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში სასწაულმოქმედი გმირობისა და ვაჟკაცობის მაგალითები გვიჩვენეს.

ამ საუბრით შევიდნენ ისინი შენაერთის ნაწილების განლაგებაში. გენერალმა, რომელსაც ძლიერი „ვაშას“ ძახილით შეხვდნენ, ჩამოიარა ქვეგანაყოფები. გამოესაუბრა მებრძოლებსა და სერჟანტებს. ზოგიერთი მისი ახლო ნაცნობი გამოდგა. ბევრს ეკითხებოდა.

— სახლიდან თუ ღებულობთ წერილებს, რას იწერებიან, როგორ ვართო?

მებრძოლები ისე თავისუფლად გრძნობდნენ თავს გენერლის წინაშე, როგორც მამასთან.

შენაერთის ნაწილებმა ერთ დიდ ტაფობში მოიყარეს თავი. გენერალი შედგა ბექობზე და მრავალათასიან მეომართა ლაშქარს მიმართა:

— ქართველი ხალხის შვილებო! ჩვენი სოციალისტური სამშობლო, მზიური საქართველო თქვენგან მოელის გმირობას და ვაჟკაცობას, ყოველდღე თბილისიდან მირეკავენ და მეკითხებიან, — როგორ გრძნობენ თავს ქართული დივიზიის მეომრები, დარწმუნებული ხართ თუ არა დივიზიის ბრძოლის უნარიანობაშიო. მე ყოველთვის ვპასუხობ, რომ დარწმუნებული ვარ შენაერთის მთელი პირადი შემადგენლობის ბრძოლის უნარიანობაში მეთქი. მოდით, ამხანაგებო, ნუ შევარცხვენთ ჩვენი ერის ღირსებას. დაე, თვითეულ თქვენგანს მტერთან ხელჩართული ბრძოლის დროსაც ახსოვდეს, რომ ის ქართველია, ხოლო ქართველი, როგორც ისტორიიდან გვისწავლია, უწინარეს ყოვლისა, მეომარია.

თქვენ მიიღებთ მონაწილეობას ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, — განაგრძობდა ლესელიძე, — ბევრ თქვენგანს მოუხდება საკუთარი სისხლის დაღვრაც. დარწმუნებული ვარ, რომ რა გინდ განსაცდელის წინაშეც არ უნდა აღმოჩნდეთ, არ შედრკება თქვენი გული, ჩვენი ძმები და დები, რომლებიც გერმანელთა ტყვეობაში იმყოფებიან, მოითხოვენ შველას, განთავისუფლებას ფაშისტური ურჩხულისაგან. იყავით ამ დიადი მისიის ღირსნი! თქვენი გმირობითა და ვაჟკაცობით მოიპოვეთ სამშობლოს, საბჭოთა ხალხის მადლობა, ჩვენი უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის მადლობა.

„ურას“ და „ვაშას“ ძახილმა დაფარა გენერლის უკანასკნელი სიტყვები.

მებრძოლთა და მეთაურთა სახელით სიტყვა წარმოსთქვა კაპიტანმა **ვალერიან ჯაყელმა:**

— გწამდეთ, ჩვენო სარდალო, ამხანაგო გენერალო, რომ ჩვენი მებრძოლები, სერჟანტები და ოფიცრები ისევე თავდადებულად იბრძოლებენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა გასანადგურებლად, როგორც თავის დროზე იბრძოდნენ მტრის შემოსეული ურდოების წინააღმდეგ ჩვენი სახელოვანი წინაპრები ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, გიორგი სააკაძე, პატარა კახი, ცხრა ძმა ხერხეულიძეები და მრავალი სხვა უკვდავი გმირი...

ეს სიტყვები გაისმა, როგორც დიადი ფიცი საყვარელი სამშობლოს წინაშე, მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე.

გულთბილად გამოემშვიდობა გენერალი ქართველ მეომრებს. იგი გაბრუნდა იმედითა და რწმენით, რომ ქართული დივიზია თავის საპატიო ადგილს დაიკავებდა ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის მომავალი ბრძოლების ისტორიაში.

დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა პოდპოლკოვნიკმა ვარლამ ჯანჯღავამ მთელი რიგი საკითხები დააყენა არმიის სარდლის წინაშე. კონსტანტინე ლესელიძემ დახმარება აღუთქვა, თან დაატანა:

— ამ დღეებში თქვენთან ჩამოსვლას აპირებს არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი პოლკოვნიკი ლეონიდ ბრეჟნევი. ყურაშვილთან ერთად მოიფიქრეთ ყველა საკითხზე, შეუთანხმდით ამხ. ბრეჟნევს და ის რომ არმიაში დაბრუნდება, თუ საჭირო იქნება სამხედრო საბჭოში გადავწყვეტთ თქვენს მიერ დაყენებულ საკითხებს.

გენერალი ლესელიძე გაბრუნდა უკან. ჩვენთან დარჩა ვარლამ ესაიაშვილი, რომელმაც ღამე ჩვენი რედაქციის კარავში გაათია. მისგან შევიტყვე, რომ ფრონტის გაზეთ „ვპერიოდ ზა როდინუს" რედაქციაში უმუშავნია ჩემს ძველ მეგობარს მწერალ ნიკა აგიაშვილს.

— ნიკამ დამაბარა „არკოს" ჩემი საბრძოლო სალამი გადაეციო. — მითხრა ვარლამმა.

პირადად კი აგიაშვილს ტამანში საომარი ოპერაციების დამთავრების შემდეგ შევხვდი.

* * *

დივიზია ჩაება ბრძოლაში. ჩვენი გაზეთი მოუწოდებდა:

„ქართველო მეომარო! გაბედულად, მამაცურად წინ, — გერმანელ ფაშისტ დამპყრობელთა გასანადგურებლად!"

„თვითეულმა ჩვენმა დარტყმამ უნდა მიაღწიოს მიზანს, დაჟინებით და გაბედულად წაწევა წინ, — აი რას მოგვიტანს შეტევის წარმატება".

ანაპის მისადგომებთან, იერიშის წინ გაზეთში დაბეჭდილი მოწინავე წერილი — „გახსოვდეს" კონსტანტინე ლორთქიფანიძის კალამს ეკუთვნოდა. იგი დაწერილი იყო დიდი გრძნობით და მტერზე შურისძიებისათვის მოუწოდებდა ქართველ ჯარისკაცებს.

„სამშობლოს დამცველი", სხვა ოპერატიულ მასალებთან ერთად, თავის ფურცლებზე სისტემატურად ბეჭდავდა ბრძოლაში განსაკუთრებით სახელმოხვეჭილ მეომრებზე ნარკვევებს, ჩანახატებს და პოეტურ ნაწარმოებებს. ამ მხრივ განუზომელი იყო კონსტანტინე ლორთქიფანიძის სამხედრო-ლიტერატურული შემოქმედებითი შრომა. ნომრიდან-ნომერში სისტემატურად იბეჭდებოდა კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნარკვევების ციკლი საერთო სათაურით: „ტამანისაკენ" ჩვენი გაზეთის მკითხველებმა მაღალი შეფასება მისცეს მისსავე დოკუმენტურ მოთხრობას „უტაშის კალთებზე".

კ. ლორთქიფანიძე განსაკუთრებული სიყვარულით და პატივისცემით სარგებლობდა რედაქცია-სტამბის პირად შემადგენლობაში, მთელი ჩვენი შენაერთის მეომრებში.

დივიზიის მეთაური პოლკოვნიკი გიორგი ყურაშვილი, რა რიგადაც არ უნდა ყოფილიყო დატვირთული, მაინც გამონახავდა დროს და დამირეკავდა: „როგორ გრძნობს თავს ჩვენი კოწია? აბა შენ იცი, როგორც გაუფრთხილდები. რედაქციის განლაგების ეზოში აუცილებლად გააჭრევინეთ სანგარი, მოაწყვეთ ძელმიწური, რომ მტრის ავიაციის თავდასხმისას თავი შეაფაროთ, ხოლო კოწიას ღამითაც იქ ამყოფეთ".

დივიზიის მეთაურის თხოვნა ჩვენთვის ბრძანების თანაბარი იყო და უმალ ვასრულებდით. ასე, რომ კ. ლორთქიფანიძეს ჩვენთან არაფერი გასჭირვებია. ოღონდ ერთი ზნე ჰქონდა, ეს იყო კოწიას „არაოპერატიულობა". „სამშობლოს დამცველის" მორიგი ნომრისათვის ადგილს რომ მოგვახაზინებდა, მასალის დაწერას გააჭიანურებდა. ამაზე „უსიამოვნებაც" მოგვსვლია. მაგრამ ისევ მალე შევრიგებულვართ, როცა ის მასალას გადმომცემდა.

მართლაც მძიმე პირობებში გვიხდებოდა მუშაობა. ტამანის ნახევარკუნძულზე გაჩაღებული ბრძოლების დროს მოწინააღმდეგე შორსმსროლელი ქვემეხებიდან აწყობდა საარტილერიო თავდასხმებს ჩვენი შენაერთის მეორე ეშელონში განლაგებულ განაყოფებზე, ასევე ინტენსიურად ბომბავდა დივიზიის ზურგის ნაწილებს მტრის ავიაცია. „სამშობლოს დამცველის" რედაქცია-სტამბაც ხომ მეორე ეშელონში იყო განლაგებული. მეორე ეშელონი პირველი ეშელონიდან მხოლოდ 3-4 კილომეტრით იყო დაცილებული. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა მაინც არ ჰქონდა, პირველ ეშელონში ვიქნებოდით თუ მეორეში. მოწინააღმდეგეს იოლად მიუწვდებოდა ხელი როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში, დაბომბვისა და საარტილერიო თავდასხმისათვის.

ჩვენ მეტწილად ღამით უფრო გვიხდებოდა გაზეთის მორიგი ნომრისათვის მასალების მომზადება. ჯერ ერთი, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობას და სხვა მასალებს დივიზიის გაზეთებისათვის საკავშირო რადიო გადმოსცემდა ღამის 11 საათიდან და აუცილებლად უნდა მიმეღო, მაშინვე მეთარგმნა და დილითვე გადამეცა ასოთამწყობებისათვის, მეორეც, რედაქციის მუშაკები დღისით მიდიოდნენ ქვეგანაყოფებში და აღებული მასალებით საღამოს ბრუნდებოდნენ უკან. ამ მასალების დამუშავებაც ღამით უნდა მოგვესწრო. ასე, რომ ძალიან ცოტა დრო რჩებოდა მოსვენებისა და ძილისათვის. ჩვენთან მყოფ კონსტანტინე ლორთქიფანიძესაც ჯარისკაცური ცხოვრების ასეთ პირობებში უხდებოდა ბრძოლა და შრომა. მისი მაღლიანი კალამიც ხომ ამ შემთხვევაში ხიშტის თანასწორი იყო. ამიტომ იგი ნამდვილად ბრძოლაში იყო თავისი ნაწარმოების გმირებთან ერთად, მათთან ერთად მიდიოდა შეტევასა და იერიშზე მტრის წინააღმდეგ და თავისი გმირების პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა ქართველ მეომრებს.

იყო შემთხვევა, როცა კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოების გარეშე გამოვიდა „სამშობლოს დამცველის" რამდენიმე ნომერი. გაზეთის ახა-

ლი ნომერი მივიდოდა თუ არა ქვეგანაყოფში, პოლიტმუშაკები მაშინვე კითხულობდნენ: „რატომ არაფერია ნომერში კ. ლორთქიფანიძის ხელმოწერით? ხომ კარგად არის? გადაეცით ჩვენი სალამი და სთხოვეთ განაგრძოს თავისი მოთხრობების ბეჭდვა ჩვენს მეომრებზე“.

მაგრამ კოწიას როდი უყვარდა „შეკვეთების“ მიღება. თუ ხასიათზე არ იყო, ხელში კალამსაც არ აიღებდა. მიუხედავად ამისა, კონსტანტინემ ბევრი ამაგი დასდო ჩვენს გაზეთს. კოწია თავის ნარკვევებს, „სამშობლოს დამცველში“ გამოქვეყნების შემდეგ, საფუძვლიანად შეცვლილსა და გადამუშავებულს უგზავნიდა გაზეთ „კომუნისტს“, რომელიც პერიოდულად ბეჭდავდა თავის ფურცლებზე.

ტამანისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ გრძელდებოდა, როცა დივიზიის მეთაურს პოლკოვნიკ ყურაშვილს ვთხოვე ჩვენი რედაქციის წარდგინებით წითელი ვარსკვლავის ორდენით დაეჯილდოებინა მწერალი წითელარმიელი კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძე. ყურაშვილმა მიიღო ჩვენი წანადადება და მოითხოვა სათანადო დოკუმენტების გაფორმება და წარდგენა. ამ საქმეში დიდად დაგვეხმარა დივიზიის შტაბის უფროსის თანაშემწე კადრების დარგში კაპიტანი მიხეილ ლატიშევი. მომზადდა „დაჯილდოების ფურცელი“, რომელსაც წარდგენისთანავე მოაწერა ხელი პოლკოვნიკმა ყურაშვილმა. კონსტანტინემ ყოველივე ამის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყო, როდესაც ჩემთან ერთად თავისთან გამოიძახა გიორგი ყურაშვილმა და მკერდზე მიაბნია წითელი ვარსკვლავის ორდენი. ამ მოულოდნელი ჯილდოთი აღფრთოვანებული კოწია ისე დაიბნა, რომ მადლობის თქმაც ძლივს მოახერხა. ქართველი მწერლის ფრონტული ცხოვრების ეს საყურადღებო მოვლენა თვითონ პოლკოვნიკმა აღნიშნა პატარა ნადიმით. ამას ზედ დაერთო ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარების მიერ სამხარი ოპერაციების ძლევამოსილად დამთავრება ტამანის ნახევარკუნძულზე. გერმანელ ფაშისტთა ჯარების ნარჩენები გადაყრილ იქნენ შავ ზღვაში.

### ქართველი მწერლების დიდი წვლილი

ჯერ ისევ ქერჩის ნახევარკუნძულის პლაცდარმზე ვიმყოფებოდით, როცა აპრილის პირველ რიცხვებში ჩვენთან ჩამოვიდა მწერალი ელიზბარ ზედგინიძე, როგორც ამიერკავკასიის საფრონტო გაზეთ „ლენინსკოე ზნამიას“ სპეციალური კორესპონდენტი. უფროსი ლეიტენანტი ელიზბარ ზედგინიძე უშიშრად დადიოდა ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში, ცეცხლის ხაზზე ნახულობდა მებრძოლებს, გულითადად საუბრობდა მათთან, შემდეგ კი ქაღალდზე გადაჰქონდა მათი გმირობისა და ვაჟკაცობის ამბავი. ასე გაჩნდა „სამშობლოს დამცველში“ ელიზბარ ზედგინიძის ჩანახატებისა და ნარკვევების მთელი სერია. იგი დარჩა ჩვენთან სევასტოპოლის განმათავისუფლებელი ოპერაციების დამთავრებამდე. ელიზბარი აქტიურად გვეხმარებოდა გაზეთის გაკეთებაში. მან 30 აპრილის ნომრისათვის დაგვიწერა მოწინავე წერილი „საპირველმაისო დროშებით“. მაშინ ჩვენ სევასტოპოლის მისადგომებთან ვიდექით. მოწინავე წერილში ნათქვამი იყო:

„ხვალ პირველი მაისია!..

ხვალ გარიჟრაჟიდან ჩვენი ქვეყნის კიდით კიდემდე თავისუფლების მეწამული დროშების ზღვა გადაიშლება და აშრიალდება. პირველი მაისის მზიან დილას ჩვენი მზიური დროშები გაეთამაშებიან. სევასტოპოლის თავზე კი სუდარასავით შავბნელი და სიკვდილივით პირქუში სვასტიკიანი დროშა უნდა ფრიალებდეს?!

არა, ქართველო ვაჟკაცებო! თქვენ არ მისცემთ ამის შესაძლებლობას პირსისხლიან მხეცებს და თქვენს გვერდში მხარდამხარ მებრძოლ ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხთა შვილებთან ერთად, თავისუფლების წითელ დროშებს შეიტანთ ჩვენს საყვარელ გმირ ქალაქში და გამარჯვების კოცონივით აღმართავთ მის ნაწამებ ბუმბერაზ ბჭეებზე“.

ჩვენი თხოვნით ელიზბარმა დაგვიწერა ნარკვევი და 1 მაისის ნომერში დაიბეჭდა სათაურით: „მშობლიური სურათები“. ამ ნარკვევში მწერალი აგვიწერდა ომის დროის თბილისს. საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა საქმიანობისა და ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს. 4 მაისის ნომერში კი დავბეჭდეთ სპეციალურად „სამშობლოს დამცველისათვის“ წინა ხაზზე დაწერილი მოთხრობა „მგლური სიკვდილი“.

7 მაისს გარიჟრაჟზე დაიწყო სევასტოპოლის იერიში. ქართველი მეომრები თავიანთ უბანზე გადაეშვნენ საპუნ-გორის დასალაშქრავად. მაიორ ალექსანდრე ხარატიშვილის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხების დივიზიონის საბრძოლო წყობაში იმყოფებოდა მწერალი ელიზბარ ზედგინიძეც. რედაქციაში გვაცნობეს: „მწერალი ზედგინიძე დაიღუპაო“. სასწრაფოდ ვაფრინე ადგილზე რედაქციის მდივანი კაპიტანი არჩილ თვალიაშვილი. საღამოს დაბრუნდა იგი წინა ხაზიდან და თან მოიყვანა მტვერსა და ტალახში ამოგანგლული ელიზბარიც. მომხდარიყო სასწაული. მასთან ერთად მყოფი წითელარმიელთა ჯგუფიდან ორი დაღუპულიყო, სამი დაჭრილიყო, ელიზბარი კი ისე გადარჩენილიყო, რომ უბრალოდ გაკაწრულიც არსად არ ჰქონდა. ისე კი შიში ბევრი ეჭამა. დიდხანს არ სჯეროდა, რომ გადარჩა.

ამიტომ იყო, რომ რედაქციის თხოვნით, სევასტოპოლის განთავისუფლების შემდეგ, ელიზბარ ზედგინიძე დივიზიის სარდლობამ წარადგინა მთავრობის ჯილდოზე. წითელი ვარსკვლავის ორდენით ელიზბარის დაჯილდოების ფურცელზე ხელი მოაწერა მე-11 კორპუსის

სარდალმა გენერალ-მაიორმა როჟდესტვენსკიმ.

არაჩვეულებრივი ზეიმი ხვდა წილად ჩვენს დივიზიას კვირას, 1944 წლის 14 მაისს. ნამდვილი დღესასწაული იყო. სევასტოპოლის ახლოს, ჩორგუნში, ვრცელ მწვანე მინდორზე მოეწყო ქართველთა ლაშქარის დიდი აღლუმი. აქ, ანაპის 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის პოლკებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ ალისფერი საბრძოლო დროშები წარწერით: „ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის!“

ამ აღლუმის შესახებ ელიზბარ ზედგინიძე „სამშობლოს დამცველში“ წერდა:

„შენაერთის მეომრებმა სამი ათასი კილომეტრი ბრძოლით იარეს, გადალახეს მთები, ველები, მდინარეები, გაატარეს შვიდასზე მეტი უძილო ღამე, აიტანეს ყინვა და გაუძლეს მცხუნვარე მზეს, მკერდს უშვერდნენ ტყვიას, არ შემკრთალან და არ შემდრკალან ყუმბარებისა და ცეცხლის წვიმის წინაშე, გადათელეს, წალეკეს და გაანადგურეს მტერი ყველგან, სადაც კი ისინი მივიდნენ. მაშინაც თვითეული მათგანის გულში ენთო და ფრიალებდა სწორედ ამ დროშის სახე.

და დღეს ნაბრძოლნი და ნაცადნი, სამშობლოს ღირსეული და ერთგული შვილები დამსახურებულად იღებენ დროშებს.

ცალკე ზღვისპირეთის არმიის ჯარების სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი მელნიკი მტკიცედ კიდებს ხელს ოქროს სირმებით შემკულ მაღალტანიან დროშას და ამბობს:

— როგორც სიმბოლო საჯარისო ნაწილის გმირობისა და დიდებისა, როგორც ყოველი მებრძოლისა და მეთაურის მოვალეობის გამხსენებელი, რომ ერთგულად ემსახურონ სამშობლოს, დაიცვან იგი მამაცურად და უნარიანად, დაიცვან მტრისაგან თვითეული მტკაველი მშობლიური მიწა, არ დაიშურონ თავიანთი სისხლი და სიცოცხლეც კი...“

რამდენიმე დღის შემდეგ დივიზიას ესტუმრნენ ქართველი მწერლები სოლომონ თავაძე და ბორის ჩხეიძე. სოლომონ თავაძემ 28 მაისს მოგვაწოდა სახელდახელოდ დაწერილი ლექსი:

**სევასტოპოლის გმირებს**

სამშობლომ გამოგვატანა
ნათელი უბრწყინვალესი,
მონატრებული მოკითხვა,
მშობელი დედის ალერსი.
მაისმა ააბიბინა
ჩვენი ქედები, ჭალები,
და გადმოჰყურებს თქვენს შორს გზას
ტრფობით აღსავსე თვალებით.
მიდიხართ სულ წინ მიიწევთ,
დილის მზესავით კაშკაშებთ!
სამშობლო ვაშას მოგძახით,
წითელდროშოვან ვაჟკაცებს!
რაც ჩვენ ყირიმის მიწაში
მებრძოლთა სისხლი ჩავღვარეთ,
თავგანწირულთა საფლავზე
მწუხარედ თავი დავხარეთ, —
მტერს ათასწილად მიუზღვეთ
სევასტოპოლის გმირებო!
კვლავაც მრავალჯერ სამშობლომ
თქვენი დიდება ინებოს!

28. V. 1944 წ.

ეს ლექსი დაიბეჭდა „სამშობლოს დამცველის“ 29 მაისის ნომერში. შემდეგ ამ ტექსტზე შეიქმნა მხედრული სიმღერა, რომელსაც შესანიშნავად ასრულებდა წითელარმიელთა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი.

**სატირა და იუმორი „სამშობლოს დამცველში“**

წითელარმიელთა მასების ფრონტულ ცხოვრებაში თვალსაჩინო მნიშვნელობა ენიჭებოდა ბეჭდვითი ნაწარმოების ყველა ჟანრს, მათ შორის სატირასა და იუმორს. ამ მხრივ ჩვენი გაზეთი ორივე ფეხით მოიკოჭლებდა. როდესაც ვეცნობოდით მეზობელი შენაერთებისა და საარმიო რუსული გაზეთების შინაარსს, მათში ვპოულობდით მეტად საინტერესო ფელეტონებს, სატირულ და იუმორისტულ სხარტულებს, მომენტის შესაფერის კარიკატურებს მოსდენილი წარწერებით, რომლებიც მეომრებში ჯანსაღ სიცილსა და მხიარულ განწყობილებას იწვევდნენ.

ქართველ მეომრებს კი ეს სიკეთე აკლდათ, რადგან „სამშობლოს დამცველის“ ფურცლებზე მსგავსი ხასიათის მასალები არ იბეჭდებოდა. ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ საჭირო იყო ამ მხრივ მოგვეფიქრა რამე და სათანადო ნაბიჯიც გადაგვედგა. ეს მოვახერხეთ მხოლოდ გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლიდან მეხუთე თვეს. ისიც არა ორიგინალური მასალის, არამედ სხვადასხვა რუსულ ჟურნალ-გაზეთებიდან ნათარგმნი ნაწარმოებების მიცემით. მიუხედავად ამისა, „სამშობლოს დამცველის“ მკითხველები სიხარულით შეხვდნენ გაზეთის ამ ინიციატივას, ხოლო შემდეგ თვითონაც სცადეს თავი და მოგვაწოდეს პატარ-პატარა სხარტულები „საფრონტო იუმორის“ რუბრიკისათვის.

ასე გაჩნდა „სამშობლოს დამცველის“ ფურცლებზე სატირა და იუმორი. მასალები იბეჭდებოდა სხვადასხვა რუბრიკით, როგორც მაგალითად: „საფრონტო იუმორი“, „ნიანგის კუთხე“, „ნიანგის შოლტით“, „კონდახით საფეთქელში“ და სხვ.

შემდეგ დახმარებისათვის მივმართეთ ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციას, კერძოდ იმ დროს რედაქციის პასუხისმგებელ მდივანს და ჩემს

მეგობარს ცნობილ ქართველ მწერალს სიკო ფაშალიშვილს. ჩვენდა სასიხარულოდ, პატივცემულმა სიკომ; ომისდროის მძიმე პირობებში მუშაობისას გამონახა დრო და ჩვენი გაზეთისათვის დაგვიწერა ძვირფასი მასალები „ფრონტული იუმორის“ განყოფილებისათვის, მათთან ერთად გამოგვიგზავნა მხატვარ დონის (დავით ნაცვლიშვილის) მიერ ჩვენი გაზეთისათვის სპეციალურად გაკეთებული კარიკატურები, რომლებსაც ამშვენებდა სიკო ფაშალიშვილის მოხდენილი წარწერები. ეს კარიკატურები ეხმაურებოდა კავკასიის დაცვას, გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებისათვის წითელი არმიის მეომართა გმირულ ბრძოლებს.

როდესაც შემოგვაკლდა „ნიანგის შოლტისათვის“ მასალები, დახმარებისათვის კვლავ მივმართეთ ჩვენს განუყრელ „შეფს“ ჟურნალ „ნიანგიდან“ — სიკო ფაშალიშვილს. დიდ დროს არ გაუვლია, რომ კარგა მოზრდილ ნობათთან ერთად, სიკოსაგან მივიღე შემდეგი წერილი:

„ძვირფასო არჩილ!

მიიღე ჩემი სალამი. შენი ბარათი მივიღე. ბოდიში საქმეს ვერ გამოასწორებს, მაგრამ პირობას გაძლევ, რომ მომავალში ავანაზღაურებ დანაკლისს. ახლა, სასწრაფო ხელზე გიგზავნი ზოგ რამეს. შენი მოხერხებულობის იმედი მაქვს, რომ როგორმე გამოიყენებ. ეს მასალები შენთან უფრო ადრე მოვა, ვიდრე ჩვენ გამოვუშვებთ.

შემდეგისათვის შეგინახავ და მოგაწვდი კლიშეებს და წვრილმან მასალებს (ვეცდები, პირადად შენთვის გავაკეთო). კარგი იქნება, თუ აქის საშუალება არსებობს, კლიშეებისათვის მომაკითხოს ხოლმე თქვენგან გამოგზავნილმა ამხანაგმა. მასალებს კი პირდაპირ ფოსტით გამოვგზავნი.

რა თქმა უნდა, ჩვენ სიხარულით და გამარჯვების ბედნიერების განცდით თქვენთანა ვართ. სახელოვან თანამემამულეთა წარმატებები გვახარებს და იმედი გვაქვს, რომ მალე საბოლოო გამარჯვების ზეიმს გადავიხდით. ჩვენ კი, აქ, ჩვენს შესაძლებელ ძალღონეს ვახმართ საერთო საქმეს. ზურგიც ხომ ფრონტია დღეს? ამ ფრონტზე ჩვენი წვლილი შეგვაქვს და პირადად ჩემი წილი წვლილიც.

მიხარიან თქვენი კარგად ყოფნა, სიმტკიცე და ვაჟკაცური ოპტიმიზმი. ჩემი სალამი იმ კოლექტივს, რომელსაც შენ კალმითა და აღმგზნები სიტყვით ემსახურები. გისურვებ კიდევ მეტ წარმატებებს, ჯანმრთელობას და ბედნიერად დაბრუნებას.

ამხანაგური სალამით სიკო ფაშალიშვილი.

21. X. „43“.

სიკოს მიერ გამოგზავნილმა მასალებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს ჩვენი გაზეთის მკითხველთა შორის.

• • •

გაზეთი „კომუნისტი“, როგორც ქართული პერიოდული პრესის მედროშე, ყოველთვის ავანგარდში იმყოფებოდა, ფართოდ აცნობდა ქართველ ხალხს ფრონტისა და მთელი ქვეყნის ცხოვრებას, რაზმავდა მათ ახალი საგმირო საქმეებისათვის ცეცხლის ხაზზე და ზურგში. „კომუნისტი“, ფრონტზე გამომავალი წითელარმიელი გაზეთებისათვის, წარმოადგენდა ნამდვილ ჩირაღდანს, გეზის მიმცემს და მაგალითს ომისდროის ძნელ პირობებში გამართული მუშაობისათვის. პირადად ჩვენ, „სამშობლოს დამცველის“ მუშაკები და ავტორთა აქტივი, ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობდით ამას, — „კომუნისტისა“ და მთელი მისი კოლექტივის მეგობრული დახმარების მთელ სიკეთეს.

„კომუნისტის“ რედაქციიდან ფრონტზე მიღებული თვითეული წერილი დიდათ აძლიერებდა ჩვენს საბრძოლო განწყობილებას, ხალისითა და სიხარულით აღავსებდა ყოველ ჩვენგანს. „კომუნისტის“ რედაქტორის გარდა, გამამხნევებელ და აღმაფრთოვანებელ წერილს გვწერდნენ რედაქტორის მოადგილე გიორგი ჯიბლაძე (ამჟამად აკადემიკოსი, პროფესორი), რედაქციის მდივანი ანტონ კელენჯერიძე (ამჟამად ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი), განყოფილებათა გამგეები — შალვა გვინჩიძე, ნინო მშველიძე და სხვ.

განსაკუთრებული სიხარული გამოიწვია „სამშობლოს დამცველის“ პირად შემადგენლობაში გიორგი ჯიბლაძის შემდეგმა წერილმა:

„ძმაო არჩილ!

სალამი! სულით და გულით გილოცავთ ბრწყინვალე გამარჯვებას. ის ფაქტი, რომ თქვენი დივიზია დიდმა სტალინმა თავის ისტორიულ ბრძანებაში მოიხსენია, ყველაფერს ნიშნავს, ყველაფერს ლაპარაკობს თქვენს სახელოვან ბრძოლასა და გამარჯვებაზე. ვერ წარმოიდგენ მთელი რედაქციის, მისი თითოეული მუშაკის სიხარულს, რომელიც ჩვენ განვიცადეთ, როცა მშობლიური ბელადის ბრძანებას რადიოთი ვისმენდით და გავიგონეთ პოლკოვნიკ ყურაშვილის სახელი. ჩვენ ერთბაშად აგვიტაცა სიხარულის გრძნობამ, ელვის სისწრაფით მოგვაგონდა ყველა ჩვენი ამხანაგი, რომლებიც თქვენთან არიან და განუზომელი აღფრთოვანება დაგვეუფლა. რაღაც ახალი ძალის შემატება ვიგრძენით. გულმა უცნაურად იწყო ძგერა. გიგზავნი ძმურ, მეგობრულ, ამხანაგურ სალამს და ახალ წარმატებებს გისურვებთ თქვენი სახელოვანი ბრძოლის გზაზე.

ვიცი, რომ ჯილდოზე წარგადგენენ და წინასწარ მინდა მოგილოცო. ბრძოლაში მიღებული ჯილდო პრესის მუშაკისათვის! მაგრამ ამაზე შემდეგ, როცა ერთმანეთს ვნახავთ და გადავეხვევით.

რას აკეთებს ჩვენი „ბალზაკი"? (ნაგულისხმევია კ. ლორთქიფანიძე. ა.კ.). ხელს გიშლის თუ გეხმარება? მისმა დაჯილდოებამ აქ ერთი ამბავი გამოიწვია. გავიგეთ, რომ კონსტანტინე წითელარმიელია. ამას ხუმრობით გწერ და მეც ასე მითხრეს: კოწიას ხანდახან აციებსო (ამბობენ: ეს არც ტროპიკული ციებაა და არც ჩვეულებრივი, ხანდახან იცისო გრიალში). წერილს მასაც ვწერ, მაგრამ შენც გადაეცი: მასალები ბევრი გამოგზავნოს, თორემ ავანსს არ შევარჩენთ.

ამხ. არჩილ! ვალერიანმა მითხრა, რომ იგი დაწვრილებით გწერთ, თუ რა მასალები და როგორ უნდა გამოგზავნოთ. ამას მეც დაბეჯითებით გთხოვთ, ვინაიდან ვალერიანი თვეობით შვებულებაში იდის და როგორც ჩანს, თქვენი გაშუქება მე მომიხდება. გამოაგზავნეთ ბევრი მასალა, სურათები და ილუსტრაციები, რაც კი გექნეთ. დანარჩენს რაც შეეხება — ენდე ჩემს „ჟურნალისტობას", ჩემს გემოვნებას, არაფერს დაგაკლებთ.

შენმა ინიციატივამ წიგნების შეგროვებაზე ცნობილი კაცი გაგხადა. შენი წერილი საქართველოს ყველა სკოლაში დაამუშავეს და აუარებელი წიგნები შეაგროვეს. კარგი საქმე გამოვიდა და შენც საამაყო გაქვს.

გისურვებთ კარგად ყოფნას, ჯილდოს, ახალ გამარჯვებებს.

შენი გ. ჯიბლაძე
1943 წლის 1 ოქტომბერი".

ნაწორედ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის დამსახურებაა, რომ ფრონტზე ჩამოსული ქართველი მწერლები მაშინვე შემოგვთავაზებდნენ ხოლმე ჩვენს გაზეთში თანამშრომლობას, ჩვენი თხოვნით წერდნენ იქვე ახალ ლექსებს თუ ნარკვევებს, მოთხრობებს თუ ჩანახატებს.

ამასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ერთი ეპიზოდი ჩვენი გაზეთის ცხოვრებიდან, რაც გამოჩენილი ქართველი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი ლეონიძის სახელთანაა დაკავშირებული.

ტამანის ნახევარკუნძულის განთავისუფლების შემდეგ 1943 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში დივიზიას ანაპაში ესტუმრა საქართველოს მშრომელთა დელეგაცია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. ძიხა ბარამიას ხელმძღვანელობით დელეგაციის შემადგენლობაში სხვა თვალსაჩინო მოღვაწეებთან ერთად, შედიოდა პოეტი გიორგი ლეონიძეც. ანაპაში დელეგაციის ჩამოსვლისთანავე, გოგლას დივიზიის მეთაურისათვის პოლკოვნიკ გიორგი ყურაშვილისათვის ეკითხა, თქვენი გაზეთის რედაქცია სად არის და როგორ შეიძლება მის რედაქტორს კოკილაშვილს დავუკავშირდეო. ყურაშვილმა მაშინვე აფრინა ჩემთან მებრძოლი და მეც უმალ გავჩნდი დივიზიის სარდალთან.

ძალზე გავიხარე გოგლასთან შეხვედრით.

— კიდევ კარგი ცოცხალსა გხედავ, — ამ სიტყვებით მომმართა მან, შემდეგ [illegible] ყურაშვილს მიუბრუნდა და უთხრა: [illegible] გაუფრთხილდით, თქვენი დივიზიის ნამდვილი მემატიანე ეს არისო.

მერე გოგლამ გამომკითხა ჩვენი ბრძოლებისა და ცხოვრების ამბები, გადმომცა „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივის სალამი, მასთან ერთად ვ. ხატიაშვილის პატარა ბარათიც. იმ დღიდან ჩვენს დივიზიაში ყოფნის მთელ პერიოდში გოგლას გვერდიდან არ მოვცილებივარ. რომელ პოლკში ან ქვეგანაყოფშიც წავიდოდა, მუდამ თან ვახლდი. ერთ დღეს, როცა პროგრამით გათვალისწინებული იყო გოგლას შეხვედრა პოდპოლკოვნიკ გრიგოლ მანაგაძის პოლკის მეომრებთან, წასვლის წინ მითხრა: — აბა ერთი ამ ლექსს გაეცანი, თბილისშივე დავწერე და მინდა ბიჭებს წავუკითხო, დამატება ხომ არ დასჭირდებაო.

გოგლას ჯავარიან ლექსს ჩემი გადახედვა რად უნდოდა. შესანიშნავი ამაღელვებელი და აღმაფრთოვანებელი ბწკარები სულსა და გულს სწვდებოდა. მაგრამ ერთი შეხედვით მომეჩვენა, რომ მაინც რაღაც აკლდა, კერძოდ ქართველ მეომრებთან ბრძოლების, მათი საგმირო საქმეების შესახებ გაკვრით იყო ლექსში თქმული. ამის შესახებ მორიდებით ვუთხარი გოგლას და თანაც დავაყოლე: თუ გადაწყვეტ დაამატო რამე, რედაქციის ოთახს მთლიანად შენს განკარგულებაში დავტოვებ და რამდენ ხანსაც გინდა ჩაიკეტე, გარეთ მებრძოლსაც დავაყენებ, რომ არავინ შეგაწუხოს-მეთქი...

გოგლამ გაიცინა და მითხრა:

— შენ გინდა ლორ-ტუსაღად გამხადო?!

ბოლოს მაინც გადაწყვიტა, ცოტას მაინც წავუმატებ რასმეო. დაწვრილებით გამომკითხა დივიზიის საბრძოლო გზის შესახებ, ზოგიერთ გამოჩენილ მეომართა საბრძოლო ეპიზოდები და მითხრა: — ახლა მომამარაგე ქაღალდით, მაგიდაზე დამიდგი წყალი და შენ გაისეირნე, ორიოდე საათით, მერე მოდიო.

სტამბის უფროსს გრიგოლ ბობოხიძეს დავუბარე: ფხიზლად იყავი, შორს არსად წახვიდე, შეიძლება გიორგის რამე დასჭირდეს და მაშინვე გამაგებინე-მეთქი. მე კი პოლიტგანყოფილებაში წავედი, სადაც გამოძახებული იყვნენ დივიზიის წარჩინებული მეომრები, რომელთა სახეები ფანქრით გადაეტანათ ქაღალდზე ცნობილ ქართველ მხატვრებს უჩა ჯაფარიძეს და შალვა მამალაძეს, რომლებიც დელეგაციაში შედიოდნენ.

დივიზიის მეთაურმა ყურაშვილმა მიმიხმო და მკითხა: გოგლა სად გადაგვიკარგე, ახლავე აქ მომიყვანე, უნდა ვისადილოთ და მანაგაძის პოლკში წავიდეთო.

რედაქციაში რომ მივედი, ბობოხიძემ მითხრა —თავი არ აულია, გაცხარებით რაღაცას

წერს, მთელი ქალალდების გროვა დააყენა, ვერ შევბედე მეკითხა ხომ არაფერი გინდათო.

ფანჯრიდან შევიხედე. როგორც ჩანდა, გოგლას მოეთავებინა საწერი, თავი მაღლა ასწია და შემამჩნია კიდეც. ეტყობოდა დაღლილი იყო, სახე წამოსწითლებოდა. მძიმედ წამოდგა, ტოლჩიდან წყალი დაასხა ჭიქაში და მეც შევედი.

— შენი აზრი ჭკუაში დამიჯდა. ბრძოლაგამოვლილ ქართველ მეომრებს ვაჟკაცობა და გმირობა შევუქე, მათი საგალობელი ვთქვი, ახლა ლექსი კი არა, მგოსი პოემა გამოვიდა. აბა ყური მიგდე, ერთი უნდა ჩემებურად წაგიკითხო და მერე მითხარი ღირს თუ არა ბიჭებთან ამის წაკითხვა.

**ქართველ მეომრებს**

1

ძმებო, მხედრებო, ქართველნო,
თქვენთან შეხვედრა გვეწადა,
შეგეყარეთ და ვიხარეთ
ათასჯერ, მეტისმეტადა!
ჩამოტანილი სალამი
შვილთა, მამათ და დედათა
დაე თქვენს თავზე დაეშვას
შორით მოფრენილ მტრედათა!
სამშობლოს ფიქრი მარადის
თქვენს სიყვარულთან იმგზავრებს,
სადაც თქვენა ხართ, იქ დაჰქრის,
იქ იწვის, რეკავს იქ ზარებს,
თქვენზე შრიალი გაუდის
ქართლის ბაღებს და ნიგვზნარებს,
მტკვარმა, რიონმა, თბილისმა
მოკითხვა გამოგიგზავნეს!..
სალამი საქართველოსი, —
ცაში აყრილი მთებიდან,
ალსავსე გამარჯვების და
გმირობის იმედებითა,
ღედის ძუძუთი ნაკურთხი,
დიდი სტალინის ნებითა, —
ჩვენ კი არ ჩამოგიტანეთ,
არწივს მოჰქონდა ფრთებითა!

* * *

სულ თქვენი ნახვა გვწყურია,
თქვენი სმენა და ყურება,
ჩვენს გულში ჰყვავით ვარდივით,
გულს თქვენგან მოეტკბურება!
მკერდში გიხვევენ ალერსით,
დედა, სატრფო და დობილი,
თქვენზეა მათი გულები
ფიქრებში გადადნობილი,
ვართ დანდობილი თქვენს მკლავზე
თქვენით ვართ იმედებული...
თქვენი გმირობით გავმხდარვართ
სიმაგრე მომატებული!
თქვენი და ჩვენი გულისთქმა
ერთ ცეცხლით არის ნთებული,
ვით ორი წვეთი თაფლისა,
ერთ სიტკბოდ შეერთებული!
სისხლით და სიმხნით აღიდუღეთ
თავისუფლების გენია,
რძე ამომსკდარი ძუძუდან
გისვამთ და შეგირგენიათ,
თქვენ შემოგყურებთ იმედით,
ვისაც კი გული სტკენია,
თქვენი მარჯვენა დამხსნელად
სამშობლოს დაუდგენია!
მტრის დამწურავი ღონე ხართ
და მისი ჯანის მღალავი,
სამშობლოს ცაზე მახვილით
ღრუბლების გადამლალავი!
დიდება თქვენს ღვაწლს დიდებულს,
ჩვენი მადლობის ვაშაცა,
თავისუფლების მზემ გზარდათ,
სტალინმა დაგავაჟკაცათ!
სტალინის ქვეყნის შვილნი ხართ
გული არ შეგიშინდებათ,
მისი სიმტკიცე თან მოგდევთ
და მისი აკვნის დიდება!
სტალინის აზრის ნათელი
თქვენს ხმლის ვადაზედ ენთება,
ტყვიის მიზანში ჩამსხდარნო,
ქართლს თქვენგან ეიმედება!
თქვენი მხნეობით ჩვენი მზე
არასდროს დაიბურება:
„გმირო, გმირობას ნუ მოჰშლი,
ქვეყანა დაიმდურება“!...

მხარბეჭიანი ჩვენი საყვარელი გოგლა თავისი ბუხუნა ხმით, გულში ჩამწვდომად, ამაღელვებლად გადმოსცემდა რითმას რითმაზე. იქვე შეგროვდნენ ჩვენი ასოთამწყობები გედეონ ბოლქვაძე, კოტე ჩოგოვაძე, ალექსანდრე ჯავახიშვილი, მბეჭდავი გრიგოლ ბობოხიძე, რედაქციის მდივანი კაპიტანი არჩილ თვალიაშვილი და ლიტმუშაკი კაპიტანი ზაქარია თოდრია. მოშორებით იდგა სტამბა — რედაქციის ავტომანქანის მძღოლი წითელარმიელი გოგია გეჯაძე, რომელიც ისე განიცდიდა გოგლას მიერ წაკითხული ლექსის შინაარსს, რომ თვალებიდან ორ ტოტად წამოსულ ცრემლებს „შაპკაუშანკათი“ იწმენდდა ხოლმე.

ასე, სულგანაბულებმა მოვისმინეთ გიორგი ლეონიძის ეს შესანიშნავი პოეტური ქმნილება, პოემა-ლექსი „ქართველ მეომრებს“, რომელიც მან მიუძღვნა ანაპის 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის პირად შემადგენლობას.

— მაშ მოგეწონათ! — იკითხა გოგლამ და ფანქრით ათასნაირად ნასწორები ფურცლები დაალაგა თანმიმდევრობით, გადაკეცა, ჩაიდო უბის ჯიბეში და გადმომხედა: — აბა, გამიძეხ ბერო მინდიავ, თორემ გიორგი ყურაშვილი განგაშს გამოაცხადებს ჩემს საძებნელადო.

გოგლას ლექსმა 1943 წლის 7 და 8 ნოემბერს დივიზიის ყველა პოლკი და ცალკე ქვა-

განაყოფი ჩამოიარა, ქართველი მეომრები აალელვა-აღაფრთოვანა, ყველას გულს მალამოსავით მოეცხო და ახალი საგმირო საქმეებისათვის საბრძოლველად განაწყო.

კარგად მახსოვს ერთი ასეთი ეპიზოდიც. 8 ნოემბერს სტუმრები ეწვივნენ პოდპოლკოვნიკ კალისტრატე (გრიგოლ) მანაგაძის 1371-ე პოლკს გაიმართა სახელდახელო მიტინგი. მანაგაძემ ქართველი ხალხის წარმოგზავნილთ უამბო თავისი ნაწილის მეომართა გმირობასა და ვაჟკაცობაზე ტამანის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში. შემდეგ გიორგი ლეონიძემ წაიკითხა ანაპელებისადმი მიძღვნილი თავისი ლექსი. ქართველ მეომართა ლაშქარი სულგანაბული უსმენდა დიდი ქართველი პოეტის მარგალიტების მძივებად ასხმულ ლექსის სტრიქონებს. გოგლამ ლექსის კითხვა რომ მოათავა, მეომართა შუაგულიდან გაისმა ხმა:

— ახლა მე მომეცით სიტყვა.

ყველამ იქით მიიხედა. მებრძოლთა შუაგულიდან გამოიჭრა ბრგე ტანის ახოვანი ვაჟკაცი, რომელიც ტრიბუნისაკენ მიიწევდა.

— ჩვენი პოეტი, ჩვენი ტიორკინი, — გაისმა აქეთ-იქიდან.

ეს გახლდათ ორდენოსანი მებრძოლი გურჯაანელი ალექსანდრე ლორთქლიშვილი. ავიდა ტრიბუნაზე, მადლობა გადაუხადა საქართველოდან ჩამოსულ სტუმრებს საქართველოდან მშობლიური, თბილი სიტყვების ჩამოტანისათვის და ახლა თვითონ მიმართა მეომრებს:

ცას ღრუბლებით მოღუშულს
მზის სხივები დასერავს,
გაწმენდს ღრუბლებისაგან
გრიგალი რომ დაჰბერავს.
ჩვენს სამშობლოს მიწა-წყალს
მტერი შემოესია,
ბარბაროს ურდოებზე
უფრო უარესია,
სურთ მონებად აქციონ
ხალხი თავისუფალი,
უკუღმა დააბრუნონ
ბრწყინვალე მომავალი.
ვური! — ძმებო, მებრძოლნო,
დაღუპული ძმებისთვის:
ასი მოვსპოთ ჩვენ სისხლის
დაღვრილ ერთი წვეთისთვის.
დავკრათ მედგრად ცამ რისხვით
მტრისათვის დაიქუხოს,
ფაშისტური უემური
უფსკრულში დაიღუპოს.

ჯერ ლორთქლიშვილს არ დაემთავრებინა სიტყვა, რომ მხატვარმა შალვა მამალაძემ მთხოვა: — მინდა ეგ თქვენი პოეტი დავხატო, გთხოვთ მომიყვანოთ როგორმეო. თხოვნა შევუსრულე.

ბოლოს დელეგაციის წასვლის დღეც მოახლოვდა. გამგზავრების წინა დღეს, გოგლას ვთხოვე ლექსი დაეტოვებინა „სამშობლოს დამცველში“ დასაბეჭდად. მან მითხრა ხვალამდის მადროვე, გადავათეთრებ, ზოგიერთი გაუმართავი სტრიქონი მინდა შევასწორო და ერთ პირს დაგიტოვებ თქვენი გაზეთისათვისო. მაგრამ არც მეორე და არც წასვლის წინა დღეს გოგლას არ მიეცა საშუალება გადაეთეთრებინა აღნიშნული ლექსი. მე მაინც არ ვეშვებოდი: — როგორც არის, ისე მოგვეცი, თვითონ გადავწერ, საქართველოში რომ დაბრუნდები. იქ როგორც გინდა ისე გადაამუშავე და იმ ვარიანტით დაბეჭდე „კომუნისტში“, ჩვენ კი ასეც მოგვწონს-მეთქი. კარგიო, მითხრა, საღამოს გადმოგცემო. მაგრამ მეორე დილას დელეგაციის წევრები ისე უცაბედად წასულიყვნენ, რომ მათთან გამომშვიდობებაც არ გვარგუნა ბედმა. გოგლას ლექსს კი, რა თქმა უნდა, ვერ ვეღირსეთ. ამან გული დაგვწყვიტა. მე მაინც მიმაჩნდა, შეიძლება გოგლას გზაში საშუალება მიეცეს, გადაათეთროს და გამოგვიგზავნოს თავისი ლექსი გაზეთისათვის-მეთქი. ამის მოლოდინში ვიყავით, როცა დივიზიის მეთაურის ადიუტანტმა ლეიტენანტმა უჩა გელოვანმა პაკეტი გადმომცა, თან მითხრა: ეს ბარათი გოგლა ლეონიძემ გამომატანა ტუაფსედანო. მაშინვე გავხსენი ბარათი და მოსალოდნელი ლექსის ნაცვლად მასში აღმოჩნდა შემდეგი წერილი:

„ძმაო არჩილ!

სალამი და გამარჯვება!

შენ რო დაგშორდი, იმ ღამით ჩამოვიდა ამხ. ბარამია და დილის 7 საათზე მოულოდნელად აგვყარეს წამოსასვლელად.

ისე, შენთან მოსვლის ნებაც კი არ მომცეს, ვაგვიანდებაო. ამხ. პატარაიას დავაბარე შენთან ყველაფერი. მე კი მთლად გადათეთრებული არ მქონდა, ორი გვერდი-ღა მაკლდა. მერე მითხრეს, რომ ტუაფსედან გამოგზავნეო, მაგრამ ტუაფსეში ისეთ პირობებში ვართ, რომ ამაზე ლაპარაკი მეტია.

ეხლა მეტი არა დამრჩენია რა, რო ისევ ტფილისიდან გამოგიგზავნო. არა უშავს რა. ცოტას გავჩალხამ კიდეც. სულ მალე მოგაწვდი. შეიძლება შტაბის საშუალებით.

პატარა წიგნაკი დაგიტოვე, და რაც მოგეწონოს, გადაბეჭდე გაზეთში.

გარდა ამისა, სთხოვე ჩემს მაგივრად ამხ. გ. ყურაშვილს, ჩემი ახალი ლექსების წიგნი დაუტოვე და იქიდან გადაბეჭდე შემდეგი ლექსები:

1. „ქართველ მხედრებს“.

2. სამშობლოს გმირებს.

და სხვა, რაც საჭირო იყოს. მეტი წიგნი არა მქონდა. ეხლა არ ვიცი, კომპლექტს როგორ გამომიგზავნი. ჩემი მისამართი: თბილისი, ჯორჯიაშვილის ქ. № 8.

როგორც დაგპირდი, ვიღებ შეფობას შენს

გაზეთზე და ლექსებს კიდევაც მოგაწვდი ხშირად.

აბა იყავი კარგად, მხნედ და ვაჟკაცურად.

შენი გოგლა ლეონიძე.

ერთი სიტყვით, არაფერი გეწყინოს, რადგან ასე მოეწყო, ალბათ უკეთესობისათვის. კარგად გადავხედავ, შევალამაზებ და გამოგიგზავნი ისე, რო „კომუნისტში“ და შენს გაზეთში ერთ დროს დაიბეჭდოს. 10 დღით ადრე გამოგიგზავნი. სალამი ჩვენს ვაჟკაცებს.

გოგლა.

მანდ გორგიშვილთან არის რიგითი წითელარმიელი ჩემი ბავშვობის სკოლის ამხანაგი არსენ კახაბრიშვილი. ჩემს მაგიერ ყურადღება მიაქციეთ.

შემდეგ: ქანთარიასთან არის ჩემი სოფლელი წ. არმიელი ლადო სუხაშვილი. მთხოვა, ფეხები და მუცელი მტკივაო. ერთი მაგასაც მიაქციეთ ყურადღება.

და ბოლოს, მანაგაძის პოლკში ყოფილა ჩემი მეზობელი უფროსი ლეიტენანტი გრიშა კიკნაძე. ვერა ვნახე, ჩემ ხელშია კი გაზრდილი. თუ ძმა ხარ, მისი ამბავი მომწერე. წერილებს მომწერდე ხშირად. თუ რამე სავაჟკაცო მასალები იყოს, აფრინე ჩემთან, რომ გავლექსო. სხვასაც სთხოვე, რომ მომაწოდონ მასალები, რომელიც ჩემთვის ძალიან საჭიროა. ამ წერილს ვწერ ტუაფსის კომენდანტის ოთახში და მაჩქარებენ. აბა ყოჩაღად!

გ. ლეონიძე“.

ჩვენი ძვირფასი გოგლას ყველა თხოვნა პირნათლად შევასრულეთ. გაზეთის კომპლექტიც გავუგზავნეთ. ოღონდ მისი ლექსი მაინც ვერ მივიღეთ. მხოლოდ გაზეთ „კომუნისტიდან“ მოგვიხდა მისი გადაბეჭდვა „სამშობლოს დამცველის“ 1944 წლის აპრილის პირველ რიცხვების ერთ-ერთ ნომერში.

* * *

ცნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მხატვრულ ლიტერატურას ადამიანთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. ჩვენ ეს ჭეშმარიტება კარგად გვახსოვდა და ვცდილობდით შეძლებისდაგვარად „სამშობლოს დამცველში“ პერიოდულად მიგვეცა დროის შესაფერისი მხატვრული ნაწარმოებები — ლექსები, ნოველები, ნარკვევები, პატარ-პატარა მოთხრობები, ნახატები. ამ მხრივ მეტად ეფექტურ დახმარებას გვიწევდნენ ჩვენს დივიზიაში სტუმრად ჩამოსული მწერლები. ამის შესახებ უკვე აღინიშნა ზემოთაც. დივიზიაშიც აღმოაჩნდნენ პოეტური ნიჭით მომადლებული ახალგაზრდა მეომრები, რომელთა ლექსებს მკითხველი კარგად აღიქვამდა. ამ საქმეში გვეხმარებოდა აგრეთვე გაზეთ „კომუნისტიც“, რომლის ახალი ნომრის მიღებისთანავე, თუ მასში მოვხელთავდით რომელიმე ქართველი პოეტის ლექსს, მაშინვე ვბეჭდავდით ჩვენს წითელარმიულ გაზეთში. მაგალითად, ასე გავხადეთ „სამშობლოს დამცველის“ ავტორებად საქართველოს სახალხო პოეტი გალაკტიონ ტაბიძე, ალიო მირცხულავა (მაშაშვილი), ირაკლი აბაშიძე და სხვა.

ჩვენი წითელარმიული გაზეთის მიერ ამ დარგში გაწეული მუშაობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა. როდესაც 1942 წლის ზაფხულში ჩვენს დივიზიაში ჩამოვიდა ცნობილი ქართველი მწერალი — კრიტიკოსი ბესო ჟღენტი, მისი პირველი კითხვა იყო:

— გაზეთში თუ აქვეყნებთ მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს? როგორია ისინი? ვინ არიან მათი ავტორები?

რა უნდა გვეპასუხა პატივცემული ბესოსათვის ამაზე! მას გადავეცით მანამდე გამოსული „სამშობლოს დამცველის“ ნომრების კომპლექტი, თან ვთხოვეთ — საქართველოში რომ დაბრუნდებით, ქართველ მწერლებს გადაეცით ჩვენი თხოვნა: — ითანამშრომლონ „სამშობლოს დამცველში“, გამოგვიგზავნონ დიდი სამამულო ომის თემაზე დაწერილი თავიანთი ახალი ლექსები, პატარა მოთხრობები, ნოველები. ოღონდ ჰონორარზე ნუ დაგვემდურებიან, რადგან ასეთი არა გვაქვს-თქო.

გავიდა რამდენიმე ხანი და „კომუნისტის“ რედაქციიდან გამოგვიგზავნეს გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნების“ 1942 წლის 1 აგვისტოს ნომერი, რომელშიც დაბეჭდილი აღმოჩნდა ბესო ჟღენტის ვრცელი სტატია: „მხატვრული ლიტერატურა წითელარმიულ გაზეთში“. „განუზომელია და ფასდაუდებელი მხატვრული სიტყვის ძალა, — ნათქვამია სტატიაში, — ჩვენი ხალხის პატრიოტული თავგანწირულების გაღვივების, საბჭოთა ზურგის მორალური სიმტკიცისა და საბრძოლო ერთსულოვნების გამოჭედვის საქმეში. მაგრამ უფრო დიდია და საპატიო მხატვრული სიტყვის ოსტატის, პატრიოტი მწერლის როლი ჩვენი ძლევამოსილი წითელი არმიის გმირული სულისკვეთების შემთდომი განმტკიცების, საბჭოთა მეომრის საბრძოლო-პოლიტიკური გაწვრთნისა და გამობრძმედის თვალსაზრისით. ჩვენი სამშობლოს გმირ დამცველებთან მწერლის შემოქმედების ურთიერთობის უპირველეს საშუალებას წითელარმიული გაზეთი წარმოადგენს. ყოველი ჭეშმარიტი საბჭოთა მწერლისათვის საამაყოა და საპატიო ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალებისადმი უშუალოდ მიმართულ ამ მეტყველ ტრიბუნაზე გამოსვლა. წითელარმიული გაზეთის ფურცლებზე დაბეჭვდა საუკეთესო აპრობაციაა მხატვრული ნაწარმოებებისათვის. ეს მწერლის ოპერატიულობის, სიმახვილის, ნიშანში სწორად და მძლავრად მოხვედრის უტყუარი გამოცდაა.

წითელარმიული პრესის წინაშე დასახული უდიდესი საბრძოლო ამოცანების განხორციე-

ლებაში მხატვრული სიტყვის ქმედითი ძალის სწორად შეფასებისა და ამ ბასრი იარაღის ფართოდ გამოყენების საუცხოო მაგალითს გვაძლევს ერთ-ერთი სამხედრო შენაერთის გაზეთი „სამშობლოს დამცველი“ (პ/მგ. რედაქტორი ამხ. ა. კოკილაშვილი).

თავის არსებობის პირველი ორი-სამი თვის მანძილზე ამ გაზეთმა უკვე შექმნა სამაგალითო ტრადიცია და დააგროვა ძვირფასი გამოცდილება თავის ირგვლივ ახალგაზრდა ნიჭიერი მწერლების შემოკრებისა და ამასთანავე საბჭოთა მწერლობის საუკეთესო ოსტატობის მიზიდვის და ჩაბმისა საგაზეთო მუშაობაში“...

შემდეგ ბ. ჟღენტი ვრცლად მიმოიხილავს „სამშობლოს დამცველში“ გამოქვეყნებული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშებს, აძლევს მათ ღირსეულ შეფასებას და ბოლოს წერს:

„მხატვრული სიტყვის ასე უხვად გამოყენება ამდიდრებს დაამრავალფეროვნებს „სამშობლოს დამცველს“, აძლიერებს მის ზემოქმედებითს აქტივობას.

ამ გაზეთის გამოცდილების გაზიარება ნაყოფიერი და დიდად სასარგებლო იქნება მთელი ქართული წითელარმიული პრესისათვის. ეს გამოცდილება განსაკუთრებით უნდა გაითვალისწინოს ჩვენმა მწერლობამ. საჭიროა მწერლის ეპიზოდური, შემთხვევითი მუშაობა წითელარმიულ გაზეთში შეიცვალოს მასში სისტემატური, პერიოდული თანამშრომლობით.

საჭიროა წითელარმიული პრესის ირგვლივ შემოკრებილი ახალგაზრდა მებრძოლ-მწერალთა კადრი უზრუნველვყოთ კვალიფიციური შემოქმედებითი კონსულტაციით და დახმარებით.

ამ ამოცანებიდან საჭირო დასკვნა უნდა გამოიტანონ ჩვენმა მოწინავე საბჭოთა მწერლებმა და პირველ რიგში საბჭოთა მწერლების კავშირის ხელმძღვანელობამ“.

შეიძლება მთელი სერიოზულობით ითქვას, რომ ბესო ჟღენტის ამ სტატიამ თვალსაჩინო როლი შეასრულა გამოჩენილი ქართველი მწერლების წითელარმიულ გაზეთებთან, კერძოდ „სამშობოლოს დამცველთან“ შემოქმედებითად დაკავშირების საქმეში.

„სამშობოლოს დამცველმა“ 9 მაისს დილის 3 საათზე პირველად აცნობა ბალაკლავას ტაფობში დაბანაკებულ ქართველ მეომრებს დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრების ამბავი. ამ სასიხარულო ისტორიული მოვლენისადმი მიძღვნილი ნომერი რედაქციის მთელმა კოლექტივმა ელვისებური სისწრაფით გამოუშვა. გაზეთის 9 მაისის ნომერი უკვე დილის 5 საათზე იყო ნაწილებსა და ქვეგანაყოფებში. გაზეთი თავის მკითხველებს აუწყებდა:

„გუშინ, 8 მაისს, 23 საათსა და 01 წუთზე ძლევამოსილად დამთავრდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი.

გაუმარჯოს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებზე ჩვენს გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს დიდ სტალინს!“

ანაპელებმა გამარჯვების დღე 1945 წლის 9 მაისს იდღესასწაულეს გმირი ქალაქის სევასტოპოლის მშრომელებთან ერთად საპუნ-გორაზე, ზღვისპირეთის არმიის მეომართა ვაჟკაცობისა და დიდების ობელისკთან. გამარჯვებათა ამ საზეიმო ალღუმს მიუძღვნა ქართველმა მწერალმა სოლომონ თავაძემ ლექსი „გამარჯვებული ქართველები მოიმღერიან“:

მოიმღერიან რაზმელნი, მოხმატკბილობენ,
თითქო იღება საქართველოს მაღალი კარი
და შეუდრეკელ მეომართა შეკრულ
ჭრილობებს
ესალმუნება მშობლიურად ჩქრიალა მტკვარი.
მოიმღერიან, ქართლის ჰანგი ველს
ეფინება;
„ცაო ფირუზო, ჩაუქრობელ მუქით
ვვფარავდი.
მოგვაქვს დიდება, სიყვარული, აღორძინება,
დედაო ტკბილო, შენთანა ვართ სულით
მარადის!

## კრიტიკა და პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

# გიორგი ლეონიძის ლირიკა

მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის ამოქვიტკრული კამარის თაღებქვეშ ჯერ კიდევ მძლავრად ირხეოდა აკაკი წერეთლისა და ვაჟა ფშაველას ჭეშმარიტად დიდი ეროვნული პოეზიის ექო, ხოლო ახალი პოეტური ხილვებით თავდავიწყებული გალაკტიონ ტაბიძე ჯიუტად მიიკვლევდა გზას ქართული პოეზიის მრავალსაუკუნოვან ტევრში, მანამდე უცნობი პოეტური კოორდინატების აღმოსაჩენად; მას, ალბათ, სულის წიაღში უკვე შემოხაზული ჰქონდა თავისი მაღალი პოეზიის მომხიბვლელი კონტურები და ზუსტად გაანგარიშებული ძნელად გამოსათვლელი პოეტური ინტეგრალები გაუგონარ სიმაღლეზე ასასვლელად. პოეზიაში ფეხდაუდგმელ ბილიკებს ეძიებდნენ მისი თაობის სხვა პოეტებიც, მაგრამ ძნელი იყო იმ დანაკლისის ანაზღაურება, რაც აკაკისა და ვაჟას თითქმის ერთდროულად წასვლამ გამოიწვია ქართული ეროვნული პოეზიის ასპარეზიდან. თუმცა შექმნილი იყო გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის ბევრი უბადლო ნიმუში, მაგრამ ქართველ მკითხველს ჯერ კიდევ არ ენახა ერთ წიგნად შეკონილი მისი „არტისტული ყვავილები“ (იგი 1919 წელს დაიბეჭდა) და, მიუხედავად გალაკტიონის უზარმაზარი ტალანტისა, იმდროინდელი ქართული პოეზიის იდეურ-მხატვრული დონე აშკარად ვერ უსწორებდა მხარს მეცხრამეტე საუკუნის დიდი ქართველი პოეტების ეროვნულ პოეზიას.

ამ დროს გამოჩნდა ქუთაისში პარიზიდან ახლად დაბრუნებული პაოლო იაშვილი. ევროპული დიდი ქალაქების დახვეწილი ხელოვნების ნიმუშების ხილვით გაფაქიზებული მისი სული, ალბათ, ახლა უფრო მძაფრად გრძნობდა ჟამთა უკუღმართობით დარბეული ბაგრატის ტაძრის სიდიადეს და გელათის მოზაიკის ფერების სიცხოველეს. არაა გამორიცხული, რომ მან სწორედ აქ, წყალწითელასა და გელათის მიდამოებში, მეგობარ პოეტებთან ერთად ხეტიალის დროს, წამოაყენა სიმბოლისტური ჟურნალის „ცისფერი ყანწების“ დაარსების იდეა, რაც რეალურად 1916 წელს განხორციელდა.

ჟურნალის სულის ჩამდგმელები იყვნენ პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი და კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე და ს. კლდიაშვილი, და ბეჭდვითი ხელოვნების დიდი ენთუზიასტი, მთვარეულების ჩუმი მომღერალი, ფაქიზი გემოვნების ადამიანი სანდრო ცირეკიძე. ისინი მოხიბლულნი იყვნენ დიდი ფრანგი და რუსი სიმბოლისტი პოეტების მოდერნისტული პოეზიით და უყოყმანოდ იზიარებდნენ მათს შეხედულებებს ხელოვნების საკითხებსა და ცხოვრებაზე, სწერდნენ დეკადენტური ხასიათის ლექსებს და უპირატესობას ნაწარმოების მოდურ, ფორმალურ მხარეს ანიჭებდნენ. მათ უკვე მშობლიურ კილოზეც გაგონილი ჰქონდათ თბილისის სიმბოლისტური ჟურნალის „ფასკუნჯის“ ფურცლებიდან ედგარ პოს „ყორანის“ ფრთების ტლაშუნი და ქუთაისის მთვარიან ღამეებში მალარმეს „თეთრი გედი“ ელანდებოდათ.

სიმბოლიზმის გავლენა დიდი იყო გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაზეც და, თუ „მთაწმინდის მთვარის“ ავტორი რამდენადმე მაინც განცალკევებით იდგა ქართველი სიმბოლისტი პოეტებისაგან და ბიბლიური იაკობივით მარტოდმარტო ეჭიდებოდა პოეზიის ღმერთს, „ცის-

ფერყანწელები“ პოეზიის ცეცხლით შედუღებულნი ერთად ოცნებობდნენ მშობლიური პოეზიის გადახალისებაზე და ნაგვიანევად, მაგრამ გულმოდგინედ უხდიდნენ ხარკს დეკადენტურ პოეზიას.

„ბესიკის ბაღში ვრგავ ბოდლერის ბოროტ ყვავილებს“—ამბობდა ტიციან ტაბიძე და ამით თითქმის ყველა „ცისფერყანწელის“ პოეტურ მრწამსს გამოხატავდა. ცისფერყანწელებს უნდოდათ ქართულ ნიადაგზე უცხო, სიმბოლისტური პოეზიის თვისებები დაემკვიდრებინათ და თამამად შემოჰქონდათ მშობლიურ პოეზიაში ავადმყოფური, მისტიკური განწყობილებები, რეკლამას უკეთებდნენ ბოჰემურ ყოფას, აქვეყნებდნენ ლიტერატურულ-თეორიულ წერილებს და ცდილობდნენ დაესაბუთებინათ სიმბოლისტური პოეზიის სკოლის აუცილებლობა ქართულ სინამდვილეში. ყოველივე ამის განსახორციელებლად ისინი გაბედულად მიმართავდნენ პოეტურ ექსპერიმენტებს, ქმნიდნენ ახალ ლიტერატურულ ფორმებს, ეძებდნენ მხატვრული სიტყვისა და აზრის ახალ გამომსახველობითს საშუალებებს, იბრძოდნენ ლექსის მუსიკალური სრულყოფისათვის, ამკვიდრებდნენ ახალ ვერსიფიკაციულ ნორმებს, რამაც ერთგვარი სარგებლობაც კი მოუტანა ქართულ პოეზიას პოეტური კულტურის დონის ამაღლების თვალსაზრისით, მაგრამ ისტორიული, მკაცრი სინამდვილე მაინც სხვას ლაღადებდა.

ამ დროისათვის მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების პოეზიაში სიმბოლიზმს უკვე ნათქვამი ჰქონდა თავისი უკანასკნელი სიტყვა და ახლა იგი სხვა, ახალ ლიტერატურულ მიმართულებებს უთმობდა გზას. საფრანგეთის რევოლუციებისა და, გვიან, რუსეთში 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მსოფლიოში ა. რქსისტული, რევოლუციური იდეების აღმავლობა შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდათ კაცობრიობის უკეთეს მომავალზე ფიქრით დამძიმებულ პოეტებს. რუსული სიმბოლისტური პოეზიის დიდი წარმომადგენელი ალექსანდრე ბლოკი და რუსული ფუტურიზმის თითქმის ყველაზე უფრო რაფინირებული ფიგურა — ვლადიმერ მაიაკოვსკი ინტუიციით გრძნობდნენ ყოველივე ამას. მათ ახლა ლენინური აზრებით განახლებული რუსეთი ესიზმრებოდათ და აშკარად რევოლუციურ-რეალისტურ პოეზიისკენ იხრებოდნენ. ოქტომბრის რევოლუციის მოახლოებული ქარიშხალი საქართველოში პირველმა გალაკტიონ ტაბიძემ იგრძნო და ვიწრო-კამერული ლირიკის ტონი რევოლუციურ-პათეტიკური ინტონაციით შეცვალა. დიახ, რევოლუციის მომღერალ პოეტთაგან მათ ყველაზე ადრე შეიგრძნეს, რომ ვიწრო, დეკადენტურ ლიტერატურულ ჩარჩოებში მოქცეული პოეტური სული არ შეეფერებოდა ქვეყნის განმაახლებელ რევოლუციურ სინამდვილეს და იმთავითვე შეეცადნენ, რათა ჯანსაღი მხატვრული ხილვებითა და რეალისტური მხატვრული სახეებით აესახათ პოეზიაში მძაფრი პოლიტიკური სიტუაციები. უთუოდ ამასვე გრძნობდნენ შინაგანად ქართველი „ცისფერყანწელებიც“. რევოლუციის წლებში მათ თითქმის ერთდროულად დატოვეს მშობლიური ქუთაისი და თბილისში დამკვიდრდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ ისევ ფრანგი და რუსი სიმბოლისტების მოდერნისტულ-დეკადენტური პოეზიის გავლენას განიცდიდნენ.

ამ დროს გაეცნო მათ ახალგაზრდა გიორგი ლეონიძე და მათი განუყრელი მეგობარი გახდა პოეზიასა და ცხოვრებაში. „ცისფერყანწელებმა“ პოეტური სუფრის სერობაზე შეამოწმეს, ალბათ, ახალგაზრდა პოეტის ესთეტიკურ-ლიტერატურული შეხედულებები, და უეჭველად დიდად გაიხარეს, როცა დარწმუნდნენ მისი დახვეწილი გემოვნებისა და პოეტური ნიჭის ჭეშმარიტებაში. მისი „ოქროს გულითა“ და „ანთებული სახით“ შთაგონებულმა პაოლო იაშვილმა ცხრამეტიოდე წლის ჭაბუკს ბრწყინვალე ლექსი უძღვნა და საოცარი ინტუიციური წვდომითა და განსაცვიფრებელი წინასწარი ხილვით დაგვიხატა მომავალი დიდი პოეტის სახე. რადგან ეს ლექსი ვახსენეთ, გვინდა შევნიშნოთ, რომ ამ ლექსის პოეტური ჩარჩო, ჯიშიანი, მაგარი სტრიქონები, მხატვრული სიტყვის ალხაგობა, ფრაზის ენერგიულობა და შინაგანი ძალა საოცრად ჰგავს გიორგი ლეონიძის მიერ შემდეგში შექმნილ საუკეთესო ლექსებს. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს გიორგი ლეონიძემ პაოლო იაშვილის ლექსის გავლენა განიცადა, ანდა, პირიქით, პაოლო იაშვილი მოექცა ჭაბუკი პოეტის გავლენის სფეროში. არა. პაოლო იაშვილმა, იდუმალი ხილვების გარდასახვის დიდმა ოსტატმა, რეალურად დაგვიხატა გიორგი ლეონიძის პოეტური ბუნება, მისი მღელვარე ხასიათი და ლექსმაც, მისდა უნებურად, ლეონიძის „ოქროს გულიდან“ ამოხეთქილი ლექსების ფერხორცი შეისხა:

„შენი ლექსი წითელ ძროხის ჯოგია,
შენი გული ყვითელ ოქროს მორგვია,
შენი სული — აღდგომის ელოგია.
არ ამცილდეს შენთან ძმური ერთობა;

შენ ოცნებით თამარისკენ წახვედი,
გავხარ ლაშარს ანთებული სახეთი,
მოდი, ვნახოთ შენი გარე კახეთი,
სადაც სიტყვა წარსულით გაერთობა;

მოდი, ვნახოთ ნინოწმინდის საყდარი,
ნინოს ხატი ჭრილობებით გამხდარი,
ვნახოთ მხარე ერეკლეს ნატახტარი,
ძველი მადლი, ახალი ულმერთობა.

შენ ხსოვნიდან იმ ტკივილებს ამიშლი,
რაც დაგუბდა ობოლ საგურამოში,
და ყოველდღე და ყოველ საღამოში
გაჩაღდება არღნიანი მცხეთობა“.

იმდროინდელი ქართველი კრიტიკოსების უმრავლესობა საქართველოში სიმბოლისტების გამოჩენას უარყოფითად შეხვდა. მაგრამ, ეტყობა, „ცისფერყანწელთა“ შორის დიდი სიყვარულითა და ავტორიტეტით სარგებლობდა ერუდირებული, ესთეტი კრიტიკოსი, ალი არსენიშვილი. იგი თვით იყო გატაცებული დიდი ფრანგი და რუსი სიმბოლისტი პოეტებისა და მხატვრების შემოქმედებით და ქართველ სიმბოლისტებს უფრო კეთილისმსურველ მოძღვრად ევლინებოდა, ვიდრე პრინციპულ, ობიექტურ კრიტიკოსად. იგი თავისი მცირე მოცულობის მეტად ფაქიზად დაწერილ წერილებში, „წმინდა ხელოვნების“ თეორიით აღჭურვილი, ხოტბას ასხამდა „ცისფერყანწელთა“ ნაწერებს და მხოლოდ ორიგინალური ფორმისა და ლექსის სრულყოფისაკენ მოუწოდებდა მათ. ალი არსენიშვილს მეტად გულთბილად იხსენიებს გიორგი ლეონიძე თავის მოგონებებში: „ჩვენი ალი — სევდიან გედთა და შროშანთა სულში ჩამწვდარი, ნატიფი გემოვნების იმპროვიზატორი — სწონიდა ყოველ ჩვენ სიტყვას და გვასწავლიდა, რომ ცუდი წიგნისათვის არსებობს მხოლოდ ერთი კრიტიკოსი — ბუხარი“. მას შესანიშნავი ლექსები უძღვნეს ტიციან ტაბიძემ და პაოლო იაშვილმა:

„ვიგონებ ტფილისს... რძიან დილას
და ვარდის უბანს,
აბნეულ სიტყვას, ლექსების ორთქლს,
ილაიალოს,
და საიათნოვას სიმღერებით
აყვანილ დუქანს.
ალი, ძვირფასო, დაგრჩა რამე
იმ ცეცხლის ალის?“

ეკითხებოდა მას ქართულ პოეტურ სიტყვაზე თავგადაკლული ტიციან ტაბიძე, ხოლო მისი პიროვნებით მოხიბლული პაოლო იაშვილი ასე იგონებდა მასთან შეხვედრას:

„ჰფანტავდა კვალსა მატარებელი,
აყვავებული ტყემლის რტოებად,
შენი სიტყვები უდარებელი
უკან მისდევდა ქარს ლევკოებად.

და ტოგამოხსნილს მაინც დაგშვენდა
შენ რეტიანი ლექსით ბარბაცი.
და მოდიოდი, ძვირფასო, ჩვენთან,
ვით ლოენგრინი და ჯარისკაცი.

. . . . . . . . . . .

ძველი წარსულით მთვრალი „მერეთი“
გარს გვეხვეოდა ლექსი ხრო[illegible]
გვეჩვენებოდა ეს იმერეთი [illegible]
არაბულ ზღაპრის დაბოლოებად.

. . . . . . . . . . .

უკანასკნელად გაჩნდა ბრომელი
მწვანე ცილინდრით, თვალნისლიანი.
შევხვდით სამება. დაუდგრომელი
ალი, პაოლო და ტიციანი“.

ასეთ ატმოსფეროში იზრდებოდა ხორცს ახალგაზრდა გიორგი ლეონიძის პოეტური ფანტაზია. „ცისფერყანწელთა“ შორის იგი ყველაზე უმრწემესი იყო. მაგრამ, ეტყობა, მისმა ძლიერმა პიროვნებამ, ნათელმა პოეტურმა ტალანტმა, ვაჟკაცურმა ხასიათმა ერთბაშად წაშალა მათ შორის უმცროს-უფროსობის ზღვარი და „სიამის ტყუპებივით“ ერთად იბრძოდნენ მაღალი პოეტური სიტყვისათვის. მაგრამ, როგორც ვთქვით, სამწუხაროდ, სწორად ვერ აფასებდნენ მაშინდელ პოლიტიკურ ვითარებას. „ცისფერყანწელები“ კიდევ კარგა ხანს დარჩნენ სიმბოლისტური პოეზიის მისტიკური, არაჯანსაღი ხილვების ტყვეობაში. ამას უსათუოდ ხელს უწყობდა საქართველოში წვრილ-ბურჟუაზიული, მენშევიკური მთავრობის ბატონობა. და როგორც კი ქართველმა ხალხმა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება იზეიმა, ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ საქართველოში სიმბოლისტურ-დეკადენტურ პოეზიას ნიადაგი გამოეცალა და შეგნებულად დაიწყეს თავიანთი ლიტერატურული მემკვიდრეობის იდეური გადაფასება, რაც 30-ან წლებამდე გაგრძელდა. მოდერნისტული პოეზიით გატაცების ჟამს აღმოჩენილი ვერსიფიკაციული სიახლენი მათ ახლა ახალი საბჭოთა პოეზიის შესაქმნელად გამოიყენეს და ბევრმა მათგანმა ამ მხრივ დიდ წარმატებასაც მიაღწია. ბოლოს მათ დაუბრუნეს მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიას მეცხრამეტე საუკუნის დიდი ეროვნული პოეზიის ცხოველმყოფელობა. ამ მხრივ მეტად დიდია გ. ლეონიძის ღვაწლი ახალი ქართული საბჭოთა პოეზიის წინაშე.

* * *

მზემოსხურებული ივრის ტინების ჩალურჯებული ჩქერების ემბაზში განათლული მოვიდა გიორგი ლეონიძე ქართულ პოეზიაში. მშობლიური სოფლის, პატარძეულის ხვართქლამორეული ორღობეებიდან მას თეთრად აფეთქებული ფშატის ხეებისა და აყვავებული ატმის ყვავილების ფეროვანება გამოჰყვა. ხოლო ნინოწმინდის ნანგრევებიდან სიყმაწვილის ჟამს იქ გატარებული საღამოებისა და ციხე-ტაძრების ძველ ნაგებობათა უსაზღვრო სიყვარული და რომანტიკა. თავისი პირველი ლექსიც ხომ მან საქართველოს ძველ სატახტო ქა-

ლაქს, მცხეთას მიუძღვნა, მერე თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ოდნავ ჩახლეჩილი, ღონიერი ხმით თბილისის ქუჩებში დაბუხუნებდა; ხანდახან, მეგობრებთან პოეტურ სუფრაზე სადმე გარეუბანში ღამეგათეული, გამთენიისას შემოდიოდა ქალაქში პაპიროსის კვამლით, ღვინითა და ლექსებით გაბრუებული და აღტაცებული კითხულობდა: „მაშ რა ვუყოთ, პოეტებო, ამ თბილისის დილას?“ მას შემდეგ, რაც მან დეკადენტური, სიმბოლისტური პოეზიის არტახები გაგლიჯა და მოდერნისტული პოეზიის მკაცრად ჩამოყალიბებული პოეტიკის ნორმებს თავი დააღწია, ნებაზე მიუშვა პოეტური სიტყვის სადავე და მისი ლექსი საოცრად ლაღი და ელასტიური გახდა. იგი ერთნაირი ძალით უმღეროდა საქართველოს დიდებულ აწმყოსა და ტრაგიკულ წარსულს. მთასა და ბარში საუკუნეების მანძილზე მიმოფანტულ ციხე-ტაძრების კედლებზე შემორჩენილი ფრესკების პირვანდელ მშვენიერებას აღადგენდა ცხოველი პოეტური ფანტაზიით, სვეტიცხოვლისა და გელათის ტაძრის მტვერწაყრილი ხატების ჯადოსნური ფერები პოეზიაში გადმოჰქონდა, ხოლო ყინწვისისა და წულრულაშენის ორნამენტების ხილვით აღტაცებულს, ქაშუეთის ჩუქურთმები „ფასკუნჯების თავად“ ეჩვენებოდა.

მან კარგად იცოდა, რომ საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და ეთნიკური ყოფის სასიცოცხლო არტერიები დასაბამიდან უმთავრესად მცხეთისა და პრეისტორიული ქუთაისის სანახებიდან ეფინებოდა ქართველთა ტომების საცხოვრისს, ხოლო მეფე ვახტანგის იღბლიანი ნადირობის შემდეგ ქართველი ხალხის სულიერი კულტურისა და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი თბილისის ადუღებული წყაროების მიდამოებში მკვიდრდებოდა თანდათან. ამიტომაც იყო, რომ იგი, სიჭაბუკიდან მოყოლებული, თავის სიცოცხლის მიმწუხრამდე თბილისს რაღაცნაირი დაუოკებელი სიყვარულით უმღეროდა. იგი თავდავიწყებით იძირებოდა ქართველი ხალხის დედაქალაქის ისტორიის მორევში და იქიდან ამოჰქონდა არნახული ფერებითა და ემოციებით ირმის ცურებივით დატენილი ახალ-ახალი პოეტური სახეები და ეპითეტები. მშობლიური ქალაქის აღორძინებითა და მშვენიერებით მოხიბლული, მის განმაახლებელთა ხატვისას დიდი მოწიწებითა და მოკრძალებით იხსენებდა ძველ ოსტატებს და მწარედ დასცინოდა თბილისის ვულგარული, კოლორიტული ყოფის მეხოტბეებს:

„აქ ადიდებდნენ დამპალ კინტოს,
თათრულ მუხამბაზს,
აბანოს წვირეს, შუა ბაზრის კორიანტელსა.
გაბერილ შარვალს, ყარაჩოხელს...
(გასამხელია?)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ივიწყებდნენ ფიროსმანის მზიან
მუშამბას,
ბექა ოპიზარს, ოსტატობის წმინდა ანდერძსა,
აქ ივიწყებდნენ ძველ პოეტებს
ოქროსყელიანს...

ვხედავ მათ ნათელს, შარავანდედს სცვივა
ფანტელი,
ათი ათასი მთაწმინდაზე ბრწყინავს სანთელი,
თავს დაგნათიან, სატახტოო, დიდო,
უკვდავო, —
რომ მათმა სხივმა სამუდამოდ
გაგასუფთავოს!“

„ქართლის ცხოვრების“ კითხვისას ხშირად შუაღამისას გარეთ გამოვარდებოდა ხოლმე აღელვებული და მშობლიურ ქალაქს ეკითხებოდა: „ხარ თუ აღარა? კიდევ გაისმის ქუჩებში ჩეხა?“ და, როდესაც რწმუნდებოდა, რომ თბილისი თავისი ფართო ქუჩებითა და მოედნებით მის წინ კვლავ გაჩახჩახებული იდგა შეურყევლად, ალბათ, აბობოქრებულ სულს ამგვარი ლექსების წერით ითქვამდა:

„ღამე იყო გათეული
მეეზოვის ქურქით
და სარკმელთან კამათელი
კალმახური ზურგით —

ბზრიალებდა, ყალყზე იდგა,
ვით ყაბახის ცხენი..
(სად ლპებოდა ბეჭდიანი,
ვაჲ მანანას ხელი?)

აღარავის აღარ ჰქონდა
გული ნამტკივარი;
ყვავილებით, ზიზილებით
მოშხუოდა მტკვარი...

და მახათის ტიტველ მთიდან,
ყვითლად მობაბანე
სალვინით და შოთის პურით
მზე დაადგა ბანებს.

ჩაქრა ყველა ვარსკვლავები,
ვით ალმასის თვალი,
ქარმა ქალაქს დაუშინა
ნუშის ნაფერთალი:

ილვიძებდნენ პოეტები
გამომშრალი პირით,
ილვიძებდა მემწვანილე
გიშერთვალა ვირით.

ილვიძებდნენ საზანდრები
ქვეყნის სადიდებლად,
შევარდენმა შეისროლა
ცაში ოქროს წკეპლა.

თბილისი კი — ისუნთქავდა
მზის შუქს გამაკურნელს
და ყნოსავდა ლექსებისა
და ტარხუნის სურნელს!"

მისი თაობის პოეტებიდან ძნელია კაცმა მეორე პოეტი დაასახელოს, რომელსაც მისებრ ომახიანად და ხვავრიელად ეწეროს და ემღეროს თბილისის ბედნიერ აწმყოზე, მის ტრაგიკულ წარსულსა და მომავალზე, მისებრ სიყვარულით ანთებული, ხარბი თვალებით ეცქიროს მაღალსართულიანი სახლებისა და ქვაკუთხედებისათვის, ან მისებრ ღრმად და მწვავედ ეგრძნოს და განეცადოს სისხლით მორწყული ბალავრებისა და მშრომელი ხალხის ოფლით შედუღებული თაღების სიმტკიცე და მშვენიერება. ჩვენი წარმოდგენით იგი, ალბათ, ხშირად მეტეხის ხიდთან იდგა და „ფაფასავით სქელი მორევის“ ცქერით გაბრუებულს გორგასალის „მიმინოს ოქროს ზარების“ ხმა ეწვეთებოდა სულში და თბილისის შემოგარენს თავისი დაყუდებული თუჯისფერი მთებითა და მწვანე ბაღებით მომეტებულად სისხლმოჭარბებული პოეტური მეტაფორებით ხატავდა. გიორგი ლეონიძის თბილისზე დაწერილი ლექსებიდან დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენენ: „თბილისური გაზაფხული“, „თბილისის განთიადი“, „გამთენიისას მერძევე მოვა“, „მაშ რა ვუყოთ, პოეტებო!“ „დილა კრწანისის ბაღში“ და ბევრი სხვა, რომელთა ჩამოთვლა აქ შეუძლებელია. ანჩისხატისა და ვარდისუბნის, კრწანისისა და არაგველთა ხიდის მიდამოების სიყვარულში ვაქკაცდებოდა და მწიფდებოდა, განახლებულ თბილისთან ერთად, გიორგი ლეონიძის პოეტური სიტყვა და სიჭაბუკის ოცნებები ქართული მზისა და მიწის სადიდებლად:

„ცისკრის შუქი გადელვარა კრწანისს,
ქარავანი ბორჩალოდან მოდგა,
ვეგებები გუმბათებს და მწვანილს,
მემწვანეთა უკანასკნელ მოდგმას.

და მძევალი არაგველთა ხიდთან
მხოლოდ ერთი ლამპარიდა ბჟუტავს,
სხივთან ერთად ჩამოვარდა ხიდან
ჩიტისაგან დაკენკილი თუთა.

მეც ამ თუთის გაზრდილი ვარ განა,
მისი სიტკბო ჩემს ძარღვებში სწვეთავს,
დიდ მომღერალს მე ვინ დამამგვანა,
ჩემი მიწა თუ არ მექნა მწეთა?!“

გიორგი ლეონიძე ყოველ საქმეში ჯიუტად იცავდა თავისთავადობას. იგი მკაცრად ეკიჟინებოდა თავის თანამედროვე პოეტებს და სათქმელს მუდამ „მიმინოს მოკივილით“ ამბობდა, თავისებურად. გიორგი ლეონიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მის პოეზიას არ დამჩნევია უცხოური და რუსული ლიტერატურული სკოლების შორეული კვალიც კი, რომელთაც ის ზედმიწევნით კარგად იცნობდა. მისი დიდი პოეზია უშუალოდ ქართულ ნიადაგზეა ამოღზევებული და ეს მისი ერთ-ერთი დიდი ღირსებაა. იგი თავისი ღონიერი ხელებით მხოლოდ ქართული ხალხური პოეზიის ფესვებს ეჭიდებოდა და ისე ძერწავდა „მიწით შესვრილი ტახის ღონის“, ძვალმაგარ პოეტურ სიტყვას:

„არ მინდა ჩანგი მე ხელნაჭერი,
ნარტყამი ხმალი სააკაძისა;
არ მინდა სირჩა სხვისი ნასვამი,
ვარსკვლავი სხვისი შარავანდითა,
სხვის იალქანი ათრთოლებული!
მე მიპოვნია ჩემი სიმღერა,
ჩემი სიტყვები გამაპობელი. —
სიტყვა ამტყდარი წვიმასავითა,
ცისარტყელებით ვარაყფრქვეული!“

ამბობდა იგი შემოქმედების ცეცხლით აღგზნებული, მრავალტანჯული ქართველი ხალხის აღორძინებით აღტაცებული და ყოველთვის მხატვრული აზრისა და დახვეწილი პოეტური სახეების სიზუსტით ასრულებდა ნათქვამს.

ქართული კლასიკური პოეზიის დიდ წარმომადგენელთა შორის გიორგი ლეონიძე ყველაზე მეტად დავით გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას ეროვნული შემოქმედებით არის დავალებული. დავით გურამიშვილის ღრმააზროვან ეროვნულ პოეზიაში ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედების ძირების არსებობა დიდი ხანია შემჩნეულია. მართლაც, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის ამ ორი დიდი პოეტის მხატვრული სიტყვის საქცევები ხელშესახებად უახლოვდება ერთმანეთს. და როდესაც ჩვენ გიორგი ლეონიძის პოეზიის ფესვებს გურამიშვილისა და ვაჟას პოეზიას ვუკავშირებთ, მხედველობაში გვაქვს მხოლოდ მათი პოეტური დვრიტის ერთსაწყისიანობა.

ვაჟა-ფშაველამ, როგორც ტიციან ტაბიძე შენიშნავს, თვითონ მიგვანიშნა იმ ნიადაგზე, საიდანაც მისი პოეზიის ფესვები ამოიწვერა. „შენი ცრემლებით მოვხარშე ჩემი გრძნობების ფაფაო“, მიმართავდა ვაჟა თავის მადლიან წინაპარს. ასევე გიორგი ლეონიძეც ლექსში „ივრის პირას“, რომელშიც ის განუმეორებელი, ამაღლებული ლირიკული ხმითა და გამჭვირვალე ფერებით ხატავს ქართველი ხალხის სულიერ ყოფას, ქართული მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წის სინოყივრეს, ბარაქიანობასა და მზის მცხუნვარებას, თვითონვე მიგვანიშნებს მისი დაუშრეტელი შთაგონების სათავეებზე:

„ალსდექ, გაჰკარი ტალღა შხაპური,
დღეიდან ველარ დაიგვიანო,
არა გჭირდება მკლავში ქაფური,
დევო, კახურო, შეიდძარღვიანო!

და მეც გამიძეხ, სიტყვას შავება,
სამშობლოს შუქით გამოვანათო,
როგორც დამლოცა ვაჟა-ფშაველამ,
დამსკდარი ხელი თავზე დამადო!“

დიახ, ვაჟა-ფშაველას მიერ დალოცვილი გიორგი ლეონიძე თამამად შედიოდა ქართული სიტყვის უღრანში და იქ ყველაზე მეტად მრავალჭირგამოვლილი დავით გურამიშვილის პოხიერი სიტყვა ეკიდებოდა გულზე. როგორც თავის დროზე ვაჟა-ფშაველა, ისიც მისი მადლიანი სიტყვის წვენს ისრუტავდა ხარბად. როდესაც უჯარმისა და გრემის ნანგრევებს შეჰყურებდა, ან სვეტიცხოვლისა და ალავერდის დალუპულ ფრესკებზე ოცნებობდა, ალბათ, ხშირად სინანულით იმეორებდა დავითის სიტყვებს:

„მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა
ჰფარავს:
მეტად მწარედ გული მტკივა, მაქრქოლებს
და ტანში მზარავს.
ვერ მოვითმენ, რომ არ დავგმო
ალმამხვნელსა, დალმა მბარავს.
ჩემი ცოდვაც მისცემია ჩემს ამომთხრელს,
ამომბზარავს!“

და მერე, როცა ლექსის წერად დაჯდებოდა, ასე ეპასუხებოდა იგი დიდებულ წინაპრებს:

„მეტკბობი, გურამიშვილო,
გენდობი ვაჟას ჩონგურო,
გთხოვთ, წინაპრებო, მიშველოთ,
სათქმელი გამილომგულოთ!

ხელუკრთომელი როდი ვარ,
სიტყვა მაქვს გამოკვანძილი,
თქვენს ნაგზაურზე მოვდივარ,
დიდი გქონიათ მანძილი.

მასწავლეთ ცეცხლის გაჩენა,
იმ ნალვერდალით ვიწვოდე,
თქვენი ბრწყინვალე მარჯვენა
საშველად გამომიწოდეთ...

მივყვე, რაც გამოგიკალმავთ,
დავჭიმო ლექსის აფრები,
აქროლოს გულის გრიგალმა
ოცნება ნაწინაპრევი!

გიზლოთ, რაც საზრდოთ მევალა
თქვენგან პურტკბილი ხორაგი,
რომ მთად ვაქციო, მწვერვალად,
ჩემი პატარა გორაკი.

იქ ქლერდეს ჭეშმარიტებით
ეს ლექსიც ანაზდაითი,
სადაც მღეროდნენ დიდებით
ვაჟა და დიდი დავითი...“

ამდენად, გიორგი ლეონიძის ხალხური პოეტური მეტყველების წიაღიდან ამოხეთქილი ძვალმაგარი, ხორციანი სიტყვა უეჭველად ჩამოჰგავს დავით გურამიშვილისა და ვაჟა-ფშაველას ეროვნულ საბურველში გახვეულ მხატვრულ სიტყვას პოეტური ფრაზის მიმოქცევითა და მოქნილობით, ზმნის ათასნაირი, უჩვეულო, ახალ ფორმებში დაყენებითა და მიმოხვრით, მხატვრული აზრითა და ემოციებით უზომოდ დატვირთული სიტყვის სისავსით.

გიორგი ლეონიძე უაღრესად ემოციური პოეტია. როდესაც მის სახელს ვახსენებთ, არ შეიძლება მყისვე არ გაგვახსენდეს პოეტის ლაზათიანი, სიამის მომგვრელი ბევრი ლექსი და მტკიცედ ნაჭედი ნედლი სტრიქონები გულში უჩუმრად არ გავიმეოროთ. იგი, უპირველეს ყოვლისა, მზით განათებული სამყაროს გახარებული მომღერალია. მას ალბათ, ჩვეულებრივზე უფრო მეტად უყვარდა სიცოცხლე, მიწიერი და სულიერი ცხოვრების ადამიანური სიამე. მას უნდოდა ყველგან ყოფილიყო, ყველაფერი მოესწრო, ყოველივე ამქვეყნიური ბოლომდე შეეგრძნო და შეეტკბო. მის თავაწყვეტილ სიხარულს არა ჰქონია ბოლოკიდური. იგი სიჭაბუკეს უკანასკნელ წუთებამდე მოუქანცველად ეთამაშებოდა. და მისი ნებაზე მიშვებული „ნაქერალი ცხენები“ უზრუნველად დაჭიხვინებდნენ საქართველოს მიწა-წყალზე. ამიტომაც, მიუხედავად თავისი მძიმე სხეულისა, ჩვენ იგი მუდამ მოუსვენარი და აჩქარებული გვახსოვს. მას ბოლომდე არ ასვენებდა მარადი სიჭაბუკის სურვილი.

პოეტის კონცეფციით ბუნებისა და ცხოვრების იდუმალების შეგრძნებას, უხილავისა და შეუცნობელის სწორად ამოხსნას უფრო მეტი ფასი სიჭაბუკეში აქვს, რათა ადამიანმა შეუცდომლად გაიაროს წუთისოფლის ძნელად გასავლელი, ოკრო-ბოკრო ბილიკები. ყოველივე ეს უტყუარი პოეტური ფერებითა და ფორმის უაღრესი სიახლის გრძნობითაა გადმოცემული ლექსში „სიმღერა პირველი თოვლისა“ პოეტი სიჭაბუკის ბედნიერ დღეებსა და სიზმრებს მიმინოსაგან დაფეთებულ მტრედების გუნდსა და სიყრმის ოცნებებს სავსე თო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფითა და ზარიან მარხილში შებმული ნაქერალი ცხენით დასდევნებია და საწუთროს სიამტკბილობით აღტყინებული თავგანწირულად მოჰკივის:

„ჩქარა!
მინდა ვუყელო,
თოფი ვტყორცნო ხმიანი,
ჩქარა, ზარით მარხილი,
ოქროსჩარდახიანი!

ორმა გუნდმა კიდევაც
მდინარეში გასტოპა!
ჩქარა,
თორემ წასულა
ჩემი ახალგაზრდობა".

მეორე ლექსით „ყივჩაღური პაემანი" პოეტი ხალხურ ლექსს „შემომეყარა ყივჩაღი" შორეულად ეხმაურება და საოცრად მაღლა აწეული, აწყვეტილი პოეტური სიტყვით გადმოგვცემს შეყვარებული ვაჟკაცის მოზღვავებულ გრძნობას და რამდენიმე სტრიქონით ხატავს ქსნისა და არაგვის მწიფე თავთუხებით ავსებული ხოდაბუნების ბარაქიანობასა და ვნებიანი ქალის თავბრუდამხვევ მშვენიერებას. უეცრად ისტორიის ბნელ ლაბირინთებში გადავყავართ, მცხეთის ციხე-სიმაგრეების დამსხვრეულ საკეტურებსა და კელაპტრიან, დალეწილ საყდრებს გვიჩვენებს. მერე დამარცხებული ყივჩაღის სახით ყოველი მოძალადის შუაგაჩეხილ თავის ქალას დაგვანახვებს და საყვარელი ქართლის ხეობებიდან ამდგარ ნისლებს საძროხე ქვაბიდან ამოვარდნილ ოხშივარს ადარებს. ბედნიერ აწმყოს ვარდისფურცლობის ნიშანით გვაღვრის სულში. ერთი სიტყვით, ამ ლექსის ემოციური ძალის ფერებისა და შინაგანი დინამიკის სრულყოფილად გადმოცემა პროზით შეუძლებლად მიგვაჩნია და ამიტომ მოვიტანთ მთლიანად:

„ყურლანებიდან გნოლი გაფრინდა,
ყაბარდოს ველი გადაიარა,
ისევ ალვსდექი!
მუხრანის ბოლოს
ჩასაფრებული ვსინჯავ იარაღს.

ქსანზედ, არაგვზედ ისევ ჰყვავიან
ხოდაბუნები თავთუხებისა,
შენი ტუჩებიც ისე ტკბილია,
როგორც ბადაგი დადუღებისას.

ხოხბობას გნახე,
მიწურვილ იყო
როცა ზაფხული რუსთაველისა,
ნეტამც ბადაგი არ დამელია
და იმ დღეს ხმალი არ ამელესა!

ტრამალ და ტრამალ გამოგედევნე,
შემოვამტვერე გზები ტრიალი,
მცხეთას ვუმტვრიე საკეტურები,
ვლეწე ტაძრები კელაპტრიანი!

მაგრამ თვითონაც დაილეწება,
დაბადებულა ვინც კი ყივჩაღად,
მუზარადიან შენ ქმარს შემოვხვდი,
თავი შუაზე გადამიჩეხა!

მოდი, მომხვიე ხელი ჰრილობას,
ველარა გხედავ, სისხლით ვიცლები...
როგორც საძროხე ქვაბს ოხშივარი,
ქართლის ხეობებს ასდით ნისლები...

მოდი!
გეძახი ათას წლის მერე,
დამნაცროს ელვამ შენი ტანისა;
ვარდისფურცლობის ნიშანი არის
და დრო ახალი პაემანისა!.."

გიორგი ლეონიძის პოეტურმა სიტყვამ სიმწიფე და სრულყოფილება სწორედ ამნაირი ძალით დაწერილ ლექსებში ჰპოვა. მისი „ყივჩაღური ღამე", „მეტივეები", „ტყუპი იაგუნდები", „წავა ლექსი და წაიღებს", „ციცარი", „უჯარმის ნანგრევები", „ვისმენ მაისის სიმთა ხმას", „მხარე ვაზებში გამოხვეული", „გმირი და პოეტი", „ღამე ივერიისა", „მყვირალობა" და „ნინოწმინდის ღამე" დიდი ხანია გაუნელებელი მაგიური ძალით მოქმედებენ ჩვენზე. უმთავრესად ამგვარი ძალით დაწერილ ლექსებში გამოჩნდა მთელი სისავსით გიორგი ლეონიძის დიდი გული, და ფართო ხასიათი. მისი შინაგანად განათებული კაცთმოყვარე გული თითქო უხილავი ძაფებითაა მის ლექსებთან დაკავშირებული და იდუმალი არხებით შეჰყავს მოლევნთილ სტრიქონებში ჭაბუკური მჩქეფარე სისხლი. იგი ხშირად მოსხლეტილად, ერთი ფუნჯის მოსმით ხატავს საქართველოს ბუნების კოლორიტულ პეიზაჟს. მისი პოეტური, ტევადი სიტყვა მუდამ ახალ-ახალი ფერებითა და ემოციებითაა დატვირთული. მას არ უყვარს მინორულობა. იგი სიხარულსა და მწუხარებას უფრო ხშირად ერთნაირად ამაღლებული რიტმული ტონალობით გადმოგვცემს. „წავა და არ დაბრუნდება დაფეთებული ჯერანი; იმ გულის თრთოლვა თან წაჰყვა, იმ დილის გულის ძგერანი!" — ამბობს პოეტი და მერე, თითქო წარბშეკრული განაგრძობს: „ან რისთვის უნდა დაბრუნდეს, მე ველარ მნახავს მზიანსა; ახალგაზრდობა თუ უნდა, უჯობს გადაჰყვეს ნიავსა!" და, ბოლოს, სევდიანად, მაგრამ გაუტეხავად ბუბუნებს: „ვაი, რომ ერთხელ დაგრეკავს და მერე შეგრთავს ქვიშასა! წავა ლექსი და წაიღებს ახალგაზრდობის

ნიშანსა“... სწორედ ეს ახალგაზრდობის ნიშანი აზის დაღად გ. ლეონიძის ყოველ ლირიკულ ქმნილებას და ეს ანიჭებს მის დიდ პოეზიას დაუშრეტელ ცხოველმყოფელობასა და ელვარებას. მისი „ნინოწმინდის ღამეც“ ხომ ახალგაზრდობის „ნიშნითაა“ განათებული. ამიტომაც ამ ლექსმა ჩვენი განსაკუთრებული სიყვარული დაიმსახურა თავიდანვე. იგი პოეტს მიძღვნილი აქვს თავის მეგობარ პოეტებისადმი და დაწერილია 1926 წლის 26 მარტს. ეტყობა, ეს თარიღი დაუვიწყარი იყო პოეტისათვის, დაუვიწყარი იყო ის ბედნიერი წუთები, ოდეს ეს ლექსი შექმნა და ნინოწმინდის ეკლესიის გალავანში მწვანეზე გაფენილ სუფრასთან მეგობრებს შორის გათეული ერთი მთვარიანი ღამე, მისი და მისი მეგობრების ბობოქარი სულით აბრიალებული, საუკუნოდ დაგვამახსოვრა. განგებ არ გვინდა ჩვენი სიტყვებით გადმოვცეთ ამ ლექსის შინაგანი სინათლე, სიხარულის ცრემლებით გაწმენდილი ძმობის განცდა, ტკივილამდე დასული სიყვარულის მტეხიარობა და ხანძარშენთებული სულის მღელვარება. დაე, ამჯერადაც მისმა ლექსმა თქვას სათქმელი:

„ნინოწმინდა... პალატები მეფეთა...
გალავანში — ჯამი აქაფებული;
შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ, ვეფხვი დაქალებული...

საზანდარმა ღამე აალახცახა,
ავთანდილის წვალი ცეცხლზე შხიოდა,
ცა — ატმებით მსხმოიარე, ჩახჩახა,
და გაზაფხულს რძის სუნი ასდიოდა...

ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები...
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა, სიყვარულის იარამ!

როგორც ხმალი, ძმებო, ტამერლანისა,
სიყვარული ისე დამჯახებია,
მე მივტირი ღამეს ზამბახებიანს
და სიყვარულს ათაბაგის ქალისას;
ძუძუები ოქროს კალმახებია,
წამწამები აქვს თავთუხის ყანისა...

წინანდალის ვაზი აყვავებული,
ჩამოსხმული ოქროთი და თაფლითა,
აფრენილი ბაზიერის დაფითა
დურაჯი ხარ მაყვალს შეფარებული!

ნინოწმინდა... ჩვენ, როგორც ხაზარები..
ოჰ, იმ ღამეს როგორ აგვაბრიალა,
საქართველოს ლექსის მეხანძარენი
ძმობამ, ცრემლმა იმ პატარა იარამ!“

გიორგი ლეონიძის გაღიმებული, ცისფერი თვალებით დანახული საქართველო რაღაცნაირ ენითგამოუთქმელ სიხარულსა და სიამოვნებას გვანიჭებს. მის პოეზიაში უჩვეულო, უცხო ფერებით ელვარებენ საქართველოს მწვანით „გაბურული“ მთები, თეთრი, ზვიადი, მწვერვალები, ადიდებული მდინარეები, თავთავდასხმული ხოდაბუნები, თრიმლის ფოთლებით ალმოდებული გორაკები და აყვავებული ვენახები. თითქო სხვანაირად ანათებს მზე, სხვანაირად ანათებენ აჩახჩახებული ვარსკვლავები და უნაზეს ნეტარებას განვიცდით ჩვენც, პოეტთან ერთად მათი ცქერით. კითხულობ საქართველოზე მის მიერ დაწერილ ლექსებს და გესმის ათი ათასი ჩანჩქერის ყვირილი, „ყარაიის“ ირმების ბღავილი, ბულბულების სტვენა, არწივების ყაშყაში და თვალნათლივ ხედავ, ჩიტები როგორ „ეზიდებიან“ ნისკარტით დილას, ხედავ, რძით გავსებული ტაგანივით როგორ წაიქცა გომბორზე მთვარე და თითქო ალაზნის პირას მოსული სატაცურებისა და ნათიბი ბალახების სურნელით ერთბაშად გაბრუებული ნელა-ნელა გადადიხარ სიზმრისეულ, მისი პოეზიის ცეცხლით გამთბარ უცხო მხარეში. დადიხარ ცივწყაროებიან ბროწეულის ტყეებში. მწიფე ნაყოფით ტოტებდაზნექილ ბაღებში იისფერ წყალში გავლებულ „მოფუტკრებულ“ მინდვრებში და გესმის „ტოროლების ოროველი“, გესმის, როგორ მოამტვრევს ჩალას, ტყეს, ლერწმოვანებს გახელებული ხარი, „მოსჩანს სამშობლო, ივრის ვაზები, როგორც სასანთლე გაჩაღებული“ და გესმის პოეტის მოკივილიც — „შორიდან რაზე მელამაზები, გული მაქვს გულთან დაჯახებული“ და უეცრად პოეტის მაგარი, ცეცხლიანი სტრიქონების ჯახა-ჯუხით გამოფხიზლებული, გაოცებული იფშვნეტ თვალებს და იმ შეგნებით, რომ ეს საქართველოა, ეს ყველაფერი ქართულია, ეს ყველაფერი საქართველოს მადლია, გული სიამაყის გრძნობით გემსჭვალება და გევსება, ალიონზე ამოთეთრებული კავკასიონის მწვერვალებივით ცაში ზვიადად იზრდები. მერე იქიდან კვლავ საქართველოს მთებსა და ატეხილ ჭალებს დასცქერი და ჭეშმარიტი პოეზიის მადლით განწმენდილსა და გასპეტაკებულს უფრო მწარედ გიყვარს „მხარე — ვაზებში გამოხვეული“:

„ყანა კახური, ათქვირებული
და ყამირები ყარაიისა;
ვაზი — თორმეტი ფურის ნაწველი,
დასხმული ოქროს ბარძიმივითა.
წინანდლის ღვინო ღედისრძიანი;
თაფლი — ხეებზე ჩამოღვენთილი,
ბროწეულის ტყე წყაროებითა;
ცა — არწივების კლანჭით გარტყმული.

მთები — ფერადი დროშებივითა,
ნაციხარები ქვასისხლიანი...
მხარე — ნათხარი საძირკველების,
მხარე — სარკინე ფალავნებისა,
მხარე — ვაზებში გამოხვეული...
იქ ფერფლი ჰყრია ჩემი ყრმობისა,
ფერფლი — ლერწამის ნაცარივითა...“

ამიტომ უყვარდა გიორგი ლეონიძესაც ასე თავდავიწყებით თავისი მრავალტანჯული, აწ თავისუფალი სამშობლო, მისი თოვლი და გაზაფხულის პირველი მეხის ქუხილი, მისი მოვარდნილი, ჩხრიალა წვიმები, ზაფხულის მზითა და შრომით ადუღებული ცხელი დღეები, ადიდებული, დამწიფებული შემოდგომის ხვავი და ბარაქა, მადლიანი მიწის აზავთებული დოვლათიანობა. ფურცლავ მისი პოეზიის ორტომეულს და გაოცებული რჩები ასევე მისი პოეტური ფანტაზიისა და შთაგონების დოვლათიანობით. გიკვირს, როგორ ახერხებდა ყოველი სიტყვის ავსებასა და დამუხტვას ახალ-ახალი, ცინცხალი ფერებითა და მოულოდნელი ემოციებით...

გიორგი ლეონიძემ დიდი პოეტის სახელი, უპირველეს ყოვლისა, ამგვარ პატრიოტულ თემებზე დაწერილი ლექსებით მოიპოვა. იგი შუა საუკუნეების დაუღალავი ტრუბადურივით გახარებული უმღეროდა ქართველი ხალხის სულიერი კულტურისა და ეკონომიური ცხოვრების აღმავლობას, მისი დახვეწილი, მრავალნაირი ინტონაციებით შესრულებული ლირიკული ქმნილებები პირველ წარმოთქმისთანავე ელვის უსწრაფესად ვრცელდებოდა ქართველი ინტელიგენციისა და მშრომელი ხალხის ფენებში. ქართველი და საბჭოთა მრავალმილიონიანი ხალხების სულიერ და ეკონომიურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე არ ყოფილა შემთხვევა, რაიმე ახალი, მნიშვნელოვანი გაკეთებულიყოს და გიორგი ლეონიძეს თავისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვას, თავისი აღფრთოვანება მხატვრულ სიტყვაში არ გაემჟღავნებინოს. მას გულწრფელად ახარებდა დიდი საბჭოთა ხალხის ყოველი წინ გადადგმული ნაბიჯი, ქვეყნის განახლება და ახალი ცხოვრების სწრაფი აღორძინება, შინაურსა და გარეულ მტრებზე მისი სახელოვანი გამარჯვებები, შთაგონებულად უმღეროდა ახალი ცხოვრების მესვეურთ და ხმამაღლა აცხადებდა:

„მე მაერთოლებს ჩემი დიდი დროება...
დავინახე, ცეცხლი ცეცხლზე მოება.
დავინახე, მეხმა როგორ დააპო
საქართველოს საყდრული მყუდროება!“

საქართველოს „საყდრული მყუდროების“ დარღვევითა და „დაპობით“ გახარებული ქართველი ხალხის გამოღვიძებითა და მიღწევებით აღფრთოვანებული მტკიცედ მოუწოდებდა თავის თავს: „ლეონიძე, ამ დღეებს უდარაჯე!“ და ამით იგი ყველა პატიოსან მამულიშვილს სამშობლოს სადარაჯოზე აყენებდა.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ იგი ამგვარი პათოსით დაწერილი პათეტიკური ლექსებით რიტორიკაში გადადის, რამდენადმე დაბლა ეშვება და მისი მაღალი პოეზიისათვის შეუფერებელ ლირიკულ ნაწარმოებებს ჰქმნის. ასეთ შემთხვევებში მისი სიტყვა ჰკარგავს ფეროვანებას და ადამიანის სულზე მოქმედების ძალას. თუმცა იგი ვარიაციების დიდი ოსტატია, მაგრამ მაინც შესამჩნევი ხდება პოეტური თემების განმეორება და ერთფეროვნება. ამ ლექსებში მისი ბევრი სტრიქონი განმუხტულია და ნაკლებად იგრძნობა ლეონიძისეული სიტყვის მადლი. ჩვენი აზრით, ეს იმის შედეგი უნდა იყოს, რომ იგი მეტად თავისებური განწყობილების პოეტია. მას არ შეუძლია ერთნაირ მდგომარეობაში ყოფნა. იგი არა ჰგავს იმ ჯურის საშუალო ნიჭის პოეტებს, რომელნიც ერთნაირ, სტაბილურ მდგომარეობას ეგუებიან და ერთხელვე მიღწეული პოეტური დონით კმაყოფილდებიან, დაუღალავი შრომისა და ჯაფის წყალობით დაბლა არასოდეს არ ეშვებიან, მუდამ იმის ცდაში არიან, როგორმე მოპოვებული „სიმაღლე“ შეინარჩუნონ, ახალ მწვერვალებზე კი ვერასოდეს ადიან. გიორგი ლეონიძე, მათგან განსხვავებით, ნებაზე მიშვებული პოეტური სიტყვის სადავეს ხანდახან განგებ იმოკლებს ხელში, ქროლვას ანელებს, ვეება ფილტვებს მისებური „ლექსის ჟანგბადით“ ივსებს და დიდი სუნთქვისათვის ემზადება, რათა უფრო მაღლა შეჰკრას კამარა და იმ სიმაღლეზე ავიდეს, სადაც მხოლოდ რჩეულნი აღწევენ. არწივებიც ხომ ასე არიან. როგორც ლეონიძე ამბობს, „არწივებს უყვართ სიმაღლე“. მაგრამ განა ისინი მუდამ ერთ სიმაღლეზე დაფრენენ? ხშირად ქალებშიც ეშვებიან, ზოგჯერ დაბალ, ხავსიან ლოდებზე ფრთას ასვენებენ, მერე ახალი მწვერვალების ხილვის წყურვილით გახელებულნი მზეს ქინიანად შესწივლებენ და მარად თოვლიან კავკასიონს მოევლებიან ხოლმე თავს...

ჩვენ ზემოთ ვილაპარაკეთ გიორგი ლეონიძის „მიმინოს ოქროს ზარიან“ ხმაზე, მის წყალდიდობასავით ამტყდარ მაღალ ხმიანობაზე, აფეთქებულ პოეტურ ტემპერამენტზე, მაგრამ შეუმჩნეველი არ უნდა დაგვრჩეს, რომ იგი ხშირად საოცრად ნაზ, ნაღვლიან, დარბილებულ კილოზე მღერის სამშობლოსა და სიყვარულზე. ეტყობა, მის ბობოქარ გულს

და ქარიშხლიან სულში მოჭარბებული დოზით იყო ჩაგუბებული ლირიკული სითბო და სიფაქიზე. ერთგან იგი უცნობი მხატვრის მიერ ნატიფად შესრულებულ ანგელოზის ფრესკას ადარებს საყვარელი ქალის სახეს და მის მშვენიერებასთან ერთად ოსტატურად აღადგენს თამარის დროის ქართველთა დიდებას და ცხოველი პოეტური ფანტაზიით წარმოიდგენს იმ პირველ დილას, „როცა პირველად მზემ გაანათა“:

„მოსწონდა ხატი რომ ბრწყინვალებდა
თამარისეულ დროის დიდებით,
ცოცხალ ფრესკას კი ადგა ნათელი
და პირს ეფრქვია მარგალიტები,
და უცბად მივხვდი მე, აბნეული,
რომ ორ ანგელოზს შუა ვიდექი!

და ჰგავდა თვითონ იმ სპეტაკ დილას,
როცა პირველად მზემ გაანათა,
სერაფიმი კი, მან რომ დაჩრდილა,
ჩემ წინ სჭკნებოდა თანისთანადა.

ერთის ულირსი ვიდექ ორს შუა,
გულში მათოვდა ვარდის ნათელი,
იქ, სადაც შავი მორევი შხუის
და მტკვარი მოჰქუხს კორიანტელით“.

ასევე ნაზი, ფაქიზი, მგრძნობიარე ფერებითაა შესრულებული „ღამე ივერიისა“, სადაც კარგად ვერც კი ამჩნევ, ეს ლექსი პოეტს ლამაზი ქალის სიყვარულმა შთააგონა თუ საქართველოს რომანტიკულმა წარსულმა. ერთი კი უეჭველია: ამ ლექსში გაცოცხლებული ქართლის ნაღვლიანი პეიზაჟები და სევდის მომგვრელი წარსულის სურათები ჩვენ სულს იდუმალებით აღავსებენ და გულს სამშობლოს მეტი სიყვარულით გვითრთოლებენ:

„ისევ აყვავდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა შენზე დავწერო...
დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მიფრინავს წერო.

დახანძრებული წევს ივერია,
მტკვარზე წნორები უკრავენ თარებს,
მეტივეები სადღაც მღერიან,
სოფლის გუბეში გაჩრილა მთვარე...

სთვლემენ ბეღლებში ლურჯი ყანები,
ელვარებს ხვავი, თითქოს ლამპარი,
ჩალაგდნენ ყველა ჩინგიზხანები...
სთქვი, მეწისქვილევ, ერთი ზღაპარი.

სთქვი ნაღვლიანი ძველი ქართლივით,
ან აზნაურის ქალზე ვიმღეროთ...

დარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ლეონიძის მიერ ისტორიულ თემებზე შექმნილ ლირიკულ ქმნილებებში განსაცვიფრებელი ძალით გამოვლინდა მისი შინაგანი სულიერი ძალა და ეროვნული ტკივილები. ვკითხულობთ მის „უჯარმის ნანგრევებს“, „მეცამეტე საუკუნეს“, „მოგზაურობას სამშობლოში“, „ქართლის ცხოვრებას“, „მინაწერს ქართლის ცხოვრებაზე“ და თმა ყალყზე გვიდგება, შემზარავად გვაჟრჟოლებს, სული ჰინჰრით გვესუსხება, ტანზე ეკალს გვაყრის, გვესმის მეომრების განწირული შეძახილი, ქალების წივილი, ბავშვების ჟივილი და ვწუხვართ, ვწუხვართ იავარქმნილი სამშობლოს ტრაგიკულ ბედზე და ბოლოს მაინც გულში დიდი პოეტური ხელოვნების შეგრძნებით გამოწვეულ უზენაეს ესთეტიკურ სიამოვნებას განვიცდით — ეს არის ჭეშმარიტი პოეზიის მადლი. გიორგი ლეონიძე მოკლედ, სიტყვის უაღრესი ლაკონიურობით გვიხატავს ხშირად წარსულის შემზარავ სურათებს: „უცბად მეყნოსა სუნი დამწვრისა, თემურის ხანძართ ნატისუსალი, თითქოს მან ქართლი ამ წამს გასრისა და ერთი ფეხით ვერ მივუსწარი!...“ ქართულ პოეზიაში შეიძლება არც კი არსებობდეს მეორე ლირიკული პატარა ლექსი, რომელშიც ასე ხორცშესხმულად იყოს წარმოდგენილი ქართველი ხალხის მეცამეტე-მეთოთხმეტე საუკუნეების დიდი ტრაგედია. ლექსში რაღაცნაირი ჯადოსნური ოსტატობითაა გადმოცემული ქართველი ხალხის გარეულ მტრებთან ბრძოლებისა და ცხოვრების მწუხარე, ვრცელი ეპოპეა. „მეცამეტე საუკუნე“ ამ თვალსაზრისით მისი ერთ-ერთი საუკეთესო ლექსია. „და კალია მჭამელი უკან სვეტად მისდევს, მუზარადის მტვერით დაბნელებულ მინდვრებს!“ — ამბობს პოეტი და ნაღვლიანად განაგრძობს: „ხვალ ნახავთ სახლებზე ღრიანკალს, ბუს, დაშლნარ გალავნებს, გოგირდის ბურს, მოედნებზე აზელილ თმას და ტვინს, აჩეხილ ფალავნებს... ცხენის ქაჩაჩში ჩარჩენილ თავთავს, უზანგში — მტევანს, ვენახში სამარეს“... და თვალწინ გეხატება ულმერთო ბრძოლების ბატალური სცენები. ასევე გულისდამთუთქველ სურათებს გვიხატავს პოეტი ლექსში — წიგნი „ქართლის ცხოვრებისა“:

„გაშალე... ყველა ფურცელი
არი ფოლადის ნაცარი,
დამსხვრეულ ხმალთა ჟღრიალი,
დევკაცთა ნამამაცარი.

. . . . . .

ისმის ტყვეების ქვითინი,
კვამლში ბლავიან ხარები...
კვამლში ბლავიან ხარები...
დამწვარი ნასახლარები...

და რაც თმას ყალყზე აყენებს,
რაც მწარედ გვემახსოვრება, —
ქართლის მკვლელობის ძველ ამბებს
უწოდეს „ქართლის ცხოვრება".

ამბობს პოეტი და მართლა რამდენი მწუხარება, სევდა და ნაღველია ამ სტრიქონებში ჩანთხეული! იგი ფხიზელი პოეტური ფანტაზიის წყალობით ცოცხლად აღადგენდა ხალხის წიაღიდან გამოსულ, სამშობლოსათვის თავდადებულ უსახელო თუ სახელიან გმირებს, თითქო თვალნათლივ ხედავდა მათ ყოველ მოძრაობას, მტრის წინ შემართებას, სამშობლოსა და თავისუფლებისათვის თავგანწირვას, წამებასა და ტანჯვას, ისმენდა მათ ყიჟინას და უთუოდ მათებრ იტანჯებოდა ბედუკუღმართი წარსულის განცდით:

„ძველ კედლების ხმა მეყურებოდა
და წინაპართა ხმა გადასული...
წარღვნების შხაპი მეყურებოდა,
ბუკი, ზრიალი, ზარი წარსულის...

მინდვრების, ხანძრით გადაბუგულის,
მე მდუმარება მეყურებოდა...
მე საძირკველზე გატარებული
გუთნის გუგუნი მეყურებოდა...

მისი ტირილიც, ვინც მიანება
თავი სამშობლოს, მეყურებოდა...
ძვლების და კენჩხოს გახმიანება,
სეტყვა და ღვარი მეყურებოდა...

როგორ მტანჯავდა, როგორ მესმოდა,
რა ყურმახვილად მეყურებოდა...
ჩემი სამშობლო როგორ კვნესოდა, —
ლომის ძახილი მეყურებოდა..."

დიახ, ლომის ძახილი ეყურებოდა და ქართველი ხალხის ისტორიის წიაღში ისე იძირებოდა, როგორც პონტოში შუადღის მზეში გახელებული კენტავრი. თითქოს სანახევროდ თავის დიდებულ წინაპრების აჩრდილებთან ცხოვრობდა, მათ ებაასებოდა და უსაზღვრო სიხარულს განიცდიდა, ოდეს დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროინდელი საქართველოს დიდებულ დღეებს წარმოიდგენდა. ზემოთ მოტანილ შემზარავ სურათებთან ერთად ქართველი ხალხის შემოქმედებითი პოტენციის ძლიერებას გვიჩვენებდა და სიამაყით იხსენებდა ძველ გადამწერლებს, ხუროთმოძღვრებს, მხატვრებს, პოეტებს და ყველა დიდ მოჭირნახულეს ქართველი ერისას, ბევრი მათგანის ღვაწლმოსილ დიდებულ სახეს ხშირად მისებურად ერთი კალმის მოსმით ხატავდა, კი არ ხატავდა, მათ ჭირ-ვარამს იზიარებდა, ეპაექრებოდა, სამშობლოსათვის თავდადებასა და სიყვარულში ეჯიბრებოდა, მათთან ერთად ენამზეობდა და თავის ბობოქარ სულს მათი უანგარო ნაღვაწის მადლით ასაზრდოებდა. დაუვიწყარია მისი ლექსები რუსთველზე და მის „ვეფხისტყაოსანზე", სულხან-საბა ორბელიანზე, „სამკურნალო ბალახებივით რომ ჰკრეფდა ქართულ სიტყვას", ბარათაშვილსა და ილიაზე, აკაკისა და ვაჟაზე, და ყველა დიდსა და მცირე მოღვაწეზე, ვინც კი ქართულ სიტყვას შებმია ოდესმე. „უძეგლო მომღერლებო, თქვენ სახელს ვინ გამთიშავს, მტვერიც მომენატრება თქვენი ჩოხის კალთისა!" — სწერდა იგი იოსებ დავითაშვილზე...

და უყვარდა, გულწრფელად უყვარდა ყოველივე მშობლიური — დიდმნიშვნელოვანიცა და მცირეც, რომელშიც კი ქართული მიწისა და მზის სხივი ფეთქავდა. და განა მარტო მშობლიური? არა. იგი დიდად აფასებდა მოძმე ხალხებისა და უცხო ერების სულიერ კულტურასა და ისტორიულ წარსულს, დაუღალავად უმღეროდა ხალხთა ძმობას, სიხარულით მოგზაურობდა მრავალეროვანი საბჭოთა ხალხების დიად სამშობლოში და მის საზღვრებს გარეთაც. მშობლიური ხალხის სიყვარულით გულგამთბარი და თვალანთებული აქებდა და აფასებდა მათ კაცთმოყვარეობასა და ახალ მიღწევებს, გულმოდგინედ ეძებდა უცხოთა მიწა-წყალზე ქართველთა ნაკვალევს და ყოველივე ქართულის წინაშე მოწიწებით იყრიდა მუხლს, ბესარიონ გაბაშვილის საფლავი იქნებოდა ეს თუ ანთიმოზ ივერიელის მონასტერი. სწუხდა სამხრეთ საქართველოს მიტაცებულ ქართველობაზე, მათ საცხოვრისზე, დიდმნიშვნელოვან ისტორიულ ძეგლებზე და ნაღველშერეული ხმით მღეროდა მწარედ:

„ისე დავბერდი,
ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი...
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...
როდის მოუვა მათ გაზაფხული?

. . . . . . . . .

შავშეთის მთებზე ნისლი გადადის,
კარჩხალის მთებზე ვხედავ არწივებს,
და მათ აბნეულ, აშლილ ბუდეებს,
ქარი უბერავს, ქარი აციებს..."

ამნაირი გული ჰქონდა მას და ამიტომაც იყო დიდი სამამულო ომის დღეებში მისი სიტყვა

ამოღებული ხმალივით რომ ელვარებდა და სჭრიდა. მისთვის ჩვეული ტემპერამენტითა და გაქანებით მან ამ წლებშიც, ქართველი ხალხისა და დიდი საბჭოთა ხალხების განსაცდელის ჟამს, საუკეთესო ლექსები შექმნა და მებრძოლებს სიმაგრესა და გაუტეხავობას უნერგავდა გულში. მისი „ბიძინა ბუქურაული“, „შინ მოუსვლელო, სადა ხარ?“, „ქართველი მხედრის ნაამბობი“, „ბერლინს მყოფო ქართლის ვაჟო“, „სამშობლოს გმირებს“, „შინმოსულისა“ და ბევრი სხვა ცოცხლად გვიხატავენ სამშობლოს სიყვარულით გულანთებულ ვაჟკაცებს. როგორც ყოველთვის, ომის წლებშიც მის მხატვრულ სიტყვას დიდი რეზონანსი ჰქონდა:

„მტერს ხმლით მივდევდი ცხენდაცხენ,
მტერთა დამცემი ზარისა,
წამომეწია წინწკალი
სამშობლოს ღრუბლის ცვარისა,
ნაოფლარს ცხარე ბრძოლაში
ზედ გულზე გადამექურა,
დამშხეფა სამშობლოს მადლი,
ქღეროდა ოქროს ეევნურად:

. . . . . . . . . .

მაშინ ვთქვი: „ჩემო ქვეყანავ,
შენ ჩემო გულის სატკბურო,
შენ თუ შენი რძე მასხურე,
მე ჩემი სისხლი გაპკურო!“

ასე შედიოდა გიორგი ლეონიძე ხანდაზმულობაში, მაგრამ სიტყვას მუდამ ჭაბუკური მგზნებარებით აკვესებდა და სიცოცხლის სიყვარულით განათებულ ლექსებს წერდა დაუღალავად. მის ლირიკულ ქმნილებებს უკანასკნელ წლებშიც კი არ დამჩნევია პოეტური ცეცხლის შენელება. მას ხომ ოდითგანვე სწამდა — „სიჭაბუკე და ლექსი ერთია, ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი“. ამიტომაც მაღლიანი ლექსისათვის გახელებული ხარივით ბრდღვინავდა და წელთა სიმრავლეს არ იმჩნევდა. ახალგაზრდობას ეტრფოდა, მომავალს იმედიანი, გახარებული თვალებით შესცქეროდა. ბოლო დროს იგი კიდევ უფრო მწვავედ განიცდიდა სიცოცხლის სიხარულს. „მუხის ფოთოლი“, „ჩემი ბაღი“, „მთვარე ამოდის, საყვარელო, მთვარე ამოდის“, „ჩამობრიალდი, ჩემო არწივო“, „პატარა ქვაო პატარძეულში“ და მთელი რიგი ახალი ლექსები თბილისზე ყოველივე ამის ნათელი დადასტურებაა. იგი კვლავ ჭაბუკური ენერგიით მოგზაურობდა საქართველოს ყოველ კუთხეში და ახალ-ახალი შთაბეჭდილებებით დატვირთული ისევ თბილისს უბრუნდებოდა; მას ხომ აქ თავისი სიჭაბუკე ეგულებოდა: „აბა ერთი მე წამართვით თბილისი და მისი ფერი, მე დავრჩები მხოლოდ ჭვარტლი, ჭია, მტვერი, არაფერი“... — ამბობდა თავმდაბლად პოეტი. მერე ისევ დაუშრეტელი პოეტური ენერგიით ავსებული მშობლიურ პატარძეულში მიდიოდა, მამისეულ სახლში სულს მოითქვამდა, იქ გატარებულ სიყრმის ბედნიერ დღეებს გაიხსენებდა, ყველას გაუღიმებდა, ყველას — აყვავებულ ფშატის ხეებსა და ანთებულ ატმებს, მოხუცსა და ახალგაზრდას, ქალსა და კაცს, ნინოწმინდის ნანგრევებს გახედავდა, ბავშვობაში შიშველი ტერფით დათელილ ბილიკებზე გაივლიდა, დედის საფლავს მოინახულებდა, ზედ ამოსულ ბალახებსა და იებს მეტი სინაზით მოეფერებოდა, მის სიტყვებს მოიგონებდა, მამის სახეს ბუნდოვნად წარმოიდგენდა, რომელიც მას არასოდეს ენახა, და ალბათ თვალები ცრემლებით ევსებოდა, თავისი ცხოვრების გრძელ გზას გაიხსენებდა და „ადგილის დედას“ ჩუმად ეჩურჩულებოდა:

„ჩვენზე რას იტყვი, ჩვენზე რას ჩასწერ
მამულის წიგნში, მამულის სულო?
ნეტამც ვიცოდე, როგორ გადასჭერ,
და რას გვარგუნებ — დაფნას თუ სუროს?“

და ბუნებრივად იბადება კითხვა: ხანდაზმულობაში ასე რომ გაუტკბა ბავშვობის მოგონებები, ვაითუ რამეს უგრძნობდა გული?..

„პატარძეულის იები...
დილა ბროლშენაციები...
დილა ღმერთმოჩვენებული
შანთივით ჩამრჩა ხსოვნაში,
და ფიქრით მოჯერებული
პირველი სიტყვის პოვნაში.

ო, მას აქეთ ვარ მსურველი,
მტანჯოს, დამფერფლოს ძიებამ;
მაფრქვიონ შუქი, სურნელი
პატარძეულის იებმა“.

დიახ, იგი მუდამ ქართული ხვავიანი სიტყვისა და ფერების ძიებაში იყო. მუდამ ახალ-ახალი სიმაღლეებისაკენ ისწრაფოდა: „შენ არ იცი, ლექსო, დალლა!“ ამბობდა იგი და ეხვეწებოდა: „კიდევ ერთხელ ადი მაღლა, კიდევ ერთხელ, ლექსო, კიდევ!“ და თავს არ იზოგავდა სულსა და გულში ნაფიქრ-ნაგრძნობის გარეთ გამოსატანად, ტანჯვას, დაფერფვლას არ ერიდებოდა, მზის სხივებს ელეწებოდა. განა ადრევე არა სთქვა:

„გახელებული ხარი ვარ,
გეშს ვიღებ ნიავქარზედა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაჩვენეთ ჩემი ოცნება,
რქა ზედ მივაფშვნა რქაზედა.
სულ მივამტვრიო, მივლეწო,
გულში რაც გადაირაზა.
შევყვირებ, როგორც ირმები
ყვირიან ყარაიასა!“

ასე ირჯებოდა და იხარჯებოდა იგი სამშობლოსათვის, ქართული ეროვნული პოეზიისათვის. ჭეშმარიტად მას ჰქონდა უფლება ეთქვა თავის თავზე: „დავხარჯე გულის ზოდები, ვწვი ოცნებათა ზვინები... ლექსო, მიდექ და მოდექი, სამშობლოს შეეძინები!“... იგი შესანიშნავად გრძნობდა თავისი სახალხო პოეზიის დიდ მნიშვნელობასა და შინაგანად გახარებული, ქართულ სიტყვას მინდობილი, როცა სიჭაბუკე გაეპარა და ჭაღარა მოეძალა, სიამაყით აცხადებდა:

„დე, ლექსმა სთქვას პასუხი,
გაფანტა თუ დასტოვა —
იმ აპრილის ნაქუხი,
ქაფი, ცეცხლი, ნიავი —
ჩემი ახალგაზრდობა!

ლექსმა გვითხრას მართალი,
ვარ თუ არა სარდალი
ნინოწმინდის ხმალისა,
ყივჩალური ყიჟინის,
მისი ქარიშხალისა!“

და რა მეტყველად, რა ცხოველმყოფელად ამბობენ მისი ლექსები, რომ იგი „ყიჟინის“, „სიცოცხლის“ პოეტია, ქართული სიტყვის „სარდალია“, რომ იგი ქართული ლექსის დიდოსტატია. ყოველივე ამას იგი ქართულ სიტყვას უმადლოდა. სულ რომ თვალწინ ეხატებოდა უთვალავი ფერებით. უკანასკნელად როგორ არ გავიხსენოთ კიდევ მისი ერთი ლექსი — „ქართულო სიტყვავ“:

„პირველმოწყვეტილ იების დღიდან
მე ვარ დამწვარი შენი მსახური;
შენი თაფლი და მარილი მზრდიდა,
მზე შენ დამწერე და გაზაფხული.

. . . . . . . . . .

შენ — უკვდავების ჩამონადენო,
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო, —
ქართულო სიტყვავ,
ქართულო სიტყვავ!“

ასე უყვარდა ნაქერალი ცხენივით გაჭენებული „მუხლადი, ბედაური, მაძღარი სიტყვა!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი კალანდაძე

# ისტორიული ეპოპეა „სამგორი“

ეპოპეა „სამგორში“ მრავალმხრივად აირეკლა ჩვენი ქვეყანის შორეული წარსულის ურთულესი, პოლიტიკური კოლიზიებით აღსავსე ერთი ისტორიული მონაკვეთი. ესაა დრო ვახტანგ გორგასალის მეფობისა, კერძოდ, მის მიერ საქართველოს ახალი სატახტოს —თბილისის — მშენებლობისა და განმტკიცებისა.

რას წარმოადგენდა ვახტანგ გორგასალისდროინდელი საქართველო თავისი სოციალური და პოლიტიკური ვითარებით, ამას ცხადად გვიჩვენებს ისტორიული წყაროები, რომლებიც უხვად გამოიყენა პოეტმა თავის პოემაში. ეს წყაროებია, უპირველეს ყოვლისა, „ქართლის ცხოვრება“, რომელსაც გ. ლეონიძე ზედმიწევნით იცნობს და რომლის შთაგონებითაც მას, ვიდრე იგი ფართო ეპიკურ ნაწარმოებზე მუშაობას დაიწყებდა, არა ერთი და ორი ლირიკული ლექსი შეუქმნია. სხვა ძეგლებიდან, რომელთა მიერ შემონახული ცნობებით პოეტმა ისარგებლა, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ „მოქცევაი ქართლისაი“. აღნიშნულ ძეგლთა გამოყენებისას გიორგი ლეონიძე ანგარიშს უწევს ცნობილ ქართველ მეცნიერთა, თავის დიდ თანამედროვეთა — ივანე ჯავახიშვილის და კორნელი კეკელიძის — მოსაზრებებს, რომელთა დიდი პატივისმცემელი და დამფასებელიც იგი იყო.

საქართველოში ვახტანგ გორგასალის მეფობის პერიოდში ერთმანეთს ერწყმოდა სამი ძირითადი ფაქტორი: სოციალური, ეროვნულ-პატრიოტული და რელიგიური. სამივენი ერთად ქმნიდნენ ერთ რთულ კომპლექსს, რომელიც განსაზღვრავდა იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიურსა და პოლიტიკურ-იდეოლოგიურ ვითარებას. ამასთან უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ფაქტორებიდან ქვეყნის სულიერ ცხოვრებაში მთავარ როლს მესამე, ე. ი. რელიგიური ფაქტორი თამაშობდა. ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ურთიერთჭიდილი ორი ძლევამოსილი სარწმუნოებისა, მაზდეანიზმისა და ქრისტიანობისა, რომელთაგან პირველს შორეულ საუკუნეებში ჰქონდა ფესვები გადგმული, ხოლო მეორე, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ახლადაღმოცენებული, მზარდი, საოცარი ძალითა და სისწრაფით ავრცელებდა სხვა სარწმუნოებებთან შედარებით, უფრო ჰუმანურსა და პროგრესულ იდეოლოგიას. ერთა შორის არსებული რელიგიური შუღლი წარმოადგენდა იმდროინდელი სულიერი ცხოვრების შინაარსს. რაც შეეხება, კერძოდ, ქართველ ერს, ვახტანგ გორგასალისდროინდელ საქართველოში დიდგვაროვანი აზნაურები, პიტიახშები, სახელმწიფო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით, ხშირად ღალატობდნენ ახლად აღიარებულ სარწმუნოებას — ქრისტიანობას — და მის ნაცვლად ცეცხლთაყვანისმცემლობას იღებდნენ. როგორც ვიცით, ეს გარემოება ნათლად აისახა პირველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში — „შუშანიკის მარტვილობაში“.

„ქართლის ცხოვრებაში“ შემონახულია ცნობები იმის შესახებ, თუ რა მწვავე ხასიათს ღებულობდა ბრძოლა ქრისტიანობასა და მაზდეანიზმს შორის ვახტანგ გორგასალის დროს.

გარდა ამ ორი ძირითადი სარწმუნოებისა, იმდროინდელ ქართველებში მძლავრად ყოფილა ფესვგადგმული ადგილობრივი, ძველი წარმართული სარწმუნოება, რომელიც უპირისპირდებოდა, როგორც ქრისტიანიზმს, აგრეთვე ცეცხლთაყვანისმცემლობას და თავისი უფლებების შენარჩუნებას ცდილობდა.

„სამგორის“ ექსპოზიციურ ნაწილში გიორგი ლეონიძემ შეძლო მე-5 საუკუნის საქართველოში სარწმუნოებათა შორის ურთიერთბრძოლის

ამ რთული სურათის მხატვრული დამაჯერებლობით ჩვენებმა. ამ გარემოებას გვინდა განსაკუთრებით გავუსვათ ხაზი, რადგან პოემის პირველი ვარიანტის გამოქვეყნების შემდეგ, 1950 წლისა და 1959 წლის გამოცემებში მთლიანად ამოღებულია პოემის პირველი კარის ის ეპიზოდები, რომლებშიაც სარწმუნოებათა შორის ურთიერთბრძოლის სურათებია მოცემული. ვერ გავიზიარებთ გიორგი ლეონიძის შემოქმედების მკვლევარის — გრიგოლ ხერხეულიძის მოსაზრებას პოემის ამ ეპიზოდების შესახებ. გრ. ხერხეულიძე წერს: „სამწუხაროდ, როგორც თავის დროზე კრიტიკამაც მიუთითა, პოეტმა პოემის ამ ნაწილში ვერ შეძლო ჩვენში არსებული სარწმუნოებრივი ბრძოლების თუნდაც ნაწილობრივ, მის ძირითად გამოვლინებაში მოცემა. პირველი კარის ქვეთავებში წამოყენებული ცდა საბოლოოდ ხორცშეუსხმელი დარჩა“...[1] ჩვენ აღნიშნული ეპიზოდები პოემის მხატვრულად დამაჯერებლად და პოეტურად, ამ ნაწარმოების, ყველა სხვა ეპიზოდთან შედარებით, სრულუფლებიანად მიგვაჩნია. რაც შეეხება იმას, რომ, თითქოს, „პირველი კარის ქვეთავებში წამოწყებული ცდა საბოლოოდ ხორცშეუსხმელი დარჩა“, ამაზე უნდა შევნიშნოთ: განა მთელი მომდევნო ამბები, რომლებიც გაშლილია პოემაში, აღნიშნულ ეპიზოდებს არ ეხმაურება და, პირდაპირ, თუ არაპირდაპირ, მის საბოლოო ხორცშესხმას არ წარმოადგენს?

ვცადოთ, ჩვენს მიერ გამოთქმული მოსაზრება პოემის სადავო ეპიზოდების შესახებ ფაქტობრივი მასალის მოტანითა და განხილვით განვამტკიცოთ.

„სამგორის“ სრული ვარიანტის პირველი კარის მეორე თავი უჯარმის ველზე გამართული, რელიგიური შინაარსის შემცველი სახალხო ღრეობის (ხატობა) სურათს წარმოადგენს. ხალხი, როგორც ჩანს, სამ ძირითად ჯგუფად არის გაყოფილი.

ამ ბრძოლაში, ამ რელიგიურ აღრევასა და შეხლა-შემოხლაში, ცეცხლმსახურთა რიგებში მოჩანს ფიგურა შარაველ პიტიახშისა:

დაილოცება ბევრი ფიწალე,
შეუმღერებენ ბოჩი, დავალი:
— გვიცოცხლოს ღმერთმა დიდი შარაველ,
პიტიახში და ერისმთავარი!
მზისა და მთვარის ფარულ მსახური,
მტკიცე მფარველი ჩვენი რჯულისა!
ბანს აძლევს სპარსი მოგვი მობედან,
აცვია ფერი ნარინჯულისა.

შარაველ პიტიახშის სახე და სახელი, როგორც მეფისა და სამშობლოს მოღალატისა, ბოლომდე გასდევს მთელს პოემას. ამდენად, პოემის დასაწყისში ნაჩვენები, სამგორის ველზე გამართული რელიგიური ცერემონიალის გრანდიოზული სურათი ორგანული ნაწილია მთელი ამ დიდი საგმირო-ისტორიული ეპოპეისა და მისი მოკვეთა ნაწარმოებიდან ჩვენ მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.

ცერემონიალი გრძელდება, კამათი ხალხში— თუ რომელი ღმერთი სჯობს — „მზისა და მთვარის, თუ ჯვრისა“, თანდათან ცხარე ხასიათს ღებულობს. პოეტმა შეძლო რვასტრიქონიან ფრაგმენტში დაეხატა დასამახსოვრებელი სახე ცეცხლმსახური ბერისა, რომელიც, წარმართული კვერთხით ხელში, წინაღუდგება ქრისტიანიზმის მქადაგებლებს და ცდილობს თავის რწმენას სათანადო საფუძველი და გამართლება მოუნახოს:

ახმაურდა მუხნარიდან
კვერთხაწევით ბერი თაყა:
— არ ვცემ თაყვანს ჯვარცმულის ჯვარს,
მილურსმულ ღმერთს არ ვცემ თაყვანს!
მთვარისა და მზის ყმა ვიყავ,
რათ მინდოდა მკვდარი ღმერთი?
ცეცხლს ვანთებდი, ცას სწვდებოდა,
რა ვანათო სანთლის ღვენთით?...

თაყა ავტორის მიერ გამონაგონი, მხატვრულად განზოგადებული სახეა მაზდეანიზმის მსახური ქურუმისა. მას თავგანწირვით შეებრძოლება ქრისტიანიზმის მქადაგებელი, „ჰურია — ყოფილი“ მღვდელი აბიათარი, რომლის სახესა და ნამოღვაწარს კარგად იცნობს ძველი ისტორიული წყაროები.

პოემაში ვკითხულობთ:

გამოჩნდა ბერი აბიათარი,
ცეცხლი ჩააქრო, სამსხვერპლოს ალი!
— უწყალოვ, ღმერთი რისთვის მოგვიკალ,
— ცეცხლი დავშრიტე მცირედის წყალით...

რელიგიური შეხლა-შემოხლა ხელჩართულ ბრძოლაში გადადის. ცეცხლისმსახურ თაყას სცემენ, მაგრამ ვერც ქრისტეს სჯულის მქადაგებელი მღვდელი, აბიათარი გადარჩება; მას წვერით უწყებენ თრევას. „—ჩვენი ღმერთი გვწამს, ჩვენი მთავარი!“ — განგაშებს ხალხი.

ამ არეულობის ჟამს, სამგორის ველზე, ანაზდად, მშვიდობის ანგელოზივით გამოჩნდება მეფის ასული პირიმზე, რომლის სახესაც ავტორი მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით აქანდაკებს:

ატომის შუქი, მთვარის კდემა...
სალოცავი მთელი ერის...

შუბლი შეუკრავს პირიმზეს ძმათა შორის ატეხილი შფოთის გამო; უვლის დაჭრილებს, წყლულებს უხვევს და შეაგონებს: არც ცე-

---

[1] გრ. ხერხეულიძე, „გიორგი ლეონიძის პოეზია“, თბილისი, 1959, გვ. 135.

ცხლთაყვანისმცემლობა, არც ქრისტიანობა რომისა... ორთავეს — სპარსეთსაც და რომსაც — ჩვენი დამხობა სურთო.

რაც გსურს, იწამე, მტერს ნუ იწამებ
შენი სამშობლოს დასამონებლად.

მეფის ასულის ამ მოწოდებაში ღვივის პატრიოტიზმის უკვდავი გრძნობა, რომელიც საუკუნეთა მანძილზე, ჭირსა თუ ლხინში, მუდამ ამხნევებდა ქართველს. ამ მოწოდებაში მოჩანს პოეტის თვალთახედვა, რომლითაც იგი განსჭვრეტს საუკუნეთა მიღმა, ჩვენი ხალხის ცხოვრებაში, მომხდარ მოვლენებს. ათასხუთასი წლის წინადროინდელი ამბები ბუნებრივად ეხმიანება ჩვენს დღევანდელ დღეს. ამაშია დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა ნაწარმოების არა მარტო ჩვენს მიერ განხილული ექსპოზიციური ნაწილისა, არამედ მთელი პოემისა.

პირიმზის სახეც, უჯარმის ველზე მისი ანაზდად გამოჩენის შემდეგ, ბოლომდე გასდევს ამ ისტორიულ-ჰეროიკულ ეპოპეას. ამრიგად, მეფის ასული პირიმზე და შარაველ პიტიახში, რომელთა ანტიპოდურ ხასიათებზე ავტორმა პოემის ექსპოზიციურ ნაწილშივე მიგვანიშნა, აერთებენ ნაწარმოების ამ ნაწილს პოემაში გაშლილსა და განვითარებულ ამბებთან. მათი გამოჩენით ინასკვება პოემის სიუჟეტი, რომელიც მოვლენათა განვითარების შემდეგ, ნაწარმოების დასასრულს, პიტიახშისა და მეფის ასულის უკანასკნელი საბედისწერო შეხვედრისას უნდა გაიხსნას.

ეს გარემოება ერთხელ კიდევ ხაზგასმით ადასტურებს ჩვენს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „სამგორის“ ექსპოზიციური ნაწილის ეპიზოდები, რომელშიაც V საუკუნის საქართველოში სარწმუნოებათა ურთიერთბრძოლის სურათებია წარმოსახული, პოემის ორგანული ნაწილია და მისი ჩამოშორება ნაწარმოებიდან არაფრით არაა გამართლებული[1].

ეპოპეა „სამგორი“ ყურადღებას იპყრობს პერსონაჟთა სიმრავლით. ქართულ პოეტურ ეპოსში, ალბათ, ვერ დავასახელებთ სხვა რომელიმე ნაწარმოებს, რომელშიაც იმდენი მოქმედი პირი იყოს გამოყვანილი, რამდენიც „სამგორში“. საკითხავია, იწვევს თუ არა ეს გარემოება, ამ მხრივ, ნაწარმოების გადატვირთვას? ვფიქრობთ, რომ თავისი მოცულობითა და მოქმედების არეთა სიფართოვით, ეპოპეა იტევს ამ პერსონაჟებს. საქმე იმაშია, რომ პერსონაჟთა დიდი უმრავლესობა პოემის მხოლოდ ცალკეულ ეპიზოდებში მოქმედებენ, დამახასიათებელ მიზანსცენებს ქმნიან, გაელვებენ და ქრებიან. ზოგჯერ ამგვარი გაელვება იმდენად შთამბეჭდავია, რომ მკითხველის მეხსიერებაში წარუშლელად რჩება, ზოგჯერაც, შედარებით მკრთალი.

პოეტი წარმოადგენს თბილისის პირველ მკვიდრთა გალერეას, რითაც ქმნის ნაწარმოების მთავარ პერსონაჟთა მოქმედების თავისებურ ფონს.

აქ მებადურ ტყლაპაურას
უყვარს მტკვარზე ბადის მოსმა
ორაგულის ნახირს, დაჰკრავს,
მოურეკა ანგელოსმა.

მხოლოდ ამ ოთხი სტრიქონით არის მინიშნებული თბილისის პირველ მკვიდრთა შორის პროფესიონალ მებადურთა არსებობაზე. ასევე შეიძლება ითქვას „მეშუშპარე“ ციბალზე, აზნაურ სავატელზე და სხვებზე, რომლებიც ტიპიურ ხასიათებად მოჩანან ახლად აშენებულ თბილისის ფონზე. ავტორის ფანტაზია დროის ფარდას გადასწევს და მომხიბვლელ სურათს გამოაჩენს:

საძირკვლის საღვთო...
ხორაგი...
ცეცხლმოჩუხჩუხე ქვაბები...
გართხმული მუხის ცხედრები,
ათასწლოვანი ამბებით...
სუფრის გამშლელი ქალები...
პირველ თბილისის ქალები...
ფერთოვლი დილავარდისა,
რიჟრაჟის ნაშუქადები...

პოეტი ჩვენი დროის თბილისის ცის ღიმილში ხედავს მათ თვალებს, ღამით, ვარსკვლავებად რომ დაენთებიან ხოლმე ათას ხუთასი წლის ქალაქს:

— იათამზე, იათამზე,
შუქით დაჰმზერ ღამე თბილისს.
არ ჩამიქრე, არ ჩამიქრე,
მარწყვის ყვავილს გიგავს პირი.
— ბუდეშურა, ბუდეშურა,
ასი ტბაა შენი თვალი!
— ნინორე და გარიელა,
სულ იქნებით ნატვრის თვალი, —
სანამდის არ წაიშლება,
ცაზედ ირმის ნატერფალი!
თავს ლეჩაქი თქვენ გებურათ,
წმინდა, როგორც ტბების ვერცხლი.
თქვენ თბილისში, სულ პირველად,
აგიზნთიათ კერის ცეცხლი.
აქ პირველად გიმღერიათ,
რა სჯობს იმ ხმის გაგონებას!

[1] სწორად მოიქცა გამომცემლობა „ნაკადული“, რომელმაც ამ ცოტახნის წინათ სათაურით — „ამბავი თბილისისა“ გამოსცა „სამგორის“ სრული ვარიანტი. როგორც ირკვევა, ეს ნაწარმოები ამ სახით, პოეტის სიცოცხლეშივე, მის მიერ ყოფილა წარდგენილი გამომცემლობაში.

თქვენ მიეცით პირველ გმირებს
და ოსტატებს შთაგონება.
თქვენს ხელსაქმეს მე ვემთხვევი,
თქვენს მარჯვენას ქსელის მქსოველს,
მტრედის გუნდო, სად გაფრინდი,
თბილისი ვერ დაიხსომე?

ეს სიმბოლიკა, ეს მოლანდებები ქართველ წინაპარ ქალთა, პირველ თბილისელ დედათა, თუ სატრფოთა, ეს რომანტიკული ხილვა, ბუნებივრად ეხმიანება ჩვენს დღევანდელ დღეს:

არა, თქვენი იავნანა
ჩვენს აკვნებზე დღესაც მღერის!

ზოგი პერსონაჟი მისი მხოლოდ ერთი რაიმე ნიშნით ან კონკრეტული მოქმედებით წარმოგვიდგება. ასეთები არიან: „სეფექალი“ ქალაუში, „მედარბაზე ანგელოსი“ გურანდუხტი, მდაბიოთა წრიდან გამოსული ბუმბერაზი ბუბა, რომელსაც მეფემ მთელი დაბა აჩუქა, განძა-ცისკარას ქორწილის დროს გამართული ჯირითის მონაწილე აზნაურები — თერგაული, მთვარელი და სხვები. ზოგი კი მხოლოდ სახელითაა მოხსენიებული: შარვაჯ, არჯევან, შაბადინი, არიშაული (სპარსელებთან ომში გურამ ბივრიტიანის თანამებრძოლები); ჯიქური, პერანე, ბორტვა ალასტნელი, „ტოხაისძე — მეფის მცველი“, იშხნელი, ჯუანშერი, ორბელი და სხვები (სპარსელებთან ომში დაცემული გმირები)...

პოემის მთავარი პერსონაჟები არიან: მეფე ვახტანგ გორგასალი, მეფის ასული პირიმზე, გურამ ბივრიტიანი, გუთნისდედა ღვინია, ღვინიას ძმები — თვალსაცერა და მეფის კარის მჭედელი ღვთისავარი, ღვთისავარის ვაჟი — თბილისის ციხისთავი ცისკარა, მეფის მეაბჯრე გაგა, თბილისის ამშენებელი ხუროთმოძღვარი ფარნა და მესტვირე ხახარე ტატანელი. ამათგან — ღვინია, ღვთისავარი, თვალსაცერა, ცისკარა, ფარნა, ხახარე ტატანელი — არ წარმოადგენენ ისტორიულ პირებს, ისინი ავტორის მიერ გამონაგონი პერსონაჟები არიან.

„ქართლის ცხოვრება“ და სხვა ძველი ისტორიული წყაროები რელიგიურ საბურველში ხვევენ ჩვენი ქვეყნის შორეულ წარსულს და, მასთან — ვახტანგ გორგასალის პიროვნებასაც. გიორგი ლეონიძემ წარსულის სინამდვილის მოვლენებს ჩამოაშორა რელიგიური საბურველი და თანამედროვე მწერლის რეალისტური თვალთახედვით განსჭვრიტა ათასხუთასი წლის წინადროინდელი ჩვენი სახელოვანი წინაპრების ნაღვაწი და ნამოქმედარი.

რელიგიური საბურველის მიღმა პოეტის მახვილმა თვალმა შემოქმედი ხალხის მჩქეფარე ცხოვრება დაინახა. ამასთან ერთად, საგნებსა და მოვლენებს შეუნარჩუნა დროის ელფერი. ამაშია დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა პოემა „სამგორისა“.

გიორგი ლეონიძის მიერ დახატული ვახტანგ გორგასალი რეალური პიროვნებაა — ერის ქომაგი, ხალხის გულშემატკივარი, ეროვნული გმირი. ვახტანგის გარეგნობის, მისი ფიზიკური აღნაგობისა და საომარი მორთულობის აღწერისას ლეონიძე, შეიძლება ითქვას, კვალდაკვალ მისდევს „ქართლის ცხოვრების“ ეპიზოდებს. მაგრამ საკუთარი ფანტაზიით შეავსებს, განავრცობს მას.

პოემის დასაწყისშივე ვახტანგ მეფე გამოყვანილია მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაბმული ხალხის მესვეურად. სამგორის ველზე საგაზაფხულო შრომაა გაჩაღებული. გუთნისდედა ღვინიას პირველი ხნული გააქვს. ძველისძველი წეს-ჩვეულების თანახმად, პირველი კვალი მეფემ უნდა დალოცოს.

მანდილში გაკრულ სათესლე ხორბალს.
უმანკო ხელით, უმანკო სულით,
მეფეს, ამ დღისით, ძველისძველ წესით,
მიაწოდებდა ტურფა ასული...

მეფე მჯილით აბნევს ხნულში ხორბალს. ღვინია სალვინე სურას აწვდის მეფეს, მეფე ილოცება: იგი ლოცავს მიწისა და მართალი კაცის მადლს, მშრომელი ადამიანის მარჯვენას. ღვინია საპასუხო სადღეგრძელოს შეჰკადრებს მეფეს: ადიდებს მისი „ხმლის ნაქნევს“, ქართლის გმირებს, ქვეყნის დოვლათსა და ბარაქას. მეფის სადღეგრძელოს შესვამენ ღვინიას ძმებიც — მეფის მედროშე „პირნახმლევი თვალსაცერა“ და მეფის კარის მჭედელი, „მკერდზე ირმისტყავ-აფარებული“ ღვთისავარი:

— ქართლის მშვიდობა, საზღვართ სიწყნარე!
სიტკბო ერისა, მტრების დამხობა!

გაზაფხულზე პირველი ხნულის გატანის ამ ძველისძველ ქართულ წესში ჩაწნულია ხალხური სიბრძნე, რომლის მიხედვითაც ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი — მეფე — ორგანულ, სისხლხორცეულ კავშირშია თავის ხალხთან, მშობელ ქვეყანასთან.

ღვინია, თვალსაცერა და ღვთისავარი სიმბოლურად გააზრებული პერსონაჟები არიან. ღვინიას მიღმა ქვეყნის დოვლათის შემქმნელ გუთნისდედათა მთელი არმია იგულისხმება, თუმცა ისინი ნაწარმოებში არ ჩანან და მათ შესახებ უშუალოდ არც არაფერია ნათქვამი. ასეთივე, მხატვრულად განზოგადებული სახეა ღვთისავარიც, რომელშიაც ავტორი ათასობით ღვთისავარს გულისხმობს. ზოგი მათგანი ისრებს უწრთობს და ხმლებს უჭედავს მეომრებს, ზოგი თოხსა და გუთანს უმზადებს სოფლის მშრომელ მოსახლეობას. მეფე ამ ხალხის მხრებზეა ამოზრდილი.

გიორგი ლეონიძის მიერ დახატული ვახტანგ

გორგასალი თავისი დროისათვის სწორუპოვარი სახელმწიფო მოღვაწეა: ბრძენი და შორს მჭვრეტელი მშენებელი ქვეყნისა, გამჭრიახი პოლიტიკოსი, გონიერი სტრატეგი, გოლიათური აგებულებისა და იშვიათი ფიზიკური ძალის მქონე, ომში შემმართებელი მხედარი.

გიორგი ლეონიძემ, რომ უფრო ნათლად ეჩვენებინა ვახტანგის, როგორც ქვეყნის მშენებელი მეფის, სტრატეგიული ნიჭი, გვერდი აუარა თბილისის აშენებასთან დაკავშირებულ ცნობილ ლეგენდას და საქმის ვითარება რეალისტურ პლანში წარმოგვიდგინა.

დაუკვლევია ჩვენს მამაპაპას,
ქართლის სიმაგრის მარჯვე ადგილად.
დიდ გზების ჩამკეტს, მტკვრიანს და
კლდიანს,
ვერ მიატანდა მტერი ადვილად.

ეს გარემოება გაითვალისწინა ვახტანგმა, როდესაც ქართლის ახალი სატახტოს — თბილისის — მშენებლობის დაწყება გადაწყვიტა. ლეგენდა ხოხობზე კი, საფიქრებელია, თბილისის აშენების შემდეგ იყოს შექმნილი, ხოლო, თუკი ასეთ შემთხვევას სინამდვილეში მაინც ჰქონდა ადგილი, მას ქალაქის აშენების საკითხში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ექნებოდა.

გორგასალის მონუმენტური სახე ავტორმა, განსაკუთრებით, ეპოპეის ბატალურ ეპიზოდებში წარმოგვიდგინა.

პოეტმა შეძლო სამრად აღჭურვილი მეფის მონუმენტური სახის გამოკვეთა:

მოდის ვახტანგი, ღმერთს ჰგავს ვახტანგი,
გადაუდგება თვით ღმერთსაც წინა!

გიორგი ლეონიძის მიერ წარმოსახული ბუმბერაზი მხედარი — მეფე ორივე ფეხით მტკიცედ დგას მშობლიურ მიწაზე. იგი ღრმად მოაზროვნე პატრიოტი გმირია, რომლის ფიქრი და საზრუნავი მშობელი ქვეყნის არა მარტო აწმყოა, არამედ მისი მომავალიც:

— ლომნი იყავით! — მიჰმართავს ლაშქარს,
ნუ შეგაშინებთ სპარსთა მრავლობა, —
რომ ჩვენი ძვლები არ ამობერტყოს
მიწიდან ჩვენმა შთამომავლობამ!

ლეონიძე აქ შემოქმედებითად ეხმაურება ნ. ბარათაშვილის ცნობილ სტრიქონებს ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“:

თუნდ კეთილ მეფე როდის არის
მოსვენებული?
მისი სიცოცხლე: ზრუნვა, შრომა და ცდა
ქებული;
მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს
თავისს მამულსა, თვისთა შვილთა,
რომ შემდგომსა დროს
არ მისცეს წყევით თვას სახელი
შთამომავლობას.

და ვერავითარი ძალა ვერ გადრეკდა ვახტანგ გორგასალის ძლიერებას, გარდა ერთისა, და ეს ერთი იყო მოძმის ღალატი, ქვეყნის შიგნით არსებული გაორება, პირადი განდიდებისა და სახელმწიფო ხელისუფლების სათავეში მოქცევის მიზნით, მტრისადმი ფარული მხარდაჭერა, —სამშობლოსადმი ღალატი.

სიკეთისა და გმირობის განმასახიერებელი მეფის მონუმენტურ ფიგურას პოეტმა დაუპირისპირა შარაველ პიტიახშის ბნელი, ბოროტებით აღსავსე პიროვნება. პოემის ძირითადი ხაზი წარმოადგენს ამ ორი საწყისის — სიკეთისა და ბოროტების — ურთიერთბრძოლის მხატვრულ ხორცშესხმას, და თუ ამ ბრძოლაში ბოროტება დროებით წარმატებებს აღწევს, საბოლოო ზეიმი მაინც სიკეთისაა. ვახტანგმა იცის, რომ შარაველი „ქვეგამხედვარია“ და „სპარსთა მკმევარი“, რომ იგი შაჰან-შა კავადთან საიდუმლო წერილებს გზავნის. ამიტომ შეზღუდავს მის უფლებებს, გარდაბანის საპიტიახშო კვერთხს ჩამოართმევს. ამის იქით მეფე არ მიდის. არც სურს აშკარად აიმხედროს ერის ერთ-ერთი ძლიერი თავკაცი — და კვლავ მის მშვიდობიან „წვრთნას“ ამჯობინებს.

გაბოროტებული პიტიახში აშკარად მოუწოდებს თანაშეთქმულთ — არ მისცენ ვახტანგს თბილისში დასახლებისა და განმტკიცების საშუალება, დააქციონ, დასცენ ახლად ნაგები ქალაქის ბჭე და ბალავარი; შესთხოვონ კავადს ქართლის დალაშქვრა. შარაველი შთააგონებს შეთქმულთ — ღალატით მოკლან გორგასალი. „მკვლელს მე ვიშოვნი, მეფისვე ერთგულს!“ — აცხადებს იგი. ყოველივე ზემოთქმული შარაველ პიტიახშის გამცემლური, მოღალატური ბუნების შესახებ და შემდგომ, მის მიერ მეფის ერთგული მეაბჯრის, გაგას, გადმობირება, რათა ამ უკანასკნელმა, შემთხვევის მომენტში, მუხანათურად აღმართოს ხელი ხალხის საყვარელ გმირსა და სახელოვან მეფეზე, ახასიათებენ შარაველს, როგორც სამშობლოს მოღალატესა და გამცემელს, რომელიც მზადაა, თავისი განდიდებისა და პირადი ბედნიერების მოპოვების მიზნით, გასწიროს თანამოძმენი.

ეპოპეა „სამგორის“ სიუჟეტს ორგანულად ერთვის და სრულყოფს მეფის ასულ პირიმზისა და გურამ ბივრიტიანის სახეები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ „სამგორის“ პერსონაჟთაგან პირიმზის ხატება ყველაზე უფრო მიმზიდველად და შთამბეჭდავად მოსჩანს. მეტიც, პირიმზე უკვდავი სახეა ქართველ ქალთა სახელოვანი წინაპრისა, რომელშიაც უაღრესად ქალურ სინაზესა და კდემამოსილებასთან შერწყმულია მამულის სიყვარულით ანთებული გმირული სული, მშობელი ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლისა და თავდადების იდეალი.

პირიმზის ხატება, როგორც ზემოთ დავინახეთ, სულ პირველად ეპოპეის ექსპოზიციურ

ნაწილში გამოჩნდება. შემდეგ იგი გზადაგზა ანათებს ნაწარმოების მთავარ ეპიზოდებს, ხოლო სიუჟეტის ფინალში უაღრესად დრამატულ სიტუაციას ქმნის.

მომხიბვლელია პირიმზის რომანი გურამ ბივრიტიანთან. არც სპარსეთის შაჰან-შას შემონათვალს, რომ გორგასალის ასული მას მისცენ ცოლად, არც ერთმორწმუნე კეისრის თხოვნას, რომ პირიმზე ბიზანტიის დედოფალი გახდეს, არ ძალუძს გაანელოს ტრფიალების ცეცხლი, რომელიც ქალის გულში ახალგაზრდა მწიგნობარსა და რაინდული ბუნების ქართველ ჭაბუკს აუნთია. გურამ ბივრიტიანი სანაქებო თვისებებით შემკობილი მამულიშვილია: „ხელმწიფის თანამოლაშქრე, მკლავით და აბჯრით ძლიერი“, ფილოსოფოსი და რიტორი. იგი, ვახტანგ მეფის მიერ რომს წარგზავნილი ჭაბუკი დესპანი, ბრწყინვალედ განარიგებს სახელმწიფო საქმეებს და თავის მიჯნურთან პირნათლად ბრუნდება. „სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია“. — „ვეფხისტყაოსნის“ ეს სტრიქონი გამოდგებოდა პირიმზისა და გურამ ბივრიტიანის მიჯნურობის დევიზად.

პირიმზის ხატება სამშობლოს განსაცდლის ჟამს აჩენს მთელს თავის ელვარებას. „ლაშქრის დობილი“, გზის პირას, ხელში ოქროს ჯამით მდგომი, ომში მიმავალ მხედრებს ღვინოს აწოდებს და ღიმილით გზას ულოცავს. ხოლო როდესაც მოღალატის ხელმა თავისი გაიტანა და „ვახტანგეთის ტახტმა“ რყევა იწყო, ქალი არამც თუ დაეცა სულიერად, არამედ სწორედ ამ დიდი განსაცდლის ჟამს გამოავლინა მან გასაოცარი გმირობა და სულიერი სიმტკიცე. პოემის სიუჟეტიც დრამატულ გამძაფრებას სწორედ იქ აღწევს, როდესაც მამისა (ვახტანგ გორგასალის) და სატრფოს (გურამ ბივრიტიანის) დაღუპვის შემდეგ, ლაშქრის წინამძღოლობას პირიმზე თვით იკისრებს. იგი „მამის წმინდა ჭრილობას“ აფიცებს თანამემამულეებს, რათა მტერს სამაგიერო მიუზღონ. სამგორის ვრცელ ტაშირზე მრისხანე მტერთან საომრად გასული ლაშქრის წინ ფიცხელ მერანზე ამხედრებული ქალწული ომში რაინდთა მფარველ მითიურ ვალკირიას ჰგავს, რომელიც მოღალატის ხელით განგმირული სატრფოს სისხლში ამოვლებულ, წითლად შეღებილ მანდილს აფრიალებს, „ხელთ ლომის ძარღვებით გაწნული“ ფარი უჭირავს და —

ქარიშხალის მქროლ ფრთებს ასხავს
გაათრებულ ქართლის რაზმებს, —
მხედრებს, გმირებს, ბუმბერაზებს.

უაღრესად გმირული და დრამატულია პირიმზის სიცოცხლის ფინალი. ავტორი სწორად მოიქცა, რომ ამ ხორცშესხმულ მშვენებას მიწაში არ ჩაატანა სამშობლოს მოღალატისადმი სამაგიეროს გადახდის დარდი. პოეტმა პოემის ექსპოზიციურ ნაწილში ერთმანეთს მხატვრული მინიშნებით დაპირისპირებულნი — მეფის ასული პირიმზე და სამშობლოს მოღალატე შარაველ პიტიახში — ნაწარმოების სიუჟეტური კვანძის გახსნისას კვლავ შეახვედრა ერთმანეთს, მაგრამ ახლა — როგორც აშკარა მტრები, როდესაც მოღალატის მხრებს სამშობლოს წინაშე უკვე ჩადენილი შეუნდობარი ცოდვები ამძიმებდა.

მიუხედავად ნარიყალას ციხე-სიმაგრის დამცველთა საოცარი გმირობისა, მრავალრიცხოვანმა მტერმა იმძლავრა:

მთელი სპარსეთი ჩადგა ალყაში,
ლაშქრით გაივსო ირგვლივ ბორცვები,
ციხის სამტვრევი მანქანა დადგეს
ფილაკავანი ლოდის მტყორცნელი.

მტერი ამსხვრევს ციხის ფიქალს, „უკვე მოგლიჯა კუთხის ლოდები“, თბილისელები მაინც მხნედ დგანან, სულიერად არ ეცემიან. ქალები მღერით აწვდიან ისრებს თავგანწირვით მებრძოლ მეციხოვნე მამაკაცებს. კოშკის ქონგურთან დგას პირიმზე, სახეზე „წყნარი კაეშანი“ და სიმძიმილი გადაჰფენია. უეცრად გამოჩნდება მტრის ახალი ტალღა, რომელსაც წინ მოღალატე პიტიახში და მისი თანაშეთქმულნი — ღვირღვა, ფარიჯან და არტავაზ — მოუძღვიან. „ერთხელ გაფითრდნენ, მხოლოდ ერთწამით, რა დაინახეს მოღალატენი“. და, აი, ამ უაღრესად დაძაბულ წუთებშიც მეფის ასულის გამჭრიახი გონება სალად განსჯის და მოქმედებს:

წამით შეირხა თვითონ პირიმზეც,
თვალზე დააჩნდა კურცხალი ცხელი...
მაღლა შეიკრა თმა და უეცრად,
კოშკზე გადმოდგა, ასწია ხელი:
გავწყდით გავთავდით, გნებდებით, კმარა,
რაც სისხლისაგან დავიწრიტენით!
მხოლოდ მობრძანდეს თვით პიტიახში,
რომ ჩაიბაროს ციხის კლიტენი!

მოტყუვდა შარაველ გარდაბანელი, რომელიც საქართველოს მეფობაზე ოცნებობდა, ხოლო პირიმზე დედოფლად სურდა, ციხეში შევიდა.

ხელშუბი ასწია ქალმა პირიმზემ:
— პატივი პიტიახშს, რისიც კი ღირსია!
ეცნენ ცისკარა და ციხოველები,
შეთოკეს, სიცოცხლე ხანჯლის პირზე აქვს!
— მე, მეფის ასული, ვბრძანებ შენს სიკვდილს,
რადგან სამშობლო გააშარავე!..

. . . . . . . . . . .

და მტრის დიდ ზეიმის წუთებში, იქვე,
მშვილდის საბელით დაახრჩვეს შარაველ...

პირიმზე თავს იკლავს:

ბეჭდის თვალიდან შხამი მოწოვა
და გაიყინა, ვით ბროლის წყარო...

პირიმზის მიერ შარაული პიტიახშის ციხეში შეტყუებისა და სიკვდილით დასჯის სცენა მხატვრული წარმოსახვის დიდი სიძლიერით შესრულებული ეპიზოდია, რომელიც დაამშვენებდა პოეტური ეპოსის ყველა დიდ ძეგლს. დღესაც, თუ ნარიყალას ნანგრევების ახლოს ჩაივლით, ქალაქის თავზე გადმომდგარი ქართველი ქალის მონუმენტს გაჰხედავთ და „სამგორის“ ამ ეპიზოდს გაიხსენებთ, შეუძლებელია გარდასულ დროთა ავბედობის ნიავის ქროლვამ საუკუნეთა მიღმიდან თქვენამდე არ მოაღწიოს და პირიმზის ხატება, თბილისის პირველ მეცხოვრეებთან ერთად, როგორც მომხიბვლელი მირაჟი, თვალწინ არ დაგიყენოთ.

პირიმზის სიკვდილით იკვრის „სამგორის“ ძირითადი სიუჟეტური რკალი, მაგრამ მარტოოდენ ზემოთქმულით სრულყოფილად არ იქნება წარმოდგენილი პოეტის მიერ დახატული ქართველ ქალთა ამ სახელოვანი წინაპრის მდიდრული პორტრეტი, თუ არ გავიხსენებთ კიდევ ერთ მომენტს. პირიმზე შთაგონებაა, მუზაა, რომელსაც იდუმალ ეტრფის ვახტანგ მეფის მიერ თბილისის მშენებლობაზე მოწვეული ეგრისელი ჭაბუკი ხუროთმოძღვარი ფარნა. ფარნას რომანი პირიმზისადმი გაუმჟღავნებელია მიუწვდომელი, მაგრამ იგი შემოქმედებითი ცეცხლით აღანთებს ხელოვანს.

— გადამასხურე შენი ნათელი,
უხილავ ცეცხლით გული ხურდება!
ახლაც ღმერთი ხარ!
ისე მწყურიხარ,
როგორც ნაკადულს ზღვა მოსწყურდება!
სად არის ტილო, ან მარმარილო,
ბრინჯაო, რვალი, ქვა და ქაღალდი,
რომ დაიტიოს შენზედ ოცნება,
ჩემი მდუღარე სულის ღაღადი! —

ეს ხელოვანის ოცნებაა პირიმზეზე, როცა პირიმზე ცოცხალთა შორის უკვე აღარ არის. ოსტატმა მთაწმინდის კლდეში გამოჰკვეთა პირიმზის სახე. მან, თითქოს, ღვთაებრივი სული ჩაუდგა უსულო საგანს: „ხედავს, ქვა აღსდგა, ქვაში პირიმზემ ამოახილა, თითქოს, თვალები“... სპარსმა მოლაშქრემ რკინის ხელკეტით დაამტვრია ფარნას მიერ კლდეში გამოკვეთილი ქანდაკება, „ორი ძუძუ-ღა დარჩა ქანდაკის“...

იმ ძუძუს ქვიდან წყარო აჩქეფდა,
სანთელს უნთებდნენ, აყრიდნენ ვარდებს...

ის წყარო დღესაც მოჟონავს მთაწმინდის ეხოში, რომ არ გადახმეს მშობელი მიწა და მასში ყოველმა ფესვმა იხაროს. ფარნა ხუროთმოძღვარიც მთაწმინდის კლდეს შეეზარდა. ათასხუთასი წელია, იმ კლდეში სძინავს დიდოსტატის სულს, რომ ჩვენს დროში კვლავ გამოიღვიძოს და ახალ-ახალი ჩუქურთმები გამოჰკვეთოს. ასეთი მხატვრული განზოგადებით გადაჰყავს პოეტს რეალისტურად დანახული ისტორიული სინამდვილე ლეგენდაში და მშობელი ქვეყნის წარსულს ორგანულად უკავშირებს დღევანდელ დღესთან.

თბილისის პირველ მოსახლეთა შორის ნათლად მოსჩანს ხახარე ტატანელის სახე. ავტორმა იგი სიმღერისა და ლექსთა თქმის მომადლებული ნიჭით აღჭურვა და მშობელი ქვეყნის სამსახურში ჩააყენა. გიორგი ლეონიძემ ხახარეს ხატებაში ქართველ მგოსანთა შორეული წინაპარი დაინახა და თავისთავიც მის მემკვიდრედ წარმოგვიდგინა:

— მე ვნახე და მე ვიპოვე
შენი ჭრელი სალამური! —
ჩემი გულის მისატოლი,
შენის ცრემლით დანამული...

მკითხველის მეხსიერებაში წარუშლელად რჩებიან მედროშე თვალსაცერასა და თბილისის ციხისთავის — ცისკარას — მონუმენტური სახეები. ერთსაც და მეორესაც ავტორი პოემის დასაწყისშივე გვამცნობს, შემდეგ კი მათ მხოლოდ დამახასიათებელ ეპიზოდებში ვხედავთ. თვალსაცერას ეპითეტი „პირნახმლევი“ მის გმირობასა და მეომრულ წრთობაზე მიგვანიშნებს. მეფე მას „გმირ ამირანის შთამომავალს“ უწოდებს (მითის მიხედვით, ამირანს საცრისოდენა თვალები ჰქონდა. აქედან აილო პოეტმა მეფის მედროშის საკუთარი სახელი — თვალსაცერა). ხოლო „ცხელსისხლიანი“ ცისკარა — თვალსაცერას შვილი — პაჭანიგეთს ჰხლებია მეფეს და იქ ფიცხელ ბრძოლებში უსახელებია თავი. მეფემ ცისკარას თბილისის ციხისთავობა უბოძა და ჭაბუკი გმირი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მამაცურად ხელმძღვანელობდა თბილისის დაცვას. ბოლოს იგი შეიპყრეს და საშინელი წამებით მოჰკლეს. „პირნახმლევი“ თვალსაცერა კი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ ავტორმა სასიკვდილოდ არ გაიმეტა ერის მედროშე, რადგან დროშა ქვეყნის ძლიერების სიმბოლოა და მედროშის დაღუპვა პოეტმა, სიმბოლურად, ერის ძლიერების დამხობად მიიჩნია.

წყლულზე დაადვეს მას ირმის ტვინი,
აბლაბუდა და ობობას მტვერი....
და თვალსაცერა სამ თვეზე მორჩა,
თუმც დაღუპულად ჰრაცხავდა მტერი!..

სალიტერატურო კრიტიკაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს გორგასალის მკვლელობის ამბავი — საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ მოკლა მეფე, ანდა რამდენად სწორად მოიქცა პოეტი, როდესაც მეფის მკვლელად მისივე ერთგული მეაბჯრე, გაგა გამოიყვანა. ვფიქრობთ, ეს გაურკვევლობა და აზრთა სხვადასხვაობა ისტორიული წყაროების უზუსტობიდან მომდინარეობს. არსებობს ორი ისტორიული წყარო გორგასალის მკვლელის ვინაობის შესახებ. ეს წყაროები

ერთმანეთისაგან განსხვავებულად წარმოგვიდგენენ საქმის ვითარებას.

„...და ცისკარი რა აღელებოდა, დაესხა და შევლო პალატამდე მეფისა. შევიდა კარავსა შინა მეფისასა (იგულისხმება სპარსთა მეფის — ხუასროს — კარავი, გ. კ.) და შეესწრა ცხენსა ზედა, და ძე მისი ბარტამ მოკლა და მოჰკვეთა თავი მისი. და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა... ხოლო დამძიმდა წყლულება ვახტანგისი, რამეთუ შეწეულ იყო ისარი ფირტუად“[1]. ამ ცნობისაგან განსხვავებით, „საეკლესიო მატიანეს“ ავტორი გორგასალის მკვლელად მისსავე მონაყოფილს წარმოგვიდგენს და არა „ვინმე სპარსს“. „მოიკლა იგი სპარსთა ბრძოლასა შინა მონა-ყოფილისაგან მისისა, რამეთუ იცოდა განახევი ჯაჭვისა იღლიასა ქუეშე; და აღიპყრა რა ხრმალი თვისი, რათა სცეს კაცსა სპარსთაგანსა, მონამან მან ბოროტმან ჰკრა ისარი ღლიას ქუეშე და მით მოიკლა“[2]...

არსებობს აღნიშნული ცნობებისაგან არსებითად განსხვავებული, ხალხური ზეპირსიტყვიერი გადმოცემებიც, რომელთა მიხედვითაც ვახტანგ გორგასალს ცოლი ღალატობს.

გიორგი ლეონიძემ ერთგვარი კონტამინაცია მოახდინა გორგასალის მკვლელობის შესახებ არსებულ ცნობებისა. პოემაში მის მიერ გამოყვანილი მკვლელი — გაგა — არც სპარსია და არც ქართველი, — „უთვისტომოა“, ჰუნების მონაყოფილი. ასეც რომ არ ყოფილიყო, პოეტს ბრალს ვერ დავდებდით ვერც მაშინ, მეფის მკვლელად ქართველი რომ გამოეყვანა. განა ქართველი არ არის შარაველ პიტიახში, რომელიც გორგასალის მკვლელობის მოთავეა! მეაბჯრე გაგა შარაველ პიტიახშის მხოლოდ ბრმა იარაღია. მაგრამ აქ საკითხი ჩვენ სხვა ასპექტში გვინდა დავსვათ: დამაჯერებელია თუ არა გაგას მოქმედება? ვფიქრობთ, მეაბჯრე გაგას მიერ თავისი პატრონის — გორგასალის — მკვლელობის ამბავს აკლია მხატვრული დამაჯერებლობა, რადგან პოემის დასაწყისშივე გაგა ავტორს იმდენად მართალ და მეფის ერთგულ მსახურად ჰყავს გამოყვანილი, რომ მკითხველს შემდგომ უჭირს ერწმუნოს პოეტს გაგას მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმართლეში.

ძირითად იდეურ ხაზს, რომელიც გატარებულია მთელს ამ საგმირო-ისტორიულ ეპოპეაში, განსაზღვრავს სამშობლოს თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის, მისი ცალკეული სამთავროების ერთ მთლიან საქართველოდ გაერთიანებისათვის ბრძოლა.

შემთხვევითი არ არის, რომ პოეტმა თბილისის მშენებელ ოსტატთა შორის, ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეგრისელ ჰაბუკ ხუროთმოძღვარს — ფარნას — მიაკუთვნა. აგრეთვე არც ის გარემოება, რომ სპარსელებთან ბრძოლის ჟამს ვახტანგ გორგასალს მხარში უდგას ეგრისელი უფლისწული, ჯაგუ სამანღირის ძე, თავისი შეიარაღებული და „შეფიცული“ ათასი კაცით. ათასივე მამაცი მხედრით მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა და სამგორის ველზე სამუდამოდ დარჩა ჯაგუ სამანღირის ძე, ვახტანგ გორგასალი არა მარტო ქართლმა დაიტირა, მას გლოვობდნენ, როგორც ჰერ-კახნი, აგრეთვე დასავლეთი და სამხრეთი საქართველო:

კლარჯნი მოსულნი ტიროდნენ მეფეს:
— ვინ დაიჯერებს, გმირო, შენს სიკვდილს?!

პოემა „სამგორში“ გიორგი ლეონიძემ შესძლო გამოეყვანა ხალხის ყველა ფენის წარმომადგენელი და მოქმედებაში ეჩვენებინა იგი. ამაშია უდაოდ ამ ნაწარმოების ერთ-ერთი დიდი ღირსება. საზოგადოების დაბალი ფენის წარმომადგენელთა შემოქმედებითი შრომა პოეტმა, განსაკუთრებით, თბილისის მშენებლობის ეპიზოდებში გამოავლინა. ღვინია და ღვთისო თბილისის პირველ მშენებელთა ტიპიური სახეები არიან.

დიდი ხელკვერი უჭირავს ღვთისოს,
მიერეკება ღვინია ხარებს;
ლოდს ეზიდება ნარიყალასთვის,
დახვითქულ მკერდზე ოფლი სდის ცხარე...
სიმღერით, კვნესით, შრომით და ღვაწლით,
ერი მდაბიო, გლეხი და მონა, —
აშენებს თბილისს ბეგარით, ხარკით...
ისმის კვნესაში ოროველ... ჰონა...

ამ რეალისტურად დახატულ სურათებს შენარჩუნებული აქვთ დროის კოლორიტი, რითაც ავტორს გადავყავართ საუკუნეების მიღმა:

ურმებში შებმული აზავერიბი
და კამეჩები — დევის თვალებით...
საკირის ქვას ჰგლეჯენ და სცრიან ქვიშას...
მექვიშეები... ქვის მზიდავები...

პოემა „სამგორში“, პოეტური ოსტატობის მხრივ, ყველაზე ძლიერად ბატალური სცენებია აღბეჭდილი. მეოცე საუკუნის ქართულ პოეტურ ეპოსში ჩვენ არ გვეგულება სხვა ნაწარმოები, რომელშიაც ომის სურათები ასეთი მასშტაბით იყოს წარმოდგენილი, გიორგი ლეონიძემ აქ მოიმარჯვა მთელი თავისი პოეტური არსენალი. მდიდარი ლექსიკა ფრთიანი სიტყვა, ფოლკლორული მასალა და სხვა მხატვრული შესაძლებლობანი.

ვრცლად არის წარმოდგენილი ომისათვის სამზადისი. „სამესისხლოდ“ დაძრულ კავადს
ხმლის დაკვრით „დედამიწის სარქვლის ახდა“
განუზრახავს. ძლიერ მტერს საკადრისი პასუხის გაცემა უნდა.

1 „ქართლის ცხოვრება“, ტ. I, გვ. 202.
2 თ. ჟორდანია, ქრონიკები... ტ. I, გვ. 50.

საოცრად მგრძნობიარეა მტრის მოლოდინით შეშფოთებული მშობლიური მიწა:

თითქოს მთებიც შეიკუმშნენ
და იორიც თითქოს შეშრა.

მეფე — სტრატეგი განკარგულებას იძლევა. ცისკარა ციხისთავს თბილისის დაცვას აკისრებს. ჯავშანში ჩამჯდარი ლაშქარი დაშვენდა სამგორის ველს გორგასალი, თავისი დარჩეული ბუმბერაზებით, უჯარმის ციხეში შეიხიზნა და გამაგრდა. ლეონიძე აქ ქმნის ბრწყინვალე პოეტურ ჰიპერბოლას:

გაამაყდა წინა ციხე,
წვერი ცამდის აიტანა! —

უჯარმას ეამაყება თავისი სახელოვანი პატრონი.

აქვე პოეტი ჩინებულად გამოჰკვეთს მეფის მედროშის — თვალსაცერას — მონუმენტს, რომლის შესახებ ზემოთაც ითქვა.

ნამსუქნ მიწას, ყანების მზრდელს,
მობნელმწვანო მსუყე ფერით, —
გაუზრდია თვალსაცერა,
კლდის გამდრეკი მუხლის კვერით.
ნადირის რძენაწოვარი,
მუდამ, თითქოს, მყოფი რულში,
დადის, როგორც დიდი, კოშკი,
ღონე უშლის სიარულში...
თმადაგრუზულს, სახემწითურს,
ხელთ შუბი აქვს სისხო სარის...
ძირს არასდროს დაუხრია
სეფე-დროშა გორგასალის...

პოეტს მტრის დასახვედრად გამოჰყავს სრულიად საქართველო: ქართლელნი და ჰერეთკახელნი, შავშნი, კლარჯნი და ეგრისელნი, აზნაურნი და მდაბიონნი. ნაჩვენებია ლაშქრის განლაგება: „წინამავალი, მეუკანოე, მოკინკლავე და მიმტევებელი“, ხოლო მათ შუა, „შიდა— ლაშქარში“, თვით მეფე დგას რჩეული რაზმით.

ლეონიძისეული პოეტური არტისტიზმით არის დახატული ბატალური სცენები. ფუნჯის ოსტატებს, ამ სცენების მიხედვით, შეუძლიათ შექმნან ვრცელი პანორამა და მას სამგორის ტრაგედია უწოდონ. ამ სცენებში მხატვრულ ხორცშესხმას პოულობს „ქართლის ცხოვრებაში“ ამოკითხული ცნობა, რომელიც ავტორმა ეპიგრაფად წარუმძღვარა პოემის მეხუთე კარის პირველ თავს: „...და სამ-დღე ყოველთა დღეთა იბრძოდეს და დაეცემოდა ორთავე სპათაგან ურიცხვი“. ამ სცენებში მართლდება ეპითეტი, რომელიც ავტორმა პოემის მთვარ გმირს — გორგასალს — მოუნახა. „ომის ღმერთი“.

მტერთა სიმრავლეს თავისი გააქვს. უთანასწორო ბრძოლაში ეცემიან ელინური ეპოსის გმირთა დასადარი ვაჟკაცები.

გაგას მიერ ვახტანგის ღალატით მოკვლის შემდეგ ომის ცენტრი თბილისის ზღუდეებისაკენ გადაინაცვლებს და, რაც უფრო დასასრულს უახლოვდება ბრძოლა, მით უფრო დრამატულ სიმძაფრეს იძენს. ამდენად, ნარიყალას დაცვის ეპიზოდი ომის ეპიზოდებიდან ყველაზე მეტი დრამატიზმის შემცველია.

ქვებს აგორებდნენ მეციხოვნენი,
ხერგი და ლოდი მტრისთავს ცვიოდა,
ფისით, მდუღარით ფუფქავდნენ ურდოს,
ძირს მაშხალები გადაწიოდა.
ისარს ტყორცნიდნენ, შუბაკს, ნაკვერცხალს,
იდგა ყივილი, ზარი, ზრიალი,
არა ტყდებოდა თბილისის რაზმი,
სამშობლოს ნების თანაზიარი...

ნარიყალას სამასი მეციხოვნე იცავდა, ალყაში კი „მთელი სპარსეთი“ იდგა. სამასიდან ერთეულებიღა გადარჩნენ, მათ შორის: მედროშე თვალსაცერა, გუთნისდედა ღვინია, მჭედელი ღვთისავარი და ხუროთმოძღვარი ფარნა. მათი გადარჩენა, როგორც ზემოთ თვალსაცერას შესახებ ითქვა, სიმბოლურ, მხატვრულად განზოგადებულ, ხასიათს იღებს.

სამგორის ტრაგედიაში პოეტმა დიდი როლის შესრულება დააკისრა ქართველ ქალებს. მეფის ასული პირიმზე მარტო არა დგას. მას მხარში უდგას სამშობლოს გადარჩენისათვის მებრძოლ მამაც ქალთა მთელი არმია. ავტორი ომისათვის სამზადისისა და თვით ომის პროცესში, ხშირ-ხშირად გამოაჩენს მათ სახეებს, ხან ერთეულებად, ხან მასობრივი სცენების მონაწილეებად.

ფრიალებს ლეჩაქი, ელვარებს ატლასი.
ღლეობა არი ბრძოლის დროს განა?
. . . . . . . . . . . . .
თრთის ძუძუ დედისა. თრთის გული
ქალწულის...
რას ეძებს სამგორზე ქალების თვალი?
რამდენი იმედი დღეს უნდა გამართლდეს.
და რამდენ ძუძუსი განაღდდეს ვალი!
ვინ არ შემოჰხედავს ამ ბორცვის
სიწმინდეს —
სხივნაყარ სახეებს, ღმერთებს რომ ჰგვანან!
ქართველი დედები, ქართველი ქალები,
საომარ დროშის ქვეშ დგანან!

მეტიც, ქალები უშუალოდ ებმებიან ფიცხელ ბრძოლაში.

გიორგი ლეონიძე ეპოპეა „სამგორში“ ხშირად მიმართავს პოეტურ მოულოდნელობებს, როგორც მხატვრულ ხერხს. ერთ-ერთი დასამახსოვრებელი ეპიზოდი, ამ მხრივ, ბრძოლის პროცესში მოისარ ქალთა გამოჩენის მომენტია:

და უეცრად ხეებიდან
წამოვიდა ისრის წვიმა...

სიკვდილი ვინ გადმოწვიმა?
ვერას ხედავს მტერი წინა!..

. . . . . . . . . . . . . . .

სწვავს ტყეს მტერი, ჰკაფავს, ლეწავს,
შემმუსვრელი და მოძალე.
და ხეებზე ხედავს ქალებს —
ისრის მტყორცნელ ამორძალებს.

მოისარ ქალთა რაზმს „ბერდედა“ წინამძღვარობს. იგი, მშვილდოსან ქალებთან ერთად, თავადაც ხეზე გასულა და იქიდან ხშირ-ხშირი შეძახილებით ამხნევებს მამაცურად მებრძოლ ქალებს.

დაბოლოს, როდესაც მტერი ნარიყალას ციხის წინააღმდეგობას გასტეხს, ქალები, რომლებიც უკანასკნელ შესაძლებლობამდე „მღერით აწვდიდნენ ისრებს მეციხოვნე მამაკაცებს, უარს აცხადებენ კლდეში ნაშენებ გვირაბში ჩასვლასა და დამალვაზე.

— მტრის შესაბილწად რომ არ შევიქმნეთ,
თქვენვე გაგვწირეთ თქვენივე ხელით! —

ყელგადაწევით ეხვეწებოდნენ მანდილოსნები ქმრებს.

— ჩვენს დამდაბლებას, ჩვენს დამცირებას
ნუ დაგვანახვებთ ჩვენივე თვალით!
ძმებს დაჩოქილი შესთხოვდნენ დები,
რომ გადეხადათ და-ძმობის ვალი.

ეს მოტივი, როგორც ჩანს, გიორგი ლეონიძემ ვაჟა-ფშაველას — ბალადა „ბაკურიდან“ ისესხა, თუმცა ვაჟას ბალადასაც, თავის მხრივ, ანალოგიები ხევსურულ ხალხურ პოეზიაში მოეპოვება. როდესაც მტერმა თბილისი დაიპყრო და ქართლი დაბეგრა, ერის საერთო გულისთქმაში მძლავრად ისმოდა ქართველ ქალთა გლოვა-ლალადი. მათ ფიცით გამოაცხადეს უარი ოქრო-სამკაულთა ტარებაზე, სანამ თბილისი კვლავ არ აღსდგებოდა და მტრის უღლისაგან არ განთავისუფლდებოდა. ბეჭდები და სამაჯურები წაიძრეს, „ყელოქრო“ და საყურეები ჩამოიხსნეს, შავად შეიმოსნენ .

აკვნებს მიუსხდნენ, ნანა უმღერეს,
რომ გაზრდილიყო ქვეყნის დამხსნელი...

ასე წარმოგვისახა პოეტმა თანამედროვე ქართველ ქალთა სახელოვანი წინაპრები და მათი ნამოღვაწარი.

გადარჩენილი თვალსაცერა ფარულად ინახავდა ეროვნულ დროშას. ღვთისავარის სამჭედლოც არ ჩამქრალა. ნელ-ნელა აღსდგა და აღორძინდა ქვეყანა. აჯანყდა, აზვირთდა ხალხის ენერგია და მისმა ძალამ კვლავ წალეკა მტერი. „ფერხთ დაუხალეს მტრის დროშა ვახტანგს“, რითაც ქართლისა და მისი პირმშო თბილისის აღდგენა ახარეს.

პოემის პროლოგში პოეტი ახალი ქართლის ხარაჩოებიდან გადასცქერის მშობელი ქვეყნის წარსულს — სამგორისა და თბილისის ათასხუთასი წლის ისტორიას, რომელიც მთელს ამ ვრცელ ნაწარმოებში შემოქმედებითად ეხმაურება და დასტურს აძლევს ჩვენს დღევანდელ დღეს.

გიორგი ლეონიძის პოეტური შთაგონების ერთ-ერთი წყარო, არის მდიდარი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერება. პოეტი უხვად იყენებს ფოლკლორულ მასალას, მაგრამ არასდროს არ ახდენს მის სტილიზებას; ყოველთვის შემოქმედებითად აღიქვამს და ორიგინალურ მხატვრულ ბეჭედს ასვამს ამას. ასევე მოიქცა იგი პოემა „სამგორშიაც“, სადაც ნაწარმოების ჟანრულმა თუ ისტორიულმა ხასიათმა, უკეთ, ორივე ამ მომენტმა ერთად, დიდი შესაძლებლობა მისცა მას გამოევლინებინა ფოლკლორულ მასალასთან მისვლის თავისებური ხერხები. ზოგ მასალას მან, მკითხველისათვის სრულიად მოულოდნელად, გვერდი აუარა. მაგალითად, როგორც ზემოთ ითქვა, მან არც კი მოიხსენია. ცნობილი ლეგენდა ხოხბის შესახებ, რომელიც გორგასალის ნადირობისა და თბილისის ცხელი წყაროების აღმოჩენის ამბავს შეიცავს. სამაგიეროდ, პოეტმა ჩვენი წარსულის რეალურ სინამდვილეს ბუნებრივად დაუკავშირა ლეგენდა სამგორის შესახებ. ლეგენდის ერთ-ერთი ვარიანტი მოგვითხრობს, რომ სამგორის ველზე ოდესღაც დიდი სისხლისმღვრელი ბრძოლა გამართულა და ის სამი ბორცვი, რომლებსაც ჩვენ ახლა ამ ველზე ვხედავთ, დახოცილ მეომართა ძვლებიდან წარმოქმნილა. აქედან წარმომდგარა თვით ამ ველის სახელწოდება — „სამგორი“ (სამი გორა). ხალხური ლეგენდა ამის მეტს არას გვეუბნება, მაგრამ პოეტის ფანტაზიამ ამოხსნა ლეგენდაში ჩამარხული საიდუმლო .

ავტორი ისეთი რწმენით მოგვითხრობს ამ ამბავს, თითქოს საკუთარი თვალით ეხილოს იგი:

არ ინახვებოდა ცოდვით ის ალაგი,
სადაც დღეს სამი გორაა მდგარი,
მუხლები ჩაუწყდათ საკაცის მზიდავებს,
იმდენი მოზიდეს სამგორზე მკვდარი...

სამ წელს სამგორის ველზე სისხლი არ ამშრალაო, იქ დიდი ხნის განმავლობაში ცხვარი ბალახს არა სძოვდაო — გვარწმუნებს პოეტი, მის ხსოვნას თითქოს უტყუარი ცნობები შემოუნახავს სამგორის ველზე დატრიალებული ტრაგედიის მონაწილე გმირებზე:

პირველ გორაში ჰერ-კახნი წვანან,
მათთან ერთად წევს ბივრიტიანი.
შუა გორს — ფარსმან, არმაზის ლაშქრით,
ზემო გორს — ჯაგუ, ვაჟი ფრთიანი...

გმირებთან ერთად, ომში დახოცილი, საომრად შეჯავშნული მათი ცხენებიც მარხია. პოეტი საუკუნეთა მიღმა გადასძახის და ხმას აწვდენს გმირებს, რომლებთანაც მას, ოდესღაც, თითქოს, პირადი ნაცნობობა ჰქონოდა. ესენი არიან: „ცათა სწორი“ გმირი ფარსმან — ქართლის სპასალარი; ჯაგუ — ეგრისელთ უფლისწული, რომლის სულს სამგორზე „ჭიანურის კვრით“ ეძებდნენ ეგრისელები; გურამ ბივრიტიანი, რომელმაც საქრისტიანოს დახსნის ცდაში მთელი რომი და ბიზანტია შეაჯერა; „კლდის მონაკვეთი“ არჯევან და სხვები.

მგზავრო, შეხედე სამ გორს, სამგორზე,
გგონია მართლა სამი ბორცვია? —
არა და არა! სამივე გორა
ხალხის სისხლი და ხალხის ხორცია!
დიდების ველი საქართველოსი!...
იგი დაცხრილეს ძველად ისართა;
აქ გორგასალის ჩაწვა ლაშქარი,
ველზე სამ გორად ამოიზარდა!

ასე წაშალა პოეტმა ზღვარი სინამდვილესა და ლეგენდას შორის. ძნელია გარჩევა სად თავდება პირველი და სად იწყება მეორე მათგანი. გიორგი ლეონიძემ გორგასალის მკვლელის — გაგას სახელს დაუკავშირა თქმულება შხამიან ხეზე — ილღუნზე. ამ უკანასკნელში, ვფიქრობთ, ავტორმა გამოიყენა დიდი რუსი პოეტის პუშკინის მიერ თავის დროზე გენიალურად დამუშავებული მოტივი, რომელსაც ქართული ელფერი მისცა. გ. ლეონიძის ილღუნი ძლიერ ჰგავს პუშკინის ანჩარს.

ტანდალრეკილი, ნალარ-ნახეთქი,
და დასუნთქული შხამიან ქარით,
მძორიან სუნით, მქისე ფოთლებით,
ხე ნაღვლიანი სისინით მდგარი...
რამდენი არის მისი მხილველი,
არ ეკარება ამ ხეს ფრინველი...
(გ. ლეონიძე)

...К нему и птица не летит,
И тигр нейдет: лишь вихорь черный
На древо смерти набежит —
И мчится прочь уже тлетворный.
(А. С. Пушкин, «Анчар»)

ლეგენდაში გადაზრდილი გმირები არიან პირიმზე და ფარნა, რომელთა შესახებ ზემოთ უკვე ითქვა. აქ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ლეგენდა პირიმზის მშვენებით შთაგონებული ჭაბუკი ხუროთმოძღვრის — ფარნას — კლდესთან შეზრდისა ხალხური წყაროებიდან არ მომდინარეობს, იგი ავტორის გამონაგონია, მისი პოეტური ფანტაზიის ნაყოფი.

გარდა ხალხური ლეგენდებისა, „სამგორის“ ავტორი ხშირად მიმართავს ხალხურ თქმულებათა თუ ზღაპართა ცალკეულ მოტივებს გამოიყენებს.

დიდხანს ეკიდა თბილისის ბჭეზე
ძვლით მოლურსმული ვახტანგის ფარი,
ფარზედ ეხვია პირიმზის თმები,
აბრიალებდა ნაწნავებს ქარი...
ამვლელ-გამვლელნი თავს დაუკრავდნენ,
და მომღერალი ქებას მღეროდა,
შეირხეოდა უეცრივ ფარი,
როცა სამშობლოს საფრთხე ელოდა.
გაიშლებოდა ორად ნაწნავი,
თუ მტერი თბილისს ემუქრებოდა,
ამბობენ, რეკაც ისმოდა ფარის,
ცისკრის ვარსკვლავი როცა ქრებოდა.

ამ სტრიქონების წაკითხვისას უთუოდ გაგახსენდებათ დიდი ქვეტექსტის შემცველი, ხევსურული საგმირო პოეზიის პატარა შედევრი —

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოჟა ჯუხაის ფარიო,
მაუვლის ომის სურვილი,
ხანდახან შასძრავს ქარიო.

გიორგი ლეონიძემ უღავოდ შემოქმედებითად გამოიყენა ეს შესანიშნავი ხალხური ლექსი, როდესაც პირიმზის თმებს იგივე ძალა მიანიჭა, რაც გორგასალის ფარს. იქ თუ ფარი ირხევა, აქ ნაწნავი ორად იშლება. ვახტანგის ფარიც და პირიმზის თმებიც თანაბრად გრძნობენ სამშობლოს განსაცდელის მოახლოვებას, აფრთხილებენ შთამომავლობას განსაცდელის ჟამს არ მიატოვონ მშობელი ქვეყანა. პოეტი შეაგონებს მკითხველს: ცისკრის ჟამს, თურმე, ვახტანგის ფარის რეკაც კი ისმოდაო. მკითხველს მოეხსნება, რომ მსგავსი მოტივი დიდმა ქართველმა პოეტმა ვაჟა ფშაველამ მხატვრულ პროზაშიაც გამოიყენა, როდესაც ბათურის ხმალს, დაახლოებით, იგივე მაგიური ძალა მიაწერა, რასაც ხალხური ლექსი ჯურხაის ფარს მიაწერეს.

„სამგორი“ ვრცელი ეპიკური ნაწარმოებია. იგი, დაახლოებით, სამიათასრვაას სტრიქონს მოიცავს. პოემა შედგება ექვსი კარისაგან. თვითეული კარი დაყოფილია თავებად, თავები — ქვეთავებად. პოემის ძირითად ტექსტს დართული აქვს პროლოგი და ეპილოგი, რომლებიც მიზნად ნაწარმოების რკალის შეკვრას ისახავენ. პოემის პირველი კარი იხსნება სამსტროფიანი წინათქმით, ხოლო მთელს ნაწარმოებს (ეპილოგის შემდეგ) დართული აქვს სამსტროფიანივე მიმართვა ახალი „ქართლისადმი“.

ორიოდე სიტყვა „სამგორის“ პროლოგისა და ეპილოგის შესახებ. პოემის პროლოგს ეპიგრაფად წინ უძღვის ცნობილი ქართული ხალხუ-

რი ლექსის ერთი სტრიქონი — „..ციდან ჩამოესმა რეკა“...

ხალხური ლექსი, რომლის სტრიქონიც გ. ლეონიძემ პოემა „სამგორის“ ეპილოგს ეპიგრაფად წარუმძღვარა, საგმირო-ისტორიული ფოლკლორის ბრწყინვალე ნიმუშია. აღნიშნულ ლექსს საქართველოში უდიდესი გავრცელება ჰქონია. იგი, როგორც ჩანს, საფერხულო სიმღერათა რეპერტუარს განეკუთვნებოდა.

ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, —
ციდან ჩამოესმა რეკა,
იალბუზზე ფეხი შედგა —
დიდმა მთებმა იწყეს დრეკა.

ამ ლექსში ქართველმა ხალხმა გამოხატა უდიდესი სიყვარული თავისი ეროვნული გმირისადმი, გააიდეალა იგი, ღვთის საყვარელ გმირად გახადა, ღმერთს მიუახლოვა.

ვახტანგ მეფე ომში იბრძვის,
ღმერთმა ხმალი მიაწოდა.
ვახტანგ მეფე ღვინოს სვამდა,
ღმერთმა ყანწი მიაწოდა

ვკითხულობთ მეორე ხალხურ ლექსში[1]. ციური ზარის რეკა მხოლოდ რჩეულთა ყურს ესმისო — ყოფილა ხალხში გავრცელებული რწმენა. პოემა „სამგორის“ პროლოგის პირველი ქვეთავი ზემოთმოტანილი ხალხური ლექსის („ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა“...) თავისებურ პოეტურ ანტითეზას წარმოადგენს: არა ციდან ირეკება ეს უცნაური ზარი, არც ტაძართა სამრეკლოებიდან, იგი „გმირთა ხელით ხალხის გულში“ დარხეული უკვდავების ზარის რეკვაა. ამის შემდეგ, პროლოგის მეორე ქვეთავში, პოეტი მიმართავს ძველ ციხე-სიმაგრეთა ნანგრევებში დაბუდებულ წარსულის სულს და გამოსთხოვს, რათა მან გაუნათოს გორგასალის ცხოვრებისა და ბრძოლის ეპიზოდები, თვალწინ დაუყენოს სამშობლოსათვის თავდადებული „ქართლის ბუმბერაზის“ სახე.

ბოლო — მესამე — ქვეთავი პროლოგისა პოემის ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟის, პირიმზის, ხატებაზე მინიშნებას წარმოადგენს:

აიმართება უჯარმის ციხე,
ბრწყინვალებს კოშკის ბოლო სარკმელი,
სარკმელში მოჩანს ქალი მდუმარე
ჩემი ოცნების გადამსარკველი.
. . . . . . . . . . . .
მე ვეკითხები ჩაწნულ უსურვაზს:
ბედმა კეთილი ქალს არ უსურვა?
სიყვარულის დღე მას არ ეღირსა?
პასუხად მესმის თრთოლა ვერხვისა,
ქლრიალი ოქროს სამაჯურისა
და ნატირალი ხმა მიჯნურისა...

პირიმზის ხატება, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ამშვენებს მთელს ამ ნაწარმოებს. ვახტანგ გორგასალი, პირიმზე და გურამ ბივრიტიანი მშობელი ქვეყნის კეთილდღეობისათვის მებრძოლნი — დადებითი გმირები — არიან. სწორედ ამიტომ მათზე, როგორც ნაწარმოების მთავარ პერსონაჟებზე, პოეტმა პოემის პროლოგშივე მიგვანიშნა. ისინი სამივენი მხატვრულ ხორცშესხმას პოულობენ პოემაში. ამდენად, პოემის პროლოგი ამართლებს თავის მხატვრულ დანიშნულებას — იგი ხსნის ნაწარმოების კომპოზიციურ რკალს, აღძრავს მკითხველში ინტერესს პოემის გმირებისადმი.

რაც შეეხება პოემის ეპილოგს, უნდა ითქვას, რომ იგი მხატვრულად, პროლოგთან შედარებით, ნაკლებ მთლიანია და ნაკლებ შთამბეჭდავი. ეპილოგის ექვსი ქვეთავიდან ზოგიერთი შეიძლება უმტკივნეულოდ იქნას ამოღებული ისე, რომ ნაწარმოების ორგანული მთლიანობა არ დაირღვეს. მიუხედავად ამისა, პოემის ეპილოგი ნაწარმოებში განვითარებული ამბების შემდეგ, პოემის „პროლოგისა“ და „წინათქმისადმი“ („ჩემი ნათქვამი იქნება შორი...“) ერთგვარი პოეტური გადაძახილია, რითაც ავტორი ცდილობს დღევანდელი დღე დაუკავშიროს ჩვენს სახელოვან, გმირულ წარსულს და ამით მეტად განამტკიცოს რწმენა აწმყოსა და მომავლისადმი.

„სამგორში“ გიორგი ლეონიძემ გამოავლინა, თითქმის, მთელი ის შესაძლებლობანი, რაც, საზოგადოდ, დამახასიათებელია მისთვის, როგორც პოეტისათვის: მხატვრული მოულოდნელობანი, მეტაფორული აზროვნება, ფრთიანი ფრაზები, პოეტური მინიშნებანი, მდიდარი ენობრივი ლექსიკა.

აი, მხატვრული მოულოდნელობის ერთი მაგალითი: გურამ ბივრიტიანის დაბრუნება. მეფის ასულის, პირიმზის მიმინომ ძეწკვი აწყვიტა და დაიკარგა. ყველანი შეშფოთებულნი დაეძებენ. პირიმზემ მთელი ველ-მინდორი შემოირბინა ცხენდაცხენ. ვერსად იპოვნეს მიმინო. სასახლეში დიდი აურზაურია. „ვინ მიჩვენებს ჩემს მიმინოს, მე თავი ვინ შემაყვარა?“ — ოცნებობს პირიმზე მიმინოს გამოჩენაზე.

გზას გაჰხედეს, შავი მტვერი
ტრიალებდა, როგორც ბორა,
წამს მხედარმა მოაქროლა
კავშა ცხენი კოჰიბროლა.

ერთი ისრის მოსაწევზე
მან მოსწყურ: ბედაური....
ქალი შეკრთა... ქალთან იდგა
სიხარულის მეთაური... —

---

[1] „ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება“, I, გვ. 53.

ეს — პირიმზის სატრფო, გურამ ბივრიტიანი დაბრუნდა ბიზანტიიდან იქ დესპანად ყოფნის ცხრამეტი თვის შემდეგ. მხატვრულ მოულოდნელობასთან ერთად, აქ ყურადღებას იპყრობს ფსიქოლოგიური პარალელიზმი: გურამ ბივრიტიანი — გაფრენილი, დაკარგული მიმინო. ნამდვილი მიმინო კი, თითქოს ყველას გადაავიწყდა.

პოეტი ფრთიანი ფრაზით აძლიერებს თბილისის პირველი ხუროთმოძღვრის — ფარნას — სახის შთამბეჭდაობას:

თუ მარმარილოს ეძინა ქართულს,
ხელახლა ფარნამ გამოაღვიძა.

ომის გამძაფრებაზე ასე ძიგვანიშნებს:

როგორ გახშირდა ბუკის ხმა,
უმხედრო ცხენთა ჭიხვინი!..

პოემაში გვხვდება შესანიშნავი პეიზაჟური ჩანახატები:

ცხენს აუჩქარა მეფემ... გადაღმა,
მთაზე ირმები იდგნენ ნებივრად...
ირმებს უმზერდა მეფე ვახტანგი,
მზე ჩამავალი რქებზე ეფინათ.

(კარი 2, თავი მე-2);

ანდა:

იკუმშებოდნენ თბილისის თავზე
ვეფხვის ტყავივით ჭრელი ღრუბლები...

(კარი 1, თავი მე-2).

„სამგორისათვის“, ისე, როგორც გ. ლეონიძი მთელი პოეტური შემოქმედებისათვის, დამახასიათებელია მდიდარი ენობრივი ლექსიკა. ავტორი ხშირად მიმართავს თავის საყვარელ მხატვრულ ხერხს — ახალ სიტყვათქმნადობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ახალ სიტყვათქმნადობის პროცესში ავტორი ყოველთვის ვერ აღწევს სასურველ შედეგს, ზოგჯერ ახალი სიტყვა ხელოვნურად გამოიყურება და საეჭვოა იგი დამკვიდრდეს ქართულ მეტყველებაში: „ცხენმხედარი“ („ცხენმხედარის დგრიალი“, კარი IV, თავი მე-2); „ნამოგონარი“ („ცოცხლობს ამ წარსულ ნამოგონარში“, ეპილოგი) და მისთ.

პოემაში ვხვდებით პოეტურ ლიცენციებს: „სამი სოფელი სიგლით უბოძა“ (კარი IV, თავი მე-2), „და თქვენ ტყავს გავტენ ბზით და ეკალით“ (კ. IV, თ. მე-4).

„სამგორის“ პოეტური ენა გიორგი ლეონიძისათვის დამახასიათებელი მაღალმხატვრულობით არის აღბეჭდილი, მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ნაწარმოებში, ამ მხრივ, ყველაფერი უნაკლოა. აქა-იქ გვხვდება არაბუნებრივი ინვერსიები და უხერხული თქმები: „ზიარებაზე ფიცს ლაღადებდნენ, მტრის უმოწყალო დაზარალების“ (კარი V, თ. მე-4); „სისხლის წვეთი ვართ, ჩემო ხელმწიფევ, სადაც გაჭირდეს, იქ დავიღვრებით...“ (კარი IV, თ. 2); „შიდა ლაშქარში იდგა ვახტანგი, მტერთან შეხვედრის წუთის დამთვლელი“ (კარი V, თ. მე-4)..

მთელი ეპოპეა, ძირითადად ცალფარითმიანი ლექსით არის გამართული, მაგრამ ლეონიძისეული სტრიქონის ძალა გვაიძულებს ყურადღების ცენტრი ლექსის შინაგან ძარღვიანობაზე გადავიტანოთ და ცალფარითმიანობა არ განვიცადოთ, როგორც ლექსის ნაკლოვანი მხარე. ზემოთ, ნაწარმოების მხატვრული ანალიზის პროცესში, „სამგორს“ ჩვენ პოემასაც ვუწოდებდით და ეპოპეასაც და ეს — სრულიად შეგნებულად. ნაწარმოების საერთო მოცულობამ, ეპიზოდების სიმრავლემ, მათში ჩატეული ამბების სირთულემ და სიფართოემ, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, ამ ეპიზოდების გავრცობამ მოგვცა ამის უფლება. ეპიზოდების სიმრავლე, მათი გავრცობა, ამბის თხრობის ფრაგმენტულობა და ლირიკული განდგომები, ანელებენ „სამგორის“ სიუჟეტის საერთო დინამიკას, ძნელად ასაქმელს ხდიან ნაწარმოების შინაარსს. ცალკეული ეპიზოდების შიგნით ეს გარემოება ნაკლებ შეინიშნება, ხოლო პოემის ბოლო თავებში სრულიად ქრება — სიუჟეტი თანდათან უფრო კონდენსირებული ხდება და დრამატულ სიმძაფრეს იღებს.

სამგორი“ თანამედროვე ეპიკური პოემაა. იგი, როგორც ამ გამოკვლევის დასაწყისში იყო აღნიშნული, თავისი ჟანრული ხასიათით სიკურ პოემას უახლოვდება, მაგრამ ჩვენი აწმყო, და მომავალი პოეტური ეპოსის ახალ, თავისებურ ფორმებს გამონახავს და ეს იქნება ახალი კლასიკა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე კოჭლავაშვილი

# უცნობი მასალები ილიაზე

ილია ჭავჭავაძემ სტუდენტობიდანვე მიიპყრო მეფის „ოხრანკის" ყურადღება და სიკვდილამდე თავი ვერ დააღწია მას. ჟანდარმერია ილიას მოღვაწეობას მუდმივად თვალს ადევნებდა, განსაკუთრებით ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების მკვეთრ შემობრუნებათა პერიოდში, როდესაც ცენტრსა და ჩამორჩენილ, განაპირა მხარეებს შორის წინააღმდეგობა მწვავდებოდა, რასაც განსაკუთრებით აღრმავებდა „მეფის თვითმპყრობელობის მხრივ პოლიტიკური, სულიერი და ეროვნული ჩაგვრა".

ერთ-ერთ ასეთ პერიოდს წარმოადგენდა გასული საუკუნის 80-იანი წლები, როდესაც რეაქციამ ახალი შეტევა გაშალა პროგრესულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. ამ დროს ილიამ შემოიკრიბა მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა და მისთვის ჩვეული გამბედაობითა და თავდადებით შეებრძოლა მოძალებულ რეაქციას. ილიას შებრძოლებასთან დაკავშირებით პოლიციის დეპარტამენტმა 1884 წლის აპრილში (და არა ივნისში, როგორც ზოგჯერ აღნიშნავენ) გადაწყვიტა ილიას მიმართ ფარული მეთვალყურეობა დაეწესებინა. დეპარტამენტი 1884 წ. 15 აპრილს ამის შესახებ თბილისის საგუბერნიო ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს სწერდა: „რადგან პოლიციის დეპარტამენტს აქვს ცნობები... ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძისა და... ევნატე ონისიმეს ძე იოსელიანის საეჭვო პოლიტიკურ საიმედოვნეობის შესახებ... გთხოვთ... დააწესოთ აღნიშნულ პირებზე ფარული მეთვალყურეობა და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მათგანი წავა თქვენი მომსახურების რაიონიდან, მათ შესახებ აცნობოთ ადგილობრივ ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს" (ცსსა მოსკოვში, ფონ. 102, საქ. 1168, ფურც. 3, 8). ასეთი მკაცრი მეთვალყურეობა ილიაზე დეპარტამენტმა განუსაზღვრელი ვადით დააწესა (ცსა თბილისში, ფონ. 17, საქ. 217, ფურც. 293, 301).

დეპარტამენტის ამ განკარგულებას ჟანდარმერია დიდი გულმოდგინებით ასრულებდა. ეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი საზოგადოებისათვის. მაგრამ დღემდე უცნობი იყო ის, თუ რასთან დაკავშირებით მიიღო დეპარტამენტმა თავისი ეს გადაწყვეტილება, კონკრეტულად რას შეიცავდა მის განკარგულებაში არსებული მასალა და ვინ უნდა ყოფილიყო ილია ჭავჭავაძის დამსმენი ჟანდარმერიაში.

მემუარული ლიტერატურისა და უმთავრესად კი ახლად გამოვლენილი საარქივო მასალების მოხმობით, ახლა შესაძლებელი ხდება ნათელვყოთ ეს საკითხები, რომელთაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ როგორც ილიას ბიოგრაფიის, ისე საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის შესწავლაში.

გასული საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეინიშნება მნიშვნელოვანი ძვრები რუსეთის მუშათა კლასის პოლიტიკური გამოღვიძებისა და აქტივობის ზრდის სფეროში, ხოლო განაპირა მხარეებში, აგრეთვე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანდათანობით გაძლიერება, რასაც განაპირობებდა მეფის მთავრობის შოვინისტური პოლიტიკა. თვითმპყრობელობამ გააძლიერა ეროვნული ჩაგვრა. რამდენადაც ძლიერდებოდა და აუტანელი ხდებოდა ეს უკანასკნელი, მით უფრო იზრდებოდა მასების უკმაყოფილება, არსებული წყობილების საწინააღმდეგო განწყობილება და პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა.

1881 წ. პირველ მარტს ნაროდოვოლცებმა მოკლეს სისხლიანი მეფე ალექსანდრე მეორე. ალ. ჯაბადარის გადმოცემით, ამ აქტმა უკეთესი მომავლის იმედი ჩაუნერგა მოწინავე ქართველ მოღვაწეებს, მთელ ქართველ ხალხს („მნათობი", 1934, № 1-2, გვ. 260). დიდმა აკაკიმ თავისი აღფრთოვანება ამ დღეს საგანგებოდ დაწე-

რილ ლექსში („გაზაფხული“) გამოხატა: „მოვესწარი, რაც მინდოდა ზამთრისაგან დაჩაგრულსა“. მას გამოეხმაურნენ მუშა-მგოსანი იოსებ დავითაშვილი, პოეტი ქალი ბარბარე ჯორჯაძე და სხვანი. მაგრამ ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს აღფრთოვანება. მეფის მოკვლამ ოდნავადაც ვერ გააუმჯობესა ხალხთა მდგომარეობა. ტახტზე ასულმა ახალმა მეფემ უარეს პირობებში ჩააყენა ისინი. დაიწყო უფრო სასტიკი რეაქცია. მთავრობამ დაარბია ნაროდოვოლცელთა ცენტრი, კავკასიაში მეფისნაცვლის ინსტიტუტი მთავარმართებლობით შეცვალა, საგანგებო უფლებებით აღადგინა გენერალ-გუბერნატორობის სისტემა, გააძლიერა ჟანდარმერია და პოლიცია, დააწესა უმკაცრესი საცენზურო რეჟიმი, პირწავარდნილ შავრაზმელებს დაუქვემდებარა პრესა, სკოლა, ეკლესია. შოვინისტური რეაქცია მთავრობის მხარდაჭერით გაშლილ შეტევაზე გადავიდა ყველა სფეროში, უპირველესყოვლისა კი მშობლიური ენის, ეროვნული კულტურისა და ტრადიციების წინააღმდეგ. ფართო გასაქანი მიეცა პოლიტიკურ ბეზღობასა და ენის დევნას, რაშიც განსაკუთრებით თავი ისახელეს კატკოვებმა და იანოვსკებმა. რეაქციის სუსხიანი ხელი საქართველოსაც მისწვდა.

ეროვნული ჩაგვრის ახალმა სახიფათო ტალღამ აღაშფოთა ქართველი ხალხი, მისი მოწინავე და, პირველ რიგში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ილია ჭავჭავაძე, რომელმაც კატკოვის ბინძური საქმიანობის გაკრიტიკებით არსებითად ცარიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა. იგი წერდა: კატკოვის პოლიტიკური მაბეზღარობის გაფურჩქვნა, მისდამი ხელისშეწყობა იმის აშკარა მაუწყებელია, რომ არსებულ „წყობას საძირკველი შერყევია და აღსასრული მოახლოვებია“. აღსანიშნავია, რომ ილიას მკვეთრ გამოსვლას თავისი ქვეყნის დასაცავად დიდი თანაგრძნობით შეხვდა რუსეთის მოწინავე საზოგადოებრიობა. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ თვით გაზეთმა „გოლოსმაც“ კი, რომელიც კვერს უკრავდა და აღვივებდა არარუსი ხალხების ჩაგვრას, თავი ვერ შეიკავა და კატკოვის ირგვლივ ატეხილ ამბავს გამოეხმაურა, თუმცა თავისებურად („ლიტერატურული გაზეთი“, 1958, № 19).

გასაგებია, რომ ილია ჭავჭავაძის ასეთი მამხილებელი გამოსვლა, რამაც დიდი რეზონანსი გამოიწვია მთელ რუსეთში, არაფრად ეჭაშნიკა რეაქციას და უფრო მკვეთრად შეუტია ურჩ ხალხსა და მათ მოწინავე ადამიანებს. მიუხედავად ამისა, ილია არ შემდრკალა. არც მოწინავე მოღვაწეთ დაუხევიათ უკან. ილიას ირგვლივ გაერთიანდნენ სხვადასხვა მიმართულებათა ჯგუფები და წარმომადგენლებიც კი — „ივერია“, „დროება“, „იმედი“, „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ინტელიგენცია, მოსწავლე ახალგაზრდობა. ამ გაერთიანების ქვაკუთხედს, შეხების საერთო წერტილს წარმოადგენდა ეროვნული პრობლემა — ერის დაცემული ვინაობის აღდგენა, ეროვნული ჩაგვრისადმი შეწინააღმდეგება. ასეთ რთულ და, შეიძლება ითქვას, სახიფათო ვითარებაში ილია საოცარ გამბედაობას იჩენს და მოწოდებით მიმართავს საზოგადოებას: „ყველამ, ვისაც რა შეუძლიან ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად ძმურად იმოქმედოს“ („ივერია“, 1881, № 5). საგულისხმოა, რომ ილიას ეს ერთობ გაბედული მოწოდება უყურადღებოდ არ დარჩენილა, პირიქით, დემოკრატიის ინტერესთა დაცვამ უფრო მეტად შეამჭიდროვა ძალები. „იმედისტებიც“ კი, რომელნიც, საერთოდ, წინა პლანზე ეკონომიურ საკითხებს აყენებდნენ, ილიას მხარეზე გადავიდნენ. ბევრი მათგანი „ივერიელთა“ პოზიციას მიემხრო ცარიზმის ეროვნული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „იმედისტების“ პოზიციის მნიშვნელოვანი შეცვლა, ადგილობრივ ვითარებასთან ერთად, განაპირობეს საერთო-სარუსეთო მოვლენებმაც: საქმე ისაა, რომ ნაროდოვოლცელებმა ჯერ კიდევ მეფის მოკვლამდე განიცადეს სერიოზული პოლიტიკური მარცხი — მათ არ გაჰყვნენ არა მარტო მუშები, არამედ გლეხობაც, რომელსაც ისინი საზოგადოების ერთადერთ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდნენ. ტაქტიკა შეიცვალეს და ტერორის გზას დაადგნენ, მაგრამ მეფის მოკვლისთანავე მიხვდნენ, რომ არც ეს გზა უქადდა მათ სასურველ მომავალს. ამასთან, ხელმძღვანელი ნაროდნიკები პოლიციამ საპყრობილეებში გამოამწყვდია, ზოგი ჩამოახრჩო, ნაწილი გაასციმბირა. ქართველმა ნაროდნიკებმაც გადასინჯეს თავიანთი შეხედულებანი და ტაქტიკა. ისინი ახალ გზას დაადგნენ, ახალი ამოცანები დაისახეს, მათ შორის ეროვნული საკითხის მოგვარება, რამაც აღნიშნულ გაერთიანებამდე მიიყვანა.

რეპრესიებს გადარჩენილი ნაროდნიკული ცენტრის წევრები შეეცადნენ აღედგინათ დარბეული ორგანიზაცია. შეექმნათ ახალი უჯრედები, განემტკიცებინათ კავშირი პერიფერიულ ორგანიზაციებთან, მათ შორის საქართველოს ნაროდნიკებთან. მაგრამ ეს ახალი ცდები შეუმჩნეველი არ დარჩენილა პოლიციას, რომელმაც უფრო მეტად გააძლიერა თავისი აგენტურა, კერძოდ, საქართველოში მოქმედ ორგანიზაციათა დასარბევად. ასე, მაგალითად, პლევეს განკარგულებითა და დავალებით თბილისში „გადმოსახლებულის“ სახით საქართველოში გამოაგზავნა დახელოვნებული პროვოკატორი ივანე ოკლადსკი — ოთხმოციან წლებში ერთ-ერთი უსაზიზღრესი გამცემი, ვისი წყალობითაც ბევრმა რევოლუციონერმა ეშაფოტებზე დაამთავრა თავისი მგზნებარე მებრძოლი სიცოცხლე („ბილოე“ 1918, № 10-11, წ. 4-5, გვ. 223-225). შემთხვევითი არ იყო საქართველოში ოკლადსკის გადმო-

სახლება, რადგან ჯერ კიდევ 70-იან წლებში იგი ალექსანდროვის გვარით თბილისის რკინიგზის სახელოსნოებში მუშაობდა და კარგად იცნობდა აქაურ მოწინავე მებრძოლებს („ბილოე“, 1924, 25, გვ. 71, 92). არც ის მიეწერება შემთხვევით გარემოებას, რომ თბილისში, ოკლადსკის „გადმოსახლების“ გადაწყვეტილება პლევემ მიიღო სახელდობრ 1882 წლის შემოდგომაზე, რადგან ამ გადაწყვეტილებას წინ უსწრებდა ისეთი მოვლენები, რომლებიც სხვადასხვა გზით უკავშირდებოდა არა მარტო ქართველი ნაროდნიკების საქმიანობას, არამედ, აგრეთვე, ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას.

ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა და საგულისხმო აღინიშნოს ის გარემოება, რომ სწორედ 1882 წლის გაზაფხულზე თბილისში ჩამოვიდა ნაროდოვოლცელთა აღმასკომის წარმომადგენელი ანა კორბა-პრიბილევა. იგი დაუკავშირდა ქართველ ნაროდნიკებს და მალე გორში მყოფ სამხედრო ნაწილში დააარსა ოფიცერთა ორგანიზაცია. მაგრამ ჟანდარმერიისათვის არც კორბას საქმიანობა დარჩენილა შეუმჩნეველი. შ. დავითაშვილის გადმოცემით, გორში ჩასულ კორბას რკინიგზის სადგურიდანვე ვიღაც საეჭვო პირი ასდევნებია (საფიქრებელია, რომ ჟანდარმერიამ ეს პირი თბილისშივე მიუჩინა კორბას, რომელმაც მხოლოდ გორში შენიშნა იგი). გორელ ნაროდნიკებს ამ საეჭვო პირის საპოვნელად მაშინვე გაუგზავნიათ მძებნელი ჯგუფი, რომელშიც, სხვათაშორის, შედიოდა, აგრეთვე, იმ დროს გორის სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლე და „თავისუფალ მოაზროვნეთა“ საიდუმლო წრის წევრი, ახალგაზრდა ვაჟა ფშაველა (შ. დავითაშვილი. ხალხოსნური მოძრაობა საქართველოში, 1933, გვ. 89). მართალია, ჯგუფმა საეჭვო პირი ვერ აღმოაჩინა, მაგრამ სავსებით ცხადი იყო, რომ კორბას უკვე კვალდაკვალ დასდევდნენ და მეფის „ოხრანკამ“ გორელი ნაროდნიკების კვალსაც მიაგნო.

კორბა მხოლოდ პეტერბურგში დაბრუნებისთანავე დააპატიმრეს 1882 წ. 5 ივნისს, ისე, რომ ქართველ ნაროდნიკებს არ გაეგოთ ეს ფაქტი. აქ კიდევ ერთი გარემოება არის საყურადღებო შემდგომი მოვლენების გასაგებად, სახელდობრ ის, რომ კორბას დაპატიმრების შემდეგ თბილისში პეტერბურგიდან ჩამოსულა ვინმე „სერგეი პეტროვიჩი“ და თავისი ერთგული მეუღლით დაბინავებულა ჩუღურეთში, „ელენა ივანოვნას“ ბინაზე. „სერგეი პეტროვიჩი“ დაკავშირებია ქართველ ნაროდნიკებს, როგორც ნაროდოვოლცელთა აღმასკომის წევრი და კორბასა და ვერა ფიგნერის მიერ გამოგზავნილი. მაგრამ, როგორც შემდგომ გამოირკვა, იგი არასოდეს არ ყოფილა აღმასკომის წევრი და ვერც კორბა და ფიგნერი გამოგზავნიდნენ მას, რადგან პირველი უკვე დაპატიმრებული იყო, ხოლო ფიგნერი ხარკოვში იმალებოდა. ეს ყველაფერი ქართველ ნაროდნიკებს, რასაკვირველია, არ შეეძლოთ სცოდნოდათ. „სერგეი პეტროვიჩმა“ ადგილობრივ ნაროდნიკებს დაავალა ცენტრთან კავშირის განმტკიცება, ახალი წესდების შემუშავება, ხოლო შ. დავითაშვილს — ერთი ემიგრანტის სამსახურში მოწყობა გორში, სახაზინო ფულის ვატაცების მიზნით. შემდეგ გორელი ნაროდნიკების საშუალებით რამდენიმე ყალბი პასპორტი იშოვა და 1882 წლის შემოდგომაზე (ე. ი., როდესაც კლადოვსკი თბილისში გამოაგზავნეს) ხარკოვში გაემგზავრა არალეგალური სტამბის საქმეზე.

კიდევ ერთი მომენტია საინტერესო: გორში ემიგრანტის ნაცვლად ჩავიდა ნაროდოვოლცელი აზაროვი, რომელიც შ. დავითაშვილმა ქალაქის მართველობაში მოაწყო. მაგრამ როგორც კი „სერგეი პეტროვიჩი“ საქართველოდან წავიდა, ჟანდარმერიამ დაიწყო აზაროვის გაძლიერებული ძებნა, მაგრამ იგი მოხერხებულად გაიპარა ხარკოვში ,სტამბის მოსაწყობად.

1883 წლის 4 მარტს გორის საფოსტო განყოფილების უფროსი მიხ. აბაშიძე დაკავშირებია შ. დავითაშვილს და უცნობებია: თბილისიდან მატარებლით ჟანდარმები მოდიან და გაფრთხილდითო. მაგრამ უკვე გვიან იყო. უშუალოდ პეტერბურგიდან მიღებული განკარგულებით ჟანდარმებმა დააპატიმრეს გორელი ნაროდნიკები, მათ შორის შ. დავითაშვილი, და ოფიცერთა ორგანიზაცია. როგორც გამოირკვა, გორის ოფიცერთა ორგანიზაციის ჩავარდნაში მონაწილეობდა, აგრეთვე ემიგრანტი ანისიმოვი, რომელსაც ადრე პოლკის ფული გაუფლანგავს და შვეიცარიაში გაქცეულა. იქიდან დაბრუნებულა 1882 წელს, სწორედ იმ დროს, როდესაც „სერგეი პეტროვიჩი“ საქართველოში იმყოფებოდა. დაბრუნებისთანავე ანისიმოვი ჟანდარმერიაში გამოცხადებულა და დანაშაულის გამოსასყიდად აღუთქვამს რევოლუციონერთა გაცემა. ანისიმოვი სწორედ ის ემიგრანტი იყო, რომლის სამსახურში მოწყობაც „სერგეი პეტროვიჩმა“ შ. დავითაშვილს დაავალა, მაგრამ ანისიმოვი გორელ ნაროდნიკებს არ იცნობდა და არც რაიმე ურთიერთობა ჰქონდა. მაშასადამე, გორის ორგანიზაცია დაასმინა სხვამ.

საქართველოში „სერგეი პეტროვიჩის“ ყოფნის დროს ილიას ირგვლივ გაერთიანებულმა ჯგუფმა, რომელშიც „იმედის“ პუბლიცისტებიც შედიოდნენ, მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლა უფრო გააძლიერა. ჯგუფი ფარულ სხდომებზე მსჯელობდა საქვეყნო საქმეზე, განსაკუთრებით ეროვნული კულტურის დაცვაზე, რაც მკაფიო ასახვას პოულობდა იმდროინდელ პრესაში.

ხარკოვში ჩასვლისთანავე „სერგეი პეტროვიჩი“ დაკავშირებია იქაური არალეგალური სტამბის მესვეურებს: სულ მალე, 1882 წლის შემოდგომაზე, ჟანდარმერიამ „აღმოაჩინა“ სტამბა, დააპატიმრა მისი მონაწილენი და მათ შორის „სერგეი პეტროვიჩი“. ამასთან დაკავშირებით,

„სერგეი პეტროვიჩის“ გამოძახებით ხარკოვში მყისვე „ჩამოფრინდა“ სუდეიკინი და პირადად დაიწყო „პატიმარი“ „სერგეი პეტროვიჩის“ დაკითხვა. ეს პროცედურა იმით დამთავრდა, რომ სუდეიკინმა „სერგეი პეტროვიჩი“ შეახვედრა მეუღლეს, ხოლო შემდეგ, საპატიმროში გადაყვანის დროს, როდესაც მხლებლებს თითქოს „ჩასთვლიმა“, ეტლიდან გადახტა „სერგეი პეტროვიჩი“ და სრულიად უვნებლად „მიიმალა“ (ეს ყველაფერი მოხდა სუდეიკინის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით). „მიმალული“ „სერგეი პეტროვიჩი“ დაუკავშირდა არალეგალურ პირობებში მყოფ ვერა ფიგნერს და მალე იგი მოხერხებულად ხელში ჩაუგდო ჟანდარმერიას — სუდეიკინს. ჩავარდა კრონშტადტის სამხედრო ორგანიზაციაც, რომელთანაც „სერგეი პეტროვიჩი“ იყო დაკავშირებული, ხოლო 1883 წლის 4 მარტს, როგორც აღინიშნა, დააპატიმრეს გორის ორგანიზაციები. დააპატიმრეს თბილისში მცხოვრები ზოგიერთი ქართველი ხალხოსანიც.

ამრიგად, ყველა მათ, ვინც „სერგეი პეტროვიჩთან“ იყო დაკავშირებული, ჟანდარმერია აპატიმრებდა, ან გამალებით დაეძებდა მას შემდეგ, რაც „სერგეი პეტროვიჩი“ სხვა ადგილას გადავიდოდა. უფრო სწორად, მეფის „ოხრანკას“ იგი მოხერხებულად გამოჰყავდა საქმიდან. საქართველოში „სერგეი პეტროვიჩის“ ამგვარ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული აგრეთვე ის, რომ პოლიციის დეპარტამენტმა გადაწყვიტა ფარული მეთვალყურეობა დაეწესებინა ილია ჭავჭავაძის მიმართ.

ახლა გავეცნოთ იმ საარქივო საბუთს, რომელშიც მითითებულია ილიას საწინააღმდეგო კონკრეტული ბრალდება და რომელიც საფუძვლად დაედო დეპარტამენტის აღნიშნულ გადაწყვეტილებას. ეს საბუთი პირველად პროფ. ა. იოსელიანმა გამოაქვეყნა თავის შრომაში „ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორიის საკითხები“ (1951, გვ. 497). მაგრამ, სამწუხაროდ, ტექსტის რამდენადმე განსხვავებული წაკითხვით და, შესაძლებელია, ამიტომაც ეს მნიშვნელოვანი საბუთი უყურადღებოდ დარჩათ ილიას ბიოგრაფებს. საბუთი წარმოადგენს 1894 წელს ჟანდარმერიის მიერ შედგენილ ცნობას, რომელშიც ასეთი საინტერესო ფაქტია აღნიშნული. „...ილია ჭავჭავაძე და „ივერიისა“ და „იმედის“ („იმედი“) ჟურნალების კომპანია შეადგენს ჯგუფს ლიბერალებისას, რომელთაც სურთ იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომია და რომლებიც ოცნებობდნენ ქართულ პარლამენტზე. ამ პარტიას ეკუთვნის გენერალ-მაიორი სერედას მიერ დაკითხული ალექსანდრე პალია-შვილი. **აღნიშნული ჩვენების საფუძველზე** 1884 წელს... ილია ჭავჭავაძეზე დაწესებულია ფარული მეთვალყურეობა“ (ცსსა მოსკოვში, ფონდ. 102, საქ. 1168, ფურ 1-2).

ვის ჩვენებაზეა აქ ლაპარაკი? იმავე საბუთში აღნიშნულია, რომ ეს ჩვენება [illegible] პოლიციისათვის მიუცია დეგაევს [illegible] ევს, როგორც პროფ. ა. იოსელიანის პუბლიკაციაშია). მაშასადამე, ამ უკანასკნელს დაუსმენია ილია ჭავჭავაძე ჟანდარმერიაში.

მაშ, რაღა შუაშია აქ ჩვენს მიერ ეჭვმიტანილი ზემოხსენებული „სერგეი პეტროვიჩი“ და ვინ იყო დეგაევი? დეგაევი იყო მეფის „ოხრანკის“ ცნობილი, გაქნილი აგენტი, რომლის 80-იან წლებში პროვოკატორული მოღვაწეობა ლიტერატურაში იხსენიება „დეგაევშჩინად“. როგორც ცნობილია, დეგაევის უმცროსი ძმა ჟანდარმერიამ გაათავისუფლა პატიმრობიდან იმ პირობით, რომ იგი შევიდოდა რევოლუციურ ორგანიზაციებში და შიგნიდან გასცემდა მათ. ა. კორბას გადმოცემით, დეგაევის უმცროსმა ძმამ ეს დავალება ვერ შეასრულა და მაშინ თვით დეგაევი დაუკავშირდა სუდეიკინს („ბილოე“, 1906, № 4, გვ. 8). ნაროდოვოლცელი ს. მსტისლავსკის ცნობით, დეგაევის გამცემლური მოღვაწეობა დაიწყო მეფის მოკვლამდე და ამ აქტში დეგაევიც „მონაწილეობდა“ პოლიციის დავალებით, რათა ნაროდოვოლცელთა ნდობა დაემსახურებინა. ამავე მიზნით სუდეიკინმა ნება მისცა დეგაევს მოეკლა მისი ორი აგენტი („ბილოე“, 1906 № 4, გვ. 28).

მეფის მოკვლის მზადებასთან დაკავშირებით, ჟანდარმერიამ პეტერბურგში მოუყარა თავი თავის აგენტურას, აგრეთვე, საქართველოში მოქმედ პროვოკატორებს, რომელთაც მისი დავალებით კავშირი ჰქონდათ ნაროდნიკებთან. 1880 წ. მეორე ნახევარში თბილისიდან გაიწვიეს ვინმე ნიკოლოზ ბექანის ძე ენიკოლოფოვი. იგი მატარებლის ვაგონში შეხვდა ცრუ ნაროდოვოლცელ ვაინერს. სხვათა შორის, ეს უკანასკნელი საკმაოდ ცნობილი გახდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში: დაბალი ტანის მოხუცი, შავი ჩოხითა და ბოხოხით, მოსევადებული ხანჯლით, გვერდზე რევოლვერით. ვაინერი თბილისს მოევლინა, როგორც წამებული ნაროდოვოლცელი, არსენა ჯორჯიაშვილის ნაცნობი და თაყვანისმცემელი, მისი ძეგლის აგებისათვის მზრუნველი. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ნაროდოვოლცელებთან ის მეფის „ოხრანკის“ მიერ იყო მიგზავნილი. იგი მათთან ერთად ყოფილა დაპატიმრებული, მაგრამ იმავე „ოხრანკის“ ხელშეწყობით ციხიდან გაქცეულა („პრავდა“, 1925, № 289, ემ. იაროსლავსკის სტატია) და „მიმალულა“ ისევე, როგორც „სერგეი პეტროვიჩი“ ხარკოვში. ვაგონში ვაინერის მიერ გაცნობილი თანამებრძოლი ნ. ბ. ენიკოლოფოვი, როგორც საარქივო მასალებით ირკვევა, მეფის „ოხრანიკის“ დამსახურებული აგენტი ყოფილა (ცსა თბილისში, ფონ. 7, საქ. 2274, ფურც. 46-47 და სხვ.; ფონ. 116, საქ. 5589, ფურც. 296). რევოლუციამდე მას თბილისში (ახლანდელი

კ. მარქსის ხიდის მახლობლად, ნეკრასოვის ქ. № 3-ში) ჰქონდა სასტუმრო „ნიკოლაევსკიე ნომერა“. ამ სასტუმროს ერთ-ერთი ოთახის კედლის ღუმელში „ოხრანიკის“ მეორე აგენტმა (დ. ჯაში) შეაწყო ბომბების ნაწილი, წერილი მათი დამზადების წესის აღწერით და შემდეგ ამის შესახებ თვითვე აცნობა ჟანდარმერიას (ცსა თბილისში, ფონ. 7, საქ. 2447, ფურც. 3-5, 70; საქ. 2274, ფურც. 3; ფონ. 113, საქ. 4471, ფურც. 95-98; ფონ. 116, საქ. 5589, ფურც. 11, 71-79). ამ ცნობას საფუძველზე ჟანდარმერიამ გაჩხრიკა სასტუმრო, ნივთიერი მტკიცება აღმოაჩინა და ენიკოლოფოვი, ჟანდარმერიის წინაშე მისი დამსახურების მიუხედავად, დააპატიმრა. საინტერესოა, რომ ენიკოლოფოვისა და მისი დამსმენის (ჟანდარმერიამ ისიც დააპატიმრა) საგამომძიებლო საქმეში აღმოჩნდა ენიკოლოფოვის განცხადება იმის შესახებ, რომ იგი ჯერ კიდევ 80-იანი წლებიდან მეფის „ოხრანიკის“ აგენტი ყოფილა (ცსა თბილისში, ფონდ. 113, საქ. 4471, ფურც. 144). პატიმრობაში მყოფი ენიკოლოფოვი ციხიდან უგზავნიდა ჟანდარმერიას „ფრიად საიდუმლო და უმნიშვნელოვანეს წერილებს“ (იქვე, ფონ. 116, საქ. 5589, ფურც. 308), ხოლო ერთ-ერთი წერილით პოლიციის დეპარტამენტს მოაგონებდა თავის წარსულ დამსახურებას მის წინაშე და სთხოვდა საშუალება მიეცა მისთვის, რათა ცნობები მიეწოდებინა კავკასიაში რევოლუციურ ორგანიზაციათა მუშაობაზე (იქვე, ფონ. 3, საქ. 557, ფურც. 26). ყოველივე ამასთან ერთად საინტერესოა ისიც, რომ ეს ენიკოლოფოვი აღმოჩნდა დეგაევის ნაცნობი.

დავუბრუნდეთ ჩვენს საკითხს — დეგაევის მოღვაწეობას საქართველოში. მეფის მოკვლისა და ა. კორბას დაპატიმრების შემდეგ, სუდეიკინმა, სხვა აგენტებთან ერთად, საქართველოში გამოგზავნა დეგაევიც. თბილისში იგი ჩამოვიდა 1882 წლის გაზაფხულზე, ჩვენთვის უკვე ცნობილი „სერგეი პეტროვიჩის“ სახელით (ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1938, გვ. 167; შ. დავითაშვილი. მითითებული წიგნი, გვ. 89). საქართველოში „სერგეი პეტროვიჩი“-დეგაევის საქმიანობას უკვე გავეცანით და მას აღარ გავიმეორებთ. ვიტყვით მხოლოდ შემდეგს: ქართველი ნაროდნიკების დაპატიმრება რომ ამ პროვოკატორის საქმე იყო, ეს ნაწილობრივ, გამომჟღავნდა დაპატიმრებულ გორელ ნაროდნიკთა დაკითხვის პროცესში, როდესაც შ. დავითაშვილსა და სხვებს წარუდგინეს პასპორტები, რომლებიც ილ. მაჭავარიანმა იშოვნა დეგაევის დავალებით (შ. დავითაშვილი: მითითებული წიგნი, გვ. 102). დავითაშვილს წარუდგინეს აგრეთვე კორბასა და „სერგეი-პეტროვიჩი“ -დეგაევის სურათები. ამავე დროს მას დაჟინებით ეკითხებოდნენ აზაროვის ირგვლივ. ამ უკანასკნელის საქმე კი იცოდნენ მხოლოდ „სერგეი პეტროვიჩმა“ და შ. დავითაშვილმა (იქვე, გვ. 93). მიუხედავად ამისა, დავითაშვილი ჯერ კიდევ მტკიცედ არ იყო დარწმუნებული დეგაევის გამცემლობაში, ვიდრე ერთი წლის შემდეგ არ მიიღო ანტონ ფურცელაძის წერილი, რომლითაც იგი აცნობებდა დავითაშვილს: პეტერბურგში სუდეიკინი მოკლა საკუთარმა აგენტმა, რომელმაც გასცა რუსეთისა და კავკასიის რევოლუციონერები (იქვე, გვ. 111). 1884 წლის სექტემბერში მოეწყო ნაროდოვოლცელთა გასამართლება, „14-ის პროცესის“ სახელწოდებით ცნობილი. ეს პროცესი მთლიანად ემყარებოდა დეგაევის ცნობებსა და ჩვენებებს (იქვე, გვ. 92-93; „ბილოე“, 1906, № 5, გვ. 14). ვ. ფიგნერს პატიმრობაში უჩვენეს დეგაევის ხელით დაწერილი რვეულები, რომლებიც შეეხებოდა ნაროდოვოლცელთა მუშაობას („ბილოე“, 1906, № 5, გვ. 15). საგულისხმოა, რომ სუდეიკინი პეტერბურგიდან ხარკოვში „ჩაფრენილა“ დეგაევის გამოძახებით, როდესაც უკანასკნელი დააპატიმრეს მის მიერ გაცემულ სტამბასთან ერთად (იქვე, გვ. 20).

ილია ჭავჭავაძის შესახებ ჩვენებაც დეგაევს სწორედ ხარკოვში უნდა მიეცა. სამწუხაროდ, ამ ჩვენების სრულ ტექსტს ჩვენ ვერ მივაკვლიეთ, მაგრამ ის, რომ, სახელდობრ, ამ პროვოკატორმა დაასმინა ილია ჟანდარმერიაში, ნათლად მტკიცდება 1894 წელს ჟანდარმერიის მიერ შედგენილ უკვე მოხსენებულ ცნობაში, რომელშიც წერია: „დეგაევის... ჩვენების საფუძველზე ილია ჭავჭავაძე, პოლიციის დეპარტამენტის განკარგულებით, 1884 წლიდან აყვანილია ფარული ზედამხედველობის ქვეშ“ (ცსსა მოსკოვში, ფონ. 102, საქ. 1168, ფურც. 1-2). ეს ჩვენება დეგაევს უნდა მიეცა მხოლოდ 1882 წლის შემოდგომაზე, რადგან პატიმრობიდან „გაქცევის“ შემდეგ, იმის შემდეგ, როდესაც მისი წყალობით ჩავარდნენ კრონშტადტის, გორის, ხარკოვის ორგანიზაციები, დააპატიმრეს ვ. ფიგნერი და სხვები, დეგაევს აღარ გაეჩერებოდა რუსეთში და, სუდეიკინის დავალებით, „გაიქცა“ ჟენევაში, რათა ახლა ემიგრანტული ორგანიზაციები გაეცა („ბილოე“, 1906, № 4, გვ. 8). მაგრამ ემიგრანტებმა დეგაევი გამოტეხეს და წინადადება მისცეს დაბრუნებულიყო რუსეთში, მოეკლა სუდეიკინი და შემდეგ საერთოდ ჩამოშორებოდა პოლიტიკურ მოძრაობას. სუდეიკინი დეგაევმა მოკლა 1883 წ 14 დეკემბერს და გაიქცა საზღვარგარეთ, საიდანაც ის აღარ დაბრუნებულა.

გორელი ნაროდნიკების საქმის ძიება დამთავრდა 1883 წლის დამლევს. პოლიციის დეპარტამენტმა ერთდროულად დაიწყო ილიას მიმართ ფარული მეთვალყურეობისათვის მზადება და სწორედ მაშინ, როდესაც ილია ჭავჭავაძე, როგორც ნიკო ნიკოლაძისათვის გაგზავნილი ვ. მაჩაბლის გამოუქვეყნებელი წერილიდან ჩანს, კახეთში აპირებდა წასვლას დასასვენებლად (ნიკო ნიკოლაძის არქივი თბილისის საჯარო ბიბლიო-

თეკაში, საბ. № 40/821), ფარული მეთვალყურეობის რკალში მოაქცია დეგაევის ჩვენების საფუძველზე.

ჟანდარმერიის ზემოთდამოწმებულ ცნობაში, ილია ჭავჭავაძესა და ეგნატე იოსელიანთან ერთად, მოხსენიებულია, როგორც მათი „პარტიის“ წევრი „ალექსანდრე პალია-შვილი“. ასეთი გვარით იმდროინდელ მოღვაწეთა შორის არავინაა ცნობილი. საარქივო მასალების შესწავლით შესაძლებლობა მოგვეცა ზუსტად დაგვედგინა ვინ იყო ეს „ალექსანდრე პალია-შვილი“. 1884 წ. 4 სექტემბერს თბილისის პოლიცმეისტერს გუბერნატორისათვის წარუდგენია ფარულ მეთვალყურეობაში მყოფ პირთა სია, რომლის № 23-ით აღნიშნულია ილია ჭავჭავაძე და სიის ბოლო გრაფაში ილიას გასწვრივ წერია: „მასთან გაზეთში თანამშრომლობს ფარულ მეთვალყურეობაში მყოფი ალექსანდრე ნონიაშვილი“ (ცსა თბილისში, ფონ. 17, საქ. 2631, ფურც. 61). 1888 წლის სექტემბერში შედგენილ ასეთივე სიაში № 8-ით აღნიშნულია უკვე „ნონიაშვილი ალექსანდრე თეიმურაზის ძე“ (იქვე, ფურც. 121). ლენინგრადის სახელმწიფო არქივში დაცულია „საქმე 28 პირის შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ თბილისში შექმნილი რევოლუციური წრისადმი კუთვნილება“. ამ საქმეში, რომელიც დათარიღებულია 1883 წ. ნოემბრით, რამდენჯერმე მოხსენიებული ხან „ალექსანდრე ნონია-შვილი“, ხან „ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნონია-შვილი“ (ცსა ლენინგრადში, ფონ. 1405, აღწ. 83, საქ. 11312, ფურც. 40, 42). ამავე საქმის სხვადასხვა ადგილას ხელით ჩაწერილი „ნონია-შვილი“ ადვილად იკითხება როგორც „ნანია-შვილი“, „ისე „პალია-შვილი“ (იქვე, ფურც. 44, 53, 56, 59, 63 და სხვა.), ხოლო 96-ე გვერდზე ეს „პალია-შვილი“, „ნონია-შვილი“ და „ნანია-შვილი“ უკვე გარკვევით იკითხება, როგორც „ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი“, რომელიც, მართლაც, დაუკითხავს გენერალ-მაიორ სერედას. მაშასადამე, აღნიშნულ საბუთში „პალია-შვილი“ წარმოშობილია ცუდი ხელწერით შედგენილი საბუთის არასწორი ამოკითხვა-გადაწერის შედეგად. რუსული დიდი ასო „ნ“ გადამწერს „პ“-ით ამოუკითხავს, ხოლო პატარა „ნ“ — როგორც „ლ“. ამრიგად, საბუთში მოხსენებული „პალია-შვილი“ — სინამდვილეში ყოფილა ალექსანდრე თეიმურაზის ძე ნანეიშვილი — ქართველი ნაროდნიკი, ჟურნალი „იმედის“, ხოლო შემდეგ ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ პუბლიცისტი, „ა. ნ-ალის“ ფსევდონიმით ცნობილი. იგი დააპატიმრეს 1883 წლის 4 მარტს, დეგაევის ჩვენებით, გორელ ნაროდნიკებთან ერთად, გადასახლებიდან დაბრუნდა 1887 წ., მუშაობდა ქუთაისის ბანკში, შემდეგ ჭიათურის შავი ქვის საბჭოს მდივნად, გარდაიცვალა 1904 წ.

მეფის „ოხრანკა“ გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ილია ჭავჭავაძის ყოველ ნაბიჯს, რასაც ადასტურებს სპეციალურად შექმნილი „საქმე ილია ჭავჭავაძესა და ეგნატე იოსელიანზე ფარული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ“. ეს საქმე სავსეა მეთვალყურეობის ინფორმაციებით. მაგალითად, 1884 წ. 31 ივლისის ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ ილია საგურამოშია და ამის შესახებ ეცნობა დუშეთის მაზრის უფროსს; 1885 წ. 2 აპრილის ცნობით „ილია ჭავჭავაძე წავიდა ქუთაისში და ეს ეცნობა ქუთაისის პოლიცმეისტერს“, ხოლო 15 ივნისის ინფორმაციაში ვკითხულობთ, რომ ილია საგურამოში წასულა და ზაფხულის პერიოდში იქ ხშირად იქნებაო და სხვ. ამავე დროს ილია შეუნელებლად განაგრძობდა ბრძოლას ცარიზმის წინაამდეგ, რაც ნათლად ჩანს „ივერიას“ მოწინავეებიდან. სხვათა შორის, იონა მეუნარგიას ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ წერილში, რომელიც მას 1886 წ. 10 აპრილს ნიკო ნიკოლაძისათვის გაუგზავნია, აღნიშნულია, რომ „ივერიაში“ რაც მოწინავეებია, სულ ილიას ეკუთვნისო. მეუნარგიას უთქვამს ილიასათვის, თავს რაზე აკლავო. ამაზე ილიას მიუგია: ხალხის აღზრდაა საჭიროო (ნიკო ნიკოლაძის არქივი, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში, საბ. № 13/163).

ილია ჭავჭავაძეს უთვალთვალებდნენ, აგრეთვე, მოსკოვსა და პეტერბურგში. მეთვალყურეობა განსაკუთრებით ძლიერდებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით (მაგალითად, დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა, სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა მღელვარება, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის ჩამოსვენება თბილისში, ალექსანდრე ყაზბეგის ცხედრის გასვენება, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვა და სხვ.).

საგულისხმოა, რომ ასეთი მკაცრი მეთვალყურეობის მიუხედავად, მეფის „ოხრანკამ“ მაინც ვერ შეძლო რაიმე ხელჩასაჭიდის მიღება. ეს აიხსნება არა იმით, რომ ილია ჭავჭავაძე ნეიტრალურ პოლიტიკურ ცხოვრებას ეწეოდა, პირიქით, ილიას ოდნავადაც არ შეუნელებია ბრძოლა და თუ ფარულმა მეთვალყურეობამ მაინც არაფერი საკბილო არ მისცა მეფის „ოხრანკას“, ამის მიზეზი იყო ილიას თანდაყოლილი სიფრთხილე და სიფხიზლე, შექმნილი ვითარების ღრმად განჭვრეტის უნარი, კონსპირატულობა, რომელიც მან გამოიმუშავა ჯერ კიდევ 60-იან წლებში, რუს რევოლუციონერ-დემოკრატების ხელმძღვანელებთან ახლო ურთიერთობის პერიოდში. ილია ჭავჭავაძე კარგად გრძნობდა მთავრობის მტრულ დამოკიდებულებას მისდამი, დარწმუნებული იყო, რომ რადიკალური მიმართულების გამო ჟანდარმერია უყურადღებოდ არ დატოვებდა და ამიტომ მაქსიმალურ სიფრთხილეს იჩენდა თვით კერძო მიმოწერის დროსაც კი.

დავიმოწმოთ ილიას სიფხიზლის დამადასტურებელი რამდენიმე მაგალითი.

1861 წელს ილია წინამძღვრიშვილს სწერდა: „ამ სტატიას გიგზავნი, ჩემი საკუთარია, თუმცა სხვა გვარი აწერია; მე არ მინდა გამოვაჩინო, რომ ეს ჩემი დაწერილია მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა. შენც ძალიან შეგეხვეწები, რომ არ გამოააშკარაო არავისთან... იმისათვისაც არ მინდა, რომ შენ მიუტანო კერესელიძეს ეს სტატია, რადგანაც ის მიხვდება, რომ შენ ჩემის მეტი არავინ გიგზავნის სტატიებსა... ეს სტატია ჩიკვაიძეს მიხაკოს უნდა მიუტანო... ჩიკვაიძისათვის მე აქ ყველაფერი მითქომს... როგორ მიუტანოს კერესელიძეს“ (ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. 10, 1961, გვ. 23-24).

1864 წ. ილია კირილე ლორთქიფანიძეს წერდა: „არც ერთს ლექსს ჩემი სახელი არ მოაწერო... ამისათვის მე პატივსადები საბუთი მაქვს... ეს წიგნიც რომ დახიო ურიგო არ იქნება“ (იქვე, გვ. 25-26). მეორე წერილში მასვე ატყობინებდა, რომ „ეპიზოდს ყაჩაღის ცხოვრებიდან“ არ გიგზავნი, რადგან ვიცი არ დაბეჭდავენო. „თუნდ მანდ როგორმე მოახერხო ნების დართვა აიღო, აქ მთელ წიგნს აგიკრძალავენ, ეს მე ნამდვილად ვიცი“ (იქვე, გვ. 26). 1871 წ. თავით ერისთავს უგზავნის ცნობილ „გამოცანებს“ და სთხოვს, არავინ გაიგოს მისი ავტორობაო“. იგი დაუბეჭდავად უნდა გავრცელდეს ქალაქში და ამ „გავრცელებაში ფრთხილად უნდა მოიქცეო“ (იქვე, გვ. 34). კიდევ ერთი ფაქტი ილიას წერილებიდან: 1877 წელს ილია სოფრომ მგალობლიშვილს სწერდა: „გთხოვთ... იმოდენად პატივი მცეთ მე, რომ თავის დღეში არ იგულისხმოთ, ვითომც მე, ყოველ გამვლელ-გამომვლელს მატრაკვეცას ჩემს გულის-ნადებს ხელის გულზედ ვუშლიდე მოედანზედ საბურთალოდ... მე ამაებში ყოველთვის ფრთხილი და მორიდებული ვარ“ (იქვე, გვ. 124).

ეს თანდაყოლილი თვისება შემდგომში უფრო გამახვილდა, რადგან ამით ილია იცავდა არა მარტო საკუთარ თავს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ხალხს, მის სულიერ კერებს. მაგალითად. მეფის მთავრობამ 1898 წ. ილიას იუბილეს გამართვა აკრძალა. ამიტომ ექ. თაყაიშვილის ინიციატივით ქართულ გიმნაზიაში მოეწყო ლიტერატურული საღამო, რომელიც ილიას მიეძღვნა. საღამოზე მიუწვევიათ ილია, რომელსაც საღამოს დამთავრების შემდეგ ე. თაყაიშვილისათვის განუცხადებია: საღამოს მიზანი და პროგრამა რომ მცოდნოდა, არ მოვიდოდი, რადგან შეიძლება ჩემი დასწრებით რაიმე ხიფათი შეემთხვას ჩვენს გიმნაზიას. რომელზედაც, კარგად ვიცი, მთავრობა კბილებს ილესავსო („ლიტ. მატიანე“, 1956 წ., № 6, გვ. 32-34, ექ. თაყაიშვილის მოგონება).

ლიტერატურულ მუზეუმში დაცულ საბუთებში ასეთი საინტერესო ფაქტია შემონახული: ერთ დღეს ილიას ბინაზე შეკრებილა ქართველ მოღვაწეთა ჯგუფი ავტოკეფალიის საკითხებზე მოსალაპარაკებლად. მისულა „კავკასიის“ რედაქტორი ვ. ველიჩკოც. მაშინ ილიას ერთ-ერთი ქართველი მოღვაწე მოხერხებულად გარეთ გაუხმია და გაუფრთხილებია: ამ კაცის თანდასწრებით ავტოკეფალიაზე ნურას ვიტყვით, სხვა საერთო საკითხებზე ვისაუბროთო. ამასთან დაკავშირებით, საინტერესოა დუშეთის მაზრის ყოფილი უფროსის ყარამან ფაღავას ჩვენება ილიას მკვლელის საქმის ძიების დროს: ერთხელ, ილიას სახლში ყოფნისას, ველიჩკომ გარეთ გამიხმო და მითხრა: „ილია ჭავჭავაძე ჩვენთვის საშიში კაცია“. ოლღა აგლაძის გადმოცემით, ილია ერიდებოდა ველიჩკოს, მას არ მეგობრობდა, მაგრამ თვალისასახვევად მას თავაზიანად ღებულობდა სახლში (იქვე, გვ. 75).

ამის გარდა, ილიას ზოგჯერ აფრთხილებდნენ კიდევაც მისი თაყვანისმცემელი ოფიციალური პირები. ექ. თაყაიშვილის გადმოცემით, 1896 წ. ილია წასულა ქუთაისში, გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე მონაწილეობისათვის. დეპუტაციაში ყოფილა ილიას თაყვანისმცემელი და მეგობარი ლევან ჯანდიერიც — თბილისის მაზრის უფროსი, რომელიც შეხვედრია ქუთაისის პოლიცმეისტერ სიმონიშვილს — ცარიზმის ერთგულ მსახურს. ამის შემდეგ ლ. ჯანდიერს უთქვამს ილიასათვის: სიმონიშვილს თბილისიდან მოსდის დეპეშები წინადადებით: „თვალყური ადევნეთ ილია ჭავჭავაძეს და ჩაიწერეთ ყოველი მისი სიტყვა, რასაც იტყვის“. ილიას განუცხადებია, „სჯობს არაფერი არა ვთქვა, თუმცა გულს კი დამაკლდება, რადგან სიტყვა კარგად მაქვს მომზადებულიო“. მიუხედავად ამისა, ილიას მაინც წარმოუთქვამს სიტყვა და აქაც სიფრთხილე გამოუჩენია: შებინდებისას წასულა, ვითომც ცხედრის სანახავად, ნამდვილად კი სიტყვის სათქმელად (იქვე, გვ. 9-10).

დასასრულ, კიდევ ერთი ფაქტი მრავალთაგან. როგორც ცნობილია, ალექსანდრე ყაზბეგის დაკრძალვამ პოლიტიკური მანიფესტაციის ხასიათი მიიღო, რის გამოც დაფაცურდა ჟანდარმერია და პოლიცია. ილიამ იცოდა ეს და ფრთხილობდა. გარდა ამისა, ის ოფიციალურ პირსაც გაუფრთხილებია. ოლღა აგლაძის ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ წერილში, რომელიც დაუწერია 1894 წ. 1 იანვარს და გაუგზავნია შიო არაგვისპირელისათვის პოლონეთში, წერია: „ილია, ამბობენ, თითქოს შერვაშიძემ გააფრთხილა არაფერი ეთქვა“ ყაზბეგის გასვენებაზეო (ცსა თბილისში, ფ. 7-ს, საქ. 3202, ფურც. 78). შერვაშიძე თბილისის გუბერნატორი იყო და ილიას თაყვანისმცემელი. სოფრომ მგალობლიშვილის მიერ ნიკო ნიკოლაძისადმი მიწერილ გამოუქვეყნებელ წერილში ვკითხულობთ: „გუბერნატორმა ილიას იუბილეზე უარი მითხრა და გამომიცხადა: „არაკეთილსაიმედოთა სიაში გახლავთ

თქვენი დევ-გმირი ილია“ (ნიკო ნიკოლაძის მი-თითებული არქივი, საბ. № 40-833).

თუ ყოველივე ზემო ნათქვამს გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, თუ მეფის „ოხრანკამ“ რატომ ვერაფერი ჩაიგდო ხელში ილიას საწინააღმდეგო, მაშინაც კი როდესაც იგი უფრო მეტი შემართებით იბრძოდა ცარიზმის წინააღმდეგ. „რაც უნდა მძიმედ დატვირთული ურემი იყოს, უკან არ დავიხევ“ — განუცხადებია ილიას (ს. მგალობლიშვილი, მოგონებანი, 1936, გვ. 85). ერთ-ერთ ასეთ ურემს წარმოადგენდა სათავადაზნაურო ბანკი. ი. ბ. სტალინი წერდა, რომ სათავადაზნაურო ბანკმა თავადაზნაურობას, მის „ფეოდალურ-მონარქისტულ ნაციონალიზმს სასიკვდილო ლახტი დაჰკრა და ის ორ ბანაკად გაყო“ (ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 33). სოფრომ მგალობლიშვილის გადმოცემით, რასაც სხვებიც ადასტურებენ, ილიას სახლი სტანკევიჩის სახლის მსგავს კერას წარმოადგენდა. აქ ხუთშაბათობით იკრიბებოდნენ ქართველი მოღვაწენი, კითხულობდნენ ახალ ნაწარმოებებს, შემდეგ კი „საკითხები თავს ეხვეოდა სამშობლოს“ და თუ საქმე გაჭირდებოდა, საბრძოლველად ილიას აგზავნიდნენ (ს. მგალობლიშვილი მოგონებანი, გვ. 167). ილიას ს. მგალობლიშვილისათვის დაუვალებია პროვინციის ქალაქებში შეექმნათ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც კულტურის ფრონტზე იმუშავებენო (იქვე. გვ. 130). რას მოასწავებდა ასეთი ჯგუფების შექმნა, ეს კარგად არის ცნობილი რუსეთში რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობიდან, რომლის აქტიური მოღვაწეც იყო ილია. ერთ-ერთ ქართველი მოღვაწის მოგონებაში, რომელიც ჩვენი თხოვნით დაიწერა და ჩვენთან ინახება, ასეთი ფაქტია აღნიშნული: 1906 წ. ზაფხულში სახელმწიფო საბჭოს არდადეგების პერიოდში ილია სამშობლოში დაბრუნდა და შეუდგა საბჭოში წარმოსათქმელი სიტყვების დამზადებას აგრარული ურთიერთობისა და სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების შესახებ. დაწერილი სიტყვები ილიამ გააცნო თავის ახლობლებს, რომლებსაც ილიასათვის ურჩევიათ, ასეთი მკვეთრი სიტყვებით არ გამოსულიყო. ილიას ამაზე მიუგია: სათქმელს ვიტყვი და რაც მოხდება-მოხდეს, არ მეშინიაო. სამწუხაროდ; ილიას ვერ მოუხერხდა ამ სიტყვებით გამოსვლა სახელმწიფო საბჭოში.

მეფის „ოხრანკას“ იერიშები მიჰქონდა აგრეთვე წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაზე, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა: „ოხრანკა“ ამტკიცებდა, რომ საზოგადოებას კავშირი ჰქონდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი დაჟინებით მოითხოვდა საზოგადოების გაუქმებას, მაგრამ ილია წინააღუდგა ამ განზრახვას და ეს კულტურული ორგანიზაცია გადაარჩინა. ილია აშკარად თუ ქარაგმიანი ფელეტონებითა და სხვათა ინფორმაციებით თავს ესხმოდა მეფის მთავრობას, რომელიც ხმებს ავრცელებდა იმის შესახებ, რომ სტავროპოლში დიმიტრი ყიფიანი თითქოს გაძარცვის მიზნით მოკლეს. 1893 წელს — იფეთქა თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა მღელვარებამ, ქართული ენის დევნასთან დაკავშირებით. ამის გამო ადგილობრივი ჟანდარმერია პოლიციის დეპარტამენტს აცნობებდა, რომ სემინარიელთა გამოსვლებში „გარეშე პირთა მონაწილეობა ეჭვს გარეშეაო“ და იქვე მიუთითებდა: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მთავარი ხელმძღვანელი იმ მიმართულებისა, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვივება, არის ილია ჭავჭავაძე“, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. მის ბინაზე დროდადრო იმართება საიდუმლო კრებები და ირჩევა საზოგადოებრივი და სოციალური ხასიათის საკითხებიო. საგულისხმოა, რომ ამ პერიოდში პოლიციას გაუჩხრეკია ილიას ბინა პროკლამაციების აღმოჩენის მიზნით, მაგრამ ფრთხილსა და წინდახედულ ილიას ვერაფერი აღმოუჩინეს. ყურადღებას იპყრობს ის რეზოლუციებიც, რომლებითაც აჭრელებულია პოლიციის დეპარტამენტში თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს მიერ გაგზავნილი ინფორმაცია სემინარიელთა მღელვარებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი რეზოლუცია ასეთია: „ხომ არ გვიბრძანებთ, მთავარმმართებლის ყურადღება მივაქციოთ ილია ჭავჭავაძეზე — 14. VI.“ ამის საპასუხოდ იქვე ფანქრით მიწერილია: „დიახ, ეთხოვოს მას სათანადო ყურადღება ჭავჭავაძისადმი და აგრეთვე მისი მოქმედების გაშუქება საქართველოში (მოძრაობის) ზვლულობის მიხედვით“ (ცაა მოსკოვში, ფონ. 102, საქ. 1168, ფურც. 4). მაგრამ ამაო იყო ეს მითითებანი, რადგან ილია ფრთხილად მოქმედებდა.

პოლიციას მეთვალყურეობა ილია ჭავჭავაძეზე არ შეუწყვეტია მის ვერაგულ მკვლელობამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ თოდუა

# ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის ერთი საკითხისათვის

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი მძლავრი პროგრესის ხანას წარმოადგენს ქართველი ხალხის ცხოვრებაში. ეს იყო დრო, რომელმაც წარმოშვა ჩვენი ერის დიადი მომავლის მტკიცე რწმენით გამსჭვალული, საოცარი ნებისყოფისა და უზარმაზარი ტალანტის, შეუპოვარი და შეუზღუდველი ბუნების ადამიანები. მათ საბოლოოდ გაარღვიეს ვიწრო, კუთხური პარტიკულარიზმი, გადალახეს მისი საზღვრები და უაღრესად ჯანსაღი პატრიოტიზმის პოზიციიდან დაიწყეს საზოგადოებრივი ყოფის რადიკალური გარდაქმნის საშვილიშვილო საქმე. აქედან იღებს სათავეს ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობა-თერგდალეულობა, რომლის ბაირახტარი ილია ჭავჭავაძე იყო.

თერგდალეულები გამოვიდნენ ცარიზმისა და ბატონყმობის დამხობის პროგრამით, გაილაშქრეს კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ენერგიულად შეუდგნენ საქართველოს ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის ბრძოლას. ამ მიზნით მხარი დაუჭირეს ყოველგვარ პროგრესულ თაოსნობას.

ი. ჭავჭავაძე და, საერთოდ, თერგდალეულები სამართლიანი საზოგადოების გარდაუვალი მომავლის აღიარებამდე მიიყვანა იმ დაპირისპირებულობათა შეცნობამ, რომლებიც შრომასა და კაპიტალს შორის არსებობს. ამ საიდუმლოების გამოაშკარავება საქონლის, ფულისა და კაპიტალის სუბორდინაციული კავშირების ჭეშმარიტ განსჯას მოითხოვს, პირველ რიგში.

უდავოა, რომ სიმდიდრის ზოგად ცნებასთან შედარებით საქონელი, ფული და კაპიტალი უფრო კონკრეტულ კატეგორიებს წარმოადგენენ, მაგრამ ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიური ყოფის ამსახველ კატეგორიათა შორის ყველაზე უფრო აბსტრაქტულნიც არიან. საქონელი და ფული კაპიტალის განუვითარებელი საფეხურებია, ე. ი. განუვითარებელ კაპიტალისტურ ურთიერთობებს ასახავენ. სწორედ ამის გამო საქონელი, როგორც კაპიტალის პირველი, განუვითარებელი საფეხური, ემბრიონალური დასაწყისია ყოველივე იმისა, რასაც კაპიტალისტურ ეკონომიკაში განვითარებული სახით ვხვდებით.

თერგდალეულები მიუახლოვდნენ ამ ზოგად კატეგორიათა თანმიმდევრულ მეცნიერულ გაგებას, რომლის მიხედვით ფული საქონლის გადასვლითი განვითარების შედეგია, ხოლო კაპიტალი — ფულის გადასვლითი განვითარების შედეგი. საქონელი და ფული, როგორც კაპიტალის განუვითარებელი საფეხურები, მარტივ საქონლურ წარმოებას შეესაბამებიან, ხოლო ყოველმხრივობის, ე. ი. კაპიტალისტური ჭყობილების ჩამოყალიბების შემდეგ კაპიტალის დაქვემდებარებულ მომენტებად იქცევიან.

საქონლის, ფულისა და კაპიტალის ასეთ გაგებას თერგდალეულთა დასის ყველა გამოჩენილი წარმომადგენელი მიუახლოვდა მეტ-ნაკლებად. მაგრამ ამ კატეგორიათა ურთიერთობის განსჯის პირველი ცდა არსებითად ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის. „შინაური მიმოხილვა (ბ-ნი მეისნერის პროექტი)“ ამის უდავო მოწმობაა. ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს მისი მეთოდოლოგიური ასპექტი, რომელსაც უაღრესად განმაზოგადებელი მნიშვნელობა აქვს ი. ჭავჭავაძის მოძღვრების შესწავლისათვის, საერთოდ.

ი. ჭავჭავაძის აზრით, მეისნერის პროექტი წამოყენებით ქართველმა საზოგადოებრიობამ მეურნეობრივი საკითხები პოლიტიკური ეკონომიის სიბრტყეზე გადაიტანა. ამიტომ საჭიროა სწორედ ამ მეცნიერების მიხედვით განვსაჯოთ,

თუ რა არის ფული და კაპიტალი და როგორ აპირებს მათ გამოყენებას მეისნერი.

თერგდალეულთა ბელადმა კარგად იცოდა, რომ კაპიტალის გაგება ფულის ცნების ცოდნის გარეშე შეუძლებელია, ხოლო ამ უკანასკნელის გაგება საქონლის ცნების — გარეშე, ამიტომ საკითხთა გაშუქებას მან საქონლის ანალიზი წაუმძღვარა წინ.

საქონელი, ი. ჭავჭავაძის აზრით, უწინარეს ყოვლისა, წარმოების პროდუქტია, მაგრამ, ყოველი წარმოების პროდუქტი არაა საქონელი. „მეცნიერება საქონლის სახელს იმისთანა ნაწილს შრომის ნაყოფისას სდებს, რომელიც ნამეტურია, ანუ მოჭარბებულია, მასზედ, რაც პირდაპირ პატრონისათვის სახმარად არის საჭირო“.[1] ამ განმარტების ავტორმა იცოდა, რომ საქონლური ურთიერთობა შრომის დანაწილების გარეშე შეუძლებელია. „მოჭარბებული სარჩოს“ გაყიდვის მიზანი ისეთი პროდუქტების შეძენაა, რომელნიც გამყიდველთ სრულიადაც არ გააჩნიათ ან მცირე რაოდენობით აქვთ. თითოეულ მწარმოებელს რომ მოთხოვნილების ყველა საგნის დამზადება შეეძლოს საჭირო ოდენობით, ე. ი. შრომის დანაწილება რომ არ არსებობდეს, მაშინ აღებ-მიცემობას არც ექნებოდა ადგილი. ამასთანავე, სხვადასხვა მესაკუთრის არსებობაც რომ საქონლური წარმოების აუცილებელი პირობაა, ეს ი. ჭავჭავაძისათვის ცნობილი იყო[2].

ი. ჭავჭავაძისათვის ცნობილი იყო, რომ საქონელთა გაცვლა ხდება მასში ჩასაიდუმლოებული ღირებულების მიხედვით. მისი აზრით, „ღირებულება არის ერთმანეთის წინაშე სხვადასხვა საქონელთა ის რაოდენობა, რომელიც შესაძლოდ ხდის საქონლების ერთმანეთზე ცვლას“[3].

როგორც ჩანს, თერგდალეულთა ბელადი ერთმანეთში აიგივებდა საქონლის ღირებულებასა და საცვლელ ღირებულებას. მაგრამ ასეთი გაიგივების მიუხედავად, ავტორის მომდევნო მსჯელობანი არსებითად მაინც სწორი გზით მიემართება; საქონლის ღირებულების სიდიდეს შრომას უკავშირებს; ამასთანავე, არა შრომას საერთოდ, არამედ საშუალო შრომას. „თ უ ო რ ი თუნგი ღვინის მოსავალი ე რ თ ს ა შ უ ა ლ ო მ უ შ ი ს ღ ო ნ ე ს ა დ ა დ რ ო ს ი ნ დ ო მ ე ბ ს დ ა ა მ ო დ ე ნ ს ა ვ ე ღ ო ნ ე ს ა დ ა დ რ ო ს ე რ თ ი კ ო დ ი პ უ რ ი ს მ ო ყ ვ ა ნ ა,“ მ ა შ ი ნ ისინი ღირებულებრივად ტოლნი არიან[4].

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1952 წ., გვ. 136.

[2] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული. ტ. III, 1952 წ., გვ. 136-137.

[3] იქვე, გვ. 141.

[4] ი. ჭავჭავაძე, თხზ., სრ. კრებული, ტ. III, 1952, გვ. 141-142 (ხაზგასმა ჩემია — გ. თ.).

ი. ჭავჭავაძე მეისნერის პროექტის კაპიტალისტური შინაარსის კრიტიკის ინტერესებიდან გამომდინარე, საგანგებო ყურადღებას აქცევდა ღირებულების რაოდენობრივი განსაზღვრულობის საკითხს; სათანადო სიღრმით იჭრებოდა გაცვლისა და ღირებულების ფორმათა განვითარების ისტორიულ პროცესში. მან იცოდა, რომ ამ პროცესის ცოდნის გარეშე ფულის წარმოშობის საიდუმლოების გაგება შეუძლებელია.

თერგდალეულთა ბელადი, უწინარეს ყოვლისა, განიხილავდა გაცვლა-გამოცვლის მარტივ ფორმას, რომელშიაც საქონელთა მოძრაობის მთელ პროცესს გულისხმობდა — ფულის აღმოცენებამდე. მისი აზრით, საქონელთა გაცვლას უშუალოდ, ფულის გარეშე მარტივი გაცვლა ეწოდება.[1]

მარტივი გაცვლის თავისებურებათა გაშუქების შემდეგ, ი. ჭავჭავაძე ხსნის იმ წინააღმდეგობათა ბუნებას, რომელმაც გაცვლის „რთული ფორმის“ წარმოშობა გამოიწვია. მან კარგად იცოდა, რომ საზოგადოებრივი პროგრესის შედეგად ეკონომიური ყოფა ერთობ რთულდება. გაცვლა სპორადული მდგომარეობიდან რეგულარულ ხასიათს იღებს. უშუალო გაცვლა, შექმნილი ვითარების გამო, მეტისმეტად აგვიანებს საქონელთა მოძრაობას; ამ წინააღმდეგობათა გადაჭრა ფულის აღმოცენებით მთავრდება და მთელი მოძრაობა ახალ ფაზაში გადადის.[2]

მარტივი გაცვლა ფულის წარმოშობამდე სუფევდა ქვეყნად. ფულის გაჩენის შემდეგ „დამაგვიანებელი მოქმედების“ საფუძველი მოიშალა. ახლა უკვე გამყიდველს აღარ სჭირდება საქონელთა დაუსრულებელ მწკრივში ხეტიალი, ხანდაუზმელად პოულობს საყოველთაო ექვივალენტს ფულის სახით, რომელიც „ღირებულების ცხადი გამომხატველი“ და გაცვლის პროცესის „საყოველთაო ძალაა“.[3]

გაცვლის ისტორიული პროცესის თავისებურებათა უფრო ნათელი გაშუქების მიზნით ი. ჭავჭავაძე მარტივი და რთული გაცვლის (საქონელმიმოქცევის — გ. თ.) შედარებითი ანალიზის ხერხსაც მიმართავს. „გაცვლის სახე, ორგვარია. ერთი მარტივი, როცა ერთი სახის საქონელი სხვა სახის საქონელზე იცვლება პირდაპირ და უშუამავლოდ და მეორე რთული, როცა გასაცვლელ საქონელთა შორის სხვა საგანი, ე. ი. ფული მოქმედებს. პირველი სახე ასეთია: საქონელი=საქონელი; და მეორესა: საქონელი= =ფული=საქონელი“[4].

ყოველივე ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისი საქონლის

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1952 წ., გვ. 137.

[2]. იქვე.

[3]. იქვე, გვ. 138.

[4]. იქვე, გვ. 138-139.

და ფულის ურთიერთობის შესახებ, იმის უდავო მოწმობაა, რომ იგი ფრიად მიუახლოვდა ფულის წარმოშობის თანმიმდევრულ მეცნიერულ გაგებას.

მეტად საინტერესოა ი. ჭავჭავაძის შეხედულება ღირებულებისა და ფასის ურთიერთობის საკითხებზე. მისი აზრით, „ღირებულება და ფასი ერთი და იგივე არ არის", მაგრამ ამავე დროს „ფასი იგივე ღირებულებაა საქონლისა, მხოლოდ ფულის რაოდენობით გამოხატული"[1] ფასები ღირებულების გარშემო მოძრაობს ყოველთვის. მისი ცვლილებანი საქონლის ღირებულების ცვლილებაზეა დამოკიდებული. მაგრამ ფასების გადახრა ღირებულებიდან ერთი ან მეორე მიმართულებით ვლინდება მიმოქცევის პროცესში, რომელიც უშუალოდ ბაზართან არის დაკავშირებული. საქონლის მიმოქცევის ადგილს ი. ჭავჭავაძე ბაზას უწოდებდა[2]. მან ნათლად დაინახა ფასებისა და ღირებულების იგივეობა და განსხვავებულობა.

ამრიგად, ი. ჭავჭავაძე საქონლურ-ფულადი ურთიერთობის საკითხებს შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე განიხილავდა. ამასთანავე, ეკონომიური კატეგორიების — საქონლისა და ფულის განმარტების დროს იგი, როგორც დავინახეთ, მხოლოდ მარტივი საქონელ-წარმოებით შემოიფარგლებოდა. და ეს შემთხვევით არ მომხდარა. ი. ჭავჭავაძეს ამ შემთხვევაში აინტერესებდა საქონელი და ფული, როგორც კაპიტალის განუვითარებელი საფეხურები, რაც, ცხადია, მარტივ საქონლურ წარმოებას შეესაბამება. მას ცალკეული მომენტების სახით რამდენადმე შეცნობილი ჰქონდა კიდეც საქონლის, ფულისა და კაპიტალის დიალექტიკური კავშირი.

ისმება კითხვა, რისთვის დასჭირდა თერგდალეულთა ბელადს კაპიტალის განუვითარებელ საფეხურთა განხილვა? თვით კაპიტალის ბუნების გაშუქებისათვის, კერძოდ, ზედმეტი ფულის საიდუმლოებაში ჩაწვდომისათვის. მოვუსმინოთ ი. ჭავჭავაძეს: „ეს გრძელი სიტყვა ფულის საზოგადო მნიშვნელობაზედ იმიტომ გავაბით, რომ ჩვენის მსჯელობისათვის ფეხმოსაკიდებელი საგანი აგვეჩინა. ეს ერთი. მეორე იმისათვის, რომ, რაკი ეს მნიშვნელობა გვეცოდინება, უფრო ადვილად მივხვდებით შემდეგს კანონებს პოლიტიკური ეკონომიისას"[3].

ახლა ვნახოთ, თუ როგორ ხსნიდა ი. ჭავჭავაძე ფულის გადასვლითი განვითარების პროცესს. ხსენებული საკითხი მას შესანიშნავად აქვს გადმოცემული მეისნერის პროექტის კაპიტალისტური ბუნების გარკვევასთან დაკავშირებით. რას ჰპირდებოდა მეისნერი ქართველ საზოგადოებრიობას? მეისნერი გვეუბნება: „ვიყიდი ღვინოს რომ ისევ გავყიდო, ესე იგი, ღვინის ვაჭრობას გავმართავო... აქ ფული გადის ფულისვე შემოსატანად ღვინის მეშვეობით... აი როგორი სახე ექნება ბ-ნი მეისნერის ამხანაგობის მოქმედებასა: ფული=ღვინო=ფული+34 პროცენტი"[1].

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძეს ესმოდა, რომ მოცემულ შემთხვევაში ფულის დანიშნულება თვისობრივად სხვაა, ვიდრე საქონელმიმოქცევის სფეროს მომსახურების დროს იყო; რომ აქ ფული ზედმეტი ფულის მიღებისათვის გამოიყენება, რომ მთელი ამ მოძრაობის ამსახველი ფორმულა ფ-ს-ფ+34 პროცენტი თვისობრივად განსხვავდება ფორმულისაგან ს-ფ-ს. „ფული, — წერდა იგი, — რაკი თავის პირდაპირ დანიშნულებას გადასცდება ხოლმე, რაკი გაყიდვას ყიდვისათვის არ მოახდენს, არამედ ყიდვას გაყიდვისათვის... მაშინ ფული საქონლის მიმოქცევის საშუალებად კი არ ხდება, არამედ მიმოქცევის საგნად საქონლის საშუალებით. ამ ყოფაში ფულს ქვეყნის გამდიდრება კი არ მოსდევს, არამედ იმისი, ვის ჯიბიდანაც ამოდის, რათა იმის ჯიბეშივე უკანვე ჩავიდეს. უბარტყებოდ ჯიბიდან ფულის ამოსვლა და ჩასვლა ტყუილი ნაცარქექიობა იქნებოდა. ამიტომაც, ფული ამ შემთხვევაში მარტო იმის სიხარბეშია, რომ რაც შეიძლება დიდი მოგებით დაუბრუნდეს იმავე ჯიბეს, საიდანაც ამოვიდა. ამ სიხარბეს საზღვარი არ აქვს".[2]

ი. ჭავჭავაძე ყოველივე ამას წერდა XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. ფულზე მსჯელობის დროს იგი ავლენდა ზედმეტი ღირებულების წარმოებისა და მიმოქცევის ურთიერთობას, მათ შორის მკაცრი მიზეზობრივი კავშირის საფუძვლიან ცოდნას. მას ესმოდა, რომ გარკვეული აზრით ფული მიმოქცევაში იქმნება და ამავე დროს არც იქმნება, რომ ზედმეტი ფული, ზედმეტი ღირებულება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც მხოლოდ წარმოების შედეგი, ან როგორც მხოლოდ მიმოქცევის შედეგი; რომ ზედმეტი ღირებულების ცნებაში წარმოებისა და მიმოქცევის ურთიერთმოქმედება იგულისხმება.

ი. ჭავჭავაძის ზემოაღნიშნული შეხედულებანი მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას უახლოვდება. კიდევ მეტი. ამ შეხედულებებს „კაპიტალის" იდეების გავლენა საკმაოდ მძლავრად ეტყობა. ბოლოს და ბოლოს რა არის ის ფული, რომელიც ფულს იბარტყებს, თუ არა კაპიტალი? რა არის ეს ნაბარტყი, თუ არა

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ.. სრ. კრებული, ტ. III, 1952, გვ. 141.

[2]. იქვე, გვ. 139.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. III, 1952, გვ. 139.

[1] იქვე, გვ. 139-140.

[2] ი. ჭავჭავაძე. თხზ. სრ. კრებული, ტ. IV, 1955, გვ. 260.

ზედმეტი ღირებულება? ცხადია, ამ შემთხვევაში ილიას თვალსაზრისი კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების საკვნებით მეცნიერული გაგებისაკენ მიისწრაფვის, მაგრამ იგი ჯერ კიდევ არ ნიშნავს კაპიტალისა და მისი მოძრაობის არსის თანმიმდევრულ გაგებას. ი. ჭავჭავაძეს კაპიტალი წარმოების ურთიერთობათა ნივთიერ გამოხატულებად კი არ მიაჩნდა, არამედ ნივთად. მისი აზრით, წარმოების საშუალებანი და „ეკონომიურად გამოყენებული“ ფული კაპიტალია თავისთავად და არა კაპიტალის მოძრაობის ფორმა. მიუხედავად ამისა, პოლიტიკური ეკონომიის ზოგად კატეგორიათა დიალექტიკური კავშირების ასეთი გაგება იმდროისათვის, უცილობლად წარმოადგენდა ქართული მეცნიერული აზროვნების წინსვლას.

ღირებულებრივ კატეგორიათა სუბორდინაციული კავშირების თანმიმდევრულმა გაგებამ ი. ჭავჭავაძეს შრომისა და კაპიტალის ღრმა წინააღმდეგობრივი ურთიერთობის შეცნობის საშუალებაც მისცა და სამართლიანი საზოგადოების გარდაუვალი მომავლის აუცილებელ აღიარებამდეც მიიყვანა. მისი აზრით, შრომისა და კაპიტალის დაპირისპირებულობის მიზეზი არის ბურჟუაზიული ყოფა, რომელიც აფერხებს მეურნეობრივ პროგრესს. ამის გამო კაპიტალიზმის შეცვლა გარდაუვალია. მხოლოდ კაპიტალიზმის შეცვლითა და შრომის სუფევის რესპუბლიკის დამყარებით შეიძლება შრომისა და კაპიტალის ჰარმონიული სინთეზის მიღწევა.

სადავო არ უნდა იყოს, რომ ილიას საპროგრამო ნაწარმოები „აჩრდილი“ შრომის სუფევის აპოთეოზს წარმოადგენს. ამ ნაწარმოების იდეათა მთელი სისტემა ქმნის ისეთ თეორიულ დონეს, საიდანაც მოსჩანს ქართველი ხალხის საბედნიერო მომავლის კონტურები. მზის სხივებით გაბრწყინებული მყინვარის თავზე გადმომდგარი დიადი მოხუცის აჩრდილი სამართლიანი ყოფის იდეალურ გამომხატველად გვევლინება, მაგრამ იგი ჯერ მხოლოდ აჩრდილია, რომელიც სინამდვილედ შეიძლება იქცეს.

თერგდალეულთა ბელადს შრომის განთავისუფლება ძლევამოსილი მე-19 საუკუნის მთავარ ამოცანად მიაჩნდა. მან კარგად იცოდა, რომ მაშვრალკაცობის მედგარ შეტევებს ველარ გაუძლებდა ექსპლოატატორული წყობილება, „განახლებისა გრიგალის ქროლვა“ დაანგრევდა ძველ სოციალურ შენობას, დაამსხვრევდა მონობის ბორკილებს, ჭეშმარიტების გამარჯვებას უზრუნველჰყოფდა, გზას გაუხსნიდა ახალ ცივილიზაციას, შრომის სუფევას დაამკვიდრებდა.

შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განმტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით! [1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილიას აზრით, ახლად შობილ ქვეყანას სწორედ შრომის სუფევის საფუძველზე შეუძლია მიაღწიოს იდეალურ სრულყოფას, საყოველთაო კეთილდღეობასა და თანასწორუფლებიანობას, ძმობის, ერთობის, ჭეშმარიტებისა და სათნოების გავრცელებას; მოუტანოს ადამიანებს ბედნიერი ცხოვრება; მოსპოს ძარცვა და, რბევა, ბატონობა და ექსპლოატაცია.

ყველასათვის იქმნეს იგი სუფევა
თანასწორობა ნივთა მფენელი [2].

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ილიას შრომის სუფევის მოტივები, რომლებიც კაცობრიობის მატერიალური და სულიერი ემანსიპაციის რწმენით არის გამსჭვალული, სრულიადაც არ ნიშნავდა შრომის ბურჟუაზიული განთავისუფლებისაკენ სწრაფვას. მის მიზანს წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ შრომის უზენაესი მბრძანებლობის, შრომის სუფევის განხორციელება.

სწორედ ეს იყო თერგდალეულთა ბელადის მსოფლმხედველობის ძირითადი ტენდენცია, რომელიც მან „აჩრდილში“ ჩამოაყალიბა. ჯერ კიდევ 1858 წელს შეიქმნა მისი პირველი ვარიანტი. აქედან მოყოლებული ეს პოემა სისტემატურად განიცდიდა სათანადო ცვლილებებს. ზუსტდებოდა და იხვეწებოდა ავტორის მიერ. მაგრამ, პრინციპული იდეოლოგიური ხასიათის ცვლილებები, როგორც მკვლევარი პ. ინგოროყვა აღნიშნავს, „აჩრდილს“ არასოდეს განუცდია. მისი ძირითადი მოტივები ერთი შეურყეველი მრწამსის გარშემო ტრიალებდა ყოველთვის [3].

ი. ჭავჭავაძის „შრომის სუფევის“ იდეათა ევოლუცია მიმდინარეობდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. სწორედ „აჩრდილის“ მოტივები წარმოადგენდა საბედნიერო მომავლის საზეიმო ჰიმნს, შრომის სუფევის საფუძველზე სამართლიანი წყობილების განხორციელების იდეებით რომ მოძღვრავდა ქართველ ხალხს.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, 1937, გვ. 132.

[2] იქვე.

[3] ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, 1937, გვ. 698.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გურამ გვერდწითელი

# მშობლიური მზით გამთბარი გული

ათასგვარი ფერებით, ნახატებით, გრაფიკული მოხაზულობებით აჭრელებულ წიგნის დახლზე სწორედ თავისი სისადავით, ჩუმი მიმზიდველობით იქცევს მკითხველის ყურადღებას სერგო კლდიაშვილის მოთხრობების რუსული თარგმანების ახალი კრებული «Далекие зарницы», რომელიც ახლახან დასტამბა გამომცემელმა „ხუდოჟესტვენნაია ლიტერატურამ“ და ამით ერთხელ კიდევ მისცა შესაძლებლობა რუს მკითხველს ამ შესანიშნავი ქართველი მწერლის მხატვრულ ნააზრევს ეზიაროს. წიგნის ყდას ქართული ორნამენტის ერთი მცირე ფრაგმენტი ამშვენებს მხოლოდ. ზუსტად მიგნებული მხატვრული გაფორმებაა. მთელი კრებულიც ხომ ასევე სადა და ამ ორნამენტივით მცირე, მშვენიერი მოთხრობებისაგან შედგება. სერგო კლდიაშვილი ფრიად მნიშვნელოვანი რომანების ,პიესების, მემუარების ავტორიცაა, მაგრამ დიდად არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ თავისი მოწოდებით, შინაგანის სწრაფვით იგი უპირატესად ნოველისტია. ამ მხრივაც იგი მამის, ქართული ლიტერატურის კლასიკოსის, ერთი უბრწყინვალესი პროზაიკოსის დავით კლდიაშვილის კვალს მისდევს.

რაკილა კრებული ქრონოლოგიური პრინციპით არ არის აგებული, უმჯობესი იყო იგი მოთხრობა-მინიატურით „როცა ზედაზენიდან გავცქეროი“ გახსნილიყო. აქ ერთგვარად თვითონ მწერალი გვაძლევს თავისი შემოქმედების გასაღებს. ზედაზნის მაღლობიდან გადმომდგარი მწერლის თვალწინ იშლება საქართველოს წარსულიცა და აწმყოც, უძველესი მცხეთის ქვის ნაგებობებიც, მისი არმაზი, ჯვარი, სვეტიცხოველი და ახალი, ფოლადის ქალაქებიც, ღრუბლებში შეცურებული კავკასიონის მწვერვალებიცა და აყვავებული ქართლის ბაღებიც. და, რაც მთავარია, მწერალი თავისი სულის თრთოლვას გვანდობს:

„ზედაზენის ამ სიმაღლიდან სული უკვდავებას ეზიარება და თვალი მარა[illegible] გასცქერის. ვსუნთქავ მთის სუფთა ჰაერს, ვგრძნობ გაიშალა გული და ქართლის ცაზე გაბრწყინებული მზით გამთბარი, გაიზარდა დიდ, უცხო ყვავილად“.

მწერლის სწორედ ეს მშობლიური ქვეყნის მზით გამთბარი გული გვხიბლავს მის საუკეთესო მოთხრობებში, გული, რომელიც სავსეა თავისი მიწაწყლის, უპირატესად კი თავისი ხალხის, უბრალო, შეუმჩნეველი, მაგრამ წრფელი და პატიოსანი ადამიანების სიყვარულით.

სერგო კლდიაშვილის შემოქმედება, და ეს კრებულიც, რომელიც ერთგვარად რჩეული მოთხრობების თარგმანს წარმოადგენს, არ არის ერთფეროვანი, ერთთემიანი. მწერალს მკითხველი ზოგჯერ შორეულ წარსულშიც გადაჰყავს და იქ დატრიალებული სოციალური უსამართლობის თუ ეროვნული ჩაგვრის მძიმე სურათების მოწამედა ხდის. ეგრეთწოდებული სვანური ციკლის მოთხრობებში იგი საქართველოს ამ მაღალმთიანი მხარის მოსახლეობის ვაჟკაცურ ბუნებასა და მტკიცე ხასიათს, მათ მკაცრ ყოფასა და ადათებს გვიხსნის. სერგო კლდიაშვილი თავიდანვე დიდი ინტერესით აკვირდებოდა იმ გარდაქმნებს, რაც თან მოჰყვა ოქტომბრის რევოლუციას და ახალი ყოფა, ახალი ადამიანის ფსიქიკა კიდეც გამოიხატა სათანადოდ მის მოთხრობებში (და რომანებშიც). მწერალი ზოგჯერ, თუმცა იშვიათად ,სატირასაც მიმართავს და თავისი მახვილი თვალისა და ენის წყალობით გვიშიშვლებს ცხოვრებისეულ მანკიერებებს. აქვე უნდა ითქვას, რომ მწერლის მთელი რიგი მოთხრობები კონკრეტული ეპოქის თუ მოვლენის უშუალო გამოძახილია („წმინდა აბესალომი“, „სარდიონ შოშიას ვნებანი“)და უმჯობესი იყო საერთოდ არ შესულიყო კრებულში. ან, რაკი აუთებიც იბეჭდებოდა. მოთხრობებს დაწერის წელიც დართვოდათ.

მოთხრობების მრავალთემიანობის მიუხედავად, ადვილად შეიძლება შეიმჩნეს ის ძირითადი და განმსაზღვრელი მოტივი, რომელიც ყველაზე ახლობელია, ორგანულია მწერლისათვის, რასაც ყველაზე მეტი სითბო, უშუალობა დასდევს თან,, რაც ყველაზე ღრმად და მძაფრად არის განცდილი ავტორის მიერ. მწერალი განსაკუთრებით ძლიერია სწორედ იმ მოთხრობებში, სადაც თავის წრფელ თანაგრძნობას უცხადებს, თავისი გულის სითბოს უზიარებს იმათ, ვინც ამას ბედის უკულმართობის თუ სხვა რამ მიზეზით საჭიროებს. და აქაც, თავისი დიდი ადამიანური თანაგრძნობით, იგი აგრძელებს იმ შესანიშნავ ტრადიციებს, ასე ძლიერად რომაა გამოხატული მისი მამის, დავით კლდიაშვილის შემოქმედებაში. რა თქმა უნდა, ადამიანებისადმი ამ თანაგრძნობის აღმძვრელი მიზეზები სულ სხვა იყო დავით კლდიაშვილის დროს, რევოლუციამდელ საქართველოში და სულ სხვაა ახლა, თანამედროვე პირობებში, რასაც გვიხატავს უპირატესად სერგო კლდიაშვილი. მაგრამ, მითაც ეს დიდი, ერთგვარად სევდით შეფერილი სიყვარული და თანაგრძნობა ადამიანებისა შემოქმედებითაც ახლოებს მამა-შვილს.

შეუძლებელია დიდი შინაგანი მღელვარების გარეშე წაიკითხოს კაცმა ნოველა „შემოდგომის წვიმა“. აქ ზუსტი განწყობილებითაა დახატული წვიმიანი, ნისლიანი ნოემბრის დღეები სოფლად და ამ ფონზე კიდევ უფრო სევდიანად იკითხება მოხუცი მათხოვრის ბედი, ვისთვისაც ეს ქვეყანა სიცარიელისაკენ მიმავალი დაუსრულებელი გზაა მხოლოდ. ორი დღით, გამოდარებამდე შეივრდომებს მკაცრი ენისა და თბილი გულის დიასახლისი გლახას, ორი დღე უხმოდ იჯდება იგი ცეცხლის პირას და წასვლის წინ მადლობასთან ერთად ასეთ საყვედურსაც დაუგდებს: იაევ, სჯობდა, არ გაგეთბეო. ესაა შეშაძრწუნებელი ადამიანური ტკივილი, უსახლკარო, უთვისტომო კაცის სულის მოურჩენელი ჭრილობა. და მისი ალალად ნათქვამი, გულიდან ამომხდარი საყვედური პირდაპირი მნიშვნელობით როდი უნდა გავიგოთ, ამით უბრალოდ კიდევ უფრო ძლიერად, უკიდურესი სიმძაფრით განვიცდით მოხუცის უნაპირო სევდასა და ტკივილს, კიდევ უფრო მეტად ვგრძნობთ ჩვენს წმიდათაწმიდა ვალს ვუწილადოთ ადამიანური სითბო იმათ, ვინც სულიერ სიცივეს დაუზრავს, თანაგრძნობის გაწევა, ადამიანის ნუგეშისცემა, მისი გამხნევება, საკუთარი სითბოს გაზიარება ყველას როდი ძალუძს. თუ ეს ჩვეულებრივი რამაა მოთხრობების „კეთილი დედაკაცი“, „შორეულის“ გმირებისათვის, სამაგიეროდ სრულიად გაუგებარი გრძნობაა იმ პერსონაჟთა უმეტესობისათვის, რომელთაც მწერალი სხვა მოთხრობებში („ობროდი“, „ნაცარა“ და სხვა) გვიხატავს.

სევდით შეფერილი ლირიზმი საერთოდ დამახასიათებელი სერგო კლდიაშვილის საუკეთესო მოთხრობებისათვის. მაგრამ ისიც უსათუოდ უნდა ითქვას, რომ ეს ერთგვარი მინორული განწყობილება ხშირად რაიმე სოციალური უსამართლობით ან საზოგადოებრივი ცხოვრების მოუწესრიგებლობით კი არ არის გამოწვეული, არამედ ადამიანთა მარტოობის შედეგია და ამიტომაცაა, რომ ეს შინაგანი ლტოლვა სხვა ადამიანებისაკენ, სხვებთან სიახლოვის წადილი, ადამიანური სითბოს მიღებაცა და გაზიარებაც მოთხრობების გმირებს ყველაზე ძლიერ მოთხოვნილებად გადაქცევიათ („მინდვრის ყვავილი“, „სირინოზი“, „შორეული ციალი“).

სერგო კლდიაშვილი მთელი თავისი მოსიყვარულე, მხურვალე გულით შესტრფის, შესციცინებს, თავს ევლება მშობლიურ ქვეყანას, მიწა-წყალს, მთასა და ბარს, მის საღამოს მწუხრსა და ხალისიან დილას, ლაჟვარდოვან სივრცეებს, მის წარსულსა და აწმყოს, მის მომავალს. მწერლის სიყვარული ჩუმია და უხმაურო, უპათეტიკო, წრფელი და ძლიერი, უკიდეგანო. მისთვის ყველაფერი ძვირფასია მშობლიური, ხეცა და ბალახიც, ვენახებიცა და ხილის ბაღებიც, მივარდნილი სოფლის წყნარი ორღობეებიცა და ქალაქების შფოთიანი რიტმით სავსე ქუჩებიც. და რა თქმა უნდა, ძვირფასია ის დიდებული მრავალსაუკუნოვანი ძეგლები, რომლებიც ქართველი ერის უძველესი კულტურის ცოცხალ ძეგლებად დგანან ქვეყნის ყოველ კუთხეში. მაგრამ ყველაზე მეტად, ძლიერ, თავდავიწყებით მას მაინც თავისი ხალხი, ადამიანები უყვარს და ეს გრძნობა, რასაც ვერაფერი ამქვეყნიური ვერ შეედრება, შესანიშნავად გამოხატა მწერალმა მოთხრობაში „სერაფიტა“.

უძველესი დროის სამარხში არქეოლოგებმა აღმოაჩინეს წარწერა, საიდანაც ცნობილი გახდა, რომ იქ განისვენებდა ულამაზესი ქალი, ოცი წლის სერაფიტა. სწორედ ამ რეალურ ამბავს უყვება რაიონის ექიმს მინდელს სტუმრად ჩამოსული მეგობარი არქეოლოგი. მინდელი თვითონაც თავდავიწყებითაა შეყვარებული ქართული კულტურის ძეგლებში და მძიმე ავადმყოფთან სოფლად მიმავალი თან გაიყოლებს მეგობარს ერთი ძველი ტაძრის საჩვენებლად. არქეოლოგი ტაძარში დარჩება. მინდელი კი ავადმყოფს მიაშურებს, მაგრამ ექიმბაშისაგან სიკვდილის პირად მიყვანილ ახალგაზრდა ქალს აღარაფერი ეშველება .ასე იღუპება ეს თანამედროვე სერაფიტა და დამწუხრებულ ექიმს უკან გზაზე აღიაზიანებს მეგობარი არქეოლოგის „ლაყბობა“ ქართული ორნამენტის სილამაზესა და ფორმების დახვეწილობაზე. მინდელისათვის (და რა თქმა უნდა მწერლისთვისაც) სერაფიტების მშვენიერებას არაფერი შეედრება.

ეს სევდით შეფერადებული ლირიზმი მწერლისათვის მხოლოდ საშუალებაა იმისათვის, რომ ემოციურად ძლიერად განგვაცდევინოს თავისი სათქმელი. იგი არავითარ შემთხვევაში არ გვეჩვენება რაღაც უიმედო განწყობილების თუნდაც ქვეშეცნეულ გამოხატულებად. სერგო კლდიაშვილს სწორედაც ღრმად სწამს ადამიანის ძლიერებაც და მისი იმედიანი მომავალიც. ეს კარგად იგრძნობა მის მოთხრობებში, თუნდაც ისეთი მძიმე განცდებით დატვირთულებშიც კი, როგორებიცაა „დაბრუნება“ და „ჭინკა ბიჭები“.

პირველ მათგანში მოთხრობილია თუ როგორ ელიან და როგორ მოდის ერთ ოჯახში ფრონტზე დაღუპული შვილისა და ქმრის მეგობარი. და აი, ასეთ მძიმე განცდებზე აგებულ მოთხრობაშიც კი მწერალი დიდ სულიერ მხნეობას ამჩნევს ადამიანებში და სასოწარკვეთით კი არა, სწორედაც იმედით ავსებს მკითხველს, იმ იმედით, რომ ვერავითარი სულიერი ტკივილი და ტრაგედია ვერ გატეხს ადამიანს. კიდევ უფრო მეტ განზოგადებას მოიცავს სულ რამდენიმე გვერდიანი მოთხრობა „ჭინკა ბიჭები“, სადაც ხალხის უძლეველობისა და უკვდავების იდეა ასე უბრალოდ და საინტერესოდაა გადმოცემული. ამ პატარა სოფლიდან, რომელიც თავისი სოფლური ცხოვრებით ცხოვრობდა, სადაც გლეხები თავის გლეხურ ჭაპანს ეწეოდნენ ადრიდან დღემდე, რამდენიმე თაობა წავიდა სხვადასხვა დროს ომების ძნელსა და მოუსვლელ გზებზე. დიდ სამამულო ომშიც სოფლის შვიდი კომლიდან შვიდივე ოჯახის უფროსი წავიდა ფრონტზე და ერც ერთი არ დაბრუნდა. და ახლა, იმ სოფელში გავლისას მწერალს კვლავ შემოხვდებიან პატარა ბიჭები, ჯანით, ღონით, ხალისით სავსე ჭინკა ბიჭები, რომლებიც სოფლური მიამიტობით შეჰხარიან ცხოვრებას. მათ შემხედვარე მწერალს იმედით ევსება გული, რომ ამ სოფელში არასოდეს ჩაქრება კერა, რომ ჭინკა ბიჭებს არ უწერიათ გადაშენება, რომ სიცოცხლე უკვდავია, რომ ცხოვრება ხალისითა და ბედნიერებითაა სავსე.

ასეთი განწყობილების მწერლისაგან, ვინც რეალურ ცხოვრებაში ესოდენ ძლიერადაა შეყვარებული, ვინც თავისი შემოქმედების სათავეს ხალხის ყოველდღიურ ყოფაში, მის საქმიანობაში, განცდებში, აზრსა და გრძნობებში ეძებს, ვის მოთხრობებსაც სწორედ მიწის სურნელი უდის, ჩემთვის მოულოდნელია და ერთგვარად გაუგებარი მოთხრობა „დიდი სარკე ბავშვის ოთახში“. ავადმყოფი ბავშვი წლების მანძილზე მიჯაჭვულია ლოგინს და მხოლოდ დიდი სარკის საშუალებით ხედავს ქუჩის ერთ ნაწილს. ბოლოს ექიმები ნებას დართავენ მშობლებს, რომ ავადმყოფი ბაღში გაიყვანონ ხოლმე სუფთა ჰაერზე, მაგრამ ბავშვი ვერ შეეგუება ნამდვილ ქუჩას, ნამდვილ ბაღს და დაჟინებით მოითხოვს ოთახში დააბრუნონ. ბავშვს ურჩევნია დიდი სარკიდან უყუროს ქუჩას, ცხოვრებას, ოღონდ უშუალოდ არ შეეხოს მას. უცნაური ეს კი არაა, არამედ ის დასკვნაა, რასაც მწერალი გვთავაზობს:

„იქნებ ვინმემ ისიც იკითხოს, რა მორალი აქვს ჩემს, ასე ვთქვათ, არაკს? თანავუგრძნობ ჯიუტ თორნიკეს, თუ ვკიცხავ? ბავშვს ვერ დავსჯი იმ მიზეზით, რომ შეჰხარის თავის მოჩვენებით სამყაროს. ადამიანი ხომ იმისთვის იბადება, რომ ბედნიერებას ეზიაროს და თუ ის კეთილი თვალისა და კეთილი გულის პატრონია, დე დარჩეს იქ, სადაც ბედნიერება მოიპოვა. ნუ წავართმევთ ამ უკანასკნელ თავშესაფარს“.

მთელი თავისი შემოქმედებით სერგო კლდიაშვილი სწორედ რეალური, ჯანსაღი, ადამიანური ბედნიერებისათვის იღწვის და უეცრად ასეთი კომპრომისი, მოჩვენებით, ხელოვნურ სამყაროსთან შეგუება, უბრალოდ, თვით სერგო კლდიაშვილის კონცეფციასვე ეწინააღმდეგება.

ამავე კრებულში დაბეჭდილია სერგო კლდიაშვილის ერთი ფრიად საინტერესო მოთხრობა „მინანქრის გოგონა ლომბარდში“, რომელიც სულ ორიოდე წლის წინ გამოაქვეყნა მწერალმა. მოთხრობაში ავტორი გესლიანად დასცინის ლომბარდის „ყოვლისმცოდნე“ თანამშრომლებს, ვისთვისაც არავითარი ფასი არა აქვს ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშს, ემალზე შესრულებულ გოგონას მომხიბლავ პორტრეტს. სასოებით და გულისტკივილით მიჰქონდა ავტორს ეს მინანქრის გოგონა ლომბარდში იმ იმედით, რომ მალევე დაიხსნიდა, მაგრამ, სრულიად მოულოდნელად იქ პორტრეტს ზედაც არ დახედეს, სამაგიეროდ სიამოვნებით და კარგ ფასში მიიღეს დასაგირავებლად ფინჯაკი, რომელიც იმ ცხელ დღეს ზედმეტ ბარგად აწვა მწერალს. ვინ იცის, რა შორეულ ანალოგიებსაც გულისხმობდა მწერალი, როცა ამ მოთხრობას წერდა. ერთი რამ კია, ზოგჯერ ჩვენ მართლაც ვემსგავსებით შემფასებლებს ლომბარდიდან, როცა ქებას ვასხამთ იმ ნაწარმოებებს, სადაც სათქმელი შეუფარავად, პირდაპირ, ხშირად მარტივადაც, მხატვრულად უფერულად არის ნათქვამი და მისი უტილიტარული დანიშნულება სადაოდ არავის შეუძლია გახადოს. და, სამაგიეროდ, გვიჭირს ხელოვნების იმ ნიმუშების დაფასება, რომელთაც ღრმად მდებარე, მაგრამ ჭეშმარიტად ლამაზი და დიდი ადამიანური სათქმელი მიაქვთ მკითხველამდე.

სწორედ ამ უკანასკნელთა რიგს განეკუთვნება სერგო კლდიაშვილის საუკეთესო მოთხრობები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილიპე ბერიძე

# პოეტური სილაღის ძალა

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის თვისებათაგან, უპირველეს ყოვლისა, უშუალობა, სილაღე, სისადავე უნდა გამოვყო. შესაძლოა, ეს სამი ცნება რაღაც უმნიშვნელო ნიუანსებით განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან, მაგრამ პრინციპში ერთ ენაზე ქღერს, ერთი და იგივე სიგნალს გამოსცემს.

რატომ ვუსვამთ საგანგებოდ ხაზს შ. ნიშნიანიძის შემოქმედების ზემოთ აღნიშნულ ნიშანს?

„ინტელექტუალურ მოდას" ბრმად აყოლილნი, აშკარად თუ ფარულად, ნიჰილისტურად არიან განწყობილნი ამ მართლაცდა მრავალმეტყველი ცნებებისადმი; თუ ღმერთი გაგიწყრა და მათი „შემოქმედების" შეფასებისას ლაღი, უშუალო ან სადა წამოგცდა დიდად შეურაცხყოფილ პოზას მიიღებენ, გლოვის კარავს დადგამენ, მტრად გაღიარებენ და კადნიერად ინუგეშებენ თავს — ჩემი პოეზია არ ესმისო. მათ მოსვენებას არ აძლევს ინტელექტუალურისა და სირთულის პრეტენზია. ამ ვაიინტელექტის პოეტებს ავიწყდებათ, რომ სისადავე სირთულესა და ინტელექტუალურობას არ გამორიცხავს; საფრთხე შეფარულია სისადავეზე დაბლა და მაღლა — პირველი მათგანი პრიმიტივს, ბანალურს მოასწავებს; მეორე სფეროში კი ხელოვნური გართულებები, სიყალბე, ჭეშმარიტი შემოქმედებისათვის უცხო, არაორგანული ტყუილი პოვებს გასაქანს.

ბელინსკი მოხდენილად ამბობს — სირთულე სისადავეშიაო.

ცნობილმა ინგლისელმა პოეტმა დეი ლუისმა 1965 წელს გამოსცა ჰარვარდის უნივერსიტეტში წაკითხული ლექციების კურსი — „ლირიკული იმპულსი". იგი გულისწყრომით აღნიშნავს, რომ მკითხველი შეეჩვია აღფრთოვანებას სირთულით, ინტელექტუალური ვარჯიშით, რასაც ხშირად ეწირება ნამდვილი პოეტური ღირსებანი. ლუისი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს „ინტელექტუალიზმის" მავნე ზეგავლენას ლირიკულ უშუალობაზე.

სულხან-საბა სისადავის სიდიადეს ასე სხარტად გამოხატავს: „სადა—ყოვლად კმაყოფა" ესთეტიკური კმაყოფილება და სიამოვნება ოდითგან დღემდე ხელოვნების განმსაზღვრელ, სასიცოცხლო ამოცანად ითვლება და მომავალშიც ეს იქნება მისი აქცენტური ფუნქცია.

მეოცე საუკუნე მრავალგვარი პოეტური ცდების მოწმეა. გადაჭრით და გაბედულად ვერავინ იტყვის ამ ძიებათაგან რა დამკვიდრდება და რა იქცევა ტრადიციად, მაგრამ მისი მრავალმხრივობა უდავო და იჭვმიუტანელი ფაქტია. ამ ცდებიდან მრავალ სიკეთესა და პლუსთან ერთად საგრძნობლად ამოტივტივდა ხელოვნურობა, რამაც ქართულ პოეზიაშიც საკმაოდ მოიდგა ფეხი. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც თუ ისე იშვიათად აღწევენ ხოლმე ამ გზით „ეფექტურ ზემოქმედებას". ეს მახე აცდუნებს, არა მარტო რიგით მკითხველს, არამედ პროფესიონალსაც. მაგრამ ეს არის მოჩვენებითი, მირაჟული ეფექტი, რაც გონებისმიერ გაზვიადებულ ტყუილსა და ცრუ ხილვებში იღებს სათავეს.

საერთოდ ხელოვნებას და განსაკუთრებით პოეზიას სიცრუის უფლება აქვს და თავის არსებით მიზანსაც სწორედ ამ მიმართებით სრულყოფს; წინააღმდეგ შემთხვევაში მხატვრულ ფანტაზიას ფუნქცია დაეკარგებოდა და ემპირიზმის ჭაობში მოვიგუდებოდით; ლესინგი ლამაზად ამბობდა — ფერწერა და პოეზია (აქ ლესინგი საერთოდ ხელოვნებას გულისხმობს — ფ. ბ.) გვატყუებს და ამით გვასიამოვნებსო, მაგრამ ამ ტყუილს აქვს მკაცრად ზღვარდებული წერტილი, რომლის იქითაც მხატვრული სი-

მართლე უფასურდება და იწყება სიყალბე, მხატვრულად დაუმტკიცებელი სიცრუე. ნ. ბარათაშვილის „მერანი“ ინტელექტუალური პოეზიის უნიკალური შედევრია. ასეთი აზრობრივი დატვირთვა, ესოდენ ღრმა მხატვრული ინტელექტი ლირიკულ ლექსში იშვიათად თუ გამოვლენილა (რა თქმა უნდა, ყოველივე ეს შერწყმულია შესაბამის ემოციურ ძაბვასთან), მაგრამ ყოველ სტრიქონს მაღალი რანგის სისადავე, პოეტის შინაგანი სამყაროდან მომავალი უშუალობა და უბრალოება მსჭვალავს.

ეს მოკლე ექსკურსი ორგანულად მომდინარეობს იმ შთაბეჭდილებიდან, რასაც შ. ნიშნიანიძის პოეზია უქმნის მკითხველს სისადავის, უშუალობისა და სილაღის თვალსაზრისით.

შ. ნიშნიანიძე შთაგონებული, გულწრფელი შემოქმედია. იგი გულის კარნახით წერს და მეტწილად გონების თვალით ამოწმებს (მეტწილად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ხანდახან კარგავს გონებრივ კონტროლს და რამდენადმე ცარიელ პათოსს, გაჭიანურებულ გრძნობას თუ ქაოტურ ასოციაციებს მისდევს, რასაც ქვემოთ კონკრეტულად აღვნიშნავთ); არაიშვიათად შ. ნიშნიანიძე იმდენად უშუალო და ბუნებრივია, რომ განწყობილებას, ჩანაფიქრს მთელი სისრულით ამკვიდრებს მკითხველში და ყველაფერს, რაზეც იგი წერს, პოეტის გრძნობით განვიცდით, მისი გონების თვალით ვხედავთ; ესე იგი, პოეტი ერთიანად იმორჩილებს მკითხველს, ართმევს პირადი შეგრძნების უნარს, საკუთარი განცდით მუხტავს და მთელი არსებით შეძრავს. ასეთი ზემოქმედება ძალუძს მხოლოდ წრფელ პოეტურ ამოძახილს, უხილავისკენ სწრაფვას, აქტიურ მხატვრულ განცდას.

მაფშალია მომკვდარა... მგალობელი
მაფშალია...
ცხრავე მუზა ტირის, ანგელოსი გამშრალია.
მარტო ერთიც ჯაბნიდა ბულბულების ქოროს,
მე კი მასთან სულ უბრალო შაშვი ვიყავ
მხოლოდ.

მახსენდება, რაც ერთმანეთს ვაწყენინეთ
როსმე,
მაგრამ გულით რომ მიყვარდა, თვითონ.
ცაა მოწმე.
მე ვარ მისი ერთადერთი და უღირსი
მეგობარი,
ვაი, მე ვარ დამნაშავე... ვაი, იგი მე
მოვკალი...

მაფშალია მომკვდარა... მგალობელი
მაფშალია...
ცხრავე მუზა ტირის... ანგელოსი გამშრალია.

დახვეწილმა, სადა ფორმამ გადამდები ძალა და დამაჯერებლობა მიანიჭა პოეტის სევდას.



მგალობელი მაფშალიას ბედის განცდა თავისუფლდება ლირიკული სუბიექტის (შ. ნიშნიანიძის) ინტიმურ სამყაროდან და მკითხველისეული, მის უშუალო განწყობილებად იქცევა.

ლექსის თავისუფალი, ძალდაუტანებელი დინება, ავტორის მართალი ემოციური აღტყინება აქტიურად მოუხმობს ჩვენს გრძნობას და პოეტის ნებისამებრ განგვაწყობს. ეს მაიძულებელი რეზონანსი, გრძნობის შემძვრელი და გამტაცებელი განწყობილება ხალასი მხატვრული ნიჭის, ბუნებრივი პოეტური შთაგონების წყალობაა. შ. ნიშნიანიძის პოეზიის ენერგიულ სუნთქვას გადამდები მხატვრული განცდა, ხალასი პოეტური შთაგონება განაპირობებს.

შემართული, მძაფრი პოეტური პათოსი ფეთქავს შ. ნიშნიანიძის შემოქმედებაში. პოეტი დაძაბული ეძებს საგნის ზუსტ ემოციურ ექვივალენტს. ერთხელ აღვნიშნეთ და კვლავ უნდა გავიმეოროთ: შ. ნიშნიანიძის პოეტური ენერგია ხშირად იმდენად მძლავრად ჩქეფს, რომ უნებლიეთ გვაგონდება მაიაკოვსკის ამოძახილი: «Я стихи пишу всем телом», ლირიკული პათოსის ბუნება გრძნობის აქტიურობა განაპირობებს. იგი (პათოსი) საერთოდ მხატვრული შემოქმედების და განსაკუთრებით ლირიკის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანთაგანია. იმის გამო, რომ ლირიკა ემოციის ორგანული ანარეკლია და უშუალოდ გრძნობასთან ამყარებს კავშირს, პათოსი მისი საარსებო პირობაა. იგი სწორედ ლირიკაში (ლირიკული გრძნობის კომპაქტურობის, დაძაბულობის, სიტყვის პირველადი მნიშვნელობის მაქსიმალური ემოციურ-მეტაფორული სახეცვლილების გამო) ვლინდება მთელი სისრულით და ანიჭებს მას ამაღელვებელი ზემოქმედების, მკითხველის სულიერ-ინტელექტუალური სამყაროს ერთიანად დაპყრობის უნარს. ჰეგელი პათოსში ხედავდა პოეტური სუბიექტის ინდივიდუალურ ნიშანთვისებას. ფსევდო-ლონგინს იგი ამაღლებულის ერთ-ერთ უმთავრეს თვისებად მიაჩნდა. გალაკტიონ ტაბიძემ ლირიკული პათოსის ბუნება ასე ოსტატურად განსაზღვრა:

ტემპერამენტის სიდიადით
არეს ავსებდეს,
აგვამაღლებდეს, გვიტაცებდეს...
(„საუბარი ლირიკის შესახებ“)

რაზეც არ უნდა წერდეს შ. ნიშნიანიძე, რაც არ უნდა იყოს მისი სევდის თუ სიხარულის საგანი, ყოველთვის ღელავს და სულის სიღრმემდე განიცდის. ამ მღელვარე განცდიდან იწყება ამაღლებული პათოსი, გზნება, რაც განცდას ელასტიური მიმოქცევის უნარს ანიჭებს.

... ერთი შეხედეთ, რა საღამოა,
რა სიწყნარეა მადლით ამვსები!

ორთაჭალაში ბადე ამოაქვთ
აფართქალებულ მუხამბაზებით.
(„ბებერი მეარღნე“)

...და როგორც შემოქმედმა ბიბლიაში
სამყარო გააჩინა ქაოსიდან,
სწავლულმა რიცხვების მირაჟიდან
ზუსტი განტოლება ამოზიდა.

(„როგორც ტანმორჩილი სახედარი“...)

... ხეები ჰგვანან იგავ-არაკებს,
მიწის ლოცვებს და მწვანე სიმღერებს,
რამდენიც გინდა ელაპარაკე,
საიდუმლოს კი არ გაგიმხელენ.
სიცოცხლეს მუდამ ახლად იწყებენ
და ინახავენ ძველს და შორეულს.
რასაც კვირტები დაივიწყებენ,
იმას ფესვები იმახსოვრებენ.
(„ჯუჯა ხე“)

... მზერაში უცხო სიბრძნის სხივია,
მოკვდავი ვერც კი ახსნის უბრალოდ.
მოსე თუ ასე ღვთაებრივია,
შენ რაღა უნდა იყო უფალო.

(„ხილვა: მიქელანჯელოს მოსე“)

... ძველი ტკივილი, დღეს რომ ვიგონებ,
ვერ იქნა წლებმა ვერ გააყუჩა,
მე მინდა ყველა ჩემი სტრიქონი,
ომს წავუჭირო ყელზე მარყუჟით.

(„მოხეტიალე ჩექმები“)

... ფიცხობდა, სხიოდა მზის ცხელი დაირა,
სიცხე ძუნძულებდა მთლად დათვისნაირად.
რაც ვნახე, როგორ ვთქვა, ან როგორ
გიამბოთ, —
გოლიათს ლაჯებში მოეხრჩო იაბო.
დაჩეხილ ცხვირ-პირზე ეკიდათ ხაშხაში,
აგვისტოს პირდაპირ ისხამდნენ ხახაში.
(„ხევსური“)

ეს ფრაგმენტები ცხადად გაგვიმჟღავნებენ შ. ნიშნიანიძის პოეზიის ყველა იმ ორგანულ ნიშან-თვისებას, რაც მას მკვეთრი თავისთავადობის ელფერით წარმოგვიდგენს. ძველი თბილისის, კერძოდ ორთაჭალის რომანტიკა, პარალელი ბიბლიურ მოვლენასა და სწავლულის გრძნეულ აღმოჩენას შორის, ხეთა საიდუმლოება (ღრმა მხატვრული ხილვის მაგალითია აზრითა და ემოციით სავსე, ეფექტური სახე — „რასაც კვირტები დაივიწყებენ, იმას ფესვები იმახსოვრებენ“. ოსტატურად შეკუმშული, კონდენსირებული სახე მკითხველის გრძნობასა და გონებაში იშლება და თითქოს იდუმალი ხელით იწერება ხეთა საიდუმლოების დიდი ეპოპეა), უფლისა და მოსეს ღვთაებრიობის მოხდენილი პოეტური შეპირისპირება, რაც პირდაპირი და არაპირდაპირი მხატვრული აღქმის მთლიანობის ფონზე ორივეს განადიდებს, პოეტურ-მოქალაქეობრივი პათოსის მიმართვა ომის წინააღმდეგ, ხევსურული ბუნებისა და ხევსური კაცის ხასიათის მონუმენტური განცდა აყვანილია მაღალ მხატვრულ რეგისტრში და ყოველმხრივ წარმოგვიდგენს შ. ნიშნიანიძის შემოქმედების თვითმყოფადობის ცენტრალურ ასპექტს.

აი, ამ ასპექტის რამდენიმე შტრიხი: ემოციური გარდაქმნა საგანთა თუ მოვლენათა ბუნების შესაბამისად, განწყობილების, რიტმისა და ინტონაციის მრავალფეროვნება, დაძაბული, ენერგიული განცდა, ღრმა მეტაფორული აღქმა, ორგანული, პირადი პოეტური სამყაროდან მომდინარე მხატვრული ხილვა; ყოველივე ამას ამშვენებს ამაღლებული პათოსი, გამოთქმის უშუალო და ლაღი ფორმა.

შ. ნიშნიანიძე დრამატული, სევდანარევი განწყობილების პოეტია. არ არსებობს ამ ქვეყნად საგანი თუ მოვლენა, რომელიც სიხარულის, აღტაცების მიზეზთან ერთად სევდისთვისაც არ იძლეოდეს საბაბს, თუ მას მთლიანობაში, არსებითი ნიშნებით აღვიქვამთ. ასეთ მრავალპლანიან განცდაში კი სევდის ელემენტები ლოგიკურად გაჟონავს ხოლმე. ღრმა ხილვა, საგნის თუ მოვლენის ყოველმხრივი აღქმა, მასში ფანატიკური წვდომა ყოველთვის იძლევა სიგნალს სევდისა და დრამატიზმისათვის; ზედაპირული, ეგრეთწოდებული უგულო და განუცდელი ხედვა ერთდროულადაა დასაბამი როგორც უაზრო სიხარულის ასევე ხელოვნური სევდისა. შ. ნიშნიანიძის პოეზიაში განცდის დრამატულობა მხოლოდ პირადი ტკივილებისმიერი როდია. პოეტი თანაბარი სიმძაფრით განიცდის „თავისას“ და „სხვისას“; მისი ადამიანური ფიქრი ერთნაირად სათუთი და მგრძნობიარეა პირადულისა და საზოგადოებრივის მიმართ.

ო, გულო ჩემო, მუდამ ოცნებობ,
მჯერა, ოდესმე შექმნი უკეთესს,
ყველა ახლობელს და თუნდაც უცხოს
რაღაც დიდსა და კარგს გაუკეთებ.
თუ მიხარია, სულ ტყუილია,
არაფერი მწამს ამ გახარების,
ეს სიხარულიც მოწამლული მაქვს
სხვების ტკივილით და მწუხარებით,
. . .
სხვებზე ზრუნვაში, სხვებზე წუხილში
და შიში გადის მთელი ცხოვრება.

ამ ჰუმანურ გულის-თქმას პოეტი ქვეტექსტში გვანიშნებს თუ პირდაპირ აცხადებს თავის მოქალაქეობრივ მრწამსს ყოველთვის ნათელს ჰფენს და სახეობრივად შთაგვაგონებს სიკეთის იდეას.

გიორგი შატბერაშვილისადმი („მესიზმრა გიორგი შატბერაშვილი“) მიძღვნილ ლექსში პოეტმა გაბედულად ჩაგვახედა თავის ინტიმურ სამყაროში და კაცთმოყვარე გული გადაგვიშალა. გიორგი შატბერაშვილი დიდი მოქალაქე, მდიდარი და უფაქიზესი სულის ადამიანი იყო. დაუმცხრალი ინტერესითაა განწყობილი მკითხველი მისი მხატვრული შემოქმედებისადმი. ნამდვილად გამჭრიახი პოეტური ალღოა საჭირო იმ მაგისტრალური შტრიხების მოსანახავად, რომელთა რკალში ნაწილობრივ მაინც შეიძლებოდეს გიორგი შატბერაშვილის პიროვნებისა და მისი სტრიქონის მადლის შეგრძნება.

რას აღარ ვუყვები... თანაც მეეჭვება –
იქნება სხვა არი... მეშლება-მეთქი...
არა, არაფრით არ შემეშლება
ხარის თვალები და ხარის ქედი!

შენი სიტყვა და საქმენი გვახსოვს,
სადმე ჭირია ან თუ ლხინია.
ჩვენო უთქმელო, კეთილო კაცო,
გადაჩეხილო ჩვენო ღვინია.

პოეტური გრძნობის ესოდენ ინტიმურობას, სისათუთესა და სილბილეს უაღრესი გულითადი სიყვარული, როგორც ედგარ პო იტყოდა „სიყვარულზე მეტი სიყვარული“, განაპირობებს. თუ ამჯერად ადამიანურ, ჰუმანურ, ურთიერთობაზე გადაგვაქვს აქცენტი, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამ სტრიქონებს მხატვრული, პოეტური სრულყოფა აკლდეს. ეს მწვავე ადამიანური სევდა, სხვისი ტრაგიკული ბედის გათავისების გრძნობა პირადი ტკივილის განცდად გვესახება; განწყობილების ორგანულობა, გულითადობა თავისთავად შლის საზღვარს საკუთარსა და არასაკუთარს შორის და სუბიექტი გადადის ობიექტში ანდა პირუკუ—ობიექტი სუბიექტს უერთდება. ასეთი მძაფრი ემოციური გამითა და წრფელი განცდით პოეტი თავის სულიერ შფოთს საყოველთაო ტკივილად აქცევს და დრამატული განცდით მუხტავს მკითხველის სულს. ეს აქტი პოეტურ წვასთან ერთად მოქალაქეობრივი დრტვინვის, მაღალი ზნეობრივი იმპულსის დადასტურებაცაა.

ძალაუნებურად მაგონდება ანტუან დე სენტ ექსიუპერი, რომელმაც მაგიური ძალით გააერთიანა პირადულისა და არაპირადულის განცდა. მან თავის გმირებს საკუთარი სული ჩაუდგა, საკუთარი სხეული გადაუნერგა, ობიექტი სუბიექტიდან (თავისთავიდან) შექმნა, მთელი არსებით გადავიდა სხვაში, თავის გმირებად დანაწილდა ექსიუპერი და „ის“ ერთ არსებად აქცია და ამ ერთი არსების ნერვის რხევა და სულის თრთოლვა შთამბეჭდავად გადასცა მკითხველს. შეუძლებელია გიომე წარმოვიდგინოთ სხვად, მეორე ადამიანად, ობიექტად. იგი ექსიუპერის სულისა და ხორცის ორგანული ნაწილია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ექსიუპერის სულისა და სხეულის ეს ნაწილი მოწყდა და იგი ამ პირად კატასტროფას განიცდის. აქედან მომდინარეობს განცდის უნივერსალური გულითადობა, ინტიმურობა და ალტრუიზმის საწყისებიც. პოეტის როგორც პიროვნებისა და შემოქმედების მთლიანობა უნიკალური შემთხვევაა. შ. ნიშნიანიძის პოეზიაში ადექვატურადაა არეკლილი მისი ადამიანური, მოქალაქეობრივი სახე.

ტყდება ბწკარები, როგორც წკირები,
ტყდება,
წკრიალებს
და ტკივილს ამხელს.
უმცირესობა ლექსს ეწირება,
უმრავლესობა—ხმაურს და სახელს.

ბოლო სტრიქონი ზუსტადაა ამოხატული ზოგიერთი ჩვენი ახალგაზრდა თუ ხანში შესული პოეტის ცხოვრებიდან. რა დასამალია და ჩვენს თვალწინ კარიერის, ეგრეთწოდებული ხელმძღვანელი თანამდებობისა და იაფი პოპულარობის მაძიებელი არა ერთი და ორი „პოეტი“ მოძრაობს. ეს სენი საშუალო, მეტწილად საშუალოზე დაბალი რანგის შემოქმედებს ჭირთ. ამ ფაქტის მიღმა შეფარულია ერთი საიდუმლოება, რომელიც ინერციით იკაფავს გზას; ეს „მეცადინი“, „გულმოდგინე“ მაძიებლები დაუსრულებლად იმართავენ (იმართავენ და არა უმართავენ) საღამოებს და შეხვედრებს არაპროფესიონალთა წრეში. აქ მათ ტაშითა და ოვაციებით ხვდებიან (გინდა თუ არ გინდა, შეხვედრის წესი ტრადიციულად ასეთია). ამ ტაშითა და ოვაციებით გაბრუებულნი პროფესიონალისაგანაც დითირამბსა და ხოტბას ითხოვენ (ზოგი აშკარად, ხმამაღლა, ზოგი კი ჩუმად) და ვაი მას, რომელი გაჯიუტებული პროფესიონალიც მათ ხელში ჩავარდება.

მარშაკი სწორედ ასეთი იაფი პოპულარობის მაძიებლებს აფრთხილებდა: «Надо трезво разбираться в том кто именно и что у вас ценит, и не уподобляться той анекдотической солдатской невесте, которую «вся рота хвалит».

ეს დეტალი კონტრასტისათვის მოვიმარჯვეთ. შ. ნიშნიანიძის უპრეტენზიო, კდემამოსილი პიროვნული ბუნება შარავანდედად ადგას მის პოეზიას. მისი პერსონალური, ადამიანური და მოქალაქეობრივი „მე“ უშუალო გამოძახილს პოვებს ლექსში, რაც თავისთავად წრფელ პოეტურ პათოსში, მართალ მხატვრულ განცდასა (ურომლისოდაც არ არსებობს სილამაზე, მშვენიერება, ამაღლებული) და ხილვაში გამოსჭვივის.

შ. ნიშნიანიძის პოეტური აზრისა და გრძნობის სინათლე, გამჭვირვალობა პირდაპირ მიმართებაშია ქართული ლექსის ბუნებასთან, რომლის სპეციფიკა იოანე ბატონიშვილმა სახისა და სიმღერის მთლიანობის პრინციპით განსაზღვრა. სახე როგორც ესთეტიკური (ამ შემთხვევაში პოეტური) ფენომენი და სიმღერა როგორც პოეტური გრძნობის უშუალობა — ამ აზრს შთაგვაგონებს იოანე ბატონიშვილის პოეტური ფორმულა.

ანატოლ ფრანსი მოპასანზე წერდა — იგი ფლობდა ფრანგი მწერლის სამ უდიდეს თვისებას: უპირველეს ყოვლისა ნათელ აზრს, კიდევ ნათელ აზრს და ბოლოს ისევ ნათელ აზრს. სიტყვამ მოიტანა და აქვე აღვნიშნავთ, რომ აზრის ნაციონალურ, ეროვნულ ბუნებაზე საკმაოდ (შედარებით) წერენ, გრძნობას, ემოციას, განცდას კი ნაკლებად განიხილავენ ამ მიმართებით.

„ფუტკარი“, „კაცი თავის თავს რომ ვერ პოულობს“... „დაკარგულა ძველი ეზოს ბილიკი“, „იოანე ბერი“, „ო, გულო ჩემო, მუდამ ოცნებობ...“, „ხევსური“ — ამ ლექსებში ნათლად გამოიკვეთა შ. ნიშნიანიძის პოეტური სახე, მისი შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ნიუანსური ნიშან-თვისებაც კი; გრძნობის ერთიანობა (რაც კარგი ლირიკული ლექსის თავდაპირველი პირობაა), აზრისა და განწყობილების სინთეზის პრინციპი, მხატვრული განზოგადების ალღო, სიმბოლური აზროვნება და განცდა, სინამდვილის მეტაფორული აღქმა, მედიტაციური სულისკვეთება, განცდის აქტიურობა, ნივთიერი შემოქმედების ძალა — ამ მხატვრულ თვისებებს დამაჯერებლად გვკარნახობენ ზემოთ ჩამოთვლილი ლექსები.

შენ ღვთის ფიქრი ხარ,
ფუსფუსა ფიქრი,
მაძიებელი ფიქრი კირკიტა,
გაბრუებული სკისაკენ მიჰქრი,
რომ დაიბადოს აზრი ფიქრიდან.

თუ ჩემი სიტყვა
შენს ხვედრს გაიყოფს,
მართლაც მქონია ქვეყნად სათქმელი,
იმაზე დიდი რა უნდა იყოს,
კაცს თაფლი მისცე,
ღმერთს კი — სანთელი.
(„ფუტკარი“).

ლოგიკური წერტილი სხვაგვარი დასასრულის შეუძლებლობას გვანიშნებს. პოეტი გასაქანს არ გაძლევს სხვა ვარიანტზე ფიქრისათვის; ემოციურად ამტკიცებს თავისი პოეტური განცდისა და აზრის ერთადერთობას; ამ ასპექტშია შეფარული საგნის თუ მოვლენის ექვივალენტური განცდის საიდუმლოება. რა თქმა უნდა, საგნის მხატვრული (პოეტური) ექვივალენტი იმდენი შეიძლება იყოს, რამდენიც ჭეშმარიტი შემოქმედია, ჩვენც ხშირად პოეტური ნიჭის ჭეშმარიტებას ვუსვამთ ხაზს.

„იმაზე დიდი რა უნდა იყოს, კაცს თაფლი მისცე, ღმერთს კი სანთელი“ — პოეტი ინტუიციურად გასცდა კონკრეტულ ფაქტს, სიმბოლურად განაზოგადა იგი და სახე ღირსეული, კაცობრიობის საკადრისი საქმის შეკუმშულ ჰიმნად იქცა.

ლირიკის თეორიაში თითქმის ერთხმადაა აღიარებული აზრისა და გრძნობის შერწყმის აუცილებლობის პრინციპი. ელიოტს აქვს ერთი სხარტი დებულება — აზრიანი ემოცია, ანუ ემოციური აზრი. კერპად აღიარებული ამ მოსაზრების მიუხედავად ლირიკასა და მუსიკაში გრძნობა ერთგვარ უპირატესობას, აქტიურობას მაინც ინარჩუნებს. ჩვენ ამით იმის თქმა გვინდა, რომ შთაგონებული ლირიკოსის მამოძრავებელი ძალა მაინც გრძნობაა. ლირიკაში გონება, ინტელექტი მისი სიგნალებით მოქმედებს. ყველა ლირიკული შედევრი, რომელსაც კი საკაცობრიო პოეზიის საგანძური იცნობს, თვით ბარათაშვილის შემოქმედებაც კი, მისი აქტიური მოქმედების შედეგადაა შექმნილი. გონება ობიექტურ, განმსჯელ და ანალიტიკურ პრინციპს ეყრდნობა, გრძნობა კი შედარებით სუბიექტურია. ამიტომ გრძნობისმიერ ლირიკოსს შეცდომა, მხატვრულად სუსტი სტრიქონი, ფრაგმენტი თუ მთლიანად ლექსი უფრო მიეტევება, ვიდრე ცივი გონებით მოქმედ პოეტს „მიღწევა“, რომელშიც არცერთი ნერვი არ თრთის და გალაკტიონ ტაბიძის არ იყოს: „თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“.

ზემოთ აღვნიშნე, რომ შ. ნიშნიანიძე ზოგჯერ ასუსტებს გონების კონტროლს და გრძნობას ზედმეტ გასაქანს აძლევს. ამ ცდუნებას მოსდევს რამდენადმე ქაოტური ასოციაციები, გრძნობის გაჭიანურება, მისი ერთიანობის, მთლიანობის დარღვევა, განწყობილებისა და აზრის გათიშვა; მაგალითისათვის დავასახელებთ ლექსებს: „სინამდვილეა და ზღაპარს უდრის“, „მატარებლები და პოეტები“, „ბონდის ხიდი“ (?), „ფუნჯები ჰგვანან მამლის ბოლოებს“, „სიზმარი“, „ბაღში ბავშვები თამაშობენ“ და სხვ. ამ ლექსების მრავალი ფრაგმენტი შესრულებულია მაღალ მხატვრულ დონეზე, მათში ღრმა განცდაცაა, ხილვაც ორიგინალური და უჩვეულოა, მეტაფორულობისა და პლასტიკურობის მკვეთრი ელფერიც გვიტაცებს, მაგრამ შენარჩუნებული არ არის ის თვისებები, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ. წყვეტილი განწყობილება, გრძნობისა და აზრის ერთმანეთთან შეუსაბამობა მათ თიშავს შ. ნიშნიანიძის შემოქმედების ორგანული რკალიდან.

მკითხველს გავაცნობთ განწყობილების ერ-

თიანობის, აზრისა (იდეის) და გრძნობის (განცდის) სინთეზის ერთ კლასიკურ მაგალითს, რათა უფრო ცხადი გახდეს ამ პრინციპის მნიშვნელობა და აუცილებლობა. ილ. ჭავჭავაძის „ელეგიაში“ განცდის განწყობილების ხასიათს სათაურიდანვე ვგრძნობთ; ლექსს თავიდან ბოლომდე გასდევს სევდიანი, ნაღვლიანი ტონი. ფინალი („ოხ ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი, როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!) ერთი მხრივ, გარეგნულად (განცდის თანმიმდევრული განვითარების თვალსაზრისით) ლოგიკური დასასრულია სევდიანი განწყობილებისა და მეორე მხრივ, შინაგანად, ქვეტექსტური აზრის მიხედვით, კონტრასტულ მიმართებაშია ლექსის მთლიან განწყობილებასთან. „როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?! — ამ სტრიქონის მიღმა იმალება გამოფხიზლების, ბრძოლისა და მოქმედების იდეა. ნაღვლიანმა განწყობილებამ ქვეტექსტში სევდით შეფერილი ოპტიმისტური დასასრული მიიღო. ეპილოგში იმედის შუქი მოგვეფინა და მომავლის ემოციური რწმენა ჩაგვენერგა.

გადმოვიტანოთ ქვეტექსტი ტექსტში და სხვა, ოპტიმიზმის პირდაპირ გამომხატველი სიტყვებით შევცვალოთ „როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?! დავუშვათ ასეთი სტრიქონი: „მალე მოგველის ჩვენ გაღვიძება“ (ასეთი ვულგარული ჩარევა საერთოდ და მითუმეტეს დიდი ილიას პოეტურ სულში, მთლად ლამაზად არ ჟღერს, მაგრამ მხატვრული ლოგიკის ცხადსაყოფად ვცდით ამ ხერხს).

აშკარაა, რომ ეს სტრიქონი გაცილებით უფრო „ცხადად“ გვიმჟღავნებს იმ აზრს, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ (გამოფხიზლების, ბრძოლის, მოქმედებისა და მოძრაობის იდეას), მაგრამ ეს არ არის მხატვრული სიცხადე, მაღალი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი შუქი. ლექსს სათაურიდან ბოლო სტრიქონამდე ორგანულად გასდევს სევდა, ნაღვლიანი განწყობილება, რომელიც თანდათან ვითარდება, ძლიერდება, შთამაგონებლობის ძალას იძენს, გამოდის სუბიექტის (ი. ჭავჭავაძის) ინტიმურ სამყაროდან და ობიექტურ ფაქტად იქცევა. „მალე მოგველის ჩვენ გაღვიძება“ ლექსის მთლიანი განწყობილების საპირისპირო განწყობილებას გვიქმნის. პირდაპირ, მხატვრული შეფარვის გარეშე, მშრალი ლოზუნგის ენით „შთაგვაგონებს“ იმედს და ოპტიმიზმს. სტრიქონი არ გამოსცემს გრძნობის, ემოციის დაძაბულ სიგნალს, მის აღქმაში სული და გული არ მონაწილეობს. იმედის, მომავლის რწმენა გულს არ ესიტყვება, რადგან მასში არ ჩანს, როგორც ჰეგელი იტყოდა, „სულის, გრძნობის ღვრა“.

„მალე მოგველის ჩვენ გაღვიძება“ ლექსის ემოციური კომპოზიციიდან ამოვარდნილია და იზოლირებული სახით იჭრება მკითხველში; ესე იგი, განწყობილება (გრძნობა, ემოცია) კი არ ვითარდება, არამედ თვისობრივად იცვლება, ლირიკული სინთეზის პრინციპი (ქვეტექსტში გაცხადებული იდეისა და ტექსტში გამოხატული განწყობილების ერთსახეობა) დაირღვა.

პოეტი ქვეცნობიერად გაორდა — განწყობილების მთლიანობაც უნდა შეინარჩუნოს და მომავლის რწმენაც შთაგვაგონოს. სუბიექტის ინტელექტუალურ-ემოციურ სამყაროში უნდა მოხდეს საპირისპირო ცნებების — იმედისა და სევდის მხატვრული სინთეზი (ანუ როგორც გ. ტაბიძე იტყოდა: „ერთგვარ წესრიგში მოიყვანოს დღე, შეღამება...“) და შეიქმნას იდეა, განწყობილებაში გაცოცხლებული აზრი, რომელიც ერთი მხრივ კონტრასტულ მიმართებაში იქნება განცდასთან და მეორე მხრივ ჰარმონიულად დაუკავშირდება მას. „როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“ ერთდროულად გვაგრძნობინებს სევდიან განწყობილებას და ქვეტექსტში გაშლილ ოპტიმისტურ რწმენას. ასე დაგვირგვინდა ამ პატარა ლირიკულ ლექსში ილ. ჭავჭავაძის მხატვრული გენია და ლირიკული სინთეზის მრავალი განშტოება განათდა.

შ. ნიშნიანიძეს აქვს ერთი ასეთი სტრიქონი — „ქაოსიდან შექმნილი წესრიგი“. სწორედ მხატვრული წესრიგი და ორგანიზაციაა ლირიკული ლექსის საფუძველთა საფუძველი.

დღევანდელ ქართულ პოეზიაში და, საერთოდ, ხშირად ვხვდებით ისეთ საგნებსა და მოვლენებს, რომლებშიც სხვა საგნებთან და მოვლენებთან შედარებით პოეტის ჩარევის გარეშე ჩქეფს პოეზია; ესე იგი, მასალა ემპირიული შესაძლებლობისდაგვარად, თავისთავადაა პოეტური. ასეთი მასალის მხატვრული აღქმა და მკითხველისათვის ამაღელვებლად, ემოციურად გადაცემა შედარებით იოლ საქმედ მიგვაჩნია. ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება გავიხსენოთ შელის მოსაზრება, რომელიც მან რითმიანი და ურითმო ლექსის შეპირისპირებისას გამოთქვა — რითმიან ლექსში თავს საშუალო პოეტიც თავისუფლად შეაფარებსო. აქა-იქ ეს ცდუნებაც შეიმჩნევა შ. ნიშნიანიძის პოეზიაში. მას აქვს საიმისო მხატვრული რისკი, უნარი, პოეტური ფანტაზიის მასშტაბი, რომ ყოველგვარ საგანს თუ მოვლენას შეებრძოლოს, ყველაფერი ახალი სიცოცხლით გააცოცხლოს, მხატვრული სული ჩაუდგას და პოეტური სხივი მიაშუქოს.

ბლოკს და მაიაკოვსკის ზებუნებრივი სითამამით შეაქვთ საგნებში ახალი, თავიანთი სუბიექტური სამყაროდან მომდინარე თვისებები, რომელთაც საგნის თანდაყოლილი ნიშნებივით აღვიქვამთ.

შ. ნიშნიანიძის შემოქმედებაში ჩვეულებრივი, უმნიშვნელო აზრიანი განწყობილების ლე-

ქსად ფიქსაციის მაგალითებიც გვხვდება („ლაზური აფრებით ზღვა წამოიშალა“, „როგორც ზღვის მიმოქცევა ანდა ფერისცვალება“, „ძლივს შემეჩვიე... და მტუქსავ თითით“...). აქედან იღებს სათავეს პოეტის მხატვრული ფანტაზიის დროდადრო მოდუნება და ლექსში ემპირიული დეტალების შეპარვა.

დიდი ხანია
არ ვყოფილვარ
დედულეთისკენ,
გულისფანცქალით
მიმელიან
ჩემი მოყვრები.
ბედნიერი ვარ,
როგორც იქნა,
ეს დღეც მეღირსა —
გულგაღეღილი
სტვენა-სტვენით
ყანებს მოვყვები...
სადგურის საკანს
ჩავაბარე
ბარგიბარხანა...
ბორანთან ჩაველ
ჰაუ, წყალი მოდიდებულა,
ნაწვიმარია,
ვერ იბანავებ.
მიველ, მებორნეს
მივესალმე მორიდებულად,
მებორნე უცებ მეცნაურა მისვლისთანავე...
(„შესავალი“)

მართალია, ფანტაზიის ასეთი ცოტაოდენი დაშვების მაგალითები იშვიათად გვხვდება შ. ნიშნიანიძის პოეზიაში და პოეტი აბსოლუტურად უმეტეს შემთხვევაში თამამად არღვევს ობიექტურ წესებს და მაღალი ხარისხის მხატვრულ სილამაზეს ქმნის, მაგრამ ჩვენი სურვილია მისი ლექსის ყოველი, უმნიშვნელო პოეტური დეტალიც კი მთელი არსებით ეჭიბრებოდეს ობიექტურ რეალობას და ახალ მხატვრულ სინამდვილედ გარდაქმნიდეს მას. ამ სურვილის უფლებას გვაძლევს შ. ნიშნიანიძის პოეტური ფანტაზიის, წარმოსახვის მასშტაბი, ლაღი პოეტური გაქანების უნარი და მხატვრული გამოგონების ხალასი ტალანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# შეუსმელი სადღეგრძელო

შემოდგომის მიწურული იყო. ილიას კაკალს ფოთოლი სცვიოდა. გოგლა ხის ძირას იჯდა და ფოთოლცვენას გარინდებული ადევნებდა თვალყურს. ეს ხე ერთი სიცოცხლეა თუ ათასიო, ყრუ ხმით მეკითხებოდა. ვერ აეხსნა, ეს როგორ იყო, რომ ილიაზე დიდხანს მისი კაკლის ხე ცოცხლობდა.

— იქნებ შეიძლებოდეს მცენარისა და ადამიანის სასიცოცხლო ძალთა შეერთება? აი, მაშინ ექნებოდა ხვავი და ბარაქა ერის მამას, რა მოსავალს მოიწევდა საქართველო!

ვაი, რომ ასე არ არის: სიცოცხლის ძალთა დახვეწილი და ურთიერთშეხმატკბილებული შინაგანი წესრიგი უწესრიგობად იქცევა და თავისი თავის უარყოფამდე მიდის. ვინ გასაზღვრა ამ ქვეყნად ჟამი ჩვენი ყოფისაო! სჯიდა მეშვიდე ათწლეულში გადამდგარი პოეტი.

იმ დღეს გიორგის სახეს მისთვის უჩვეულო ელფერი დაჰკრავდა, თითქოს ზამთრას პირველ დღეს დაესუსხა.

დროდადრო, სხვადასხვა ადგილას და გარემოში შეხვედრისას, მოკრძალებულად კითხულობდა, რა არის ახალი ბიოლოგიაშიო. სიცოცხლის მეცნიერებაში ახალს რა გამოლევს და მეც ამ უნაპირო ზღვიდან წვეთ-წვეთობით ვაწვდიდი მისთვის საინტერესო ცნობებს.

ერთხელ, ჩვეულებრივად გალაღებულმა, ქართული მიწის ეშხითა და სურნელებით მოპირულმა მომაკითხა. იხორხოცა, იხითხითა, წინადღის ამბებით გული იჯერა, გარემო სიცოცხლის დენთით დატენა და დადგა, დაოკდა, დაცხრა. კავკასიონის ამ მუდმივმოქმედ ვულკანში რაღაც ჩაიფერფლა, გაცივდა, გაიყინა. დაბალ ხმაზე საიდუმლოდ გამენდო: იქნებ არის ისეთი რამ ახალი, სასწაულებრივი, რაც ჭარმაგ კაცს შემოქმედების ხანას გაუგრძელებდაო. თვალებში ალმასის ნაპერწკლები უკიაფებდა და ძარღვდაჭიმული, სულგანაბული ელოდა პასუხს.

ვინ გაბედავდა უარი ეთქვა სიცოცხლისა და შრომის ამ უსაზღვრო წყურვილისათვის?! ვის შეეძლო შეეჩერებინა მთიდან მოწყვეტილი ზვავი?! მეც დავადე „გოგლას ხარკი" ბიოლოგიას და მეცნიერებისა და პოეზიის ღმერთები დავიფიცე, რომ სასწაული მალე მოხდებოდა: ადამიანი, სულ მცირე, ორჯერ მეტ დროს მაინც მოათევდა თავის შექმნილ ქვეყანაში.

გოგლამ იცოდა ფასი თავისი შემოქმედებისა, მაგრამ ის, რაც მოასწრო და მოიჭირნახულა, მაინც მცირედად ეჩვენებოდა იმასთან შედარებით, რის გაკეთებაც ეწადა და რასაც ოცნებით გულში დიდი ხანია ატარებდა. პოეზიაში უკვდავებას მიღწეულ გოლიათს ამქვეყნიური სიავკარგე არ ეთმობოდა. ბობოქარი სიცოცხლის წყურვილი თანდათან ემატებოდა, უძლიერდებოდა...

გოგლას მოთხრობა „ღვინჯუა" ახალგამოქვეყნებული იყო, როცა კვლავ შევხვდით ერთმანეთს აკადემიაში. კახეთში დიდხანს მუშაობდი და ღვინჯუას თუ იცნობდიო, მომახალა გარეკახელმა. მცდიდა. არ ეგონა, რომ „ღვინჯუა" წაკითხული მექნებოდა, და გაიხარა, ერთბაშად რომ მოვუჭერი, ღვინჯუა შენ თვითონა ხარ-მეთქი. სიცილით მიპასუხა:

— მე თუ ღვინჯუა ვარ, შენ თაყა იყავ, მოდი გავნათლიავდეთ. შენ ჩემზე ახალგაზრდა ხარ, მაგრამ თუ გსურს, დაგიცდი და ამ სოფლის ბოლოდან ერთად გამოვბრუნდეთ საყო-

ვლაწმიდოს შესასმელად. ნახე, ღვინჯუამ ერთი სადღეგრძელოსათვის რა გზა გაიარა, რა გაჭირვებას გაუძლო! აბა, დაფიქრდი, ჩვენ რამდენი რამ გვრჩება უთქმელი.

არ ჰყოფნიდა საკუთარ ლექსთა ლაშქარი, მცირედად ეჩვენებოდა გატარებული მზიანი დღეები, ვერ აჩერებდა მოხვეჭილი სახელი და დიდება.

ისევ დავაიმედე: მეცნიერება უკან, ახალგაზრდობისაკენ, დასახევ ბილიკს თუ ვერ მოგვინახავს, წინ სავალ შარაგზას მაინც გაგვიკაფავს, გაგვიწმენდს, შრომას გაგვიიოლებს, მოსუსხული და მოთუთქული მაინც არ შევხვდებით მზის ჩასვლას-მეთქი.

არაფერი თქვა, განწყობილებაც არ შეცვლია. ერთი კი ნათლად ჩანდა მის ზღვისფერ თვალებში: ღვინჯუასავით მასაც გლეხი კაცის ყოველი საფიცარი ეფიცებოდა და გული სწყდებოდა, რომ ოდესმე სამუდამოდ უნდა დაეტოვებინა „ღმერთი დაუსაწყისი, ცა, მზე, დედამიწა ულეველი, უშრეტელი, ყანის მუხლი, ვაზის დედა, მებაღის ნობათი, ხარის ქედი, აკვნის ფიცარი, წისქვილის დოლაბი, სიმინდის ფრჩხილი, ახალ-ნერგი, რქაგადახვეული ყოჩი, მინდვრის თარგი, აბრეშუმის ჭია, ქარფეხა ცხენი, ფუძნარი, გუთანი და ხმალი!“ და ვინ იცის კიდევ რამდენი რა...

რამდენიმე თვით ადრე, სანამ ეს მხნე და ხალისიანი მუხა-ვაჟკაცი ჩვენგან წავიდოდა, უკანასკნელად რუსთაველზე შემხვდა. იღლია წიგნებით ჰქონდა სავსე. მომიკითხა, დამტორა, გამეხუმრა და გამეცალა. თვალი გავაყოლე. ნაბიჯი ძველებური ჰქონდა, არც სხვა რამ ცვლილება ემჩნეოდა. უეცრად შემოტრიალდა, ქანდაკებასავით დადგა და შემომძახა:

— იმერელო, ეჭვი არ შეგეპაროს! საყოვლაწმიდოს შესასმელად მე ისევ დავბრუნდები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლიმენტი გოგიავა

# კოლხური წვიმით მონათლული

მაშინ „კომუნისტის" რედაქციაში ვმუშაობდი. გიორგი ლეონიძეს ჩვენთან ლექსებთან ერთად სიხარულიც მოჰქონდა.. ხან რედაქტორთან შევიდოდა პირველად, ხან ლიტერატურულ განყოფილებაში. თვალი უნებურად მისი ხელისაკენ წაგვივიდოდა. ხელი მუდამ დაკავებული ჰქონდა, უმთავრესად გაზეთშემოხვეული ქაღალდებით. იმ გაზაფხულზეც ასე იყო. ლიტერატურული განყოფილების კარი შემოაღო და დაიბუბუნა:

— ახალი რამე მოვიტანე, მაგრამ სწორებასწორებაში შემომადნა, გადაბეჭდვა მინდა. რომელი ხართ ყოჩაღი, მემანქანესთან მიშველეთ!

სიყოჩაღე რა მოსატანი იყო, მაგრამ ეს მე მეხებოდა, ლიტერატურულ განყოფილებაში ვმუშაობდი, და მაშინვე წამოვდექი, გიორგიმ გაიღიმა, სიძევ, გამომყევ. სიძეს იმიტომ მეძახდა, რომ ჩემი მეუღლე გიორგის მშობლიური პატარძეულის მეზობელ სოფელ ნინოწმინდელია. და, ხომ მოგეხსენებათ, ეს სოფელი როგორ აამღერა პოეტმა ლექსში — „ნინოწმინდის ღამე".

მემანქანეებს ეკ-ვრებოდათ კარნახი, მაგრამ გიორგის პატივს ცემდნენ, თანაც თავი მოჰქონდათ პოეტის ახალი ლექსის პირველი მ... თხველი რომ იყვნენ.

ოთახში სამი მემანქანე იყო. ერთი ახალგაზრდა და მოხდენილი, მეორე ხნიერი, გამხმარი, მესამესაც ლამაზი არ ეთქმოდა.

— გამარჯობათ, მანდილოსნებო! — მიესალმა გიორგი.

— გაგიმარჯოთ, ბატონო! — ერთხმად უპასუხეს მემანქანეებმა და წამოდგნენ.

— დაბრძანდით, დაბრძანდით, უნდა შეგაწუხოთ!

— სიამოვნებით! — ყველას დაასწრო ახალგაზრდამ, მაგრამ გიორგი იმასთან არ მივიდა, მესამე მემანქანის გვერდით დაჯდა და ამ ყურადღებამ იმ საბრალოს ხუთი წლის სიცოცხლე მაინც შეჰმატა, ლამაზი კი გაწბილდა და გაწითლდა.

— ტკიცინა ქაღალდი გაქვთ? — ჰკითხა გიორგიმ.

— რამდენიც გნებავთ.

— მდიდარი ყოფილხართ, დავიწყოთ.

— რამდენ ცალად?

— ორი, — მიუგო გიორგიმ და მერე მე მომიბრუნდა, — არ წახვიდე, შენც მოისმინე. ერთ ძველ ძეგლში ამოვიკითხე — „ფორთოხალა". ამ სახელმა მთელი პოემა დამაწერინა. იმან მიშველა აი, მაშინ კოლხური წვიმით რომ მოვინათლე, გახსოვს? — დაუმატა და კარნახს შეუდგა.

„ფორთოხალა" გადაამბეჭდვინა. გულიანად გავასწორებ და ორ დღეში მოვიტანო, მაგრამ ერთ კვირას არ გამოჩენილა. მგონი ორშაბათი იყო, დილას მოვიდა და მითხრა:

— მემანქანეს ველარ ვეჩვენები, ახლა შენ მიხედე საქმეს.

„ფორთოხალა" ბევრი უშალაშინებია, შავი და ლურჯი მელნით აუფერადებია, მაგრამ, მემანქანეს გადაბეჭდვა არ გასჭირვებია.

ახლა კოლხური წვიმით მონათვლა.

1935 წელი. ქობულეთი. სექტემბრის ცუდი დილა გაუთენდათ ყმაწვილებს. სკოლაში გალუმპულნი მივიდნენ. გადაუღებლად წვიმდა. წინა დღით თბილისიდან ჩაველი. „კომუნისტის" რედაქციამ მიმავლინა, მეციტრუსეებზე ნარკვევის დასაწერად. სასტუმროში გიორგი ლეონიძეს შევხვდი, დასასვენებლად ჩამოსულიყო. წვიმიანი დღეები ერთიმეორეს გადაება, ოთხ სექტემბერს როგორც იყო გამოიდარა. ამბობდნენ, ზღვა გაგიჟებულია, ყველაფერს ლეწავსო. გიორგიმ ეს რომ გაიგო, მაშინვე წამაქეზა, წავიდეთ, ვნახოთო. სასტუმროს თანამშრომელმა ქოლგა შემოსთავაზა, აქ კახეთი არ არის, დღეში შვიდჯერ

იცვლება ამინდიო, მაგრამ გიორგიმ შორს დაიჭირა თავი.

ზღვა ისე ღელავდა, რომ მეც, ფოთში გაზრდილი კაციც კი გამაოცა მისმა მქუხარებამ. გიორგი სულ ახლოს მივიდა, აქაფებული ტალღა ნაპირს რომ დაეძგერა, უკან დახევა ველარ მოასწრო და გაიწუწა.

— კიდევ კარგი არ ჩაგითრია!

— არა უშავს, მოვინათლე, ახლა ნამდვილი კოლხი ვარ! — გაიცინა პოეტმა და მერე დიდხანს უძრავად იდგა, გაჰყურებდა ზღვას, კეპი მოიხადა და შნოიანად დავარცხნილი თმა ქარმა ჩამოუშალა.

— წავიდეთ, გიორგი, სანახავი ხომ ვნახეთ!

— ჯერ არაფერიც არ მინახავს, მაცალე!

რა ვიცოდი, მის გულში ლექსი რომ იბადებოდა. სალამომდე ზღვა დაცხრა, მშვიდი და დიდი მთვარე ლაღად ამოვიდა. ზღვისპირელებს ამინდის ასეთი უეცარი ცვლილება არ უკვირდათ. გიორგიმ მასთან ოთახში მიმიხმო და წამიკითხა „წვიმა შავ ზღვაზე“. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ის ლექსი გონებაში ჩამრჩა და აი, ოცდათოთხმეტი წლის შემდეგაც მახსოვს.

ჰგავდა შურისძიებას,
ზღვა არ იყო ჭკუაზე;
თითქოს იგი მოებათ
დამფრთხალ ცხენის ძუაზე.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, პირველი მშვიდობიანი წლის რთველი კახეთში ადრე დაიწყო. ნინოწმინდა მაჭრისა და ხილის სურნელით გაივსო. იმ კვირა დილას ხარაჩოებზე ავედი და კაკლის ხის ტოტი მოვიწვდინე. ოსტატს უნდოდა მისი მოჭრა, მაგრამ გადავათქმევინე, დამენანა ეს უზარმაზარი ხე, რომელიც თითქმის ნახევარ ეზოს ფარავდა. ეს ტოტი მაინც, სიკეთით სავსე ხელივით, ზედ ჩემი სახლის კედელზე იყო მობჯენილი. ვიფიქრე, მავთულს მოვაბამ და ცოტას გავწევ-მეთქი.

მზე ამოსვლას აპირებდა, ნინოწმინდის ეკლესიას ნისლი ებურა, მარტო ეკლესიას კი არა, ზევიდან რომ გადაგეხედა, მთელ სოფელს ეფინა.

ძაღლების ყეფა ატყდა, მალე ჭიშკართან „პობედა“ გაჩერდა. კაბინიდან გიორგი ლეონიძე გადმოვიდა და თავისი ბოხი, ბუბუნა ხმით დაიძახა, „მასპინძელო“. მივეგებე, მხარზე ხელი გადამხვია და ეზოში შემოვიდა.

— როგორ მიდის მშენებლობა?

— ნელა.

— რატომ ნელა. თუ მასალა გიჭირს მითხარი.

გიორგიმ მშენებლობას ახედ-დახედა და მერე კაკლის ხისკენ წავიდა, ქვას დაწვდა. მე მუჭით კაკალი მივაწოდე, მიირთვით-მეთქი.

— არა, ჩემი მოპოვებული მირჩევნია!

ქვა ტოტს მიარტყა და მერე ბალახებში დაიწყო კაკლის ძებნა.

— ღვინო გაქვს? — მკითხა მან.

— რატომაც არა, წავიდეთ შინ (იქვე ვცხოვრობდი, ნაქირავებ ბინაში).

— აქ მოიტა, ფუძეს დაგილოცავ.

სანამ შინიდან დავბრუნდი, გიორგის კაკლები უკვე დაემტვრია და ხარაჩოს ფიცარზე დაეყარა. მივიტანე ხელადით ღვინო, გუდის ყველი, შოთი და ნაზუქიც.

— შენ არა ხუმრობ,—გიორგიმ ნაზუქი აიღო, — ეგ საიდან? მე მეგონა ცივ ღომს ან ჭადს მოიტანდი. — გაიხუმრა მან.

ჭიქები შევავსე, მინდოდა კარგი მეზობლები მომეხმო, მაგრამ არ გამიშვა, დრო არა მაქვს: ჩემი სამოსახლოს გვერდით ცხოვრობდა ღვაწლმოსილი მოხუცი ალექსი გულისაშვილი, რომელიც გიორგის ალალი ბიძა იყო დედის მხრივ. ალექსი იმ დროს ავადმყოფობდა და პოეტიც მის სანახავად ჩამოსულიყო. — ბიძაჩემთან ვიყავი, რომ დამინახა, მორჩა საბრალო, ფეხზე წამოდგა.

გიორგიმ კაკლის ხეს ახედა და მითხრა, — ერთი ტოტიც არ ჩამოჭრა, არც არავინ მიუშვა, გაუფრთხილდი, რაც კირი მოგრჩეს, ძირის ახლომახლო გაშალე, უფრო გაიხარებს. ამ ხის ისტორია ხომ იცი?

— არა.

— როგორ, აქ არავის უთქვამს?

— არა.

— კაცო, აქ რომ ხარ, გამოესაუბრე გლეხებს, გაიგე ამბები, ნინოწმინდა ძველთაძველი სოფელია, უბრალო ქვასაც თავისი ისტორია აქვს. ეს კაკალიც ისტორიული ხეა .თბილისიდან მომავალმა ერეკლემ ეს ეკლესია დაათვალიერა, მერე ამ კაკლის ძირას გააშლევინა სუფრა, სოფელში მწვადის სურნელი და სიხარული დააყენა. ყველას გაუმასპინძლდა, დიდსა და პატარას, მთელი ღამე იქეიფეს, გათენების სადღეგრძელოც დალიეს, არც მთვარე და მზე დაივიწყეს, ბევრი დაითრო, მაგრამ ბევრი კიდევ ფეხზე იდგა და მხარს უმშვენებდა საყვარელ მეფეს. აბა, შეავსეთ ყანწებიო, ბრძანა ერეკლემ. ყანწივით ყველა გაირინდა, ხმას არავინ იღებდა. ხალხნო, რას უდგეხართ, არ დავლიოთ? დავლიოთ, დიდო მეფეო, დავლიოთ! დაიგუგუნეს თანამოსუფრეებმა და ბევრმა კიდევაც მოიყუდა ყანწი, მაგრამ მეფემ შეაჩერა. როგორ, უსიტყვოდ სვამთო? ვიღაცამ შეუბედა: ყველა სადღეგრძელო დაიხარჯა, ითქვა და მორჩაო. ეგ არ გამაგონოთო, შეუგო მეფემ და ყანწი ასწია. ყური მიგდეთ, შვილებო, ქართველს სადღეგრძელო არასოდეს დაელევა. ქართველი ყველაფერსა და ყოველივეს ლოცავს და არავის წყევლის. მტერსაც? ჰკითხა ვიღაცამ. მტერს წყევლით ვერაფერს დააკლებს, ეს იცის ქართველმა და ჰკლავს... ახლა, მოდი, ასეთი სადღეგრძელო ავიღოთ, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ოჯახებს შეეწიოს ყოვლად წმინდა ანგე-

ლოზი. შეეწიოს, შეეწიოს, დაიგუგუნეს და დაცალეს აღერებული ყანწები.

ამის შემდეგ „ყოვლად წმინდას“ სადღეგრძელო დამკვიდრდა ჩვენს სუფრაზე. ეს კაკლის ხე კი მოწმეა ერეკლეს ლხინისა და ამ სადღეგრძელოს დაბადებისა. მოდი, ამ წმინდა ხეს გაუმარჯოს!

გიორგიმ ჰიქა გამოცალა, მერე ისევ გაავსო და ხეს შეასხა:

— დალიე, შესვი! — მერე მობრუნდა, — შენ გგონია, არ ეამა ეს ღვინო? ცოცხალ ხეს კი არა, მკვდარსაც ეამება ღვინო, საფლავზე რომ დაასხამ და მოიგონებ. ამ ხემ, რაც ვთქვი, ყველაფერი გაიგო, თქვენ გგონიათ მადლობის თქმა არ უნდა, მაგრამ რა ჰქნას? ღმერთმა ენა არ მისცა.

ღმერთის ხსენებაზე გუმბათს გახედა და თავისი მშვენიერი ლექსი „ნინოწმინდა“ თქვა.

სერგო ბოკუჩავა ახლა პროფესორია, მაგრამ იმ დროს, 1946 წლის ზაფხულში, საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა. პაექრობის შემდეგ, როგორც ეს მიღებულია, „დესერტაცია“ იყო, სუფრა სერგოს ძმის ბენიას ბინაში გაიშალა. გზაში შემიგვიანდა, სუფრაზე ადგილები დაკავებული აღმოჩნდა და ფანჯარასთან მოვთავსდი, ქალიშვილების გვერდით.

შუა ლხინში გიორგი ლეონიძე შემოვიდა, კართან ორივე ხელი ასწია, დაგვიანებისათვის ბოდიში მომიხდიაო... ყოველ მხრივ გაისმა მიპატიჟება, აქ მობრძანდით, აქ მობრძანდითო. მაგრამ გიორგის ნაბიჯი არ გადაუდგამს. ჩამოშლილი თმა ხელით გაისწორა, მხრებში უფრო გაიშალა, პიჯაკის ჯიბეში ჩადებული ვარდი ახლა უფრო გამოჩნდა, მერე სუფრას ისე მოავლო თვალი, თითქოს მახლობელს დაეძებდა. დამაკვირდა და გაიღიმა.

— ქალიშვილებში ჩამჯდარხარ, ღვინოს ერიდები? ხომ არ დაგავიწყდა, რომ კახეთის სიძეხარ.

გაისმა სიცილი. თითონაც გაიცინა. გემრიელი სიცილი იცოდა. მასპინძელმა საყვარელი პოეტი საპატიო ადგილას დასვა. გიორგი ლხინში მალე ჩაერთო, ამის ოსტატი იყო.

გიორგი უცბად ლომივით წამოიმართა და დაიბუბუნა.

— ლექსები, პოეზია, მუსიკა!— და ჩემს გვერდით მჯდომ ქალიშვილს სთხოვა, გამობრძანდით და რამე დაუკარითო. ქალიშვილმა ჯერ დაიმორცხვა და მერე პიანინოსთან მივიდა. გიორგიმ წითელი ვარდი მიაწოდა. ქალიშვილმა ის ვარდი პიანინოზე ჩამოსდო.

— რა დავუკრა, ბატონო?

— ძველებური, ტურფავ, ტურფავ.

მუსიკის ჰანგებს გიორგიც აჰყვა, მაგრამ ნელად, თავდაჭერილად. ქალიშვილი დაკვრას რომ მორჩა, წამოდგა, ცერებზე შედგა, ძლივს მიწვდა პოეტის ლაღ მკერდს და ვარდი ისევ ჯიბეში ჩაუდო.

— ქალიშვილო, ამით თქვენ მითხარით, თქვენი ვარდი ისევ თქვენ გქონდეთ, მე ისედაც ვარდი ვარო.

ატყდა სიცილი. გიორგიმ ჰიქა შეავსო და ჰქა:

— ბატონო თამადა, ეს ქართული ლექსის სადღეგრძელო იყოს. გაუმარჯოს ქართულ ლექსს, ქართველის გულის ძარღვსა და ლაზათს.

ზაფხულის მოკლე ღამე არც გვიგვრძნია, ისე მალე დაილია.

ერთი ახლობელი ნათესავი დიდი ხანი არ მენახა და ვეწვიე. ახალგაზრდები შინ არ იყვნენ, დარდიანი მოხუცი მომესალმა, რადგან ოთახში ცხელოდა, აივანზე გავედით. ჩემი ყურადღება კუთხეში უშნოდ ახოხოლავებულმა წიგნებმა მიიპყრო და მაშინვე ვკითხე, რატომ გაუწყერი ამ ძველ წიგნებს-მეთქი.

— რა ვქნა, შვილო რძალი მომერია. კარადებიდან უყდო და გახუნებული წიგნები აქ გამომიყარა, სადაც გინდა, იქ წაიღეო.

მე გადავხედ-გადმოვხედე დამტვერილ წიგნებს, ხელში მომხვდა გიორგი ლეონიძის დიდი ხნის წინათ დაღუპული ძმის ლევანის „მესაქონლეობის ლექსიკონი“ და მაქსიმე კოვალევსკის „ოჯახისა და საკუთრების წარმოშობა-განვითარება“, რომელიც უთარგმნია კარლო კალაძის მამას — რაჟდენს და 1905 წელს ბათუმში გამოუცია. ორივე ეს წიგნი წამოვიღე.

იმ დღეებში მწერალთა კავშირში გიორგი ლეონიძე შემხვდა და მას ვუთხარი მისი ძმის წიგნის მოპოების ამბავი, სახეზე დარდი აეშალა, შეწუხდა და ვედრებით სავსე კილოთი მითხრა:

— ლევანის ეს წიგნი მე არა მაქვს, თუ გაიმეტებ, მადლობელი ვიქნები. ჩემი ლევანი, მახსოვს, როგორ აგროვებდა ქართულ სიტყვებს, მეცხვარეებში მეც დავყვებოდი, იმ ლექსიკონში მისი სულიც დევს, მომეცი, თუ კაცი ხარ. ჩაგსვამ მანქანაში და ერთ წუთს შენთან გავჩნდებით.

— ახლა არა, დაშლილი იყო და ასაკინძავად გავატანე ხელოსანს. ერთ კვირაში დამიბრუნებს და მოგართმევთ.

— მოიტა ხელი.

გიორგიმ ხელი ჩამომართვა, მაგრამ, ვაი რომ ეს იყო უკანასკნელი შეხვედრა, მალე სატკივარმა სიცოცხლე მოუსწრაფა, სიცოცხლისა და სიყვარულის დიდ მომღერალს.

ახლა ლევან ლეონიძის ლამაზად აკინძული წიგნი თაროზე დევს, როცა შევხედავ, ყურში ჩამესმის გიორგის სიტყვები — „მოიტა ხელი“, ნეტავი ეს წიგნი აუკინძავად მიმეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასო გორგაძე

# მოგონების ფურცლები

ჩემს საწერ მაგიდაზე ძველი გაზეთიდან ამოჭრილი ფოტოსურათი ძევს. სურათზე გამოსახულია თანამედროვე საქართველოს ორი დიდი პოეტი. მათ ძმურად გაუწვდიათ ერთმანეთისათვის ხელი. ეს პოეტები არიან: გალაკტიონ ტაბიძე და გიორგი ლეონიძე.

მე ბედნიერება მქონდა შევხვედროდი ამ ორ პოეტს ჯერ კიდევ ჩემი ცხოვრების გაზაფხულზე. ჩვენ გვიცხოვრია ერთ ჭერქვეშ. პირველთან — ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში სწავლის დროს, ხოლო მეორესთან — თბილისის სასულიერო სემინარიის პანსიონში ყოფნისას.

აქ მინდა გავიხსენო ზოგიერთი მომენტი „მოგონებიდან“ გიორგი ლეონიძეზე.

1961 წელს, პოეტმა გიორგი ლეონიძემ „საბჭოთა მწერლის“, რედაქციაში მოიტანა გამოსაცემად ახალი ლექსები, სახელწოდებით: „მუხის ფოთოლი“.

გამომცემლობაში არსებული წესის მიხედვით, აღნიშნული კრებულის ორიგინალი მე გადმომცეს სარეცენზიოდ.

პირველად, რაღაც უხერხულად ვიგრძენი თავი: ლეონიძის წიგნს ჩემი რეცენზია რად სჭირდებოდა, მაგრამ, ჯერ ერთი, გამომცემლობის წესი მაინც უნდა შესრულებულიყო და, მეორეც, როცა დავრწმუნდი, რომ სწორედ გოგლას სურვილი იყო წამეკითხა მისი ხელნაწერი — სიამოვნებით დავთანხმდი რეცენზირებაზე.

ლექსების კითხვამ იმდენად გამიტაცა და ისე მომხიბლა, რომ, როცა ქაღალდზე გამოვთქვი ჩემი აზრი, რეცენზია კი არა, ავტორის ნამდვილი ქებათა-ქება გამომივიდა. რეცენზიის დასასრულს, გამომცემლობის ხელმძღვანელობას წინასწარ წერილობით ვუხდიდი მადლობას, როცა ასეთი მაღალი შემოქმედების ნიმუშსა და სასარგებლო წიგნს უმზადებდა იგი მკითხველებს!

მართლაც, თუ შე-ძლება ასე ითქვას, ჩემი „წინასწარმეტყველება“ ჩქარა გამართლდა. „მუხის ფოთოლმა“ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მკითხველ საზოგადოებაში. მიმდინარე, 1969 წელს კი, როგორც ვიცით, ამ წიგნმა (პოეტის უკანასკნელად გამოქვეყნებულ ლექსებსა და პოემებთან ერთად) შოთა რუსთაველის სახელობის პრემიაც მიიღო.

გამოვიდა თუ არა ხსენებული წიგნი, ავტორმა ერთი ეგზემპლარი მეც მიძღვნა. პირადად მომიტანა იგი გამომცემლობაში. წიგნს ასეთი წარწერა ჰქონდა: „ძვირფასს ვასოს. პირველ ჩემ მეგობარს პოეტებში (1912 წლიდან). პოეტს და ადამიანს — დაძველებული ღვინით და ძველი მეგობრობით. 7. III. 61. გ. ლეონიძე“.

როგორც ამ წარწერიდან ჩანს, პოეტი ხაზს უსვამს ჩვენს ძველ მეგობრობას, რომელიც, მართლაც, თითქმის ნახევარ საუკუნეს მოიცავდა.

პირველად გოგლას, როგორც მას ყრმობიდან ვეძახდით, 1913 წელს, სემიანარიაში მოწაფეობის დროს, დავუახლოვდი. ამ წელს იგი თბილისის სასულიერო სასწავლებლის (ეს სასწავლებელი მდებარეობდა მტკვრის მარცხენა მხარეს, ტურგენევის ქუჩაზე) — პედაგოგიურ საბჭოს რეკომენდაციით, მიღებულ იქნა სემინარიის პირველ კლასში სწავლის გასაგრძელებლად. მე მაშინ სემინარიის მეოთხე კლასში გახლდით.

გოგლას ადრეც ვიცნობდი. თავდაპირველად იგი ვნახე 1912 წელს თბილისის სასულიერო სასწავლების პანსიონში, სადაც გოგოლა, როგორც მამით ობოლი, სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდა. აქ მის მასწავლებლად იყო ბიძაჩემი, მღვდელი არჩილ გორგაძე, რომელიც გოგოლას დიდად აფასებდა, როგორც ნიჭიერ მოწაფეს და ქართული ენისა და ისტორიის მოყვარულ ახალგაზრდას. გარეგნულად იგი მოხდენილი იყო, ტანადი, ჰქონდა (მარჯვნიდან მარცხნივ), შუაზე გაყოფილი, ხშირი, შავი თმა, სწორი ცხვირი, წვრილი და მოკლე წარბები, მიხრა-

მოხრა — დინჯი. იცოდა სწრაფი სიარული. ხმა ჰქონდა ჩახლეჩილი, რის გამო ხშირად ერიდებოდა ამხანაგებში ლექსის ხმამაღლა კითხვას. ეცვა სემინარიის ფორმის ტანისამოსი: შავი მაუდის ქურთუკი — საყელოზე მარჯვნივ და მარცხნივ ლურჯი სალილეებით, — და დიაგონალის შარვალი.

მაგრამ ყველაზე მიმზიდველი ახალგაზრდა სემინარიელის გარეგნობაში იყო მისი გამოხედვა. ოდნავ დაღიქრებული, ცისფერი თვალებითა და უაღრესად თავისებური გამომეტყველებით — გოგლას ათას ტოლში ადვილად გამოარჩევდით. ჩუმი და წყნარი, ოდნავ გაუბედავი, მოკრძალებული ხასიათით იგი თავიდანვე იპყრობდა, როგორც უმცროსი, ისე უფროსი ამხანაგების ყურადღებას.

გოგლა ამ დროს ლექსებს უკვე წერდა. ზოგიერთს კიდევაც აქვეყნებდა.

მისი პირველი ლექსი „მცხეთა“ დაიბეჭდა გაზ. „სინათლეში“. ამ გაზეთის რედაქცია მოთავსებული იყო ახლანდელ გრიბოედოვისა და სარაჯიშვილის ქუჩების კუთხეში, სადაც ამჟამად საჭადრაკო კლუბია. გაზეთს მაშინ რედაქტორობდა ცნობილი მწიგნობარი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი. იგი იყო სამშობლოს დიდი პატრიოტი. ქართულ ენაზე პოპულარული ბროშურებისა და წიგნების გამოცემით, ივანეს საკმაოდ დიდი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ხალხის გათვითცნობიერების საქმეში.

თბილისში გადმოსვლამდე, ივანე მოღვაწეობდა თელავში. როგორც მისი ნათქვამიდან მახსოვს, აქ მისი ხშირი სტუმრები იყვნენ თურმე: ალექსანდრე ყაზბეგი, ვ. ბარნოვი და ვაჟა-ფშაველა. საკმარისია ითქვას, რომ როსტომაშვილს დიდ შეფასებას აძლევდა ილია ჭავჭავაძე. „ჩვენი ფუტკარი“ — ასე ეძახდა ივანეს დიდი პოეტი.

როსტომაშვილი გარდაიცვალა ოციან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. იგი დიდი სიხარულით მიესალმა ოქტომბრის რევოლუციას და, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობდა საზოგადო ასპარეზზე მუშაობას.

„სინათლემ“ ორიოდე ლექსი მეც დამიბეჭდა. გაზეთი 2 კაპიკი ღირდა. იმ დროს თბილისში ანალოგიური გაზეთი რუსულ ენაზედაც გამოდიოდა, — სახელად ერქვა: «Газета-копейка».

„სინათლეს“, რომ იტყვიან, ჯიბრში უდგნენ იმდროინდელი მოზრდილი ფორმატის გაზეთები — „სახალხო საქმე“ და „თემი“. ისინი ხშირად უხეშადაც ილაშქრებდნენ „სინათლის“ წინააღმდეგ, ამცირებდნენ მკითხველის თვალში მის მნიშვნელობას, ავრცელებდნენ ხმას, ვითომც, ჰონორარის გადახდის ნაცვლად, როსტომაშვილი, პირიქით, თვითონ ღებულობს ფულს ავტორებისგანო.

რომელიღაც გაზეთმა, კარგად არ მახსოვს, კარიკატურაც კი მოათავსა როსტომაშვილზე მას შემდეგ, რაც „სინათლეში“ დაიბეჭდა მოსწავლე ლეონიძის ლექსი. კარიკატურა ეკუთვნოდა ცნობილ კარიკატურისტს, მხატვარს ოსკარ შმერლინგს, რომელსაც მეც ვიცნობდი (უფრო გვიან, მასთან ერთად, ვმუშაობდი გაზ. „მუშას“ რედაქციაში). კარიკატურაზე გამოხატული იყო რედაქტორის წინაშე მდგარი, პატარა ბიჭი — ხელში კაპიკიანებით და ლექსით.

როსტომაშვილს ეს დაცინვა უპასუხოდ არ დაუტოვებია. თავის მოწინააღმდეგეთა გამოწვევაზე, მან გაზეთში მოათავსა მოწინავე წერილი, სათაურით: „ფშუტურები“. წერილში როსტომაშვილი იცავდა „სინათლის“ პრესტიჟს, და ექომაგებოდა მომავალ პოეტს: „მე ამდენს ვზრუნავ ერისთვის, ხალხისთვის, სასარგებლო საქმეს ვაკეთებ, თვით ჩვენი უმცროსი თაობის წარმომადგენელს ასე ყურადღებით ვექცევი, თქვენ კი ლანძღვასაც არ მჯერდებითო“.

სტატიის ბოლოს, როსტომაშვილი სიამოვნებით მიუთითებდა თავის მოწინააღმდეგეებს — წაეკითხა გაზ. „სინათლეში“ დაბეჭდილი გიორგი ლეონიძის მიერ თარგმნილი მოთხრობა „მკვდრის პასუხი“.

ქართული ენის, ლიტერატურისა და პოეზიის სიყვარულმა მე და გოგლა ყრმობიდანვე დაგვაახლოვა, მიუხედავად, იმისა, რომ, ვიმეორებ, მე მასზე სამი კლასით წინ ვიყავი, მაშასადამე, სამი-ოთხი წლით უფროსი.

სემინარიის მოწაფეთა უმრავლესობა მეტად იყო დაინტერესებული თვითგანვითარებით. ჩვენ, ყველას, ნაკლებად გვიზიდავდა ზოგიერთი საგნი, მაგალითად: საეკლესიო ისტორია, სხვადასხვა სახის ღვთისმეტყველება და, ამიტომ, უფრო „გარეშე“ წიგნების კითხვას ვეტანებოდით.

ეს წიგნები იყო რუსული და ქართული მხატვრული ლიტერატურა, კლასიკური და თანამედროვე მწერლობა, საქართველოს ისტორია, ხალხური მწერლობა, ფოლკლორი.

მართალია, სემინარიას გააჩნდა საკმაოდ მდიდარი ფუნდამენტური და მოწაფის ბიბლიოთეკა, მაგრამ იქ, უმთავრესად, რუსულ ლიტერატურას ჰქონდა ფართო ადგილი დათმობილი. ქართული წიგნები მაშინ თითებზე ჩამოითვლებოდა, იმდენად ცოტა იყო.

ამიტომ, ცხადია, სულიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, იძულებული ვიყავით სემინარიის გარეშე გვეძებნა ჩვენთვის საინტერესო ლიტერატურა — მხატვრული და მეცნიერული.

უნდა ითქვას ისიც, რომ სემინარიელები, ჩვენდა საბედნიეროდ, ყოველთვის დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდნენ ქართულ მოწინავე საზოგადოებაში.

ამ საზოგადოების ცალკეული წარმომადგენლები დიდ დახმარებასაც გვიწევდნენ: გვაძლევდნენ რჩევა-დარიგებას: რა წაგვეკითხა,

გვიწერდნენ ჟურნალ-გაზეთებს უფასოდ, გვიწევდნენ რეკომენდაციას წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკიდან, შინ წასაკითხად, გირაოს გარეშე, მიგვეღო წიგნები და სხვ.

დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს. ესენი იყვნენ: განსვენებული ნინო ენუქიძე, ვერის მასობრივი ბიბლიოთეკის გამგე (ბიბლიოთეკა იმყოფებოდა ახალანდელ ვერის ბაზრის ტერიტორიაზე). ნინო იყო სამშობლოს მოყვარული, ხასიათით დიდად სათნო და მოკრძალებული ქალი. მისგან ხშირად მოჰქონდა გოგლას საკითხავი წიგნები პანსიონში.

ორივე, მე და გოგლა, ვკითხულობდით წიგნებს რიგრიგობით. შემდეგ, დანიშნულ დროზე ვუბრუნებდით ბიბლიოთეკას.

ყოფილი სემინარიელები დღესაც დიდი სიყვარულით იგონებენ ზაქარია ჭიჭინაძეს, ქართული წიგნის დიდ მოამაგეს, მწერალს, წიგნების შემდგენელ-გამომცემელსა და გამავრცელებელს. მისი გამოცემული წიგნებით ვეცნობოდით და ვსწავლობდით ქართულ ლიტერატურასა და ისტორიას.

დამწყებ მოწაფე-მწერლებს დიდად უწყობდა ხელს ლუარსაბ ბოცვაძე, ჟურნალ „განათლების“ რედაქტორ-გამომცემელი. იგი იყო განსწავლული პედაგოგი და პატრიოტი (სამწუხაროდ ადრე გარდაიცვალა). თავის ჟურნალში მან ფართოდ გაუღო კარი, როგორც სემინარის მწერალ მასწავლებლებს (ვ. ბარნოვს, იპ. ვართაგავას), ასევე მათ მოწაფეებს: „გალაკტიონ ტაბიძეს, გიორგი ლეონიძეს და სხვებს.

როცა შევიყრიდით ხოლმე თავს, მე და გოგლა, განსაკუთრებით, ორ ადამიანს ვიგონებდით. ესინი იყვნენ — ეროვნული საქმის დიდი ვულშემატკივარნი, საბავშვო ჟურნალების „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ რედაქტორები: ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლისა და ნინო ნაკაშიძე.

„განათლების“, „ჯეჯილის“ და „ნაკადულის“ (განსაკუთრებით ამ ორი უკანასკნელის) რედაქციები მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ქართველ მწერლებთან. ვის არ ნახავდით ამ რედაქციებში! აქ იყრიდნენ თავს ქართული სიტყვის დიდი კორიფეები — აკაკი და ვაჟა, ვაჟას ძმები — ბაჩანა და თედო რაზიკაშვილები. უფრო ახალი თაობაც: იროდიონ ევდოშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ მჭედლიშვილი.

სოიცარი ის იყო, რომ აღნიშნული რედაქციები არ თაკილობდნენ უკვე ცნობილ მწერალთა წრეში მიეღოთ სრულიად უცნობი, დამწყები მწერლები. პირიქით, ისინი ყოველმხრივ უწყობდნენ ხელს ახალგაზრდების დაწინაურებას. ნინო ნაკაშიძე ღარიბი რედაქციიდან გაჭირვეუბული ახალგაზრდებისათვის. მცირე ჰონარარის მიცემასაც კი ახერხებდა!

დასახელებულ პირთა და ორგანიზაციათა გარდა, სემინარიელებისა და [illegible] მათ შორის, დამწყებ მწერლების [illegible]ბისა და მათი ლიტერატურული დაოსტატების საქმეში დიდი როლი შეასრულა გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა და გულისხმიერმა ადამიანმა — ვასილ ბარნოვმა.

ბარნოვის მოსვლამდე სემინარიაში ქართულ ენას გვასწავლიდა სასულიერო აკადემიადამთავრებული ონიფანტე გამზარდია, რომელიც (მაპატიოს მისმა აჩრდილმა!) სუსტად ერკვეოდა ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებში.

თქმა არ უნდა, სწავლების დროს მთავარია მასწავლებელი. საგნის ცოდნის გარდა, სემინარიელებს გვინდოდა მასწავლებელი — წინამძღოლი, რომელიც თვითმპყრობელობის ლაქიებად კი არა, ჩვენი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის მტიკე მებრძოლებად აღგვზრდიდა.

გოგლას დროს სწორედ ასეთი აღმზრდელები იყვნენ ვასილ ბარნოვი და ცნობილი კომპოზიტორი, ქართული ხალხური პოეზიის დიდი მცოდნე და გულშემატკივარი — ია კარგარეთელი. მათ ფასდაუდებელი ღვაწლი შეიტანეს მთელი ჩვენი თაობის აღზრდაში და მოწაფეთა საყოველთაო სიყვარულიც დაიმსახურეს.

ჩვენში, თავის მოწაფეებში, ეს ორი მასწავლებელი ხედავდა მომავალ მოღვაწეებს, ხალხის მსახურთ.

სემინარიის ყოველწლიურად (30 ნოემბერს ძველი სტილით, (ანდრია პირველწოდებულის საეკლესიო დღესასწაულის გამო) იმართებოდა ლიტერატურულ-ვოკალურ-მუსიკალური საღამო. იგი ეწყობოდა ხოლმე მეორე სართულზე მდებარე, ვეებერთელა სააქტო დარბაზში. საღამოში მონაწილეობას ღებულობდნენ მხოლოდ მოწაფეები. ამ საღამოზე ვასილ ბარნოვი მოლექსე ახალგაზრდებს, ვისაც ატყობდა პოეტურ ნიჭს, ავალებდა წაეკითხათ საკუთარი ლექსი.

სემინარიაში მიღების პირველ წელს ვერაფრით ვერ დავითანხმეთ გოგლა წაეკითხა საღამოზე საკუთარი ლექსი. არ მოსწონდა თავისი ბოხი, ოდნავ ჩავარდნილი ხმა: „ვერაფერი მხატვრული მკითხველი ვარო“, ამბობდა. მაგრამ მომდევნო წლებში, როგორც იქნა, დავითანხმეთ და ისიც თამამად გამოდიოდა სემინარიის მოწაფეთა, მასწავლებელთა და მრავალრიცხოვან სტუმართა წინაშე თავისი შესანიშნავი ლექსების კითხვით.

პირველი ლექსი, რომელიც მან ასეთ საღამოზე წაიკითხა, იყო „შემოდგომა“.

ჩვენ, პანსიონერი სემინარიელები, როგორც ზემოთაც ვთქვით, ვცხოვრობდით სასწავლებელში, ვიზრდებოდით სახელმწიფო ხარჯზე-

ჩვენს დროს, პანსიონში იყვნენ გოგლას ორი უფროსი ძმა — ლევანი და სიმონი.

**სემინარია მდებარეობდა ვაკეში**, იმ შენობაში, სადაც უკანასკნელ ხანს, 1967 წლამდე, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი იყო მოთავსებული.

გაკვეთილების შემდეგ საღამოს 10 საათამდე (ე. ი. დაძინებამდე), მოწაფეები ვისხედით საკლასო ოთახში, მერხებზე. ამავე მერხებზე დღით ვისმენდით გაკვეთილებს, ხოლო ნასადილევს აქვე ვმეცადინეობდით და ვისვენებდით.

საკლასო ოთახები მოთავსებული იყო მესამე სართულზე. ოთახებს შუა, მთელ სიგრძეზე, გადიოდა გრძელი და ფართო დერეფანი. ამავე სართულზე მოთავსებული იყო ეკლესია, ეკლესიის წინ იყო მოზრდილი ფოიე, სადაც, დასვენების დროს, ვსეირნობდით მოწაფეები.

ყოველ საკლასო ოთახს, თავსა და ბოლოში, ორი მინიანი კარი ჰქონდა დატანებული.

პირველი კლასის პირველი განყოფილება, სადაც გოგლა მეცადინეობდა, ჩვენი (მეოთხე) კლასის პირდაპირ იყო. ერთმანეთისგან გვყოფდა მხოლოდ საერთო დერეფანი, საიდანაც, მინიანი კარის საშუალებით, კარგად ვხედავდი წიგნებში თავჩარგულ გოგლას. წინ, ჩვეულებრივ, ედო რვეული და საწერ-კალამი. კითხულობდა და კითხულობდა, იწერდა რვეულში შენიშვნებს.

არ გეგონოთ, იგი თავს აკლავდა გაკვეთილებს! მას, ვიმეორებ, როგორც სემინარიელების უმრავლესობას, ნაკლებად აინტერესებდა საეკლესიო და ღვთისმეტყველების საგნები.

რექტორის, ინსპექტორისა და მორიგე ზედამხედველის თვალის ასახვევად, გოგლას მერხზე ეწყო სახელმძღვანელოები, ხოლო უჯრაში ზაქარია ჭიჭინაძის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება“, „საქართველოს გეოგრაფია“ (ვახუშტისა), „ვისრამიანი“, ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“ — ტ. I, ტ. II, რომელნიც, ჩვენდასაბედნიეროდ, 1914 წ. გამოვიდა. შავთელი, ჩახრუხაძე, სულხან საბა-ორბელიანი, „გურამიან-დავითიანი“, შოთა რუსთაველი ხომ მუდამ წინ ედო!

მაგრამ ყველაზე მეტად გამაოცა, როცა გოგლამ, ერთხელ პანსიონში მოგვიტანა წასაკითხად, 1910 წელს გამოცემული ნიკო მარის: «Вступительные и заключительные строфы» და «Грузинская поэма Витязь в барсовой шкуре» (სამეცნიერო აკადემიის გამოცემა), ასევე «Древне-грузинские одописцы (Тексты и розыскания». 1902). აქ იყო მოთავსებული შავთელის „აბდულმესიანი“, ჩახრუხაძის „თამარიანი და სხვ.

მიუხედავად სასწავლებელში გამეფებული სასტიკი, რეაქციული რეჟიმისა, სემინარიელები დიდ სიყვარულს იჩენდნენ ქართული ენისა და მწერლობისადმი, ცდიდნენ კალამს, ემზადებოდნენ ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. მოწაფეებში იმ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ხელნაწერი ჟურნალები: „გვირგვინი “და „ფანდური“. პირველს რედაქტორობდა ნიჭიერი ახალგაზრდა მ. ჭრელაშვილი (შემდგომ ცნობილი ექიმი). „გვირგვინის“ მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა. ერთ ნომერში მოთავსებული იყო მოწაფის ირაკლი გამრეკელის (შემდეგში გამოჩენილი მხატვრის) მეგობრული შარჟი გოგლაზე. ხოლო მეორეში — ყველაზე საყურადღებო მასალას წარმოადგენდა, ფსევდონიმით ხელმოწერილი, გოგლას ლექსი: „მე და ტაძარი“.

რაც შეეხებოდა „ფანდურს“, მას რედაქტორობდა ჩვენი გოგოლა, და, როგორც თვითონ მიამბო. ამ ჟურნალშივე მოათავსა მან თავისი ცნობილი ლექსი, მიძღვნილი ვაჟა ფშაველასადმი.

როცა მე სემინარიის სრული კურსი (ექვსი კლასი) დავამთავრე, გოგლა მაშინ მესამე კლასში იყო.

თავის მოგონებაში გოგლა თბილი გრძნობით ახსენებს ვასილ ბარნოვს. მართლაც, ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა და პედაგოგმა დიდი კეთილისმყოფელი როლი შეასრულა გოგლას აღზრდისა და პოეტური ჩამოყალიბების მხრივ. მან სიყვარულით წაახალისა მოღვაწეობისათვის დამწყები პოეტი და, როგორც ვაჟამ, თავიდანვე გზა დაულოცა სამწერლო ასპარეზზე.

1918 წელს, პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ რუსეთიდან თბილისში დაბრუნებისას, გოგლა ვნახე გაზ. „საქართველოს“ რედაქციაში. მას უკვე დამთავრებული ჰქონდა სემინარიის ოთხი კლასი და ახლა რედაქციაში მუშაობდა „ლიტერატურისა და ხელოვნების“ განყოფილების გამგედ.

საკმაოდ განათლებული, რუსული და ქართული ლიტერატურის ღრმა მცოდნე, იგი დიდი გემოვნებით არჩევდა დასაბეჭდ მასალას, და მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა მიიზიდა აღნიშნულ გაზეთში სამუშაოდ.

საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, გოგლა იდგა ლიტერატურული მუშაობის ცენტრში, მოღვაწეობდა სხვადასხვა სამწერლო ორგანიზაციებში, რედაქტორობდა გაზ. „ბახტრიონს“. ბევრს მუშაობდა თვითონ და სხვისგანაც მოითხოვდა ბარაქიან მუშაობას.

— აბა, მოიტათ ჩქარა მასალა, თუ არ გინდათ ამოგშალოთ პოეტების დავთრიდან! — ეტყოდა ხოლმე იგი მწერლებს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, ჩვენში არ არსებობდა ლიტერატურული მუზეუმი. ამ საქმის მოწყობას გოგლამ დიდი ამაგი დასდო. გარდა იმისა, რომ მუზეუმი დააარსა, თანამშრომლებთან ერთად, თვითონ პოეტიც დადიო-

და ოჯახებში, აგროვებდა საჭირო მასალებს, ნივთებს, საბუთებს, ხელნაწერებს, წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს — ზოგს ფასით, ზოგს — უფასოდ.

ერთხელ, ჩვენთანაც მოვიდა ბინაზე. ოცდაათამდე ძველი, ქართული წიგნი და ხელნაწერი, მისი შერჩევით, გავატანე, რა თქმა უნდა, უფასოდ.

ლეონიძის მეცადინეობითვე ჩამოყალიბდა ილია ჭავჭავაძის მემორიალური მუზეუმი საგურამოსა და ყვარელში.

ყვარლის მუზეუმის გახსნა დაემთხვა დიდი პოეტის დაბადებიდან ასი წლისთავს. ამის გამო, გოგლას ინიციატივით, 1937 წლის 9 მაისს ყვარელში მოეწყო დიდი ლიტერატურული საღამო. საღამოში მონაწილეობის მისაღებად თბილისიდან გაემგზავრა მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა დიდი ჯგუფი. მათ შორის იყვნენ: მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, დემნა შენგელაია, სანდრო შანშიაშვილი, ალიო მაშაშვილი, პროფ. მიხ. ზანდუკელი და ამ სტრიქონების ავტორი. მსახიობები: თამარ ჭავჭავაძე, ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე და სხვ. მონაწილეთა ნაწილმა სურათიც გადავიღეთ (ამჟამად ინახება ლიტერატურულ მუზეუმში).

თითქმის ყრმობიდან მოხუცებამდე, ჩემს თვალწინ გაიარა გოგლას ცხოვრებამ. ამ ხნის განმავლობაში მუდამ მაოცებდა იგი — არაჩვეულებრივი ენერგიითა და შრომისმოყვარეობით. მას მტკიცედ სწამდა, რომ ბრძნული ქართული ანდაზისა არ იყოს, „გულად ვაჟკაცზე მშრომელი სამი გაფრენით მეტია", და დაუღალავად შრომობდა. მას შეეძლო მთელი ღამეები გაეთენებინა მუშაობაში.

შრომას გოგლა, მიჩვეული იყო ჯერ შინ, მშობლებთან, შემდეგ როგორც ყოველი სემინარიელი, იმ სასწავლებლებში, სადაც მოწაფეები 11-13 წლის განმავლობაში ვსწავლობდით (ვამბობ „სასწავლებლები", რადგან, სემინარიაში მოხვედრამდე, წინასწარ კიდევ, ორი საფეხურის სკოლა უნდა გაგვევლო: სოფლის სამრევლო სკოლა და სასულიერო სასწავლებელი). ამ აზრის სისწორეში ერთხელ კიდევ დავრწმუნდი მის შემდეგ, რაც მე და გოგლას ერთად მოგვიხდა მუშაობა ცნობილი ეპოსის „ნართების" ოსური ვარიანტის თარგმანზე.

მართალია, მას ტექსტის თარგმნაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ ნაწარმოების პირველი ორი თავის რედაქტირებისას სამაგალითო შრომის უნარი გვიჩვენა.

„ცისფერყანწელთა" ჯგუფში (სადაც ის დაგვიანებით მოხვდა), გოგლა იყო ერთ-ერთი პოეტი, რომელიც არ გრძნობდა სხვა თანატოლ მწერლებისადმი შურსა და მტრობას, არ მიაჩნდა ისინი ლიტერატურულ მეტოქეებად, რომლებიც ეცილებოდნენ მას დაფნის გვირგვინს. პირიქით, იგი დიდად უწყობდა ხელს ყველას, მათ შორის, ახლად გამოჩენილ ძალას, ტალანტს ნიჭს.

გოგლა იყო ჰუმანური ბუნების. ჰქონდა საოცრად კეთილი გული. უკანასკნელ გროშსაც არ დაიშურებდა გაჭირვებულ ადამიანის დასახმარებლად. იცოდა მეგობრის ბოლომდე გატანა.

მის გულში არასოდეს წაშლილა ხსოვნა ჩვენი მოწაფეობის საერთო მეგობრის — პოეზიის ადრე დამჭკნარი ყვავილის — მთის ნიავისადმი. ცხრამეტი წლის ახალგაზრდა პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი (მთის ნიავი) ვაჟკაცურად დაეცა თურქ დამპყრობლებთან ბრძოლაში — სოფელ უდესთან.

გოგლა ხშირად იგონებდა მის მეგობრობას. სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, იგი ჩავიდა კიდეც გურიაში (სხვათა შორის პირველად) — ჩოხატაურის რაიკომის დახმარებით — მოძებნა მგოსნის გვიმრით დაფარული, უნიშნო და უძეგლო საფლავი, გაასუფთავებინა იგი და, ბოლოს, რკინის მესერიც შემოავლებინა.

გოგლას უყვარდა ამხანაგებში მოლხენა და ქართული სუფრა. აქაც იგი ნამდვილი პოეტი იყო. სასიამოვნო იყო მასთან სუფრაზე ჯდომა. დინჯი, აუჩქარებელი, მშვენიერი მოსაუბრე, მოხდენილი ჰუმორი, ყველაფერი ერთად — დიდ ეშხსა და ლაზათს მატებდა ამ ისედაც საინტერესო პიროვნებას.

სხვადასხვა წლებში მასთან, ნადიმსა თუ ქეიფის სუფრაზე, ხშირად ვყოფილვარ. მაგრამ განსაკუთრებით ჩამრჩა ხსოვნაში ჩვენი სტუმრობა გორის რაიონის სოფლებში და ყველაზე მეტად ნიქოზში.

სამამულო ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებელი. ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ცხინვალში ვესტუმრეთ ჩემს უმცროს ძმას — ბესარიონს, რომელიც იმ დროს ცხინვალის რკინიგზის სადგურის უფროსი იყო.

ჩასვლის მეორე დღეს, მე და ჩემი ძმა ნათესავმა კოლმეურნემ მიგვიწვია სადილზე, ნიქოზში. ცოდვა გამხელილი სჯობია: ომით გამოწვეულ სურსათ-სანოვაგის ნაკლებობის და ფაქტიური შიმშილობის დროს, ნოყიერი ქართული სადილი ჩვენთვის, იმ ხანებში, სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა, და მიწვევას ცხადია, სიამოვნებით დავთანხმდით.

ნაშუადღევს მე და ჩემი ძმა ცხინვალიდან მატარებლით ჩავედით ნიქოზს. ჩვენმა მასპინძელმა, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი პატივი გვცა. საღამოს, მზის გადახრისას, მასპინძელს მადლობა მოვახსენეთ, და, მატარებლის მოლოდინში, სასოფლო გზით, რკინიგზის ბაქნისაკენ გავეშურეთ.

როდესაც მივუახლოვდით კოლმეურნეობის თავმჯდომარის სახლს, უცებ თვალი მოვკარი

გორის რაიკომის მდივანს ამხ. მიხანაშვილს და გიორგი ლეონიძეს.

მიხანაშვილი მანქანაში ჩაჯდა და გორისაკენ გაეშურა. გოგლა კი, ეტყობოდა, ჩვენი დანახვით გახარებული, მე და ჩემ ძმას შემოგვიერთდა (იგი, სხვათა შორის, ჩემი ძმის კლასის ამხანაგი იყო — სემინარიიდან).

მალე, გოგლას მასპინძელმა, გვარად საძაგლიშვილმა (ცნობილი, პროგრესული საეკლესიო მოღვაწის, კირიონ ეპისკოპოზის — საძაგლიშვილის ნათესავმა) სამივე შინ მიგვიწვია.

როგორც კი მოსაღამოვდა, კარზე ვიღაც ახალგაზრდა მოდგა. მან ბარათი გაუწოდა ჩვენს მასპინძელს. ბარათი ეკუთვნოდა ცნობილ მეცნიერს, აკადემიკოს მიხელ წინამძღვრიშვილს, რომელიც იქვე მეზობლად (საზაფხულოდ) თბილისიდან საკუთარ აგარაკზე იყო ჩამოსული.

აკადემიკოსი სთხოვდა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს: „ჩემი ვაჟის, ვახტანგის, ქორწილში მეწვიეთ თქვენი სტუმრებითო!“

ჩვენ მივედით. სახლში მრავალ სტუმარს მოეყარა თავი. ესენი იყვნენ, უმთავრესად, კოლმეურნეები — თითქმის ნახევარი სოფელი.

სუფრის ხელმძღვანელობა თვითონ მასპინძელმა, აკადემიკოსმა იკისრა. მაგრამ მის მოადგილედ და ფაქტიურ თამადად გოგლა იყო.

უნდა გენახათ, სუფრაზე რა შესანიშნავად ეპირა თავი გოგლას! თვითონაც მოილხინა და ჩვენც ბევრი გვასიამოვნა. ამბობდა ღრმად პატრიოტულ სიტყვებს. მოიგონა საქართველოს ისტორიის ბრწყინვალე ფურცლები: თამარი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე მეორე, გიორგი სააკაძე, პოეტები: შოთა, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა. ადღეგრძელა სამშობლო, ქართველი ხალხი, მისი წარსული და დღევანდელი გმირები. დასასრულ, როგორც წარმოთქმული სიტყვების აპოთეოზი, წაიკითხა ომის თემაზე დაწერილი, მართლაც, მთელ საბჭოთა პოეზიაში უნიკალური ლექსი: „არ დაიდარდო, დედაო“.

ახლაც ყურში ჩამესმის გოგლას ნათქვამი ფინალური სტროფი:

თუ გაუჭირდა სამშობლოს —  
კვლავ ცეცხლით დავიდაგებით,  
ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს,  
ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით!

სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით, ომის შემდეგ, გოგლამ დამსახურებულად მოიპოვა სახალხო პოეტის სახელი.

დიდი პოეტური ნიჭის გარდა, ბუნებისაგან გოგლა დაჯილდოვებული იყო ფიზიკური ჯანმრთელობითაც. არ მახსოვს მისი სერიოზული ავადმყოფობა. მხოლოდ უნდა ითქვას, რომ ჯანმრთელობას ნაკლებად უფრთხილდებოდა.

ბოლო წლებში, რაღაც არ მომწონდა მისი სახის ფერი. თითქოს მხრებშიც მოიხარა. ნაბიჯი აღარ ჰქონდა ძველებურად ენერგიული. ხალისიც დააკლდა. აშკარად ეტყობოდა, მისი ორგანიზმი საკმაოდ დაუძლურებული იყო. მაგრამ, მაინც რას ვიფიქრებდი, თუ ასე მოახლოებული იყო კატასტროფა!

1966 წლის აგვისტოს ერთ-ერთ ცხელ დღეს, ძმამ, ბესარიონმა დამირეკა: „გაიგე? გოგლა ცუდად ყოფილა“ საიდან შეიტყო მან, ეს ამბავი, არ ვიცი. მეც იმ დღეებში შეუძლოდ ვიყავი და ქუჩაში არ გამოვდიოდი. ამის შემდეგ, ორი დღეც არ იყო გასული, ახლა ჩემმა შვილმა, თამაზმა მაცნობა ტელეფონით: — „მამა, რა საშინელი ამბავი მოხდა, გოგლა გარდაიცვალა!“ ეს სიტყვები ლახვარივით მომხვდა გულს, ძლივს მოვედი გონს. არ ვფიქრობდი თუ ასე უეცრად გაგვიქრებოდა ხელიდან, ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი და საყვარელი პოეტი.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო პოეტის მშობლიურ სოფელს. გარეკახეთის სოფელ პატარძეულზე ბევრი რამ მქონდა გაგონილი და წაკითხული ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს.

მოწაფეობიდანვე, გოგლასა და მის ძმებთან სიახლოვემ შორიდანვე შემაყვარა ეს სოფელი. მისი ნახვა ჩემი სანუკვარი ოცნება იყო. ვნატრობდი მენახა ის კურთხეული მიწა, სადაც პირველად აეხილა თვალი გოგლას, მენახა მისი „ლექსის სათავე, მისი სულის გაზაფხული“. შემეჭვრიტა იმ ეზოში, სადაც ხარობდა პოეტი დებითა და ძმებით, სადაც ელოდა ლურჯი იების მოსვლას და ტკბებოდა მაღალი ფშატიდან მგალობელი ჩიტის ხმებით.

და, აჰა, ეს წუთიც დადგა. მხოლოდ, ჩემდა საუბედუროდ, გოგლას გარდაცვალების შემდეგ. 1968 წლის 6 მაისს, კვირადღეს, გიორგის უფროსმა ქალიშვილმა, ნესტანმა ტელეფონით მთხოვა: „კოლმეურნეობის გამგეობის მიწვევით ხვალ, ორშაბათს მამაჩემის ახლო მეგობრები და ამხანაგები უნდა წამობრძანდეთ პატარძეულს“. თან დასძინა: „თქვენი შერჩევით, წამოიყვანეთ, აგრეთვე, მამას სხვა მეგობრებიც, ვინც ამჟამად თბილისში იმყოფებიან“.

მეც, რა თქმა უნდა, თანხმობა განვუცხადე და დავპირდი წამეყვანა სხვა ამხანაგებიც, მაგალითად, გრიგოლ ცეცხლაძე, გიორგი კაჭახიძე და გოგლას კლასის ამხანაგი, ამჟამად უკვე განსვენებული, გერონტი ჯიბლაძე.

7 მაისს, დილის 12 საათზე, ჩვენ ოთხივემ თავი მოვიყარეთ ნავთლუღის მოედანზე, საიდანაც მალე გავყევით საკმაოდ კომფორტაბელურ ავტობუსს — საგარეჯოს მიმართულებით.

დილა წვიმიანი იყო. მაგრამ ჩქარა გადიკარა, მზეც გამოვიდა, და გარეკახეთის ლამაზად ამწვანებული მინდვრები გადაიშალა ჩვენს თვალწინ.

საათნახევრის შემდეგ, უკვე პატარძეულს მივაღწიეთ. ნათქვამია: „ასჯერ გაგონილს ერთხელ ნახული სჯობიაო“. მართალი უნდა ითქვას, გარეგნულად სოფელმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. იგი საკმაოდ მოზრდილია. მრავალია ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ეზოები ლამაზად არის შემოღობილი. ეზოების შიგნით, პატარ-პატარა ნაკვეთებზე, კარგად მოვლილი ვაზი და ხეხილია ჩაყოლებული. ბევრ ეზოში შევამჩნიე იასამნის ყვავილები.

იმ წელს, მკაცრი ზამთრისა და დაგვიანებული გაზაფხულის გამო, მცენარეები ჯერ კიდევ ნაკლებად იყო შეფოთლილი, რაც სოფლის პეიზაჟს აღარიბებს და ლაზათს უკარგავს.

გოგლას სახლი ორასი ნაბიჯით თუ იქნება დაშორებული გზატკეცილს, რომელიც სოფელს შუაზე ჩაუდის. კითხვა არ დაგვჭირვებია, ადვილად მივაგენით. თვალი მოვკარი თუ არა გოგლას სახლს, გამახსენდა:

მე აქ ვუყვარავარ ყველას, ყველაფერს,
როგორც ნამდვილი შვილი მამულის:
ხან მტევანს ვკოცნი, წითლად შენაფერს,
ხან თავთავებში ვარ შემალული.
შევალ ჭიშკარში... მომესევიან
წიწილებივით ყრმობის დღეები,
ყველა ტოტებით მომეხვევიან,
ყველა ფოთლებით, ეზოს ხეები.

მაგონდებოდა ეს ალერსიანი სტრიქონები და გული გამოუთქმელი სევდით მევსებოდა.

დაბალი ჭიშკრით შევედით პატარა ეზოში, სადაც რამდენიმე ძირი ხეხილია, სასიამოვნო სურნელებას აფრქვევდნენ თეთრ-წითლად გაფეთქილი იასამნის რტოები.

იმ დღეს მე და ჩემს თანამგზავრებს ადრე მოგვიხდა პატარძეულს ჩასვლა.. სტუმრების თავმოყრამდე საათნახევარზე მეტი დრო რჩებოდა. გადავწყვიტეთ გვესარგებლა მომენტით და დაგვეთვალიერებინა სოფელი. გეზი ავიღეთ სოფლის ბოლოს ამართული, მოზრდილი კოშკისაკენ.

კოშკის ახლოს უბრალო ნაშენი ქვითკირის ეკლესიაა, რომელსაც სამხრეთითა და აღმოსავლეთით ორი მორჩილი კარი აქვს დატანებული. ჩანს, როგორც ეკლესია, ასევე, მის გვერდით მდებარე კოშკი, მოსახლეობას — ლეკებისა და სხვა მთიელ დამრბევთა ურდოების შემოსევის დროს — თავშესაფრად ჰქონდა გამოყენებული.

იქვე, კოშკის ახლოს, მოხუცი გლეხები გზის პირად ისხდნენ, მზეზე თბებოდნენ. ჩვენ მივესალმეთ მათ და გამოვესაუბრეთ. მათი თქმით, კოშკი ბილანიშვილების გვარს ეკუთვნოდა, და საშინელი თავდასხმების დროს, მოსახლეობის თავდაცვითი ბრძოლებისას, ერთად-ერთ სიმაგრეს წარმოადგენდა.

როგორც საუბრიდან გამოირკვა, გოგლა დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობს არამარტო პატარძეულში, არამედ ახლო-მახლო მდებარე სოფლებშიაც.

ეს გასაგებიცაა. დიდებული პოეტური შემოქმედების გარდა, იგი, ამავე დროს, პრაქტიკული მოღვაწეც იყო. დიდ დახმარებას უწევდა სოფლელებს როგორც კულტურული, ისე საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის დროს.

მარტო პატარძეულის წყალსადენის მშენებლობა რად ღირს! სოფლად ანკარა სასმელი წყალი მოკლე დროში გაყვანილ იქნა პოეტის ინიციატივით.

ახლა დიდი კმაყოფილებით ლაპარაკობენ კოლმეურნეები გოგლას ღვაწლზე და ამაყობენ კიდეც მისი დახმარებით. მართლაც, ამისთანა პიროვნებაზე უთქვამს რუსთაველს: „შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე, მისგან ქმნილი!“

პოეტის გარდაცვალების წლისთავზე, სამოქალაქო პანაშვიდის შემდეგ, მთაწმინდიდან, სხვა ამხანაგებთან ერთად, წყნეთში, გოგლას აგარაკზე ავედი. ავიარე აღმართი, და, როცა, სოფლის ბოლოს ქართულაივნიანი სახლის ეზოში შევდგი ფეხი, გულმა ერთბაშად მოზღვავებული ნაღველი იგრძნო. უმალვე შემოვიარე ბაღი და, ბოლოს, უზარმაზარ აივანზე გავჩერდი. იყო შემოდგომის დღე, წყნარი და მზიანი. ვიდექი ერთხანს გახევებული, მდუმარე, მაგონდებოდა გოგლასთან ერთად გატარებული სიყმაწვილე, მოწაფეობის წლები.

გადავცქეროდი ბაღში, გოგლას ხელით დარგულ, ნაყოფით დახუნძლულ მსხლისა და ვაშლის ხეებს, ყურძნის ქარვისფერ მტევნებს, გადაშლილ ვარდებს, ნაირ-ნაირ ყვავილებს, და თვალზე მომდგარ ცრემლებს ველარ ვიკავებდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვასო გოგოლაძე

# გიორგი ლეონიძე ქართველი გლეხის ოჯახში

1959 წლის გაზაფხულის ერთ მზიან დილას ლანჩხუთის სადგურს ქშენით მიადგა მატარებელი, რომელმაც დიდძალი ხალხი ჩაიყვანა ეგნატე ნინოშვილის საიუბილეო მიტინგზე დასასწრებლად.

რაიონის მშრომელები ზეიმით შეხვდნენ სასურველ სტუმრებს, ამუშავდა კინოაპარატი, რომელმაც სადგურიდან დაძრული ხალხის საზეიმო მსვლელობა გადაიღო. ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად სასიქადულო მამულიშვილი გიორგი ლეონიძე იყო.

გიორგი და მე სასტუმროსაკენ ერთად წავედით. იგი სინანულს არ მალავდა, ძლიერ მოგვიანებით მომიხდა გურიაში ჩამოსვლაო, გამოვტყდები, აქამდე გურიაში არ ვყოფილვარო.

მცირე შესვენების შემდეგ, სტუმარ-მასპინძლები სოფ. ჩანჩეთში წავედით. პიონერები თაიგულებით ეგებებოდნენ სტუმრებს. მესიამოვნა, როცა შევნიშნე, რომ ყოველი მოსწავლე ცდილობდა გ. ლეონიძისათვის მიერთმია ყვავილები. თანაც გამიკვირდა, ნუთუ ბავშვები სცნობენ სახალხო პოეტს ლეონიძეს-მეთქი? ერთ-ერთ გოგონას, რომელიც ყვავილებით დატვირთული, საყვარელი სტუმრისაკენ მიემართებოდა, ფრთხილად ვკითხე: სცნობ ამ კაცს? გოგონამ მორცხვად თავი დახარა და ოდნავ გასაგონად წარმოსთქვა, არაო.

— ეს გიორგი ლეონიძეა, დიდი მგოსანი. — ვუთხარი მე. ბავშვმა აღტაცებით შესძახა ამხანაგებს, მოდით, პოეტი აკადემიკოსი გაიცანითო! თითქოს დიდი ხნის მეგობრები ყოფილიყვნენ, ლეონიძეს ბავშვები ისე შემოერკალნენ და ცნობისმოყვარეობით შეაცქერდნენ.

გიორგი ხან ერთს გაესაუბრა, ხან მეორეს, ლამობდა, ყველასათვის ალერსიანი სიტყვა ეთქვა.

— იცით ლეონიძის ლექსები? — შევეკითხე მათ.

გოგლა შეცბა. შევატყვე, არ ესიამოვნა ჩემი აჩქარება. მაგრამ სიტუაცია მაშინვე შეიცვალა, როცა ყოველი მხრიდან გაისმა ბავშვების წკრიალა ხმა: „როგორ არ ვიცით, როგორ არა“.

— აბა, ბიჭიკო, გვითხარი, შენ რომელი იცი? — მივუბრუნდი ერთ-ერთს.

ბიჭუნა წელში გასწორდა, ხელები ჩამოუშვა, შუბლი შეიჭმუხნა და მთელი გრძნობით დაიწყო გ. ლეონიძის ლექსი — „სიყვარული მაშ ვვაქვს ვისი?“ პოეტს თვალებზე ცრემლი აუკიაფდა, როცა ბიჭუნამ უკანასკნელი ტაეპი — „გაძლიერდეს დიდ ძმობაში, რომ ვერავინ გადათელოს, ამაგდარი, მხარგაშლილი, მზისთანდარი საქართველო!“ — წაიკითხა. კიდევ გეტყვით მეორესო, შემოგვთავაზა ბიჭუნამ, მაგრამ ახლა გოგონას ვთხოვეთ. იმანაც ჩინებულად ჩაარაკრაკა ლექსი — „ნიკოლოზ ბარათაშვილს“. ასევე მესამემ, მეოთხემ... და ვიდრე ნინოშვილის საფლავთან სახელდახელოდ მოწყობილ ტრიბუნასთან მივიდოდით, ლეონიძის „შემოქმედებითი დილა“ გაიმართა.

ნახულითა და მოსმენილით აღფრთოვანებულმა პოეტმა სათითაოდ დაჰკოცნა ბავშვები და ტრიბუნისაკენ გაემართა.

მიტინგის შემდეგ ლეონიძე პიონერ-მოსწავლეთა ახალ ჯგუფთან მივიდა. ერთ-ერთმა აქაც წარმოსთქვა ლეონიძის — „ვინც სთქვა ქართული ლექსი პირველმა“.

პოეტი მომიბრუნდა და მკითხა:

— იცოდნენ ბავშვებმა ჩემი ჩამოსვლის შესახებ?

ბავშვები, ცხადია გაფრთხილებულნი არ ყოფილან, მაგრამ იცოდნენ და იციან ამ ოქროპირის სულსა და გულში ჩამწვდომი ლექსები!

სასაფლაოდან გამოვედით თუ არა, პოეტთან ერთი მეტად სიმპათიური კოლმეურნე — ნიკოლოზ მოისწრაფიშვილი მივიდა, თავი დაბლა დაუკრა და, სხვებთან ერთად, ოჯახში შეიპატიჟა. გიორგისთან ერთად მან დიდი მორიდე-

ბით მიიწვია „მცირე" სუფრაზე მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, რომელთაც სიამოვნებით მიიღეს მიპატიჟება, მშრომელი გლეხის მარჯვენა ადღეგრძელეს და ლანჩხუთში დაბრუნდნენ.

ამ პატარა ამბავმა ძლიერ ააღელვა გ. ლეონიძე.

— გურულები, მართლაც, ისეთები ყოფილან, როგორიც წარმოდგენა მქონდა. მე მყავდა მეგობარი ჩოხატაურელი გრიგოლ მეგრელიშვილი, მას დიდი მომავალი ჰქონდა, შესანიშნავი პოეტი იყო. „მთის ნიავის" ფსევდონიმით წერდა. მსურს მისი საფლავის მონახულება, — განაცხადა მან.

ლანჩხუთში საიუბილეო საღამოზე ჩამოსულს, ჩოხატაურის რაიკომის პირველ მდივანს აკაკი გობრონიძეს გიორგის ეს განზრახვა გავუმხილე? დავუეცი და ვთხოვე დახმარება ამ საქმეში.

აკაკი გობრონიძემ სიამოვნებით იკისრა გ. ლეონიძისა და მისი მეგობრების მიყვანა შუაფარცხმის სოფლის სასაფლაოზე, სადაც 1918 წელს ოსმალეთის ურდოებთან ბრძოლაში დაღუპული პოეტი გრ. მეგრელიშვილია დასაფლავებული.

მეორე დილას, ლანჩხუთის სახალხო თეატრში ნინოშვილის ნაწარმოებთა ინსცენირების მოსმენის შემდეგ, რამდენიმე ავტომანქანით ჩოხატაურში წავედით.

სასაფლაოზე გრ. მეგრელიშვილის თანასოფლელებს მოეყარათ თავი. გ. ლეონიძე და მისი თანამგზავრები მხურვალედ მიიღეს. აქ გიორგიმ მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა: გრ. მეგრელიშვილი, ვინ იცის, რომ დასცლოდა და კვირტშივე არ დასუსხულიყო, რა დიდი პოეტი გამხდარიყოო.

მეზობლებმა თითქოს ახლა გაიგეს რა შესანიშნავი პიროვნების საფლავთან იდგნენ. აქამდე, ყოველ შემთხვევაში, ჩოხატაურში იგი თითქმის არავის გახსენებია.

აკ. გობრონიძე გ. ლეონიძეს შეჰპირდა, ორ თვეში საფლავი კეთილმოწყობილი იქნება, თუ შეიძლება, ჩამობრძანდით, გავაცოცხლოთ გრ. მეგრელიშვილი, ღირსეული პატივი ვცეთ მის ნათელ ხსოვნასო.

რომ იტყვიან, გ. ლეონიძესაც ეს უნდოდა, თავის მხრივ მადლობა მოახსენა ა. გობრონიძეს ამ ინიციატივისათვის, თან დასძინა: — შემატყობინეთ, როდის იქნება ჩამოსვლა სასურველი, მზად ვარ კვლავ ქედი მოვიხარო მეგობრის ხსოვნის წინაშე.

სოფლის შარაგზა ფეხით ჩამოვიარეთ და ჩოხატაურის პიონერთა სახლის წინ შევჩერდით, პიონერთა შესანიშნავი ცეკვა-სიმღერით მოხიბლულმა გიორგიმ მათთან ერთად მრავალი ფოტოსურათი გადაიღო.

გიორგის ძალზე მოეწონა ბავშვები:

— აბა შეხედეთ, რა ლამაზები არიან! სად ნახავთ ასეთ მკვირცხლ ბავშვებს. პირდაპირ საკვირველებაა! — ჩემი ხალხი, მისი მომავალი თაობა ღირსია იმისა, რომ მოვკვდე მისთვის.

საღამოს უზომოდ კმაყოფილი, ახალი შთაბეჭდილებებით დატვირთული პოეტი თბილისს დაბრუნდა.

ზაფხული მიიწურა. აკაკი გობრონიძემ შემატყობინა, ჩოხატაური მზად არის სასურველი სტუმრების მისაღებადო. იმავე დღეს გავეშურე გ. ლეონიძესთან, მაგრამ იგი ქობულეთში წასულიყო.

ვერაფერს მოგახსენებთ, ვინ შეატყობინა გ. ლეონიძეს ეს ამბავი, ან როგორ მოხდა, რომ თბილისიდან მწერლები ქობულეთში ჩავიდნენ, რათა, გ. ლეონიძესთან ერთად იმავე დღეს ჩასულიყვნენ ჩოხატაურში, შუაფარცხმის სოფლის სასაფლაოზე, გრ. მეგრელიშვილის ხსოვნის პატივსაცემად.

მეორეჯერ გ. ლეონიძის გურიაში ყოფნის ამბავი მე დაწვრილებით მომითხრო მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, გოგლას სიყრმის მეგობარმა, აწ გარდაცვლილმა არკადი ხუნდაძემ, რომელიც თბილისელთა დელეგაციაში იყო (გიორგი ლეონიძე, ნიკო კეცხოველი, არკადი ხუნდაძე, გრიგოლ მეგრელიშვილი და სხვ. ერთდროულად სწავლობდნენ თბილისში).

დელეგაცია გიორგისთან მისულა სასტუმროში. გიორგის ყველა გულში ჩაუკრავს, ყველა მოუკითხავს, ბოლოს არკადისათვის მიუმართავს: — ვასო რად არ ჩანს? და როცა გაუგია, არ ვიყავი, ერთგვარი საყვედური უთქვამს: — მასპინძელი მეგონა და მონაწილეობაც კი არ მიიღო?

ქობულეთში ჩასულ მწერლებს მანქანებით დახვედრიან ავთო გურგენიძე, შამშე მჟავანაძე და სხვები. არკადი ხუნდაძეს წარუდგენია მწერლებისათვის ჩოხატაურელი ამხანაგები, შემდეგ გ. ლეონიძის მეთაურობით, დელეგაცია გამგზავრებულა ჩოხატაურში. სხვათა შორის, იმ ბანკეტზე, რომელიც მიეძღვნა მთის ნიავის ხსოვნას აკაკი მეგრელიშვილის სახლში, სუფრის ხელმძღვანელობა ჩინებულად გაუწევია ავთო გურგენიძეს, რომელსაც ეს ბანკეტი უქცევია ქართველი მწერლებისა და, პირველ რიგში, გიორგი ლეონიძის შემოქმედებით საღამოდ.

შუაფარცხმის სასაფლაოზე გოგლას მსმენელები დაუტყვევებია. სულგანაბული უსმენდნენ, — თქვა არკ. ხუნდაძემ, — აქა-იქ ქვითინიც გაისმა, ცრემლებს იწმენდნენ. მეც ამატირა, დამაფიქრა, ამაღელვა გიორგის მგრძნობიარე სიტყვამ, — დასძინა ბოლოს არკადიმ.

ასე გააცოცხლა და ხალხის გულში მარადიული სამყოფელი მიუჩინა გ. ლეონიძემ უდროოდ დაკარგულ პოეტს და მოქალაქეს გრ. მეგრელიშვილს.

ეს იყო გ. ლეონიძის გურიაში ყოფნის მეორე შემთხვევა.

გ. ლეონიძემ მაშინ ვერ მოახერხა მოხვედრილიყო გურიის შუაგულში — ყოფილ ოზურგეთში, გულით კი ეწადა მახარაძის რაიონის ხილვა.

გ. ლეონიძის ეს წადილიც განხორციელდა და განხორციელდა მეტად ორიგინალურად, მოულოდნელად...

1962 წლის შემოდგომა იდგა. მზე უხვად აფრქვევდა ცხოველმყოფელ სხივებს. გ. ლეონიძე ზღვის პირად, ქობულეთში ისვენებდა, ლაღობდა. ჩვენ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ვსაუბრობდით პოეზიაზე, მწერლებზე, გურიაზე, აჭარა-ქობულეთზე, ჰაიდარ აბაშიძის მოღვაწეობაზე, რომელსაც განსაკუთრებით აფასებდა პოეტი, ჰაიდარის მეგობარი.

ქობულეთში მე ვცხოვრობდი ჩემი ახლობლის, თამარ კიკვაძე-ნოღაიდელის ოჯახში. თამარი სურებიდან არის ქობულეთში გათხოვილი, ორი მშვენიერი ვაჟიშვილი ჰყავს. თითქმის მის ოჯახში გაიზარდა და იქ, როგორც ოჯახის წევრი, ცხოვრობდა ნატანებელი ქალიშვილი ევგენია მუჯირი, რომელიც ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმში ახალგაზრდობის აღზრდას ეწეოდა.

ევგენიას მამა, პორფირე, ჰარმაგი, დაბალ-დაბალი, ჩასკვნილი კაცი იყო. მახარაძეში დიდხანს ემუშავა ჩაის ფაბრიკაში, ტექნოლოგად. იმ დროს პენსიონერი, თავის უმცროს ვაჟთან, გედევანთან ერთად ოჯახში მუშაობდა.

პორფირე სპეციალურად ჩამოვიდა ქობულეთში და რთველში დამპატიჟა. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდი. იმ საღამოს ზღვის პირზე გავედი და გეზი ფიჭვნარისაკენ ავიღე. შებინდებული იყო. შემომესმა გიორგი ლეონიძის ძახილი: — ვასო, აქ მოდი!

გოგლას თბილი კომპანიისათვის შეეყარა თავი, სუფრას მისჯდომოდა და ენაწყლიანობდა. სუფრას უსხდნენ: ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ანტონ კელენჯერიძე, მწერლების დიდი მეგობარი, სამეურნეო მუშაკი, დომენტი ეძგვერაძე, მწერალი-ჟურნალისტი ვასო ბაიაძე და სხვ.

გოგლას ეშხით არც ღვინოზე ვთქვი უარი და სახლში შექეიფიანებული დავბრუნდი. საყვედური დამაყარეს: — რა მოხდა, შე კაი კაცო, 15 დღეზე მეტია აქა ხარ და ერთი წვეთი ღვინო არ დაგილევია, რაღა ახლა გამოიდევი თავი. ხომ იცი, ხვალ ნატანებში მივდივართო!

მე ავუხსენი, თუ რა ვითარებაში მოხდა ეს. მაშინ ევგენიამ შემომაპარა: — რა იქნება, გიორგი ლეონიძე და მისი მეგობრები გვეწვიონ ნატანებში? ნეტავი გ. ლეონიძე არ იკადრებს გურული გლეხის მასპინძლობას!

— ძლიერ კარგს გააკეთებ, თუ გ. ლეონიძეს ნატანებში აიყვან. — დაუმატა თამარ ნოღაიდელმაც.

მეორე დილით ევგენიამ და თამარმა თავიანთი თხოვნა შემახსენეს. თვით ევგენია ადრიანად გაემგზავრა მამის ოჯახში, თადარიგის დასაჭერად.

პორფირეს უსაზღვროდ გახარებია, როცა ქალიშვილისაგან გაუგია გ. ლეონიძის შესაძლო სტუმრობის ამბავი. გედევანი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გივი წითლიძესთან უფრენია, მობრძანდი, საყვარელ პოეტს ღირსეული პატივი ვცითო.

ეს ამბავი მახარაძის რაიკომის მდივანს, ალთოიძესაც მისვლია. მასაც უთხოვია გივი წითლიძისათვის, აუცილებლად მიდი მუჯირის ოჯახში, იქნებ მართლა ესტუმროს გ. ლეონიძე ნატანებსო.

სანატორიუმის ეზოში სწორედ იმ დროს შევედი, როცა მაღალ-მაღალი მამაკაცი სახლში თუ რესტორანში ეპატიჟებოდა გ. ლეონიძეს. გიორგიმ წინაღამით გვიან დაწოლა მოიმიზეზა, მადლობა მოახსენა მიპატიჟებისათვის და თავაზიანად გაისტუმრა თავისი პატივისმცემელი. ეს უკვე ცუდი ნიშანი იყო! ვიფიქრე — გოგლამ ამით მეც გამცა პასუხი-მეთქი, და ჩემი თხოვნა ცოტახნის შემდეგ შევაპარე.

სიამოვნებით! — წამოიძახა. — გურიის შუაგულის ნახვა დიდი ხანია მსურს, სიამოვნებით მოვდივარ. გურული გლეხის ოჯახის ახლო გაცნობაც მაინტერესებს. წინა საღამოს მეინახეებს დავუძახეთ და ნატანებში წავედით.

გოგლას დაღლილობა ემჩნეოდა, მაგრამ როგორც კი მასპინძლის ეზო-კარს თვალი შეავლო, გამოცოცხლდა, გახალისდა, ძველებურად დაიწყო სასიამოვნო მასლაათი.

პორფირე ვენახიდან გამოვიდა და სასურველ სტუმრებს მიეგება.

— ილია ჭავჭავაძე ხომ არ გაცოცხლდა?! — იხუმრა გოგლამ და მასპინძელს ძმურად ხელი ჩამოართვა.

სხვათა შორის, პორფირეს გარეგნულად ძლიერ ამსგავსებდნენ დიდ ილიას. პორფირესაც შავი წვერი და თმა ისე ჰქონდა დაყენებული— დავარცხნილი, როგორც ილიას პორტრეტიდან ვიცით. ამიტომ პორფირეს ბევრი იცნობდა.

პოეტი ვენახში შევიდა, მერე ნარინჯებისა და ციტრუსების პლანტაცია დაათვალიერა, რა ძლიერ მოეწონა. წყაროს წყლიდან სათლით წყლის ამოტანის „მექანიზაცია“ რომ ნახა, — აი ტექნიკური პროგრესი ეს არისო, — თქვა სიცილით. გორგალი, რომელზედაც თოკია დახვეული და ზედ სათლი მიმაგრებული, აუშვა, სათლმა მავთულზე გაისრიალა, წყლით აივსო, ისევ „მანქანით“ ზევით ამოზიდა, ცივი წყლით შუბლი გაიგრილა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთხელ კიდევ მიმოავლო ეზოს თვალი და ჩაიდუდუნა:

— კარგად თქვა ირაკლი აბაშიძემ, — აქ დავხახლდებიო! მართლაც, საქართველოს რომელ კუთხეშიც არ მიველ, იქ მომინდა ცხოვრება, იქ მომინდა დასახლება.

ეზოში სიარულით რომ იჯერა გული, პოეტი სახლის წინ შედგა. ამ დროს გივიც გამოჩნდა, პლანტაციიდან მოდიოდა, ჩექმები ეცვა, მომღიმარი სახე კიდევ უფრო გაებადრა, როცა გოგლა დაინახა, პირდაპირ მისკენ გაეშურა და ძმურად გადაეხვია. დიდად გაიხარა გიორგიმ თავისი ძველი მეგობრის, წარმოსადეგი ვაჟკაცის, გივი წითლიძის მოსვლის გამო.

ურთიერთ მოკითხვის შემდეგ, სახლის მეორე სართულზე ავედით, დარბაზში ლამაზად გაშლილ, დატვირთულ სუფრას ხალვათად მივუჯექით. გოგლამ თამადად გივი დაასახელა. თუმცა ბევრი ვთხოვეთ, თვითონ ყოფილიყო სუფრის ხელმძღვანელი, მაგრამ არაფერი გაგვიედა.

გაჩაღდა ნამდვილი ქართული ლხინი, მისი მშვენება და ლაზათი გიორგი ლეონიძე იყო. ოქროპირობდა. მისი ყოველი სიტყვა ჩვენი ქვეყნის წარსულს, ბედნიერ აწმყოსა და უკეთეს მომავალს შეეხებოდა, გოგლას სიბრძნემ, მოქალაქეობამ ფრთა შეასხა ყველას და ყველა დაგვატყვევა. არც გივი ჩამორჩა ძვირფას სტუმარს სიტყვაკაზმულობაში. სიმღერაც დავაგუგუნეთ, ასე წარმოიდგინეთ, გოგლაც კი მღეროდა, თუმცა თავისი „ბანით“ დისონანსი შეჰქონდა ჰანგებში. მაგრამ გოგლა ხომ ერთადერთია ქვეყანაზე და მისი სიმღერაც, ყველასაგან განსხვავებული, სასიამოვნო იყო.

გ. ლეონიძემ ექსპრომტად ლექსიც წარმოსთქვა. ეს ლექსი ქობულეთის სატყეო სკოლა-სანატორიუმის სასწავლო ნაწილის გამგეს მირიან ბექანაძეს ჩაუწერია მუჯირის საშინაო ალბომში. თუმცა ზუსტად არ გვეჩვენება ეს ჩანაწერი, მაგრამ, რაკი გ. ლეონიძეს ეკუთვნის, მომაქვს მთლიანად:

„კარგი არის ნატანები, მაგრამ ძალადატანებით
აქ გამომყვნენ ქობულელი ეშმაკნი და შანტანები,
კარგი დროის გამტარები, ბევრი ღვინის ამტანები“.

რა დაუდევარია ქართველი კაცი! განა 1962 წლის 18 ოქტომბერი ჩვეულებრივი დღე იყო მუჯირის ოჯახის ისტორიაში? განა არ შეგვეძლო ეს ამბავი ფოტოთი აღგვებეჭდა? განა უარს იტყოდა და თავის ხელით არ ჩაწერდა გ. ლეონიძე ექსპრომტს, რომლისთვისაც ოვაცია გავუმართეთ? ყველაფერი ეს უნდა გაგვეკეთებინა, მაგრამ რას წარმოვიდგენდით, რომ გოგლა ისე მოულოდნელად წავიდოდა ამ ცხოვრებიდან, რომ მოგონებას არ დაგვიტოვებდა? ჰოდა, ნატანებელი გლეხისა ოჯახში გატარებული ერთი დღის მოგონება განა შესანიშნავ ნაწარმოებად არ დარჩებოდა?!

ჩვენი ეს შეცდომა სხვების მიმართ (მადლობა ღმერთს, გვყავნან სასიქადულო შვილები) — არ უნდა განმეორდეს — ერისა და ქვეყნის მადიდებელთა ფოტოსურათები, მათი ხმის ჩანაწერი, რაც მეტი გვექნება, მით უკეთესია...

გვიან ღამით ქობულეთში დავბრუნდით. გულუხვი მასპინძლის მიერ კალათში სათუთად ჩაწყობილი ყურძენი, ფელამუში, ხილი, მოწნული ბოთლით მაჭარი გ. ლეონიძის ოთახში შევიტანეთ, ღამე ნებისა ვუსურვეთ და ურთიერთს დავცილდით.

შემდეგ ჩოხატაურში დავპატიჟე მგოსანი თავის მეგობრებთან ერთად.

— სიამოვნებით ამოვალ, იქ მეგობრის საფლავი და ჩოხატაურელები უნდა მოვინახულო. გურული კრიმანჭული მატკბობს. ეს კუთხე, მისი მშრომელები გულში ჩავისახლეო, — მითხრა პოეტმა.

სოფელში დილით ჩავედი. მეორე დღეს, კვირას, გიორგი ლეონიძე და მისი მეგობრებიც უნდა ამოსულიყვნენ ჩოხატაურში, სოფ. შუაგანახლებაში, მაგრამ ისეთი კოკისპირული წვიმა წამოვიდა, გამიკვირდა, როცა გ. ლეონიძის მიერ გამოგზავნილი ევგენია მუჯირი და კიდევ ორი ქობულეთელი დავინახე, რეზინის ჩექმებით, ლაბადებითა და ქოლგებით მორთულები რომ ამოვიდნენ შუაგანახლებაში — გ. ლეონიძემ გამოგვგზავნა, ჩოხატაურელები მელოდებიანო. ასეთ ავდარში ვერ მივდივარ, თქვენ მაინც გადაეცით ჩემი ქართული სალამი გურულ გლეხებსო, — გვითხრეს გოგლას შემონათვალი.

სუფრას ჩემი ძმა შალვა ხელმძღვანელობდა. რომ იტყვიან, ნამდვილი სამოყვრო ამინდი იყო. რა თქმა უნდა, თამადამ პირველად სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის სადღეგრძელო შესვა. სოფლის სკოლის მოსწავლემ ზაირა გომელაურმა გ. ლეონიძის ლექსებით — „პოეტის დედა“ და „არ დაიდარდო დედაო“ — დაატკბო მშრომელები. არ გამკვირვებია, ხელებდაკოჟრებულმა გლეხებმა ლეონიძის სადღეგრძელო ერთხმად რომ შესვეს. გურული გლეხი ძველადაც მწერლობის მოყვარული იყო და ახლა, რასაკვირველია...

— ჰო, რა ლექსებია, ბიჭო, — თქვა კოლმეურნე მ. ჯიბლაძემ, — მაგისი წიგნი სიამოვნებით შევიძინე ხუთშაბათს, ჩოხატაურში.

— მეც ვიყიდე. ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებიც მიყვარს, ალ. მირცხულავაც, კონსტანტინე ხომ მიყვარს და მიყვარს. — განაცხადა პავლე ჯიბლაძემ, ძველმა კოლმეურნემ.

დიახაც, უყვართ ჩვენი ახალი ცხოვრების მომღერლები და გატაცებით კითხულობენ მათ ნაწარმოებებს!

პორფირე მუჯირის ოჯახში სტუმრობამ ძლიერ წაახალისა გ. ლეონიძე. შემდეგ, თბილისში

ხშირად იხსენებდა ამ კულტურული გლეხის ოჯახს, რომელთანაც პოეტმა დიდი მეგობრობა დაამყარა, დაიწყო მათ შორის მიწერ-მოწერა და ნობათების გაცვლა-გამოცვლა.

პორფირეს უმცროსმა ვაჟმა გედევანმა გ. ლეონიძისათვის ერთი ძირი მანდარინის, ერთი ძირი ლიმონის და ერთი ფორთოხლის ხე გამოჰყო და მათ ლეონიძისეული უწოდა. დაკრეფდა ციტრუსებს თუ არა, პირველ ყუთს, გედევან მუჯირი ფოსტით თბილისში, ი. ჭავჭავაძის პრ. № 50 მისამართით გ. ლეონიძის სახელზე გზავნიდა.

გ. ლეონიძეც „ვალში" როდი რჩებოდა — თავის ტომებს უგზავნიდა ავტოგრაფით.

როცა 1962 წლის მოსავლიდან საახალწლოდ გედევან მუჯირისაგან ციტრუსები მიიღო, პოეტმა თავის ნაწარმოებთა პირველი ტომი გაუგზავნა მუჯირებს. ახლა არ იკითხავთ, როგორი წარწერით? „პატივცემულ პორფირე და გედევან მუჯირების ოჯახს! დიდი მადლობით მივიღე თქვენი ბაღის ოქროვანი ნაყოფი. გთხოვთ მიიღოთ სამაგიერო საჩუქარი ჩემი პოეტური ბაღიდან.

სიყვარულით და მადლობით გიორგი ლეონიძე. 11 დეკ. 1962, თბილისი".

გედევან მუჯირი მორცხვი ახალგაზრდაა. იგი არავის არ „აწუხებს" თავის სტუმრობით. მაგრამ თბილისში ჩამოსვლისთანავე მთხოვა წამეყვანა პოეტისას.

კარი გიორგის ნათესავმა მანდილოსანმა გაგვიღო, სასტუმრო ოთახში შეგვიძღვა, — ახლავე გეახლებათ გიორგიო, და დაგვტოვა.

ცოტახნის შემდეგ, სადარბაზოდ მოკაზმული გიორგი შემოვიდა და გედევანისაკენ გაეშურა.

სტუმარი შეცბა, დაბნეულად ხელი გაუწოდა, ლეონიძემ კი თავისი მძლავრი მკლავებით გულზე მიიკრა იგი. მასპინძლის შეკითხვაზე — როგორ არიან ნატანებში მამა, ევგენია, ვახტანგი, პატარები, თამარისანი, გედევანმა ვერაფერი უპასუხა. ცდილობდა გაცლოდა იქაურობას და თავი დაეღწია პოეტთან შეხვედრის გამო გამოწვეული მღელვარება-უხერხულობისათვის.

ასეც მოხდა. როცა გიორგიმ თავისიანებს გასძახა — სუფრა გაგვიშალეთო, გედევანი შველივით გავარდა კარებში, გოგლამ მთხოვა, უკან დამებრუნებინა გედევანი, მაგრამ არაფერი გამომივიდა, გედევანი უკვე ქუჩაში მიცდიდა.

— სად აქვს დრო, მე დამიჯდეს და ევგენიას ამბებზე მელაპარაკოს. ქვეყნის საქმე აქვს. გლეხი კი ვარ, მაგრამ ამდენი კი ვიცი, ვისთან ვიყავი, ვინ არის ბატონი გიორგი!

სახლში დავბრუნდით თუ არა, მითხრეს, ლეონიძემ გთხოვა დამირეკოსო. იმ წუთშივე დავრეკე. პოეტმა შინ დაწყებული საყვედური განაგრძო, გედევანი ტელეფონის აპარატთან მიიხმო და კვლავ გაუმეორა — დრო აქვს, შენთან საუბარი მინდაო.

ტელეფონის მილი რომ დადო, გედევანმა შვებით ამოისუნთქა. მატარებელზე მეჩქარებაო — მომაძახა და ჩემგანაც თავი გაითავისუფლა".

1962 წლის შემოდგომაზე გ. ლეონიძე ოფიციალური მიპატიჟებით ესტუმრა მახარაძის რაიონს.

ამჯერად მასპინძლები რაიკომის მდივანი ალთოიძე და მახარაძის მშრომელები იყვნენ.

ამ სტუმრობის შემდეგ გ. ნ. ლეონიძემ გურიას ლექსების ციკლი უძღვნა. რადგან პრესამ საკმაოდ გააცნო მკითხველებს მახარაძის რაიონის მშრომელებთან გ. ლეონიძის შეხვედრები, აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. ვიტყვით ერთს, გ. ლეონიძის გულში საქართველოს ეს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე — გურია, გურულები, სამუდამოდ ჩასახლდნენ.

გ. ლეონიძე, ვინ იცის, კიდევ რამდენჯერ მოინახულებდა გურიას რომ...

პორფირე მუჯირს ავადმყოფობა შეეჩვია. კუჭი იტკენდა. გახდა, დაილია ეს ჩასკვნილი კაცი. ექიმები ავთვისებიან სიმსივნეზე ეჭვობდნენ. ავადმყოფი უწერაში გაემგზავრა, იქნებ, მარგოსო.

სწორედ ამ დროს, დაეცა მეხი ქართული პოეზიის ფესვმაგარ მუხას — გიორგი ლეონიძე გარდაიცვალა. გლოვობდა ქალაქი, სოფელი, ყოველი ქართველი მამულიშვილი. განსაკუთრებით დაღონდნენ ნატანებლები და ქობულეთელები. ისინი ხომ პირადად იცნობდნენ გიორგი ლეონიძეს! მუჯირის ოჯახმა ხომ დიდი მეგობარი დაჰკარგა!

1966 წლის 20 სექტემბერს პორფირე მუჯირის ცხედარიც მიაბარეს მიწას. იგი დაკრძალეს დედ-მამის გვერდით. პორფირეს მამას 120 წელი, ხოლო დედას —115 წელი უცოცხლია, ჩვენმა კარგმა პორფირემ კი 71 წელს ძლივს მიატანა.

1966 წლის ნოემბერში გედევანმა გიორგი ლეონიძის „პლანტაცია" დაკრიფა და მოსავალი კვლავ თბილისში, გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძის სახელზე გამოგზავნა.

ფოსტალიონმა ნობათი ადრესატის ოჯახს ჩააბარა, მას ლეონიძის პასპორტი არ მოუთხოვია, კარგად იცოდა, რომ გ. ლეონიძეს სიკვდილი არ უწერია, იგი ცოცხალია და იცოცხლებს თავისი მშობლიური ხალხის ცხოვრებით, მისი ჭირითა და ლხინით!

მზია იაშვილი

# ქართული მრავალხმიანობის არქაული საფეხური

ქართულ ხალხურ სიმღერაში მრავალხმიანობის კულტივირებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. როგორც მუსიკალური მასალის ანალიზი ცხადყოფს, ხმათა „აკორდულ ვერტიკალში" კონსტრუირების ეს პრინციპი „დასაბამიდან" მომდინარეობს. იგი შედეგია გამოსახვის საშუალებათა თანდათანობით გართულებისა და შთანაფიქრის გადმოცემის სრულყოფილი ფორმების ძიებისა.

მრავალხმიანობის არქაული ფორმებიდან მის უმაღლეს საფეხურამდე ამაღლების პროცესი სტადიალური ხასიათისაა. იგი წარმოგვიდგება თვისობრივი გარდასახვის დიდ ისტორიულ გზად, რომელშიც „ხელშესახებად" მოჩანს მუსიკალური აზროვნების სისტემის თანდათანობითი სრულყოფის თითქმის ყველა ეტაპი, მათ შორის მრავალხმიანობის დადგენის არქაული საფეხური.

შორეული წარსულის მხატვრული კულტურის ძეგლები შესაძლებელს ხდიან განისაზღვროს ამ უკანასკნელთა შესატყვისი „სტილისტური კატეგორიის", აკორდულ-ქორიალური წყობის გაბატონების ხანა. მხედველობაში გვაქვს არქაული ჰედური ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც ნივთიერ საბუთებს წარმოადგენენ ქართული მრავალხმიანობის ადრინდელი სინკრეტიზმის ხანიდან წარმომავლობისა.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ეს „ნივთიერი საბუთები" უშუალოდ „ეხმიანებიან" ქართულ წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს (ვგულისხმობთ ი. პეტრიწის „განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს", არს. იყალთოელის „ანდერძს" და ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში" აღბეჭდილ მუსიკალურ ტერმინთა განმარტებებს). ამ უკანასკნელთა შესწავლას კი იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ხალხური მუსიკის წიაღიდან ძველი ქართული პროფესიული მუსიკის წარმოდგომის პროცესი ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის გადმონაშთების აღმოფხვრის გზით მიემართებოდა. ეს იყო „ძველში ახლის" ძიების, ანუ თვისებრივი გარდასახვის პროცესი, რომელიც შესრულების საფერხულო წესის დარღვევას გულისხმობს. მითითებულმა წერილობითმა წყაროებმა, კერძოდ სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში" დაცული ტერმინის — „უპირობდა"-ს შინაარსის ამოკითხვამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა, რომ ძველქართულ პროფესიულ მუსიკას საკმაოდ დიდხანს შერჩა ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის გადმონაშთები.

ამას მოწმობს VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე ქართულ საკულტო მუსიკაში გატარებული რეფორმა, რომელიც წარმართული „როკვის" რიტმისაგან „განწმენდილი" ახალი ჟანრის — „საგალობლის" დამკვიდრებით დასრულდა.

აღნიშნული დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა მოგვცა შემდეგმა გარემოებამ: საკულტო მუსიკის არქაულმა ჟანრმა, „ძნობამ", რომელიც წარმართული „როკვის" აშკარა გადმონაშთად მოჩანს, თვით XII საუკუნის დამდეგამდე შეინარჩუნა თავისი ჟანრობრივი სახე.

ამის უცილობელ საბუთად მოვიტანთ შემდეგ ფაქტებს:

1) ტერმინ „უპირობდას" განმარტებაში ს. ორბელიანი აშკარად მიუთითებს რომ „საგალობელსა" და „ძნობას" შორის ჟანრობრივი სხვაობაა: „უპირებდა" — ესე არს საგალობელთა და ძნობათა წინა უძღოდეს ქმითა", — ამბობს იგი.[1]

2) ეს ფორმულირება გულისხმობს საკულტო მუსიკის არქაული ჟანრის — „ძნობის" სინ-

1 ს. ორბელიანი „სიტყვის კონა", სახელგამი, 1949 წ. გვ. 664.

კრეტულ ბუნებას. ამის სასარგებლოდ მეტყველებს „სიტყვის კონაში“ დაცული სხვა ტერმინების განმარტებებიც. კერძოდ: „მძნობელის“, „მგალობელის“, „ფერჴისას“ „ძნობი“, „ძნობით“, „როკვა“, „თამაშობა“, და სხვ.[1]

3) „ძნობის“ სინკრეტულ ბუნებას ადასტურებენ ძველი ქართული წერილობითი წყაროებიც, რომელთა შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ „ძნობა“ მგალობელ — მროკველთა მწყობრის აღმნიშვნელი ტერმინია[2].

4) ამავე ფაქტს ადასტურებს მ. მოდრეკილის კრებულში არსებული მკვეთრი გამიჯვნა „საგალობელთა ძველთა“ და „საგალობელთა ახალთა“, რაც VIII-IX საუკუნეთა მიჯნაზე განხორციელებული რეფორმის ანარეკლია და მოწმობს, რომ სინკრეტული ტიპის ჟანრი „ძნობა“ გამოსახვის „ძველი“ ფორმაა. ამასთან ერთად მიუთითებს ამ უკანასკნელის განვითარების პროცესის შეფერხების, ხოლო შემდეგ მისი სრულიად ამოფხვრის შესახებაც.

ამ უაღრესად საყურადღებო გარემოებებზე მინიშნება გვჭირდება მხატვრულ ტრადიციათა, კერძოდ, მრავალხმიანი სიმღერის ტრადიციის მემკვიდრეობითობის დასადასტურებლად, ძველ ქართულ პროფესიულ მუსიკაში მისი ხალხური შემოქმედების წიაღიდან შეღწევის ფაქტის დასადგენად. საკითხის ასე დაყენება გვიჩვენებს რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მრავალხმიანობის არქაული სტილის — აკორდულ-ქორიალური წყობის „ასაკის“ განსაზღვრას. მითუმეტეს, რომ იგი „ხელუხლებელი“ სახით მოჩანს სწორედ იმ ჟანრში, რომლის სინკრეტული ბუნებაც ეჭვს არ იწვევს. ვგულისხმობთ საფერხულო სიმღერებს, რომელთა „დასაბამიდან“ კულტივირების სასარგებლოდ მრავლისმეტყველ მასალას გვაწვდის არქაული ქართული ჭედური ხელოვნება. მისი ნიმუშები, როგორც უკვე ითქვა, „ნივთიერი საბუთებია“ ქართულ ხალხურ სიმღერაში, „აკორდულ ვერტიკალში“ აზროვნების პრინციპის „დასაბამიდან“ მომდინარეობისა.

ქართული მუსიკის ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ ჟამთა სვლამ ფერხულის გამოსახულების შემცველი რამდენიმე არქაული ძეგლი შემოგვინახა.

ეს ძეგლებია: 1. თრიალეთის ვერცხლის თასი, 2. თრიალეთის ბრინჯაოს სარტყელი, 3. მოცეკვავეთა ბრინჯაოს ფიგურები „ყაზბეგის განძად“ წოდებული კომპოზიციიდან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართული ხელოვნებისმცოდნეობა თრიალეთის ვერცხლის თასს ჩ. წ. აღ.-მდე XV ს. ათარიღებს, თრიალეთის ბრინჯაოს სარტყელს — ამავე ათასწლეულის შუა ხანით, ხოლო „ყაზბეგის განძს“ — ჩ. წ. აღ.-მდე VII-VI საუკუნეთა მიჯნით, ცხადი გახდება, რაოდენ დიდ ინტერესს აღვიძრავს შემდეგი: შესაძლებელია თუ არა გამოვლინდეს ამ ძეგლებზე აღბეჭდილი სანახაობების შესატყვისი, ამასთან დღესაც „სრული ხმით“ მღერავი ხალხური სიმღერები?

ამ კითხვაზე დადებით პასუხს გვაძლევს ქართული ხალხური შემოქმედება (მუსიკა, ქორეოგრაფია, ჭედური ხელოვნება). იგი ცხადად მიუთითებს მრავალხმიანობის საწყისების ადრინდელი სინკრეტიზმის ხანის ხელოვნებაში ძიების აუცილებლობაზე და მისი ფორმების დადგენის გზასაც გვიჩვენებს. ამ გზის შეცნობა შეუძლებელი იქნებოდა, თუ კვლევის კომპლექსურ მეთოდს არ მოვიმარჯვებდით. ე. ი. თუ „საფერხულო ქმედების“ სინკრეტულ ხასიათსა და, მაშასადამე, ფერხულის ქორეოგრაფიულ ფორმებს არ გავითვალისწინებდით. ქართული მრავალხმიანობის ჩასახვის პრობლემის გადაჭრისას ფერხულის ქორეოგრაფიული ტიპების დადგენას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ქართულ მუსიკისმცოდნეობას არ უცდია კვლევის ასეთ გზას გაჰყოლოდა. მის წინაშე ასეთი ამოცანაც კი არ წამოჭრილა, და სწორედ ამიტომ, იგი დღემდე იცავს ხმათა ურთიერთდაშენების გზით მრავალხმიანობის ფორმათა წარმოშობის თვალსაზრისს. ჩვენი მიზანი არ არის ამ თვალსაზრისის ავკარგიანობის შესახებ მსჯელობა, მაგრამ ერთს კი ხაზგასმით აღვნიშნავთ: იგი მექანისტური ხასიათისაა, არ ითვალისწინებს და, როგორც გამოირკვა, განვითარების ისტორიული გზის მიღმა სტოვებს ქართული მრავალხმიანობის დადგენის „არქაულ“ საფეხურს. მუსიკალური მეტყველების ამ არქაულ მანერაზე ლაპარაკი კი შეუძლებელია „ფერხულის“ ჟანრობრივი სპეციფიკის გაუთვალისწინებლად. ამაში აშკარად გვარწმუნებს ჭედური ხელოვნების ზემოაღნიშნული ძეგლების გაცნობა.

მაგრამ, ვიდრე ჩვენი თვალსაზრისის დამადასტურებელ საბუთთა გამოვლინებას დავიწყებდეთ, აუცილებლობა მოითხოვს რამდენიმე სიტყვა ითქვას ფერხულის ჟანრობრივ სახეობებსა და ქორეოგრაფიულ ტიპებზე.

ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიაში ფერხულის შემდეგ ჟანრობრივ სახეობებს ვხვდებით: რიტუალურ-საწესჩვეულებო, გმირულ-პატრიოტულ, საყოფაცხოვრებო და შრომის პროცესებთან დაკავშირებულ ფერხულებს.

ქართული მრავალხმიანობის ჩასახვისა და მისი ფორმათა დადგენის პროცესის შესწავლისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ფაქტის ხაზგასმას კი არ ენიჭება, არამედ ფერხულის ქორეოგრაფიული ტიპების დადგენას.

ქართული ხალხური ქორეოგრაფიის მკვლევარი ლ. გვარამაძე ამ მხრივ ერთმანეთისაგან განასხვავებს:

---

1 იქვე, გვ. 438, 366, 648, 849, 284, 133.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, გვ. 49, 50,51.

1. წრიულ ტოტემურ ცეკვას (ამოტვიფრულია თრიალეთის ვერცხლის თასზე).

2. სართულებიან ფერხულს ანუ, „ზემყრელოს“ (ასეთ ფერხულებს გმირული სულისკვეთება მსჭვალავს).

3. შრომის პროცესთან დაკავშირებით მასობრივ ცეკვებს (მაგ. „ხუჯიში ოსხაპუე“ ანუ მხრებით ცეკვა“).[1]

მაგრამ, როგორც საფერხულო სიმღერების ანალიზმა გვიჩვენა, ასეთი დაჯგუფება ქორეოგრაფიული ტიპების განსხვავებულობის ფაქტიდან კი არა, არამედ ფერხულის ჟანრობრივი სახეობების გათვალისწინებიდან გამომდინარეობს.

ლ. გვარამაძის მიერ მოცემული კლასიფიკაცია არ იძლევა სინკრეტული სანახაობის — ფერხულის ევოლუციის, საფეხურთა დადგენის, მაშასადამე, ამ პროცესის თვისობრივი გარდაქმნის გზათ წარმოდგენის საშუალებას.

კვლევის პროცესში ჩვენთვის სავსებით ნათელი გახდა, რომ ქორეოგრაფიული ტიპების მხრივ ფერხულთა დაჯგუფება ჟანრის არსებითი თავისებურებიდან, მისი სინკრეტული ბუნებიდან უნდა გამოგვეყვანა. ე. ი. მოქმედებითობის პრინციპების ხაზგასმაზე, დინამიკური დაძაბულობის ხარისხის ზრდაზე უნდა გადაგვეტანა მთელი ყურადღება. ჩვენს თვალსაზრისს ასაბუთებს არქაული ქართული ჰედური ხელოვნების ზემოთ აღნიშნული სამი ძეგლისა და ხალხური მუსიკალური შემოქმედების შესატყვის ნიმუშთა ანალიზი. მისი შედეგები გვიჩვენებს, რომ ფერხულის ევოლუციის პროცესი შემოქმედებითობის პრინციპის ხაზგასმის გზით მიემართებოდა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი გახდა დაგვედგინა საფერხულო სანახაობის ორი ტიპი:

1) ფერხულის არქაული ფორმა, რომელიც სწორხაზოვანი ქორეოგრაფიული ნახატის მქონე სანახაობას ემთხვევა.

2) წრიული მოძრაობის პრინციპზე აგებული ფერხულები.

როგორც ჩვენი კვლევის შედეგებმა გვიჩვენა, „ფერხულის“ არქაული ფორმიდან წრიული მოძრაობის პრინციპზე აგებულ სანახაობაზე გადასვლა დიდი თვისებრივი ნახტომი იყო. მის განხორციელებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ხმათა „აკორდულ ვერტიკალში“ შეყოვლების“ კანონზომიერებათა მიგნების გზაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რა დიდ ინტერესს აღგვიძრავს არქაული ქართული ჰედური ხელოვნების დასახელებულ ძეგლებზე ფერხულის გამოსახულებათა ასახვის ფაქტ.

[1] ლ. გვარამაძე, „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“, თბ., 1957 წ., გვ. 31.

იმ მკვლევართაგან განსხვავებით, რომელთაც ამ ძეგლების შესახებ თავიანთი შეხედულებები ადრე გამოუთქვამთ[1], ჩვენ ამ უკანასკნელთა ანალიზს სრულიად სხვა გზას გავუყევით და მხოლოდ ფაქტის ფიქსირებით კი არ დავკმაყოფილდით, არამედ მისი არსის შეცნობა ვცადეთ. ასეთ მიდგომიდან გამომდინარე, ყურადღება ძეგლებზე აღბეჭდილ სანახაობათა ქორეოგრაფიული ტიპების დადგენაზე გადავიტანეთ.

ამ თვალსაზრისით მოცემულ ძეგლთა „წაკითხვის“ შედეგად შესაძლებელი გახდა გამოგვემჟღავნებინა იმ ციკლის სიმღერებიც, რომლებიც ჰედური ხელოვნების ნიმუშებზე აღბეჭდილ რიტუალთა „შესატყვისებად“ მოჩანან, როგორც მუსიკალური მასალის ანალიზმა გვიჩვენა, ყოველმა მათგანმა თითქმის, „ხელუხლებლად“ მოაღწია შორეული საუკუნეებიდან და შეინარჩუნა ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის ნიშნები. მათ მაგალითზე შესაძლებელი ხდება დავადგინოთ საგუნდო სინკრეტიზმის რღვევის დასაწყისი.

ევოლუციის ამ რთული პროცესის თანმიმდევრულად წარმოსახვისათვის მოგვიხდება ქრონოლოგიური სიზუსტის ოდნავ დარღვევა და ყურადღების გადატანა თრიალეთის ბრინჯაოს სარტყლის განხილვაზე (ჩ. წ. აღ-მდე II ათასწლეულის შუა ხანა), თუმცა ფერხულის ყველაზე ადრინდელ გამოსახულებას ამავე ათასწლეულის XV ს. ძეგლზე, თრიალეთის ვერცხლის თასზე ვხვდებით. ასეთი შენაცვლება მიზანშეწონილად მიგვაჩნია. ამას ამართლებს თრიალეთის ბრინჯაოს სარტყელზე ქართული ქორეოგრაფიის „პირველსაწყისის“ — მონადირეთა ცეკვის აღბეჭდვის ფაქტი. ქართულ ხალხურ შემოქმედებაში ეს ცეკვა ორგვარი სახით არსებობს: როგორც მონადირეთა ცეკვა და როგორც მთვარის კულტისადმი მიძღვნილი რიტუალური ფერხული (მაგ. სვანური „შუშპარი“). მისი წარმოშობის ხანად საზოგადოებრივი ყოფის ის ხანა მიაჩნიათ, როდესაც ნადირობა შრომის პროცესის ძირითადი სახეობა იყო (პირველყოფილი თემური საზოგადოება).

მთვარის კულტისადმი მიძღვნილ ფერხულ „შუშპარის“ შესრულების წესი მონუმენტური თეატრალიზებული სანახაობის ნიმუშია. ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს „შუშპარის“ იდენტური რიტუალის „ლიმპარის“ მაგალითი, სვანეთში „ლიმპარის“, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში „ლამპრობის“ სახელით ცნო-

[1] დოქტ. ლ. გვარამაძე, აკად. შ. ამირანაშვილი, პროფ. მ. ჩიქოვანი და სხვ.

ბილი ეს დღესასწაული [1], როგორც „ხელმწიფის კარის გარიგებიდან" ჩანს, ფერხულის სახით სრულდებოდა. ამასთან, აქვეა მითითებული, რომ სწორედ წრიული ფორმის ფერხულის სახით: „ლამპარსა" ანთებულსა მჯარსა შეიდებენ, ეგრე მრგვალსა დააბნენ" („მრგვალი" — წრიული ფორმის ფერხულის აღმნიშვნელი ტერმინია).[2]

ასეთ პირობებში, ცხადია, ჩვენი ყურადღება მიიპყრო აკად. ნ. მარის მიერ ფერხულ „შუშპარის" აღწერამ, რომელიც ამ სანახაობის აღწერის პირველი ნიმუშია. „ეწერში ნანახი სიმღერებიანი ცეკვებიდან, — მოვიხსენიებთ მხოლოდ ერთს: მას ეწოდება „შუშპარი", — ამბობს ნ. მარი და აქვე დასძენს: „ათი ქალი და ოცამდე ვაჟი ჩამწკრივდნენ და დაიწყეს ტაქტში ტაშის დაკვრა, სიმღერა, როგორც ყოველთვის, ორ პარტიად სრულდებოდა, რომლებადაც იყოფოდა გაშლილი მწკრივი ან შეკრული წრე" [3].

ფერხულის ფორმათა ევოლუციის პროცესის შესწავლის თვალსაზრისით პრინციპული მნიშვნელობისა აღმოჩნდა შემდეგი გარემოება: ფერხულ „შუშპარის" აქ მოყვანილი აღწერა ანალოგიური აღმოჩნდა ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის მიერ აღწერილი ცეკვის — „სამაიასი". ორივე აღწერაში საოცარი სიზუსტით დაემთხვა ქორეოგრაფიული ტიპი. დასარწმუნებლად მოვიყვანთ ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ცნობას: „ქალებისა და ვაჟების ერთი წყება, ხელიხელგადაჭდულნი ნელი ცეკვით... უახლოვდებოდა მეორე წყებას, რომელიც უძრავად იდგა ადგილზე; შემდეგ ასეთივე ნელი ცეკვით უკან ბრუნდებოდა; ამასთან, უკან დაბრუნებისას მოცეკვავეთა წყებას უნდა დაემთავრებინა სიმღერა, შემდეგ იმასავე აკეთებდა მეორე წყება და ასე გრძელდებოდა მანამდე, სანამ სიმღერის ტემპი იმდენად ჩქარი არ ხდებოდა, რომ „სამაია" იცვლებოდა ცეკვით — „სალაღო"[4], როგორც გამოირკვა, ქორეოგრაფიული ნახატის აშკარა მსგავსებასთან ერთად (გაშლილი მწკრივი და შეკრული წრე), აქ იდეურ-მხატვრული შთანაფიქრის საერთო ძირიდან წარმომავლობაც შეინიშნება. უფრო მეტიც: ამ ორი ფერხულის იდენტურობაც. ამას ადასტურებს ს. ორბელიანის „სიტყვის კონაში" მოცემული განმარტება ტერმინებისა: „ფერქისა" და „სამა". ამ ლექსიკონის მიხედვით: „ფერქხისა" — არის „მრავალთ მობმით როკვა",[5] ხოლო „სამა" — „როკვა შუშპარი"[1] აშკარაა, რომ ს. ორბელიანი საცეკვაო „მოქმედების" აღმნიშვნელი ზოგადი ცნებებიდან — „როკვა" და „ფერქისა" ცალკე გამოჰყოფს კონკრეტულ ნიმუშს — „შუშპარს" და მას „სამას"-თან აიგივებს. მაშასადამე, „სამა" მთვარის კულტთან დაკავშირებულ რიტუალურ ფერხულად მიაჩნია. თუ გავითვალისწინებთ, რომ სვანური მუსიკალური ფოლკორის და ქართლ-კახური რიტუალური ჰიმნების მრავალრიცხოვანი ნიმუშები მდიდარ მასალას გვაწვდიან ფერხულების „შუშპარის", „სამას" და „სამაიას" (ეს ორი უკანასკნელი იგივეობრივი ცნებებია) ანალოგიურობის შესახებ, უნდა დავსძინოთ შემდეგი: ამ ანალოგიურობაზე მეტყველებს მთვარის კულტისადმი მიძღვნილ ფერხულებში გაცილებით ადრინდელი სარწმუნეობრივი წარმოდგენების კვალის აღბეჭდვაც. აქედან უძველეს სარწმუნოებრივი წარმოდგენების, კერძოდ მზის კულტის გაბატონებულობის ხანის რიტუალურ ფერხულთა ქორეოგრაფიული ნახატის ასიმილირება მთვარის თაყვანისცემის პერიოდის ფერხულებში. მხედველობაში გვაქვს წრიული მოძრაობის პრინციპი.

საკითხის ასე დაყენებისას საინტერესოა მითითებულ ფერხულებში შესრულების ანტიფონური წესის დადასტურება, ისიც იმ გარემოების ხაზგასმით, რომ ანტიფონური სიმღერის პრინციპი უშუალოდ მოქმედების პროცესში იშვება. განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი ხელშესახებად სწორედ მონადირეობის თემასთან დაკავშირებულ საფერხულო სიმღერებში ჩანს. მათში კი მთვარის თაყვანისცემის რწმენა აისახა. მრავალ ასეთ ნიმუშს შორის კვლევის პროცესში ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილეთ საფერხულო სიმღერების: „ბაილ ბეთქილის", „დალა კოჯას ხელღვაჟალეს" და „ამირანის ფერხულისადმი". ამ სამ ფერხულს შორის ღრმა შინაგანი კავშირის ნიშნები ვლინდება, თუმცა პირველი ორი ფერხული დედამთავრული ოჯახის ეპოქის მთავარი ღვთაების დალისადმია მიძღვნილი, ხოლო მესამე — ლეგენდარული გმირის — ამირანისადმი. სიუჟეტური ტიპის ამ საფერხულო სიმღერების ტექსტუალურ და მუსიკალურ მხარეთა ანალიზმა აშკარად გვიჩვენა, რომ არცერთი მათგანი არ არის დამოკიდებული ნაწარმოები. ამას ისიც ადასტურებს, რომ შინაარსის განვითარების თხრობითი პრინციპი აქ ადგილს უთმობს გადმოცემის დიალოგიურ ფორმას. ამან გვაფიქრებინა, რომ დასახელებული საგუნდო სიმღერები ერთიანი დრამატურგიული მთელის ფრაგმენტებია.

როგორც ტექსტუალური მხარის შესწავლამ დაგვანახვა, ისინი ეროვნული გმირული ეპო-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები", გვ. 230.

2 იქვე, გვ. 230.

3 იხ. ლ. გვარამაძის ნაშრომი „ქართული ხალხური ქორეოგრაფია", გვ. 135.

4 იქვე, გვ. 47.

5 ს. ორბელიანი, „სიტყვის კონა", გვ. 684.

---

1 იქვე, გვ. 294.

სის „ამირანიანის“ შემადგენელ ნაწილებად უნდა აღვვექვა. ამასვე ადასტურებს შემდეგი ფაქტები:

1) ბრინჯაოს ხანიდან რკინის დამუშავებაზე გადასვლის ეპოქის (ჩ. წ. აღ-მდე II-I ათასწლეულთა მიჯნა) ამ მონუმენტური თქმულების ზოგადსაკაცობრიო იდეებმა გამოხატულება ჰპოვა ხელოვნების მომიჯნავე დარგებშიც, კერძოდ, ჰედურ ხელოვნებაში. ვგულისხმობთ ჩ. წ. აღ-მდე VII-VI საუკუნეებით დათარიღებულ ბრინჯაოს ითიფალურ ქანდაკებათა კომპლექსს („ყაზბეგის განძი“).

2) ბრინჯაოს სარტყელი სამთავროდან (ჩ. წ. აღ.-მდე VIII-VII ს. ს.).

არქაული ჰედური ხელოვნების ამ ორი ძეგლის და ზემოაღნიშნული სამი სვანური სიმღერის შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ეს ფერხულები „ამირანიანის“ „სცენიური“ განსახიერების შედეგად შემორჩენილი ფრაგმენტებია. მათში აშკარად მოჩანს ხალხური დრამის ფორმით მათი შესრულების წესის ანაბეჭდი.

„ამირანიანის“ ტექსტის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე ქართულმა ფოლკლორისტიკამ დიდი ხანია გადაჭრა თქმულების შესრულების საფერხულო წესის საკითხი. მაგრამ, მას შეუმჩნეველი დარჩა, რომ აღნიშნული წესის შესახებ ყველაზე ამომწურავ პასუხს „ყაზბეგის განძი“ იძლეოდა.

როგორც ძეგლის მკვლევარი პროფ. მ. ჩიქოვანი ადგენს, ეპიკური ქმნილების იდეური შთანაფიქრის გადმოცემისას ჰედური ხელოვნების დიდოსტატს თქმულების შემდეგი ეპიზოდების აღბეჭდვა მოუხდენია:

1) ამირანის დაბადება და ყრმობა, 2) ამირანისა და დევის შებმა, 3) დევისათვის თავის მოკვეთა, 4) მემუსიკე ბადრი, 5) ცბიერი შიკრიკი, 6) ყამარის მოტაცება და სიძე-სიმამრის ბრძოლა, 7) ამირანიანის პერსონაჟები, 8) ძლეული ამირანი, 9) მიჯაჭვული ამირანი [1].

ბრინჯაოს ფიგურათა კომპლექსის ამ აღწერიდან ჩანს, რომ ხელოვანს მხატვრული იდეის ხორცშესხმის ყველაზე რთული გზა აურჩევია, გამკვეთი განვითარების პრინციპით ერთიან მთელად შეუკრავს ეპიკური პოემის ცალკეული ეპიზოდები. ეს გარემოება მრავლისმთქმელი დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას იძლეოდა, მაგრამ, შემდგომში აღარ გაუღრმავებიათ ამ ხაზით კვლევა.

ჩვენი დაკვირვებით, „ყაზბეგის განძის“ თვითეულ ფიგურას გარკვეული დრამატურგიული ფუნქცია აკისრია. ამირანის დაბადება და ყრმობა კომპლექსის ექსპოზიციურ ნაწილად აღიქმება. განვითარების საფეხურს წარმოქმნიან მოქმედების აქტივიზირების ისეთი ეპიზოდები, როგორებიც არის: „ამირანისა და

1 მ. ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი“, 1947 წ., გვ. 77.

დევის შებმა“, „დევის თავის მოკვეთა“ და ბოლოს, დაძაბულობის მწვერვალზე წარმოქმნილი: „ყამარის მოტაცება და სიძე-სიმამრის ბრძოლა“.

ნაწარმოების დრამატურგიული კულმინაცია ემთხვევა ეპიზოდს — „ძლეული ამირანი“. დიდი ტრაგიკული პათოსის შემცველი ეპიზოდი — „მიჯაჭვული ამირანი“ — შესანიშნავი ეპიკური ქმნილების ლოგიკურ ფინალად აღიქმება.

როგორც ვხედავთ, „ყაზბეგის განძი“ დრამატურგიულ კანონზომიერებათა ღრმა ცოდნით აგებული კომპოზიციაა. მასში ნათლად ვლინდება მხატვრული სახეთა დაპირისპირების დიალექტიკური პრინციპი. აქ კონტრასტის ხერხი დრამატურგიული მთელის მხოლოდ დიდ მონაკვეთებზე კი არა გვხვდება, არამედ განვითარების პროცესის ცალკეულ საფეხურთა შიგნითაც. ამ მხრივ უდაოდ მრავლისმთქმელია კონტრასტი — „დევის თავის მოკვეთა“ და „მემუსიკე ბადრი“ (განვითარების საფეხური) [1].

ჩვენთვის სავსებით ცხადი იყო, რომ ასეთ მწყობრ დრამატურგიულ პრინციპებამდე ამაღლება შეუძლებელი იქნებოდა სინკრეტული ტიპის სანახაობის — „საფერხულო ქმედების“ „ხედვის“ ტრადიციის გარეშე. მხატვრულ სახეთა დინამიკაში ჩვენება რაც „ყაზბეგის განძში“ გვხვდება, შედეგია მათი კონკრეტულ „სცენურ გარემოში ხედვისა“.

როგორც ძეგლის კომპოზიციურ სქემაში გარკვევამ გვიჩვენა, დრამატურგიული მთელის აგების აქ გამოყენებული კანონზომიერება მუსიკალური წარმოშობისაა. ეს ერთხელ კიდევ მიუთითებს ავტორის შთანაფიქრის სწორედ „საფერხულო ქმედების“ „ხედვის“ გრძნობიდან წარმომავლობაზე.

ბრინჯაოს ითიფალურ ქანდაკებათა კომპლექსის ფორმის მუსიკალური დრამატურგიის კანონზომიერებიდან გამომდინარეობას ადასტურებს შემდეგი ფაქტებიც:

1) დრამატული კონფლიქტის მაქსიმალურად ზეაწეული ტონით გამოხატვა (მოქმედებითობის პრინციპის აქცენტირება).

2) დრამატურგიული მთელის დინამიკურ ტალღებად აგების პრინციპი. აქედან გამომდინარე: ექსპოზიციის, განვითარების საფეხურისა და რეპრიზის ერთი სუნთქვით გამსჭვალვის ტენდენცია.

3) და რაც ყველაზე განსაცვიფრებელია, ის გარემოება, რომ ნაწარმოების განვითარების კულმინაციური წერტილი (ფორმის სქემის მიხედვით) არ ემთხვევა ემოციურ კულმინაციას.

1 „მემუსიკე ბადრი“ — მუსიკოსის, კერძოდ ჩანგის დამკვრელის გამოსახულება ყველაზე ადრინდელი გამოსახულებაა ქართული კულტურის ძეგლთა შორის (ჩ. წ. აღ-მდე VII-VI ს. ს.).

ყოველივე ამის შედეგად გასაგები ხდება ნაწარმოების დრამატული კულმინაციის განვრცობის ის ფაქტი, რომელსაც „ყაზბეგის განძში“ ვხვდებით.

ალნიშნული ფაქტებიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება იმის მტკიცება, რომ არქაულ ქართულ ხელოვნებაში უკვე ჩ. წ. აღ-მდე VII-VI ს. ს. ადრე არსებობს ისეთი ჟანრი, როგორიც ხალხური დრამაა. ეს უკანასკნელი კი აშკარად მიუთითებს მოცემული ხანისათვის საგუნდო სინკრეტიზმის რღვევის პროცესის შორს წასვლაზე. ე. ი. გუნდიდან კორიფეს, ანუ „დამწყების“ (იგივე „მთქმელის“) გამოყოფის ფაქტზე. და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმოა, სწორხაზოვანი ქორეოგრაფიული ნახატის მქონე სანახაობიდან წრიული ფორმის ფერხულამდე ამაღლებაზე.

წრიული ფორმის ფერხულის კულტივირება, თუ შეიძლება ითქვას, „დასაბამიდან“ მომდინარეობს. ამის შესახებ კიდევ ბევრი საბუთის მოწოდება შეუძლია ქართულ ხალხურ შემოქმედებას, კერძოდ საგუნდო სიმღერას. მაგრამ, ამჯერად ჩვენს ყურადღებას სწორედ არქაული ჭედური ხელოვნების დათარიღებული ძეგლები იპყრობენ. მათგან ყველაზე უძველესი, რომელიც თითქმის ათასწლეულით წინ უსწრებს ჩვენს მიერ უკვე განხილულ „ყაზბეგის განძს“, თარიღდება ჩ. წ. აღ-მდე 11 ათასწლეულის XV საუკუნით. მხედველობაში გვაქვს თრიალეთის ვერცხლის თასი, რომელზედაც წრიული ფორმის ფერხულია აღბეჭდილი. თუმცა, ამავე დროს იგი მნიშვნელოვნად მიგვინიშნებს ფერხულის არქაული სახეობის — სწორხაზოვანი ქორეოგრაფიული ნახატის მქონე სანახაობის ელემენტთა ასიმილირებაზეც.

ძეგლის ყოველმხრივი შესწავლის შედეგად მისმა პირველმა აღმწერმა აკად. შ. ამირანაშვილმა დაადგინა, რომ თრიალეთის ვერცხლის თასზე ნაყოფიერების უძველესი ქართული ღვთაების „მელია — თელეპიასადმი“ მიძღვნილი რიტუალური სვლა არის გამოხატული[1] არქაული ხანის ეს ღვთაება, როგორც სახელწოდების, ისე წარმართულ პანთეონში მისი ფუნქციის მიხედვით, ხეთური ღვთაების თელეპიას იდენტურია. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, რომ სვანურ სიმღერათა შორის ვხვდებით ამ უძველესი სარწმუნოებრივი რიტუალის „ცოცხალ“ გადმონაშთებს. ნაყოფიერების კულტისადმი მიძღვნილ სვანურ ფერხულებთან: „ადრეკილაისთან“ და „საქმისაიასთან“ ერთად შემორჩენილ იქნა შინაარსობრივად მათივე მსგავსი ფერხული — „მელია—თელეპია“. ამ უკანასკნელს დღეს ასრულებენ როგორც ფერხულ „წინამძღოლას“. აღნიშნული რიტუალის გადმონაშთთა ჩვენამდე „ხმოვანი სიმღერების“ სახით მოტანის ფაქტი დიდ მეცნიერულ ინტერესს აღძრავს, ვინაიდან იგი მეტყველებს ამ ტიპის სიმღერათა უკვე ჩ. წ. აღ-მდე II ათასწლეულის XV ს. უადრეს ხანაში კულტივირებაზე. ფრიად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მოცემული მასალა საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ შემდეგი: აღნიშნული ეპოქისათვის ძირითადად უკვე დამთავრებული იყო ფერხულის არქაული სახეობიდან წრიული ფორმის ფერხულამდე ამაღლების პროცესი. ამიტომ, ბუნებრივია, უაღრესად საინტერესოა თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოსახულ რიტუალსა და სვანურ ფერხულ „მელია—თელეპიას“ შორის ქორეოგრაფიული პრინციპების მსგავსების გამომჟღავნება. მაგრამ, ვიდრე ამის შესახებ ვიტყოდეთ, რამდენიმე სიტყვა თვით რიტუალის ფუნქციაზე.

ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალები: „ადრეკილაი“, „საქმისაი“ და „მელია-თელეპია“ აშკარად გამოხატული ეროტიკული სანახაობებია. ყველა მათგანში ბუნების განაყოფიერების სიმბოლური ასახვა ხდება, ამ მხრივ ისინი მოგვაგონებს ბერძნულ მისტერიებს, გამართულს დიონისეს პატივსაცემად. ეს პარალელი შემთხვევითი რომ არ არის, ამის შესახებ მეცნიერულ ლიტერატურაში დიდი ხანია რაც გამოითქვა, აზრი[1]. დადგენილია, რომ დიონისეს კულტში ბევრია წინააზიური ელემენტი. ხეთური ღვთაება „თელეპიას“ გამოძახილი ჩანს ეტრუსკების კულტურაშიც, რომელსაც ამ კულტის აღმოსავლეთიდან შეთვისების კვალი კარგად დაუცავს. თვით სახელწოდებაც კი „Telefinus“ უცვლელად გადუტანიათ.

როგორც უკვე მივუთითეთ, ნაყოფიერების ქართული ღვთაების-თელეპიასადმი მიძღვნილი რიტუალი ეროტიკული შინაარსის სანახობაა. ამაში გვარწმუნებს ამ წეს-ჩვეულების ის აღწერები, რომლებსაც მკვლევარები გვაწვდიან. რიტუალ „მელია-თელაპიას“ შესრულების წესის თავისებურებას განსაკუთრებით ზუსტად გადმოგვცემს პროფ. მ. კოვალევსკი. ეს აღწერა ყურადღებას იპყრობს ფერხულის ქორეოგრაფიული მხარის სპეციფიკის შესახებ სრულყოფილი წარმოდგენის შექმნის მხრივ.

პროფ. მ. კოვალევსკის მიერ მოცემული აღწერის მიხედვით, რიტუალური ფერხულის „მელია-თელეპიას“ შესრულების დროს: „კაცები ერთმანეთს ზურგს უკან დგანან და ხელი მეზობლის თეძოზე უდევთ. ისინი წინ მიდიან და რიტმულად უბიძგებენ ერთმანეთს. თან სულ უფრო აჩქარებენ ნაბიჯს. უცბათ წინა მოცეკვავე გაიხდის ტანსაც-

1 შ. ამირანაშვილი. „ქართული ხელოვნების ისტორია“, 1944 წ. გვ. 32-33

1 შ. ამირანაშვილი. „ქართული ხელოვნების ისტორია“. ლ. გვარამაძე „ქართული ხალხური ქორეოგრაფია“.

მელს, განაგრძობს წინსვლას და ჯოხს იქნევს. სვლა თავშეუკავებელ ვაკხიურ ცეკვად იქცევა. უდიდესი დაძაბულობის მომენტში ცეკვის ყველა მონაწილე და მაყურებელი მუხლზე ეცემა პირით აღმოსავლეთისაკენ და მღერიან ჰიმნს ნაყოფიერების ღმერთ კვირიასადმი“[1].

თუ კარგად დავაკვირდებით ამ აღწერას, შევნიშნავთ, რომ ფერხულ „მელია-თელეპიას“ ქორეოგრაფიული ნახატი თრიალეთის ვერცხლის თასზე გამოხატული რიტუალური სვლის ანალოგიურია. იქაც ხომ ერთმანეთის მიმდევრობით მდგომ მოცეკვავეთაგან შეკრულ „მწყობრს“ ვხვდებით. „მელია თელეპიაშიც“ იგივე „რიტმული სვლაა“. პროფ. მ. კოვალევსკის მიერ მოწოდებულ აღწერაში ხაზგასმულია „საფერხულო ქმედების“ დინამიკური crescendo-ს პრინციპზე აგების ფაქტი. სანახაობა სამი ემოციური ტალღისაგან შედგება. ისინი განვითარების პროცესის შემდეგ საფეხურებს შეესაბამება:

1) რიტმული სვლა,

2) დიდი დინამიკური დაძაბულობის შემცველი ვაკხიური ცეკვა.

3) დაძაბულობის მწვერვალზე წარმოქმნილი ჰიმნი უზენაესი ღვთაებისადმი.

როგორც ვხედავთ, ფერხული „მელია-თელეპია“ დიდი შინაგანი მიზანსწრაფვის შემცველი დრამატურგიული მთელია. იგი „უწყვეტი განვითარების“ პრინციპზე აგებული სანახაობა უნდა იყოს. მოძრაობის მძლავრი შინაგანი ზრდის იმპულსად მასში რიტმული საწყისის აქტივიზირება იქცევა. ემოციის გამძაფრების ამ პროცესში მდორე რიტმით აღბეჭდილი ცერემონიალური სვლა წრიული მოძრაობის პრინციპზე დაფუძნებულ მოქმედებად გადაიზრდება ე. ი აქაც, ისევე როგორც თრიალეთის ვერცხლის თასზე „დიადი მეტრის“ რიტმული სვლა ანუ „მწყობრია“ მოცემული. ოღონდ, აქ იგი საწყისი საფეხურია წრიული ფორმის ფერხულის სახით მოცემული მონუმენტური სანახაობისა (ამაზე მიუთითებს თასის მრგვალი ფორმა.

თასზე გამოსახული კომპოზიციის დინამიკური crescendo-ს პრინციპზე აგების ფაქტი მიგვანიშნებს, რომ ხალხური შემოქმედების ტრადიციათა შესანიშნავად მცოდნე დიდოსტატი შემთხვევით არ იძლევა რიტუალური სვლის მონაწილეთა შემდეგ დაჯგუფებას: მთავარ პერსონაჟსა და მისდამი მიმართულ 22 ფიგურას. „საფერხულო ქმედების“ სპეციფიკიდან გამომდინარე, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ფიგურათა ეს რაოდენობა ფერხულის აღმსრულებელთა ორ „მწყობრად“ ანუ ორ გუნდად (ანტიფონურად) დაყოფის პრინციპით იყო ნაკარნახევი. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ საფერხულო სიმღერის ანტიფონურად შესრულების ტრადიცია წრიული ფორმის ფერხულის კულტივირებას გულისხმობს. იგი, „რიტმული სვლის“ პრინციპიდან წრიულ მოძრაობაზე გადასვლის შედეგად დამკვიდრდა.

ფერხულის ფორმათა ევოლუციის პროცესისა და ამ უკანასკნელის მრავალხმიანობის საწყისებთან კავშირის შესახებ ჩვენი მსჯელობის დასასრულს ყურადღებას შევაჩერებთ ჭედური ხელოვნების კიდევ ერთ ნიმუშზე. ვგულისხმობთ მეშვიდე ფიგურას „ყაზბეგის განძად“ წოდებული კომპოზიციისას. პროფ. მ. ჩიქოვანი აღნიშნულ ფიგურას „ამირანიანის“ პერსონაჟებად“ მიიჩნევს[1].

მითითებული ითიფალური ქანდაკება ორი ხელიხელჩაკიდებული მამაკაცის გამოსახულებაა. როგორც ჩანს, იგი ფერხულის ამსახველი დიდი კომპლექსის ნაწილია. ამ მოსაზრების ნათელსაყოფად დავემყარებით სარწმუნო ანალიზს, რომელსაც ლ. გვარამაძე აღნიშნული ფიგურის ქორეოგრაფიის სპეციფიკის თვალსაზრისით განხილვის შედაგად გვაწვდის. მისი დაკვირვებით, ხელიხელჩაკიდებული ორი მამაკაცის გამოსახულება ქართული მეომრული ცეკვის — „ხორუმის“ ყველაზე დამახასიათებელ მოძრაობას — ნახევრად მჯდომარე მდგომარეობაში გაშლას გამოხატავს.

ამის დადგენამ ნათელი გახადა დრამატურგიული განვითარების პროცესში ჩართული იმ ეპიზოდის დანიშნულება, რომელსაც „ამირანიანის“ პერსონაჟები ეწოდება. აღნიშნული ეპიზოდის შინაარსში გარკვევა გაგვიადვილა ფიგურათა მიმდევრობაში მისი ადგილის განსაზღვრამ. როგორც ადრე მოყვანილი სქემიდან ვხედავთ, მეომრული ცეკვის ყველაზე დამახასიათებელი ილეთის შემცველი ეს გამოსახულება „ყამარის მოტაცებისა და სიძე-სიმამრის ბრძოლის“ ამსახველი ეპიზოდს მოსდევს. მაშასადამე, იგი რიტუალური ცეკვის ამსახველ ეპიზოდად უნდა მიგვეჩნია. ამაში მარტო თქმულების შესრულების საფერხულო წესის ანაბეჭდი კი არ გვარწმუნებს, რასაც „ყაზბეგის განძში“ ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, არამედ მეომრული ცეკვის აღწერის უძველესი წერილობითი ნიმუშიც — ქართული ფერხულის აღწერის ყველაზე ადრინდელი ცდა, რომელსაც ცნობილი ბერძენი ისტორიკოსი ქსენოფონტე გვაწვდის (ჩ. წ. აღ-ის IVს.).

მოცემულ აღწერაში ნათქვამია, რომ ფერხულის აღმსრულებელთაგან, „მას შემდეგ რაც ისინი გამწკრივდნენ, ერთი მათგანი იწყებდა, ხოლო დანარჩენი მღერით რიტმულად მიაბიჯებდა“[2].

სამეცნიერო ლიტერატურაში ქსენოფონტეს

---

1 ლ. გვარამაძე. „ქართული ხალხური ქორეოგრაფია,“ გვ. 49.

1 მ. ჩიქოვანი, „მიჯაჭვული ამირანი“, გვ. 77.

2 ქსენოფონტე. თხზულებანი. წიგნი 5. § 14.

ამ უაღრესად საყურადღებო ცნობას სხვადასხვაგვარი განმარტება ეძლევა. მკვლევართა ერთ ნაწილს იგი ქართულ ხალხურ მუსიკაში მრავალხმიანობის ჯერ კიდევ ჩვ. წ. აღ-მდე არსებობის განმამტკიცებელ საბუთად მიაჩნია (დ. ჯანელიძე), თუმცა ამ თვალსაზრისის არგუმენტაციას ეს მკვლევარნი სწორი გზით არ წარმართავენ [1].

მკვლევართა მეორე ნაწილის აზრით, ქსენოფონტეს მიერ მოწოდებულ აღწერაში უნისონურ გუნდურ სიმღერაზეა ლაპარაკი. ასეთ თვალსაზრისზე დგას შ. ასლანიშვილი, რომელიც ბერძენი ისტორიკოსის ცნობაში „უნისონში“ გუნდურად მღერის იმ ფორმას ხედავს, რომელსაც დღესაც ვხვდებით თუშეთსა და ხევსურეთში [2].

ქსენოფონტეს მიერ მოცემული აღწერაში ღრმად ჩაუხედაობის გამო მკვლევართა ორივე ჯგუფისათვის გაურკვეველი დარჩა ის მთავარი, რაც ამ ცნობას განსაკუთრებულ აზრს ანიჭებს.

არც პროფ. შ. ასლანიშვილსა და არც პროფ. დ. ჯანელიძეს არ შეუნიშნავთ, რომ ბერძენი ისტორიკოსის სავსებით გარკვეული ქორეოგრაფიული ტიპის „საფერხულო ქმედებას“—„რიტმულ სვლას“ აღწერს. უფრო მეტიც: პროფ. შ. ასლანიშვილი მასში ფერხულის კი არა, ლაშქრულის აღწერას ხედავს [3] და ეს მაშინ, როდესაც ქსენოფონტე არაჩვეულებრივი სიზუსტით აღბეჭდავს სანახაობის ქორეოგრაფიულ ნახატს, იგი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ მოსინიკების მეომრული ცეკვა „რიტმული სვლის“ პრინციპზე აგებული სანახაობაა. ამაზე მეტყველებს მისი ცნობიდან ამოღებული ფრაზა: „ერთი მათგანი იწყებდა, ხოლო ყველა დანარჩენი რ ი ტ მ უ ლ ა დ მ ი ა ბ ი ჯ ე ბ დ ა (ხ. ჩ.-მ. ი.) [4]. როგორც ვხედავთ აქ აბსოლუტური სიზუსტით არის განსაზღვრული სანახაობის ქორეოგრაფიული მხარის სპეციფიკა. გამოვლინებული ფაქტი შესაძლებლობას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ქსენოფონტეს მიერ აღწერილი მეომრული ცეკვა ფერხულის არქაულ სახეობას ემთხვევა. იგი სწორხაზოვანი ქორეოგრაფიული ნახატის მქონე ანუ „რიტმული სვლის“ პრინციპზე აგებული „მწყობრის“ ნიმუშს გვაძლევს.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენა მით უფრო საგულისხმოა, რომ ფერხულის ამ არქაულ სახეობაში ვხვდებით „დამწყების“ ანუ „მთქმელის“ ფუნქციის ხაზგასმას. ქართულ ხალხურ სიმღერაში „დამწყების“ ანუ „კორიფეს“ პარტიისადმი ქსენოფონტეს მიერ ყურადღების გამახვილება, ცხადია, შემთხვევით გარემოებად არ უნდა ჩაგვეთვალა. მით უმეტეს, რომ ხალხურ სიმღერათა ანალიზი აშკარავებს „დამწყების“ (იგივე „მთქმელის“ ანუ „წინამძღვარი ხმის“) განსაკუთრებულ მნიშვნელობას მრავალხმიანობის ფორმათა ევოლუციის პროცესში. როგორც ჩვენ მიერ განხილული ჰედური ხელოვნების ძეგლებიც მოწმობენ, განვითარების ამ დიდ გზას დასაბამს, აძლევს საგუნდო სინკრეტიზმის დაშლის ანუ გუნდიდან კორეფეს გამოყოფის ფაქტი.

ვინაიდან „ყაზბეგის განძის“ მაგალითი ეჭვს არ სტოვებს, რომ არქაულ ქართულ ხელოვნებაში „ხალხური დრამის“. ჟანრი უკვე ჩ. წ. აღ-მდე VII-VI საუკუნეებზე ადრე არსებობდა, ცხადია, გუნდიდან დაწყების გამოყოფის ის „ნივთიერი საბუთი“, როგორადაც მოცემული კომპლექსის მეშვიდე ფიგურა აღიქმება (მეომრული ცეკვის ილეთი), იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ საგუნდო სინკრეტიზმის რღვევა გაცილებით ადრე დაწყებულა. თუ რაოდენ შორეული წარსულიდან მომდინარეობს „დამწყების“ ფუნქციის მქონე ხმის ანუ „წინამძღვარი ხმის („მთქმელის“) გამოყოფა, ამაზე მეტყველებს თრიალეთის ვერცხლის თასზე აღბეჭდილი რიტუალიც. ამ რიტუალური ფერხულის მონაწილეთა რაოდენობა (მთავარი პერსონაჟი და მისადმი მიმართული 22 ფიგურა) თავისთავად უკვე მეტყველებს აღნიშნული ფერხულის შესრულების ანტიფონურ წესზე.

რამდენიმე სიტყვა უნდა ითქვას „ყაზბეგის განძის“ მეშვიდე ფიგურაში აღბეჭდილი ფერხულისა და ქსენოფონტეს მიერ აღწერილი მეომრული ცეკვის ქორეოგრაფიულ ტიპებს შორის განსხვავებაზეც. ქსენოფონტეს მიერ აღწერილი „რიტმული სვლის“ ანუ ფერხულის არქაული ტიპისაგან განსხვავებით, მონუმენტური სანახაობიდან შემორჩენილი ხელიხელჩაკიდებულ მოცეკვავე მამაკაცთა ფიგურა წრიული ფორმის ფერხულის ფრაგმენტად აღიქმება. წრეში მოძრაობის ეს მდგომარეობა კარგად ჩანს ორი მოცეკვავის „საშემსრულებლო პოზიდან“, რომელსაც ერთმანეთის მხარდამხარ ანუ მხარგადაჭდობით დგომის შედეგად წარმოქმნილი „წრეში ტრიალი“ განაპირობებს. მაშასადამე, „ყაზბეგის განძში“ გამოხატულებას ჰპოვებს დინამიკური დაძაბულობის მაღალ ხარისხში მიმდინარე წრიული ფორმის ფერხული. აქედან გამომდინარე, იბადება კითხვა: თუ წრიული ფორმის ფერხულთა გამოხატულებას ჯერ კიდევ ჩ. წ. აღ-მდე II ათასწლეულის შუა ხანებით და ჩ. წ. აღ-მდე I ათასწლეულის VII-VI საუკუნეებით დათარიღებული ძეგლები გვაძლევს, რატომ ვხვდე-

1 დ. ჯანელიძე, „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, 1948 წ. გვ. 31, 168, 192, 193.

2 შ. ასლანიშვილი, „ნარკვევები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ“, 1954 წ., გვ. 11, 12, 13, 14;

3 იქვე, გვ. 13.

4 დ. ჯანელიძე, „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“, 1948 წ. გვ. 192.

ბით გაცილებით გვიანდელი ეპოქას წერილობით წყაროში (ჩ. წ. აღ-ის IV ს.) ფერხულის არქაული ტიპის „რიტმული სვლის“ პრინციპზე აგებული სანახაობის აღწერას?

თრიალეთის ვერცხლის თასზე აღბეჭდილი „რიტმული სვლის“ შესახებ მსჯელობისას ჩვენ უკვე გვქონდა მითითებული, რომ არსებითად აქ დინამიკური crescendo-ს პრინციპზე დაფუძნებული სანახაობის საწყისი საფეხურის გამოხატვასთან გვაქვს საქმე. განვითარების პროცესში, რიტმული ფაქტორის გააქტიურების პრინციპიდან გამომდინარე, მოქმედება წრიული ფორმის ფერხულში გადაიზრდებოდა. ჩვენი თვალსაზრისის დასასაბუთებლად საკმარისია დავემყაროთ აკად. ნ. მარისა და პროფ. მ. კოვალევსკის მიერ მოწოდებულ ცნობებს ფერხულების — „შუშპარისა“ და „მელია-თელეპიას“ შესრულების წესთა შესახებ, რომლებშიც ხაზი ესმება აღნიშნულ სანახაობათა დინამიკური crescendo-ს პრინციპზე აგებას.

ყოველივე ამის შემდეგ საფიქრებლად მიგვაჩნია, რომ ქსენოფონტეც დინამიკური crescendo-ს პრინციპზე აგებული მონუმენტური ფერხულის სწორედ საწყისი ტალღის აღწერას გვაძლევს.

ფერხულის ქორეოგრაფიულ ტიპთა, არქაული ტიპის ფერხულისა და წრიული მოძრაობის პრინციპზე აგებული „საფერხულო ქმედების“, ერთმანეთისაგან გამიჯვნა ნათლად მიგვითითებს შემდეგზე: არქაული ტიპის ფერხულის ანუ სწორხაზოვანი ქორეოგრაფიული ნახატის მქონე სანახობის („მწყობრი“) ელემენტები ასიმილირებულ იქნა „საფერხულო ქმედების“ მაღალ ტიპში, რომელშიც „დიადი მეტრით“ აღბეჭდილი „რიტმული სვლა“ წრიული მოძრაობის ფაქტორმა შეცვალა. ფერხულის ამ მაღალი ტიპის გაბატონებას არ მოჰყოლია არქაული ტიპის ფერხულის სრულიად აღმოფხვრა, თუმცა, აშკარაა, მოხდა ამ უკანასკნელის „კანონიზირება“.

როგორც ვხედავთ, ქართული მხატვრული შემოქმედების სხვადასხვა დარგის ნიმუშები აშკარად მიუთითებენ, რომ ფერხულის არქაული სახეობიდან წრიული ფორმის ფერხულზე გადასვლა ჩ. წ. აღ-მდე XV საუკ. უადრეს ხანაში ხდება (გავიხსენოთ თრიალეთის თასი). მრავალმხმიანობის საწყისთა ძიების გზაზე, ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. იგი თვისობრივი გარდაქმნის პროცესის კანონზომიერებათა შეცნობის გასაღებს გვაძლევს. ფერხულის ქორეოგრაფიულ ტიპთა დადგენამ და მისი ევოლუციის პროცესის საფეხურთა გამოვლინებამ შესაძლებლობა მოგვცა განგვემტკიცებინა „ძნობის“ ხელოვნების ადრინდელი სინკრეტიზმის წიაღიდან წარმომავლობა.

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# «МНАТОБИ»

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ